
ქართული
კლასიკური მწერლობა

მონოგრაფიები

კლაბინ იოსელიანი

ცხოვრება
ბიორბი მეცამეტისა

ტფილისი
1936



კარატონ იოსელიანი

(47.93) 9
ი. 89

სხივრება

გიორგი მეცამეტისა

აკაკი გაწერელიას
შესავალი წერილებით, რედაქციითა
და შენიშვნებით

ფედერაცია
1936



პლატონ იოსელიანი

წინასიტყვაობა

პლატონ იოსელიანს მხოლოდ ერთი მონოგრაფია აქვს დაწერილი ქართულ ენაზე. აქტუალური მნიშვნელობის მქონე სხვა ნაშრომი (ქართულად) მას არ მოეპოვება. ამიტომ მონოგრაფიის ტექსტთან ერთად ამ წიგნში თავმოყრილია პლ. იოსელიანის მოღვაწეობის დამახასიათებელი მასალებიც. ეს საინტერესო ისტორიკოსი ღირსია თანამედროვეთა მოგონებისა.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში პლ. იოსელიანის როლის შესახებ ჩვენ ვწერთ ქვევით, გამოკვლევაში, რომელიც ამ წერილს მისდევს. დამოუკიდებელი თემაა: პლ. იოსელიანი, როგორც—ისტორიკოსი, არქეოლოგი, თეოლოგი და ხელოვნების ისტორიკოსი (მხედველობაში გვაქვს მისი „აღწერანი“ ქართული ტაძრებისა და სხვ.). ეს სამუშაო არ შეიძლება ერთი პირის მიერ იქნეს შესრულებული და მოელის თავის სპეციალისტს. ჩვენ აქ მოკლედ ვეხებით მხოლოდ „ცხოვრება“-ს: ეს ნაშრომი დამახასიათებელია პლ. იოსელიანის მსოფლმხედველობისა, მეთოდოლოგიისა და ისტორიული კვლევის სტილისათვის.

● ● ●

პლ. იოსელიანის შრომამ „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ თავის დროზე დიდი ყურადღება მიიქცია. ის დაიწერა 60-ან წლებში, იმ პერიოდში, როცა მწვავე ბრძოლა სწარმოებდა „მამათა და შვილთა“ შორის. პლ. იოსელიანი, როგორც ცნობილია, ლიტერატურულად და პოლიტიკურად არხი-რეაქციონერთა ბანაკს ეკუთვნოდა. ჩვენის ფიქრით, სწორედ ამ ბრძოლამ შეუშალა ხელი მას მონოგრაფიის გამოქვეყნების საქმეში. რასაკვირველია, მატერიალური ხალვათობა ამის მიზეზად ვერ ჩაითვლება და ანგარიშგასაწევია უფრო იდეოლოგიური მომენტები.

„ცხოვრება“ ამართლებს გიორგი მეთორმეტის[1] პოლიტიკას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ამ პოლიტიკის დაცვა არ უნდა ყოფილიყო ადვილი 60-ან წლებში. სწორედ ამ პერიოდში ფეო-

[1] მონოგრაფიის სახელწოდების შესახ. იხ. „შენიშვნები“ (წერილი „ტექსტისათვის“).

დალური წოდების ახალი, შედარებით რადიკალური თაობა თავის ლიტერატურულ და პოლიტიკურ პროგრამას იცავდა. ეს თაობა ბრძოლას უცხადებდა ქართული არისტოკრატიის იმ ნაწილს, რომელსაც ბიუროკრატიზმი და სამხედრო კარიერისათვის ზრუნვა ახასიათებდა და რომელიც მონარქიული რუსეთის საიმედო ძალას წარმოადგენდა საქართველოში. აკი სწერდა რუსეთის ერთ-ერთი მოღვაწე (სენატორი მეჩნიკოვი) 1831 წელს: „მემამულენი საქართველოში, წარმოადგენენ... საიმედო დამხმარე ძალას ჩვენი მთავრობისათვისო“. მაგრამ თვით ამ ბიუროკრატიულ ნაწილშიაც მოიპოვებოდნენ ანტირუსოფილები, რომლებიც ალმაცერად უცქეროდნენ პლ. იოსელიანის შეხედულებებს. კერძოდ ალ. ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მტრულად იყო განწყობილი პლატონ იოსელიანისადმი. თავის პოლემიკურ წერილში „პლატონ იესელიანს“ (იხ. წ. კ. საზ-ის № 1646) ის საეჭვოდ მიიჩნევს იმ ფაქტებსა და ეპიზოდებს, რომელნიც პ. ბოსელიანს მოუსმენია საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილებისაგან ქ. პეტერბურგში. მისი აზრით, ეს ბატონიშვილები პ. იოსელიანთან სერიოზულ საუბარს გაურბოდნენ. მკაცრი კრიტიკა იქამდე მიდის, რომ ალ. ორბელიანი ცნობილ ღვთისმეტყველს მორალური მხრითაც ცუდად ახასიათებს (გვ. 11).

ალ. ორბელიანის მსოფლმხედველობა პოლიტიკური რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ის ბოლომდე დარჩა ბაგრატიონთა დინასტიის წარსულ დიდებაზე მეოცნებე არისტოკრატად (ალ. ორბელიანი ენათესავებოდა ბაგრატიონებს: დედამისი, თეკლე ბატონიშვილი, ერეკლე მე-II-ის ასული იყო). პლ. იოსელიანს კი არა ერთხელ გამოუთქვამს ხოტბა რუსეთის მმართველობისადმი და, როგორც ჩანს, უარყოფითად უცქეროდა 1832 წლის შეთქმულებას. მაგ. ს. დოდაშვილზე ის სწერს მარი ბროსეს: „გაზეთსა (იგულისხმება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათა. 1832“. ა. გ.) აბეჭდვინებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად, რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა“ (წ. კ. ს. № 4797). კერძო ბარათში ავტორი არ მალავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას იმ მოძრაობისადმი, რომელსაც, ბატონიშვილებთან ერთად, ალექსანდრე ორბელიანიც ედგა სათავეში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ორბელიანი მკაცრად მოეკიდა პ. იოსელიანის ნაშრომს, რომლის მიზანია გიორგი მეთორმეტის პოლიტიკის გამართლება ისტორიული და იდეოლოგიური თვალსაზრისით.

პლ. იოსელიანის სიმპათია მთლიანად მეფისკენაა, თუმცა ეს არ უშლის ხელს მას—პანეგირიკული სტრიქონები უძღვნას ისეთ ოპოზი-

ციონერს ერეკლე II-ისა და გიორგი XII კარზე, როგორიც იყო სოლომონ ლეონიძე. პოლიტიკური მსოფლმხედველობის მხრით, პლ. იოსელიანი ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსათვის ერთადერთ გამოსავალად რუსეთთან შეერთებას სთვლიდა. ამ წრისათვის პლ. იოსელიანის მონოგრაფიის იდეა მისაღები იყო. სწორედ ამიტომ პლ. იოსელიანის მონოგრაფიაშიაც იჩინა თავი იმ უარყოფითმა მხარეებმა, რომლებსაც რუსოფილ ქართული არისტოკრატიის ლიტერატურულ ტრადიციებში ვხედავთ. ეს წოდება ახალ სისტემასთან შეგუებულ საზოგადოებრივ ფენას წარმოადგენდა. ბოლოს ის ისტორიულადაც ამართლებდა მეფის რუსეთთან საქართველოს დაკავშირების ფაქტს. მონარქიული რუსეთის ექსპანსიას პლ. იოსელიანი გულუბრყვილოდ ხსნიდა. მკითხველს უსათუოდ მოგვრის ღიმილს მისი სიტყვები: „დიდად სწყალობდა ქართველთა იმპერატორი პავლე“ (გვ. 115).

პლ. იოსელიანი, რა თქმა უნდა, არ იცავს ისტორიულ პერსპექტივას თავის მონოგრაფიაში. ეს ნაშრომი ტენდენციურია თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ავტორი ყველაფერში ამართლებს მეფეს. პლ. იოსელიანის ისტორიულ ნაშრომებს საერთოდ ახასიათებს ერთგვარი სუბიექტივიზმი მოვლენების შეფასებისა. ალ. ორბელიანის ცნობით, ამას არც ავტორი მალავდა: „ბოლო დროს,—სწერს ალ. ორბელიანი,— როდესაც აქა იქ კითხუა გაათავა თავის თხზულებაში (იგულისხმება „ცხოვრება“), მე უთხარ:

— მეფეს ერეკლეზედ და დედოფალს დარეჯანზედ რასაცა სწერ მაგ ურიგოებს, წმინდა ტყუილია.

იმან ამ სიტყვაზედ, უნებურად წამოროშა როხროხისა ხმითა, მაგრამ შეკდიმებით:

— მაშ როგორ იქნება, ყოველი ისტორია ტყუილია!— ამასთანავე ჩაითუთქა და გაჩუმდა“ („პლატონ იესელიანს“, გვ. 16).

როგორც ამონაწერიდან ჩანს, ნამდვილი ისტორიული სურათის აღდგენის ყოველგვარ ცდას ავტორი ირონიულად უცქეროდა. მიუხედავად ამისა, პ. იოსელიანს ბევრი ენერგია დაუხარჯავს ისტორიული ფონის, სახელმწიფო პირთა ურთიერთ დამოკიდებულებისა და ეპოქის საერთო კოლორიტის აღსადგენად. ამ მხრით პლ. იოსელიანის შრომა ბევრ შემთხვევაში სასურველ შედეგებს აღწევს. კავკასიისაკენ რუსეთის ლტოლვის მამოძრავებელი ძალები კი ავტორს ბუნდოვანად ჰქონდა წარმოდგენილი.

მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის წინაშე ისახება აღმოსავლეთის ბაზრის დაპყრობის გეგმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპის (კერძოდ ინგლი-

სის) კაპიტალთან კონკურენციას, რომლის ასპარეზი აღმოსავლეთი უნდა ყოფილიყო. ამ მიზნის მიღწევა რუსეთს გაუადვილა საქართველოს „შეერთებამ“, რომელიც დააჩქარა თვით საქართველოში გამწვავებულმა შინაურმა ბრძოლამ მეფესა და სასახლის დანარჩენ წევრთა შორის, სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა ურთიერთ ბრძოლამ, ეკონომიურმა დაქვეითებამ და ქვეყნის საგარეო ვაჭრობის (ირანის, თურქეთისა და დაღისტნის მტრულმა დამოკიდებულებამ საქართველოსთან).

რა თქმა უნდა: პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდა მარტო ფეოდალური წოდება და მეფის სასახლე. საქართველოს ფართო ფენების ინტერესები ამ ბრძოლების დროს სავსებით მიჩქმალული იყო. შემდეგში საქართველოს რუსი მმართველები ბონაპარტული რუსეთის, ამ „საერთაშორისო ჟანდარმის“ დაპყრობით პოლიტიკას ამართლებდნენ იმ მოსაზრებით, თითქოს ამ პოლიტიკის წყალობით საქართველოში საგარეო მშვიდობიანობასთან ერთად მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობაც მტკიცდებოდა. ისტორიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება ოფიციალურად გამოსთქვა ნ. დუბროვინმა. ის სწერს: „Одна Россия, по своему единоверию и бескорыстию, могла явиться избавительницею Грузии; одна она могла помочь горькой доле грузин, разоряемых соседями и собственными князьями...“ (Георгий XII, последний царь Грузии... Изд. II, СПБ. 1897, გვ. 69). რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ვერ უძლებს კრიტიკას. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ცნობილია რამდენიმე დიდი აჯანყება, რომელიც მკაცრი რეპრესიებით ჩააქრო რუსის მხედრობამ. ამ აჯანყებების დროს დაზარალდა უმთავრესად ფართო მოსახლეობა, რადგან დამპყრობელ ძალას გვერდით უდგა საქართველოს ფეოდალური წოდება.

პლ. იოსელიანი კი საქართველოს მეფის რუსეთთან „შეერთების“ ფაქტში თავისი ქვეყნის ხსნას ხედავდა. მიუხედავად ამისა, მონოგრაფიის მთელ რიგ ადგილებში თითქოს გამოსჭვივის სინანული იმ მოვლენის გამო, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაში გამოიხატა. ავტორისათვის უცხო არ არის ნაციონალიზმიც და მისი ცუდი მხარეები.

ეს ორმაგი თვალსაზრისი—ნაციონალისტური და რუსოფილური—დამახასიათებელია მე-XIX საუკუნის ფეოდალური არისტოკრატიის მსოფლმხედველობისათვის, რომელიც მშვენივრად ათავსებდა ერთმანეთთან „პატრიოტიზმსა“ და პოლიტიკურ რენეგატობას.

აქ ჩვენ არ გამოვეკიდებით მონოგრაფიის ცალკე ადგილების შეფასებას, ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის ავტორისეულ გაგების კრი-

ტიკას და ზოგიერთი ქრონოლოგიური თუ ბიოგრაფიული ცნობების შემოწმებას. დაგვრჩენია რამდენიმე სიტყვის თქმა მონოგრაფიის საერთო ხასიათისა და მისი ლიტერატურული ღირსებების შესახებ.

„ცხოვრება მეფის გიორგი მეცამეტისა“ დაწერილია ღვთისმეტყველისა და ე. წ. საეკლესიო მწერლობის დიდი მცოდნის მიერ. ამიტომ გასაგებია დეტალიზაცია ღვდელმსახურების მოყვარულ ქრისტეანე მეფის ბიოგრაფიის მოთხრობისას. წიგნში აღნიშნულია ზოგიერთი „სასწაულის“ მსგავსი შემთხვევა, რომელთაც პ. იოსელიანი სიმბოლიურ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს არც არის მოულოდნელი პ. იოსელიანის რელიგიური მსოფლმხედველობისათვის, რომლითაც გამსჭვალულია მისი სხვა ნაშრომებიც.

ავტორის მიერ მოცემული პორტრეტი მეფისა მეტწილად ტენდენციურობას ააშკარავებს: ბიოგრაფი ყველგან არბილებს მეფის სისასტიკის მამხილებელ ეპიზოდებს, მას შეგნებულად სურს მეფის პიროვნებაში ეძიოს ფილოსოფიურად მოაზროვნე მმართველი. გიორგი მეთორმეტე იოანე ოქროპირის სიტყვებით ლაპარაკობს, მაგრამ სრულიად უნებლიედ, ავტორი—რეალურ ისტორიულ სურათის ნაცვლად,—თავის ერუდიციას გვიჩვენებს.

მაგრამ მონოგრაფიას იშვიათი ლიტერატურული ღირსებებიც მოეპოვება.

არქაისტი-ისტორიკოსის ეს ნაშრომი დაწერილია გემოვნებით. პ. იოსელიანი ახლოს გვაგრძნობინებს გადასულ დროთა ფერებსა და კოლორიტს. თხრობის დროს ავტორი სცილდება ეპიზოდების გადმოცემის ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებს—ის არა მარტო ისტორიკოსია, არამედ ბიოგრაფი-მწერალიც.

პლ. იოსელიანმა ბევრი ისწავლა დასავლეთის ავტორებისაგან ამ ჟანრში. მონოგრაფიის საერთო სტილი და გეგმა ცხადყოფს, რომ ავტორი კარგად იცნობს ბერძენ და რომაელ მემატიანეთ, მიშლეს, გიზოსა და რენანის შრომებს, დასასრულ—„ქართლის-ცხოვრების“ ქრონიკებს. ამიტომ მონოგრაფია იკითხება დიდი ინტერესით.

„ცხოვრება“ ლიტერატურულ თხზულებადაც უნდა ჩაითვალოს. მონოგრაფიაში კარგად არის გამოხატული მე-18 საუკუნის საქართველო—თავისი ზნეჩვეულებებით, საერთო კულტურით, ადმინისტრაციული და საეკლესიო იერარქიით. მოქმედი პირები ხორცშესხმულია. მონოგრაფიის ლექსიკონი, და თვითონ თხრობის არქაული ტონიც კი, შეეფერება ეპოქის კოლორიტს.

ამ მხრით „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ საჭირო მასალას იძლევა მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარე ამბების გასათვალისწინებლად. ახალი ისტორიის შედგენის დროს (რომლის საჭიროება ამჟამად დიდია) პ. იოსელიანის მონოგრაფიას შეუძლია

საკმაო ფაქტიური მასალის მოცემა. მით უმეტეს, რომ ისტორიის სწავლების დროს ამიერიდან უარყოფილია სქემატიზმი ძველი სახელმძღვანელოებისა. ის უმნიშვნელოვანესი კრიტიკა, რომელიც მოცემულია სახ. კომ. საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაში სამოქალაქო ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით, უნდა გაითვალისწინოს საქ. ახალი ისტორიის კურსის შემდგენელმაც. ამ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო ისტორია ასწავლონ ცოცხალი, მიმზიდველი ფორმით, გააშუქონ უმნიშვნელოვანესი ამბები და ფაქტები მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით,—მოსწავლეებს აწვდიან საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების აბსტრაქტულ განმარტებებს და, ამრიგად, სამოქალაქო ისტორიის გაშუქებას სცვლიან განყენებული სოციოლოგიური სქემებით". ან კიდევ: „მოსწავლეების მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა ისტორიული ამბების გადმოცემაში, მასთან აუცილებელი აღბეჭდვა მოსწავლეთა მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებისა და ქრონოლოგიური თარიღებისა. ისტორიის მხოლოდ ასეთ კურსს შეუძლია უზრუნველჰყოს ის, რომ ისტორიული მასალა იყოს მისაწვდომი, თვალსაჩინო და კონკრეტული, რაც მოსწავლეთათვის აუცილებელია".

ამ უაღრესად აქტუალური და გადაუდებელი ამოცანის კარგად შესრულება, სხვათა შორის, მოითხოვს ძველი ძეგლების ხელახალ, კრიტიკულ, გამოცემასაც. ახალი ისტორიის ზოგადი კურსის გამომუშავება შეუძლებელი იქნება, თუ ხელთ არ გვექნა უმნიშვნელოვანესი ანალები, მატიანეები და მონოგრაფიები.

კერძოდ პ. იოსელიანის შრომა, მისდამი მკაცრი კრიტიკული დაკოდებულების შემდეგ, გამოყენებული იქნება საქ. ახალი ისტორიის დამუშავების პროცესში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. ამიტომ მისი გამოცემა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ა. გ.

პლატონ იოსელიანი

ბიოგრაფიული ქარგა. გრამატიკული არჭაიზმი და „გაყრა“-ს ლიტერატურული რეპუტაცია. ტივებით მოგზაურობა. დაღისტანი. 60-ანი წლები და ჟურ. „ცისკარი.“ უკიდურესნი, საშუალონი და რადიკალები. პლ. იოსელიანის პოეტიკა. პლ. იოსელიანი და გრ. ორბელიანი. „შოთა რუსთაველი“. პლ. იოსელიანი—ლამარტინის მთარგმნელი. გარდაცვალება. დამატებითი შენიშვნები.

1

ბიოგრაფიული ქარგა ასეთია:

პლატონ იოსელიანი დაიბადა 1809 წელს[1].

პლატონის მამა, ეგნატე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის სასახლესთან დააბლოვებული პირი იყო. სასულიერო წოდების წარმომადგენელი ხშირად უყვებოდა თავის ახალგაზრდა ვაჟს იმ ამბების შესახებ, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე. მომავალმა ისტორიკოსმა შემდეგში ისარგებლა მამისაგან მოსმენილ ეპიზოდებით და მის კაპიტალურ ნაშრომში—„ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“,—ეგნატე იოსელიანი გვეველინება, როგორც მოწმე და მონაწილე სამეფო სასახლის აგონიისა[2].

---

[1] ზოგიერთი წყაროს ცნობით (მაგ. Словарь Кавказских деятелей, 1890. გვ. 40) პლ. იოსელიანი დაბადებულა 1810 წელს, მაგრამ ეს არ არის მართალი. საქ. მუზ-ში დაცულია პ. იოსელიანის ხელთნაწერი (უ-ის სერია № 1793): Введение в историю философскую (ორი რვეული), რომლის წინა ფურცელს ასეთი წარწერა აქვს:- „Сия история философская принадлежит ученику философии Платона—Иоселианову 1824-го года, Декабря 11-го числа, был я 15-ти лет в сие время. Обучал, Преображенскаго Монастыря, Ректор Архимандрит Иринейъ. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ პლ. იოსელიანი დაბადებულა 1809 წელს იხ. აგრეთვე: ზ. ჭ. „პლატონ იოსელიანი“. ტფ. 1893. გვ. 7.

[2] ალექსანდრე ორბელიანი წერს (წ. რ. კ. ს. ხელნაწ. № 1646: „პლატონ იესელიანს“—გვ. 5. (წერილი): „პლატონის პაპა მღვდელი ონისიმე მეფე გიორგის ახლდა და მამა პლატონისა მღვდელი ეგნატეც მეფეს გიორგისვე, არამც თუ ერთისა, მთელი საქართველოს სამეფოს ოჯახისა თავშეწირული ერთგული იყო და უნამეტნავესად თავის მშობლის მამულისა, დიდი გონიერი კაცი იყო ეს ეგნატე და დიდი მადლიანი წმინდა“. ის გარდაცვლილა 1843 წელს. ხელმეორედ პეტერბურგს წასულ პლატონ იოსელიანს (1841 წ.) დაბრუნებისას ცოცხალი არ დახვედრია (იქვე, გვ. 3,5. შენიშვნები). ახალგაზრდობისას ეგნატე იოსელიანი დაახლოვებული ყოფილა ერეკლე მეორესთანაც (№ 1646—გ. ალ. ორბელიანი: „დებროვინისა მიმართ პასუხი“).

პლატონ იოსელიანი სწავლობდა გამოჩენილ კალიგრაფ დავით რექტორთან. დაასრულა ტფილისის სასულიერო სემინარია. სემინარიის დასრულების შემდეგ მიემგზავრება პეტერბურგს და შედის სასულიერო აკადემიაში. პეტერბურგში ის ახლო ეცნობა საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილებს, მარიამ დედოფალს და ახლო ურთიერთობაშია მათთან.

აკადემიაში პლატონ იოსელიანი სწავლობდა ფილოსოფიას, ისტორიას და ღვთისმეტყველების დარგებს. აკადემია დაამთავრა ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით.

საქართველოში პლ. იოსელიანი დაბრუნდა 1835 წელს და სემინარიაში შევიდა ფიზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად. ტფილისშივე მიჰყო ხელი მან საისტორიო-საგამოკვლევო მუშაობას, გრამატიკულ სახელმძღვანელოთა გამოცემასა და სარედაქტორო საქმიანობას [1].

ორმოციან წლებში და შემდგომ პლატონ იოსელიანი ტფილისის სალონების საპატიო წევრი იყო. ის პირადად მეგობრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს და ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო მანანა ორბელიანის ცნობილი სალონისა, სადაც თავს იყრიდნენ ტფილისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელნი [2].

---

[1] 1837—8 წ. წ. ტფილისში დაბეჭდა ჩახრუხაძისა და შავთელის ქებანი. 1840 წელს: „პირუელ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისანი“ (მეორე გამოცემა 1851; მესამე—1863 წელს). შრომები რუსულ ენაზე: „ქართული ეკკლესიის მოკლე ისტორია“ (პეტ. 1843.) „ცხოვრება დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა“ (1848), რუსულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა მისი ქართული ტაძრების „აღწერები“, ისტორიულ-არქეოლოგიური წერილები. 1850—1870 წლების მანძილზე ბეჭდავს მრავალრიცხოვან შრომებს და წერილებს, მეტწილად ქალაქების (დუშეთის, ტფილისის) „აღწერებს“, გამოაქვეყნა მგზავრობის დღიურები (ტფილისიდან ახტალამდე. 1850; დაღისტანს მგზავრობის სურათები. 1861; „ტფილისიდან მცხეთამდე მგზავრობის წერილები“. 1871 წ.) და მრავალი სხვა (დაწვრ. იხ. ბიბლიოგრაფიაში).

1845 წლიდან რედაქტორობდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“-ს. გამოსცა რონა—რუისის მიტროპოლიტისა და ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობანი, არჩილის „თეიმურაზ მეფის ცხოვრება“, ანტონ კათოლიკოზის „წყობილსიტყვაობა“ და იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (1852 წ.)

თანამშრომლობდა: „ცისკარში“, „კავკაზში,“ „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“ და სხვ.

[2] გრ. ორბელიანი სწერდა მანანას 1846 წელს 18 თებ. „თქვენი გაბრწყინვებული სალონი სავსეა ანგლიჩანებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით; ჭეშმარიტად მწყურს მათი ბედნიერება და ვამბობ: ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო“.

სალონის შთაგონებას, თუ ვიტყვით ძველი ლექსიკონით, თვითონ მანანა ორბელიანი წარმოადგენდა. „ცისკარში“ (1871, იანვარი) დაბეჭდილია ეკატერინე ერისთავის შემდეგი ხოტბა მანანასადმი:

როგორც ჩანს, ამ სალონებში პლატონ იოსელიანის ბაკენბარდები ფარული გაკილვის საგნად იყო მიჩნეული. „აუჩქარებელი რიტორი“, რომლის საუბარს მუდამ ახასიათებდა ანალოგიები ანტიური ისტორიიდან და ლიტერატურიდან, მსხვერპლი ხდებოდა მანანა ორბელიანის სალონის წევრის—ნიკო ბარათაშვილის ენამახვილობისა. ეს უკანასკნელი კიდევაც სწერდა გრ. ორბელიანს 1841 წელს:

„ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზე და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს „ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა: ვურჩევთ რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს“ [1].

ამ ორი მწერლის პირადი დამოკიდებულების სხვა ფაქტებიც არის ცნობილი. იონა მეუნარგიას ჩაწერილი აქვს ნ. ბარათაშვილის ენამახვილობის ერთი შემთხვევა, რომელიც მას ლევან მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავისაგან (ნ. ბარათაშვილის მეგობრები) მოუსმენია:

„მეორეჯერ თავისი მახვილი სიტყვა სტყორცნა ბარათაშვილმა პლატონ იოსელიანს. ერთს საზოგადოებაში ვიღაცამ თურმე იკითხა:

— ე, ბერძენ - რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოღ-ასლოვიო,—მიუგო რუსული ზმით ბარათაშვილმა და მიუშვირა ხელი იოსელიანს“ [2].

პლ. იოსელიანის ახირებული გარეგნობა თანამედროვეების საერთო ყურადღებას იქცევდა [3]. თვითონ სახელიც—პ ლ ა ტ ო ნ—საბედისწერო გამოდგა: მისმა „ცრუკლასიციზმმა“ საბაბი მისცა მაშინდელი საზოგადოების წარმომადგენელთ ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის,

---

სატრფოს პორტრეტსა,
ეჰვრეტ ვითა მზესა
მჭეუნვარეს გულის განმანათლებლად.
მჯატვრობა ესე
მშვენებით სავსე,
მსგავსი თუ ოდენ ყოფილ არს ძველად.
ოდესცა ვნახე
მის ტურფა სახე,
მყის განკვირვებით ციქენ მოცული;
და ვით მშვენიერს,
პლანეტსა ციერს
ვსჰვრეტდი, შევიქენ აღტაცებული!
იზიდავს გულსა,
მსხვერპლად გძღვნი სულსა,
ნუ თუ მაღნიტი გქონან თუალებში!
და მისთვის მარად
მყავ მონად მყარად,
მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.
უმანკო გული,
კეთილით სრული,
აღატრფობს ყოველთ შენდა საქებრად.
გაქუს შესაფერი
ეგ ნაზი ფერი,
მოგნიჭებიეს განსაშვენებლად.
ხარ სრული გრძნობით,
განსჯით და ცნობით
სამაგალითოდ წარმოდგენილი.
ქცევა ქებული
გაქუ დიდებული,
გშვენის ქალთ მეფად გყონ დადგენილი“.

[1] ნ. ბარათაშვილი, ლექსები... ტფ. 1922 წ. გვ. 95.
[2] იქვე, გვ. XXXI. შდრ. М. Туманов. Хар. и восп., გვ. 159.
[3] ამის შესახებ იხ. აგრეთვე ზ. ჭ. „პლ. იოს“. გვ. 20.

გასახსენებლად. ჩქარა მის გვარს შეენაცვლა ეპითეტი— ფილოსოფოსი და აქედან მოდის პლატონ იოსელიანის—პლატონ ფილოსოფოსად მოხსენიების ტრადიცია. მთელი ცხოვრების მანძილზე ის ამ ზედმეტი სახელით არის ცნობილი.

ეგრედწოდებული „ახალი თაობის“ წარმომადგენელნი პლ. იოსელიანის ამ ზედმეტ სახელს ირონიული ტონით ხმარობდნენ [1].

1849 წელს პლატონ იოსელიანმა სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა ათონის მთასა და სტამბულში [2], დაბრუნების შემდეგ ის მუდმივად საქართველოში (ტფილისსა და დუშეთში) ცხოვრობს.

2

პლ. იოსელიანის „ღრამმატიკა“ მეტყველების არქაული ნორმების დაკანონების ცდად უნდა ჩაითვალოს. ის ანტონ კათოლიკოზის გრამატიკის ანალოგიური შოვლენაა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ასეთივე არქაიზმით ხასიათდება მის მიერ შედგენილი „ქართული ანბანი“ და კალენდარი.

გრამატიკა პრაქტიკული მიზნებისათვის გამოუყენებელი გამოდგა და პოპულარობა მან ვერ მოიპოვა [3].

გრამატიკის გამოქვეყნების შემდეგ პლ. იოსელიანი უმთავრესად რუსულ ენაზე სცემს თავის გამოკვლევებს. 50-ან წლებიდან კი ის კვლავ უბრუნდება ქართულ მწერლობას: 1850 წელს გამოდის

---

[1] ეს ირონიული ტონი ისმის გ. წერეთლის სიტყვებში, როცა ის „ცისკრის“ მწერლების დახასიათებას დასძენს: „ერთი მოლაყბე] გამოჩენილა და მართალია ლაყბობას კი ეძახის თავის სტატიებს, მაგრამ იმას უფრო სარგებლობა მოაქვს იმის ლაყბობით, როგორც თვითონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც ხან-ინახით ჯდებიან გორს და ხან ათინა, რომი და ევროპა შესძრეს თავისის ფილოსოფიით, რომელიც დააფუძნა საქართველოში პლატონ ფილოსოფოსმა. ბერძნების პლატონზედ არ მოგახსენებთ, არა, მე მოგახსენებთ ჩვენს პლატონს ფილოსოფოსზედ“ (იხ. გ. წერეთელი: თხზულ. სრული კრებული“, სიმ. ხუნდაძის რედაქციით, 1931 წ., ტ. I გვ. 382. მოლაყბე—ფსევდონიმია „ცისკრის“ რედაქტორის — ივ. კერესელიძისა. იქვე, გვ. 449 შენიშვნ. გ. წერეთლის ზემოთ მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის 1862 წელს).

[2] ამ მგზავრობის აღწერა იხ. პლ. იოსელიანის ხელნაწერებში: Из путешествия на Афон (წ. რ. კ. ს. № 3055): იქვეა მასთან დაკავშირებული მიმოწერა (შდრ. „ცხოვრება“... გვ. 200).

[3] აღსანიშნავია ვოსტოკოვის გრამატიკის გავლენაც. ეს ფაქტი პლ. იოსელიანის თანამედროვეებმაც აღნიშნეს. იხ. ცისკარი, 1857, № 5, გვ. 59: „უფ. იოსელიანის გრამატიკა არის თითქმის ვოსტოკოვისგან ნათარგმნი“. რასაკვირველია, ასეთი შეფასება გადაჭარბებაა, მაგრამ გავლენის სათავეზე ის სწორად მიუთითებს.

გ. ერისთავის „გაყრა“, რომელსაც წინ უძღვის პლ. იოსელიანის შემდეგი წინასიტყვაობა:

ყოველმან ქართველმან იცის რა არის წიგნი „ეეფხვის-ტყაოსანი“. დიდად მცირენი არიან, რომელთაც არა წაეკითხოს ძველთა მწერალთა წიგნები შავთელისა, ჩახრუხაძისა, მოსე ხონელისა; ახალთ დროებში „ქაცვია მწყემსი“, „სიბრძნე სიცრუე“, „ქილილა და მანა“, და სხვანი. გარდა ამათსა ჩვენ ქართველთა გვაქვს მრავალთა მწერალთა სხვადასხვა გვარნი თხზულებანი ლექსად და პროზად, საფილოსოფოსონი, ღვთის მეტყველებითნი, ისტორიულნი, ზნეობითნი;—მიხედვით სხვათა ხალხთა ევროპისა და აზიისა, ვიტყვი გაბედვით, მეთვრამეტე საუკუნედმდე. ქართველნიცა მდიდარნი იყვნენ მწერლობით. — მაგრამ მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბარისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს პეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა, ქართულსა ენაზედა, კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთიეე მიიღო ღირსება, რომლისათვისაც ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვათა.

მაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგანს ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონებასა, არ ვინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულად და თვითოეული კეთილგანმზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა; ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა.

პლატონ იოსელიანი [1].

როგორც ამ წერილიდან ჩანს (და ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვებიც ამასვე ადასტურებენ), წინასიტყვაობის ავტორის არქაისტული პოზიცია საერთოდ ცნობილი ყოფილა. რეაქციონერი ენის საკითხში, პლატონ იოსელიანი, ძალაუნებურად ანგარიშს უწევს ახალი მეტყველების ისეთ ფაქტს, რომელიც მის გრამატიკულ ნორმებს არსებითად ეწინააღმდეგება. ერთის მხრით ამ წერილში პირდაპირ გვხვდება მოწოდება „ახალი გვარის მწერლობისადმი“ მიბაძვისა, ხოლო მეორე მხრით—თვითონ მოწოდების, წინასიტყვაობის ენა ლაპარაკობს გამოთქმული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. ამ კომპრომისს არსებითად არაფერი შეუცვლია პლ. იოსელიანის შეგნებაში. პირიქით,— ეს წერილი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს იმ სარედაქციო მუშაობას,

[1] იმავე წელს (1850) მანეჟის თეატრში (და არა თამამშოვის ჭარვასლაში, როგორც ი. მეუნარგიას აქვს აღნიშნული,—იხ. თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება, 1884, გვ. XLII. ამაზე შენიშვნა—Акты, 1888 ტ. XI. გვ. 915: თამამშოვის ჭარვასლაში თეატრი გაიხსნა 1851 წელს) 3 მაისს დაიდგა გ. ერისთავის მეორე კომედია — „დავა“.— სადაც მოხუც ონოფრეს როლს ასრულებდა პლ. იოსელიანი (აფიშის სია მოყვანილია ი. მეუნარგიას დასახელებულ გამოც-ის წინასიტყვაობაში. იხ. აგრეთვე Акты, XI). ვორონცოვმა მიანდო აგრეთვე პლ. იოსელიანს ქართული პიესების ცენზორობა (Акты, XI, გვ. გვ. 917, 934, თ. გ. ერისთავის თხზ., გვ. XLI).

რომელმაც ქართული ლიტერატურა—მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში — უაღრესად არქაული თხზულებებით გაავსო.

„გაყრა"-სთვის ასე საჯაროდ რეპუტაციის გაკეთებას, როგორც ჩანს, არქაისტების გარკვეულ ჯგუფში უკმაყოფილება გამოუწვევია. 1857 წელს, როცა ჟურ. „ცისკრის" გამოცემა განახლდა (სხვა ლიტერატურული ორგანო კი 1852—1857 წლებს შორის არ არსებობდა), ალ. ორბელიანი ბეჭდავს წერილს: „რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზე", სადაც უარყოფს პლ. იოსელიანის აზრს, თითქოს გ. ერისთავს „დაებადოს ახალი ენა" და დასძენს:

„პლატონ იოსელიანი სხვებს რომ ურჩევს იმ კამედიის წინასიტყვაობაში „შეუდეკით მაგალითსსა მისსაო", რატომ თავის წინასიტყვაობას ერისთა-თავის წერას არ ამხგავსებს და სხუებს კი ურჩევს? გავს, ვერ მოუხერხებია ამისთვის, რომ იოსელიანის წერა სწორე წერა არის და ერისთ-თავის კამედია დაკუწვილი ლაპარაკი, კითხვა-მიგების მგზავსი" [1].

1853 წლიდან პლ. იოსელიანი დიდი ხნით ანებებს თავს ქართული წიგნებისა და გამოკვლევების ბეჭდვას. ამ პერიოდის შესახებ ის უფრო გვიან აღნიშნავდა:

„მშრომელი მივიწყებული, ვითარცა მფრინველი ფრთა შეკვეცილი, მივიჩუმდი: შედგა ბეჭდუა წიგნთა ქართულთაო" [2].

რაც შეეხება პ. იოსელიანის რუსულ შრომებს, ისინი მხატვრულ მონოგრაფიებად არიან მოფიქრებული. აქტორი ალაგ-ალაგ ღალატობს ფაქტების აკადემიურ დალაგებას და მათ დასაბუთებას იშვიათი მაგალითებით. მოტტოდ და ეპიგრაფებად ხშირია: პლატონის, ვირგილის, ოვიდის, კატულის, დანტეს, ლამარტინის, ბაირონის, შატობრიანისა და სხვათა ლექსები და ნაწყვეტები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს გადაჭარბებული „კლასიციზმი" იყო მიზეზი მასზე თანამედროვეთა ფარული დაცინვისა, რომელიც ბოლოს აშკარა მხილებაში გადავიდა. მალე ის ლიტერატურული პაროდიის მასალადაც იქცა. ჯერ კიდევ მეორმოცდაათე წლებში ვოდევილისტმა ზ. ანტონოვმა დასწერა კომედია „ტივებით მოგზაურობა ლიტერატორებისა", რომელშიაც დაცინვის მასალად აღებული იყო პლ. იოსელიანისა და მხატვარ გაგარინის მგზავრობა მტკვარზე. ეს კომედია დაიდგა 1852 წელს ტფილისში.

აუდიტორიას უცნია ცნობილი არქაისტი, რასაც გამოუწვევია მაშინდელ მთავარმართებელთან (ვორონცოვთან) პლ. იოსელიანის მისვლა: ამ უკანასკნელს მოუთხოვია პიესის აკრძალვა. ინცინდენტი და-

[1] იხ. ცისკარი, 1857 წ. № 9. გვ. 47.

[2] ცისკარი, 1869. მარტი. გვ. 4.

მთავრებულა ეოდევილისტისა და პლ. იოსელიანის შერიგებით (ზ. ანტონოვს გამოესარჩლა თვითონ მ. ვორონცოვი).

ზ. ანტონოვი ერთი იმ მწერალთაგანი იყო, რომელიც გ. ერისთავის „მაგალითს შეუდგა". როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანს ძვირად დაუჯდა „გაყრა"-სთვის ლიტერატურული რეპუტაციის გაკეთება.

ტივებით მოგზაურობას თვითონ პლ. იოსელიანი ასე გადმოგვცემს:

„ტკბილია ტივზედ ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა. კნიაზმან გიორგი გაგარინმან აწ ღოტმეისტერმან, მოინდომა წამოსვლა გორიდამ თფილისს და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა სეკტემბრის თვეში — დილით წამოსული მოვედით ს. გომს და მეორესა დღესა 8 რიცხვსა, ქალაქსა თფილისსა. ტივზედ მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ვიკითხავდით წიგნთა და ვჰსწერდით. ესე ქმნა მან, რათა შეაჩვიოს ქართველნი ტივითა ჩამოსვლასა ქართლით თფილისად, მაგალითითა მით, რომელ ტიროლში მდინარითა აზარ, მოვლენან ესრეთ ტივითავე მუნხენში; ესრეთმან მგზავრობამან მიჰსცა საგანი კომედიისა მწერალსა ანტონოვსა და დაჰსწერა ტივით სიარული. მ. ვორონცოვმან, დამბადებელმან ქართულისა თეატრისა, დააჯილდოვა მწერალი და მიიღო ყოველივე დასაბეჭდავად წასაგებელი" [1].

ცნობილია გრ. ორბელიანის ტივებით მგზავრობაც. მათი მეგობრობის ფონზე ბიოგრაფიული დეტალების ასეთი შეხვედრა საგულისხმოა.

3

1861 წელს პლატონ იოსელიანმა იმგზავრა დაღისტანს. წიგნი: „Путевыя записки по Дагестану в 1861 году" — (ტფ. 1862) ასე იწყება:

„Человек, по падении своем, осужден на странствование. Он именуется у священных писателей и у философов пришлецем, странником на земле". (გე. 5. აქ მოყვანილ ამონაწერებს პ. იოსელიანის რუსულ შრომებიდან ჩვენ არ ვთარგმნით: მის მეორე ენას ახასიათებს საკმაო ორიგინალობა, რომლის გაცნობა არ უნდა იყვეს ინტერესს მოკლებული მკითხველისათვის).

დაღისტანს გამგზავრების არჩევანი ისტორიული თვალსაზრისითაც არის საინტერესო.

ჯერ კიდევ „ზაკავკაზსკი ვესტნიკ"-ის რედაქტორობისას (1845—50 წ. წ.) პლ. იოსელიანი ბეჭდავს ცნობებს დაღისტანზე. ეს ის დროა, როცა ჩეჩნეთში და დაღისტანში მურიდიზმი მძვინვარებს. რუსის მოხელის კოსტუმს ამოფარებული არქაისტი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს იმ დიდ ნაციონალურ-რელიგიურ

[1] ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, ტფ. 1893. გვ. 203.

მოძრაობას, რომელმაც რუსული მილიტარიზმის მსვლელობას გზა გადაუჭრა მთელი 40 წლის განმავლობაში. პლ. იოსელიანის უფროსი მეგობრის, გრ. ორბელიანის დიდი სამხედრო კარიერა დაღისტანში დაიწყო. ეს უკანასკნელი გამანადგურებელ ძალას წარმოადგენდა ავარიაში და შამილი მას თავის მოსისხარ მტრად რაცხდა. ბედის მაძიებელი თავადი სიამაყით სწერდა თავის ნათესავებს ათასწლოვანი ტყეების გაჩეხვას, და ადამიანების უამრავ მსხვერპლზე. პოეტი-მხედრის ბატალიონები დიდი სიძნელეების გადალახვით იკაფავდნენ გზებს და მთიელის ტყვია ათეული წლების განმავლობაში აჩერებდა მათ მოქმედებას.

1858 წლის დამდეგს გრიგოლ ორბელიანი დაღისტნიდან გადმოყვანილ იქნა ტფილისში. გრ. ორბელიანის დაბრუნებას ავარიიდან ჟურ. „ცისკარი“ მიესალმა თვითონ რედაქტორის, ივ. კერესელიძის ლექსით.

საინტერესოა პირველი სტროფი:

მომესმა მოსვლა ტფილისს ჭალაჭსა თქვენი, გრიგორი!
განშორდი კავკასს, მისთა საფრთხეთა სად გმირთ ესწორი,
მუსრე შამილის მწყობრი და რაზმი, მთანი და გორი,
სიმართლით ვეტყვი ამათ ყოველთა, არ არის გორი. და სხვ. [1]

შამილი დაატყვევეს 1859 წელს გუნიბში. 1861 წელს კი პლატონ იოსელიანმა თვითონ დაათვალიერა ის ადგილი, სადაც კავკასიური ომების ეპილოგი შესრულდა.

რამდენიმე წლის წინათ თუ მისი ამხანაგი ტყვიით მიიკვლევდა ბილიკებს დაღისტნის მთებში, ახლა ეს წიგნების ჩრჩილი თავისუფლად ათვალიერებდა ავარიის ლანდშაფტებს რუსული მილიტარიზმის მიერ გაკაფულ გზებიდან. ამ შემთხვევამ გამოიწვია გრ. ორბელიანის ჰუმორული შენიშვნა:

„Это даже стыдно для Дагестана!“.

„სამგზავრო წერილები“ განსხვავდება ბერეზინის, ადოლფ ბერჟეს, ზისერმანის და სხვათა სამგზავრო აღწერებიდან. ის მოფიქრებულია, როგორც მხატვრული ნარკვევი. ჩვეულებრივ: მას ჰორაციის კუპლეტი უძღვის წინ.

ამ „წერილებში“ რუსული მილიტარიზმის ხოტბასთან ერთად გვხვდება შამილის პიროვნების აპოლოგიაც. შამილის სამფლობელოს ის უწოდებს „დაღისტნის თავისუფლების სამეფოს“ (გვ. 24), დაღისტანს — „ჟან-ჟაკ რუსსოს სამყაროს“ (გვ. 47), შამილს — „კავკასიის პრომეთეს“ (გვ. 34. იხ. აგრეთვე გვ. 57 და შემდეგ).

[1] იხ. ცისკარი; 1858 წ. მაისი, გვ. 3-4.

ჰაჯი მურადის პანეგირიკი ასე თავდება:

„Очень жаль, если не соберутся великия имена свободы Дагестанской, свободы Галлов до Кессаря, свободы азиатской Швейцарии, для потомства и истории" (გვ. 63).

ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება პლ. იოსელიანის თანამედროვე ისტორიკოსთა თვალსაზრისს.

დაღისტანში პლ. იოსელიანი მგზავრობს შამილის ყოფილ ნაიბებთან ერთად. გუნიბიდან თემირხანშურისკენ მიმავალს სალთის ხიდამდე (გუნიბის ახლოა) მიაცილებს ომარ დებირი; ხუნძახის გავლის შემდეგ, აულ ტილიტლში ესაუბრება ცნობილი ნაიბი ყიბიტ-მაჰმადი (გვ. 71). რელიგიური ფანატიკოსი და სამხედრო მოღვაწე თვითონ უყვება პლატონ იოსელიანს უახლოესი წარსულის ამბებს.

დაღისტნის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ძნელად თუ მოიპოება ასე კარგად დაწერილი წიგნი, მიუხედავად ზოგიერთი ადგილის მჭერმეტყველურად შეფერილი სტილისა [1].

1861 წელს დაიწყო აშკარა ბრძოლა არქაისტებსა და რადიკალ მწერალთა შორის. ამ ბრძოლაში პლ. იოსელიანის როლი ფარულია, მაგრამ ისტორიულ მნიშვნელობას იგი მოკლებული არ არის. ამ მნიშვნელობის გასათვალისწინებლად აუცილებელია მესამოცე წლების ლიტერატურული მოძრაობის სურათის აღდგენა, რასაკვირველია, ზოგად ხაზებში.

4

როგორც ცნობილია, ილ. ჭავჭავაძის წერილმა რევაზ ერისთავის თარგმანზე (ცისკარი, 1861, № 4) არქაისტებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იმავე ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა გ. ბარა-

[1] თანამედროვე ოფიციოზმა ამ წიგნს აღფრთოვანებული ბიბლიოგრაფია უძღვნა. ავტორი (რეცენზია ხელმოუწერელია) „სამგზავრო წერილებს" პლ. იოსელიანის შემოქმედების ამოგვად სთვლის და აღნიშნავს: Имена Шота Руставели и Платона Иоселиани суть два крайние фазиса обширной грузинской цивилизации. Будущий историк картульской литературы, конечно, найдет еще несколько славных имен, этих спутников гениев". ან: „Воспитанный чтением древних ораторов, П. Иоселиани и до сих пор сохранил эту свежесть языка Демосфена и Цицерона, которые увлекали своих современников простотою и силою" (Кавказ, 1862, № 45). ფელეტონის გაგრძელება სავსეა ამონაწერებით პლ. იოსელიანის წიგნიდან. ბიბლიოგრაფი განსაკუთრებით იწონებს ავტორის ენას და დასასრულ წერს: „Как Руставель стал на рубеже, отделяющем миф и предание от летописных сказаний истории, так и Иоселиани стоит на рубеже отжившаго мира Грузии при вступлении ея в новый фазис гражданственности". ეს სიტყვები ცხადყოფენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც პლ. იოსელიანის წიგნს მოუხდენია თანამედროვეებზე. რასაკვირველია, იგრძნობა გახვიადებაც.

თაშვილის, ალექსიევ-მესხიევის, ბარ. ჯორჯაძის, თვით რევაზ ერისთავისა და სხვათა წერილები. ილ. ჭავჭავაძემ მათ საერთო „პასუხი“ გასცა (ცისკარი, 1861, ივნისი. გვ. გვ. 181 — 251), რასაც ხელახლა მოჰყვა სამაგიერო პასუხები.

„ახალი თაობა“ მოითხოვდა:

ა. ძველი ორთოგრაფიული ნიშნების უკუგდებას. ბ. „მაღალფარდოვანი“ მეტყველების შეცვლას შედარებით დაბალი ლიტერატურული სტილით და ფორმებით. გ. გრამატიკული არქაიზმის უარყოფას (ანტონ კათოლიკოსის ავტორიტეტის მოხსნა ამაზე მიუთითებდა).

არქაისტები კი იცავდნენ: როგორც ძველ ორთოგრაფიას, ისე მეტყველების „მაღალ“ სტილსა და ოდის რიტორიზმს.

რადიკალი მწერლების („თერგდალეულთა“) პოზიცია ცნობილია ილია ჭავჭავაძის წერილებით. რასაკვირველია, ეს ბრძოლა შემდეგ წლებში გაღრმავდა, მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ბრძოლის ჩასახვა და არა მისი დასასრული. გამარჯვებული თაობის აზრი მეტწილად თავის სასარგებლოდ განმარტავს გაელილი ბრძოლების ბუნებას.

საინტერესოა არქაისტების ლიტერატურული მოსაზრებების გაცნობა.

„ძველ თაობას“ არ შეეძლო მიეღო ჩახრუხაძის „ლიზღობით ხსენება“, რომელიც რიტორიული ჟანრების უარყოფას აღნიშნავდა. მიუღებელი იყო მისთვის აგრეთვე ახალი ორთოგრაფიის შემოღების ცდები. მათ კარგად ესმოდათ, რომ სტილის საკითხების ამგვარი გადაჭრა „მაღალფარდოვანი“ მეტყველების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა. თვითონ ილ. ჭავჭავაძის წერილის ენაც იწვევდა არქაისტების პროტესტს [1].

1874 წელს „ძველი სემინარისტი“ (გრ. ორბელიანი) ერთერთი თერგდალეულის მოთხრობის განხილვაში სწერდა:

---

[1] იხ. ცისკარი, 1851, ივნისი, გვ. 252: „რასაკვირველია, კარგათ იცით, რო წერა არი სამგუარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი. არ ვიცი ამ სამში რომელს მიეთვისება თქუენი კალამი? ჩუენში, სადაცა იხმარება ნაცვალსახელი „იგი“ ამ მაღალს სიტყუას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს“ და არა სრულიად მდაბიური ლექსი „როცა“, რომლითაც იწყება პირველივე სიტყვა, ან თქვენითავე სიტყვით ვჰსთქუათ, „ბაირახტარი თქვენის კრიტიკისა“ (სარდიონ ალექსიევ-მესხიევი: უსტარი ანტიკრიტიკული). („ლექსი“ აქ ნახმარია სიტყვა-ს (Слово, Wort) მნიშვნელობით. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი „კალმასობაში“, საერთოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერალთა მიერ. ცისკრის არქაისტების ჩათვლით). იგივე ავტორი „მაღალი“ და „დაბალი“ წერის დაპირისპირების შემდეგ იცავს მეტყველების რიტორიულ სტილს და ჩახრუხაძეს (იქვე, გვ. 160-161).

„მე არ ვეხები ავტორის იდეასა; არცა მის მიმართუასა. მე ვეძიებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა“ [1].

„ენის სიწმინდის“ პრობლემა კი სტილის საკითხშია მოქცეული. ბრძოლაც ამ საკითხების ირგვლივ გაიშალა.

მაგრამ თერგდალეულები არ შებმიან ერთ მთლიან ბანაკს. „ძველი თაობა“ თავის შიგნით კიდევ იყოფოდა რამდენიმე ჯგუფად და არქაისტებს შორის ლიტერატურის საკითხების შესახებ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

5

„ძველი თაობა“ არ იჩენდა ერთსულოვნობას სტილისა და ენის საკითხებში. იყვნენ უკიდურესნი, რომლებიც მოითხოვდენ „ეკლესიური“, მწიგნობრული ენის ნორმათა დაკანონებას და მაღალი ოდების ჟანრს. ისინი ქართულ ლიტერატურაში ხედავდნენ ტრადიციის უწყვეტელ ჯაჭვს: თვით „საერო მწერლობის“ ზოგიერთ თხზულებებს (მაგ. ვეფხის-ტყაოსანს) უკავშირებდნენ „საღვთო წერილის“ ენის სათავეებს. „საშვალო“ და „დაბალი“ ენა კი მიაჩნდათ გადასამუშავებელ მასალად ლატერატურისათვის.

მოკლედ: მათი მიდგომა ლიტერატურის საკითხებისადმი ატარებდა უკიდურესი კონსერვატიზმის სახეს.

სხვაგვარად წყვეტდნენ ამავე საკითხებს საშუალონი, რომელნიც „დარბაისლურ“ ანუ „საშვალო“ ენას იცავდნენ და ეს უკანასკნელი მიაჩნდათ კაზმული მეტყველების საფუძვლად. ისინი უარყოფდნენ არა მარტო „ხალხურ“ (ალ. ორბელიანის გამოთქმით — „გლეხურ“) ენას, არამედ „ეკლესიურ“, უკიდურესად არქაულ ენასაც. საშუალონი მიჯნავდნენ „საერო“ და „ეკლესიურ მწერლობას“ ერთმანეთისაგან: რუსთაველის პოემა, მაგალითად, მიაჩნდათ „დარბაისლური ენის“ დოკუმენტად, ხოლო საეკლესიო ენა — მარტოოდენ ბიბლიური წიგნებისა და ჰაგიოგრაფების მეტყველებად.

უკიდურესთა წარმომადგენლები არიან: გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი, საშუალოთა — ალ. ორბელიანი, ალექსიევ-მესხიევი, ბარბარე ჯორჯაძე, გ. ბარათაშვილი და სხვ. დავიწყოთ ამათგან.

არქაისტებისა და თერგდალეულთა ბრძოლის წელს (1861) ალ. ორბელიანი სწერდა „ცისკარში“:

„ქართულის ენის თვისებას რომ ერთიც ზედ დაუმატოთ, სამათ გაიყოფა: საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე მდაბიურად ანუ დარბაისელთ უბნობად და მესამე გლეხ-კაცების ენად; ვნახოთ, გავარჩიოთ ესენი... ვიცით, მეტი

[1] იხ. ცისკარი, 1874. სექტ. ოქტ.

ქარგი ენა არის ქართული საღმთო წერილი, მაგრამ, რა შუაშია, აბა როგორ იქნება ამისი შემოღება? თუ შეიძლება და მართლა შემოიღებენ, საკვირველება იქნება... ჩვენი ერი საღმთო წერილის ენაში, მე ძნელად მეჩვენება!" [1].

ალ. ორბელიანს იქვე მოყავს დავითის ფსალმუნიდან ერთი ადგილი და სთარგმნის ჯერ „დარბაისლურ", შემდეგ კი „გლეხურ" ენაზე. ავტორი ცალ-ცალკე არჩევს მეტყველების ამ ნიმუშებს და ასკვნის:

„ჩვენ ქართველებს, თუმცა ამ სამში ერთი უნდა ამოგვერჩია ქართული სიტყვიერებიდგან: იმისთვის მიგვებაძა, იმ ენაზე დაგვეწყო ლაპარაკი და წერა, მაგრამ ეკკლესიურის წესისათვის ზეით ითქვა: ძნელი შემოსაღებია მეთქი, ახლა თუ მეორეს ჩემზედ მოაგდებთ და ამომარჩევინებთ, მე საშუალო ენას ამოვირჩევ, დარბაისელთ ენას, ამისათვის რომ უფროსი ერთი უწინდელი საერო წიგნები დარბაისელთ ენაზე უწერიათ და იმათის ენირვე ულაპარაკნიათ ვითარცა რუსუდანიანი, ეისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი. სხვანიდასხვანი და ბოლოს ვიტყვი „ვეფხვის ტყაოსანი" [2].

ადვილი შესამჩნევია, რომ ენის საკითხის გარშემო აზრთა ასეთი სხვადასხვაობა სტილის პრობლემებსაც შეიცავდა. ჩანს — შესაფერი დაჯგუფებანიც არსებულან და ამას თვითონ ალ. ორბელიანის სიტყვებიც ადასტურებენ:

„ვიცი, ამ საგანზე მაინც თავისი აზრი აქვთ ყველას, ერთნი ირჩევენ საეკკლესიო სიტყვებით წერას, მეორენი დარბაისელთა ენაზე და მესამენი უფრო დაშვებულს ენაზედ" [3].

ალექსანდრე ორბელიანის გარდა საშუალო ენის დამცველებად გამოდიან: გ. ბარათაშვილი, რომელიც 1861 წელს არჩევდა ილ. ჭავჭავაძის „არა დარბაისლურ" ლექსიკონს და ეპითეტებს [4]. ბარბარე ჯოყოჯაძე, რომელიც პირდაპირ აღნიშნავდა:

---

[1] „ქართული უბნობა ანუ წერა". იხ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან ორბელიანის ნაწერი, ტფ. 1879. გვ. 174-175 (ცისკარი, 1861, № 6).

[2] იქვე. გვ. 177-178. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ენობრივი კატეგორიების კლასიფიკაცია წოდებრივი თვალსაზრისით: „... ჩვენს საშვალს ქართულს ენას, როგორც გნებავთ ისე მიმოხრიით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ რბილად გაიგონებს ყური, მეტი საამო იყოს სმენისათვის, მაშინ, როდესაც გლეხკაცების ენაზედ ეს არ შეიძლება. მართალია, გლეხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი ვერ გამოვა რიგიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშვებული ენა არის გლეხების ლაპარაკი" (გვ. 179). ყველა ამ მოსაზრებებს ალ. ორბელიანი იმეორებს 1865 წელს იმავე ჟურნალის ფურცლებზე (ნ. „ზოგიერთი შემჩნევა". ნაწერი—გვ. გვ. 240, 248, 252.)

[3] იქვე, გვ. 183.

[4] იხ. წერილი რედაქტორთან შესახებ თ. ილ. ჭაეკ. კრიტიკისა (ცისკარი, 1861. მაისი გვ. 70—81.

„ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას. ის გვიწერს, რომ ვითომც ჩუენ ვახდენდეთ ენას, არამც თუ ვაკეთებდეთ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგონია, თითონ უფრო ახდენს“ [1].

ამასვე იმეორებს მწერალი ქალი თაეის „პასუხის-პასუხში“:

„ენას, ჩვენს მამაპაპათ, დარბაისლურს ენას არც ამაღლება, არც დამდაბლება ეჭირვება. ჩუენი ენა დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნევია ამ ენას თქუენებრ მწერალთ წყალობით, რომელსაცა დაფუძნება უნდა და მიმართულება“ [2].

მაგრამ არქაისტების ორივე ბანაკი ერთხმად უარყოფდა ილ. ჭავჭავაძის მიერ ჩახრუხაძის დეკანონიზაციას. გ. ბარათაშვილი ილიას ანტონ კათოლიკოსის აეტორიტეტული შეფასებით უპირისპირდება. იმავე დროს ერცლად არჩევს მის ლექსებს და ასკვნის (ბარბარე ჯორჯაძის შეხედულებანი ცნობილია და აქ ისინი არ მოგვყავს):

„უფ. ჭავჭავაძის ლექსები არიან უგარმონიო, უფერული, უნდილი და ისეთი მძიმე, რომ ეერა თაგვის მუცელი ვერ მოინელებდა“ [3].

ამ პოლემიკაში უკიდურესთა წერილების რიცხვი საკმაოდ მცირეა და ითითქმის მარტოოდენ პლ. იოსელიანისა და გრ. ორბელიანის შენიშვნებით ამოიწურება. მათი ავტორები მოწინააღმდეგეთა მიერ ჩარიცხულ იქნენ საერთოდ „ძველი თაობის“ რიგებში. ნამდვილად კი ამ ავტორებს განსხვავებული პოზიცია ეჭირათ და ხშირად საშუალონიც კი ალმაცერად უცქეროდნენ უკიდურეს კონსერვატიზმს ენისა და ფორმების საკითხში [4].

/ 6

1869 წელს პლ. იოსელიანი სწერდა:

„ქართველთა მწერლობა ძუელი, წინათ ქრისტესსა წყობილი და ქრისტიანობისა. შემდგომად განვრცელებული, არ არის დასაკარგავი. ენა ქართველთა, ეკლე-

[1] იხ. ილ. ჭავჭავაძის კრიტიკაზე (იქვე. გვ. 34).

[2] ცისკარი, 1861, სექტ. გვ. 98.

[3] იხ. ცისკარი, 1861, ივნისი, გვ. 155-156.

[4] პლ. იოსელიანის გრამატიკული წესების არქაიზმს, რომელიც ანტონ კათოლიკოზისა და რუსული გრამატიკოსების (ვოსტოკოვის და სხვათა) სისტემათა კონგლომერატს შეიცავდა, მაინცადამაინც არ იზიარებდნენ ს ა შ უ ა ლ ო ნ ი. ადვილი მისახვედრია, თუ ვის გულისხმობს პლ. ორბელიანი, როცა სწერს: „როგორც არის ჩუენი ქართულის ენის თვისება, ისეც დაიწერა სამრიგად: საეკლესიო, დარბაისლური და გლეხური; ეს არის მარტივი დამტკიცება და არა ისეთი გარჩევა, რომ ქართულს ენას უპირებენ გაარ... მითამ გაარკვიონ, მაგრამ კი გადანათლონ, არამც მონათლონ, რომელიცა არც ღვთისათვის კარგი იყოს და არც ჩვენი კაცისათვის“ (ნაწერი, გვ. 249. ნაწილაკი „გაარ...“ აქ ნიშნავს სიტყვას: „გაარუსონ“ და ნაგულისხმევია პლ. იოსელიანის გრამატიკა). ორთოგრაფიის მხრივაც მათ ნაწერებს ეტყობა მეტი გამარტივება (ს ა შ უ ა ლ ო თ ა პ ო ე ტ ი კ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ა ა გ რ ე თ ვე—ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, მაგრამ ეს საკითხი ცალკე წერილის თემას წარმოადგენს).

სიისათვის ჭრისტესა შემზადებული უმეტეს და უკეთესად რომაელთა ჯნუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვისა. ენამან ამან დაბადა ენა, რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა და ქართველთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა. ვითარცა მცოდნე ვიტყვი გაბედვით, ლათინთა ენისა, ბერძულისა და რუსულისა, ვითარცა მთავართა ენათა, ერთთა დიდთა ეკკლესიათათვის შემზადებულთა, რომელ ენა ქართველთა მრავალით უმცირესი ბერძულისა, არის მრავლით უმაღლესი ორთა სხვათა, მხოლოდ ეკკლესიურისა მწერლობისა გამო, სხვანი საერონი მწერლობისა წიგნნი, იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილითა ენითა[1].

პლ. იოსელიანი აქ პირდაპირ იცავს მწიგნობრულ, უაღრესად არქაულ („საეკლესიო") ენის დამკვიდრების აზრს. აშკარად ჩანს რადიკალური განსხვავება საშუალოთა (ალ. ორბელიანის და სხვ.) და უკიდურესთა მოსაზრებებს შორის. პლ. იოსელიანის აზრით, ნაწილობრივი დეკადანსი აჩნია „საერო" მწერლობის წიგნებს", საშუალოთა ტერმინოლოგიით — „დარბაისლური ენის" დოკუმენტებს („საერონი მწერლობისა წიგნნი იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილი ენითა"); თვით რუსთაველს, შავთელს და ჩახრუხაძეს პლ. იოსელიანი უკავშირებს „საეკლესიო ენის" სათავეებს მაშინ, როცა ალ. ორბელიანი მათ შორის გარკვეულ ზღვარს ხედავს.

ქართული ბიბლიის ენის პანეგირიკი, რომელიც იმავე დროს მწიგნობრული ენის ხოტბას აღნიშნავს, უფრო მკაფიოდ გამოთქმული აქვს პლ. იოსელიანს ერთს თავის რუსულს ბროშურაში შემდეგი სიტყვებით:

„Ни славянский перевод, ни латинский Вулгата, ни немецкий Лютера, ни французский De-Saci, ни италиянский Jiovani Диодати псалмов, не могут оспаривать права превосходства и изящества у перевода грузинского. Это я говорю насчет тех мест, которые остались неизменными при издании псалмов в Москве 1743 году. Это торжество языка, торжество духа пиитическаго, отражзющагося на словах, столь ясных, величественных, вполне воплощающих великия мысли величайшаго поэта. Искатели поэзии грузинскаго слова, как в псалмах, так вообще в церковных книгах, найдут лучшие и богатые образцы выражений поэтических. В них целое море красот слова, и не устаревшаго, как думают некоторые, а языка установившагося окончательно, современного, и пока еще неисчезшаго, в устах народа, конечно, книжнаго lettré, как выражаются французские писатели.

[1] „სიტყუა, საყოველთაოდ საუწყებელი წიგნთა ქართულად ბეჭდისა გამო" (იხ. ცისკარი 1869, მარტი. გვ. 1-2. ძველი წიგნების გამოცემა პლ. იოსელიანს მიანდო გრ. ორბელიანმა. იხ. ჟ. „მნათობი", ტფ. 1869, ნოემბ.-დეკ. გვ. 214).

Язык массы, всегда и у всех народов, были и будет не литературным[1].

აქაც ჩანს ფარული ნიშნება მესამოცე წლების იმ მწერლებზე, რომელნიც უარყოფდნენ „მწიგნობრულ lettrè"-ს. ან შესაძლოა ავტორს საშუალონი ჰყავდეს ნაგულისხმევი („როგორც ზოგიერთები ფიქრობენ!!"); ესენი ხომ ეჭვის თვალით უყურებდნენ „საეკკლესიო წიგნებზე" დამყარების შესაძლებლობას; რაც შეეხება „მასების ენის" უარყოფას, ამ საკითხში უკიდურესნი და საშუალონი ერთს თვალსაზრისს იცავენ („მასების ენა იყო და იქნება არა-ლიტერატურული". შედრ. ალ. ორბელიანის მიერ „მოშვებული" ენის უარყოფა).

უკიდურესთა ეს შეხედულება, რომელიც პლ. იოსელიანის ზემოთ მოყვანილ ამონაწერებშია გამოთქმული, როდი წარმოადგენდა ვიწრო ფილოლოგიურ პრობლემას. ეს იყო გარკვეული პოეტიკა, რომელიც დაუპირისპირდა თერგდალეულთა მხატვრულ კოდექსებს. პლ. იოსელიანის სხვა შენიშვნები უშუალოდ ჟანრისა და სტილის საკითხებს ეხებიან.

უკიდურესნი სამოციანი წლების შემდეგ მხატვრული პრაქტიკითაც უპირდაპირდებოდნენ რადიკალური მწერლობის წარმომადგენელთ. 1871 წელს გრ. ორბელიანი აქვეყნებს პოემა „სადღეგრძელო"-ს (ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ არის დაწერილი ცნობილი „პასუხი"); პოემა ყურადღებას იქცევს, როგორც არქაისტული პოეტიკის ნიმუში. იმავე წელს პლ. იოსელიანი გაზ. „კავკაზ"-ში ათავსებს შენდეგს რეცენზიას ამ ნაწარმოებზე:

„Библиографическая заметка. На днях вышла из печати на грузинском языке брошюра под заглавием: „Заздравный тост" „სადღეგრძელო", сочинение князя Григория Димитриевича Орбелиани. Эта поэма в стихах—есть подражание поэмы, известной на русском языке „Песнь в стане русских воинов", Жуковскаго. Автор грузинской поэмы, как поэт, известен в грузинской словесности. Предмет поэмы—военные подвиги царей грузинских и героев в борьбе с врагами их веры и отчизны.

Такое явление литературное—воскресило славу литературы грузинской. Оно резко отделило эпоху падения от эпохи высоты ея стояния. Оно доказало возможность писать языком писателей. Оно дало ключ открывать сокровищницу и находить слова не в смеси наречий грузинскаго народа и не в них порче от наплыва от ломков народных, представляющих от себя сеннаарское смешение языков в обиталище его. Замечательна самостоятельность языка или словесности его, как в алфавите его, из всех алфавитов языков древних и но-

[1] Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, ტფ. 1871. გვ. 53-54.

зык самом полнейшем на изумление лингвистов европейских, так и в самом употреблении слов и способе воплощения мысли по образцам, данным народу от начала появления письменности за 3 века до Р. Х. Болезненно, печально видеть оспаривание права гражданства у языка, не начинающагося, не зарождающагося, но существующаго в его высоком, научном, прекрасном развитии. Язык массы или народный — не есть язык литературы. От массы заимствуется только лучшее. Так пчела собирает цветы не от всех трав, но от самых годных для сотов меду.

Слова есть символы мыслей: оне воплощают мысль. Как же совершается это, так сказать, оформление мыслей? Здравым суждением или здравым смыслом (логика); правильным произношением или установкою слов в устах и на буиаге (грамматика); красивым, плавным, мерным, текущим, гармоническим изложением (риторика). Так, по требованию новейших писателей и самаго орла красноречия Цицерона: Verborum apta et quasi rotunda constructio. Так, и по указанию великаго законодателя вкуса литературнаго Лонгина: „В трактате о высоком" (Περι υποσ) выражаясь возбуждать удивление и потрясать сердца: Μετελευθεριασ και παθυοσ.

Таковы мои невольныя впечатления от чтения появившейся брошюры. Отраден язык грузинский в следующей строфе поэта:

ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჭსჩანს ველსა ზედა ჭშთომილი,
რომლისა კუამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მკრალი,
ეგრეთ იქნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განელო, და არ აღბეჭდა ნავალი.

Попытаюсь передать на русский язык прозою смысл строфы поэтической, рифмованной:

Как виден огонь одинокий, еще на поле не потухший,
И дым его дуновением ветра в воздухе исчезающий;
Так пропадает с лица земли имя того,
Кто на поприще жизни не оставил следа печати стопов своих.

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩუენოს, სადა ჭსცხოვრებდენ ძუელ-გმირნი.
დრომან შემუსრა, აღჭგავა მიწით მათნიცა საფლავნი,
მაგრამ ცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!

Кто скажет нам, кто нам покажет, где жили древние исполины?
Время сокрушило, подняло с лица земли могилы их;
Но живы еще поля их славы, их имя, их меч, их славныя дела.

აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც იყუნენ,
ძმანი და ტოლნი ვაჟკაცნი, რომელნი ხილვით გუალხენდნენ?
განგუშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყუარდნენ,
თუალთ მიგუეფარნენ... წარვიდნენ... ძუელთაგან დავჰმთით მე და შენ!

Где теперь они, свидетели времен пира,
Братья, сверстники-бойцы, которых взор нас веселил?
Удалились от нас знакомые сердцам; любимые сердцами
Скрылись от глаз... ушли... От старых остались—я и ты!

Понимание достоинства стихов как распеваемаго, певучаго слова (La parole chanté) дополняется общим, внутренним, человеку прирожденным чувством. Око понимается тем языком души человеческой, который определяет и разумеет Данте в своем научном стихе:

„Il parlar, che nell' anima si sente".
„ენითა მით, რომლითა სული საუბრობს".

Я коснулся анализа стихов поэмы с целью дать некоторое понятие о их достоинстве. Будет ли разбор этот краткий тем дуновением ветерка, который касаясь листьев розы, разносит запах от нея? Такова нежная, милая фраза (Molle dicendi genus.—Ovidius) полустишия строфы поэта (стр. 15).

მიხედეთ ვარდსა,—მაშინ ჰფენს უმეტეს სურნელებათა,
ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისსა რტოებთა.

Взгляните на розу: тогда она благовония обилием разнесется,
Когда воздуха дуновение прутьев ея коснется.

П. Иосселиани [1].

პლატონ იოსელიანი ამ საინტერესო „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაშიც" ასაბუთებს მწიგნობრული ენის დაკანონების აზრს, იმ ენის, რომლის „მოქალაქეობრივი უფლებების ცილობის" საგნად გადაქცევა მას „ავადმყოფურ" მოვლენად მიაჩნია. განმეორებით აცხადებს, რომ „მასების თუ ხალხის ენა—არ არის ენა ლიტერატურის". ბიბლიოგრაფიის აღფრთოვანებული ტონი გამოწვეულია იმით, რომ გრ. ორბელიანის პოემას „დაუმტკიცებია შესაძლებლობა მწერლების ენით წერისა" — ერთის მხრით და რიტორიული ოდის ყველა წესის გამოყენება—მეორეს მხრით.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანი პოულობს თავისი ესთეტიკური კოდექსის კონკრეტულ გამართლებას გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. ამ ორი არჩაისტის პირადი ურთიერთობა ზემოდაც გვქონდა აღნიშნული. ცხადი ხდება მათი ლიტერატურული გზების ერთიანობაც: არჩაისტების ბანაკში ისინი განცალკევებით იდგნენ და, როგორც ირკვევა, გრ. ორბელიანის პოლემიკას „შვილთა" წინააღმდეგ მთავარ ტონს აძლევდნენ პლ. იოსელიანის თეორიული მოსაზრებანი.

[1] იხ. Кавказ, 1871, № 22.

1874 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა „ძველი სემინარისტის“ (გრ. ორბელიანის) „პასუხი უღირსთა შვილებთა“[1]. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ გრ. ორბელიანი ქართულ პატრიოტიზმად სთვლიდა თავის მოღვაწეობას დაღისტანში. „პასუხში“ ასეთი ადგილი გვხვდება:

მამანი თქუენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყუნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!.. (გვ. 2).

იმ ბრძოლაში, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა დაღისტნის წინააღმდეგ, დამპყრობთა შორის გრ. ორბელიანი ერთი პირველთაგანი იყო. თავის ამგვარ ნაბიჯებს ის „ლეკებზე შურისძიების“ მოტივით ამართლებდა. ასეთსავე შეხედულებას იცავდა პლ. იოსელიანიც. „შვილებმა“ კი არ ჩაუთვალეს ეს ღვაწლი „მამებს“ დიდ დამსახურებად. მაგრამ ბრძოლის ნამდვილი მიზეზი ამაში როდი მდგომარეობდა. „ძველი სემინარისტი“ აცხადებდა:

აღჩდენ მწერლები,
ჟურნალისტები[2],
ვაი საბრალოს... ვაი ჩუენს ენას
მათ უსწავლელთა,
ცრუ-რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი!..
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში“ (გვ. 4).

„ჟურნალისტების“ მიერ „მდიდარი“ (ე. ი. ტრადიციის მქონე) და „მაღალი“ ენის „წახდენა“ წარმოადგენდა ბრძოლის მთავარ მიზეზს. ისინი ვერ ითმენდნენ, რომ ქართულ ლიტერატურას „დაეხელმწიფნენ ცრუ-პოეტები“ (გვ. 8).

[1] ცისკარი, 1874, იელისი და აგვისტო. გვ. 1—8.

[2] სამოცდაათიან წლებში ქართულ პრესაში გაბზარდა კამათი „ჟურნალის დანიშნულებაზე“. გრ. ორბელიანს, როგორც ქართული ლიტერატურის დიდი ტრადიციის გამგრძელებელს, არ შეეძლო მწერლობის ცენტრში დაეყენებია შედარებით „დაბალი“ საქმიანობა—„ჟურნალისტობა“. ამრიგად, აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ლექსის ტაეპი კონკრეტული შინაარსით ივსება.

იმავე წლის „ცისკრის“ შემდეგ ნომერში „ძველი სემინარისტი“ (გრ. ორბელიანი) არჩევს გ. წ-ს (გ. წერეთლის) „კიკოლიკს“ [1]. ავტორი აღნიშნავს: „მე არ შევეხები ავტორის იდეასა, არცა მის მიშართვასა! მე ვეძიებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა“—და განაგრძობს (თითქოს პლ. იოსელიანი უკარნახებდა ავტორს ამ სტრიქონებს):

„ახლანდელთა მწერალთა მიეწერებათ მართლად დიდი ქება მისთვის, რომ ესრეთის მეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსახურებით, შეუდგნენ იგინი გულმხურვალედ აღდგენასა ჩუენისა დავრდომილისა ენისა, და არა არიან უგენი ბრალეულ, თუ ზოგიერთის წერასში მოსჩანს მრავალი შეცდომილება, როგორც პირისპირ ერისა თვისებისა, ეგრეცა მართლწერისა. მათ არა ჰქონიათ შემთხუევა ღრმად შესწავებისათვის ქართულის ენისა, და ამა მიზეზითაე არ არიან ჩუეულნიცა საღმრთოს წერილისა, რომელიცა არის, მართლად, გამოულეველი საუნჯე ჩუენისა ენისა, და რომელშიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად მშუენიერის ფორმითა“ (გვ. 192-193).

გრ. ორბელიანი უფრო გვიან (1874 წელს) იმეორებს იმ შეხედულებას, რომელიც პლ. იოსელიანს ადრე აქვს გამოთქმული „ცისკარში“, თავის რუსულ ბროშურასა და „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში“ (1869—1871 წ. წ.). აქ მოყვანილი ამონაწერის ენაც ამხელს პლ. იოსელიანის გრამატიკული წესების გავლენას. „ძველი სემინარისტი“ პირდაპირ ასახელებს თავის მეტრს:

„მეტადრე მაწუხებს ის ჰაზრი, რომ, ვაი თუ, არ მოეწონოთ ჩუენთა ქალებთა, რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა არიან უკეთესნი ენისა დამფასებელნი. ისინი აქა ვერა ჰპოებენ ვერცა პოეტიკურად აღწერილსა ვარდის სუნნელსა, ვერცა მარგარიტ-ცრემლსა დატანჯულისა სიყუარულისაგან და ვერცა სიცილსა მახეილ-გონიერის მოთხრობისაგან. რა ვქნა, არცა მე მაქვს ამაში ბრალი. ეს გახლავთ მხოლოდ ერთი ნამცეცა ნაწილი პლატონის ღრამატიკისა, და კარგად მოგეხსენებათ, რომ ფილოსოფოსის ლაპარაკი მოითხოვს წარბ-შეუმუხვნით მოთმინებასა. პლატონი არის დამნაშავე თქუენს წინაშე და არა მე, მარადის თქუენი, ერთგული, მშუენიერნო, თქუენგან და თქუენ-თვის დამწვარი! პლატონს რომ არ დაეწერა ღრამმატიკა, არც ეს ჩემი სტატია დაიბადებოდა თქუენს შესაწუხებლად! (გვ. 194-195).

გრ. ორბელიანის ეს სიტყვები ირონიულ ელფერს არ ატარებენ, მათ მხოლოდ ჰუმორი გასდევთ. გრ. ორბელიანი ქართველ ქალებს მართლაც სთვლიდა „ენის სიწმინდის“ დამცველებად და შემნახველებად (იხ. იქვე, გვ. 28). მწერლის პირადი ბარათებიც ამასვე გადმოგვცემენ. რაც შეეხება ეპითეტს: „ფილოსოფოსი“, რომელსაც

[1] იხ. „მგზავრობა სვანეთისაკენ. გ. წ. განხილვა“, ცისკარი, 1874, სექტემბ.-ოქტომბ. (ყველგან ნაჩვენები გვაქვს ჟურნალის გვერდები).

გრიგოლ ორბელიანი ხმარობს პლ. იოსელიანის შესახებ, მოკლებულია იმ პაროდიულ შეფერვას, რომლითაც მას „შვილები“ ხმარობდნენ. ეს ზედმეტი სახელი სხვადასხვანაირად ისმოდა მაშინდელი არქაისტისა და თერგდალეულის სმენაში (მაგ. ერთ-ერთი მწიგნობარი პლ. იოსელიანს პირდაპირ „ფილოსოფოსის“ სახელწოდებით მიმართავს. წ.-რ. კ. ს. ხელნაწ. № 3055).

ამის შემდეგ გასაგებია თითქმის უშუალო განმეორებანი პლ. იოსელიანის შეხედულებათა:

ა. ქართული ალფაბეტისა და ორთოგრაფიის შესახებ გრ. ორბელიანი სწერს:

„იშვიადსა ენასა აქუს ისეთი სრული-ანაბანა, როგორცა ქართულსა“ (გვ. 195. შდრ. პლ. იოსელიანის შეხედულება ამავე საკითხზე, რომელიც მას „ბიბლ. შენიშვნაში“ აქვს გამოთქმული).

ბ. უკიდურესი ენობრივი კონსერვატიზმის დაცვა, მწიგნობრული („საეკლესიო“) ენის უპირატესობის აღიარება „საერო“ მწერლობაზე და რუსთველის დაკავშირება პირველის ტრადიციებთან:

„ჩუენ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუცა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით, უარ-ეყოთ, გადავაგდოთ და შევჰსცუალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა დაჰსდუეს ჩუენისა ენისა-თვის დიდად მეცნიერთა ღრამატიკოსთა, თვით ენის თვისებისავე გამოკულევითა; რომელთაგან საბერძნეთიდამ ძუელად გადმოტანილი ჰსწავლა და ხელოვნება ჩუენსა მხარესში ღრმად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოსზე, რომელთაცა სირიის და ბერძულის ენით გადმოიღეს ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშუენიერ-სიტყუაობითა და ძლიერებითა; და რომელთაგან დაწესებულნი კანონნი ვერა შეჰსცუალეს ვერცა შავთელმა, ვერცა ჩახრუხაძემ და ვერც თვით რუსთაველმა? ანტონ კათოლიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართულისა ენისა. არათუ დააკლო, არამედ მიუმატა ასო ფ. ჳ-ჰ, ნუთუ მართლად, ჩუენ უნდა დავივიწყოთ იგინი, რომელთა სახელნი გვიბრწყინუენ ჩუენს ისტორიასა ესოდენთა საუკუნეთა განმავლობასში და შეუდგეთ გ.-წ-ის კუალსა და მის მიმდევართა, რომელნიცა ესრეთ უწყალოდ ჰრყუნიან ჩუენსა მართლ-წერასა? ჯერ აღვიდეთ იმ სიმაღლესზედ, რომელზედაც იდგნენ ძუელნი მსწავლულნი ქართულის ენის ცოდნაში, შეუთანსწორდეთ მათ, და მერე... იყავნ ნება შენი“ (გვ. 11-12).

„ახალი სტილი ვერ შესცულის ენის ბუნებითსა თვისებასა. მართალია, დროთა განმავლობასში ზოგიერთი სიტყუა, უვარგისობისა გამო ძუელდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის მოგონებული/ ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცუალა მისი!..“ (გვ. 23).

„ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზე ვჰსწერთო“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწეროს? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი; ვიდრე დაუხელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰს-

წმენდს, არ გაამშუენიერებს და დიდებულებითა აღიყუანს სალიტერატუროს სამფლობელოსში;... არხიტექტორი თავის ხელოვნებით თუ არ შეეწია შენობასა, ტალახი დაჰშთება ისევ ტალახად. მწერლობაშიაცა ჰსწორედ ასე არი" (გვ. 24). (შდრ. პლ. იოსელიანის მიერ „ბიბ. შენ-ში" მოყვანილი ფუტკრისა და ყვავილის მაგალითი, მისი აზრი სალიტერატურო ენისა და „ხალხურ" მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებაზე და სხვ. იხ. აგრეთვე გვ. გვ. 23, 25, 31—32, 26).

ხშირად „ძუელი სემინარისტის" დაკვირვება ქართული ენის გრამატიკულ ბუნებაზე იმეორებს პლ. იოსელიანის აზრს.

პლ. იოსელიანი:

„Язык (იგულისხმება — ქართული ენა, ა. გ.) богат созвучным окончанием рифм, и он легко находит чрезвычайное обилие даже в целых словах по оборотам грамматическим, другое значение в себе заключающих. Язык по гибкости своей может переводить почти все слова из одной области части речи в другую. Почти все наречия, предлоги могут обращаться в существительные имена и глаголы, напр.: ოდეს, ოდესობა когда? სადა, სადაობა где? (Ubi, ubitas). И этим совсем не делается насилия языку, особенно в стихах" [1].

გრ. ორბელიანი:

„ქართულსა ენასა აქვს ერთი დიდად მოსაწონი თვისება, რომლისა მსგავსი იშვიათად იპოება სხუათა ენათა შორის, თვისება ესე არის შემოკლება სიტყვასა ნათესაობითსა და მიცემითსა ბრუნვაში, მოსპობითა უკანასკნელის მარცვლისა, მაგ. „არსებისა, არსებასა", ითქმის: „არსების, არსებას". თანდებულნი, ზედა, შინა, შემოკლდებიან და გამოითქმიან: ზე, ში, მაგალ.: „ქუეყანასა ზედა, სახლსა შინა"; ვიტყვით: „ქუეყანაზე, სახლში"; ამის გარდა, აქ მოდი, ვამბობთ: „აქმო"; „შენი არის, შენია" და სხუანი! ესრეთი თვისება ენისა, რომელიცა სიტყვის შემოკლებითა — რასაკვირველია კანონიერად — არ შეჰსცვლის სიტყვის მნიშვნელობასა, აძლევს დიდსა სიადვილესა, მეტადრე ლექსის წერასში" (გვ. 15—16, ბოლო კურსივი ჩვენია, ა. გ.).

აზრების ასეთი იდენტური შეხვედრა და თვითონ გრ. ორბელიანის მითითება თავის ავტორიტეტზე, გარკვევით ლაპარაკობს პლ. იოსელიანის ადგილის შესახებ „მამებისა" და „შვილების" ბრძოლაში. „ძველი თაობის" იმ ბანაკს, რომელსაც ჩვენ უკიდურესნი ვუწოდეთ, ჰყავდა ორი წარმომადგენელი: გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი. ისინი ურთიერთის პოზიციას ამაგრებენ და განცალკეებულ ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენენ არქაისტებს შორის [2].

---

[1] Путевыя записки от Тифлиса до Мцхеты, 1871, გვ. 47—48. ხაზგასმა ჩვენ გვეკუთვნის.

[2] 1873 წელს გაზ. „დროებაში" ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) ათავსებს პაროდიულ ფელეტონს „ჯანდაბა"-ს სახელწოდებით, რომელიც ნათლად გადმოგვცემს ამ ორი არქაისტის ლიტერატურულ განმარტოებას. ფელეტონში აღწე-

პლ. იოსელიანის წერილი „შოთა რუსთაველი“ (იხ. Кавказ, 1870, № 13, — ადგილები გაზეთებიდან მოგვყავს) — საყურადღებო დოკუმენტია: ანტონ კათოლიკოსის სქოლასტიკური აზროვნების აპოლოგეტი მაინც ითვალისწინებს უდიდესი პოეტის ღირსებებს. მეტიც: ასეთი აღფრთოვანებით მას არ უწერია არც ერთს ჰაგიოგ-

---

რილია „წლიური სხდომა ქართულის მწერლობის მოყვარულთა“, რომელზედაც დამახასიათებელი სიტყვებით (ლექსებისა და რეპლიკების ფრჩმებში) მონაწილეობენ: გრ. ორბელიანი („მოხუცი თავმჯდომარე“), პლ. იოსელიანი („პლატონ ფილოსოფოსი“), ილ. ჭავჭავაძე, ანტონ ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი, დ. ერისთავი (გლუხარიჩი II) და სხვები. პლ. იოსელიანისა და გრ. ორბელიანის ურთიერთობის დასახასიათებლად საინტერესოა ამ ფელეტონის შესავალი:

„სცენა წარმოადგენს ბნელ დარბაზს. შუაგულ, ამაღლებულ ადგილზე, წითელი და მოოქრული მაუდით შემკული ტახტზე ზის მოხუცი თავმჯდომარე. ირგვლივ სამფეხებზე სხედნან მწერლები და ვითომ-მწერლები, ზოგი ჩანგით, ზოგი ისრით, ზოგი კალმით დაიარაღებული. გარშემო ორიოდე მკითხველი დგას. გარედამ ისმის გამწარებული წვიმისა და ქარიშხლის ხმა.

პირველი გამოსვლა.

თავმჯდომარე.

აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა სჯაში ვინც იყუნენ,
ძმანი და ტოლნი მწერალნი, რომელნი ცქერით გუალხენდნენ?
გვიან მოდიან ნაცნობნი. ვინცა ადრევე გვიწუეენდნენ...
(მიუბრუნდება პლატონ ფილოსოფოსს):
კვლავ მიგუეძინის; წარვიდეთ, ხომ ხედავ დავშთით მე და შენ...

პლატონ ფილოსოფოსი

ჟამნი მრავალნი უხილუელ გარბიან ვითა machina.
Tempora ჩუენი მიიღტვის, გუელის აღაპი ჩუენ შინა.
წარვიდეთ, ვითა გამოთქვა ძუელთაგან ძუელმა ჰომერმა,
Ελικοπίδεσ γυναίκεσ არ წარიტაცოს იმერმა! *

* სიტყვანი ესე: „ელიკოპიდეს გინაიკეს“, მოყვანილნი თხუზულებასა შინა ჰომერისა, „ილიადად“ წოდებულსა, ქართულსა ენასა ზედა ძნელად ითარგმანებიან. გარნა მოასწავებენ ქალსა, რომელსა აქუს თვალნი მოძრავნი, მრბიელნი, აღვსებულნი სიტკბოებითა, ეშხითა და ნარნარითა მზაკვარებითა. ესე ყოველივე გამოითქმის ორითა მით ელლინურითა სიტყვითა. ხოლო რასა მოასწავებს ხსენება „იმერისა“—არა ძალმიძს გამოთქმად, ვინაიდგან თხზულებათა შინა ჰეზიოდისა, პლატისა და ტიტუს ლივიისასა ერთგზისაც არა ხმარებულ არს სიტყვა ეგე (შენიშვნა თვით პლატონ ფილოსოფოსისა)“.

სხვა მწერლების კამათის ფონზე გრ. ორბელიანისა და პლ. იოსელიანის დიალოგი ყურადღებას იქცევს არქაული სტილისა და ორთოგრაფიის მბრით. „თავ-

რაფზე. როგორ შეათავსებდა პლ. იოსელიანი ბიბლიის ქართული თარგმანის ხოტბას შედარებით „დაბალი“ მეტყველების ასეთ აპოლოგიასთან?

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული — პლ. იოსელიანი იცავდა რუსთველის დაკავშირებას ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან. თავის ეტიუდში რუსთველის შესახებ ის სწერს:

„XIV. Откуда возникло это светило первой величины в грузинской литературе? Руставели не мог быть Минервой, родившеюся из головы Юпитера, как символ ума Божия. Без сомнения, он имел предшественников и образцы, стал на почве литературы, имевшейся в переводах сирийского и халдейского пророков. В X веке мы уже видим стихи величайшаго поэта Давида в его псалмах и новый завет, донынѣ неизменный в оборотах и идиоме языка греческаго“...

ამის შემდეგ სავსებით გასაგებია მისი წერილის პანეგირიკული ტონი:

„VIII. В стихах его образцовых, доныне неподражаемых, является эпопея рыцарства востока, война и любовь. Прелести его рассказа трогательнее пастушеских рассказов Теокрита. В нем больше элегии и нежностей, чем в Тибуле. Рассказы приключений выше и интереснее, чем Амадиса.

XI. Европа, уже христианская, справедливо гордится именами трех поэтов эпических, которые в средние века были тем же, чем Гомер для греческого Олимпа. Это Данте, Тассо и Мильтон, но они были подражателями друг-друга: один у другого предшественника занимал способ изложения. Руставели раньше их запел свою песнь и был ея творцом, прославил язык и обесмертил его для потомства.

Не боюсь осуждения, если со всею смелостью скажу, что язык Руставели выше, чем язык Данте, Тассо и Мильтона. Течение слов и мыслей в парении поэта не видит препятствия ни в рифмах, ни в предметах рассказа, ни в эпизодах. Поэт одинаково и равно парит. Гораций сказал о Гомере quandoguidem et divus Homerus dormiat (иногда и божественный Гомер спит). О Руставели сказать этого нельзя“...

„XVII. Итак с л о в о под пером и кистью Руставели сделалось сильным и могучим. Могущество этого слова произвело то, что имя Руставели в грузинской литературе есть не имя поэта, а имя поэзии“.

მჯდომარის სიტყვებში ნაუულისხმევია სწორედ ის ადგილი „სადღეგრძელოდან“, რომელსაც პლ. იოსელიანმა აღფრთოვანებული ქება უძღვნა. პლ. იოსელიანის სიტყვებში კი ხაზგასმულია „მაღალფარდოვანება“ ლათინური და ბერძნული ფრაზეოლოგიით. ეს დიალოგი მესამოცე წლების მოღვაწეთა (ილ. ჭავჭავაძის, უმიკაშვილის, ნ. ავალიშვილის და სხვ.) სიტყვებს შორის. პაროდიულ ელფერს ატარებს. ხაზგასასმელია აგრეთვე „თავმჯდომარის“ ის სიტყვები, რომლითაც „პლატონ ფილოსოფოსს“ მიმართავს:

...წ ა რ ვ ი დ ე თ, ხ ო მ ხ ე დ ა ვ შ თ ი თ მ ე და შ ე ნ!..

მარტოდ „დაშთენილნი“ მართლაც უნდა წასულიყვნენ ლიტერატურის სცენიდან.

პოეზიას პლ. იოსელიანი აცხადებს საზოგადოებრივი შემოქმედების ყველა ფორმაზე (მეცნიერება, პოლიტიკა და სხვა) მაღლა მდგომ მოვლენად. სიტყვის კულტი აშკარად და მკაფიოდ აქვს აღიარებული:

„XV... Слово только, как мысль души воплощенная, есть машина истины—полна света, религии, нравственности, прекраснаго и всего лучшаго. Словом, как выражением души, только и измеряется и определяется степень развития гражданственности"... (ხაზგასმა ავტორისაა).

აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი აქაც ხვდებიან ერთმანეთს. „ძველი სემინარისტი" სწერს:

„სიტყუა გამომთქმელი ჴეშმარიტებისა, არის უკუდავი და მოქმედი მარადჟამს... დაირღუნენ ეგვიპტისა პირამიდები. ბაბილონი შთანთქა მიწამ. მაგრამ სიტყუა, თქმული მოსესაგან ჯერთაცა არს ეოცხალ და ჰმფლობელობს ქუეყანასზე, ვითარცა ჰსჯული. სიტყუამ დააყენა კაცი მას დიდებისა მაღალსა ბარისხსზედ" [1].

სიტყვის კულტმა პლ. იოსელიანი პირდაპირ მიიყვანა სიტყვაკაზმული მწერლობის პრაქტიკასთან.

9

1872 წელს, „ცისკარში" (მაისი, გვ. 273—274) დაიბეჭდა პლ. იოსელიანის თარგმანი: „ბრძოლა გერძენთა პირისპირ ოსმალთა (1826 წელსა), თქმული ლამარტინისგან. ნათარგმნი პროზად".

ეს თარგმანი წარმოადგენს პლ. იოსელიანის გრამატიკული ნორმებისა და პოეტიკის გამართლების ცდას. იმდენად დამძიმებულია ის

[1] იხ. ცისკარი, 1874. სექტ.—ოქტ. გვ. 15. საერთოდ: ორივენი დიდად აფასებდნენ რუსთველს. აღსანიშნავია ისიც, რომ პლ. იოსელიანმა ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ მიუთითა პოემის მოსალოდნელ საფრთხეზე: „დრო, უეჭველია, გაწმენდს ამ ნარევს და აღადგენს ძველ ტექსტს. ამით გამოსწორდება შეცდომა პოემისა და პოეტის გამომცემელთა და შემსწორებელთა. მაგრამ ჩვენ არ ვუსურვებთ რუსთველს იმ ხვედრს, რომელიც წილად ერგო ჰომერის სიმღერებს ათინაში ლიტერატურული გემოვნების დაცემის ხანს. ათინაში გემოვნების დაჭვეითებისას გამოჩნდა ილიადა და ოდისეას ორი ტექსტი. დედნის შემსწორებელი იმავე დროს იყო წიგნის გამყიდველიც. პოეტი ილიარხი შედის წიგნის გამყიდველთან და ეკითხება: არის თუ არა ჰომერის თხზულება? წიგნის გამყიდველის შეკითხვაზე: რომელი ტექსტი გნებავთ? ილიარხი (ასე იწოდება ქართულ წიგნებში და არა პლუტარხში) მიუგებს: „ნუ თუ მაიპოვება სხვა ტექსტი ჰომერისა?"—„არის, ნამდვილ დედნად მიჩნეული და ჩემგან შესწორებული". „ამ შრომისათვის მიიღეთ თუ არა რაიმე ჯილდო ათინელებისაგან?"—ეკითხება ილიარხი. „არავითარი",—მიუგებს წიგნის გამყიდველი. ახალგაზრდა პოეტი გააწნაეს მას სილას და ეუბნება: „აი თქვენი ჯილდოც!" (Кавказ, 1870, № 13).

ძველი ორთოგრაფიითა და გართულებული სინტაქსით, რომ აქ მისი მოყვანა თითქმის შეუძლებელია. მთარგმნელისთვის უყურადღებოდ ჩაუვლია მის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებს: სამწერლო სარბიელზე პრაქტიკული მუშაობისადმი ფარულმა მიდრეკილებამ მაინც იჩინა თავი არქაული მეტყველების ფორმებში.

„ცისკრის“ რედაქტორმა, ივ. კერესელიძემ, პლ. იოსელიანის თარგმანის გვერდით დაბეჭდა მის მიერ „გალექსილი“ იგივე ნაწარმოები — არქაული სტილის Vers libre-ს დაუპირისპირა რითმიანი, მეტრული აგებულების ლექსი.

ცხადია, უაღრესად არქაული ენა პლ. იოსელიანის თარგმანისა ნაკლებ ეფექტს გამოიწვევდა. მარტივი, დაბალი და ყოველგვარ სტილიზაციას აცილებული (თავისთავად—ძალიან სუსტი) კერესელიძის „გალექსილი“ წინააღმდეგობაში ჩაუდგა პლ. იოსელიანის თარგმანს. ამას გამოუწვევია პლ. იოსელიანის საბოლოო ჩამოცილება ჟურნალიდან.

ლექსიკური და სინტაქსური წყობის უკიდურესმა არქაულმა ატმოსფერამ ცხადყო პლ. იოსელიანის პოეტიკის კონსერვატიზმი— მიუღებელი ახალი ლიტერატურისათვის. მან ამხილა მთარგმნელის ნორმების უსარგებლობა.

* * *

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პლ. იოსელიანის მონოგრაფია „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“. ეს გამოკვლევა შეიძლება ჩაითვალოს ნახევრად მხატვრულ ნაწარმოებად. წიგნის სიუჟეტი იშლება ისტორიული ხასიათის დეტალებისა და მოტივების ფორმებში იმრიგად, რომ თხრობის მანერაც კი სცილდება აკადემიური გამოკვლევისათვის დამახასიათებელ ფარგლებს.

ეს ნაშრომი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა და არ უთამაშნია გარკვეული როლი იმ ბრძოლაში, რომლის სურათის აღდგენაც წარმოადგენდა ჩვენს მიზანს [1].

---

[1] ამ შრომის წერა პლ. იოსელიანმა ადრე დაიწყო. 1867 წელს ის „ცხოვრებას“ ალ. ორბელიანს უკითხავს (იხ. ალ. ორბელიანის წერილი: „პლატონ იოსელიანს“. წ. რ. კ. ს. ხელნაწ. № 1646, გვ. 1). იმავე წელს ბარი ბროსესა და იოანე ბატონიშვილს უგზავნის ხელნაწერის ერთ ცალს (იხ. პლ. იოსელიანის წერილები ბროსესადმი, წ. რ. კ. ს. № 4797).

რატომ აყოვნებდა პლ. იოსელიანი „ცხოვრება“-ს გამოქვეყნებას? რასაკვირველია, მატერიალური ხალვათობა ვერ ჩაითვლება ამის მიზეზად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მესამოცე წლების ბრძოლამ შეუშალა ხელი მიზნის სისრულეში მოყვანისას

– ამრიგად, პლ. იოსელიანის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი — არქეოლოგისა და ისტორიკოსის მუშაობის ნაცვლად—არქაისტის ლიტერატურულ ცდებს შეიცავს. ეს ცდები მარცხით დამთავრდნენ—მეტყველების დაშორებას აუდიტორიისგან მოჰყვა პლ. იოსელიანის ლიტერატურული სიკვდილი: ლამარტინის თარგმანის შემდეგ მას არაფერი დაუსტამბავს.

10

პლატონ იოსელიანი გარდაიცვალა 1875 წლის 15 ნოემბერს.

„დროების“ რედაქტორი, გამარჯვებული თაობის წარმომადგენელი, სერგეი მესხი სწერდა მეთაურ წერილში:

„...ზოგიერთებს გაუკვირდათ, ზოგიერთებმა თითქოს ვერ გაიგეს ის, რომ გავყოლოდ რიცხვში თითქმის ყველა წარმობადგენელი ჩვენის ახალის თაობისა ერიენენ.

„დროების“ რედაქციამ თავის გაზეთის მკითხველები დაპატიჟა, რომ დასწრებოდნენ მიცვალებულის გასვენებაზე და ამბაირად უკანასკნელი პატივი ეცათ იმის ცხენებისათვის.

ეს გარემოება კიდევ უფრო გაუგებარი შეიქნა ზოგიერთებისათვის. ამბობდენ: „რა იყო საერთო მიცვალებულ პლატონ იოსელიანსა და ახალგაზრდობას შუა?“...

„ცხოვრება“ ამართლებს გიორგი მეთორმეტის პოლიტიკას საქართველოს რუსეთთან „დაკავშირების“ საკითხში. ამ აზრის დაცვა არ უნდა ყოფილიყო ადვილი: თვრგდალეულნი ხომ სწორედ ასეთ პოლიტიკას არ იზიარებდნენ? თვით საშუალონიც ალმაცერად უცქეროდნენ პლ. იოსელიანის რუსოფილურ პოლიტიკას. კერძოდ ალ. ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მტრულად იყო განწყობილი პლ. იოსელიანის ბიუროკრატიზმისადმი. ალ. ორბელიანი ზემოთ დასახელებულ წერილში საეჭვოდ მიიჩნევს იმ ფაქტებსა და ეპიზოდებს, რომელიც პლატონ იოსელიანს ზეპირად მოუსმენია პეტერბურგს გადასახლებულ ბატონიშვილებისაგან. მისი აზრით, ეს ბატონიშვილები პლ. იოსელიანთან საუბარსაც კი გაურბოდნენ. მკაცრი დახასიათება იქამდის მიდის, რომ ალ. ორბელიანი ცნობილი ღვთისმეტყველის ეროტიულ მხარეებსაც („საძაგელ სნეულებას“) ეხება. მ. ვორონცოვთან ერთად, პლ. იოსელიანი თურმე მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ერთობოდა, ხოლო შემდეგ, როცა „აქედამ ვარანცოვი წავიდა და იმის მოადგილედ რიადი დააგდეს აქ, მაშინ იმისი მახლობელი სხუა არავინ იყო პლატონ იოსელიანის მეტი, რომლებიცა ორივ ერთად დროებს ატარებდენ უბრალო დედაკაცებთან და ამით შეეჭცეოდენ... პლატონ იოსელიანი, ვარანცოვის და რიადის დროებში თავის სრულს სფერაში იყო“ (გვ. 11).

თავის მხრით პლ. იოსელიანს არა ერთხელ გამოუთქვამს ხოტბა რუსული მართებლობისადმი. უნდა ვიცვარაუდოთ, რომ უარყოფითად უცქეროდა 1832 წლის შეთქმულებას. მაგ. ს. დოდაშვილზე ის სწერს (კერძო ბარათში ბროსეს): „გაზეთსა (იგულისხმება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათა. 1832“. ა. გ.) ამეტყველებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდათ, რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა“ (წ. რ. კ. ს. № 4797).

„...მართალია, ახალ-თაობისა და პლატონ იოსელიანის რწმენებათა და აზრებს შუა დიდი საზღვარია, დიდი განსხვავება“... „მიცვალებულს ბევრი ისეთი რამ ჩაუდენია თავის სიცოცხლეში, რომელსაც ის („ახალი თაობა“. ა. გ.) ვერ თანა-უგრძნობს“... (მაგრამ) — „ქართული ლიტერატურის სიყვარულმა ორი ძაობა შეაერთა მიცვალებულის საფლავზეო“ [1].

„ახალი თაობა“ სწორად აფასებდა პლ. იოსელიანის ლიტერა-ტურულ მოღვაწეობას საკუთარი პოზიციებიდან, თავისი ბატონობის ხანაში. ამჟამად კი, როცა სამოციანი და სამოცდაათიანი წლების ლიტერატურულ რადიკალიზმსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენ-თვის, უნდა დადგეს დრო პლ. იოსელიანის გასახსენებლად.

აკ. გაწერელია

1932

დამატებითი შენიშვნები:

ეს გამოკვლევა არ ისახავს მიზნად პლ. იოსელიანის სრული ბიოგრაფიის აღდგენას. არც მის შეხედულებებს ვარჩევთ აქ დაწვრილებით. დამატებით აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

სტილისა და მჭერმეტყველების საკითხებში პლ. იოსელიანი გამოდის ქვინტილიანის, ციცერონისა და დიონისი ლონგინის ტრაქტატებიდან. კერძოდ ტერმინი „ჰარმონია“, რომელსაც ის ხშირად ხმარობს პოეტური თხზულების დახასიათებისას—აღე-ბულია ლონგინის ცნობილი ტრაქტატიდან: „უმაღლესის შესა-ხებ“ („პერი იფსუს“, du Sublime; არსებობს რუსული თარგ-მანი: О высоком, творение Дионисия Лонгина. Перевод Ивана Мартынова. პეტ., 1826). პლ. იოსელიანი ამ შრომას ბერძნულ დედანში იცნობდა („ბიბლ. შენიშვნაში“ მოყვანილია ფრაზა ტრაქტატიდან). ლონგინის თხზულება დიდი გემოვნებით არჩევს ანტიური ლიტერატურის ძეგლებს სტილის მხრით და არისტოტელეს „პოეტიკის“ შემდეგ ითვლება შესანიშნავ დოკუ-მენტად პოეზიის თეორიაში.

პლ. იოსელიანი ახლო იდგა იმ ავტორებთან, რომელთა და-კვირვებანი განსაკუთრებით კონსტრუქციის საკითხებს ეხებიან. არისტოტელეს „პოეტიკა“, ლონგინის „პერი იფსუს“, ჰორაცის

[1] იხ. დროება, 1875, № 134.

„წერილი მელექსეობაზე", ბუალოს „L'art poètique, ლაჰარპის „Le Lycée ou cours de Literature Ancienne et Moderne. 1799 (რუს. თარგ. 1810—1814. I—II...) და სხვა.

მის დაკვირვებებს ქართულ ვერსიფიკაციაზე (იხ. Опис. гор. Душета, ტფ. 1861. გვ. 32—34; Путевыя записки от Тифлиса до Мцхеты, გვ. 56—75) ვეხებით სპეციალურ გამოკვლევაში: „რითმი და სიტყვა". მისი არქეოლოგიური და ისტორიული შრომების დაფასება კი ჩვენს მიზანს არც შეადგენდა[1].

ა. გ.

[1] პირველად დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში", 1933 წ. № 6-7.

ცხოვრება

გეფისა გიორგი მეათცამეტისა

აღწერილი

კლატჩენ ემნატის ძის იოსელიანისაგან

თფილისი
1867

I

გიორგი, პირმშო ძე მეფისა ირაკლი II-ისა, დაიბადა ქალაქ თფილისსა 1746 წელსა, ნოემბრის 10 დღესა, რომელსაცა ქართველთა ეკკლესია დღესასწაულობს წმინდისა გიორგისა სასწაულთა.

დედა მისი იყო ანნა, ასული თავადის ზაალ აბაშიძისა, რომელიცა შეირთო მეფემან ირაკლი 1745 წელსა, შემდეგ განდევნისა პირველისა ცოლისა ქეთევან, ვახტანგ ყაფლანიშვილისა ასულისა [1]. ანნასაგან დედოფლისა ჰყვანდნენ ირაკლისა ძე გიორგი და ასული თამარ. 6 დეკ., 1749 წელსა გარდაიცვალა დედოფალი ანნა და დასაფლავდა მცხეთას.

II

პაპამან მისმან თეიმურაზ, დღე შობისა მისისა გარდაიხადა დღესასწაულობითა: აუწყა ეპისტოლეებითა იმერეთისა მეფესა და მთავართა; კახეთისა და ქართლისა თავადთა, კათოლიკოსთა და მღვდელმთავართა; მიანიჭა საჩუქარნი მრავალნი გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა; მიეცა მრავალთა პყრობილთა მიტევება ბრალთა; მეუდაბნოეთა წარუგზავნეს ნუგეში[ნის]-ცემითნი საძმოდ ბოძებანი; მეგობა-

---

[1] საფლავზედა მისსა სწერია შემდეგი: „ქ. უხმოთა ლმობითა გექენებით ყოველთა და მპვრეტელთა შენდობისა ყოფად არარა ესე, რომელი ოდესმე ვიყავ ანნა, ასული აბაშიძისა, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა. არამედ ჩემთვის დიდება ესე ყოველივე აქა დაშრტა. დეკემბერსა ვ. ქრისტეს აქეთ ქორონიკოსა ჩემთ“.

ვიეთნიმე ანნასა ამას, რომელიცა იყო ასული ზაალისა, უწოდებდენ ფ ხ ე ი ძ ე დ და ვიეთნიმე მ ხ ე ი ძ ე დ. საფლავსა ზედა პირველისა ცოლისა, განდევნილისა მეფისა ირაკლისაგან და დასაფლავებულისა ალავერდსა სწერია ესე:

„. . . . . კახთ მეფის ერეკლეს თანა-მემცხედრე დედოფალი ქეთევან, მდებარე ვიქმენ მეფეთა სამარხოსა ამას შინა, რათა საცნაურად იხილვებოდეს ტაგრუცი ესე, და მრავალთა მიერ შენდობა წარმოითხრობოდეს ქორონიკოსა უ ლ ც“. ქორონიკონი ესე არს 1744 ქრისტესიდგან. იტყვიან მისთვის, მონოზონად გარდაცვალებასა, სახლისა მისისა წევრნი.

რი თვისი და მახლობელი საბა ნინოწმინდელი მოუწოდა თფილისად, რათა ექმნას მიმქმელად წმინდისა ემბაზიდამ მეფისა ყრმასა გიორგის. მასვე დროს აცნობეს მეზობელთა ხანთა და წარუვლინეს სპარსეთისა ყაენსა ნადირ-შაჰს დესპანად თურქისტანიშვილი დავით და იბრაიმ აღა პორჩალოელი სულთანი, ერთგული თეიმურაზისა. გარნა პასუხი და საჩუქარი მოართვეს არა ნადირ-შაჰისა, რომელიცა მომკვდარიყო, არამედ გაყაენებულისა შემდეგ მისა ალიყული-ხან ადილ-შაჰისა. ესრეთნივე ეპისტოლენი და ძღვენნი წარუვლინეს ოთხთა მართლმადიდებელთა პატრიარქთა, სინასა და ათონისა მთათა წინამძღვართა. ენა ხალხისა განმხიარულებულისა შეიქმნა საწერელი მწიგნობრისა ხელოვნისა. დროთა ჩვეულობისა გამო მოლექსენი უძღვნიდენ ლექსთა ქებითთა; მეცნიერნი სიტყვათა წყობითთა კატეღორიისათამებთა ზედა აღშენებულთა სხოლასტიკოსთა წესითა; მქადაგებელნი ქადაგებათა; მეუდაბნონი ლოცვათა; მემხოლოენი კურთხევითა ქარტათა.

III

შემდეგ ცხრისა დღისა, ე. ი. 19 ნოემბერსა, დღესა წმ. ილარიონ ქართველისა, ნათელ-სცა მას კათოლიკოსმან ანტონი I და მიმქმელად იყო არქიეპისკოპოსი საბა ნინოწმინდელი, ამასავე დღესა აღყვანილი მეფისაგან მიტროპოლიტობისა ხარისხსა.

წესი ემბაზიდგან აღმოშობისა აღსრულდა არა სასახლესა შინა, არც სახლის წმინდის კვართისა ეკკლესიასა შინა, არამედ მცირედსა ეკკლესიასა წმინდისა გიორგისა, აღშენებულსა სვიმონ ზანიშინისაგან, რომელიცა იყო ძმა ვახტანგ მეფისა და რომელმანცა დასდვა სასახლისა თვისისა ეკკლესიად და უკანასკნელთა მეფისა დროებაში იყო სასახლისა ეკკლესიად თვით მეფისა გიორგი XIII.

ცხოვრებისა მისისა წელსა მეოთხესა მიუჩინეს მას ლალად თავადი კახეთისა სვიმონ მაყაშვილი და ქართლიდამ როინ ბარათაშვილი, რომელიცა მალე გარდაიცვალა და გარდა სვიმონ მაყაშვილისა არღავინ დაუშთა ყრმასა ჯერეთ გიორგის.

ქართულისა ანბანის მასწავლებელად ჰყვა ისაკ მწიგნობარი, რომელიცა იყო შემდეგ კანდელაკი სიონისა საუფლოჲსა ეკკლესიისა და აღმწერელი ხუცურად მრავალთა წერილთა, მეცნიერი და მცოდნე ძველისა, ვითარცა იტყოდენ, ფილოსოფიისა. თათრული ენა ისწავა კარის მოხელეთაგან და სომხური სომეხთა მღვდლის ტერ-დავითის შვილისაგან შაიკოვისა და ყაითმაზაშვილისაგან. ბერძულისა ენისა



ბიოგრაბი XII

მასწავლებელად იყო თეოდორე ეპისკოპოსი ბერძენი მცხეთას ყოფილი კათოლიკოსისა კარზედ; გარნა ვერ სრულჰყო სიკვდილისა გამო მასწავლებელისა და დროთა გარემოებათაგამო. მასწავლებელად ქართულისა ენისა მიუჩინეს მეფის ძესა მეშვიდესა ცხოვრებისა მისისა წელსა დეკანოზი იოანე. 1751 წელსა მოვიდა იერუსალიმით დროებით მუნ წარსული დეკანოზი ესე იოანე, ძე გარსევანისა დეკანოზისავე მოძღვრიშვილად გვარ-წოდებული. ესე იყო კაცი განსწავლული, დიდი მწიგნობარი, მწერალი წიგნთა და მცოდნე დროთა მათ, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა ძველადგან ქართველთა შორის ნაქონთა. პატრიარქისაგან იერუსალიმისა ქებითისა წერილითა მოსრული ეევდრა კათოლიკოსსა ანტონის პირველსა რათა ვიუბოძოს მას ადგილი დეკანოზობისა ჯვარის ეკკლესიასა, იერუსალიმისა ჯვარის-მამათა სადგურსა. კათოლიკოსმან ანტონი ამისთვის უბოძა მას გრამატა შემდეგი:



„ჩვენ ყოვლისა საქართველოჲსამ დიდმან მწყემს-მთავარმან, მაღალთა მეფეთა შარავანდედმან, კათოლიკოსმან პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისამან იესესმან, პატრონმან ანტონიმ, ესე უკუნისამდე ჟამთა, ხანთა და დროთა გამოსადეგი სამკვიდრო და საბოლოვო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჯვარისმამის მონასტრის დეკანოზს იოანეს, ასე და ამა პირსაზედან. შენ უსარჩოობასა და უსამწყსოობასა სჩიოდით. მოხვედით კარსა, დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და სამწყსოს ბოძებასა დაგვეაჯენით; აწ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ. ვითაც უსარჩოვო და უსამწყსოვო იყავ, ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ. ქალაქში ვინცა ვინ უხუცო, ეული და მოსული კაცი იყოს, ან უხუცო რომ სხვას მღვდელს არ ეხუცებინოს და მისსა არა გაევლოს, შენთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია, სჯულიერის წესით მწყსიდე და ასწავებდე. და ამას გარდა შენის საბლის ხუცობაც შენთვინვე გვიბოძებია, და წყალობა გვიქმნია. არაოდეს ამის მოცილე და მოდავე არავინა გვყვანდენ თვინიერ ღვთის მეტი. აწ ესე ჩვენგან ბოძე-

ბული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა დიდათ ერთგულობასა შინა. არ მოგეშალოს არცა სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა, დედოფალთა და უფლის-წულთაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან. და რომელმანცა იმისი დაშლად და დაქცევად ხელ-ჰყოს, ჩვენთა კანონთა ქვეშე განიკანონოს. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს. აწ შემდგომად ჩვენისა თქვენცა, ყოვლად სანატრელნო კათოლიკოს-პატრიარქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და გაურიგეთ, რათა, თქვენგანცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან ყოველივე მტკიცე და უნაკლულო ჰყოს. არიან ამისი მოწამენი და მხედველნი, და ნების დამრთველნი ერთობით მცხეთელნი. დაიწერა ინდიკტიონსა კათოლიკოს-პატრიარქობისა ჩვენისა თ. ქრისტეს განხორციელებიდგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულ იყვნეს ჩ ღ ნ ბ. ქორონიკოსა უ მ. თვესა დეკენბერსა ი ა. ხელის კარისა ჩვენისა მღვდელ-მდივან-ქადაგ მაღალაძის ნიკოლოზისათა. დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულ-იყვნენ შვიდ-ათას ორას-სამოცი კსჲ" *.

ესე იოანე პირველ სხვათა იყო მოძღვარი მეფისა ირაკლისა და დედოფლისა დარეჯანისა. ამას ჰყვანდა ქალი ერთი და რადგანაც ძმისწულნი ჰყვანდნენ მრაელად, დედოფალი ექმნებოდა მომნათვლელი შვილთა მისთა; კათოლიკოსი ანტონი I იყოლიებდა მას ვითარცა მეგობარსა და თვისთანა მარადის თანა-მზრახველად.

ამა დღიდგან იყო პატივცემულად მიღებული ყოველგან და მოძღვრად თვით კათოლიკოსისა და მისისა კრებულისა ქ. თფილისსა მყოფობისა მათისა დროსა. ვითარცა მღვდელი განკრძალული ცხოვრებითა და მოხუცი, ბრძენი და მხნე გონებითა, ექმნა მოძღვრად კათოლიკოსსა იოსებსა და მთავარ ეპისკოპოსსა კირილეს. მეფის ძე გიორგი დიდად პატივს სცემდა მას, და ვითარცა მორწმუნე სასოებით ავედრებდა თავსა თვისსა ლოცვათა მისთა. გარდაიცვალა ღრმ ად ო ხ უცი 1782 წელსა და დასაფლავდა მასვე ჯვარისა ეკკლესიასა.

IV

ჯერეთ ყრმასა მეფის ძესა უყვარდა დიდად და ტრფიალებით კითხვა მსოფლიოთა მამათა ცხოვრებისა; იცოდა ზეპირად საქმენი

* ხელნაწერ საისტ.-საეთნ. № 2301-ში სიგელის ასლის აშიაზე მიწერილია „ქ. ჩვენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი იოსებ ვამტკიცებ წიგნსა ამას. ქ. ჩვენ თფილელი მიტროპოლიტი ამ წმინდათა პატრიარქთ ნაბოძებთ წიგნს ვამოწმებთ". რ ე დ.

და ღვაწლნი წმინდათა მარტვილთა, მეუდაბნოეთა, მღვდელმთავართა და ესე ვითართა დიდთა ეკკლესიისა სვეტთა. დიდის დაწვლილებითა ესმოდა ღვთისმეტყველება მართლმადიდებლობისა, ისტორია ქართველთა, ე. ი. ქართლის-ცხოვრება უწყოდა რეცა ზეპირად.

დიდად ეტრფოდა მოლექსეთა ძველთა და ახალთა. ცხოვრებითა ნაზი, განკრძალული, ჰეშმარიტი, უტყუველი, სიტყვა დაცული; ზნეობითა ზრდილი მაღლად მეფურად, მოწყალე, უხვი, მდაბალი, ობოლთა და გლახაკთა შემწყალებელი, პურადი; არა წმინდებისა მოძულე; სიწმინდისა დამცველი, ვითარცა მეუდაბნოე, ქრისტეს მოყვარე, ეკკლესიათა მოყვარე, სამღვდელოთა პატივისმცემელი, უცხოთა შემწყნარებელი, მეტადრე ბერძენთა მართლმადიდებელთა, თურქთაგან დამონებულთა და შეიწრებულთა; დღე ყოველ ცისკრისა, წირვისა და მწუხრისა მომსმენი დაუზარებელი. უკურთხებელ სუფრისა არა მიმრთმევი არცა სადილისა, არცა ვახშმისა.

ჯერეთ რვისა წლისა, ძველთა დროთა ჩვეულებისა გამო, დანიშნეს ჩერქეზ ბატონის გირეი ოძისა (?) ქალზედ, რომელიცა ახლდა მეფეს ირაკლის თვისთან, ვითარცა მეგობარი. განსასწავლებელად ქალისა წარუვლინეს მას თავადი შარიდან შალიკაშვილი, 6 მოახლე ქალი და აზნაურშვილის ქელიჲძისა ქვრივი ნინო სოფლისა კავთიხევიდამ, დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუითა. დიდი ცხენოსანი იყოო, ბრძანებდა სადმე თვით მეფე გიორგი, და გულოვნობისათვის მისისა დიდად პატივსცემდნენ მას სასახლეშიაო.

ქალი ესე ჩერქეზთა, დანიშნული გიორგიზედ, შემდგომად ოთხისა დღისა მზადებისა, ჯერეთ მოუნათლავი, მოკვდა ყვავილისა სენითა სამშობლოსა თვისსა სახლსა და უკუქცეული ნინო შედგა მონაზონად და მწუხარე თვითცა მოკვდა სამღვდელმთავროსა მრავლისა ეკკლესიისა კარზედ სოფელს რუისს.

V

14 წლისამ მიმოვლო საქართველო: ქართლი, კახეთი, სომხითი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი და იხილა მას დროს განმგე სომეხთა ეკკლესიისა ორქევატორი ანუ კათოლიკოსი იაკობ V (1759—1763), ეგრეთვე, მეფეთა ამასავე დროსა მოხარკენი განჯისა და ერევნისა ხანნი.

განყოფილი ძველად საქართველო ორ სამეფოდ ე. ი. ქართლად და კახეთად დროთაგან ნადირ-შაჰისა, იქმნა რეცა შეერთებულად,

ოდეს გამეფდენ კახეთსა ირაკლი და ქართლსა მამა მისი თეიმურაზ. გარნა კახეთისა ირაკლი იწოდებოდა არა მეფედ, არამედ კახ ბატონად და ქართლისა მეფედ. ოდეს, დროთა გარემოებათა გამო, წარვიდა რუსეთად (1760 წელსა) მეფე თეიმურაზ, მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ვითარცა შვილისშვილსა უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა, გარემოსდვა მას თვისი სამეფო ხრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯვარი ძელ-პეშმარიტითა ცმული, ოქროს ჯაჭვითა საკიდარი და თვალ-მარგალიტითა შემკული, მცხეთის ეკლესიასა შინა, თანა დასწრებითა იოსებ კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და კარისკაცთა. აკურთხა იგი ღვთისმშობლის მცირედითა შემკულითა ხატითა (დღეს მე მაქვს ესე) და კურთხევითითა სიტყვითა და ცრემლითა გამოეთხოვა შვილსა ირაკლის, შვილისშვილსა გიორგის და სხვათაცა სახლისა თვისისა წევრთა და წარვიდა დუშეთისა აწინდელისა გზით რუსეთად.

[სანკტ-პეტერბურღის] არქივიდამ (1760 წლისა საქმე, № 202) სჩანს, რომელ მეფესა თეიმურაზსა II მიჰყვა რუსეთსა ეპისკოპოსი იოანე რუსთველი და ამისსა ამალაში (სვიტაში) იყვნენ დეკანოზნი დიმიტრი და სვიმონი, მღვდელი ამბროსი, იერო-დიაკონნი პართენი და შიო; და მორჩილი აბრაამ.—მასვე დროსა მივიდა მასთანავე წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე, რომელსა თანა ჰყვა ბოდორნისა არქიმანდრიტი ფილიპე.—მეფე და ეპისკოპოსნი დასადგურდნენ ნევსკისა მონასტრისა ქვითკირისა პალატებში. ოდეს იქმნა კრება, იდუმალ განლათინებულისა კათოლიკოს პატრიარქისა ანტონისა, სამსჯავროდ მიცემულისა, მაშინ კრებისა განჩინებასა ზედა დასდვეს ბეჭედიცა 9 წლის ყრმისა მეფის ძის გიორგისა. ჯერეთ ყრმამან დღიდგან განდევნისა მისისა რუსეთად (1756 წ. 4 აპრილსა) და დანიშენისა მოადგილედ მისა იოსებ მროველისა [1], — შეიძაგა ანტონი I, და თუმცა მამისა მისისანებითა უკუ-მოქცეულცა იქმნა თვისსა ქვეყნად და პატივად, გარნა არა უყვარდა იგი, ვერ იყო კეთილ-განწყობილი მისთან დღედმდე გარდაცვალებისა მისისა.

VI

1767 წელსა შეირთო ცოლად ქეთევან, ქალი პაპუნა ქიზიყის მოურავისა ანდრონიკაშვილისა 13 წლისა. ქორწილი გადაიხადეს ქალაქსა

[1] სხვანი ჰგონებენ მას რუსთველად და იტყვიან მისთვის იყოო გვარით ჯანდიერიშვილი.

თფილისსა დიდისა დღესასწაულობითა ენკენისთვის 20. იტყვიან ქალისა ამისთვის რომელ, ოდეს მეფის ძე მოვიდა კახეთსა და ეწვია სოფელსა ვეჯინსა ანდრონიკაშვილს რევაზსა, მაშინ მოხდა დევნა ლეკთა, რომელნიცა გამოჩნდნენ ალაზნისა გაღმა. რევაზ და სხვანი თანა დამსწრენი ომისა ლეკებთა თანა, ესრეთ მხნეთ გამოჩნდნენ, რომელ მეფის ძე თვით, მუნ დამსწრე, გაჰკვირდა ოდეს იხილა რევაზ ანდრონიკაშვილი მუხლსა მძიმედ დაჭრილი, მოვიდა რა სახლსა, მაშინ გამოაცხადა დაჭრილობა თვისი. განკვირვებულმა მეფის ძემან გამოუცხადა მას გმირსა რევაზს სურვილი დისა მისისა ქეთევანისა შერთვა ცოლად. დროსა ამას, ქალსა ამას არღა ჰყვანდა მამა ცოცხლად. ამბავსა ამას მოუთხრობდა ხშირად აზნაური ბერო პავლიაშვილი, რომლისათვისცა დავსწერე და დავბეჭდეცა სიტყვა გარდაცვალებისა გამო მისისა, ვითარცა რედაკტორმან გაზეთისა [3].

18 წლიდამ ცხოვრებისა თანა-ჰყვის მამასა თვისსა სადაცა წარვიდის ანუ საომრად ანუ მოსახილველად სამძღვართა. 1770 წ. იყო ასპინძის ომში და დიდად უსიამოვნოდ მოექცა რუსეთისა ღენერალსა ტოტლებენსა, ოდეს არა ინება შებმოდა ოსმალისა ჯარსა, და გაიმარჯვა ომსა ამას თვით მეფემან ირაკლი თავისისა ჯარითა.

„ღენერალო! სირცხვილია ამისთანა დროსა ღალატი მეფისა,—ჰრქვა მეფის ძემან.—„არა მაქვს ბრძანება,—უპასუხა ღენერალმან,—იმპერატრიცისასა რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ“.—„მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა,—ეტყოდა მეფის ძე გიორგი,—და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქმნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა“.

მამასა ირაკლის მოახსენეს ესე საუბარი მეფის ძისა ღენერალისადმი; არ მოიწონა ზდილობითა ესე, და უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა საომართა ერიდებოდა რუსეთისა წყენასა, კვალადცა საიმედოს ქრისტიანობისა გამო. იტყვიან მტერნი მეფის ძისა გიორგისა, არ მიაშველა ჯარი 900 კაცისა მამასაო. რაზედ აფუძნებენ თქმულობასა ამას? არ ვიცი. დროსა ამას ასპინძის ომისსა, ჯერეთ არ იყო შფოთი მეფისა ირაკლისა სახლში და არცა ძმანი მისნი, დედისნაცვლისაგან შობილნი, იყვნენ სრულსა ჰასაკსა მოსულნი. ერთობა მეფისა სახლისა იყო მტკიცედ დამყარებული სიყვარულისა ერთისა მეორისადმი, ერთობითა.

---

[3] ესე ბერო პავლიაშვილი, მხლებელი მეფის რძლისა და მხითევში მოყოლებული, გარდაიცვალა ქ. თფილისს 15 აგვისტოს 1845 წელსა 107 წლისა. მისთვის დავბეჭდე მასვე წელსა ვითარცა რედაკტორმან ჟურნალსა შინა: „Закавказский Вестник“ 1845 год. № 18, часть неоффиц.

მეორესა დღესა, მიმავალმან საქართველოდამ იმერეთსა ბაღდადისა გზით ღენერალმან ტოტლებენმან სცნო დიდი გამარჯვება ირაკლისა ოსმალისა ჯარზედ, და მართლად სირცხვილეული, დაეშურა და მაღე გარდავლო მთა, და გარდავიდა იმერეთსა. მეფის ძემან თვით ითხოვა მეფისაგან ნება, რათა წარავლინოს რუსეთად და მისისა ელჩობითა მოახსენოს ყოველივე საქმე საქართველოჲსა დიდსა იმპერატრიცასა. მეფემან არ ინება და ნაცვლად მისსა წარავლინნა სხვანი.

VII

ვიტყვი კვალად ქეთევანისათვის. ესე ქეთევან იყო თვით იგი, რომელიცა მიმავალმან ქართლად 300 ცხენოსნითა ღართის კარისა ვიწროებაში, ჰქმნა სახელოვანი ძლევა ლეკთა ზედა, რომელნიცა იყვნენ ხუთასნი. თვით მიუძღვა ჯარსა და გატეხა სამგზის გამაგრებულნი ლეკნი. უკუქცეული, შემდგომად თვისა ერთისა, მუხრანითა, მჭიღო ირაკლიმან გმირი რძალი თვისი ქ. თფილისს დიდისა დღესასწაულობითა, ზარბაზანთა ციბიდამ სროლითა და ჩირაღდითა. ესე იყო 1778 წელსა.

მეფის რძალსა ამას ეშვნეს შვილნი:

ძ ე ნ ი: დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ.

ა ს უ ლ ნ ი: ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე.

3 ივნისსა 1782 წელსა მშობიარობისა გამო თეიმურაზზედ, მეფის რძალი ქეთევან, გარდაიცვალა და დასაფლავდა დავით გარესჯისა მონასტერსა იოანე მახარებელისა დიდსა ეკკლესიაში წინაშე აღსავლისა კარისა, მუნ სადაცა მარხია ალექსანდრე, მეფე კახეთისა [1].

[1] საფლავი ესე არის დიდსა და ვრცელსა გამოკვეთილსა კლდესა შინა იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესიასა. დღესა არღაა მუნ წირვა. თაღი 1830 წლიდამ ჩაიქცა და დიდნი კლდისა დანახეთქნი ღორღად აწევს საფლავსა ამას და კახთა მეფისაცა ალექსანდრესა, გარდაცვლილსა მუნ. ზედა წარწერა პირველისა არ ვიცი რა იყო, და მეორისა არის შემდეგი, ადრიდვე ჩემსა ქაღალდებსა შინა შენახული:

„ჩვენ ალექსანდრე მეფემან, სახელსა ზედა ღვთისასა.

აქა შევვარდი საფლავსა, ღირსისა დავითისასა.

სიყვარულითა შევამკე, მსგავსადვე სამოთხისა.

და მეოხ-გვეყოს და მფარველ, წინაშე მეუფისა".

საქართველოსა შინა მყოფი 1772 წელსა მეცნიერი გულდენშტეტი სწერს: „გიორგი 1772 წელსა იყო 28 წლისა. მეუღლე მისი არის ქეთევან ქიზიყის მოურავისა, თავადის პაპუა ანდრონიკაშვილის ასული, შვილი მისი დავით 4 წლისა;

მუნვე მონასტერსა ბერად ანუ მონაზონად შემდგარი და-გარდაცვალებული. მეფემან ირაკლი, მწუხარემან სიკვდილისა გამო რძლისა თვისისა, წარსთქვა ოხვრითა შემდეგი სიტყვა: „ახლა დაიღუპა ჩემი ოჯახიო“. გამიგონია თვით მეფის ძის თეიმურაზისაგან: „მოკვდავმან დედამან ჩემმან ჰქმნა სიტყვითა ანდერძი, ვეცხლეური წარუვლინონ იერუსალიმისა პატრიარქსა მოსახსენებელად და აღასრულესცა ესე“.—ესრეთ მტკიცედ იყო და განთესული საყოველთაოდ, სასოება იერუსალიმსა-ზედა ქართველთა შორის! შუქი ნათლისა ღვთისა ქალაქით, მნათობდა მეფეთა სახლსა შინა და გლეხთა ფაცხათა. ლექსი „იერუსალიმი“ მზეობდა ქართველთა ერისა გულთა და გონებათა შინა.

VIII

დიდად დღესასწაულებითა იყო დასაფლავება გვამისა ამის ღირსისა, სანატრელისა სამეფოჲსა სახლისათვის და სასიქადულო ქართველთა ერისათვის.—მეფის ძემან ინება დასაფლავება გვამისა დავით გარესჯისა მონასტერსა. თვე იყო ივნისისა. მწუხარებისა ხმამან შესძრა თებაიდა ქართველთა. ნინოწმინდელი საბა ბავრაყითა თვისითა და დროშითა, დავით რუსთველი და დანიილ ბოდბელი მიტროპოლიტნი შეერთდნენ და მიეგებნენ ლოცვითა და ვედრებითა ღვთისად-

---

იოანე 2 წლისა და ჰყვანან ორნი ქალნიო“ (Reisen durch Russland und in Caucasischen Georgie, S. P. B. 1787, часть I, стр. 337.)

აქავე იტყვის, რომელ დროსა ამას მეორე შვილი ირაკლისა ლეონ ანუ ლევან იყო 20 წლისაო, რომელსაცა ჰყვანდა ცოლად ქალი დიამბეგისა ქაიხოსრო ანდრონიკაშვილისაო. იულონ იყო 12 წლისა, ვახტანგ 10 წლისა, თეიმურაზ იგივე შემდგომად კათოლიკოსი ანტონი მეორე 8 წლისა; მირიან 7 წლისა; ალექსანდრე 2 წლისა და ლუარსაბ ექვსის თვისაო.

ქალნი ირაკლისა:

1) თამარ, ცოლი სალთხუცისა ორბელიანისა.
2) ელენე, ცოლი არჩილისა, რომელიცა იყო ძმა სოლომონ მეფისა დიდისა;
3) მარიამ, ცოლი ქალაქის მოურავისა დავით ციციშვილისა;
4) ქეთევან, ცოლი მუხრანის-ბატონისა;
5) ხორეშან 4 წლისა და
6) ანასტასია 3 წლისა.

ამასვე დროსა ცხოვრებდაო დედინაცვალი ირაკლისა და ქვრივი თეიმურაზისა მეფისა ანახანუმ თაქალთოიანი. ამისი ასული მოკვდა ვითარცა მეუღლე მეგრელთა დადიანისაო.

დაჲ ირაკლისა არს ქვრივი ეშიკას—ბაშის დიმიტრი ორბელიანისა. დაიბადა 1722 წელსა.

მი წინარუს (აწ თაქლა), სადაცა იწყება სივრცე და სიგანე თებაიდისა ანუ გარესჯის უდაბნოთა სადგური. 1,000 ცხენოსანი და 500 ქვეითნი მიუძღოდენ მიცვალებულსა: ხაშმი, ნინოწმინდა და ბოდბე ეკკლესიისა სოფელნი და ყმანი უმასპინძლებდენ მიმავალთა უდაბნოდ პურითა, ღვინითა, საკლავითა, თეეზითა და ესე ვითარითა მოსაპმარითა. — ნათლისმცემლისა უდაბნოსა და დავით გარესჯისა ლავრისა წინამძღვარნი ონოფრე და სერაპიონ მოეგებნენ შორს მრავალ მთისა ამის კალთებთა, სადაცა ძველად იყვნენ სამხოლოონი მამათა მეუდაბნოეთა (სკიტნი). ხმა ტირილისა, ხმა გოდებისა, ვითარცა ხმა ლოცვისა ისმოდეს ველთა ზედა უხმოთა კაცთათვის და ხმოვანთა მხოლოდ ქურციკთა* (ჯეირანი) და პირუტყეთათვის. ნეშტნი სიკვდილისა და სოფლისა ამის ხრწნილებისა,—მეტყველებდენ ადგილთა ამათ არა მეტყველთათვის დანიშნულთა. ენა მეტყველი აქა, იყო ენა სოფლისა მის მერმისა. მეუდაბნოენი არმნახავნი სიყრმიდგან ქალაქისა და სოფელთა, იხილვიდენ აქა მოქალაქობისა მათისა ჩვეულებათა, მათთვის საოცართა, გაუგებელთა, განუმარტებელთა. სხვაობა სანოვაგეთა მიღებისა, სხვაობა ძილისა მოიყვანდნენ განცვიფრებასა შინა მემხოლოეთა მოსულთა აქა, რათა წარიკითხონ წიგნი იგი ამაოებისა; და სიკვდილისა ხედვითა, შეისწავონ სიკვდილი, რომელიცა მოელის თვითოეულსა მოსაპოებელად უკვდავებისა გარეთ სოფლისა ამის ხრწნილებადისა.

შემდეგ ათისა დღისა, დადუმდა ხმა სოფლისა მეშფოთისა, უდაბნოთა ზედა დაწყნარებულთა. ყოველნივე უკუ-იქცნენ თვისთა სადგურთა და დაშთა მუნ მაოლოდ ნეშტი მეფის რძლისა სახსენებელად საუკუნოდ.

IX

მასვე 1782 წელსა მეფის ძემან შეირთო ცოლად ციციშვილის გიორგის ქალი 14 წლისა მარიამ, მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე. მეფისა ირაკლისა კურთხევითა დასწერეს ჯვარი არა დღესასწაულობითა იოანე ნათლისმცემელისა ეკკლესიაში, რომელიცა იყო მეტოქი უდაბნოჲსა თფილისში. ჯვარისწერა იქმნა შემდგომად 40 დღისა და ამისთვის დიდად ზრახვიდენ მეფის ძესა ესრეთისა დაშურებისა და აჩქარებისათვის. ყოველგნით ჰგმობდენ უგრძნობელობისათვის, რომელ დაკარგა ცოლი პირველი მხნე და გონიერი, და დამტევებელი ძეთა და ასულთა, და არა იგლოვდა საკმაოდ; სხვანი ამართლებდნენ და იტყოდნენ: „მეფემანცა თეიმურაზმან, პაპამან მის-

* ხელნაწ. „ქურწიქთა“.



მარიამ დედოფალი

მან ჰქმნა ესრეთო, ოდესცა შეირთო შემდეგ თამარისა ცოლად ანა-ხანუმ დედოფალი“.

ამა ქორწინებიდამ ესვნენ მას —

ძ ე ნ ი: მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, სფირიდონ (ეს ორნი მოკვდნენ ყრმად), ოქროპირი, სვიმეონ (მოკვდა ყრმად), ირაკლი.

ა ს უ ლ ნ ი: თამარ, ანნა (7 წლისა მიიცვალა), ანნა მეორე.

X

სიმრავლე ძეთა და ასულთა მეფის ძისა გიორგისა და ესრეთივე სიმრავლე სამთა ცოლთაგან ძეთა და ასულთა ირაკლისა, იყო მიზეზი სამეფოჲსა სახლისათვის კეთილისა და ბოროტისა. ნაყოფი კეთილი ესრეთისა შვილთა სიმრავლისა იყო ესე, რომელ დაშორებული ძველად ქართლი და კახეთი შეერთდა უფრო მტკიცედ. სასახლემან მეფისმან მოითხოვა ქართლიდამ, რომელიცა უწოდებდა აქამდე მეფესა ირაკლის კ ა ხ თ - ბ ა ტ ო ნ ს ა, და არა მ ე ფ ე ს ა, სასძლონი და მეფისა ასულნი მოიძიებდენ თვისდა საქრმოთა ქართლისა თავადთა სახლთაგან. დაჲ მეფისა ირაკლისა ანნა, იყო ცოლი დიმიტრისა ყაფლანიშვილისა; მეფის ასული, დაჲ გიორგისა თამარ, მიათხოვეს სარდალსა დავით ორბელიანსა; ქეთევან მეფის ირაკლის ასული მუხრანის-ბატონსა იოანეს; მეფის ირაკლის ასული მარიამ დავით ციციშვილსა; მეფის ძის გიორგის ასული სოფიო თარხნიშვილსა ლუარსაბსა; მისივე ქალი რიფსიმე ჩოლაყაშვილსა დიმიტრის. ესრეთვე მიიყვანეს მეფის ძეთა ცოლად: თეიმურაზმან ოთარ ამილახვრისა ქალი ელენე; ფარნაოზმან ელიზბარ ერისთავის ასული ანნა.

ესრეთ დაკავშირდა ქართლი და კახეთი ერთობითა თავადთა და სამეფოჲსა სახლისა მძახლობითა და მოყვრობითა. ამან კავშირმან დააცილწყა ქართლისა მეფისა გვარი, დაშთენილი რუსეთსა 1724 წლიდან; ამან ერთობამან ნათესაობითმან მოსპო თქმულობა ქართლისა ერისა: ი რ ა კ ლ ი მ ა მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა დ ა მ ა მ ი ნ ა ც ვ ა ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა. მეორის მხრითა სიმრავლემან ძეთა და ასულთა დაბადეს შური და მტერობა ურთიერთისადმი. დაჰყვეს ოჯახები და დაბადეს ურჩება და მედიდურობა სახლსა მწევრთა შორის, სადაცა იყოფოდა მეფის ასული რძლად და ანუ რომლისაგანცა წარიყვანდნენ მეფის ძენი ქალთა სასძლოდ თვისად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთა თანა, არღა ემორჩილებოდენ მეფისა მოხელეთა, რომელნიცა იყვნენ მდივან-ბეგად, მდივნად, მოურავად, ციხეთა-მცველად და სხვად სამეფოჲსა საქმეთა განმგედ. დასუსტდა ჰაზრი და

მნიშვნელობა პირმშოობისა; ეცილოდენ მემკვიდროებასა; არა პატივსცემდენ პირველობასა და თვითეული წევრი სამეფოჲსა სახლისა გონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განმზადებულად. სჯული არღა სჯულებდა სამეფოში, სადაცა უფლებდენ მეფის-ძენი და კარისკაცნი მათნი.

განმრავლებულთა ძეთა თვისთა დაუნიშნა საცხოვრებელად და განსაგებელად ადგილნი და თემნი: მეფის ძეს გიორგის ბორჩალო და ყაზახისა ნაწილი; იულონსა ქსნის ადგილები (რადგანაც ერისთვიანთ მიეღოთ ქსანი); ვახტანგსა ანუ ალმასახანსა არაგვი და სხვათა სხვანი ადგილნი. თვით მიზეზი მეფის ძისა ალექსანდრესი ლტოლვისა სპარსეთად, ჯერეთ პირველად მამისავე თვისსა დროსა, იყო ესე, რომელ არა უბოძა მამამან ირაკლი საკმაო საცხოვრებელად საუფლისწულო.

ესრეთსა უსწოროსა განწილვასა შეუდგნენ უწესოებანი, შფოთნი და დიდნი აღრეულობანი. მეფის ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდრე, მორიდებული შფოთთა, მიენდობოდა მამისა ნებასა და შორით ხედეიდა ძმათა სისუსტესა მიტაცებისათვის მემკვიდრობისა და აღრეულობათა მათ, რომელნიცა ამწარებდნენ მოხუცსა მამასა; თვით ირაკლი მოხუცებისა გამო და დედოფლისა გამო დედინაცვლისა პირმშოჲსა გიორგისათვის იყოფებოდა მერყეობასა და აგრილებდენ გულსა მისსა გიორგისადმი. ესრეთსა მდგომარეობასა მყოფი მეფის ძე გიორგი, დაშორებული ძმათა, ცხოვრებდა ცალკედ და მყუდროდ. შთაგონებითა დედოფლისა და ძეთა მისთა, მეფეცა ირაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ სიძესა მისსა სარდალსა და სალთხუცესსა დავით ყაფლანიშვილსა, თამარისა მეუღლეს, მოუღო მეფემან სახლთხუცობა და მიუბოძა ესე სიძესა თვისსა მუხრანის-ბატონს იოანეს [5]. ესრეთმან მეფისა მოქცევამან მოსწყლო გული მეფის ასულისა თამარისა, რომელიცა მწუხარებისა ელდითა გარდაიცვალა 1786 წელსა.

---

[5] მაშინ ისიხი მწიგნობარმან შუა მღვიმელმან უქმნა მუხრან-ბატონსა იოანეს ზედაწერილი ბეჭდისა:

ერთი მრწამს ღმერთი,
ერთი ბატონი.
სარდალ-სალთხუცესი
მუხრან-ბატონი.

XI

ტრაქტატისა ძალითა შორის იმპერატრიცის ეკატერინა II და ირაკლისა, მეფის ძე გიორგი დამტკიცდა მემკვიდრედ საქართველოჲსა; მიიღოცა ორდენი ალექსანდრე ნეველისა. ამან ტრაკტატმან სრულიად აღამღვრია გული ძმათა, დედოფლისა და კარისკაცთა, მეფისა ირაკლის მხლებელთა. მტერნი განძლიერდნენ; ირაკლი ღელავდა; დედოფალი სძულობდა. თვით გიორგი იშვიათად ხედვიდა მამასა თვისსა. 1789 წელსა მოვიდა იმერეთით მეფის ძე არჩილ. გიორგი თვით მივიდა და ნახა. არ იამა ესე მეფესა და ეძიებდენ მიზეზსა, რომელმანცა განაღვიძა იგი მისთანა სამეგობროდ.—არჩილმან სასახლიდამ სცა თოფი მოლასა, რომელიცა დაჰკიოდა მეჩითიდამ მოედანსა სამეფოსა, შესწუხნა მეფე დიდად; ხოლო გიორგი არა, და იტყოდა სიტყვათა არჩილისადმი სანუგეშოთა. ამანცა უფრო განარისხა მეფე, და ბრძანებდა სიტყვათა მკვახეთა გიორგისათვის.

XII

შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა სოლომონ პირველისა, ოდეს გამეფდა იმერეთს დავით, მოვიდნენ იმერეთით ევთიმი გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სალთხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცისკაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი. ესენი ითხოვდენ, რადგანაც არა სურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა. დესპანნი იმერთა არწმუნებდენ მეფესა, რომელ ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა. მეფემან უგდო ყური და ნაცვლად პასუხისა პირად ბრძანა იქმნას რჩევა საქმისა. დანიშნულსა დღესა კათოლიკოსი, მღვდელთმთავარნი, თავადნი, სარდალნი, სალთხუცესნი, მდივანბეგნი ქართლ-კახეთისა, შეიკრიბნენ სამეფოსა პალატაში და შევიდნენ განსჯასა. პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა

ორბელიანისა. მას შეუდგნენ კათოლიკოსი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია მოურავი ქიზიყისა, ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. მეფე სდუმებდა და ბრძენი ჰაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა: აკურთხევდა ჰაზრთა ამათ, ზეგარდამო შთაგონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. „ნუ ჰყოვნი, მეფეო!—იტყოდა ჰაბუა,—მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის, ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოუღო მეფობა შვილისშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყანისა.—ვითარ მოეღო მეფობა ქართლისა, ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველოსთან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოეღო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოეღო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება".—„ბატონო მეფევ,—მოახსენა ჭაიხოსრო წერეთელმან,— უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, საქონო ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის,—მაშინ დაუტევეთ იმერეთისა მეფობა, მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება იყოლონ თვისად მეფე თვისი. ამითი არა დაშავდება რა. სცადეთ რა შეუდგება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით.—ირწმუნეთ, მეფევ ბატონო, ხომ სცნობს ამას მტერი და მიეცემა შიშსა და მორიდებასა". შემდეგ დუმილისა მეფისაგან, მუხრანის-ბატონმან იოანე მოახსენა კრებასა: „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველნი ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?"—სარდალმან დავით განრისხებულმან წარმოსთქვა სიტყვა: „მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისის ხრმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის-ბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მკრელი იქმნება."—სიტყვამან ამან დაბადა ამბოხი, აწყინა მეფესა და წყინებული მეფე წამოდგა და შევიდა სხვასა ოთახსა. დაიშალა შეკრებილება პირველი.

სცნო დედოფალმან დარეჯან საუბარი ესე ყოველი, განრისხნა და მიაწერა ჰაზრი ესე მეფის ძეს გიორგის, რადგანაც სარდალი დავით იყო დისწული მისი საყვარელი და მეტოქი მუხრანის-ბატონისა. დაიბარა ჰაბუა და მრისხანედ უბრძანებდა ყველრებითთა სიტყვათა

„არა, ბატონო დედოფალო, ვერ შევიქმნები ორგული,--იტყოდა ჭაბუა,--მეფისა და სამეფოჲსა. ჰაზრი ჩემი დაჰშთება უცვალებელად, მტკიცედ და უკეთუ არ აღსრულდება, შთავიტან თან საფლავსა. რად მიბრძანებთ, არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყანისა. ვიცი, რასაც ვიტყვი. არ ვხედავ კეთილად საქმესა და ესე ვარჩევ? ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და ვურჩევდე რასმე ბოროტსა?--ვჰგონებ იქმნება საქმე ეშმაკისა, ბოროტისა კაცისა და ქვეყნის მტერისა. მამა-პაპათა სისხლი დაუღვრიათ ქვეყნისათვის და მეფეთათვის. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისთვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ ბატონსა ჩემსა დედოფალსა, სიტყვათა ამათ“.

მეფის ძე გიორგი, მორიდებული მამისა და დედინაცვლისა, არ ინახვინებდა არცა დესპანთა და არცა კარისკაცთა, რათა არა წარმოსთქვან რაჲმე სიტყვა და არ მივიდეს ჰაზრი რაჲმე ახალი მეფისადმი მასზედ გაიჟვიანებულისა.

ქუთათელი და გენათელი, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მიუთხრობდეს დედოფალსა იმერეთისა მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოხდება ერთობა ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილისშვილისა ხელთაგან.

დღესა მესამესა, შემდეგ პირველისა, იყო შეკრებილება მეორე. ჭაბუა კვალად იტყოდა მასვე: კათოლიკოსი ანტონი ამტკიცებდა მათსა ჰაზრსა. მაშინ მეფეშან უბრძანა მეფის ძეს გიორგის: „რასა იტყვი, გიორგი, შენ?“--„ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ, იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა,—იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და საბად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს,—ბრძანებს მაცხოვარი“.—სიტყვანი ესენი მოიწონეს შეკრებულთა მსაჯულთა. ჭაბუამ კვალად აღამაღლა ხმა და მოსთხოვა მდაბლად, რათა თანახმა იქმნეს მეფე ერთობისა ჰაზრისათვის და აღასრულოს თხოვნა იმერეთისა დესპანთა. მაშინ მეფე აღსდგა და ბრძანა: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული.—დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშ-

შვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით-თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა". ესრეთ დაბოლოვდა დესპანობა და ჰაზრი ერთობისა.

მასვე წელსა 1790 წარავლინეს ჯარი ქართველთა 4.000 და თანა-ჰყვა სარდლად მუხრანის ბატონი იოანე, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ეშიკაღას-ბაში ჩოლაყაშვილი; ანდრონიკაშვილი რევაზ (ცოლისძმა მეფის ძის გიორგისა), და მეფის ძე იულონ; გარდააგდეს მეფე დავით და განამეფეს სოლომონ მეორე ქუთაისს.

XIII

ესრეთ დაბოლოებულსა საქმესა ამას შეუდგა 1790 წელსა მხოლოდ დაკავშირებითი ტრაქტატი შორის ქართლისა და კახეთისა, იმერთა და მთავართა ოდიშისა და გურიისა. აჰა ნამდვილი ესე პირობაებითი მათ შორის წესდება [*].

1.

„ტრაქტატი იერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა.

ვინაიდგან ყოველთავე იერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ-მორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მჭონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.

ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა იერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითოეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილისშვილსა ჩემსა სოლომონს და

---

[*] ესე ვჰპოვე ალექსანდრე ონიკოვისა ქაღალდებში, რომლისაცა მამა ნიკოლოზ კიკოლა დიაკვნად წოდებული, ახლდა მწერლად მეფესა გიორგის. იყო, მერეთ დეპუტატად რუსეთშიაც და აღწერაცა მოგზაურობა თვისი, არა მოწევნული დროთა ჩვენთადმი, ვითარცა მიამბო შვილმან მისმან ალექსანდრე.

მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს, და მთავარსა გურიისას სვიმეონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოჲსა ივერიისა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოჲსა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყანისა თქვენისა, და ყოვლისა შეძლებისა ჩემისამებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად ძეთა იმერეთისათა, ვითარცა მამა საზოგადო მათი.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა შემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარიცა მაქვნდეს შეკრულება, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბამად ერთისა უავღუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა და საზოგადოდ ერთა სჯულ უდებ, საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოჲსა ივერისათანა და ვამცნებ ყოველთავე რათა მტკიცედ ექმნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლე-

სიურთა. იყავენ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამისა ჩემისამებრ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.

დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარეჯან.

საქართველოს კათოლიკოსი ანტონი.

ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე[7].

2.

ტრაქტატი მეორე ნაცვლად პირველისა.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ყოველისა საიმერეთოჲსა შვილისშვილი თქვენი სოლომონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათა, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოჲსა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოველისა სამეფოჲსა ჩემისა და [ვიყო]* მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდებისათვის ქვეყანისა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინააღმდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, ვითარცა თანამდები მეფე დისწული მათი.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მბედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარიცა აქვნდეს უმაღლესობასა თქვენსა შეკრულება,

[7] ტიტული ესე მიიღო მიბაძვით რუსთა დესპანთა მინისტრობისა, 1785 წელსა ამავე ტიტულით იწოდა თვით მეფისა ირაკლისაგან სულხან ბეგთაბეგიშვილი, მამა ისაკ მდივნისა.

* ხელნაწ. „ყოველი".

ვიყო თქვენთანა მქონებელი, .თანახმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩვენისათვის, მფარველობითა ერთბამად ერთისა უაღლუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით თავადთა ყოვლისა იმერეთისათა, კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა სჯულეუდებ საუკუნოდ ერთგულებად შეერთებასა ამას ზემოჴსა ივერიის‹ა თანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკკლესიურთა, იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარი‹ა თანამდებობა ჩემი, და ‹ჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამის ჩემისამებრ.

მეფე ყოვლისა საიმერეთოჴსა
სოლომონ.
დედოფალი ყოვლისა საიმერეთოჴსა
მარიამ.
ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

3.

ტრაქტატი ჴესამე ნაცვლად პირველისა.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მე, მთავარი ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანი გრიგოლ, ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოჴსა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამთავროჴსა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდებისათვის ქვეყანისა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღმდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა, ვითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვით და საქმით შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვარ შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპერატოროსა კარისადმი, ვითარიცა აქვნდეს შეკრულობა უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მჭონებელი თანხმობისა მფარველობათა თქვენთანა ერთბამად ერთისა უაღლუსტესის კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათშინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით სახლისწულთა ჩემთა და თავადთა სამთავროჲსა ჩემისათა, კეთილშობილთა და ერთა სჯულეუდებ საუკუნოდ ერთ-გვამად შეერთებასა მას ზემოჲსა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამას ჩემისამებრ.

4.

ტრაქტატი მეოთხე ნაცვლად პირველისა.

მე მთავარი გურიისა სიმეონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოჲსა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ქვეყანისა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად სახმარყოფისათვის სამეფო[ჲ]სა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღმდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა, ვითარ ნათესაობითა, თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო სახმრად თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპერატოროსა კარისადმი, სადაცა და ვითარიცა აქვნდეს შეკრულება უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანახმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩემისათვის მფარველობითა თქვენთანა ერთბამად ერთისა .უავღუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევეკვრი თანამდებობითა თვით ხალხისწულთა ჩემთა, თავადთა, აზნაურთა და ერთა სამთავროჲსა ჩემისათა, სჯულეუდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ზემოჲსა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამის ჩემისამებრ“.

—

ოთხად დაწერილნი პირობანი ესენი, ხელმოწერილნი და ბეჭედსმულნი მეფეთა და მთავართაგან, მღვდელმთავართა და მოხელეთაგან, განცხადნენ ყოველგან.—კოპიონი მათნი წარუდგინეს იმპერატრიცას ეკატერინას მეორესა. თვით სოლომონ ლიონიძე მისრული კართაზედა იმერთა მეფისა და მთავართა დადიანისა გრიგორისა და გურიელის სვიმონისა, მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინებდა შინაკავშირითა, გაეუქმებინა გარეკავშირი. ერი, დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დამდაბლებული. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშე შესული არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხარად აგდებული. ვითარცა დამკარგველი თვითმყოფობისა, კარგავს სულისა თვისისა საკუთარსა ძალასა და ღირსებასა. უძლური სულითა, კარგავს სხეულისაცა ძალასა: ენა და მეტყვე-

ლება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოელება ერსა დამონებულსა უცხოსა ნათესავისა ენითა და ჩვეულებითა.

ოთხასითა წლითა განმტკიცებულნი კერძოობითსა უფლებასა ზედა სამთავრონი, მოისმენდნენ ლიონიძისა სიტყვათა ერთობისათვის. გარნა სადღა იყო ძალი დამაკავშირებელი მათი? ოდეს მეფემან ირაკლი მეორემან დაკარგა ერთმეფობისა იმერთა ერისა თხოვა, დაკარგაცა ძალი კავშირისა. ხმა ლიონიძისა იყო ხმა ღაღადებისა უდაბნოსა; ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა. იხილა ესე ლიონიძემან ადრევე და შორსმხედველმან ვერღა ჰპოვა ღონე სხვა დაცვისათვის მეფობისა, რომლისათვისცა, გამიგონია მამისა ჩემისაგან, იტანჯებოდა იგი. ესეცე იყო მიზეზი, რომელ შემდგომად მეფისა გიორგისა, წარვიდა იმერეთსა და მუნით სპარსეთსა და მოკვდაცა მუნ დამტირებელი ქვეყანისა და მრავლად დატირებული სომეხთა კათალიკოსისა ეფრემისაგან, რომელთანაცა ცხოვრებდა რავდენსამე დროსა. სიკვდილი მისი იყო ვგონებ 1810 წელსა ანუ მცირედ შემდეგ.

XIV

მეფის ძე გიორგი, დროთაგან ყმაწვილობისა, ვიდრე 40 წლამდე ცხოვრებისა თვისისა, იყო ტანით წვრილი, მაღალი და ბრგე. 1785 წელიწადიდამ შევიდა სიმსუქნეში, განსქელდა დიდად და თუმცა ესრეთმა სიმსუქნემან უფრო ახოვანჰყო იგი, გარნა ველარ ჯდებოდა ცხენსა თავისუფლად და ვერცა იქმნებოდა მარდი, ვითარცა პირველ. შემდეგ შეეჩვია შინა ყოფნასა, და მოთხოვნილებისა გამო დიდისა გვამისა მიიღებდა სანოვაგესა მრავლად და მადიანად მარადის. ჩვეულებასა ამას შეუდგა მდიდრად სადილისამზადება და ხანგრძლივ მირთმევა სადილისა მეჯლიშისა წესითა. პური სადილისა მისთვის იყო გამტკიცული თეთრი და ყოველ დღე ცხვებოდა სახაბაზოსა. ბრძანებისამებრ მისისა აქვნდათ ნება ყოველთა ქალაქისა მცხოვრებთა მხოლოდ სნეულთათვის და ავათმყოფთა წარელოთ პური სახლად თვისად. ყოველ დღე ხსნილისა დღეთა, მცნებისამებრ მართლმადიდებელისა ეკლესიისა, იკვლოდა ძროხა, ფლავი ქათმითა და ზირიშკითა შემზადებული, მიერთმოდა ყოველ დღე; ეგრეთვე შემწვარი და აფხაზური. დიდად უყვარდა ზაქი წლეული ანუ უფრო მოდიდო, სილბილისა, სითეთრისა, გემოვნებისათვის მისისა ხორცისა; უმეცარნი და მეშურნენი და მტერნი მისნი ჩუმნი და ფარულნი ეცინოდნენ მას ამისათვის და იტყოდნენ სიცრუით: „მრთელსა ზაქსა სჭამსო“. წესისამებრ სადილობისა ძველისა და ახლისა, პირველ მეფეს მიერთ-

მეოდა კერძი და რადგანაც ზაქისა და საუკეთესოჲსა საჭმლისა ნაჭერნი მიერთმეოდენ მას მრავლად აქედამ, შედგა ცილისწამებაცა: მრთელსა ზაქსა შეჰამდაო. აქვნდა მას ჩვეულება, ვითარცა დადიანისა კარზედაც მინახავს, რომელ მიიღებდა ნაჭერსა დიდსა თვით, და სხეათა თვითვე დასახელებითა სტუმართა, უბოძებდა, ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა. ნაცვლად ბბოჲსა მიირთმევდა ზაქისა წლეულისა ანუ მეტისა ხორცსა. ზაქის ხორცი არის დიდად ლბილი, ფრიად გემოვანი და ფერით დიდად თეთრი, მრავლით უკეთესი ხბოს ხორცისა.

ღვინო უყვარდა წითელი და აქვნდა უკლეველი ხოდაშნური და ყვარული, რომელსაცა ცალკედ დიდად განმწმენდილსა ქვევრში შეამზადებდენ საწელიწდოდ კარისათვის მეფისა. თვით მიირთმევდა არა უმეტეს ერთისა ჩარეჩისა ანუ თუნგისა მეოთხედისა. დათრობა მას სძაგდა ვითარცა სიბილწე, და ხუმრობით და სიცილითა დაუწუნებდა სადილსა მისისა მეინახეთა, უკეთუ ვინმე გაურევდა წყალსა და წყალსხმულსა დალევდა ღვინოსა. „გაიგონე რა გიამბო,—იტყოდა განგრძელებულისა ხმისა კილოთი: — თუ გინდა ღვინო წყლიანი, მდაბალი სვი ღვინოო; კარგი ღვინო არ უნდა წახდეს წყლისა შერევითა“. არაყი არ იყო ჯერეთ დიდსა ხმარებაში, გარნა ურჩევდა არა სვან ვითარცა მაწყინებელი აგებულებისა და არცა სასარგებლო, თუმცა მტკბარი თაფლითა, მურაბისა მირთმევის დროს, — ქართველთა ჩვეულებისა წესითა. ორაგული უყვარდა დიდად და სწყინდა მარადის. მკურნალნიცა აყენებდნენ ორაგულისა მირთმევისაგან და არა ერთგზის განკურნესცა წყინებისაგან ორაგულისა. აქაცა შექცევისათვის და ხუმრობითა წარმოიტყოდა სიტყვასა: „ოთახისათვის დარბაზი ვის დაუქცევიაო?“

სადილი მისი არ იქმნებოდა თვინიერ მღვდლისა, რომელიც მარადის მამაო ჩვენოსა თქმითა, აკურთხევდა დაგებულსა სუფრასა, და რადგან იცოდა მცირედ ბერძულიცა, ამისათვის ხშირად თვით იტყოდა ბერძულად „მამაო ჩვენოსა“ და აკურთხევინებდა სუფრასა მღვდელსა. ჩვეულებრივ მეინახენი სადილისა მისისა, იქმნებოდენ ოცი და ოცდახუთამდე კაცი დღე-ყოველ.

დიდოს ლეკნი თთვე ყოველ მაისიდამ და კვალად ზამთრამდე მოგვრიდენ თვისთა ცხვართა და თოხლთა, ვითარცა გემოვანთა დიდად და მრავალით უგემრიელესთა სხვათა მთათა ზედა ნაკვებთა ცხოვართა. მეფე დაასაჩუქრებდა მათ ცხვრებითავე სამეულად; უბოძებდა სამოსთა მათ და ცოლთა მათთათვის. ოდესმე ზაფხულსა მოსძებნიდენ მეფესა ლილოზედ, ოდესმე ქვემო ავჭალასა, სადაც ხშირად განატარებდა სახლობითა ზაფხულისა თვეთა. აქა ჰქონდა სა-

დგურად გურამიშვილის ზაალის სახლი ციხე გალავანიანი მტკვრისა პირსა ნაშენი, სიყრმიდგანვე არ უყვარდა ნადირობა. მონადირეთა დიდ-კაცთა უწოდებდა „კაცთა უსაქმოთა, მოცლილთა“.— „დევნა მხეცთა და პირუტყვთა შეაჩვევს მტერობასა და მესისხლეობასაო, განაბოროტებს გულსაო“. შვილთაცა თვისთა არ ურჩევდა ნადირობისა შეჩვევასა და მართლად არცა ერთი მათგანი, რომელთაცა მე ვიცნობდი, არ იყვნენ მონადირენი, გარდა მეფის ძისა ილიასი, და ესეცა შეჩვეოდა ნადირობასა რუსეთსი.

არ უყვარდა ჯირითობაცა, რომელსაცა უწოდებდა „საგანსაცდელოსა რასამე“, და ამისთვის მხდალად ხადოდენ მიმალულნი მეტოქნი მისნი.

დილითა, შემდგომად ცისკრისა დღე-ყოველ მოსმენისა, მიირთმევდა ჩაისა ილით და დარიჩინით მოდუღებულსა; ჩინეთისა ჩაისა, რომელიც მოერთმოდა რუსეთიდამ, მიიღებდნენ სნეულებისა დროსა სამკურნალოდ, და იშვიათად, ყავა თურქთა წესითა, სტუმართათვის იხმარებოდა ხშირად.

შაქარი დროთა ამათ იხმარებოდა ყანდისა, რომელიცა მოაქვნდათ ვაჭართა სპარსეთიდამ და მისირადამ.—ევროპიისა შაქარსა იშვიათად მოუტანდნენ, რადგან უძვირეს სპარსულისა იყიდებოდა. ესრეთი ევროპიისა შაქარი შემოვიდა სავაჭროდ ახალციხისა გზით, ეგრეთვე ყავა და თამბაქო, თალათინის ტყავები, საპონი მარანდული (ზეთისა) და სხვანი ესე ვითარნი.

XV

მეფემან ქართლისა თეიმურაზ მეორემან, ჯერეთ შვიდისა წლისა მეფის ძესა გიორგის, შვილისშვილსა თვისსა 23 აპრილისა დღისათვის ე. ი. სახელწოდებისა მისისა, ბრძანა მოუმზადონ დროშა საუფლისწულო. მისისავე ბრძანებითა მოიღეს ყვითელი ატლასი და მასზედ მოქსოვეს ხატი მეტეხთა ღვთისმშობლისა ფერადებითა და კილიტებითა. მომქსოვი მისი იყო ამირეჯიბისა როინისა ასული და ქვრივი როსტომ ციციშვილისა ანასტასია, რომელიცა ახლდა დედოფალსა ანა-ხანუმს, თეიმურაზ მეფისა მეუღლესა და არღა შორდებოდა მეფისა სასახლესა, და რომელიცა იყო საყვარელი და დაახლოვებული დედოფლისა თამარისა, პირველისა ცოლისა თვით თეიმურაზ ნეფისა.

კათოლიკოსმან ანტონი უკურთხა დროშა ესე და მიართვა მეფის ძესა მეტეხისა ეკკლესიასა შინა, პარაკლისისა გარდახდითა. დღესა

ამას იყო დიდი პატივობა სტუმართა სასახლისა პალატებში, ქალთა და კაცთა. ამასავე დღესა აღსაზრდელად მეფის ძისა, შესწირეს მეტეხისა ეკკლესიასა, ვითარცა კარისა ძველად საყდარსა და კათოლიკოსისა მეტოქესა, ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი, რომელიცა დაიკარგა 1795 წელსა, სამი კომლი კაცი და ერთი ხელი შესამოსელი, და მიუბოძეს წინამძღვართა მისთა რქმი შეწირულობისა.

ხატნი ესე ძველი თვით ნამდვილი დაიკარგა თფილისის აღებისა დღესა 1795 წელსა სპარსთაგან; ხოლო დროშა დღესაცა არის სახლსა შინა ჩემსა დაცული. ბუშტი ეკლესისა და თვით ძელი, რომელზედაც იყო დამყარებული სახე ღვთისმშობლისა, განაქარვა მამამან ჩემმან 1830 წელსა შიშისათვის რუსთა მთავრობისა: ეშინოდა, არა ჰკითხონ, რად გაქვს დროშა ესეო. ძმაცა მამისა ჩემისა მარადის შფოთის ჟამსა აშინებდა და ეტყოდა: ორგულობისათვის რუსეთისა გაქვს დროშა ეგეო.

მაშინ შეშინებულმან დასწვა ხე, რომელზედაცა იყო ბმული თვით ხატი. ხისა ამის თავზედ ნაკეთი ეკლესისა ბუშტი გაყიდა და ფასითა ამით უქმნა კიოტი ფიცრისა, დაეკეცა დროშასა ამას სამსხივად გრძელი ფრთები და ჩასდვა კიოტსა შინა მინითა დაფარული; დაისვენა თაყვანის საცემლად სახლსა შინა თვისსა. ამა დროდმდე დროშა ესე იყო ბუდეში ჩადებული. და კრძალვიდა კარის წმინდის გიორგის ეკკლესიისა შინა, დღითგან მეფის გარდაცვალებისა.

ხატისა ამის კოპიოსა ახუ პირისაგან სჩანს, რომელ თვით ნამდვილი იყო შემზადებული დომენტი კათოლიკოსისაგან, ამისთვის რომელ, ქვე ხატისა ღვთისა დედისა ხატია თვით დომენტი მუხლმოდრეკით და ხელთა განპყრობითა ღვთისა დედისადმი მვედრებელი.

XVI

1790 წელსა, ჯერეთ მეფის ძეს გიორგის, დადიანმან კაცია მოუგზავნა დესპანად ჰყონდიდელი ანტონი და თავადი ბეჟან დადიანი, რათა მოსცეს შვილსა მისსა გრიგორის, მეგრელთა სამთავროჲსა მემკვიდრესა, ცოლად ქალი ნინა. მეფის ძემან არა სთქვა უარი და აუწყა მეფესა ირაკლის, რომელმანცა ბრძანა თანახმობა. აპრილისა თთვესა, შემდეგ ათისა დღისა პასექიდამ მოვიდა თფილისს თვით საქრმო გრიგორი 50 სულითა თავადთა, აზნაურთა და გლეხთაგან ხლებული. დიდითა დიდებითა სადმე მობრძანდა დადიანი თფილისს. არცერთი არ დარჩა დიდთა კაცთაგანი, რომელსაც არ უბოძა საჩუქარი ეკლესისა ნივთთა. ორმოცი და მეტიცა გასცა ქარვისა და მარჯ-

ნისა ქრიანესული ფასოვანი. მეფესა და დედოფალსა მოართვა ორი ოქროს თასი, თუმცა მუნ მეგრელიაში, გარნა დიახ მშვენიერად ნაკეთი. მეფის ძეს გიორგის — ექვსი ჯორი დიდ-ტანოვანი, კათოლიკოსსა — ომფორი ძვირფასი.

დასწერეს ჯუარი სასახლისა ეკკლესიასა შინა და დიდითა მზვითითა წარიყვანეს მეფის ასული, მშვენიერებითა სავსე ნინა, მენგრელთა ზუგდიდს. სიხარულისა გამო, რომელიცა მიიღეს ესრეთისა დაკავშირებისათვის საქართველოჲსა მეფესთან დადიანთა, დადიანმა კაცია შესწირა საყოველწელიწადო ძღვენი მონასტერთა დაეითგარეჯისა, ნათლისმცემელისა, შუამთისა და სხვათა ეკკლესიათა, მოსახსენებელად მათდა. ძველთა დროთა ჩვეულებისამებრ, წარუვლინეს ფულად და ვეცხლეულად ოთხთავე მართლმადიდებელთა პატრიარქთა და განამგზავრეს მათდა არქიმანდრიტი ხოფისა მონასტრისა ილარიონ და მას დროს მეგრელიაში მყოფი ბერძენთა მღვდელმონაზონი მიტროფანე, განმგე იერუსალიმისადმი შეწირულთა მეგრელიაში ყმათა და მამულთა. ესრეთითა წესითა მარადის მოითხოვდნენ ქორწინებისათვის კურთხევასა და ეპისტოლესა ნუგეშად სასახლისა. ესე მიამბო თვით მეფის ასულმან და დედოფალმან მეგრელიისა, ვითარცა იწოდებოდა იგი თვისსა ქვეყანასა, ნინამ, დროსა ჩემისა ყოფნისა მასთანა დაახლოებულად ს.-პეტერბურღს 1844 წელსა. წინათ ამისა წელიწადისა მიათხოვა ქალი ბარბარე სვიმონ ანდრონიკაშვილსა, კაცსა მდიდარსა ყმითა და მამულითა, მეფისა ირაკლისა საყვარელსა ა ვექილად მჯდომსა განჯას, რომელიცა აძლევდა მეფესა მას ხარკსა (ყოველწლივ 3.000 თუმანსა). მესამესა წელსა მიათხოვა ქალი თვისი სოფიო თარხნიშვილსა ლუარსაბსა. დიდი იყო ლხინი და შეკცევა ქორწილისა გამო მეფის ასულისა ნინასსა. მეგრელთა თავადთა უკვირდათ წესი ღვინისსმისა, და მეტადრე, როდესაც ერთი მეორესთან მივიდოდა სხვითა და სხვითა სასმელისათვის. მომზადებულებითათა ჭურჭელითა და არა ეტყოდენ „ალავერდი და იახშიოლ“, ნაცვლად ლექსთა ამათ ჭყონდიდელსა ანტონის, კაცსა ფრთხილსა ცხოვრებითა, მიაგებებდა ჭაბუა მდივან-ბეგი, კაცი მეცნიერი ჭურთასსა სავსესა ღვინითა და ეტყოდა: „შეუდგები, ქრისტესა?“ ესე სიტყვა და თქმა, ჯერეთ უცნობი იმერეთსა და მეგრელთა შორის, შემოიტანეს მეგრელიაში და ამ დრომდგან ხმარობდნენ ლხინისა დროსა, ესე მიამბო მანვე მეფისა ასულმან ნინა.

XVII

სხვათა და სხვათა ჰურჰელთათვის, ღვინისათვის სახმართა საქართველოს დაწერა ლექსად შაირი მღვდელმან ეფრემ ალექსიევმან. მეფისა გიორგისა სახლობისა მოძღვრისა შვილმან. დაუკარგველობისათვის დავურთავ მას აქა:

(„მ ი ვ ე ლ დ ა ვ ნ ა ხ ე“ — ამ ხმაზედ ითქმის სიმღერა ესე):

ბახუსმა რანიც [1] მოგვცა სასმური,
ეს არს აწ ნახე, ლიტლიტად [2] ჰური,
ზენათ ქვე ვრიცხოთ [3] ნოეს დასტური,
ცრუმ ბილწმა [4] მახმედ, რას დროს ჰყო შური,
არსო ბოროტი კივის [5] მაცთური,
უმანკო კარგსა [6] არქვა საცთური,
ჩვენ გვრჩა ფიალი [7] სმა საამური,
ხმობს დიდო, ქისტი [8], ფშავი, ხევსური
თუ დაგვახელა დავრთოთ [9] ზედ პური.
მუნჯი ხვიხვინებს [10], სულთ მანიშნურებს,
აჯა მისმინეთ [11], მეცა ვარ მწყური;
ჰკრა ბაზარ-ბაზარ ფეშანამ [12] ყური
ფერხთა სიმალით [13], იქმნა მაშური.
სთქვა, ვსვამ, თუნდ მარტყან წიხლი [14] კახური,
მთლივ დასტა ქანჩით [15], კრულჰყო ნათხზური,
შესევა, იქმნა დრკუ ლაღად [16] ნახური,
სმათ არა [17] სჯერა, ეს უსახური,
კელავ მოდრკა, თხარა [18] ყველა ბახური.

ამისგანვე თქმული, მარანზედ დასაწერი:

ეს ნეკტარი წყაროო, ყოველთ სასური.
რას იქმს აწ ნახე, ლიტლიტად ჰური
ამაზედ სჯულმან, მოგვცა დასტური:
ეგოდენ შესევი, ვინემ ხარ მწყური,
ეს სჯულია, ქართულ-კახური

---

[1] მარანი. [2] საწნახელი. [3] ქვევრი. [4] რუმბი. [5] ტიკი. [6] კოკა. [7] ჩაფი. [8] დოქი. [9] ხელადა. [10] ჯიხვი. [11] ჯამი. [12] ახარფეშა.—ფეშანა იყო ქართველთა ახნა-[1]ური ყანჩაელი, მეფეთა დროთა კაცი. [13] თასი. [14] ყანწი. [15] სტაქანი. [16] კელა. [17] მათარა. [18] კათხა.

რა რომ შეიქმნა, მით განახური,
მეტს ნულარ იხმევ, მიუპყარ ყური
რომ არ გაგხადოს მან უსახური.

XVIII

აჭა სათქმელია, რაჲც ვიცი სიმდიდრისათვის, მზითვისა დროთა გაოხრებისა სამეფოჲსა მტერთაგან. იკითხვენ, სად ჰპოებდენ ესოდენთა ოქროსა, ვეცხლსა და თვალ-მარგალიტსა? დროთაგან ძველთა მრავლად აქვნდათ ესენი შენახულად. დროდმდე შემოსვლისა რუსეთისა მთავრობისა, სამკაულნი განაშვენებდნენ ქალთა და დედანი ქალთა და რძალთა უძღუნიდნენ უხვად. მოსვლამდე კ. ეორონცოვისა, მოადგილედ ხელმწიფე იმპერატორისა, მრავალნი ესე გვარნი ძვირფასნი ნივთნი, ვერ დაფასებულნი რუსთა მოხელეთაგან, უგვანთა და არა მცოდნეთა მათისა ღირსებისა,—მიეფარნენ. ქართველთა დაყიდეს იგინი, სცვალეს რუსთა ხელოვნებისა სამკაულთა ზედა და საბმარებელად უგულებელს ჰყვეს. მოსრულმან 1844 წელსა კ. ეორონცოვმან ვერღა ნახა ქალნი შემკულნი ძველთა წესითა სამკაულითა, რომელიცა ენახა მას 1803 წელსა, ოდეს ჯერეთ, 23 წლისა ახლდა აჭა კ. ციციანოვსა, დროთა ამათ საქართველოჲსა განმგესა. შესწუხდა დიდად და გამოიკითხა, რად ჰქმნეს ქართველთა ესე? მაშინ მოიძიეს კვალად სახლებში, სოფლებში, დიდთა ოჯახთა შინა და სომეხთა შორის ეს გვარნი სამკაულნი. კვალად განშვენდნენ, კვალად განაბრწყინეს გულნი, ხელნი, პირი და მკერდი ქალთა. მხლებელნი მისნი კნიაზი გრიგორი გაგარინი, ღრაფი სოლოღუბი, კნიაზნი კოჩუბენი და სხვანი, დამფასებელნი სამკაულთა ამათ ღირსებისა, ეკვირვებოდენ, მოიძიებდენ თვისდა და სახლობათა თვისთათვის. წარსულსა არღა ეშველებოდა რა[ჲ]მე. ქართველთა თვით დაინახეს, რაჲ შეუძლიან ერთსა კაცსა, კაცად ქმნულსა. მისთანა მყოფთაცა შეისწავეს მისგან მრავალი, და კვალთა მისთა შედგომილი განმგე ქვეყანისა კ. ბარიატინსკი ეხაროდა საზოგადოსა კავკასიის მხარისა განათლებასა, იყვნენ ნამდვილ პატრონად ქვეყანისა, მოიძიებდენ სიძველეთა, ექმოდენ კეთილთა, აღამაღლებდენ სულითა, ამხიარულებდენ გულითა, ეწეოდენ მოკლებულთა, ქველისმოქმედებდენ; სცემდენ ნუგეშსა და ზრუნვიდენ ყოველთათვის, რათა ესრეთ სიყვარულითა, ალერსითა, ღიმილითა და მათთანა დაახლოებითა, დაეკავშირათ ქართველი რუსთანა... მრავალთა რუსთაგანთა არა მოსწონდათ ესრეთი მათი ჰაზრი. ჰგონებდენ და იტყოდენ—რყენიან ხალხსაო. უგუნურთა მრავალ-

თა არ ესმოდათ, რომელ შიში მონებისა დაბადებს მონათა და მსახურთა მზაკვართა და არა სიყვარულითა დამოკიდებულთა... აწ საგნისა ამისთვის ვსდუმებ... ვიტყვი პირველსავე სიტყვასა ქალთა მზითევისათვის და მოვიღებ აქა ნამდვილსა მას მზითვისა სიასა, რომელიცა იპოება დღესაცა კ. მანანა ორბელიანისა სახლში. აჰა პირი ნამდვილისა მის სიისა, საცნობელად შემდეგთა დროთათვის:

ვჰგიეთ და აწ.....

და მეფე ერეკლე [8] ქართლის გამეფდა.....

,,..... ჟამთა შინა ვინებეთ და დავემძახლენით..... ერისთვის ისონის შვილი ბატონი თეიმურაზ... შვილი ჩვენი ერისთავი ბატონი ბაინდურ, ძმა ჩვენი ბატონი ედიშერ, შვილი ჩვენი იასონ, ბიძაშვილი ჩვენი ბატონი ზურაბ, ბატონი ოტია; მდივან-ბეგი: ბატონი პაატა; ჯვარის მამა ბატონი არსენი; ხარჭაშნელი ბატონი გრიგოლ; ბატონი ვამეყ; ბატონი ვახტანგ; და ბატონი ბეჟან;—თქვენ, ორბელიანისშვილებსა საქართველოში უფროსად დადგინებულსა, და დიდად პატივცემულსა, ბატონს ასლან-ბეგს; ძმასა თქვენსა სარდარს ბატონს თამაზს, შვილსა თქვენსა, ჩვენს სიძეს ყულარაღას: სარდარს ბატონს ლუარსაბს; ტფილელ მიტროპოლიტს ბატონს დომენტის, ბატონს ქაიხოსროს; ბაზიერთუხუცესს ბატონს ოთარს, მოლარეთუხუცესს ბატონს მანუჩარს; მეჯინიბეთუხუცესს ბატონს რევაზს; თქვენს ძმისწულს ბატონ სულხანს; ბატონ პაპუას; ბატონს მამუკას; ბატონს ერასტის; ბატონს გორჯასპის; ბატონს რამაზს; ბატონს ვახუშტის; ბატონს ზურაბს, ყაფლანს, ფირანს, ნიკოლოზს, მზეჭაბუკს, ზურაბს, რევაზს და დემეტრეს; რადგან ჩვენი მოყვრობა მოინდომეთ, ჩვენც დაგემოყვრენით და მოგათხოვეთ ჩვენი საყვარელი და სახაფიფო თვალთა ჩვენთა სინათლე, და გულისა ჩვენისა სიმხიარულე, ჩვენი მაპატიოსნებელი და ნუგეშინის მცემელი, სამოთხის მსგავსად განშვენებული, ჩვენი ბატონი ანნა და გამოვატანეთ მზითვად: პირველად ხატი წმინდისა სამებისა მის[ის] ნაქსოვის ბუდითა და პირ-სახურავითა; კიდევ ხატი ერთი ყოვლად წმინდისა მისის ნაქსოვი ბუდითა და პირ-სახურავითა; კიდევ ხატი ერთი წმინდისა მარინისა მისის ბუდითა და პირ-სახურავითა, მისის ერთი ზარბაბის ფარდითა; ერთი კარგი ჟამნი მისის ზარბაბის ბოლჩითა; კიდევ ერთი დაუჯდომელი მისის ლოცვებითა, ერთი იელქანი ოთხი ათასი ხოშორის მარგალიტითა, მისის პატიოსნის თვალითა, იაგუნდითა, ზურმუხტითა და ფირუზითა; კიდევ ქუდი კარგი და პატიოსანი; თალფაქი თხუთმეტი ათასის ხოშორის მარგალიტითა; ერთის პატიოსნის დიდის ზურმუხ-

[8] ესე ირაკლი იყო პირველი, წოდებული ნაზარალი-ხანად.

ტითა, მისის შეფერებულისა ლალითა და ზურმუხტითა და სამი ათასის კილიტითა; პირის მარგალიტი კარგი და პატიოსანი ოთხმოცდასამი მარცვალი; კიდევ ერთი პატიოსანი საყური ბადახშანის ლალისა, ორის მარგალიტითა, მისის ორის ნიშაბურის ფირუზითა, მისის პატიოსნის ჯინჯილითა; ორმოცის ფრანგი-ფარსანგის იაგუნდითა, მისის ფირუზ-ქარითა. ოთხის კავითა, მისის ოთხის ნიშაბურის ფირუზითა; ერთი ყელსაბამი კარგი და პატიოსანი ასორმოცის მარგალიტითა, თორმეტის ფრანგი-ფარსანგის იაგუნდითა, ცხრამეტის ზურმუხტითა, თოთხმეტის ნიშაბურის მისის ხუთის ფირუზ-ქარის თითრიმითა, მისის ხუთის იაგუნდითა; მისის ოცის ოქროს თითრიმითა; ერთი მაქარა მარგალიტისა; ყელის ჯაჭვი ოცდათხუთმეტის ნიშაბურის ფირუზითა და თვალითა; სამოცის მსხვილის მარგალიტითა; მისის მუშაბახის ოქროს ამბარჩითა და მისის პატიოსნის თვალებითა; კიდევ ოქროს ყელის ჯაჭვი, მისის მურასა მინანქრის ამბარჩითა; სამის პატიოსნის დიდროვანის ყვითლისა ფრანგი-ფარსანგის თეთრის იაგუნდითა; ერთის პატიოსნის ბადახშანის ლალითა; კიდევ ყელის ჯაჭვი ოქროსი მისის ფირუზ-ქარისა ამბარჩითა; ცხრამეტის ბადაღჩანის ლალითა; თერთმეტის ზურმუხტითა; კიდევ კარგი და პატიოსანი ბეჭედი ალმასისა; კიდევ ოთხი ფრანგი-ფარსანგისა ყირმიზის იაგუნდის ბეჭედი; კიდევ ერთი კარგი ბეჭედი ფრანგი-ფარსანგისა ლურჯი იაგუნდისა; კიდევ კარგი და პატიოსანი ბადახშანის ლალისა; კიდევ ბეჭედი სამი ზურმუხტისა; კიდევ ბეჭედი უმრუზულის მარგალიტისა; კიდევ ბეჭედი ყვითლის იაგუნდისა დუნჯისა; გულის პირის ჩამოსაყელები სამი ათასი ხოშორის მარგალიტითა; თხუთმეტის ფრანგი-ფარსანგის იაგუნდითა; თხუთმეტის ნიშაბურის ფირუზითა; პერანგის ღილი ცხრა კარგი და პატიოსანი ფირუზ-ქარისა; კაბის ღილი ათი მურასა ორასის იაგუნდითა; კიდევ კაბის ღილი ცხრა მუშაბახისა; დანა პატიოსანი მურასად მოჭედილი სამოცის იაგუნდითა და ფირუზითა და მინანქრის ტარითა; კიდევ ერთი პატიოსანი დანა მინანქრისა; კირიელეისონი ერთი ლალის ცილისა თორმეტის ოქროს ბირკითა; კიდევ კირიელეისონი გიშრისა ოცდაექვსის ოქროს ბირკითა, თხუთმეტის მსხვილის მარგალიტითა, სამის მარგალიტის გოგრითა, ერთის ფოჩითა; კიდევ კირიელეისონი ქარვისა; ერთი კირიელეისონი მარჯნისა; ერთი კიდევ კირიელეისონი ქარვისა; ერთი თმისატანი მურასა, კარგი და პატიოსანი ორი ათასის ხოშორის მარგალიტითა; სამოცის ოქროს მილებითა; თავსაკრავებისაგან: ხუთი თავსაკრავი მუყიაშისა; ხუთი თავსაკრავი ფერად-ფერადი; კიდევ ერთი თავსაკრავი ოქროს კილიტისა; საპირის-ფარეშოსაგან: ერთი ვერცხლით მოჭედილი გოდორი; ერთი ვერცხლით მოჭედილი სადაფი მი-

სის ბროლის გასალესავითა, მისის ზარბაბის ბოხჩითა; ვერცხლის საჩხირე მისის სამის ვერცხლის ჩხირებითა; სასურმე ოქროსი; კიდევ ერთი თმისა საყოფი; ერთი ჩქიფი; ერთი ჩოფი; ერთი ვერცხლის ლანბაქი; ერთი სადა თასი ვერცხლისა; კიდევ ერთი დიდი ჯამ-თასი; ერთი ფეხის ქვა მოქედილი; ერთი კიდევ დიდი ჯამ-თასი; ერთი ავანი და ავანდასტი; ერთი აბანოს პერანგი; ერთი ყალამქარის ყადიფა; ერთი დარაიის ფუტა; ერთი პირსახოცი; სამი აბანოს ზინარნდოზი; ერთი სუზანი; მიქვრიტანებისაგან: ერთი მიქვრიტანი ძურასად მოქედილი; ერთი კიდევ ვერცხლით მოქედილი და ოქროთ დაფერილი; ერთი კიდევ მიქვრიტანი სალამანდროსი; სკივრებისაგან: სკივრი ერთი სათაბანდისა, მისის წვრილმანითა და ბალასად შეკერილისა ბოლჩებითა; კიდევ სკივრი ერთი მოქედილი დიდის მიქვრიტანითა; კიდევ კოლოფი ერთი სადაფ-ქარისა; საწერელი ერთი კარგი და პატიოსანი თევზის კბილისა, ოქროს რაზებითა და მისის იარაღითა და მაკრატლითა და ყალამ-თრაშითა; სუფრის იარაღისაგან: ერთი ოქროს თასი სამოცდა ათის ფლურისა; კიდევ ერთი ფიალა ვერცხლისა; ერთი კულა ოქროთი მოქედილი; ერთი თეფში ვერცხლისა; ერთი ჯამი ვერცხლისა; ერთი სამარილე ვერცხლისა; სურა ვერცხლისა; ერთი გულაბანდი ვერცხლისა ოქროთი დაფერილი; ერთი ტაშტი-წუნწუმა ვერცხლისა; ერთი სასანთლე ვერცხლისა; ერთი თასების ზირანდაზი; ქვეშაგებისაგან: საბანი ორი ზარბაბისა; ორი ნაზბალიში ყურისა, ზარბაბი აკრავს; ორი ყურის ბალიში, ფერადი ზარბაბი აკრავს; ორი სასთაული ხავერდისა, ზარბაბი აკრავს; დოშაქი ერთი, ხავერდი აკრავს; ზეწარი ორი; ჩარჩამი ერთი დარაიისა; ტანისამოსისაგან: ერთი ყირმიზის ხარას ტყავი, შავს სიასამურს აკრავს, მისის მსხვილის მარგალიტის ქურთ-ბაღებითა და სირმის ზორნითა და ფოჩითა; კიდევ ერთი ტყავი თეთრის დიბისა, შავს სიასამურს აკრავს მისის ხოშორის მარგალიტითა, ოთხის გოზრითა და ოთხის მარჯნის ფოჩითა და თითრიმითა; კიდევ ერთი ზარბაბის ტყავი, კურდღელს აკრავს; ტყავ-კაბა ერთი, ხალასად შეკერილი, შავს სიასამურს აკრავს; ერთი ქათიბი, ხალასად შეკერილი, შავს სიასამურს აკრავს მისის სამის ოქროს ხრიკითა; კიდევ ერთი ქათიბი დიბისა, კურდღელსა აკრავს; ერთი შარა-ქალი საიისა მისის ვერცხლის ხრიკითა; ერთი თეთრის დარაიბაბთის კაბა მისის ცხრისა ოქროს ჩაფრასტითა და ხუთის ჯუფთის ოქროს სახელის ხრიკითა; კიდევ ერთი ნარინჯისა დარაიბაბთის კაბა; კიდევ ერთი თუსტუხის დარაიბაბთის კაბა; კიდევ ერთი ზარბაბი შალის კაბა; კიდევ ერთი მწვანე დარაიბაბთისა; კიდევ ერთი ყვითელი დარაიბაბთის კაბა; კიდევ ერთი მწვანე დარაიბაბთის კაბა; კიდევ ერთი ნარინჯი დარაიისა კაბა;

კიდევ ერთი იისფერის დარაიის კაბა; კიდევ ერთი ყვითელი დარაიის კაბა; საგულე ერთი ზარბაბისა იისფერი; კიდევ ერთი დოლბანდის ზარბაბი; კიდევ საგულე დოლბანდისა ალისფერი; კიდევ საგულე მწვანე ზარბაბისა; ახალუხებისაგან: ახალუხი ერთი დარაიბაბთისა მისის ოქროს ჯაჭვის თვალებითა; კიდევ ერთი ახალუხი ყალამქრისა მისის ნაქსოვის სახეებითა და დარაიის ბოლჩითა; სარტყლებისაგან: სარტყელი ერთი ფათისა; კიდევ სარტყელი ერთი ზარბაბისა; კიდევ სარტყელი ერთი შალისა; პერანგებისაგან: პერანგი ცხრა ფერად-ფერადი; ცხრა მისის ამბანაგითა და მისის ბოლჩითა; ჯორაბებისაგან: ჯორაბი ხალასად შეკერილი ორი; კიდევ ჩიგინით შეკერილი ერთი; მაშია ცხრა; ჩაქმა ერთი; კიდევ ხალასად შეკერილი ერთი ოქრომკედით; ხელსაგდები სამზეური ერთი ოქრომკედით ნაკერი; კიდევ რუფაკი ზარბაბისა ერთი; კიდევ გამოგვიტანებია: პატიოსანი გამდელი მისის საყბეურითა, ოქრო ყელის ჯაჭვითა, ცხრა ოქროს ღილითა, რვის ბეჭდითა, ზურმუხტითა, იაგუნდითა, და ფირუზითა და მარგალიტითა, ტყავითა, ტყავ-კაბითა და შვიდის ხელის ტანისამოსითა; ერთის ორხოვითა; ერთის ხალიჩითა, ერთის ჯუფთის ფარეშითა, ერთის ზანდუკითა, ვერცხლის თასითა; ცხრის სპილენძის ჯამითა და თეფშითა; ერთის სპილენძის სურითა, ერთის სათბობის თუნგითა; ქვაბითა, ტაშტითა და ალთაფითა და ფისაოსითა; კიდევ პირის ფარეში პატიოსანი, ხუთის ხელის ტანისამოსითა, ტყავითა, ტყავ-კაბითა, ცალის მაფრაშითა, ზანდუკითა და ზანდუხჩითა და სამის ჯამითა და თეფშითა; გამოგვიტანებია კიდევ პატიოსანი მოლარე ხუთის ხელის ტანისამოსითა, ტყავითა და ტყავ-კაბითა და ერთის მაფრაშითა და ზანდუკითა; კიდევ მედოშაკე პატიოსანი ოთხის ხელის ტანისამოსითა, ტყავითა და ტყავ-კაბითა, ცალის მაფრაშითა და ზანდუკითა; კიდევ პირის ფარეში სამის ხელის ტანისამოსითა, ტყავებითა და ტყავ-კაბებითა; კიდევ ერთი გამდელის გოგო; მერიქიფე გურმი-შვილი (?); სუფრაჯი მტერიშვილი გიორგი; საფარეშოს იარაღისაგან: ორხოვა ჯუფთი ერთი; თაქნაბადი ჯუფთი ერთი; გაბასეზანი ერთი; ფარდა დიბა-ზარბაბისა ერთი; ზანდუკი სამი; მაფრაშა თალათინისა; ჯუფთი ერთი; სუფრა ყალამქრისა ჯუფთი ერთი; კიდევ სუფრა-ბავრაჯის ჩითისა, ჯუფთი ერთი; ფანარი ერთი; ფისოსი ერთი; ფიდანი მისის კოვზითა ერთი; მანღალი ერთი; სათბობი თუნგი ერთი; საბანოე ქვაბი ერთი; კიდევ დიდი ქვაბი ერთი; ტაფა ერთი; ლანგარი მისის ზარფუშითა ორი; სუფრა ყაშული ერთი; ცხრა თეფში; ცხრა ჯამი; ცხრა ლანბაქი; ერთი საბანოე ტაშტი; კიდევ ერთი მომცრო ტაშტი; ერთი ფარეში; ერთი კარგი ცხენი რახტით შეკმა-

ზული ოზბეგურის უნაგირითა; ერთი მისი შათირი .
(ბოლო წერილისა ამის არღა იყო).

მითხრეს, რომ ესე გვარნი მზითვისა სიანი აქუსთ სახლებში შენახულნი დიდისა გვართა საქართველოჲსა კაცთა [9].

XIX

მოხუცმან 75 წლისა მღვდელ-მონოზონმან ათანასი შიო მღვიმელმან, გვარითა ამილახვარმან, 1846 წელსა მომითხრო ამბავი მეფის გიორგისათვის შემდეგი:

მეფის ძე გიორგი ექვსის წლისა წინათ ქალაქის წახდენისა (1789 წელსა) მობრძანდა შიო-მღვიმეს და თანჰყვნენ კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი ბესარიონ გარსევანაშვილი (8 თთვე იყო კათედრასა) და თეოდორე ბერძენი, წინამძღვარი მთავარ-ანგელოსისა ეკვდერისა, მცხეთისა ეკკლესიისადმი მიდგმულისა.—მიეგებნენ მთიდამ ჩასავალსა ბილიკსა შემოსილნი მანტიითა წინამძღვარნი უდაბნოჲსა და მონოზონნი ხატითა, ჯვარითა და საიაზმითა. მისრული უდაბნოსა, შევიდა და თაყუანი სცა წმინდისა შიოს საფლავსა და წმინდათა მისთა ნაწილთა. იწყეს მწუხრი დიდი გალობითა იოანე ნათლისმცემლისა ეკკლესიასა შინა, და მერეთ შებრძანდა განმზადებულსა მისთვის სენაკსა. აქა მიირთვა ვახშამი საყველიერო და უბოძა შეკრებულთა მლოცველთა ღვინო თვითოსა, მეკომლესა თვითო ხელადა.—მხიარულმან მეფის ძემან მოუთხრა ცხოვრება წმინდისა შიოსი ესრეთისა დაწვლილებითა, ესრეთითა ტკბილითა ხმითა და მოთქმითა, რომელ მოიყვანა განცვიფრებასა ბერნი, მსმენელნი და თვით ბატონი კათოლიკოსი და მრავლისა არა მცოდნე მთავარ-ეპისკოპოსი. წინამძღვარი თეოდორე მოხუცი და ოდესმე მასწავლებელი ბერძულად გიორგისა, ბერძულისა კილოთი ხშირად დაუმატებდა მეფის ძისა საუბარსა სიტყვასა: „გაკურთხოს ღმერთმან!“ გიორგი განმხნევდებოდა და ესიამოვნებოდა ტრფიალებასა მას, რომელსაცა გამოაცხადებდა თეოდორე, და თვით დროთი და დროთი დაამატებდა კვალად აღტაცე-

[9] თვისსა დროსა ესე ვითართაცა შევაგროვებ დაუკარგველობისათვის.

[შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზ. ჭ-ის გამოცემაში მზითვის წიგნს მისდევს სტრიქონი: „ამილახვრიანთში არის ამათზე უფრო მდიდარი მზითვის წიგნი მეფის ასულის ბანგუასი“, რომლის ნაცვლად ჩვენ ხელნაწერიდან შევიტანეთ სხვა სტრიქონი („მითხრეს, რომ...“). ჭიჭინაძის გამოცემის ფრაზა პ. იოსელიანს არ უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ავტორის კომენტარიები (№ [9]) მას არ შეეფერება. ხელნაწერში ის არც მოიპოვება.

რ ე დ.]

ბისა გრძნობასა ლექსითა ბერძულითა: კ ი რ ი ე ლ ე ი ს ო ნ. — დღესა ხუთშაბათსა თვით შებრძანდა ეკკლესიასა ცისკრად და წირვისა ჟამსა თვით წარიკითხა სამოციქულო. თანამწირველი თეოდორე იტყოდა ასამაღლებელსა ბერძულად. წირვის შემდეგ სადილისა ჟამსა მგალობელთა თანა კათოლიკოსისა, რომელნიცა უგალობდენ სძილისპირთა, დღისა კონდაკთა და ტროპართა და წმინდისა საგალობლისა მუხლთა, თვითცა გალობდა მეფის ძე. მერეთ მოითხოვა საგალობელნი, რომელნიც ენახა მას სიყრმისა თვისისა დროსა, ოდეს იყო იგი 18 წლისა, თვით ამას მონასტერსა შინა ქმნილი და თხზული არსენი მღვდელ-მონოზონისაგან დაყუდებულისა, რომელიცა ცხოვრებდა როსტომ მეფის დროსა და ახლდა სიყრმით დედოფალსა მარიამს, მეფისა მის მეუღლესა. იყო გურული. ეძიეს და ვერ ჰპოვეს. რავდენიმე მუხლნი თვით მას ახსოვდენ და წარმოსთქვა, და რავდენიმე ახსოვდა ზეპირად მღვდელ მონოზონსა დომენტის, მოხუცსაცე 70 წლისა, გვარით გურამიშვილსა, კაცსა რუსეთშიაც ყოფილსა და განსწავლულსა.—„სადაა ესე საგალობელი და ვითარ მიეფარა, არ ვიცი“,—მეტყოდა ათანასი. მასვე დღესა მწუხრისა წინათ, გამოეთხოვა მეფისა ძე გიორგი მეუდაბნოეთა და წარვიდა მცხეთად. დროსა მას იყვნენ კრებულად 28 მამანი, 4 მწირნი ბერნი, 10 საბერონი, ოცდაოთხნი მსახურნი და 30 მეთოფენი მცველნი. ლეკნი ერეოდნენ გარემოთა მცხოვრებთა, და ვერ უძლო უდაბნომან. ამისთვის მეორესავე წელსა დაიცალა უდაბნო. ბერნი წარვიდნენ სხვათა მონასტრებში და ხატნი და ჯვარი წარიღეს ამილახვარიანთა ჭალასა დასაცველად. დღესაცა მისნი ძველნი ხატნი და ჯვარი მუნ იპოვებიან, თუმცა უდაბნო კვალად გაშენდა და შევიდნენ ბერები 1802 წელსა.

XX

მოსრული სრულსა ჰასაკსა მოისურვებდა ფილოსოფოსთა ძველთა სწავლისა მოსმენასა. კათოლიკოსი ანტონი, გარდმომღები რუსულით ქართულსა ენასა ბაუმეისტრისა ფილოსოფოსისა, განუმარტებდა ჰაზრთა და ლექსთა მნიშვნელობათა. მეფის ძესა უნებდა გაგება მათი და ვერა რაი გამოსწერა თქმათაგან მათთა მაღალთა, საგანთათვის მაღალთა.—დაუტევა სწავლა ესე და იტყოდა: „არა მესმის ესე; ვნაყავ წყალსა“. „სწავლასა და სიბრძნესა, საჭიროსა სახმარსა, სასარგებლოსა და ტკბილსა ეჰპოვებთ ქრისტეს მცნებათა შინა ნამდვილთა და განსვენებისადმი გულისა და გონებისა მიმყვანთა და სულისა დამატკბობელთა.—შევუდგეთ მცნებათა ამათ და გვეკმაევება“.—ესე ვითა-

რი მისი ჰაზრი იყო მიზეზი, რომელ არა უყვარდნენ მას არცა ფილოსოფოსად წოდებულნი, დროთა მისთა ზაქარია გაბაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, იოანე ოსეს ძე და სხვანი სისტემისა მათისა კაცნი, დაღალულნი კატიღორიითა, დიალეკტიკითა, ტოპიკებითა და სილლოღიზმებითა. „სწავლა ესე თქვენი“—უბრძანებდა მათ ხშირათ სიცილითა,—„ვითარცა ყინული, ხელში დნება, და გასდის, ვითარცა ფლავის საწურავსა წყალი“. ესრეთსა მეფისა ამის თქმასა შვილნი მისნი და ძმანი მოიგონებდიან და მეტყოდიან პეტერბურღსა, სადაცა ესწავლობდი მეცა ფილოსოფიასა, მეფის ძმანი მირიან, ფარნაოზ, და ძენი მეფისა ბაგრატ, თეიმურაზ და მიხაილ.

XXI

ოთახი საწოლისა მისისა იყო მაღალი და გრძელი და ვრცელი. აღმოსავლეთით დიდსა თახჩაში ესვენნენ ხატნი შემკობილნი ძველად მდიდრად, წმიდანი ნაწილნი, ხელი იოანე მოწყალისა და წინაშე მათსა სამნი ოქროჲსა შანდანნი. ამათგან ერთი მეცა მინახავს მეფის ძეს მიხაილთან ს. პ. ბ., რომელთანაც ვსადგურებდი 1843 და 1844 წელთა. ესე შანდანი ანუ სასჯნთლე იყო 48 მისხალისა წონისა; ზედა წარწერილი ძელისადმი ჰეშმარიტისა შეწირულობისა ესრეთ: „შენ, ძელო ჰეშმარიტო, შემოგწირე სასანთლე ესე: ეს ძელი ჰეშმარიტი გივემა ამილახვარმან მიართვა დედოფალსა თამარს და მისმა სიმაღლემ მეფემან ირაკლიმ მე ძესა თვისსა გიორგის მიბოძა წელსა 1778. მისხალი არის 48“. სამხრეთისა მხრით ეკიდნენ სახენი ანუ პორტრეტნი პეტრე დიდისა, იმპერატრიცა ეკატირინა II, პავლე ხელმწიფისა, თეიმურაზ მეფისა, თვისისა პაპისა, მამისა ირაკლისა პერღამენტზედ ნახატი: ესე მაჩუქა მე თვით მეფის ძემან მიხაილ და მე მივართვი კნიაზსა მ. ს. ვორონცოვსა. ბუზრისა თავსა აღმოსავლეთითვე ხდგა ზარიჲსა საათი, მორთმეული რუსეთით კოვალენსკისაგან.

ჩრდილოეთით იდგა საწოლისა მისისა ტახტი ვრცელი და გრძელი, მდიდრად მორთული და წითელის ხავერდით მოდებული; კედლის სიგრძეზედ იყო მიკრული ხავერდივე. წინარე ტახტისა საწოლისა იდგა გრძელი სტოლი ხავერდ-ფენილი და იდვნენ მას ზედა საწერელი და ქაღალდები და შუაზედ ყუთი, რომელშიაც იდვა ბეჭედი თვისი ოქმთა საბეჭდი, ფული სახარჯო, ლაქა და საიდუმლონი მიწერ-მოწერისა ქაღალდნი. გასაღები ამა ყუთისა ექმნებოდა თვით მას მარადის ჯიბეში. დასავლეთით იყო გრძელივე ტახტი ხალიჩა და ქეჩა ფენილი, მუთაქებით მოდებული, მშვენიერ ნაქსოვისა ფარჩებითა გა-

დაკრულნი. იატაკი იყო დაფენილი ერთისა მრთელისა, თვით ოთახისა ზომისა, მშვენიერისა ორხოჯთა.

სნეულებისა გამო აქა მიიღებდა მახლობელთა საქმისა და მომხსენებელთა. აქავე ულოცავდენ ცისკარსა და მწუხრსა. მეორესა დიდსა ოთახში, რომელსაცა აქვნდა სიგრძე 6 საჟენი და იყო მდიდრათვე დაფენილი, მიირთმევდა სადილსა.

დედოფლისა სადგომნი უმეტეს იყვნენ მორთულნი მშვენიერად და ძვირფასად. გარემო ოთახებისა, თახჩებისა, იდვნენ მრავალნი სხვათა და სხვათა ნაკეთთა ჩინურნი ჭურჭელნი და ვერცხლეულნი მრავლად.

ზემოჲსა სახლისა ნაპერნი სადგურნი იყვნენ 22 და ქვემოსა სახლისა, სადგურად მსახურთა და მხლებელთა პირთა, 22-ვე. ქეშიქთა ანუ მეფის მცველთათვის ცალკედ ნაშენსა სახლში იყო დანიშნული ექვსი ოთახი. მეფისა ქეშიქნი ყოველ დღე იყოფოდნენ 25, მეფის კარის ხარჯითა და ულუფითა;

გარდა სასახლის მხლებელთა, გარე სასახლისა სასახლისავე ოჯახნი დღე-ყოველ მიიღებდენ ხორცსა, პურსა და ღვინოსა, და მარხვისა დღეთა ნაცვლად ხორცისა, ლობიოსა, სისირსა და სხვათა სამარხოთა.—სახლსა ჩემსა აქვნდა დანიშნული დღე-ყოველ ერთი ლიტრა ხორცი, ერთი თუნგი ღვინო, 4 ჯიგანა და 3 ლავაში.—ესე იყო მიზეზი, რომელ შემდგომად მეფობისა პაპასა ჩემსა მღვდელსა ონისიმეს დაუნიშნა იმპერატორმან ალექსანდრე პირველმან ციციანოვისა წარდგენითა 200 მანეთი და იღებდა მას დღედმდე გარდაცვალებისა 1817 წელსა [10].

---

[10] აჰა ნამდვილი მოწმობისა პირი:

„ჩვენ, ქვემოხელმომწერნი ხელისა თხოვნისამებრ მოხუცებულისა საქართველოს სამეფოს კარის ეკკლესიისა მღვდლის ონისიმესა, ვმოწმობთ, რომ ესე ხსენებული მღვდელი პირველად ხლებია განსვენებულსა მეფესა თეიმურაზ მეორესა და შემდგომად განსვენებულსა მეფესა ირაკლი მეორესა და უშემდგომესად განსვენებულსა მეფესა გიორგის, და ნიადაგ ჰქონდა ამას მეფეთაგან წელიწადში პური კოდი ორმოცი, და ფული ვეცხლისა თუმანი[ა] ოცი, რომელსაცა დანიშნული ესე რიცხვი პურისა და ფულისა მიეცემოდა მიუცილებელად: პური სოფლებზედ და ფული თვით მეფეთაგან ხელდახელ, გარდა სხვათა შესაწევნელთა ნივთთა. 2 იანვარს 1804.

კათოლიკოს-პატრიარქი ყოვლისა საქართველოჲსა ანტონი.
არქიმანდრიტი ლოდბარი გერასიმე.
არქიმანდრიტი და წევრი დიკასტერიისა ტრიფილე.
თავადი ორბელიანი იოანე.
თავადი ბარათოვი ზაალ.
თავადი იოანე ჩოლაყაევი.
თავადი ორბელიანი გიორგი.
თავადი ევსტატი ციციანოვი.
თავადი სულხან თუმანოვი.

მოწმობისა ამის ძალითა და კნიაზის ციციანოვის წარდგინებითა მიეცა მას ონისიმეს 20 თუმანი წელიწადში პენსია.

XXII

აღზრდილსა სიყრმით მართლმადიდებლობისა მჭადაგთაგან უყვარდა ტრფიალებითა ეკკლესიისა დღესასწაულნი, დღეთა რომელთამე, ვითარცა თვით იტყოდა, ქვეყანისა ცად გარდამაქცეველნი. ესრეთ ქრისტეს სიყვარულითა დამთვრალი მეფე იხარებდა და იშვებდა სულითა, ოდეს დაესწრებოდა თვით ეკკლესიისა ტაძრისა დღესასწაულთა. ესევე ტრფიალი სულისა წმინდათადმი ხატთა, მოღვაწეთა მათთა გამომაცხადებელთა და პირველ-სახისადმი აღმაწევნელთა იყო მიზეზი, რომელ შემდგომად წირვისა თაყვანსა სცემდა ხატთა, ამბორსა უყოფდა მათ დიდებით მათ ზედა, ღვთისა მადლისა მქონთა, შუბლსა და თვალთა და ოდესმე მაღლად დასვენებულთა ხატთა, ერთსა წვერსა ყავარჯენისა გრძელისა, რომელსაცა მიართმევედენ მეფესა დასაყრდნობელათ, ემთხვეოდა თვით, და მეორესა წვერსა შეახებდა კრძალვითა თვით ხატსა წმინდასა.

ესე მრავალთა, არა განმგეთა სარწმუნოებითისა მისისა მხურვალებასა, ეჩვენებოდათ საქმედ უშვერად. ესრეთსავე მაგალითსა შეუდგა შვილიცა მისი მიხაილ და დღე ყოველ ეხედვიდი ესრეთ მლოცველად და ამბორისა მყოფელად წმინდათა ხატთა.

დღეთა ამათთვის დღესასწაულითთა, ზედაშედ ღვინო მეფისა და სახაბაზოდამ მეფისა სეფისკვერი მიერთმეოდა მღვდელთა და მწირველთა ეკკლესიათა მათ, სადაცა იქმნებოდა თვით მეფე მედღესასწაულეთა შორის მლოცველი; ეგრეთვე სანთელი და საკმელიცა,—ძველისა აქამომდე ადგილ-ადგილ დაშთენილისა ქართველთა ჩვეულებისა გამო.

XXIII

განმაახლებელმან წმინდის გიორგის ეკკლესიისა, აღშენებულისა სვიმონ ზანიშინისაგან, დასდვა იგი კარის ეკკლესიად; მას შინა დაასვენა დროშა თვისი და მესწირა ბარძიმ-ფეშხუმი ვეცხლისა შემდეგისა ზედა წარწერითა:

„ქ. შენ მოწამეთა შორის მხნესა და ღვაწლით შემოსილსა, უძლეველს მთავარ-მოწამესა წმინდასა გიორგის შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ბარძიმი ესე მე ყოველად უღირსმან და ცოდვილმან ბატონიშვილმან გიორგი, რათა ბეჭი ნეკნა საშინელსა მას მეორედ

მოსვლასა ქრისტესა მეუფისასა. ამინ. 1768. ქრისტეს აშეთ ჩღაშ, მისხალი ტ."

ესრეთიე ზედა წარწერა არის ფეშხუმზედ, რომლისაცა წონა არის დანიშნული: „რა მისხალი".

ბარძიმ-ფეშხუმი ესე დღესაცა ჰგიეს ეკკლესიასა ამას შინა, წოდებულსა დღემდე კარის საყდრად.

კვირასა და დღესასწაულისა დღეთა შინა, მოსმენადმდე საღმრთოჲსა ლიტურღიისა, არა რასა მიირთმევდა. შემდგომად წირვისა მოართმევდენ ეკკლესიასა მასვე სეფისკვერსა და ზედაშესა. ესრეთი იყო ჩვეულება ძველთა ქართველთა და მრავალთა შორის ჰგიეს ესევე დღემდემცა მრავალთათვის. ვიტყვი „მრავალთათვის" ამისთვის, რომელ შესრულთა რეცა ევროპიისა ჩვეულებათა და განათლებულად საგონებელთა, არღა დაიცვეს კანონი ესე შერყეობისა გამო სარწმუნოებასა ზედა.

XXIV

არიან განკვირვებასა, რად დასუსტდა მორწმუნოება ესე რუსეთისა მართლმადიდებელთა შორის და რად მოჰდვა სენი ესე ქართველთა ყრმათა. გონებისა განკვირვებასა მათსა ვეცინი. ნუმე ვერ ხედვენ მიზეზსა? მთავრობა რუსეთისა აღირჩევს ზედამხედველად და მასწავლებელად მართლმადიდებელთა სასწავლოთათვის კაცთა არა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, მერყეევეთა ქრისტიანობასა ზედა, არცა ღიზოთა, არცა შატობრიანთა, რომელნიცა ფილოსოფიითა არა ქრისტიანობენ ანუ ქრისტიანობითა არა ფილოსოფოსობენ, და გონებისა მაღლისა მოარულობითა ისტორიათა შინა მსოფლიოთა და ეკკლესიისა დაწვლილებითა პირუთნელებითა ძიებითა არა ხედვენ სარწმუნოებისა ნათელსა.—ესენი და მათთაგან აღზრდილნი ყრმანი, წარმკითხველნი ბუნებითის ისტორიისა, ჰგონებენ საღმრთოჲსა წერილსა არა რაობასა. არა ჰყავსთ ჩამგონებელნი და მთქმელნი, რომელ მეცნიერებისა ნამდვილ თვალითა მხედველთა არა რაჲ უთქვამსთ (კუვიესა, სტეფანესა და ესე ვითართა) წინააღმდეგი არცა მოსეს წერილთა ზედა და არცა სახარებისა მცნებათა და დოღმატთა ზედა. ვასილი დიდი და ორიგენი და გრიგორი ნაზიანზელი და სხვანიცა ღრმად იყვნენ მცოდნენი ბუნებისა დროთა მიხედვით. მეცა ვარ წარმკითხველი ახალთა წერილთა ბუნებისა გამომეძიებელთა და ვერსად ვერ ვჰპოვე რაჲმე ჰაზრი ყოვლადი და მტკიცე, დამარღვეველი სახარებისა.—რენანიო? იტყვიან. ესე რენანი დიდად სუსტი მტერია ქრის-

ტესი.—სხვანი ნემეცთა მწერალნი, ვითარცა შლეიერმახერი და შემდგომელნი მისნი, უმეტეს ღირსნი არიან ყურადღებისა. გარნა გონიერად და აუჩქარებელად გამომეძიებელნი წერილთა მათთა შესწუხდება, რად სთქვა ესე და ესეო.

გარნა ესე ყოველი სათნო და არა სათნო გონებისა და მეცნიერებისა, ღვთისა შემოქმედისა და ღვთისა სოფლისა მხსნელისა საჭიროა სიმტკიცისათვის თვით სარწმუნოებისა. უფრორე ნათლად განბრწყინდება ქრისტიანობა, უმეტეს დამტკიცდება იგი კაცთა ნათესავისათვის, ვითარცა იყო შემდგომად არიოსისა, შემდგომად იულიანესსა მდევნელისა, შემდგომად მეფეთა ხატთა მბრძოლთა, შემდგომად ფრანცუზთა მწერალთა ქრისტეს სახარებისა და ჯვარისა რეცა კაცთა გონებისათვის დასაკდემელთა რათამე, რობესპიერისაგან დამარხულთა მიწასა შინა. ნუ ივიწყებენ იოანე მახარებელისა სიტყვას: „ნათელი ბნელსა შინა სჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

XXV

დიდად დატკბებოდის მეფის ძე მამათცხოვრებისა კითხვითა უდაბნოთა შინა სადილისა და ვახშამისა ჟამსა ძმათა სატრაპეზოსა. ვრაოდენჯერმე განმამეორებინა სიტყვა ანტონი დიდისა მეგვიპტელისა,— მეტყოდა მოძღვარი ჩემი, მღვდელ-მონოზონი გაიოს, მოხუცი (გარდაიცვალა თფილისს 1864 წელსა) — „თევზი მიიძინებს, ოდეს აღმოიყვან მას წყლიდამ: ესრეთვე მეუდაბნოე უძლურებს, ოდეს შევალს სოფელსა და ჰგიებს ქალაქთა შინა: ვისწრაფოთ და ვრბიოდეთ მთათადმი ჩვენთა სამონოზონოთა, ვითარცა თევზნი წყალთადმი“.—მეფე განამხმევებდა თვით მეუდაბნოეთა კეთილმსახურებითა თვისითა. მარხულობითა თვისითა აჩვენებდა მარხულობისა სიმტკიცესა; ლოცვითა თვისითა ამრჩობლებდა ლოცვასა და ვედრებასა მათსა ღვთისადმი; ცრემლსა თვისსა შეაერთებდა ცრემლსა მათსა და სარწმუნოებითა თვისითა განამტკიცებდა მორწმუნოებასა მათსა. ვითარცა მერცხალი უდაბნოსი, შესრული ბუდესა შინა თვისსა, გალობდა ღვთისა გალობასა. ვინ იტყვის უცოდველად ბოროტსა მეუდაბნოეთათვის: არიანო უსარგებლონი. ყრმანი ჩვენნი, თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, სწავლობენ აქა წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამმატიკასა, რიტორებასა, ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა; აქა ინახებიან ობოლნი და გლახაკნი; აქა იკურნებიან სნეულნი; აქა იკვებებიან მშიერნი; აქა სნეულნი სულითა მიიღებიან სიმრთელესა; აქა მწუხარენი, ვითარცა

სასნეულოსა, ნუგეშ იცემებიან და ჰპოვებენ სიხარულსა და შვებასა, რომელსაცა ხშირად დავნატრით სოფლისა მდიდარნი და ნეტარად საგონებელნი. ბრძოლისა ჟამსა, სიტყვითა და ჯარითა შველიან ქვეყანასა; სიმშილისა დროსა გვიძღვნიან პურსა და ღვინოსა, საკლავსა და ცხენსა, ურემსა და მეურმეთა.—ნუუმე კვალად იტყვის ვინმე უსარგებლობასა მათსა ქვეყანისათვის. მეუდაბნოენი სძულთ მხოლოდ არა წმინდათა, მრუშთა, მპარავთა, მტაცებელთა, მეშფოთეთა, რომელთაცა სდევნიან იგინი თვისითა ცხოვრებითა, ეპისტოლეებითა და ქადაგებითა. ეშინის ბოროტთა მათი, ვითარცა ეშმაკსა ღვთისა; ვითარცა ცუდთა მონათა უფლისა თვისისა კეთილისა; ვითარცა სჯულისა გარდამავალსა მსაჯულისა ჰეშმარიტისა. მეუდაბნოეთა შეყენებულთა სამხოლოოთა შინა, არა რაჲ აქვსთ საკუთრებად. სიმდიდრე მათი არა არის დაფარული ჩვენგან; საუნჯე მათი არა არის ჩვენთვის უხილავი. ესე ყოველი შემოდის ჩვენკენ, ვითარცა ნაკადი წყარონი, ყოველგან მიმომდინარე. ნათელი სწავლისა მათისა, მოიფინების ჩვენდა, ვითარცა შუქი მზისა. ნაყოფი ნაშრომთა მათთა ჩვენთვის არის უშურველი. რომელი არა განასწავლეს მათ? რომელი არ განაძღეს? ვინ არა განკურნეს, მისრული მათდა სამკურნალოდ? რომელსა დაუხშეს კარი სტუმართ-მოყვარებისა, უცხოთ შეწყნარებისა, მტერთა სიყვარულისა? მოძულენო ქრისტესნო და ეკკლესიისა წესდებისა სდუმენით; იკდემდით და ირცხვენდით კადნიერად მოუბარნო წინააღმდეგ ქრისტეს სახარებისა [11].

---

[11] დროთა ამათ იყენენ გამოჩენილად და ბრწყინავდნენ ვითარცა მნათობნი უდაბნოთა:

ს ა ბ ა, ბერი მწირი, მოსული დავით გარესჯას იმერეთით, საყვარელი მეფის ძისა გიორგისა, მხნე სულითა და ხორცითა. ესე იყო ნათლია ანუ მიმქმელი მეფის ძის მიხაილისა.

ს ე რ ა პ ი ო ნ, ნათესავით იმერელი. 22 წლისამ დაუტევა სოფელი და ისწავა მორჩილმან უდაბნოჲსა ნათლისმცემელისა წერა და კითხვა. მეფემან თეიმურაზ უბოძა წინამძღვრობა და 120 წლისა გარდაიცვალა 1762 წელსა. მოღვაწებასა მისსა ამსგავსებდნენ ძველთა თებაიდისა და პალესტინისა მეუდაბნოეთა.

დღესა ერთსა ბერი სნეული მიიცვალებოდა და მოისურვებდა წინამძღვრისა თვისისა ნახვასა. მოახსენეს ესე სერაპიონს, და ამან არა გაწყვიტა კითხვა ლოცვანთა და ბერი გარდაიცვალა. იქმნა დრტვინვა ძმათა, მაშინ შევიდა სენაკსა მას გარდაცვლილისა ბერისა და ხმამაღლად უბრძანა ბერსა: „ს ა ხ ე ლ ი თ ა უ ფ ლ ი ს ა თ ა ა ღ ს დ გ ე ს“. აღდგენილსა მკვდრეთით, აღუთქვა, კვალად სიცოცხლე ერთსა წელსა. ესე მომითხრა მე მოხუცმან მღვდელმან ლაზარემ საგარეჯოელმანო,—მეტყოდა მე მეფის ძე მიხაილ.

გ ა ბ რ ი ი ლ ნათლისმცემლისა უდაბნოჲსა მოღვაწე. ამან 1779 წელსა უანდერძა მეფის ძეს გიორგის ხატი სასწაულთმომქმედი ღვთისმშობლისა, ოქროთ მოკედილი. ესე ხატი შემდგომად მეფისა გიორგისა აქვნდა მეფის ძეს მიხაილს. ვის დარჩა ესე შემდგომად მიხაილისა არ ვიცი.

ბერძენთ სინა-მთისა წინამძღვარნი ძველადვე ეაჯებოდენ მეფესა, მისცენ და შთააბარონ ეკკლესია გუმბეთიანი აბანოჲსა თფილისს გზასა ზედა დაფუძნებული და სომეხთაგან თურქთა დროსა 1728 მიტაცებული ფაშისაგან და მისთა კარისკაცთა მოსყიდვითა. მეფემან ირაკლი მეორემან ვერ აღასრულა ესე, რათა არა აწყენინოს სომეხთა მომავალთა თფილისად, საჭიროთა ვაჭრობისათვის. მეფე გიორგისა ჟამსა დანიშნეს, როგორცა სჩანს საქმიდამ მეფისა გიორგისა, ეშიკაღაბაშ ასლან ყაფლანიშვილი და სხვანი მდივანბეგნი განსახილველად საქმისა. საქმისა განხილვისა დროსა ცნობილმან კათოლიკოსმან სომეხთა ლუკა და ეჩმიაწინისა კრებულთა, მოსწერეს მეფესა წერილი და თხოვა ვედრებითი, არა მოეღოსთ სომეხთა ეკკლესია, რომელსაცა ფლობენ ადრიდგან სომეხნი, შესწუხდა მეფე და უნებდა რათამე და როგორმე დააკმაყოფილონ ბერძენთა წინამძღვარი. გარნა საქმე ესე ცხადად აღმოჩნდა სასარგებლოდ ბერძენთა, რომელ მეფემან ბრძანა წარუვლინოს საქმე და მოხსენება მდივან-ბეგთა მარჭარ ვარდაპეტის ხელითა და ინებოს თვით კათოლიკოსმან ლუკამ ქმნას განჩინება სამართლიერი. მისრულმან მარჭარ ვარტაპეტმან განუმარტა დავა ბერძენთა. დაგვიანდა პასუხი და გარდაწყვეტა კათოლიკოსისა; მეფე გიორგი გარდაიცვალა და დაშთა ეკკლესია დღედმდე სომეხთა.

გ ე ნ ნ ა დ ი 140 წლისა მწირი ბერი ნათლისმცემლისა, გვარით თულაშვილი, დიდი მოღვაწე. კვირისკვირადმდე მმარხველი, სახლთხუცეს ყოფილი დავით ერისთავისა. 60 წელი არ ენახა სოფელი, არც არავის ეჩვენებოდა მოსრულთა მონასტერსა შინა, გარდა ოდესმე ეპისკოპოსთა და მეფეთა მუნ მისრულთა. გარდაიცვალა 1721 წელსა.

ი ლ ა რ ი ო ნ ხევსურელი, კაცი მართალი და წრფელი, მღვდელ-მონოზონი. 80 წლისა მიიცვალა დავით გარესჯას.

დ ა ნ ი ი ლ ბერი, მოწაფე სერაპიონისა, 4 წლიდამ უდაბნოსა შესრული.

გ ა ბ რ ი ი ლ ბერი, მოწაფე სერაპიონისავე, 120 წლისა, პირველად დოდოს მონასტერსა ყოფილი. მოკლეს ლეკთა 1802 წელსა; ამან იმარხვა 40 დღე, რათა ჰპოვოს ხატი ღვთაებისა წმინდის ანტონის მარტომყოფის მონასტერსა.

ვ ე ნ ე დ ი კ ტ ე ფავლენიშვილი. მოკლული ოსთაგან 1822 წ.

თ ო მ ა გარსევანაშვილი, წინამძღვარი დავით გარესჯისა; ამას წაართო წინამძღვრობა დავით ბატონიშვილმან, და მისცა ილარიონ ბებურიშვილსა, და გარდაიცვალა 1802 წელსა 120 წლისა; მასწავლებელი მრავალთა თავადთა და აზნაურთა.

XXVII

ამავე დროსა წინათ გარდაცვალებისა მეფისა იყო დაწყობილი დავა ათონისა მთისა წინამძღვართაგან დაქცეულისა შაბაზისა დროდგან 40 მოწამეთა ეკკლესიისა. ეკკლესია ესე იყო თვით იგი, რომელსაც მოიხსენებს ცხოვრება წმინდისა მოწამისა აბოსი. ეკკლესიისა ადგილსა დანაქცევთა ამათ, ედავებოდა თფილისელი თათარი .....ვეზიროვი. მეფესა უნებდა მიცემა მათი ათონისა მთისა მამათათვის; გარნა სიკვდილმან უსწრო მეფესა და ვერ გარდაწყდა საქმე და საჩივარი. რუსთა მთავრობისა დროსა 1840 წელსა სენატისა უქაზითა ჩაბარდა ვეზიროვთა და ესენი ფლობენ ადგილსა მას და აღშენებულთა მასზედა სავაჭროთა დუქანთა დღედმდე.

XXVIII

ყაენის მოსვლისა წინათ თფილისს მეფის ძესა გიორგის მიენდვა ქიზიყის ჯარისა შეყრა. წარგზავნილმან სიღნაღს, სცნო დაბარება იმერეთიდამ იმერთა ჯარისა. დედოფალსა დარეჯანს არა ენება, რათა მეფის ძისა გიორგისა დროშა პირველობდეს სამეფოში. მეფის ძეს თანა ახლდეს ჟამთა ამათ ქიზიყისა მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი და ცოლის ძმა მეფის ძისა რევაზ ანდრონიკაშვილი, რომელსაცა მეფემან ირაკლი, დედოფლისა დარეჯანისა რჩევითა, ადრევე მოუღო ქიზიყისა მოურაობა და მიუბოძა ზაქარიასა, რომელსაცა ჰყვანდა ცოლად ასული მეფისა ირაკლისა ელენე. ესრეთ არა კმაყოფილმან რევაზ და მარადის მდრტვინავმან მეფეზედ, თუმცა შეჰყარა ჯარი ქიზიყისა, გარნა არა სურდა შეერთებულიყო მეფისა ჯართან, თფილისსა შეგროვილისა.—„უშველოს ზაქარია მოურავმან,—იტყოდა რევაზ,—ქვეყანასა: როცა გაუჭირდათ მაშინ მომიგონეს?“ მეფის ძეს გიორგის არა ჰქონდა ბრძანება ირაკლისა არცა ჯარისა შეგროვებისა და არცა მოსვლისა თფილისად. ესე ნამდვილი არის და არცა საეშვოა. იოანე მალხაზის ძე ანდრონიკოვი (ღენერალ-ლეიტენანტი დღესცა ცოცხალი) ხშირად მოიგონებს საქმესა ამას და ვიცი ესე მისგანაც პირუთნობელლობით. რევაზ განვიდა მტკვარსა პირისპირ აღსტაფისა და დაუხვდა ყარაბაღისა და შამშადილისა საქონელსა, რომელნიცა მოყვანდათ ქართლსა დასახიზნავად; მოსტაცა იგი და წარიყვანა კახეთსა და ვითარცა იავარი განუწილა ქიზიყელთა. მეფემან სცნო ესე

და იწყინა, გარნა არ იყო დრო საქმისა განხილვისა. სპარსთა განვლეს ხიდი გატეხილი და მიახლოვდებოდნენ თფილისსა. ზაქარია მოურავმან, კაცმან მხნემან და არა ეგოდენ ძლიერმან ხმითა და ღირსებითა ვითარცა რევაზ, მარტყოფისა სოფლიდამ ქიზიყადმდე შეგროვილითა ჯარითა 600 კაცითა მოვიდა თფილისს. რევაზ და მეფის ძე გიორგი დარჩნენ ქიზიყსა,— და სცნეს მხოლოდ დამარცხება იმერთა ჯარისა, უნიჭოება ზაქარია მოურავისა, აღება სპარსთაგან თფილისისა და გაქცევა მეფისა კაიშაურსა.

მეფის ძე გიორგი მწუხარებდა უფრო ამისთვის, რომელ აბრალებდნენ მას მოღალატობასა და ვერცა გამოაცხადებდა მამისა თვისისა რიდითა მას, რომელ არა ჰქონდა უფლება ჯარის შეყრისა უბრძანებოდ. ეგონათ რომელ იმერეთისა ჯარი და ქართლისა ეკმაოდა სპარსთა დასამარცხებელად. ესევე იყო მიზეზი, რომელ დღეინდელად დღედმდე ქიზიყელნი ვერ მოიხსენებენ კეთილად მეფესა გიორგის, რომელსაცა სწამობენ, მტრობით ვითამც მამისა, ესრეთ სუსტად მოქცევასა გაჭირვებისა დღეებში.

XXIX

1786 წელსა აგვისტოს 8, ვითარცა სჩანს ოქმიდამ აზნაურის მიქელოვისა, იყო დუშეთს. აქა ესტუმრა არაგვისა განმგესა მეფის ძეს ალმასხანს ანუ ვახტანგსა და აღვიდა ალევისა მთასა დღესა 16 აგვისტოს დღესასწაულობისათვის დღისა ღვთისა დედისა მიძინებისა. აქვე დიდისა მზადებითა, ვითარცა ქრისტიანე მიიღო მან წმინდა საიდუმლო, და შესწირა ვეცხლისა დიდი თასი ზედა წარწერითა: „მეფის ძის გიორგისა ვარ მისხ. ნე". დაჰყო აქა მთასა მაღალსა დღე სამი. აქედამ მიიწვიეს ერისთავთა და იყო კორინთასა, ქარჩოხისა მთასა ლომისას, სადაცა შესწირა ძველად აღშენებულსა წმინდისა გიორგისა სახელზედ ეკკლესიასა ჩარექა ვეცხლისა და დასდვა მუნ თაყვანისსაცემლად ჯვარი ვეცხლისა ზედა წარწერითა: „ჯვარო პატიოსანო, იყავ მფარველ მეფის ძისა გიორგისა". მუნით სთხოვეს კაიშაურისა მთათა შინა ძველად მკვიდრთა საქონლითა და ძველადვე დეკანოზთა და სამღვდელოთა მის ეკკლესიისა, არაგვისა მხრით, ბურდულთა. ესრეთ არაგვისა ხეობითა მოვიდა ანანურს და აქედამ შევიდა ჟინვანისა გზითა ფშავსა და ხევსურეთსა. ხევსურეთისა სამზღვარზედ მოეგებნენ ქისტნი მრავლად ძღენითა. ლაშას ჯვარსა მიართვა ვეცხლითა მოჭედილი ხატი წმინდის გიორგისა. აქედამ გარდავლო მთა ბორბალისა და მივიდა თიანეთს, მერეთ ერწოსა, სადაცა უმასპინძლეს მას

თავადთა ტუსიანთა, ვითარცა ადგილთა მათ მებატონეთა; განვლო ღამე ერთი ნიკორწას და სიონისა ეკკლესიისა ზღუდეთა შინა მოიღოცა საფლავი წმინდისა მოწამისა მეფისა არჩილისა პირველისა. ამა გზით წარმოვლო ბოდავსა და შესწირა ხატი წმინდისავე გიორგისა ბოდავისა ეკკლესიასა ძველად აღშენებულსა მაღალსა მთასა ზედა. მუნით მოვიდა ბულაჩაურსა და მიიღეს თავადთა ხიმშიანთა. აქედამ გამოვლო მდინარე არაგვისა და მოვიდა მცხეთას. აქა გამოეთხოვა ძმათა თვისთა მეორისა დედითგან ალმასხანს და კათოლიკოსსა ანტონის და მივიდა თფილისად.

XXX

1788 წელსა მოვიდა მეორედ მეფის ძე გიორგი დუშეთსა და თანა ჰყვა მას წილკნელი ამბროსი, კაცი სათნო და კეთილი, არა დახელოვნებული სწავლათა შინა, გარნა ყოვლად ტკბილი, დუმილისა მოყვარე და მშვიდი. მეფის ძესა, მამისა თვისისა თანახმობითა და მინდობითა უნებდა, ქრისტიანობისა გამო მთათა შინა, გარდასვლა კობსა და ვიდრე დარიალადმდე, სადაცა იყო სამზღვარი ქართველთა. მას ახლდნენ აქა ლალა თვისი სვიმონ მაყაშვილი, სასახლისა მღვდელი ონისიმე იოსელიანი, დავით ხუცესი ნათლისმცემლისა თფილისის ეკკლესიისა, თავადი ბარათაშვილი, თავადი ბარძიმ ხიმშიაშვილი, მამა მის ხიმშიაშვილისა, რომელმანცა სცა ხანჯალი და მოჰკლა ღენერალი ლაზარევი, თავადი იოანე ანდრონიკაშვილი.

დუშეთიდამ დარიალადმდე სლვა მეფის ძისა, იყო სლვა მოციქულთა. ყოველთა ნიშთა და წმინდათა ხატთა თაყვანის საცემლათა ადგილთა ზედა, მოვიდოდნენ და გალობდენ პარაკლისსა, და დაასვენებდენ ჯვართა, მიუბოძებდენ ბაერაყთა და ადიდებდენ მაცხოვრისა სახელსა. სადაცა იყოფოდა ეკკლესია შერყეული, აკურთხევდენ, და არა შერყეულთა შინა შესწირვიდენ უსისხლოსა მსხვერპლსა. მარჯვნივ და მარცხნივ დიდისა არაგვისა და თერგისა ხეობითა ხეობაებთა შინა შევიდოდნენ და ისადგურებდენ მუნ, სადაცა ძველადვე აქვნდათ მემკვიდრეთა მუნ ხატნი ანუ ნიშნებნი ანუ ხატისა ტყეებნი. მეფის ძე უძღვნიდა ხატთა და ჯვართა ადგილთა ამათ, პატივცემულთა ერისაგან. წილკნელი ამბროსი უკურთხევდა ბაერაყთა და სხურებითა აიაზმისა განსწმენდდა ადგილთა და მკვიდრთა დასახლებულთა გარემო თაყვანისცემულთა მათგან ადგილთა. თვით მკვიდრნი ადგილთა ამათ შინა მცხოვრებნი, უძღვნიდენ ცხვართა, ძროხათა და თხათა, ერბოსა და ყველსა სამასპინძლოდ ქრისტეს სახელისა მჭადაგებელთა. მგალო-

ბელნი იტყოდენ გალობათა ძილისპირთაგან და სტუმრობისა დროსა თვით მცხოვრებნი იმღერდენ სიმღერათა თვისთა მათითა წესითა. დეკანოზთა ერისა მათგან დადგენილთა, მიეცემოდა მათგან უფლება, რათა იცვიდენ ადგილსა პატივითა, ხატთა, ჯვართა, ბავრაყთა, და სხვათა შეწირულობათა. მეფის ძე მხიარულობდა განთესვისა გამო ქრისტიანობისა ნიშანთა, ძველადგან არა შერყეულთა. ეპისკოპოსი ამბროსი იხარებდა სულისა მხიარულებითა ქრისტეს მიერ. მკვიდრნი მთიულნი დღესასწაულობენ დღესა ამას დღისა ხატთა თვისთა ენკენიობასა. მხლებელნი მათნი ეკვირვებოდენ ესრეთითა ადგილითა გზითა და ღონითა და საშუალობითა ქრისტიანობისა დამკვიდრებასა თავთა შინა მათთა და გულთა შინა მათთა. დღესა ერთსა განისწავებოდნენ მცხოვრებნი ადგილთა ამათ ქრისტეს მიერ ზნეობითა, ესრეთ მსუმბუქად და ადვილად, განსაკვირვებლად დიდთა სოფლისა ამის მეცნთა პლატონთა, სოკრატთა, და არისტოტელთა. ესრეთ შეიტანეს მთათა ამათ სწავლა მაცხოვრისა მეფეთა მირიან, ვახტანგ, არჩილ, დავით აღმაშენებელმან, დედოფალმან თამარ, ლაშამან გიორგი და შემდგომთა მათთა.

უკუქცეული მუნით მეფის ძე მოვიდა დუშეთისა გზით მუხრანს; მუნ ეწვია წილკნელსა ამბროსის და აქედამ წარვიდა თფილისს.

გოშპარ კობიაშვილი, მოხუცი, 112 წლისა გარდაცვლილი 1864 წელსა, იტყოდა: „მახსოვს დღე ესე მეფის ძის გიორგის მობრძანებისა არაგვზედ; ყმაწვილი ვიყავ და მამსახურებდენ მათ თავადთა, რომელნიც ახლდნენ მას ბოდორნისა დღესასწაულსა. ამბროსი წილკნელი ბრძანდებოდა მუნ მწირველიო და იტყოდენ კაცნი და ქალნი მრავლად, არ იამა ბატონიშვილს ალმასხანს მეფის ძის გიორგის არაგვზედ- მოსვლაო. ყმაწვილობისა გამო ჩემისა, მათი შინაური ამბავი ჯერ არა ვიცოდირაო; ეს კი კარგად და ცოცხლად მახსოვსო, რომ ათამდინ ყმაწვილნი კაცნი მოვედით არაგვისა ჭალასა ბოდორნისა ძირში და დავიჭირეთ თოფით მოკლულნი ხოხობნი და მივართვით ბატონსაო. დროთა ამათ მრავლად იყო ხოხობი ჭალებში გალმა და გამოღმა არაგვისა. იმ დროს, როდესაც გულხეთქებით ავედით ბოდორნასა და მივართვით ხოხბებიო, მამამთავარმან ბოდორნისა მოხუცმან ბესარიონ... მიართვა ცოცხალი ორაგული აქვე არაგვში ბოდორნისა ძირში დაჭერილი და მეფის ძემან უბოძა ფული, საჩუქარი, და ჩვენ ყმაწვილებს გვეწყინა, რადგანაც არა გამოგვივიდა წყალობა რამე“.

XXXI

ოდეს მეფემან ირაკლი დაადგინნა შვილნი თვისნი სხვათა და სხვათა ადგილთა ზედა საქართველოსა სამეფოსა, და მისცა განსაგებელად არაგვი—შვილსა თვისსა ალმასხანს,—მაშინ უმცროსი ძე ირაკლისა ფარნაოზ ჯერეთ 15 წლისა დარჩა უადგილოდ. მეფემან ბრძანა, რათა დროდმდე იყოს და სცხოვრებდეს ესეც დუშეთს ძმისა მისისა ალმასხანისათანა. ესრეთითა ბრძანებითა წარვიდა იგი დუშეთს და ალმასხან ადრევე ცნობილი ესრეთისა მეფისა განჩინებისა გამო, შესწუხდა და ოდეს მივიდა დუშეთს ფარნაოზ, მან ძმამან იგი არ მიიღო. თანამხლებელთა უქადეს თობისა გავარდნა და აზნაურნი არაგვისა, შთაგონებულნი ალმასხანისაგან, იტყოდენ სიტყვათა მკვახეთა. ამისთვის მასვე დღესა უკუმოიქცა ფარნაოზ და მივიდა ტინის გზით მჭადის-ჯვარს და ისადგურა რავდენსამე კვირასა სახლსა დისა თვისისა მეფის ასულის ქეთევანისა, მეუღლისა თავადის იოანე მუხრანის ბატონისა.

მეფემ ირაკლიმ სცნო ესე და დიდად შესწუხნა. დედოფალი დარეჯან მრისხანებდა შვილზედ და უნებდათ მეფესა და დედოფალსა გამოდევნა არაგვიდამ ალმასხანისა; მაშინ ჰაბუა ორბელიანისა რჩევითა შევიდნენ შუამდგომელობასა კათოლიკოსი ანტონი და თვით მეფის ძე მემკვიდრე გიორგი და მათთან მახლობელი დეკანოზი სიონისა იოანე ოსეს ძე. ორნივე ესენი წარვიდენ მუხრანისა გზით დუშეთს, წარიყვანეს თვისთანა მეფის ძე ფარნაოზ და დროებით დაასაღგურეს ალმასხანთან. ექვსსა დღეს შექცევითა განატარეს მუნ დრო სიყვარულისა. აზნაურთა დამშვიდებისათვის და ნიშნად ჰეშმარიტისა კავშირისა შეჰფიცეს ყოველთა ბოდორნისა ეკკლესიასა შინა დღესა 8 სექდემბერს, რომელსაცა არის დღესასწაულიცა თვით ტაძრისა ამის გუმბეთიანისა, მაღალსა ბორძვსა ზედა. აქა სწირა თვით კათოლიკოსმან ანტონი და გარემო ეკკლესიისა დიდისა სერისა დაგებითა თავადთა და აზნაურთა არაგვისაგან მხიარულებდენ მემკვიდრე გიორგი და ძმანი მისნი.—გარნა ფარნაოზმან თვით შემდგომად 6 თთვისა არა ინება მუნ დგომა და მივიდა მამისა სახლსა თფილისადვე.

XXXII

წინათ აღა-მაჰმად-ხანისა მოსელისა თფილისს, მოვიდა ელჩად ზიათ-ხანი ხოელი (?), რომელმანცა მოითხოვა მეფის ირაკლისაგან, რათა წარუვლინოს თვალი ძვირფასი ნადირშაისაგან ნაქონი, უკუდგეს რუსეთსა, აღიაროს მფარველად, ვითარცა ძველად, სპარსეთი და მისცეს მზევლები. შესწუხნა მეფე ირაკლი მოხუცი. ქმნა რჩევა და გამოკითხვა მხლებელთა კარისკაცთა. მეფის ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდრე, წარდგა წინაშე მეფისა და მოახსენა წარავლინოს მზევლად ძე მისი დავით და თვითცა წარვალს შვილითა უკეთუ სურს; წარდგება ყაენთანა, გამოსთხოვს წყალობასა, რათა არა წარახდინოს ქვეყანა. დაუტევებს შვილსა თვისსა მუნ მასთან მზეველად და თვით უკუ იქცევა. ესრეთი ჰაზრი მისი იწყინა დიდად დედოფალმან დარეჯანმან, რომელსაცა ეშინოდა, არა მოვიდეს სპარსთა ჯარითა და არ გამეფდეს სპარსთა ძალითა ჯერეთ სიცოცხლისავე მისისა მამისა დროსა. მეფემან უბრძანა უარი და სხვათაცა არ მოიწონეს ჰაზრი ესე მეფისა ძისა გიორგისა, ვითარცა წინააღმდეგი რუსეთისა თანა შეკრულისა ტრაქტატისა 1783 წელსა.

მეფემან ბრძანა უარი მასზედა, რაიცა მოახსენა ელჩმან ყაენისა, და მიუგეს პასუხად მას ყაენისა ელჩსა: „მრავალ-ჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავლად მათგან ტანჯულნი; სარწმუნოება ჩვენი ვერ დაგვაკავშირებს სპარსეთსა; მიმიცია სიტყვა და წერილითი პირობა ვიყო კავშირითა მტკიცითა შეკრული რუსეთისა ხელმწიფესთან, რომელიც არის ერთისა სარწმუნოებისა ჩემთან მექონი, ერთისა ეკკლესიისა შვილი, ერთისა ხმითა მადიდებელი ღვთისა. თვით სპარსეთმაც იცის ესე ადრითვე და წინა მოადგილეთა ვექილთა (ყაენთა მმართველთა, რომელნიცა ნადირშაჰისა შემდეგ იტაცებდენ ხმლითა სპარსეთისა ტახტსა და არა ნამდვილთა ყაენთა) სპარსეთისა. მე მჰყავს გვერდით ჯარი ჩემი და ჯარი რუსეთისა. მანამ ერევნიდამ აქ მოვა ჯარი ყაენისა, ჯარი რუსეთისა უფრო ადრე შემოვა თფილისს“.— ესრეთი იყო რჩევა და პასუხი მეფისა ელჩისადმი აღა-მაჰმად-ხანისა.

XXXIII

ოდეს განჯაზედ გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ მეფის ძე გიორგი განაგებდა სამეფოსა. დიდად ბეჯითად აშველებდა ურმებსა, ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანთა. იტყვიან დამსწრენი, — განა-

კვირვა სარდალნი და თვით მეფეო. აქვნდა მიწერ-მოწერა ვალერიან ზუბოვთან, რომლისა თხოვნითა წერილითა 30 სეკდემბრისა 1796 წელსა № 367 (ბანაკით ფერსაღათის მდინარეზედ) მოუმზადა რუსთა ჯარისათვის პური და საკლავი. დაბრუნებულმან განჯით მეფემ მიუძღვნა სახალხოდ დიდი მადლობა და ბრძანა: „შვილი ჩემი გიორგი დიდი მეფე იქმნებაო“.

ამასვე წელსა, გარდაცვალებისა გამო 6 ნოემბერს იმპერატრიცასი ეკატერინასი, ბრძანებითა მეფისა ირაკლისა 23 დეკემბრით ჩაიცვა თვით შავი და დასდვა გლოვა 40 დღით საუფლისწულოთა თვისთა და სამეფოსა თვისსა.

XXXIV

გარდაიცვალა მეფე ირაკლი თელავსა 11 იანვარს 1798 წელსა. დროსა ამას მემკვიდრესა პირმშოსა ძესა მისსა გიორგის აცნობეს ესე ბორჩალოს და ყაზახსა, სადაცა იყო წასრული თათრებისა ელჩისა საჩივართა გამო. აქავე მიულოცეს მას მეფობა დიდთა თავადთა და მოხელეთა ქართლისა და კახეთისა. 22 ფებერვალსა მიბრძანდა მეფე თელავს და თან ახლდა 130 თავადი და აზნაური ქართლისა და კახეთისა. იტირა მეფე-მამა; გარდაახდევინა პანაშვიდი მღვდელმთავართა მუნ მყოფთა ბოდბელს იოანეს, რუსთველსა სტეფანეს-და ნინოწმინდელსა მიხაილს. შემდეგ შევიდა დედოფალთან დარეჯანთან, თვისსა დედინაცვალთან და მოახსენა სიტყვანი გლოვისა; მერეთ უბრძანა მღვდელმთავართ და კარისკაცთა, დასდვან ეკკლესიაში საწიგნე და მასზედ ჯვარი, სახარება და ფიცისა ფურცელი (აქავე ეკკლესიისა შინა ესვენა ვამი ირაკლისა) და შეჰფიცონ მას წერილითა ვითარცა მეფესა და სჯულიერსა მემკვიდრესა, დამტკიცებულსა პირმშოობითა და რუსეთისაგანცა: „ძალითა არა,—იტყოდა მეფე,—ვისაც სურს ჰფიცონ ერთგულად და აღმიარონ მეფედ“. მეფის ძე ბაგრატ განაგებდა საქმეს ამას. ჰფიცეს მღვდელმთავართა და თავადთა და აზნაურთა. დარეჯან დედოფალი, ცხადად არ აღიარებდა მას მეფედ: „მე მინდა,—იტყოდა იგი,—მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში“. მეფემ სცნო ესე და არ ათხოვა ყური. ფარნაოზ, ძე მეფისა ირაკლისა, აპირებდა ხლმითა მიხდომასა, გარნა მეფემან შეუთვალა ტუქსვა და უბრძანა დუმილი. მივიდა მეფესთან ამბავი, რეცა ამილახვარი დედოფლისა ყორღანაშვილი გაბედვითა იტყოდა უჯეროთა სიტყვათა მეფისათვის. განრისხდა მეფე ა ინება

ეზოვლე II

შეპყრობა მისი. აცნობეს ყორღანაშვილსა ოსეფას და დაიმალა დედოფალთან. მოახსენა მეფესა მიმალვა მისი მუნ. მაშინ ბრძანა: „რა ვქმნა, გამოვათრევინო დედოფლისა სადგომიდგან მყრალი ყორღანაშვილი, შესწუხდება დედაჩემი, მოხუცი განიგმირება და იტყვიან, მეფე გიორგი ნერონი არისო: დედა შეურაცხყოო. უტეევეთ, იყოს მუნ პყრობილად". დედოფალმან მიუგზავნა მეფესა ელევთერი სიტყვითა: ეკკლესიაში მოხსენებითა შემდეგ მეფისა მე მომიხსენონო. შესწუხდა მეფე და ბრძანა მოახსენონ დედოფალსა: „მეწაღე და ცოლი მისი, მექუდე და ცოლი მისი ერთნი არიან ქორწინებითა. არა შეიძლება მათი დაშორება, და ნუ აშფოთებს ერსა მას და თვისსა თავსა უსამართლოჲთა თხოვითა". სდუმნა დედოფალმან და დაწყნარდენ. დროთა შფოთისა დღეთა ამათ იყო ჭირი დიდი ქალაქსა თფილისსა და გარემო სოფლებთა.

XXXV

მეფის ძენი იულონ, ვახტანგ და მირიან მარტისა თთვესა მივიდნენ თელავსავე და შეჰფიცეს არა სიწრფელით. თვით დედოფალიცა დარეჯან, კათოლიკოსისა ჩაგონებითა, ვეღარას ბედავდა. ჭირი დაცხრა და ამისთვის შემდგომად 40 დღისა წაასვენეს გვამი მცხეთას დასასაფლავებლად და თვით მეფე მობრძანდა ქალაქსა თფილისსა, სადაცა არღა იყო ჭირი, და დაბინავდა მუნ. შემდგომად ერთისა კვირისა მობრძანდა დედოფალიცა დარეჯან და დასდგა ავლაბრისა სასახლესა, რომელსაცა აწ ეწოდების ფერისცვალებისა მონასტერი.

დედოფალი დარეჯან და შვილნი მისნი, არა მოსურნენი მეფისა გიორგისა, მეცადინებდენ იდუმალ, რათა სიტყვითა და საქმითა აღაფუონ შფოთი, ამბოხი, ურჩება და უწესოება და გარემოსდვან მეფისა გიორგისა ტახტსა ცეცხლი და სისხლი განსაფიცხებელად მეფისა, გარნა ბუნებით და სიბრძნით აუჩქარებელისა. გამოსთქვეს სიმღერანი, რომელსაცა შინა ცრემლითა და გოდებითა იქებოდა ირაკლი და იგლოვებოდა მეფობა ახალი, არღა რეცა მექონისა ძალისა, ჭკუისა და გონებისა. ესრეთისავე ჰაზრითა დედოფლისა დარეჯანისა და შვილთა მისთა სურვილითა დაიწერა და განითესა ქართლსა ღა კახეთსა მრავლად გადაწერილი, გლოვისა ესე სიტყვა, არა საწყენად მეფისა გიორგისა დაწერილი.

მეფემან გიორგი სცნო ესე და, რათა არცხვინოს მოხარულნი მწერლობისა ამის, თვით ინება ქონვა მისი და ავჭსონსა მისსა სოლომან ლიონიძეს უბოძა საკაბე მაუდისა და საახალუხე ფარჩისა.

მაშინ ქალაქისა ქუჩებსა, სამწუხაროდ მეფისა მტერთა, იწყეს შემდეგი სიმღერა ორ მუხლიანი:

„ვისთვისაც ვსწერე, ისი მტერად მომექცა;
ვინცა ელანძღე, ის მეგობრად მომექცა“.

აჰა თვით გლოვისა სიტყვა:

„მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ღირსისა.

დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარიისა დიდისა ეკატირინასითა, დღესვე იცხებს კვალად უფასოსა სისხლსა, სახსარსა ივერიელთა გვარისასა.

დღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყანისა საკვირველსა. ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართმთავართ სარდლობა და თვითმპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა.

დიდნო მფლობელნო, დიდნო იმპერატორნო! სტიროდეთ ახლად ქვეყანისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უავღუსტესსა თქვენსა, შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდება. ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკვდა ღერკულეს, უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე, და იხილეთ, და ყოველი ამაო.

და თქვენ მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინოზთაგან უძლეველნო მხედარნო!

გიძღოდათ მეფე მოსებრ ისრაელთა, გესმოდათ ხმაი პატრონისა თქვენისა. მახარობლად თქვენდა იყო ბიბლია: არ მოაკლდესო მთავარი იუდასაგან.

იუდას ლომი სახლსა სადავითოსა ზარის სახელად მტერთა თქვენთა მყვირალი დღემდე ლაშქრვიდა სამთა იმპერიათა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიისა ერთა.

დღეს გაილაშქრა ციურთ ურიცხვთა ზედა, ერთმან მარტომან უძლეველმან რაინდმან.

ძველი ღერკულეს ძველის ახილესითურთ იყვნენ ძლიერნი ქვეყანისანი. მოკვდა ესე უკვდავი მეფე, პატრონი თქვენი. ციურთა ძალთა, უკვდავითა ძალითა სძლევდა და განვლო სამყარონი ცათანი. თუმცა დააკლდით საზოგადოსა მამასა, და სახსოვარსა მეფესა და პატრონსა, გარნა კმა იყო ესე დიდებად თქვენდა, ვიდრემდის იყო იგი და საიგაოდ აქა ადიდა სახელი, ადიდა გვარი თვისი, ადიდა სიმხნე თქვენი ქართველთა ცათამდე და აღვიდა ანღელთა ღვთისა თანა; გარნა აქაცა და მუნ ცოცხალ არს იგი. რად სტირით, ძენო, ობოლნო, მამისაგან?

და შენ შესაკრებელო სახლო ივერიელთა ნათესავთაო, ტაძარო ათორმეტისა სკიპტრისაო, რად სტირი სადავითოვ სახლო?

დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმინდის ქეთევან დედოფლის სისხლით ცხებულო სახლო! სადაც კმა იყო სიხარულისა და ცხოვრებისა და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ, და დედოფალი თამარ მეფის ირაკლის შობაზედ იხარებდენ: რომლისაც საწოლში მეფის ერეკლის სადღესასწაულო შობა იდიდებოდა; და სადა სახსრად ქართველთა ნათესავთა მეფე ერეკლე, ლომი იუდასი, დავითის სახლში იზრდებოდა, რომელშიაც ჩვეულება იყო ტაძრობისა, სადაც ხმა ისმოდა დავითის ქნარისა. აქამდის შენს მეჯლიშში მეფის ირაკლის სახსოვარი ყმაწვილ-კაცობდა, ქვეყანასა აკვირვებდა; რომლისაც სიჭაბუკე ქვეყნის ძლიერთა სჩაგრავდა. აქამდის შენს მეჯლიშში მეფის ერეკლეს ტახტზედ ჯდომა იხილვებოდა, იმისი ხელწიფური, დარბაისელთ ხუმრობა მიმოითქმოდა, მეფე ერეკლეს მრავალ-საგალობელი სადღეგრძელო ისმოდა.

რად სტირი სადავითოვ სახლო?

თუ ოსმანთ დაიპყრეს საყდარი მეფობისა შენისა საკურთხეველი წმინდა ღვთისა, მეფე ერეკლე—სიმრთელით ბრძანდებოდეს, რომელმანც ხერთვისის დამპყრობელისა და ასპინძას მტრის სისხლში გამოწრთობილისა ხლმით ხვანთქარს სპარსეთის ხელმწიფეს ქარიმ-ხანთან საჩივარი მიაწერინა: „მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო“. ქარიმ-ხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო“,—მაშინვე უძლეველობის ნიშნად სახელმწიფო ხრმალი მოართვა!

რად სტირი სადავითოვ სახლო?

თუ სპარსთ დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი, შენგან წინაპართ შობილთ მეფე შარავანდედ—მეფე ერეკლე—ცოცხლებდინ საუკუნოდ! რომელმანც საქართველო ნადირშაისგან გამოიხსნა და ფათალიხან, ავშარის მეფე აზათხან ათასი ერთით წარიქცივა, რომლისაც დიდება მეორემ ალექსანდრემ, პრუსიის მეფემ ფრიდერიკოს მეორემ თეთრზე დაწერა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში ღერკულეს უძლეველი, საქართველოს—გიორგიანთ მეფეო“.

რად სტირი სადავითოვ სახლო?

ვინემდის ახალი მოსე, ისრაელთა მეფე, ერეკლე, საქართველოს მხედრობას წინა უძღვის და საქართველოს (რად ვამბობ ამ სახელოვანს სახელს?) დიდის როსიიდამ გამოჰყავს ლაშქარი, ციმბირიდამ მოჰყავს სამხედრო გუნდი,—ვის შეუძლიან შენი დამდაბლება?

როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღისტნელნი ლაშქრად მორბიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ.

რად სტირი სადავითოვ სახლო?

როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერ ტახტზე ჯდომა გეღირსა, ყველას წინა საუკუნეზე უფრო იდიდე, ამაღლდი, უფრო გაბედნიერდი; ცანი შუხილით გრგვინვიდენ ძალსა შენსა, სფერა ქვეყნისა გერწოდა ფერხთა ქვეშე.

მაგრამ ვაი თუ დიდება ესე შენი ღერკულეს მეფეს საფლავად მიეცვალოს!

ვაი თუ საქართველოს საფარველად გადახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა! ვაი თუ ის უმაღლესი თავი, რომელიც იაკობის კიბედ ზეცას მისდგომოდა და მზესა ქვეშე ქვეყანაზედ არ ეტეოდა, საფლავისა სიღრმეში დაეფაროს.

ეს ძლიერი თვალები, რომლისაც ზევით ახედვა ცებს აჰკეცდა, და ღვთაების საყდარს მიედგმოდა; რომელიც სამსხვერპლოსა ზედა აბრამისსა განკვირვებით მდგომარე, მუხასა ქვეშე სამებასა ისტუმრებდა და, რომლისაც დახედვა ქვეყანას გახსნიდა და უფსკრულში ღვთის საკვირველებას უყურებდა; სფერა ქვეყნისა, ერთს გუგაში გარეშეეცვა და ცასა და ქვეყანას ორს ფურცლად კითხულობდა,—ვაი თუ საკვდავად დაერულოს!

ვაი თუ უძლეველი ხელები, რომლისაც ხლმის ვადაზედ დადება სიკვდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულზედ დაკრეფილ იყოს!

ვაი თუ ის მაღალი და ზეცას ანგელოზთაგან სამწიგნობრო სახელი—მეფე ერეკლე—რომელიც ცისა კალთებზედ იწერებოდა და ქვეყანის მპყრობელთა ხელმწიფეთა ფხიზლად აძინებდა და მძინარეთ საშიშრად ესიზრმებოდა, ამ სადღესასწაულოს სახელის მოხსენებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!

მაგრამ ცა და ქვეყანა მეფის ერეკლეს მხსოვარნი არიან. მზე და მთოვარე იმისს ბედნიერს ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან. დღისით მზე იყო მეწინავე სარდალი და ღამით მთოვარე, ესენი მეფის ერეკლის გამარჯვებულს დროშას წინა უძღოდენ; სისხლის მტერთათა შეღებილი მთა და მინდორი მეფესა ერეკლეს მოუთხრობენ. ვის შეუძლიან დავიწყება? ვის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბავრაყი?

მაგრამ, ხელმწიფევ, რად გვიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულება, თუ კი სამკვდროსა ზეთს იცხებდი?

რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი, თუ კი დასამიწებელს სუდარს გარს მოიხვევდი?

რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუ კი სკიპტრის მპყრობელს ხელებს გულზე დაიკრეფდი?

რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა, თუ კი მტერზედ გარდახურვილს შენის შიშის ფარდას აჰბდიდი?

რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუ კი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?

იგლოვდი ქვეყანავ, რომელიცა უძვირფასესითა სპეკალითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობადთა და საცნაურთა — მეფე ერეკლე—შენს სიღრმეში დაჰფარე:—განკრთი, განკვირდი!

სტიროდე ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკვლავთაცა აბრაამისებრ განკვირვებით მხედველი, მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები, საუკუნოდ დაბნელდა.

დაბნელდი მზეო, რომელსაც გაქვს მოსწავებული დაბნელებით ჰირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ჭართლისა, — მეფე ერეკლე, შენს ბრწყინვალებას ვეღარა ხედავს.

ზეციერნო ძალნო! აქამდის თქუენს დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენ სამღრთო სტუმარი, მეფე ერეკლე—გესტუმრათ. თუმცა სამეფოს დიდებით ვეღარ ნახავთ—საფლავის ტუსაღი გევედრებათ, მარამ თქვენ, როგორც თავისის ქეთევან დედოფლის სისხლი, ისე შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ. როგორც დიდს კონსტანტინეს, ისე მოეგებენით.

მაღალო და ძლიერო ღმერთო!

დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა; ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ესტირით. და მეფე ერეკლე—თაჲი, განმგებელი ერისა; ხელი, მზრდელი ობოლთა; მკლავი, მომგერებელი მტერთა და გვამი, შრომისა მოყვარე მისი,—საფლავში ირღვევა. შენ გევედრებით, იესოს სისხლით ცხებულს მეფის ერეკლეს კაცთმოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, და იმისგან დაობლებულსა საქართველოს მოხედე.

სად დაჰხედ, მზეო, სამეფოთა სირათა და პანკრატით გვართაო, რომლისა დისკოსა ნათელს იღებდნენ გონიერნი? სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელმწიფური განგება? რად შემოიხსენ ხრმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურაჲი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და, სამესისხლოდ განჰიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა?—სადა ღერკულესის მეფის უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა.

რად ადიდე სახლი, თუ კი საუკუნოდ დასცლიდი? რად მიეც სიამაყე დედოფლობისა შენს უმაღლესს ფერცხალს, თუ ასე დასჩაგრავდი? რა გაწყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშობლომ? რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახს? რად ადიდე შენს უმაღლესს ტახტზე? თუ ადიდე, რადღა დაამიწე? რად უღალატე ხელმწიფეს ქმრითა და შვილებით ბედნიერს? რად ატირებ? რად დააქვრიე?—უწყალოვ! რად მოუკალ ხელმწიფე ქმარი? უწყალოვ! სად ამიწებ კეისართაგან გვირგვინოსანს შენს უმაღლესს თავს? სად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი ხელები, რომლითაც თავეთს შემაღლებულს კამარაში მფრინველთ სიცოცხლეს მისტაცებდი? რად ასწავლე საყვარელს ქალებს საქალო კრძალულება, თუ კი თავმოხდილი ატირებდი? რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუ კი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი? რად გვასწავლე ზრდილობა მხედრობისა ვაჟკაცობითურთ, თუ კი შენს წინ სისხლსა არ დაგვაქცევინებდი?

ჩემს უღირსად, შენგან მოწყალებით გაზრდილი, შენის კარგის ბატონ-ყმობის ტრფიალი სოლომონ, აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ოხრად დამაგდებდი?

ხელმწიფევ! რად დაგიკარგავს ხელმწიფეთაგან საშურველი ზრდილობა?

ამ დუმილით პატივსაცემელს სასახლეში რა ამბავია? უჩვეველი ხმის შემაღლება.

რას ნიშნავს ამისთანა უბედური სალამი? გარდმოხედე ხელმწიფურად შენს მეჯლიშში მეინახეთ დარბაისელთ, სახელოვანს სარდლებს.

ხელმწიფევ! ვიცი, რომ საქართველოს ხალხი მეფის ერეკლეს ტახტზედ აღსვლით გულამაყნი არიან.

ქვეყანას უკვირდა: „სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო, არ დაიჩაგრაო ჩემი სიამაყე“. პირველად სიმართლე იყო და მეორედ მეფის ერეკლეს სიმრთელე; მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი—მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მიმაჩნდა. ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკვდილით სოლომონის გული დაიჩაგრა. იმისი ტკბილი ბატონ-ყმობა ვიტირო, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმან აღარ დააცალა.

ხელმწიფევ, დედოფალო და მეფის ძენო! გაფიცებთ მეფის ერეკლეს დღეგრძელობას, სიმრთელეს და გამარჯვებას,—ორში ერთი მოწყალება მოიღეთ: ან მომაკვლევინეთ [თავი] და მეფის ერეკლეს უმაღლესის ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზედ იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზედ

ირღვევოდეს; ჩემთვის ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარს მეფეს ნიადაგ მარტოკა ვახლდი ხოლმე. იქ ბატონ-ყმობა სადღა იყო, იქ ბატონ-ყმობის სიკეთე როგორღა დარჩებოდა? უღრმესად იფიქრეთ უმაღლესნო და ისე შემიბრალეთ: ან ამ ქვეყნიდგან დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ერეკლეს რაინდობაზედ თვალი დამრჩომია, სადაც იმისის გამარჯვებული დროშისათვის მიმსახურნია, თუ სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ირაკლის ბედნიერი სალამი შემყვარებია, და იმის სახსოვარს მეჯლიშში, ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის ალერსით, ჩემგან ხუმრობა ჰყვარებია და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით, მიმსახურნია, ის ადგილები აღარა ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვა.

ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოო მამავ, მეფევ ერეკლე! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანისა უზომო ტრფიალება? ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვჰკვდე? ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან!".

XXXVI

თვესა მეოთხესა შემდგომად გამეფებისა მოხდა ამბოხი ძმათაგან მეფისა გიორგისა მეორისა დედიდან. იულონ, გამეფებული ქართლსა, აღიარებდა უფლებასა თვისსა მეფობისა ტახტისათვის, ანდერძისა გამო მეფისა ირაკლისა. ვახტანგ ანუ ალმასხან (ორ სახელოვანი) არაგვისა განმგე, ჰგონებდა თავსა თვისსა არა დამოკიდებულად მეფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი, ძველთა წესითა, არაგვისა. მირიან გაბატონდა მარტყოფსა და ფარნაოზ სურამსა. ალექსანდრე ივლტოდა სპარსეთსა და შეევედრა ყენესა, რეცა მტერი რუსეთისა. ანდერძისა ძალითა ნამდვილ ხელმოწერილითა მეფისა ირაკლისაგან ოთხისა დღითა წინათ სიკვდილისა, თხოვისამებრ დედოფლისა,—ჯერ იყო, რათა ემეფა პირველად პირმშოსა ძესა მისსა გიორგის, შემდეგ ძმასა მისსა იულონს, შემდეგ ამისა ძმასა მისსა მირიანს, მერეთ ვახტანგსა, მერეთ ალექსანდრესა და მერეთვე ფარნაოზსა. შემდგომ ფარნაოზისა მეფობითი უფლება გარდავიდოდა მეფის გიორგისა შვილზედ დავითზედ, მერეთ იოანეზედ, ბაგრატზედ, თეიმურაზზედ, მიხაილ და სხვა. შემდეგ ამათისა მოვიდოდა ჯერი მეფობისა იულონისა შვილზედ და შვილთა ზედა შეჰდგომთა მისთა ძმათა და სხვანი.— ესრეთმან უგვანმან ანდერძმან, დაწერილმან ყორღანაშვილისა ოსეფასაგან, აღსძრა შფოთი ძმათა შორის. მეფე გიორგი იძულებულიყო

მოსვლადმდე რუსეთისა ჯარისა, მიეღო ღონე დამშვიდებისათვის ქვეყანისა. ძლიერი ხელითა განაგებდა საქმეთა კეთილად მინდობითა ღვთისადმი, ვითარცა ხშირად იტყოდა თვით. მოითხოვა ავარიისა ხანიდამ 3.000 ლეკი ფასითა ნაჭირავნი. ესენი დააყენა მცველად ჭალაქისა ავლაბარსა და მეტეხისა ხიდისა გარეთ. დღესა ერთსა ბელადი მათი მურად, მარადის მეფესთან მყოფი და ერთგული, ეტყოდა მეფესა: „ბატონო მეფეე, თქვენნი ძმები მეცადინებენ მომისყიდონ მეცა და ჯარიცა და გიღალატოთ თქვენ“. განრისხნა მეფე და დიდისა ხმითა ბრძანა შეპყრობა ტუსაღად დედოფლისა დედინაცვლისა თვისისა, სადაცა იქმნებოდა რჩევა ესე ღალატობისა. ხმამან მეფისა მჭუხავისა შეაძრწუნა თვით მხლებელნი მეფისა. გარნა ღვთის მოშიშ მეფე შედგა და შეაყენა მსჯავრი თვისი. მაშინ ბრძანა მეფემან: „კმარა! მოახსენეთ დედოფალსა დაწყნაროს ღელვა შფოთისა!—შეჰკივლა მეფემან:—წარვედ ელევთერ! და თფილელსა არსენის აუწყე სიტყვა ჩემი და ერთად მასთან მოახსენეთ დედასა ჩემსა, ნუ გამომიყვანს მოთმინებიდამ; შეიბრალოს ქვეყანა, ქრისტიანობა და ვებრალებოდე მეცა, ვითარცა მეფე და პატრონი ქვეყანისა, რომელსაცა მაქვს ვალი ზრუნვისა და სამართლისა მეფობისა გამო, ზეგარდამო მონიჭებულისა ჩემდა“. წარვიდენ და მოახსენეს დედოფალსა, რომელმანცა მოიხადა ბოდიში, ვითარცა შეშინებულმან ნამდვილ, და ითხოვა მხოლოდ, რათა შვილთა მისთა და ძმათა თვისთა განუსვენოს და დააკმაყოფილოს სარჩოთი და პატივცემითა ღირსებითითა. მოისმინა მეფემან ესე ყოველი და ბრძანა: „მადლობა ღმერთსა, რომ დამაცხრო სიტყვამან დედისა ჩემისა. ახლა ვიზრუნოთ ძმათათვის ჩემთა“,—სთქვა მეფემან. დაიბარა შვილნი თვისნი დავით და იოანე. უბრძანა მათ რათა—„ჭართლისა ჯარითა ხვალვე წარვედით სურამისაკენ და გამაგრებულსა სურამისა ციხეში ფარნაოზს, გამოუცხადეთ გამოვიდეს და იყოს მორჩილებით,—და თუ არა ჰქმნას, აიღეთ უთუოთ ციხე, გამოიყვანეთ და დასთხარეთ თვალები“.—ესრეთ სურამისა ციხესა შემოადგნენ მაისის 20 და შეუგზავნეს ამირეჯიბი დავით მოციქულად. ფარნაოზ შეშინებული გამოვიდა ციხიდამ და წარვიდა ქსანზედ ცოლეულებთან, მიმცემი სიტყვისა არღა შფოთობისა პირისპირ მეფისა და მოსვლისა მეფესთან მალე ქალაქსა თფილისს. სამ თვეს ტრიალებდა ფარნაოზ სურამისა გარეშემო და აჭა შეიგროებდა ჯარსა და ლეკთაცა მიიწოდებდა ახალციხისა მხარეთაგან. მე თვით მინახავს მცირე ოქმი, სურამს ნაბოძები ფარნაოზისაგან, სადაცა იწოდებოდა ბეჭედითა სმულითა: მ ე ფ ე ფ ა რ ნ ა ო ზ და სხვა ბეჭედი შემდეგითა წარწერითა: დ ე დ ო ფ ა ლ ი ა ნ ნ ა. ესე ამბავი ბეჭედისა მოვახსენე ფარნაოზს 1844 წელსა ს. პ. ბ. და იცნოდა კურთხეული

ამისთვის: „ჩემო პლატონ, — მიბრძანა მან,—დროება მრავალს რასმე აქმნევინებს კაცსა!“

1803 ანგლიისა სასახლეში პეტერლოფს შეყრილნი მეფის ძენი და მეფეთა ასულნი მიუთხრობდენ სადამე წარსრულთა დროთა შემთხვევათა. მუნ იყო დროსა ამას სიმამრი მეფისა გიორგისა გიორგი ციციშვილი (ხათა გოგიად წოდებული), და ოდეს იტყოდენ ამბოხისა და მეფობისა დაცემისა მიზეზთა, მაშინ ვიეთნიმე ბრალსა დიდსა მიაწერდნენ ფარნაოზსაცა მეფის ძესა, ძმათა შორის უმცროსსა, რომელიცა ეძებდავე ტახტსა და მეფობასა საუბედუროდ ქვეყანისა. მაშინ გიორგი ციციშვილი იტყოდა: „რას ჩააცივდით თქვენ კურთხეულნო ფარნაოზსა? რას ბრალს სდებთ მას? ფარნაოზი იტყოდა ამას: „მამისა ჩემისა ანდერძითა, ხომ უნდა ვიმეფოო ოდესმე,—მე ჩემი წილი ეხლა მინდა ვიმეფოო!“—ესრეთ სიცილით მოიგონებდენ საქმეთა წარსრულთა ქართველნი და მხიარულებითა განაზავებდენ მეფობისა ღირსებათა თვისთა და პატივისა დაკარგვისა სიმწარესა!

XXXVII

შფოთისა დღეთა ამათ მიგვარეს და მიულოცეს მეფესა გიორგის თელავსა 8 წლისა მოზრდილი შვილიშვილი მეფის ძისა იოანესი გრიგორი 12 მარტსა. მიმყვანებელად იყო გაგზავნილი თვით მეფის ძის იოანესაგან, რომელიცა იყო დროთა ამათ არა საჩხერესა თვისსა სიმამრთან ზურაბ წერეთელთან, არამედ იცავდა ქ. თფილისს,—აზნაური გიორგი ფიცხელაური (ქეთევან მეუღლე მეფის ძის იოანესი გარდაიცვალა ს. ჰ. ბ. 10 მარტსა 1823 წ.) მაშინ მეფემან ინება და განუახლა ჩამორთმეული ადრევე ერისთავთაგან ქსანზედ ისროლის ხევისა მოურავისა საშვილიშვილოდ, ბოძებული ოქმი 13 აპრილსა 1798 წელსა, დღესაცა აქვსთ მემკვიდრეთა მისთა. ოქმსა ამას შინა მოიხსენებს მეფე შვილისშვილსა გიორგის: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი, და შვილნი ჩემნი დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხალ, ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ და შვილისშვილი გრიგორი...“ — რადგანაც დიდად უყვარდა წიგნი „გრიგორი ნოსელისა“, ამისთვის ბრძანა უწოდონ სახელად ახალშობილსა „გრიგორი“ და ისურვა რათა მიმქმელად წმინდისა ემბაზიდამ, ექმნას გამალიელი წინამძღვარი იკორთისა.—ესე ყოველი მიამბო თვით გაბრიელ ფიცხელაურმან (მოკვდა 1837 წელსა,

თფილისს), რომელიცა იყო ძმა არქიეპისკოპოსისა დოსითეოსისა (ერის კაცობაში დიმიტრი).

ლეკთა ჯარმან დაჰყო თფილისსა 4 თთვესა. მათ ეძლეოდათ ულუფად პური, არაყი, თვითო ხელი ტანსაცმელი და მეექვსესა თთვესა, მოსალოდინებელსა რუსისა ჯარისა დაბარებულისა მოსვლისა დროსა უნდა მისცემოდათ თვითოსა კაცსა თთვეში 30 მანეთი. იტყვიან მოხუცნი, მახსოვარნი დროთა ამათ, რომელ ლეკნი სტაცებდენ ქალაქისა მცხოვრებთა ქუდთა, ოდესმე იდუმალ და ოდესმე ცხადად;—გარნა იყვნენ მორჩილნი ბელადისა და ეშინოდათ მისისა სამართლისა.

უკანასკნელთა დროთა ზაფხულისა თთვეებსა, გიორგი ციციშვილმან მეფისა ბრძანებითა წარიყვანა 500 ლეკი ყარსისაკენ მოსახილველად ვითამცა სამძღვართა. სცნეს ესე თათართა ოსმალთა და განემზადნენ საომრად, მოეგებნენ ჯარსა ჯარითა. ოდეს შევიდა ყარსისა სოფლებში, ბრძანა აკლება სოფლისა აჯალღუსი, სადაცა იყვნენ 200 ბეკომური მცხოვრებნი და ვაჭარნი უფროსი ერთი თათარნი და მცირედ სომეხნი.—ღამესა ერთსა აიკლო სოფელი. სპილენძეულნი, ოქროდ და ვეცხლად იშოვეს ათასისა თუმნისა; ცხენი და ჯორი მრავლად, ცხვარი და ძროხა მრავლადვე. დღესა მესამესა დაბრუნებულსა ლეკისა ჯარსა და მათსა სარდალსა გიორგი ციციშვილსა მოეწივნენ 700 ოსმალო, და დაესხნენ მძინარეთა და ქმნეს დიდი მუსრვა ლეკთა. გიორგი ციციშვილი ჯერეთ ფხიზელი გამოიქცა და თან მიჰყვნენ ქართველნი. ლეკნი სხვად ბანაკად დაბანაკებულნი დაშთნენ თურქთა ტყვედ და მათ სჭრეს მრავლად თავნი. გიორგისა ოსმალნი ვეღარ მოეწივნენ და დააყრევინეს იავარი მათი, გარდა ფულისა და ნივთთა, რომელნიცა ეშოვნა სარდალსა. მეფემ სცნო ესე, დიდად შესწუხნა. „გოგიავ! რა მიყავ ესე?"—უბრძანა განგრძელებულითა ხმითა მეფემან.—„შე კურთხეულო,—მოახსენა—თვითოს ლეკის თავში უბოძებ თვითოს ოქროსა და მე 500 ლეკსა ერთს დღეს მოვაჭრევინე თავი. რა დაშავდა ამითი? ჯილდოც მერგება".

მაშინ უბრძანა მასვე სარდალსა გაისტუმრონ ლეკთა დანარჩენი ჯარნი. ამას მისცა თვითოეულსა პირობისამებრ კუთვნილი ჯამაგირი და ბელადსა მურადას უბოძა თოფი კეთილი, წყვილი დამბაჩა, ხმალი, ათი თუმანი ფულად, ტანსაცმელი და ერთიცა ცხენი იაბო. რუსთა ჯარი მოსულიყო დუშეთსა, ვითარცა აცნობეს ესე მეფესა და არღა ეშინოდათ მტერთაგან, რომელთაცა აღერებდნენ იდუმალ განფანტულნი მეფისა ძმანი ქართლისა და კახეთისა მხრით.

XXXVIII

აღსავსებათ მოთხრობათა ამათ მეფისა გიორგისათვის, ვსთხოვე მოხუცსა ბარბარე ოთარ ქობულიშვილის მეუღლესა და ომან ხერხეულიძისა ქალსა, მაცნობოს წერილით, რაჲცა იცის. დამსწრე დროთა მისთა, ქალი ომან ხერხეულიძისა მდივნისა, რომელმანცა აღსწერა ცხოვრება მეფისა ირაკლისა (ციციანოვისა თხოვნითა 1804 წელსა) და თვით გასწავლული ქართულად მრავალთა წიგნთა წარკითხვითა, მწერს შემდეგსა...

[1] „მეფე გიორგი და თამარ ბატ[ონის]* შვილი მეფისა ირაკლი-[სა] შვილები იყვნენ, აბაშიძის ქალის ანნას ნაშობნი. გარდაიცვალა ქალბატონი რძლობაში და შემდგომ შეირთო დადიანის ქალი დარეჯან. ამისგან მრავალი შვილი მიეცა მეფესა, მაგრამ გიორგისთანა არც ერთი იყვნენ. სახით მშვენიერი და ტანადი, მაღალი და ბრგე სანახავი. ჰკუით და სახით საქებელი. კაცობით ცნობილი. ბევრგან სწერია იმის გამარჯვებაები ოსმალთზედა. იყო დიდი მლოცავი და მარხვის შემნახავი და მემარხულე. ყოველის ბიწიერებისა [მოშორებული]. უყვარდა მდიდარი სადილი, თუმცა სძრახამდნენ, რომ ვითამ ბევრს საჭმელს მიირთმევსო, მაგრამ ჩემი ქმარი ფიცით ანბობდა, რომელიც სადილად სულ იმა სახლშია (sic), რომ რაც ერთის კაცის ყამყოფია, მეტს არ მიირთმევსო; მაგრამ გრძლად უყვარს რომ სადილი ეშალოსო და ღვინოს უფრო მომეტებულსაო (?). მაგრამ ისეთს ღვინოს მიირთმევდა, რომ ეხლა სადღა იშოება იმისთანა ღვინო. იმათი სასმელი ღვინოს ვენახი უნდა აბეჩხარი ყოფილიყო, ესე იგი დაუბარავი და პატივი დაუყრელი, ამისთვის რომ ძალიან ცოტა გამოვიდოდა და კარგი. უცხვებოდა ხუთი რიგი პური: მურასა, საგარეჯო, შოთი, პირგაშრილი პური და კაკალა პური. ამ პურის ხორბალი იყო მოტანილი ბაიდრიდამ, სადაც უკეთესია ყველაზედ. შაქარა ახნაური შინაშვილი იყო მეგობრე და იმას ებარა ხორბალიცა და ხაბაზებიცა და გამომცხვარიცა პურიცა. ამ შაქარას ხიზანი ისხდნენ და თითით არჩევდნენ ხორბალსა; მერე დაღერღდენ და ქერქს გადააძრობდნენ და ისე დაიფქოდა. მეც ბევრჯელ მიჰამია ეს პური, რომ ეხლაც მახსოვს

---

* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოები და სიტყვები პ. იოსელიანს ეკუთვნის. წერილი შედარებულია ორიგინალთან და დაცულია მისივე მართლწერა. ტექსტის საერთო ხასიათის შესახებ იხ. „შენიშვნებში“ („ტექტისათჳის-).

რედ.

იმისი სიკეთე. მე მყვანდა დედიდა, გლახა შალიკოვის ცოლი. ეს იყო ნაზირი მეფის გიორგისა. როდესაც ნაზირის თავდგომით სადილს მიირთმევდა მეფე, მერე ყოელისა საპმლიდამ და ყველა პურიდამ ნაზირის სახლში მოიტანდნენ. მაგრამ რა ქება ვთქვა იმ საპმელებისა. მართალია, ბლამანჟები არ იყო, მაგრამ ჩინებულათ მასალებით და გემრიელათ გაკეთებულები იყო და არ შეიძლებოდა იმათი სადილი, რომ შემწვარი ხბო არ ყოფილიყო. ეს ხბოც განგებ გასუქებული უნდა ყოფილიყო. გააგრძელებდა სადილს, და, რომ არ გაციებულიყო, ყველას ლავაში ეფარა, მერე ლავაშქვეშ შეჰყოფდა ხელსა და ყველა საპმლიდგან თითოს ან ორს ლუკმას აიღებდა და ვინც სუფრაზედ დარბაისელნი უსხდნენ თითო-თითოთ უბოძებდა, ვისაც უფრო სწყალობდა. და ეს იყო დიდი მოწყალება და იამებოდათ. მერე მოისვენებდა და როდესაც გაიღვიძებდა, სამეფო საქმეს განაგებდა და ვახშამს არ მიირთმევდა. ეს იყო დიდი ფაქიზაობისმყვარული, ასე რომ ზომაზე მომეტებული. საფენს და სახლს აწვალებდა ბევრის ბერტყითა და გვითა. ყულუხჩებს დღეში ათჯერ ხელს დააბანინებდა. როდის ფული შემოვიდოდა სამეფოდამ, ვინ გაუბედავდა რომ გაურეცხელი მიერთმევინათ. ხაზინადარი მეფისა იყო ქაიხოსრო სუმბათოვი. ის სულ იმ საქმეში იყო, რომ ჯერ თეთრს მიწით გახეხდა და მერე საპნით და ისე მიართმევდა. ჩემა ქმარმა მითხრა: ბატონმა მაინდომა აბანოში წასვლაო. ფარეშებმა ჩაალაგეს აბანოს იარაღიო და მე და იოსებ მელიქოვსაც გვიბრძანა წაყოლაო. და ეს დიდი წყალობა იყო. შევყევითო, მაგრამ როგორ მივეკარებოდითო. მეაბანოემ რამდენ რიგად აბანაო და ის ემსახურებოდაო. ბატონის გამოსვლის დროს იოსებ მელიქოვი ადრე გამოვიდაო, ეგონა რომ იმსახურებდაო. გაბძანდა ბატონი და თვითონ ჩაიცვა, სარტყელი უნდა შემოერტყაო, მივიდა ეს იოსებ და სარტყელი ხელში აიღო რომ მიართვასო. უბძანა: რომ შენი ტანისამოსი შენ ჩაიცვი ყველაო და ახლა ჩემი სარტყელი აიღე მაგ ხელებითაო. დაუძახა ფარეშსაო, წაიღე ეხლავ, ქვა მოაბი და მტკვარში გადააგდეო. თუ არ გადაგიგდია, უთოოდ თავს მოგჭრიო. ეს იყო მშვენიერი ნარგიზი თირმა შალი. თავსაც დავსწვარე და ახლაცა ეწერ—დიდი მლოცავი იყო და ამისთვის დიდად ეწუხებოდა, რომ დავით ბატონიშვილი არ იქცეოდა ისე, როგორც მამას იამებოდა. რადგანაც დავით მემკვიდრე რუსეთში იყო გაზდილ, მარხვას სჭამდა და სარწმუნოებაზედ სუსტად იყო. გაუგზავნა მეფემ მოციქულად ელიაზარ მდივანი ფალავანდოვი [და ელევთერი] [12]

[12] ელევთერი გვარით ხუკაიშვილი ანუ მერე ხურაბაშვილად წოდებული, იყო მღვდელი ჯამსა მეფისა გიორგისსა, რომელმანცა გააზნაურაცა. შვილი მისი

და შეუთვალა თუ ჩემი სიამოვნება გინდაო, მარხვის ჟამაზედ ხელი აიღეო, და ეკკლესიაშიც ხშირათ იარეო. იმან შემოუთვალა: რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრესო და შენ რაცა გწამს მე გამიწყრესო. ამ სიტყვას ვერ უბედავდა ელიაზარ მეფესა, მაგრამ ძალით ათქმევინა. მაშინ ბრძანა ფსალმუნი ესე: „დადგა იგი ყოველსა გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინაო“ *; დაჩუმდა და აღარაფერი ბძანა. დილის რვა საათიდამ მოყვებოდა და ორს საათს ილოცამდა; რომელსაცა ხატს სამთხეველად ვერ შესწვდებოდა, ჯოხის თავს მიადებდა, იმას ემთხვეოდა. ათს საათზედ პირის ბანას მოყვებოდა. დაიბანდა ხელებს ათის კვერცხის გულით, მასუკან სურნელის საპნით. არშიყი იყო თავის ხელებისა, რადგანაც მშვენიერი ხელები ჰქონდა. თორმეტს საათზედ გაბძანდებოდა და შემოეხვეოდნენ დარბაისელნი და აგრეთვე მოარზენი და საქმობდა სამ საათამდინ. მეოთხეზედ სადილს მიირთმევდა. სამი საათი ბძანდებოდა სადილზედ და ვახშამს არ მიირთმევდა. ღვთის მშობლის მიცვალების დღეს წირვაზედ ბძანდებოდა მეტეხში და მეტეხის დეკანოზმან იასე სულხანოვმა სთხოვა სადილზედ იმის სახლში მიბძანება. მეფემაც აღუთქვა და ესეც უბძანა: დღეს შენი სადილის მოტანა ისე უნდა იყოსო, ბოლოდამ მოყეო საქმლების მოტანაო. ისეც აღასრულეს: პირველად მიიტანეს ყველი, მერმე შემწვარი და ფლავით გაათავეს. — როდესაც მეფე ირაკლი გარდაიცვალა, მაშინვე უბძანა მეფემ გიორგიმ თავის საყვარელს ალექსანდრე ეშიკაღაბაშს მაყაშვილსა: სტოლი დადგი, ქაღალდი და საწერ-კალამი გვერთ მოუდგიო, და ყველამ ხელი მოაწეროსო ჩემს მეფობაზედაო, და მერმე მრისხანედ შეუძახა: ვინც არ მოაწეროსო კარგად დაისწავლე და ან არ დამალოო. ყველამ ხელი მოაწერა, არ ვიცი, შიშით თუ სიყვარულით. ბევრი შეშინდა, რომ არ იამათ ამისი მეფობა და ამისთვის მეფის ირაკლის ნაახლი მოხელენი თითონ აღარ იახლა და ზოგს ძმა, ზოგს შვილი გამოართო და ისინი ახლდნენ. ვისაც რაც წყალობა ჰქონდა განწესებული ულუფა თუ ჯამაგირი არავისთვის არ მოუშლია და დიახ რიგიანად მეფობდა, თუ სნეული არ ყოფილიყო. ძმები მტრობდენ, რადგანაც რომ ერთის დედის შვილები არ იყვნენ. ამისთვის მირიან ბატონ[ის]შვილმან მოინდომა, რომ მეფე გიორგი მეფობიდამ გამოიყვანოს და თავისი ძმა იულონ დასვას

მღვდელი არის მონათლული მეფის ძის მიხაილისაგან, იყო საყვარელი მეფისა ირაკლისაცა სიტყვა-ნიჭიერებისა გამო. მოკვდა 1825 წელსა.

[კვ. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები: „და ელევთერი“ პლ. იოსელიანს აუმატებია გადაწერისას დაკუმენტში. რ ე დ.]

---

* ქობულიშვილის წერილში ეს სიტყვები ფრჩხილებშია შეტანილი. რ ე დ.

მეფეთა; დარეჯან დედოფალს სთხოვა შვილმა მირიანმა, რომ კახეთში უნდა წამობძანდეთო, იქ უნდა გაჯამეფოთ იულონ და გიორგი დავითხო[ვო]თო. დედოფალი არ ეთანხმა და არ წაყვა. ეს შეიტყო მეფემ და ბძანა: მე რომ ძმა ვარო და ასე მტრობენო, ჩემს შვილებს სულ დახოცვენო. დაწერა პავლე ხელმწიფესთან და მიართო ქართლი და კახეთი და როგორც ეწერა ეს ყველას ცნობილი აქვს. გაატანა ეს წიგნი გარსევან ჭავჭავაძეს, ელიაზარ ფალავანდოვს და გიორგი ავალოვს. მაინც სამეფო არავინ იყო და ჩემს ყმაწვილობაში გამიგონია დარბაისელთაგან, რომ მეფობა არავის არ შეუძლიან იოანე ბატონ[ი]შვილის მეტსაო; ამისთვის რომ კაი ვაჟკაცი იყო და ბუნებითი ჭკუაც დიდი ქონდა, ისე რომ არც ძმებს და არც ბიძებს იმდენი სამეფო საქმე და ქვეყნის მოვლა არ შეეძლოთ.

პლატონ! ეს დავსწერე, ამის მეტი არა ვიცოდი რა და შენ გაასწორე, თორემ წინ და უკან არის დაწერილი. მამა ჩემი იყო ლაშქარნივისი * მეფის ირაკლისა, მაგრამ რადგანაც კაი მწერალი იყო, წერაში იხმარებოდნენ მეფე[ე]ბი. როდესაც ყეენი მოვიდა და ქართლში გადავსახლდით, ჩვენს მამულში, იქ იულონ ბატო[ნი]შვილს ახლდა ერთი წელიწადი. იულონ საერისთოში იყო. მეფემ ერისთვიანთ წა[ა]რთვა და შვილს მისცა. იულონ არაფერს სარჩოს გვაძლევდა და წამოვიდა მეფეს გიორგისთან. პირველს ნახვაშივე უბძანა: ომან მდივანო, შენ მოახსენე ჩემს ძმას იულონსაო, რომ ქართლის გორის ციხე დავიჭიროთო: ქართლი ჩვენი შეიქმნებაო. არა შენი ჭირიმე, მოახსენა, ეგ მტრის ენა გახლავსო: თორემ ქართლში ბევრი გორის ციხეზედ უკეთესი ციხე[ე]ბიაო. მაშ კარგი, და წერილით მომახსენე მამის ჩემისაგან რაც წყალობა გქონდაო. დაწერა და მიართო. ყველა უბოძა, ჯამაგირიც და ულუფაც. ექვსი ლიტრა ხორცის ბარათიცა ყასაბაბაშს რიზაულიაზედ.

მეფის სასახლის ღვინის ქება რო დავსწერე, ის ღვინო იყო ზემო ხოდაშნისა ზვრისა, რომელიც რუსებმა გაჰყიდეს და ერთმა გამყრელიძემ იყიდა. თუ გნებავს ესეც დაწერე, რომ მეფეს ერეკლეს პირველს ცოლთან გიორგი და თამარი ყვანდა ორივ მშვენიერები. მე გამიგონია თეკლა ბატონიშვილისაგან: ჩემს დას თამარს ისეთი მშვე-

---

* ავტოგრაფში (ქობულიშვილის წერილში) ამ სიტყვას მიჰყვება სიტყვა „მაგრამ“, რომელიც დამწერის უნებლიე შეცთომას წარმოადგენს. რედ.

ნიერი თვალები ჰქონდაო, რომ ადამის გარდა ღმერთს იმისთანა თვალები არავისათვის გამოუმეტნიაო და მიუციაო *.

[მ ე ო რ ე ბ ა რ ა თ ი]:

[2] „პლატონ! ჩემი ქმრისაც ეს უნდა დაწერო, რომ ქობულაანთ ჰქონიათ მამა-პაპით კახეთის მდივნობა. ჩემი მამამთილი დავით მდივანი იყო, მთელი კახეთის განმგე და საყვარელი მეფის ირაკლისა, და იქაც ხომ დავწერე რომ მამის ნახლები აღარავინ იახლა მეფემა. ამისთვის ებძანა: დავით მდივანო! შენ შინ მოისვენეო .და შენი შვილი მაახლე და ახლად დაგიმტკიცებ მდივნობასაო. იმანაც აახლა უნცროსი შვილი ჩემი ქმარი ოთარ. ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ კახეთის მდივნობა რა იყო. რუსებს სეკლატრობა ჰგონიათ [13], მაგრამ მარტო არა. კახეთიდამ რაც სამეფო შემოსავალი იყო, ათის თავი მდივნებისა იყო. და სამეფო სოფლებიდამ თითო მსახური უნდა ხლებოდათ".

XXXIX

განჯის ხანი ** და მეფის ძე გიორგი იყვნენ მეგობარნი. განჯის ხანი, აღზრდილი თფილისსა, ხშირად მყოფი სასახლეში, არ ივიწყებდა მეფისა ძის პურ-მარილსა. ამისთვის მამისავე დროსა აქვნდა მოუწყვეტელი მიწერ-მოწერა მასთან. დროსა მას, როდესაც მოუძღვა აღა-მაჰმად-ხანს ასაღებად თფილისისა, დაიცვა მან ბოროტმან რეცა მეგობრობა: და არ გადააწვევინა სასახლე მცირედი, სადგური მეფისა მის. გამეფებისა დღეებსა, სცნა რა მან სიკვდილი ირაკლისა, მოსწერა წერილი ნუგეშის ცემითი, აზიელთა მთავართა ჩვეულებრივი. მეფემან გიორგი მიუგო პასუხი, გარნა არა ეგოდენ ტკბილი, რო-

---

* წერილის დასასრული დედანში:

პლატონ! ახლა შენ იცი, როგორც რიგზედ დასწერ. ძალიან წინა და უკან არის დაწერილი და შენ გაასწორე. რაც დასაწერი არ არის, მოშალე და თუ გინდა ეს ლექსიც დაწერე. მეფის გიორგის ბეჭედზედ ეს ეწერა:

სიდაბლით გარდამსრულსა
იესოს ვაქებ ღმერთ კაცსა სრულსა.

თუ სამძიმე არ იყოს თქვენთვის, დღესა მნახე. [იხ. წ.-კ. საზ-ის № 3053].

[13] მდივანბეგობა იყო ვითარცა რუსთა შორის სენატორობა. მდივანსა აქვნდა ძალი საქმის გარდაწყვეტისა და სოფლებთა მოვლისა. იქმოდა ყოველსავე და პასუხსგებდა მხოლოდ მეფესა. იყო ნამდვილ განმგე სამეფოთა საქმეთა, მცველი ქვეყნისა ჯაზრითა, რჩევითა და მოქმედებითა; თანამზრახველი მეფისა. იყო ძალითა და მნიშვნელობითა ესევე რუსთა შორის ნამდვილი Государственный советник და არა Член госуд. совета.

** იგულისხმება ჯ ა ვ ა თ - ხ ა ნ ი, განჯის მფლობელი, მოკლული პ. ციციშვილის მიერ განჯის აღებისას, 1803 წ. რ ე დ.

მელსაც მოელოდა მისგან ხანი. — ხანსა ეშინოდა მეფის ძისა მარადის; ელოდა დაცემასა განჯაზედ ჯარითა; ამისთვის ხანმან, მოგებისათვის მეფისა გულისა, საშიშისა მეზობლისა, არა მიხედა წყენასა, კვალად მოსწერა წერილი, წარმოგზავნა ორი შეკაზმული მძიმედ ცხენი, 20 ჯორი, 40 აქლემი, 4 ძვირფასი შალი და ერთი თოფი ინგლისისა მაუდი, — ითხოვა განახლება მეგობრობისა და მიტევება ბრალისა, დროთა წარსრულთა. — მეფემან მისწერა მადლობა და აუწყა გამოცხადებით, რომელ რუსთა ხელმწიფე მფარველია მისი, და იტყოდა, ვისაც სურს მეგობრობა ჩემი, უნდა ჰსურდეს მას კავშირიცა რუსთა ხელმწიფისა და მფარველობა მისი. ესე იყო უკანასკნელი ხანთან წერილი, მას ხანთან, რომელიც შემდეგ მეფისა მოიკლა რუსთაგან თვით განჯის ციხესა 1803 წელსა.

XL

8 აპრილსა 1798 წელსა წარავლინა შვილი თვისი და მემკვიდრე დავით და მეფის ძე შვილიევე თვისი იოანე კახეთსა აღსაწერად კომლეულად მცხოვრებთა სოფლებთა შინა. მათ აახლა დეკანოზი იოანე ოსეს ძე, ეგნატი იოსელიანი და დავით დიაკონი მარტყოფისა, ვითარცა მწერალნი. აღწერეს ამათ და მოართვეს სია მკვიდრთა რიცხვისა, სახასოთა, საეკკლესიოთა და საბატონოთა ყმათა. მასვე დროსა წარგზავნა აღსაწერად სომხითისა მოოხრებულისა ესავ ბეგთაბეგიშვილი, სულხან და დიმიტრი თუმანიშვილნი (პირველი სომეხი და მეორე ქართველი) და ეშიკაღასბაში ასლან ყაფლანიშვილი. ივნისის თთვესა მოერთო მეფესა სიანი და აღმოჩნდა 42.000 კომლი კახეთისა და თათრებისა ელითა; 2.600 სომხითსა; — მაშინ ბრძანა მეფემან: შესწერდეს კომლზედ ექვსი შაური ფულად აღსაშენებელად სასახლისა, მეფის სადგურად თფილისს. — რიცხვითა ამით შეგროვდებოდა საკმაო ფული. იეფობისა გამო შენობისა მასალათა ქართლი დაშთა აღუწერელად და რადგან მეფესა მოერია უძლურება და განუმრავლდა შფოთი ძმათაგან და იქმნა აღრეულობა, ვერღა მოიყვანა ესე ჰაზრი აღსრულებასა. მოკრეფილი კახეთსა და სომხითსა ფული ბრძანა მოხმარდეს ეკკლესიათა. ჯერ ვაშენოთ სახლი ღვთისა, ბრძანებდა მეფე, მერეთ ვიზრუნოთ სადგურისათვის ჩვენთა. მაშინ დააკეთეს მრავლად ბარძიმნი და ფეშხუმნი და მიანიჭეს მათ სოფლისა ეკკლესიათა, სადაცა არღა იყვნენ ესრეთნი სახმარნი ნივთნი. — მოუედეს მეორედ გაძრცვილნი წმინდანი ხატნი; შეამზადეს შესამოსელნი საეკკლესიონი და მოისყიდეს წიგნნი დაბეჭდილნი, სადაცა აგულებდნენ მათ სახლთა

შინა კერძოთა. ელევთერი, იოსებ სასახლის დეკანოზი,' სოლომონ დეკანოზი ანჩისხატისა, ალექსიშვილი იერომონახი იოსტოს და სხვანი იყვნენ განსაგებელად საქმეთა ამათ დანიშნულნი. დედოფალი და მეფის რძალი და ქალნი სასახლისა, მხლებელნი მათნი—გამდელნი და გამდელთა მოახლენი კერვიდენ დღე და ღამე შესამოსელთა. მეფე ამხნევებდა მათ და მღვდელნი, მომლოდნენი მეფისა წყალობისა, მხიარულებდენ და აკურთხევდენ ქრისტეს მოყვარებასა მისსა. თფილისსა შინა არა დარჩა სახლი არცა სომხისა, სადაცა არა იკერებოდენ ოლარნი, საბუხრები, დაფარნანი, ფილონნი და სტიხარნი ფარჩათა მაღალისა ფასისა და დაბალთა სოფელთა შინა მოსახმართა. ოქრომჭედელნი თფილისისა და თავად მათთა სიონის გაბრიელ ბასხაროვი დაშვრებოდენ ბარძიმ-ფეშხუმისა და ჯვართა კეთებაზედ. — მრავალნი ეკმაებოდენ მეფისა კარისა ულუფასა ღვინითა, ხორცითა და პურითა, და მრავალნი არა მიიღებდენ ფულითა სასყიდელსა. ქრისტეს ეკკლესიისა დიდებამან, ესრეთ აღსძრა გულნი ხელოსანთა, რომელ თავადნი და აზნაურნი შეუდგნენ მეფისა მაგალითსა და აღსასრულებელად მეფისა სურვილისა თვით თვისთა ეკკლესიისათა განამშვენებდენ სამკაულითა და აღავსებდენ მათთა ნაკლებულებათა. რვა თთვეს იყო ესრეთი მუშაობა. „დაფაცურდაო, — მეტყოდა დეკანოზი ანჩისხატისა დიმიტრი ალექსიშვილი მესხიევი, — მრთელი სამეფო, ამა ღვთივ მოსაწონსა საქმეზედ. დიდი მეფე იყო გიორგი, მამაშვილობავ, — მეტყოდა იგი მრისხანედ, — ტყუიან და სცოდვენ მგიობელნი მისნი. მეორე დავით, აღმაშენებელი იქმნებოდა იგი, უკეთუ მისცემოდა მას სიცოცხლე. სიკვდილი მისი უბედურება იყო ქვეყანისა. მისისა ლოცვითა და ცრემლითა პურსა სჭამს დღეს ქვეყანა. ასე იცოდე და ასე იცოდნენ ყოველთა", — კვალად იტყოდა მრისხანისა სახითა. — ნამდვილ ვიტყვი მეცა მიხედვით მის ცხოვრებისა, რომელ შეიქმნა იგი ძირად ნედლისა ხისა, რომელმანცა დაკარგა შტონი, გარნა კვალად აღმოაცენნა ახლად და განახლდა იგი საამოდ თვალთა და ნაყოფისა მომცემად. ხმა მისი იყო ხმა ეკკლესიისა და კვერთხი მისი— კვერთხი მოსესი განედლებულისა, აღყვავებულისა და ნაყოფისა გამომცემისა.

XLI

მეფესა გიორგის ბორჩალოსა ყირიულოში ესტუმრა და ემასპინძლა განჯისა მოლა, აჯი-მაჰმად-ალი, მცოდნე არაბთა წერილისა და მაჰმადის სარწმუნოებისა. შეიქმნა ბაასი მასზედ, ვითარ იტყვიან ქრის-

ტიანენი უშვერსა თქმასა: „ღმერთი იშუა ძუცლისაგან ქალწულისა“. მეფის ძემან უპასუხა: „ადვილად და მსუბუქად ვგონებ თქმასა ამას მაღალსა, და რეცა მიუწთომელისა გონებისათვის. კაცთა გვაქვს თვალი. მიხედე აღმოსავლეთსა და იხილე რაოდენ შორის არს მთა იგი პირისპირი; — და ვგონებ იყოს აქედამ დღის სავალი; მიხედე დასავლეთსა, სამხრეთსა და ჩრდილოეთსა — ვითარ შორს ხედავს თვალი მინდორთა ვრცელთა და მთათა გარემოდებულთა. აღიხილე ზეცად და განიცადე სივრცე ვარსკვლავთა სადგურისა. თვალმან შენმან მცირედმან დაიტია სიდიდე და არ გიკვირს. რად გიკვირს ესე რომელ ღმერთმან ინება და ვერ ჰპოვნა შესაძლებელად დატევნილიყო მუცელსა შინა ქალწულისა? ყოვლისა შემძლებელსა, ცისა და ქვეყანისა შემოქმედსა, ნუუმე არ შეეძლო ექმნა მუცელი ქალწულისა უვრცელეს ცისა? სადაცა ინებებს ღმერთი სცვლის და სძლევს ბუნებისა წესსა, ვითარცა მისგანვე დაწესებულსა და დამტკიცებულსა“. მსმენელმან მოლამან სდუმნა. ესრეთი იყო ღმერთგანკაცებულისა საიდუმლოჲსა ამის განმარტება, და რაჲცა შეიძლება ადვილ გაგონება დაახლოებით ჰაზრისა ესრეთ მაღლისა გონებისათვის კაცისა.

• XLII

უკვდავებისათვის სულისა იტყოდა ტკბილისა მოთხრობითა შემდეგსა: „მიხედე სხეულისა ჩვენისა უძლებობასა და შეამსგავსე გონებასა, რომელიცა არის თვალი სულისა. სხეული არის მდებარე ანუ მოძრაჲი ერთსავე და მასვე ადგილსა სულისავე შეწევნითა, ხოლო თვით სული ერთსავე და მასვე წამსა არის აქა, მიჲა ინდოეთს, მოიქცის საფრანგეთსა, განვლის ჩინეთსა, ფრინავს ცისა სამყაროსა და არს ერთსა და მასვე დროსა აქაცა და იქაცა. რომელსა დაბადებულსა აქვს ძალი ესე მიმოსვლითი? მხოლოდ სული კაცისა ღვთისაგან ჩაბერვილი იქმს ამასა; მას მხოლოდ აქვს მიცემული ნიჭი ესე ყოველგან მყოფობისა, მას ვერ იპერს ვერცა სიზრქე ზღუდეთა და კედელთა, ვერცა სიმაღლე ცისა სივრცისა, ვერცა სიღრმე მიწისა, ვერცა გარესკნელი უკანასკნელთა ქვეყანისა სამძღვართა. შეზღუდვილი თვით სხეულისა ბადითა, ვითარცა ტყვე პყრობილი, არის თავისუფალი ბუნებითა და ფრინავს გონებითა, ვითარცა სურს. ესრეთისა ძალისა მიქონი განქარდება? არა, იგი განძლიერდება, შეიქნება უმეტეს მორბინალი, უადვილეს მფრინავი, უმხნესად ცხოველი, უმეტეს ნათლად მხედველი და განმსჯელი, როდესაც განშორდება სხეულსა, შემაიწროებელსა მისსა და დამაბრკოლებელსა. ეს არის ერთი და დიდი

დამტკიცება სულისა უკვდავებისა. მაცხოვარმან თვით გვიჩვენა აღდგომისა შემდეგ თვისისა მკვდრეთით, რაჲ არს სული, ოდეს არღა ამა სოფლისა სხეულისა და სულისა, ესე იგი კაცისა სხეულისა და სულისა მექონი, აღვიდოდა ცად და შთავიდოდა ქვესკნელთა ქვეყანისა, და განვიდა კართა ხშულთა და ეჩვენებოდა მოწაფეთა და სხვათაცა მრავალთა".

XLIII

დროსა ამას მოახსენეს მეფესა, მეფის ძენი დავით და იოანე დიდად დაახლოვდნენ იულონსა და ალმასხანსაო, ძმათა მეფისა და მეტოქეთა მისთა. უწყოდა მეფემან, რომელ ესრეთი მათი მათთანა დაახლოვება არის სავნო თვით შვილთათვის თვისთა. „შვილსა ჩემსა დავითს შეაცთენენ გულარძნილნი ძმანი ჩემნი, — იტყოდა მეფე, — და ვერცა იგი, და ვერცა შვილი ჩემი იოანე ნაყოფსა კეთილსა ვერ იხილვენ მეგობრობითა მათთან. — მტერნი მათისა მამისა, როგორ შეიქმნებიან შვილთა მისთა მყვარებელნი. ავი ნიშანია ეს, — იტყოდა კვალად მეფე, — ოდეს ღმერთი სჯის მამასა ვითარცა მე, მაშინ წინააღუდგენს შვილთაცა მისთა. ჩემსა სახლსა დაცემენ ეგენი ესრეთითა მამისადმი მოქცევითა". მეფის ძე იოანე ოდესმე ეახლებოდა მამასა და იამებოდაცა მას მისი ნახვა. გარნა მეფის ძე დავით მემკვიდრე არცა ერთგზის არ ნახავდა მამასა, გარდა დროთა მათ, როდესაც თვით მეფე დაიბარებდა მას საქმეთათვის. — მეფე, განრისხებული მასზედ ხსნილისა ჰამისათვის მარხვის დღეთა და არა მომსმენი ხშირად წირვისა და ლოცვისა წესისამებრ მართლმადიდებელისა ეკკლესიისა, სთხოვდა ხშირად საიდუმლოდ შთააგონონ დავითს სიყვარული ქრისტესი და ეკკლესიისა. მეფესა დიდად უყვარდა შვილი თვისი დავით, ყოველთა შვილთა და ძმათა შორის უუგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი და მარჯვე სიტყვითა და საქმითა. მეფის ძენი ორნივე დავით და იოანე იყვნენ გონიერნი, მხნენი და საქმისა კაცნი; თვით მეფე ირაკლისთან დიდად თამამად და თავისუფლად შეივიდოდნენ და დიდად უყვარდენ ესენი პაპასა მათსა. ყოველთვის ორთავეს გვერდით მოისვამდა, თუმცა დავით მამასა მათსა გიორგის არ ნახავდა ხოლმე. სხვანი შვილნი მეფისა იყვნენ არა ეგოდენ ვარგისნი და არც სამეფოდ აღზრდილნი, ვითარცა ორნი ზემორე თქმულნი.

XLIV

დავით მოსრული რუსეთით, ვერ იქცეოდა სურვილისამებრ მამისა. ამისთვის სწუხდა ურწმუნოებისათვის მისისა წესისამებრ წმინდისა ეკკლესიისა. აჰა საუბარი მისთვის მეფისა პატრთან, რომელიცა ახლდა მას ვითარცა მეგობარი და მახლობელი:

— პატრო ნიკოლა! სადაა ეხლა დიდი სარდალი ბონაპარტე?

— ებრძვის რუსთა და კეისარსა, — მოახსენა პატრმან, — ესენი ცდილობენ დაიცვან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არღაა მუნ აგერ მრავალი წელიწადია არცა წირვა, არცა ლოცვა, არცა ქორწინება, არცა მღვდელი და ეპისკოპოსი; 25 მილიონი წარმართად არიან გარდაქცეულნი. ვინ ჰქმნა ესე? უკეთურთა მწერალთა ვოლტერმან და სხვათა, მეფევ!

მეფე: ვოლტერი! მეგობარი ჩემის შვილისა დავითისა, ჩემის მემკვიდრისა. ვაჲ შენ[სა] გიორგის! რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავა მისი უსჯულო სწავლა; მოიტანა აქა მისი სახე, რომელიცა სამართლად დავსწვი ცეცხლსა. ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარსაცა. თვით მაცხოვარი ჩემი შეეწევა მათ. ქრისტეს გარეთ რაღაა კაცი? უკეთესსა ვინ გვასწავებს. მეორე არიოს ყოფილა, უნდა იყოს ის შეჩვენებული.

პატრი: წმინდისა პაპისა ლოცვითა ვერ გაიმარჯვებს მტერი.

მეფე: ეკკლესიასა ქრისტესსა, ჩემო პატრო, ვერა სძლევს ბჭე ჯოჯოხეთისა.

პატრი: მრავალი უნახავსთ დევნა ქრისტიანეთა.

მეფე: დიოკლეტიანემან, ნერონმან, იულიანემ ან და სხვათა ვერ სძლიეს ქრისტესსა, რას იქმს ვოლტერი ბოროტითა სიტყვებითა! თვით ბონაპარტე რაღაა, პატრო?

პატრი: დიდად მორწმუნე კათოლიკე, გარნა აღზრდილი ფრანგისტანში, კორსიკანელი, თუ არ ქრისტიანე არ იქმნება. ფიქრობს აღადგინოს ტრაპეზი ქრისტესი. პატივსცემს დიდად პაპასა წმინდასა.

მეფე: ღმერთმან წარუმართოს და დაუთრგუნოს მტერნი და განუბნიოს იგინი. ჩვენ ვლოცულობთ მათთვის.

პატრი: აგერ 8 წელია, რაც უკეთურთა ფრანგისტანელთა დაფლეს მიწაში ჯვარი და სახარება ქრისტესი.

მეფე: წყეულიმც არის მათი სახელი. ღმერთო და მაცხოვარო ჩემო, შენ აპატიე შვილსა ჩემსა დავითს დანაშაული მისი. ნუ ჰკით-



დავით ბატონიშვილი

ხავ მას. შენ მოაქციე ჰეშმარიტსა გზაზედ და დაამკვიდრე შენსა სიყვარულზედ. ამინ, ამინ. — რა იქმნება მეფე არა მორწმუნე ქრისტესი, მოძღუე ღვთისა დედისა, წმინდათა და წამებულთა. ვაჲ შენსა მეფესა გიორგის. მამაშვილობასა, პატრო, შეაყვარე ქრისტე ჩემსა შვილსა, გამოიყვანე ცოდვიდამ; ამცენ, შენ უფრო დაგიჯერებს. — თუ არა ვერ იმეფებს, დაკარგავს ტახტსა და სამეფოსა ღვთისმშობელისა წილხდომილსა. ქრისტიანობითა გვაქვს პატივი და დიდება ესრეთ, ჩემო პატრო, ჩემო მეგობარო. ვალიცა გაქვს, ქრისტესთვის სიტყვასა იტყოდე. განმანევდი. მეც მაამე და მცნებაცა ქრისტესი აღასრულე. მოიძიე ცხოვარი წყმენდული და შეაერთე ქრისტეს სამწყსოსა.

პატრი საყვარელი იყო დავითისაცა მემკვიდრისა. უამბო ესე ყოველი დავითს? ნამდვილი ვერ ვსცან კაცთა მედროვეთაგან. „მეფეთა-თანა საუბარი სიფთხილითა უნდაო, — მეტყოდა ხშირად მეფისავე ექიმი იოანე იოსების ძე ყარაევი, მომთხრობი ამბავთა ამათ და თვით სარწმუნოებით კათოლიკე. — თვით მამა შენი ეგნატი, მიჩნეული მეფისაგან, მამაო ჩვენოს თქმით შევიდოდა მასთანაო“.

XLV

1800 წელსა აღდგომისა დღეს, წაბრძანდა მეფე სიონისა საკათედრო ეკკლესიასა. მუნ იყვნენ შეკრებილნი [შუაღამესა] ღენერალები რუსთა ლაზარევი და სხვანიცა, კავალენსკი მინისტრი რეზიდენტი რუსეთისა და მეფისა მოხელენი. ცისკრისა წესი და წირვა დღისა ამის გარდიხადა კათოლიკოსმან ანტონი, რომელსაცა ჰყვანდნენ თანამწირველად არსენი თფილელი და მიხაილ ნინოწმინდელი, დროთა ამათ თფილისსა მცხოვრები, და სხვანიცა სამღვდელონი.

ოდეს შემბრძანდა მეფე ეკკლესიად, და მოიკითხა რუსთა ჯარისა უფროსნი, წინათ ცისკრის დაწყებისა,— ჩვეულებისამებრ თვით აღანთო სანთელი კელეპტარი ყვითლისა სანთლისა წინაშე სიონის ღვთისმშობლისა ხატისა და მაშინ მოულოღინებელად ერთაგანი ხმა ჰყო ძლიერად: ღვთისმშობელო, ქრისტე აღსდგა! — ესრეთი აქვნდა ტრფიალება ქრისტეს სიყვარულისა მორწმუნესა მეფესა, და ესრეთმან მისმან ხმისა ბგერამან, რეცა ზეგარდმო მოღებულმან, შეარყივნა გონება და სხეული მუნ მყოფთა. ჰგონებდენ, — მეტყოდა მუნ მყოფი დროთა ამათ ბიძა ჩემი ღენერალ-მაიორი ზაქარია იოსელიანი 86 წლისა ს. პ. ბ. გარდაცვლილი 1865 წელსა, — თვით ხმა ისმა ღვთისაო? შეძრწუნებული, ვითარცა საყვირისა ხმითა, დღესაც ვძრწი და

ელმობიერებ დღესასწაულთათვის ქრისტეს ეკლესიისა, ესრეთ ბრწყინვალედ თვით მეფისაგან გარდახდილთა.

დღეს ამას მრავალი სატრაპეზო დარიგდა ქალაქისა მცხოვრებთა უძღებთათვის, ქვრივთა და ობოლთა. წირვისა შემდგომად კათოლიკოსი და თანამწირველნი მიბრძანდენ მეფისა სადგურსა და მუნ ეკურთხა ეკლოგიად დაგებული ტრაპეზი სტოლზედ რუსთა წესითა და მუნ განიხსნილეს ერთად ქალთა და კაცთა, მეფემან, დედოფალმან მარიამ, მეფის ძეთა და რუსისა ღენერალთა და ძხლებელთა მათთა.

XLVI

თთვეში ერთგზის უყვარდა აბანოში წასვლა, სახელდობ სიონის აბანოსა, რომელსაცა მაშინ ეწოდებოდა სამშაბათისა, — რადგანაც დედაკაცთათვის იყო დღე ესე დანიშნული. — მოემზადებოდნენ დიდისა მზადებითა და ჩრდილოეთის მხრით პატარა აუზი დღედმდე მყოფი, იყო მისთვის დანიშნული. — ბანვისა დროსა ერთსა საათსა განატარებდა დუმილისა ლოცვითა დედისადმი ღვთისა, რომლისადცა იყო ძველად მეფეთაგან შეწირული. მეაბანოე თათარი მაშადი, დღესაცა ცოცხალი 98 წლისა, ახლდა მას და უყვარდა მეფესა ალერსითა მასთან თათრულად საუბარი.

აბანოსა შემდგომად, ჩაცმულსა მეფეს მიერთმეოდა შაქრიანი წყალ ღვინო; ეს სიყრმითგანვე აქვნდა მას ჩვეულებად და ბრძანებდა: „ნადირ-შაჰ-ყაენმა ასწავლა ესე პაპასა ჩემსა თეიმურაზსა და მე მისგან მაქვს გაგონილიო. ესრეთ იტყოდა მაშადი, მადიდებელი მეფისა და კურთხევით მომხსენებელი მისი.

მეფობისა პირველსა ორსა წელიწადსა მიბრძანდებოდა აბანოსა ცხენითა და მესამესა წელსა, ვითარცა სნეულსა, მიიყვანდნენ ტრახტევანითა. ტრახტევანითვე მიბრძანდებოდა ხარებისა ეკლესიასა, სადაცა ხშირად უყვარდა მოსმენა წირვისა და თაყვანისცემა და ჰვრეტა წმინდისა ხატისა, — რომისა ქალაქსა ნახატისა, და მუნიდ მოსვენებულისა ტაძრისა ხატად თფილისსა ლათინთა ეკკლესიასა. ხატსა ამას ეწერა ქვემოთ ლათინურად წელიწადი ეკკლესიისა მის აღშენებისა და გამოძიებით დღესაცა დაშთენილისა ქვასა ზედა წარწერითა სჩანს 1714 წელი.

XLVII

მეფესა არა უყვარდა სიარული და შექცევა ბაღებში. — მხოლოდ პატივისცემისათვის ძისა თვისისა დავითისა, სამეფოჲსა თვისისა მეკვიდრისა, — ეწვია მას ბაღში, სადაცა ქართველთა და რუსთა წესითა ჰქმნა სადილი დიდი და მიიწვია რუსისა ღენერალნი, ჯარისა თფილისს მოსულისა აფიცერნი და ჩინებულნი ჯარისა და ქალაქისა. მუზიკა რუსული და ქართული და მომღერალნი ამხიარულებდენ შეკრებილთა. კათოლიკოსი და ეპისკოპოსნი და სამღვდელონიცა იყვნენ მუნ მიწვეულნი, — ქალნი არა.

ბაღი ესე იყო ორთაჭალას. უმდგომად მეფის ძისა რუსეთისა წასვლისა მიეცა იგი დოსითეოზს არქიეპისკოპოსსა გვარითა ფიცხელაურსა, და შემდგომად ამისცა შეისყიდა იგი სომეხმან თფილისელმან, მოქალაქემან ტერშიმოვანოვმა; — დღესაც მემკვიდრეთა მისთა უპყრიესთ იგი სავაჭროდ და არა საცხინოდ; ესრეთი ცვალებადი არის სოფელი ესე და ყოველივე სოფლისა.

XLVIII

მუხრანისა მოხილვისა დროსა, მტკვრისა ციხიდამ ეკვირებოდა ადგილთა მშვენიერებასა, ქსნისა ერთის მხრით და არაგვისა მეორით მდინარეობასა ვენახთა სიმრავლესა, მინდორთა მოსავალითა სავსეთა, ეკკლესიათა და კოშკთა და ნაშენობათა ძველთა და ახალთა ადგილ-ადგილ თვალსაჩენად მდებარეთა. დიდად დამტკბარსა ესრეთითა ხილვითა მეფის ძესა, მუხრანის-ბატონმან იოანე, სიძემან —თვისმან, გარნა არასაყვარელმან, მოახსენა: „ეს, რასაც ხედავთ ქსნიდამ არაგვამდინ და მთიდამ იმა მთამდე ჩემიაო". მაშინ, სწრაფლ უბრძანა მეფის ძემან: „ნუ, ნუ, მუხრანის-ბატონო, ნუ ბრძანებ მაგას, ეგე გვარი თქმა სატანამ მოახსენა მაცხოვარსა: „ესე ყოველი ჩემიაო, მოგცემ შენ სამეფოსა მას, უკეთუ თაყვანსაცემო. ნუ ვიქადით სახელითა ჩვენითა. არა ჩვენ, არა ჩვენ, არამედ სახელსა შენსა ეც პატივი". მხლებელთა გაეღიმათ, მუხრანის-ბატონმა სდუმა და სხვათა მეცნთა კაცთა და წილკნელმან ამბროსი განიკვირვეს მარჯვე პასუხი წმინდისა სახარებიდამ მარჯვედვე და თვისსა დროსა სათქმელად მოღებული.

დასატკბობელად მუხრანის-ბატონისა, თვით ბრძანა ქებითი სიტყვა მუხრანისათვის სამთავროჲსა: „დიდი საუფლისწულო შეხვდათ მუხრანის-ბატონთა, მეფეთა ტომთა, — იტყოდა მეფე, — მუხრანის-ბატონი ჰეშმარიტად არის მთავარი მდიდრად მექონი პურისა, ღვინისა, საკლავისა, ტყისა და ნადირთა. მეტადრე ორაგულთა, მცურავთა მარჯვნივ და მარცხნივ მისისა სახლისა. არაგვი და ქსანი, — ორნი აქვნან ორაგულისა, თევზთა ბატონისა, მდინარენი მუხრანის-ბატონსა, 1.200 კომლისა ბატონსა და ვითარცა მემარჯვენესა ემორჩილების 6.000 მეომარი. ეპისკოპოსი წილკნელი და წინამძღვარი შიო მღვიმისა მისთვის ილოცევენ. ქვალნი წმინდისა შიოსი და საფლავი წმინდისა იესე წილკნელისა, აქვნან მას საფარველად. აი, ბატონო მუხრანის-ბატონო, სიმდიდრე თქვენი, სიქადული და სასოება მტკიცე. — ორნივე ესენი არიან ეკკლესიისა სვეტნი და მეფეთა გვირგვინისა სამკაულნი.

ამასავე დროსა პირველსა წელიწადსა მეორედ ქორწინებისა მეფის ძისა, და მან მისმან მეფის ასულმან ქეთევან მიიპატიჟა მუხრანსა რძალი თვისი მარიამ. მიღებული დიდისა პატივითა და თექვსმეტითა ქალითა დიდთა გვართაგან, დახვდებოდა, ვითარცა მათ, ეგრეთვე მეფის ძესა გიორგის, ცოლის ძმასა თვისსა. მომთხრობი ამბავთა ამათ ზაალ გურამიშვილის ცოლი ნინა, დღესაც ცოცხალი, თვით იყო დამსწრე წვეულებისა და დაასახელა შვიდნი ქალნი საჩენად მორთულნი, მშვენიერებითა ბრწყინავნი, ტკბილად მოუბარნი, საოცრად მროკველნი. ესენი იყვნენ: პაატა ციციშვილის ქალი სოფიო, გასათხოვარი 13 წლისა; თუმანიშვილის ცოლი ქეთევან, დიდად კეკლუცი; მაუაშვილის ქალი ნინო, 14 წლისა დანიშნული... ანდრონიკაშვილზედ, გარნა გათხოვებადმდე გარდაცვლილი, საყვარელი მეფის ძისა გიორგისა, რომელსაცა დიდად ეალერსებოდა თვით მეფე ირაკლი; თინათინ, ქალი ამილახვრისა ამირინდოსი, გასათხოვარი და დედამისი თამარ მშვენიერი და მეფეთა ალერსი; ელენე დაჲ მისივე თინათინისა, ცოლი ახლად ჯვარდაწერილისა მასზედ აბაშიძისა დავითისა; ბარბარე ყაფლანიშვილი; ელისაბედ ბარათაშვილის ცოლი, სიტყვა მარჯვე, მოხუმარი და ზმათა მთქმელი შესაქცევად მრავალთა.—

ათი დღე დაჰყვეს მუნ; — კარვებითა იყო სავსე მუხრანისა გარემონი. 300 კაცი შეჰურვილი ახლდნენ სტუმართა. წვეულება ესე იყო ენკენისთვისა 8 რიცხვსა თთვესა ამას, რომელსაცა არის ღღესასწაული წილკნისა ტაძრისა აღშენებულისა ღვთისმშობლისა შობისა სახელზედ; დაჰპატიჟა თვით წილკნელმან, ჰქმნა სახელოვანი სტუმრობა და მუნითგან, კურთხევითა მღვდელმთავრისა ამბროსისა, წარვიდენ

მცხეთისა გზით ქვემო ავჭალას და მივიდნენ მეფის ძე გიორგი და მეუღლე მისი მარიამ, ქალნი და კაცნი მხლებელნი მათნი და ისადგურეს მუნ 4 დღე და, აქა მასპინძლობდა მათ ზაალ გურამიშვილი, მეფის ძისა განსაკუთრებით ერთგული და ცოლი მისი ნინო ანდრონიკაანთ ქალი, ნათესავი პირველისა მეფის ძის ცოლისა ქეთევანისა და მომთხრობი ამბავთა ამათ. ამისაგანვე ესცან მრავალნი ამბავნი, აქ მოხსენებულნი მეფისათვის. თვით მოხუცი 103 წლისა ვერ მიგებდა პასუხსა უსმენელობისა გამო ყურთა მისთა შეკითხვათა ჩემთა; ამისთვის გარდასცემდა მას, შვილიშვილი მისი კნეინა ოლგა ჭავჭავაძისა, ქალი კ. თადეოზ გურამოვისა და ცოლი თ. ილიასი ქართველთა პოეტისა, — ჩაბერვითა მაღლად მოხუცისა ყურთა და ესრეთ შეტყოდა პასუხსა და მომითხრობდა ძლიერად, გონიერად და სრულითა მეხსიერებითა. „არ არიო წერასა შინა ამბავი ჩემგან ნახულისა, — იტყოდა მოხუცი, — და ამბავი გაგონილისა ჩემგანვე. მეისტორიე ფრთხილად უნდა სწერდესო“.

XLIX

მოგზაურობისა ამის დროსა შემდგომად ოთხისა თთვისა 1784 წელსა ვიხილე ერთი მისგან მეფის ძისა მიწერილი ბრძანება მთიულეთის მოხელეთადმი; ბრძანებითა ამით უბრძანებს რომ, საამ კობიაშვილსა მოურავსა მთიულეთისასა, გამოდევნილსა მათგან, დამორჩილდნენ; — მხოლოდ საამს სანამ ცოცხალი იყოს და მისსა ძმათა და სახლის კაცთა ხელი არ ჰქონდესთ თქვენთანაო. ოქმი ესე იწყება: „ბატონიშვილი გიორგი, ლეონ, იულონ, ვახტანგ და თეიმურაზ (ეს სახელი კათალიკოსისა ანტონისა ერის კაცობაში) გიბრძანებთ მთიულეთისა მოხელენო და ერთობით მთიულნო დიდნო და მცირენო“ და სხვანი; იანვარს 21, ქკს უოდ (1784 წელსა).

ავჭალასა მოახსენეს გლეხთა მკისა დროსა მწუხარებით, წვითა და დაგვითა პურის ჭამისათვის მათგან. მეფემან უპასუხა: „პური თქვენი, რომელსაც სჭამთო, არის პური ნამდვილი. კაცი ერთითა შრომითა უნდა იკვებებოდესო. ძილი თქვენი უფრო ტკბილია, მხიარულებაცა უფრო შვებითი და სხეული უფრო მტკიცე. ადვილად ქვეყანაზედ ნაშოვნი და მოპოებული, არის უგემო, ვითარცა საშმელი უმარილო“.

L

დროსა ამას ლეკთა აქვხდათ შეკრული ზედაძნისა მთა-ტყიანი. მეფემან მოუწოდა ქიზიყელნი, რათა მიუხდენ მუნ მთისა წვერსა და მოუშალონ მათ ბინა-სადგური მათი. 300 კაცი და ქიზიყისა მოურავი ზაქარია ენდრონიკაშვილი წარვიდენ და იხილეს სიმაგრე მათი ციხესა და გალავანი კოშკიანსა ზედაძნისა ადრევე გაუქმებულსა უდაბნოსა. სცნეს ესე ლეკთა 600 კაცთა მუნ მარადის დაბუდებულთა და გადმოუდგნენ ციხისა და გალავნებისა კერძოთაგან. ქიზიყელთა ვაჟკაცთა ვერ გაბედეს მისვლა იერიშითა: იყვნენ უცნობნი ადგილისა და არა ჰგონებდენ ესრეთ მისავალად. სირცხვილეულნი უკუ იქცნენ და წარვიდენ თვის-თვისად. მაშინ შეწუხებულმან მეფემან ამოიოხრა და უბრძანა ზაალ გურამიშვილსა და მაყაშვილსა ოხვრითა: „მეუბნებიან, ნუ მოიშვილებ რუსთაო!“

ეს მთა ზედაძნისა არაგვისა პირზედა დამყარებული პირისპირ შცხეთისა და ღართის-კარისა ანუ ძველად კანონიერად ქართლისა კარისა, იყო კლდედ და კარად დაღესტანისა, და აქედამ დაეცემოდიან ლეკნი ღართის-კარსა და დატაცებით ტყვეთა, — განვლიდენ ქართლსა და ავიდოდნენ ახალციხეს. დაბრუნებული მუნით, აქავე მოვიდიან და დაბინავდებიან უშიშრად. — ესრეთ მდგომარეობასა შინა იყო საქართველო დროთაგან მეფისა ვახტანგისა 1710-გან, როგორცა სჩანს წერილითგანცა, და ვიდრე 1817-დმდე. ამა წელიწადიდამა შეწუხდა ლეკი და შევიდა თვისთა კლდეთა შინა და ხეობათა, სადაცა ეწია მას ძალი რუსეთისა და შემდგომად გრძელ-ჟამითისა ბრძოლისა და-ამორჩილა და დაამშვიდა, დაიმონა და შეართა კვალად ქართველთა ვაჭრობითა, მათთანა მუშაკობითა და არს საიმედო, რომელ იქმს ერთობასაცა სარწმუნოებითსა დანერგვითა მათ შორის ქრისტიანობისა, გარე რომლისა არა არს არცა სარწმუნოება, არცა მოქალაქობა და არცა კაცობრიობა.

LI

მოახსენეს მეფის ძესა წიგნისათვის ამილახვარისა, დაბეჭდილისა რუსეთსა*. ინება მეფის ძემან თარგმნილისა ქართულად წარკითხვა.

* იგულისხმება წიგნი: История георгианская о юноше князе Амилахорове с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешняго

სთხოვა მთარგმნელსა მისსა, წარუკითხოს მას იგი. მთარგმნელმან პეტრე ყიზლარელმან კოტიევმან მოახსენა, არა ქონვა მისი ქართულად: თარგმნილი მივართვი მეფესაო. მეფის ძემან ვერ გაბედა თხოვნა მისი და უბრძანა პეტრესა, ხელახლად სთარგმნოს ქართულად. მაშინ გარდმოიღო ქართულად არა მრთელი წიგნი, არამედ 14 ადგილი საგიობელი მეფის ირაკლისა და სხვანი ქებითნი სიტყვანი მეფის ძისა გიორგისათვის. უბრძანა მადლობა მას, გარნა ირაკლი მცნობმან, რომელ დაარღვია ბრძანება მისი, რათა არა ვისთვისმე ეჩვენებინა იგი, გაუწყრა მას და განაძია თფილისით. ესრეთი იყო კავშირი შორის მამისა და შვილისა. მტერთა განიხარეს და განძლიერდენ წინააღმდეგნი და მეტოქნი გიორგისა! — ესენი რავდენნიმე წიგნისა ამის ფურცელნი ცუდათ ნათარგმნი და სომეხთა ენისად მიქცეული მეცა მინახვიან (სჩანს იყო მთარგმნელი სომეხი), ვნახე და წარვიკითხე ნიკოლოზ დავითის ძეს ჩუბინოვისა წიგნთა საცავსა. ვგონებ გამოსთხოვა შემდეგ იგი ამას მთავარმან მეგრელიისა დავით ლეონის ძემან დადიანმან, — დიდათ მოყვარემან ქართველთა მწიგნობრობისა.

ამას შინა რვეულსა იდვა სხვაცა ფურცელი ღურჯ ქაღალდზედ ნაწერი, რომლითაცა სთხოვა მეფესა, მისცეს ნება ორისა თვითა წარვიდეს ეჩმიაწინსა სანახავად დროთა ამათ სომეხთა კათოლიკოსისა ლუკასი. მეფე ირაკლი უწერს მას ფურცელზედა უარსა დროთა გარემოებათა გამო: ოქმივით დაწერილსა, უარის პასუხსა უზის პატარა ბეჭედი მეფისა ირაკლისა.

LII

ოდეს ქსნისა ერისთავთა დაჰკარგეს რწმუნება მეფისა და არღა მიენდობოდა ერთგულობითსა მათსა სიტყვასა, და აქვნდათ მარადის დაახლოებაჲ ლეკთა ბელადთა თანა, დაღესტანით ახალციხედ მიმავალთა და ახალციხით დაღესტანსავე უკუქცეულთა, — მაშინ მეფემან ირაკლი განიზრახა მოღება მათგან ქსნის ხეობისა და სრულად აღხოცვა ქსნის საერისთავოსი. ესე უნებდა მას ერთობისათჳს მეფობისა და სიმტკიცისათვის ერთმთავრობისა დაასუსტოს თემთა მთავარნი ანუ სრულიად აღფხვრას იგინი, მაგალითითა მით, რომელიცა დიდისა სიბრძნით ჰქმნა მეფემან თეიმურაზ, ოდეს განაჭარავა სამუდა-

---

века, которую рассказывает Усим, купец Анатолский сотоварищам своим между разными известиями. 1 часть. Переведена на российский язык И.-С. Спб. 1772 г. Типогр. Х. Ф. Клезна (წარმოადგენს პამფლეტს ერეკლე მეორეზე).

რედაქტორი

მოდ ერისთავობა არაგვისა. შეგროვილთა მეფისა სასახლეშია შინა მდივანბეგთა განიხილეს საქმე და ორგულება, რომელთაცა შესწამებდნენ ერისთავთა. ჭაბუა ორბელიანმან და იოსებ თუმანიშვილმან და სხვათა სძლეს სხვათა და განაჩინეს სრულიად უკუნითი უკუნისამდე მოელოს მათ საერისთაო. სიმტკიცისათვის და შეუცვალებლობისათვის ესრეთისა განჩინებისა იქმნა კრება, დაიწერა ძეგლის წერა, და მოსწერდა ხელი დაესვათ ბეჭედნი მეფისა და სამეფოჯასა სახლისა წევრთა, კათოლიკოსისა და მღვდელმთავართა რვათა. კირილე მთავარ ეპისკოპოსმან მისცა ხმა მიემატოს ძეგლის წერას ესეცა: „იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმანცა გახსნას შეკრულება ესე და სცვალოს განჩინება“.

მეფის ძესა გიორგის არ უნებდა არც ხელის მოწერა, არცა ბეჭდის დასმა. აქედამ სცნეს პირველად ჰაზრი მეფის ძისა, რათა ჰყვანდეს შემდეგთა დროთათვის განდევნილნი ერისთავნი თანაშემწედ პირისპირ მეორისა დედისაგან ძმათა, რომელნიცა სძულობდენ მას. იწყინა მეფემან; დაიბარა შვილი თვისი, ჰყვედრა მას ურჩება გამოცხადებული და უბრძანა დასვას ბეჭედი. მეფის ძე მორჩილ ექმნა მამასა, გარნა გაიმეგობრა ერისთავნი და მთისა მკვიდრნი, რომელთაცა სურდათ ერისთავნი თვისნი, გალაღებულნი მათგან. ესე სიყვარული მათ შორის დასცხრა და განქარდა მაშინ, ოდესცა ერისთავმან რევაზ 1800 წელსა შეირთო ცოლად ანასტასია, ქალი ირაკლისა და ოდეს ფარნაოზ მეფის ძემან იდუმალვე მამისა თვისისა მიიყვანა ცოლად ანნა ქალი ყულარაღასისა ერისთავისა.

LIII

ესრეთივე იყო მოქცევა მის მეფის ძისა გიორგისა, ოდეს მეფემან ირაკლი დასწვა მოღალატენი მისნი პაატა ბაგრატიონი, თაქთაქიშვილი და დააპრნა ფერხთა ძარღვნი ამილახვარსა ალექსანდრესა. მეფის ძეს გიორგის არ უნებდა ასრულება ესე ვითარისა სასტიკისა განჩინებისა. მოქმედებითა ამით აჩვენა ქართველთა ერსა გულჩვილობა თვისი და ესე იყო მიზეზი, რომელ თვით ალექსანდრე ამილახვარმან რუსეთსა წარსულმან დაბეჭდა წიგნი რუსულად.... * და მას შინა მგოებელი მეფისა ირაკლისა, ადიდებდა მეფის ძესა გიორგისა და აღსწერდა მას კაცად კეთილად, ბრძნად და სათნოებათა მრავალ მექონად. — მეფესა მოახსენეს წიგნისა ამისთვის დაბეჭდილისა და მან

* იხ. სათანადო შენიშვნა ზემოთ. რედ.

მისწერა იმპერატრიცასა ცუდკაცობა დასჯილისა ამილახვარისა. რუსეთმან სურვილისამებრ მეფისა აღკრძალა წიგნი იგი და აცნობა მეფეს, რათა მით განუსვენოს მას. იგი იყო ნათესავი ათანასი თფილელისა და ესევე იყო მიზეზი არა მოსვლისა საქართველოდ ათანასისა, დაშთომილისა რუსეთსა და მუნ მოსკოვს გარდაცვლილისა.

LIV

1783 წელსა იწყეს საეკლესიოთა წერილთა ბეჭდვა ქ. თფილისს, მაშინ მოახსენეს მეფესა, რათა რუსთა წესითა შემდგომად სიტყვათა: „დროსა კეთილმორწმუნისა მეფისა ირაკლი მეორისი და დედოფლისა დარეჯანისა“ დაემატოს ესეცა „და მემკვიდრისა მათისა მეფის ძის გიორგისა“, სურვილისამებრ თვით მეფის ძისა და განსასვენებელად ძმათა, რომელნიცა მარადის განიზრახვიდენ მეფობისა მიტაცებასა. იწყინა ესე მეფემან და უბრძანა სტამბისა ზედამხედველსა... არღა მოახსენებდეს მას ესრეთსა უშვერსა მოხსენებასა. კათოლიკოსმან ანტონი სტუქსა კეჟერაშვილი მღვდელი და აბრამ ურიათ-ყოფილი და... მღვდელიევ... მბეჭდაენი წიგნთა. დაბეჭდილნი რავდენნიმე დაწყებითნი ფურცელნი, მოითხოვა და ბძანა მისცენ ცეცხლსა და არღა იქმნეს ესე. ტრიფილე არქიდიაკონსა ებრძანა კათოლიკოსისა პირითა საყვედური დიდი და მოძღვარმან მეფისა ზაქარია, სულხანიშვილმან მბეჭდავმანვე გამოუცხადა მას ტრიფილეს ბრალისა მიტევება გაბედვისათვის ბეჭდისა და დასტამბვისა რისამე, — არ ნებართულისა მეფისაგან და თვით კათოლიკოსისა. ერთი ესრეთი ფურცელი ვნახე დავით რექტორისა წიგნებში; მომსყიდავი რავდენთამე მისთა წიგნთა. — არ ვიცი სადა მიეფარა ეს ფურცელი, დასამტკიცებელად ესრეთისა ჩემისა მოთხრობისა.

LV

დღესა მესამესა შემდგომად შერთვისა მეფის ძისაგან მარიამ\ გიორგი ციციშვილის ქალისა, წარვიდა მეფე ირაკლი და ნახა რძალი თვისი სავსე მშვენიერებითა, ჯერეთ ყმაწვილი 14 წლისა. მეფემან მიართვა პირის სანახავად ხატი ღვთისმშობლისა, ამბარჯა ძვირფასი, თვალებითა, მარგარიტითა და იაგუნდებითა მორთული, რომელიცა ფასობდა იტყვიან ას თუმნათა, ქარხანა ზეთის სახდელი მტკვრის ხიდის გაღმა, მეტეხისა ძირში აელაბრისა გზისა მარჯვნით. მასვე დღე-

სა, მეფისავე მუნ ყოფნასა მიბრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან, და ამანცა პირის სანახავად უბოძა რძალსა თვისსა ძეწკვი ოქროსი და გულსაკიდი ამბარჯა, საკაბე მძიმისა ფარჩისა, შალი ინდოეთისა, კრიანოსული 70 მარგარიტისა ასხმული და 30 იაგუნდისა თვალი.

არა გამოჩენილი ქორწილი მეფის ძისა მოითხოვდა, რათა არა გამოჩენილადცა ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახალისა რძალისა. ამისთვის თვითოეულად მივიდოდნენ და წარდგებოდნენ სასახლისა კაცნი, თავადნი და აზნაურნი და თვით კათოლიკოსი და სამღვდელონი თფილისელნი. დროთა ამათ თფილელი ათანასი მივიდა და მიართვა მყოობადსა თვისსა დედოფალსა ხატი ღვთისმშობლისა ვეცხლით მოჭედილი, დაუჯდომელი, დაბეჭდილი ქაიხოსრო მეფისა. დროსა 1709 წელსა თფილისს, დალოცა და აკურთხა იგი პარაკლისისა გარდახდითა მუნვე სახლსა. ესრეთი იყო ძველადვე ჩვეულება თფილელთაგან, რადგანაცა თფილელი და მროველი თვისითა ეპარქიებითა იყვნენ ძველადვე სადედოფლოთ დანიშნულნი. მაშინ შესწირა თვით დედოფალმან სიონისა ეკკლესიასა ბარძიმფეშხუმი, რომელსაცა აქვნდა შთასმული სამი დიდი ალმასი გარემო გამოკვეთილისა მაცხოვრისა ხატისა. ესე დაიკარგა თფილისისა აღებისა დღესა 1795 წელსა. ისაკ კანდელაკმან სიონისა, კაცმან მრავალთა საეკკლესიოთა წიგნთა და გულანთა აღმწერელმან მიართვა თვისგან დაწერილი მშვენიერად ხუცურად დაუჯდომელი და პარაკლისი ღვთისა დედისა. თავსა ხატია ღვთისმშობლისა ხატი და შთაურთო მუნ 18 სახე ღვთისავე დედისა ქებათა გამომეტყველი, თანახმად 9 ხმისა დაუჯდომელისა საგალობელთა და ესოდენისავე ხმისა პარაკლისისა საგალობელთა; დასასრულ წიგნსა ეწერა ესე: „მე ისაკ ხუცესმან სიონისა, მივართვი წიგნი ესე მეფის რძალსა მარიამსა, მეუღლესა პირმშოჲსა მეფის ძისა გიორგისა. ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს. ქპს (ქორონიკონსა) 1783".

მხატვრობაები მუნ მშვენიერად ნახატნი ოქროსა და ვეცხლისა ვარაყითა განაბრწყინებდენ თვით წიგნსა, სალოცავად მეფის რძლისათვის მომზადებულსა. დასასრულსვე წიგნისა ეწერა ესე: „ღვთისა დედაო მადიდე სულითა მხატვარი სახეთა შენთა ნიკოლოზ". — გამოვიძიე ვინაობა მხატვრისა ამის და ვსცან, რომელ იყო იგი თავადი ნიკოლოზ აფხაზი, კნიაზად ხმობილი, რუსეთსაც მეფისაგან სხვათა თანა დესპანთა წარგზავნილი, მამა ბრძნისა და მხნეობითა გამოჩენილისა ღენერალ-მაიორისა ივან ნიკოლაიჩისა (გარდაიცვალა ხოლერითა ღროდნენის ღუბერნიასა მიმავალი კნიაზისა პასკევიჩისა მიწოდებითა ვარშავას 1831 წელსა) და ორთა სხვათა, ძმათა უშვილოდ ამო-

წყვეტილთა. — ესე ნიკოლოზ მარხია სიონისა საკათედროს ეკკლესიასა, ვითარცა მიამბო თვით შვილმან მისმან ივანე ნიკოლოზის ძემან, რომელმაცა პირველად გამამგზავრა რუსეთად სწავლისათვის.

ხატი ესე აქვნდა მეფის ძესა მიხაილსა, ხოლო დაუჯდომელი თვით დედოფალსა მარიამს, რომელმანცა თვით მიჩვენა მე მოსკოვს 1835 წელსა. დაბრუნებულსა რუსეთიდამ საქართველოს, მასვე დროსა მასთანავე გარდმოვსწერე ზედა წარწერა წიგნისა. ვის აქვნან აწ ესენი და რომელთა მემკვიდრეთაგანთა მისთა, არა ეუწყი.

LVI

თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, მოხუცი და ღირსი კაცი აღზრდილი სიყრმიდგან იოანე მანგლელისაგან შეიქმნა ავად. მეფის ძე გიორგი მიბრძანდა და ნახა მწოლარე სიკვდილისა საწოლსა. თანაჰყვა მას იკონომოსი და დეკანოზი სიონისა იოანე ოსეს ძე[14], რომელიცა მოხუცებისა გამო და უძლურებისა თვით გერმანესსა, განაგებდა ეპარქიასა მისსა. ნახვამან მეფის ძისა და საუბარმან მისმან წმინდათათვის ეკკლესიისა და თვით წმინდისა გერმანესსა, რომლისაცა სახელლითა იწოდებოდა იგი, მოიყვანა სხეული ესრეთსა მდგომარეობასა, რომელ შეიქმნა უკეთ და განმხნობილი იტყოდა: „ბატონიშვილო! სიტყვა თქვენი ზეცით მეტყველი, შეჰეკვნა ნე სამკურნალოდ; ვხედავ თავსა ჩემსა ცოდვილსა კვალად მოსრულად სოფელსა ამას, რათა სინანული ბრალთა ჩემთათვის განგრძელდეს და ვეღირსო დიდებასა მას ქრისტესსა, რომელსაცა თქვენ მომითხრობთ. ცოდვილითა ჩემითა პირითა, მადლობასა მოგახსენებ და კურთხევასა მოგართმევ: მადლი იესოსი, ყოვლისა სოფლისა ცოდვათაგან მხსნელისა, იყოს თქვენზედა და თქვენსა სახლსა ზედა. ამინ, ამინ".

მეფის ძემან იტირა, ესმინდა მოხუცისა ხელსა. „დამწერე ჯვარი, ეკკლესიისა ქრისტესისა მწყემსო", — რქვა მეფის ძემან. მაშინ წარმოსთქვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა"...

მეორესა დღესა დილით წარავლინა კაცი ნოკითხვასა, მოეღიდა პასუხად სრულიად უკეთესობისა მისისა და სიმრთელისა ამბავი; გაიხარა და კვალად წირვისა შემდგომად მიბრძანდა და წარიყვანა შვილი თვისი მიხაილ ჯერეთ ათამდინ წლისა. მოახსენეს გერმანეს მიბრძანება მეფის ძისა და მეფის ძის ძისა; აღდგა თვით საწოლით და ქურქ-მოდებული, მიეგება სენაკისა კარსა. განკვირდა მეფე და მა-

[14] ოდესმე ოსეშვილად წოდებული.

ღალისა ხმითა ბრძანა: „კურთხეულ არს ღმერთი მამათა ჩვენთა“ (ესრეთი თქმა ხშირად იცოდა მეფის ძემან ქრისტეს მოყვარემან). იოანე დეკანოზმან პასუხ უგო: „მადლი უფლისა თანა უვის მარადის მადლითა ქრისტესითა სავსე კაცსა. მაშინ მეფის ძემან მიიყვანა შვილი თვისი მიხაილ და სთხოვა აკურთხოს იგი. გერმანემან დასდვა ხელი თავზედ და ოდესაც აპირებდა კურთხევისა სიტყვისა წარმოთქმასა, უბრძანა მეფემან მამამან დაიჩოქოს; მსწრაფლ დაიჩოქა და მაშინ სთქვა: „წმინდამან სამებამან გაკურთხოს შენ. მადლი უფლისა და ღვთისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს შენთანა. ჯვარი მისი საპურველად გექმნას შენ; იხილვიდე კეთილსა მარადის ქრისტეს სიყვარულითა; დღე გრძელი მოგენიჭოს“. — ესე ამბავი თვით მიხაილმან მიამბო ს. ჲ. ბ., ოდეს ვსადგურობდი მასთან 2 წელიწადსა (1843 და 1844) და იტყოდა ქრისტეს მოყვარე და მოხუცი მაშინ 64 წლისა: „მე კიდევ ვიცოცხლებ: გერმანესაგან ღირსისა კაცისა. ვარ ნაკურთხი“. მომაგონდა ესე მისი თქმულობა, ოდეს წარვიკითხე წერილი მოწერილი ჩემდა გარდაცვალებულისათვის მიხაილისა, რომელსაცა აქვნდა 82 წელი 1861 წელსა, 21 აპრილსა და უმეტესად დღედმდე ვარ შეცრთომილი, ოდეს გამოვიძიე წერილიდგან, რომელ თვით გერმანეცა, მაკურთხებელი მისი, იყო 82 წლისა, გარდასრული ამიერ სოფლით სამყოფოსა საუკუნოსა.

LVII

1778 წელსა წარვიდა ზაფხულისა თჳთეთათვის თრიალეთისაკენ და აქედამ გარდავიდა 300 კაცითა, და დაიბანაკა თაფარავანის ტბისა პირზედ. — სცნო ესე ფაშამან აბალქალაქისა, მივიდა და არა ესტუმრა მეფის ძესა გიორგის. „მე გიახელ გიჭასპინძლო ჩემსა ქვეყანასა“, — რქვა ფაშამან. ესრეთ დიდისა პატივითა მიღებული გიორგი იყო წვეული თთვესა ერთსა თურქთა წესითა. თანა ახლდა მას თავადი იოანე ანდრონიკაშვილი, ეგნატი იოსელიანი, თურქისტანიშვილი დავით, ბარათაშვილი იასონ და სხვანი. მღვდელნი დღე ყოველ ულოცავდენ სასახლისა ჩვეულებითა ცისკარსა და მწუხრსა და ოდესმე აღასრულებდენ წირვასაცა წაკურთხსა კარავში, რომელსაცა არა მოიშორებდა თვისაგან გიორგი მოგზაურობისა დროსაცა. — ძველნი სამესხოჲსა ქართველნი დროთა ამათ გათათრებულნი, ქალნი და კაცნი, — დიდისა ღმობიერებითა ისმენდნენ ლოცვასა და ვედრებასა სიტყვათა მათსა ენასა ზედა, მათგან არ დაივიწყებულთა ვიდრე დღეინდელად დღედ. ერთი მათ შორის იპოებოდა ყმაწვილი ლეკი, რო-

მელსაცა მეფის ძე უალერსებდა; მოაბსენეს, რომელ არა უვის მას არცა მამა და არცა დედა და არს ობლად დარჩომილი და გამოიკვებება სამადლოდ სხვათაგან. მეფის ძემან ითხოვა იგი, მისცენ მას, უბოძა ცხენი და წამოიყვანა 10 წლისა თვისდა. შემდეგ 20 წლისა მონათლეს იგი; იყო მიმქმელად თვით მეფის რძალი ელენე, მეუღლე მეფის ძისა და მემკვიდრისა, და სცხოვრებდა მასთან ს. ჯ. ბ. და მუნ გარდაიცვალა 1845 წელსა დამტოვებელი შვილთა. მას ერქვა სახელად სვიმონ. გვარი მისი არა მახსოვს.

ესე მიამბო თვით მეფის ასულმან ელენე, ემბაზით მიმქმელმან ჩემმან 1809 წელსა, ოდეს მისულმან პირველად რუსეთსა, ვიხილე იგი 1831 წელსა.

თაფარავანით გადმოვლო მთა საციციანო და მოვიდა ქარელსა; აქედამ მიიწვია მროველმან ეპისკოპოსმან რუისისა; განვლო მტკვარი ტივით, დაჰყო მასთან სამი დღე. აქედამ ამილახვარმან ოთარ ისტუმრა ტივით ოთარშენსა, მისგან დადგინებულსა სოფელსა და სასახლესა; მოსრული გორსა მანვე მიიწვია ამილახვარმან, ვითარცა გორის მოურავმან. აქედამ ღამისთევითა განატარა გორისჯვრის ეკკლესიაში მწუხრი, ცისკარი და წირვა. — ამასვე დღესა დაწინდეს მისსა ქალსა ელენეზედ მეფის ძე თეიმურაზ, რომელსაცა არა სურდა იგი ცოლად მიზეზისათვის მის, რომელ იყო პირველ დანიშნული მის ძმაზედ მემკვიდრეზედ დავით, რომელმანც მამისა არა უთანხმოებით შეირთო ცოლად სომეხთა აბიმელიქის სვიმონისა ქალი. — შემდეგ ორის დღისა მთაზედ ყოფნისა, მეფე შეიქმნა ავად, და წარმოვიდა მუნით არა ცხენით, დასვეს ტივზედ და ესე მოიყვანეს ქალაქს თფილისსა.

ტკბილია ტივზედ ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა. კნიაზმან გიორგი გაგარინმან აწ. ღოფმეისტერმან, მოინდომა წამოსვლა გორიდამ თფილისს და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა სექდემბრის თთვეში. — დილით წამოსული მოვედით ს. გომსა, და მეორესა დღესა 8 რიცხვსა, ქალაქსა თფილისსა. ტივზედ მჯდომელნი დავისუფლად და დაუბრკოლებლივ ვიკითხავდით წიგნთა და ვსწერდით. ესე ჰქმნა მან, რათა შეაჩვიოს ქართველნი ტივითა ჩამოსვლასა ქართლით თფილისად, მაგალითითა მით, რომელ ტიროლში მდინარითა იზარ, მოვლენან ესრეთ ტივითავე მუნხენში. ესრეთმან ჩვენმა მგზავრობამან მისცა საგანი კომედიისა მწერალსა ანტონოვსა და დასწერა ტივით სიარული. კ. ვორანცოვმან, დამბადებელმან ქართულისა თეატრისა, დააჯილდოა მწერალი და მიიღო თვისდა ყოველივე დასაბეჭდავად წარსაგებელი.

LVIII

ამბოხთა დიდთა დამაცხრომელი მეფე, არა დასცხრებოდა მიწერა-მოწერითა ყოველგან. დესპანსა თვისსა თავადს გარსევან ჭავჭავაძეს უბრძანა წერილითა აცნობებდეს მხოლოდ მას და არა სხვათა მოქმედებათა თვისთა რუსეთისა კარზედ. აჰა ერთი ესე ვითართა წერილთაგანი საცნობელად რუსეთისა გარემოებათათვის სპარსეთისა მხრით.

„მის ბრწყინვალებას თავადს. ჩვენს სარწმუნო მეგობარს.

როდესაც ჩვენს სჯულიერს სამეფო ტახტზედ აღვედით, მაშინვე მაგათს დიდებულებასაც მოვახსენეთ და უგანათლებულესს კნიაზსაც [15] და შენც მოგწერეთ და ბრწყინვალეს ღრაფს ღუდოვიჩს გამოვუგზავნეთ ლინიაზედ, მარამ იქ აღარ ბრძანებულიყო და არ ვიცით ის წერილები რა იქმნა და შემდგომად მისსა კვალად მაგათ დიდებულებასაც მოვახსენეთ და უგანათლებულესს კნიაზსაც და შენც მოგწერეთ და ჩვენს შვილს დავითთან გამოვაგზავნეთ წიგნები და გზაზედ ასცდენოდა ისიცა და არ ვიცით რა იქნა [16]. ახლა ამას გწერთ კიდევ და აქაური ამბავიც ასე სცან, რომ ბაბახანის ბიძა სულეიმან სარდარი თავრიზს მოვიდა და თითონ ბაბახანც წამოსულა ზემოთ ადრი-ბეჯანისაკენ და იმისი კაციც ჩვენთან გამოგზავნილი ნასახჩიბაში თფილის ქალაქში მოვიდა და დღეს რომ ამ თთვის კზ, კვირა დღე არის კაცნი გამოგზავნეთ, დავიბარეთ ქიზიყს, ჩვენც აქ ჩავალთ და ვნახავთ ამას და რაც ამბავი იქნება იმის სრულის ამბავითაც და სხვა ამბავითაც შენს მოყვარეს კნიაზ ავალოვს [17] გიორგის. გამოვისტუმრებთ მსწრაფლის სიარულით და ყველას მაშინ სცნობთ და თქვენი ღონისძიება რაც არის, ახლაც უნდა ეცადოთ. გ ი ო რ გ ი“ [18].

---

[15] ესე უგანათლებულესი უნდა იყოს, მგონი, ბეზბოროდკო კანცლერი.

[16] ღავით მემკვიდრე ლინიაზედ იყო ამ დროს სამსახურში.

[17] ესე იყო თვით გიორგი ალალოვი მოსკოვს გარდაცვლილი დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკის ალალოვის ძითა, და ცოლის ძმა გარსევან ჭავჭავაძისა.

[18] ნამდვილს ამას მეფის ქაღალდს არ ჰქონდა რიცხვი წლისა და თვისა. მხოლოდ ჭავჭავაძის ხელითა არის დანიშნული რიცხვი დროისა, ოდეს მისულია მას პეტერბურგს, ე. ი. 5 აგვისტ. 1798 წელსა.

LIX

ჯერეთ მეფისა ირაკლისავე დროსა 1787 წელსა კათოლიკოსმან ანტონი მეორემან, რჩევითა და საზოგადოჲსა ბერთა და მღვდელთა თხოვითა, ინება შეგროება, განხილვა და დამოწმება გრამატათა და ოქმებთა დაძველებულთა. ტრიფილე არქიმანდრიტი, ისაკ მწერალი და მწიგნობარი სიონის საკათედროჲსა თფილისის ტაძრისა, სოლომონ დეკანოზი ანჩისხატისა და მამა მისი ალექსი დაინიშნენ განსახილველად პირველად მცხეთის ეკკლესიისა გუჯრებისა. — ძველნი და დროთაგან გამქრალისა მელნითა ნაწერნი და ძნელად წარსაკითხნი შეწირულობათა ყმისა და მამულისა გუჯარნი, წარიკითხეს და გარდაწერეს კერძო წიგნად ხუცურად, უმეტნაკლებოდ და გარკვევით. კათოლიკოსმან ანტონი მიართუა ესე მამასა თვისსა და სთხოვა ინებოს და განსაახლებელად დაძველებულთა ასვას თვითეულსა სამეფო თვისი ბეჭედი. მეფემან ირაკლი, განმხილველმან წიგნისა ამის, არა ინება დამტკიცება მათი ბეჭდითა თვისითა; მრავალი მათთაგანთა გუჯრებთა ყმანი და მამულნი დროთი დროთ ანუ იყვნენ სხვათადმი გარდაცემულნი, ანუ სრულიად დაკარგულნი და სხვათა მფლობელობაში შესულნი, ხოლო სხვანი საიპონი და სადაოდ მისაღებელნი. დასაცხრომელად კათოლიკოსისა თხოვათა, ბრძანა სახალხოდ და ყოველთათვის გასაგონად: „როგორც ყორანსა არ დავამტკიცებ, ისე ამათ ბეჭედსა ჩემსა არ დაუსვამ“. ესრეთ დაშთა მიუღებელად და შეუწყნარებელად წიგნი ესე, რომელსაცა უწოდეს სახელად და დღესაც ეწოდების: „რაორტაგი“ [19]. კათოლიკოსმან ანტონი განუმეორა თხოვნა ესე მეფესა გიორგის ძმასა თვისსა. მეფემან უბრძანა დაუტევოს მას წიგნი იგი წარსაკითხავად. მამაჩემი ეგნატი, მიწოდებული მეფისაგან, სამსა დღესა უკითხავდა მას და დიდის ყურისგდებითა მოისმენდა ძველთა წერილთა. 300-დმდე მათგანი წარუკითხა მეფეს და ბრძანა: „მიერთოს ბატონს კათოლიკოსსა და მოხსენდეს, რომ კურთხეულისა მამისა ჩემისა სწორესა ჰაზრსა ამა წიგნზედ მე ვერ შევსცვლი და ნურცა ეწყინება, რომ ბეჭედს ჩემსა ვერ იხილვენ წიგნისა ამისა მუხლნი“.

ესრეთ დაბოლოვდა მეცადინება კეთილი თავით თვისით კათოლიკოსისა, შეკრებისათვის ერთად გრამატათა და გუჯართა, გარნა უაზრო და საენოდ მართლად დავათა გამო, რომელნიცა აღდგებოდენ, უკეთუ დამტკიცდებოდა წიგნი ესე.

---

[19] სომხურის ენისა ლექსითა.

LX

მასვე დროსა კათოლიკოსსა უნებდა საკათოლიკოსოჲსა მცხეთას პალატისა განახლება და ოდეს გამოსთხოვდა მისთვის ნებასა და ბრძანებასა, მეფემან უბრძანა აშენდეს სახლი მეორისა შესავალისა დიდსა კართან. დაშთესო შეუხებელად ძველთა მეფეთაცა და კათოლიკოსთაცა პალატნი დაჭცეულნი. „ვეცდებიო, — ბრძანა მეფემან, — ორივე ერთად და ერთს დროსა განვაახლო ეგრეთ, ვითარცა იყვნენო“.

მაშინ კათოლიკოსმან ანტონი აღაშენა თვისად სახლი აგურითა ქვითკირისა, რომელიცა დღესაცა ჰგიეს; ხოლო პალატნი სამეფონი და საკათოლიკოსონი დაშთენ განუახლებელად გარდაცვალებისა გამო მეფისა. შენობანი ესენი თლილისა ქვითა ნაგებნი წინათ ალექსანდრე მეფისა, მცხეთის განმაახლებელისა დასცა სრულიად, ექსარხოსად ყოფილმან და აწ პეტერბურღისა მიტროპოლიტად ისიდორემან. მათთან იყო მარანი ჩაკირულისა ქვევრებითა. ამათგანიცა რომელნიმე ამოიღეს და გარდიტანეს, რომელნიმე დაიმტვრა და რომელნიმე დაშთენ მიწასა. სასახლეთა ადგილი შემატა გალავანსა და თვით კედელნი წინა პირნი ქვით ნაშენნი, დაშთენ ზღუდედ გალავანისა: მოუდგეს მხოლოდ თავთა მათთა რიყის ქვითა ნაშენთა სათოფურნი, ვითარცა აქვნდათ სხვათაცა ზღუდეთა. რად არა ვსთქვი თვისა დროსა ესე? მოვახსენე 1858 წელსა არა ერთგზის და მერეც შფოთითაცა მას, ისტორიისა და ქვეყნის სიძულილთა უმეცარსა და არა მიიღო ჰაზრი ჩემი. იყო კაცი თვითნება და იდუმალ არა მოყვარე ქართველთა, პირმოთნე დროდმდე და მექონი თვისებათა მათ, რომლითაც იტყვიან ქოსათათვის: იყო ქოსაო.

ესრეთ მიეფარა პალატთა მათ კვალი სიძველისა. მხოლოდ ერთისა კუთხისა დასავლეთისა მხარეს, ფასადი დანაშთენი ზედ წარწერილებით ხუცურად, რომელსა შინა მოიხსენების ქრისტეფორე კათოლიკოსი, გადმოხატა და დასტამბა ფრანცუზთა მოგზაურმან დუბუოამან. ამან კაცმან, მოსრულმან შორით, ვითარცა სამარიტელმან, გადმოხატვითა ამით, დაიცვა დაუკარგველობა შემდეგთა ჟამთათვის საკათალიკოსოჲსა პალატისა, დანაშთენისა მცირედისა ზემოჲსა სადგომისა ფანჯრისა მშვენიერად ნაკვეთისა, და ექმნა მოწამედ სიტყვასა ჩემსა მოკლესა პალატისათვის ძველისა მცხეთას.



გარსევან ჯავჯავაძე

LXI

1798 წელსა უბრძანა შვილსა თვისსა ბაგრატს, ისადგუროს თელავს და აქედამ განაგებდეს ზემო კახეთისა საქმეთა. მიანდო მას მასვე დროსა გამაგრება ციხისა შილდისა, ლალის ყურისა და სხვათა ლეკთათვის დაღესტანით გამოსავლელთა ხეობათა. წარუვლინა ამისთვის მუნ 600 ლიტრა თოფის წამალი და ჩამოსხმული სათოფე და სადამბაჩე ტყვია 300 ლიტრა. ოქმითა, მიწერილითა მისდა მეფისაგან, მიეცა მეფის ძესა ბაგრატს სრული ნება თავადთა ურჩთა შეპყრობისა და უკეთუ არ დამორჩილდეს ვინმე და შეეხიზნოს ლეკთა, ვითარცა ორგულსა მოექცეს; — ესრეთმან ბრძანებამან ძლიერმან მეფისა, დაუმორჩილნა ძლიერნი, გამოცხადებულნი და არა გამოცხადებულნი მტერნი. ვერცა ერთმან თავადთაგან ვერ ჰბედა მიდგომა მეფისა. ძმათა განზრახვათა, მოსურნეთა რათა აუშფოთონ თავადნი მეფესა. — მეფისა ბრძანებითა, თთვე ყოველ, მოხსენდებოდა მისგან მდგომარეობა კახეთისა დაწვლილებით საქმეთა, ვითარცა ლეკთა მისთა, ეგრეთვე თავადთა გამო, რომელთაცა ჭგონებდა არა სრულიად ერთგულად.

ელევთერი გამოგზავნილი თელავსა მეფისაგან, მოძღვრიდა ეპისკოპოსთა და წინამძღვართა სიფრთხილითა ყოფნასა; თავადთა და სოფლისა მოთავეთა კაცთა მშვიდობით ყოფნასა და არა გარევასა არა რომელსამე მეფისა წინააღმდეგსა საქმესა.

ესრეთ ძმათა მეფისა, კახეთისა თავადთა თანა მოყვრობითა დაკავშირებულთა, ვერ ჰპოვეს ვერც ერთი თვისისა ჰაზრისა კაცი. დიდად შეშინებული იყო თვით საუბრისაგანცა მეფესა ზედა და მისსა განმგეობასა ზედა.

LXII

დროთა ამათ თელავსავე ყოფნისა მეფემან* გიორგი მისწერა გარსევანს შემდეგი წერილი:

„ბრწყინვალეო თავადო,

მანდატურთ-უხუცესო გარსევან!

ამას წინად ერთი ჩვენი ყმა მოქალაქე ილიასკარ ასტრახანს მომკვდარა და იმას ასტრახანში ერთი ქარავასლა და ზოგიერთი რამ საქონელი დარჩომია და იმას თავისი მემკვიდრე ჰყავს და არც კურთხეულმან მეფემ მამაჩვენმა ინება მისის მემკვიდრისაგან იმისი გამო

* ხელნაწერში ეს ტიტული გამეორებულია მეორედ. რედ.

რთმევა და ახლა ამ საქმეზედ მისს მაღალ-მსვლელობას ღენერალ-მაიორს სერგეი ლაზარიჩსაც მოვსწერეთ და შენც ამა საქმეზედ ბეჯითად გაისარჯე, რომ ერთი ბრძანება მოაწერინოთ ასტრახანში, ის ქარავასლა და მისი საქონელიც სრულიად იმას მიაბარონ, რომ როდესაც იმისი მემკვიდრე გამოვგზავნოთ; ამაზედ შენს გარჯას ნუ დააყენებ და ასრე აღასრულე და შემდგომად შენსა ამბავსა და წიგნს ნუ დაგვაკლებ.

სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი.

წელს ჩღკ
აგვისტოს ლ.
თელავს.

LXIII

გამეფებისა შემდგომად მეფესა მოერთვა წეოილი რუსეთით გარსევან ჰაქჰავაძისა. წერილითა ამით აცნობებს სამეფოჲსა რეგალიათა წარმოვლენასა იმპერატორისა პავლესაგან. მაშინ მეფემან მისწერა მას გარსევანს თელავიდამ შემდეგი წერილი:

„ბრწყინვალეო თავადო მანდატურთ-უხუცესო გარსევან!

შენის ბრწყინვალებისაგან მოწერილი წიგნი მოგვივიდა და რომელიც უმაღლესის კარიდამ ჩვენზედ მოსასვლელი მოწყალებაები გიბრძანებდა, ყოველივე შენის წერილით ვსცანით და შემდგომი რაც მაგათის დიდებულების წინაშე ჩვენი მოხსენება არის, ყოველივე წერილით მოგვიხსენებია და შენთვისაც თითოეულად მოგვიწერია და რომელიც შენს წინაპართა და შენს აქამომდე ნამსახურობასა და ერთგულებასა შეეფერებოდეს, ყოველს საქმეზედ ისე გაისარჯე ჩვენთვისა და ქვეყანისა ჩვენისათვის და მოიმედენიც ასე ვართ, რომ რასაც აქამომდე გარჯილხარ ჩვენის ერთგულობისა და შენის მშობლის ქვეყნისათვის, ახლა ერთისა წილ ათას წილ გაირჯები. ვიცით, რომ ყოვლის სასიკეთოსა და ჩვენისა და ჩვენის ქვეყნის წარსამატებელს საქმეს ეცდები. ამაზედ ჩვენგან განმხნობა აღარ გეჭირება და ახლა შენ იცი, როგორც ყოვლის საქმის ადრე და მალე დაუყოვნებლად სი-

სრულეს ეცდები და ყოველსავე საქმისა სრულსა პასუხს ადრე გვაცნობებ და შემდგომად ყოველისაეე შენის მშვიდობის ამბავსაც.

მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი[20].
ოქტონბრის ია,
წელს ჩღქბ.
თელავს.

LXIV

1800 წელსა ჩამოვიდა დაღესტნიდამ ნურ მაჰმად 2000 კაცითა; მარტყოფის მთის ხეობითა განვლო საგურამო, გავიდა არაგვსა და შეევიდა ტირიფონისა გზითა ქართლსა და დაეცა სოფელსა საქაშეთსა დილით წირვისა ჟამსა კვირა დღეს. მებატონენი სოფლისა ამის თავადნი დიასამიძენი და გლეხნი, მტრის მოულოდებელნი იყვნენ ეკკლესიაში. ესრეთითა დაცემითა წარიტაცეს ტყვენი კაცნი და ქალნი და მათთან ცოლი დიმიტრისა დაჲ დიასამიძისა თინათინ (შემდეგ იყო ესე ცოლი მუხრანის-ბატონისა ბაგრატისა) და დედა ქაიხოსროსი გარდაცვალებულისა, 1862 წელსა; — ბარბარე ამილახვრის გიორგის ცოლი და მღვდელი ილარიონ. — პურითა, ქერითა, ერბოთი და საგზლით აბარაგებული ნურ მაჰმად წარვიდა და დადგა მტკვრისა პირსა დოღლაურისა ბოლოს. მდევარი ქართველი წიხ დაუხვდა და შეაყენა. 300 კაცი, რუსთა ჯარისა ქვეევითისა, სურამს მყოფი, გამოუდგა და მისცეს ცეცხლი; მრავალი დახოცეს, ტყვენი გამოიხსნეს და მრავლად იგდეს თოფი და ხრმალი; თვით მღვდელი ილარიონ ლეკისა ცხენისა და თოფის მშოვნელი უკუ იქცა თვისსა ბინაზედ. „ლეკი, რომელსაცა ვუჯეგ მე ზურგით ცხენსა, — იტყოდა ილარიონ, — მოკლა შტიკითა სალდათმან მას დროსა, როდესაც შეაგდო ცხენი მტკვარსაო. ცხენი შედგა, ლეკი წყალმა წაიღო და თოფი წყალისა ნაპირს ჩავარდაო; სალდათმან შტიკით მოძებნა და ამოიღო თოფი ლეკისა და მომცა მეო. — მი[ვ]ვარდი მხიარულმან ხელთა საკოცნელად; გარნა სალდათმა არ მიმიშვა და გამაგონა ლეკისა ცხენითა და თოფითა წასვლა შინა სახლად ჩემდა“.

---

[20] ესე ნამდვილი წერილი მეფისა აქვს დღეს უგვანათლებულესსა კნიაზსა ირაკლის, მეფის ძის ალექსანდრეს შვილსა.

LXV

იტყოდა ილარიონ: დროთა ამათ მხნე იყო სალდათი რუსისაო, უშიშარი მტრისა; მცირედითა რიცხვითა ადვილ დამამარცხებელი მრავალთა. გუნდად და წესდებით მისრული მტერზედ, დასცემდა ზარსა თვით უმხნესთა და გულოვანთა გუნდთა. დიდათ პატივს სცემდნენ სალდათნი და ოფიცერნი მათნი ქართველთა ვაჟკაცობისათვის. თუმცა მცირედნი იქმნებოდნენ ქართველნი მტერთა ომრებისა გამო ქვეყანისა, გარნა გმირულად იბრძოდენ და უხაროდათ რუსთა ჯარსა, ოდეს გვერდით მარჯვნივ და მარცხნივ მიუძღოდენ მას. ესრეთი იყო დევნა მტერთაგან ქრისტეს სახელისა ქართველთა ქვეყანისა, რომელსაცა უწოდებდა მამა ჩემი ეგნატი ქალაქად ღვთისა გარემოდ ზღუდვილად ქრისტესისა სახელითა. დაფუძნებულსა კლდესა ზედა, ვითარ შეარყევდა მას მტერი? მცველნი ზღუდისა ამის იყვნენ მართლმადიდებელნი ქართველნი და ერთ სარწმუნოებისა მათისა რუსნი, მოსრულნი ჩრდილოეთით დასაცველად სამხრეთისა, სადაცა ჰყვაოდა ხე იგი მართლმადიდებლობისა, დანერგული ძველადვე. მონასტერნი ქართველთა, ვითარცა სასწავლებელნი, მოჰფენდენ სწავლისა ნათელსა, მისცემდენ სათნოებათა ნაყოფსა, სიმშვიდესა, სიწმინდესა, მტერთა სიყვარულსა; ყოვლად სამეფო ქართველთა ვითარცა მაბრძოლი სარწმუნოებისათვის და ქვეყანისათვის ქრისტეს მოსახელისა თვით უდაბნოთა შინა ჰპოებდა ვაჟკაცთა მწერლობითა, რჩევითა, გმირთა გონებითა და ხმლითა, გვარითა და ტომობითა; განელეს საუკუნეთა და გამოიცადნეს მხნეობა მტერთა თანა მარადის ბრძოლითა. ვინ იყო მეუდაბნოეთაგანი დიდი ანუ მცირე, რომელსაცა არა ჰყოლოდა მოკლული სარწმუნოებისათვის მახლობელი? მოწამეობისა გვირგვინი განაშვენებდენ მამა-პაპის სახლთა მათთა; სისხლი დანთხეული მათთა ძმათა, მამათა და დედათა, შვილთა და რძალთა, ვითარცა აიაზმა ესხურებოდა მინდორთა და მთათა მათთა. ესრეთ ძველთა ზედა წამებულთა, ვითარცა ეკლესიათა ზედა სადგურობდენ თვითოეულნი. ესე არის მიზეზი, რომელ ღმერთმან დაიცვა ქვეყანა დაღუპვისაგან, მოვლენითა დროთა ამათ უკანასკნელთა რუსთა ჯარისა ერთ მორწმუნისა და მეფისა გიორგისა ყოვლად მორწმუნისა, რომლისა ხელითა მისითა წმინდითა გარდასცეს მოწამეთა სისხლითა განწმენდილი სამეფო და ერი თვისი შემდეგთა დროთათვის. — აქა ვიტყვი თქმულსა სიტყვასა სომეხთა კათოლიკოსისა ნერსესისა. 1809 წელსა, მივიდა იგი ვითარცა არქიეპისკოპოსი სო-

მეხთა საქართველოსა შინა განთესილთა და ისტუმრა ელიზბარმან ერისთვის შვილმან ყულარაღასმან. შეჰსჩივლა ამან მას მდგომარეობა თვისი ჩამორთმევისა გამო საერისთაოსი ქსნისა მეფისა ირაკლისაგან და შემდეგ რუსთა მთავრობისაგანცა. საქებელად სახლისა თვისისა მიუთხრა ნერსესსა გმირობა და მხნეობა მრავალთა და სამსახური მათი საქვეყნოდ და დანთხევა სისხლისა მეფეთათვის და მოუთხრა ამბავი ოხითა ერისთავსა სასახლისა მოწამეთა შალვასი და ელიზბარისა, რომელნიცა აღიარა ეკკლესიამან მოწამედ, დაუნიშნა დღე დღესასწაულად და მარხიან იკორთისა მონასტერსა. ნერსესმან. მცნობელმან ესრეთისა მოთხრობისა, უპასუხა ელიზბარსა: „ნუ გეშინის! წამებულთა გამო არ მოგეღებათ ქსანი და ქვეყანა თქვენი. ამიერიდგან იყვენით დარწმუნებულნი, რომელ თქვენია ბინა მამა-პაპისა. იტყვის წინასწარმეტყველი: ღმერთმან გარდამოიხილა ზეცით და იხილა ძენი მოკლულთანი. — და სხვასა ადგილსა იტყვის: არა ვიხილე მართალი დაგდებული, არცა შვილი მისი, მთხოველი პურისა".

LXVI

შემდგომად სამისა თთვისსა, ნურ-მაჰმად გამოვიდა ახალციხიდამ, გამოვლო მტკვარსა კასპისა სოფლისა პირდაპირ. მდევარი საკმაო ვერ შეჰკრიბეს ქართველთა; ამისთვის უშიშრად მთა-მთა მავალი მუხრანისა გვერდზედ, მივიდა საყურამოს ღა აჭედამ აპირებდა დაღესტანში მისვლასა. აცნობეს კახთა და დევნა უყვეს ცხენოსანითა ჯარითა. 1200 ქართველი დაუხვდა ივრისა პირსა და მეტად მამაცად მოექცნენ ქართველნი, დააყრევინეს ტყვეები, დაუხოცეს ცხენები და მოკლეს 64 ლეკი. თვით ნურ-მაჰმად გადარჩა და გაქცეული სირცხვილეული შევიდა დაღესტანსა და ამიერითგან ვეღარ ბედავდა მოსვლასა და არცა ლეკები უჯერებდენ. მეფის ძე მირიან, ძმა გიორგი მეფისა იყო თავად და წინამძღვრად ქართველთა მდევარისა. მეტყოდა თვით მირიან: „ასამდინ თოფი ლეკისა ვაშოვნინე ქართველთაო, 30 სპილენძისა ალთაფა მარტყოფელთა წაიღესო; დიდი დავლა გვქონდაო და დიდი მხიარულება გავწიეთ მარტყოფშიაო, ორი კაცი მოგვიკლეს და ექვსნი დაიჭრნენო მსუბუქად; მეტათ ქალაჩუნათ იყვნენ ლეკნი[ო]".

ოდეს მოხსენდა მეფესა გამარჯვება ესე, მასვე დღესა მივიდა კაცი ქართლიდამ და მოახსენეს სხვაცა დამარცხება ლეკისა. 300 ლეკი, ახალციხიდამ მოსრული მთა-მთა, დაეცა ქარელში სოფლისა ნახირსა. მეფის ძემან იოანე, დროსა ამას მუნ მყოფმან, სდევნა, მოეწია

საციციანოს ხეობაში ხვედურეთისა ახლოს, და მძისარეთა შემოერტყა. იპრიანა ღმერთმანო, — და ასი ლეკი წაგვივიდაო: სხვანი დაიჭერენო, — მიამბო ესე მეფის ასულის მარიამის შვილმან თავადმან ნიკოლოზ ციციშვილმან, თვით სოფლისა ქარელისა მებატონემან და აწ არღა ცოცხალმან.

LXVII

ძმათაგან და გარეთა მტერთაგან შეწუხებული მეფე არღა ჰხედავდა ქვეყანასა მტკიცედ დაბინავებულად. ამისთვის მოინდომა და თუმცა დიდის ღელვითა, გარნა გაბედა და მისწერა დესპანთა თვისთა, რუსეთისაგან განმზადებულთა შემდგომი წერილითი დარიგება და ჰაზრი თვისი უკანასკნელი და გარდაწყვეტილებითი:

„წელსა ჩღყთ. სეკტემბრის ზ ჩვენ მიერ მიცემულნი მათისა იმპერატორების დიდებულების წინაშე წარსაყენებელნი ჰაზრნი მოხსენებანი, რომელიცა ჩვენგან წარელინებულთა ჩვენს ერთგულთა ყმათა უფალთა დესპანთა მოგეცათ:

უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელოი ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჰეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერითგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ.

შემდგომად მსხვერპლებისა ყოვლად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისას, რათა ჟამსა მისგან საქართველოსა სრულსა ძალსა და ნებასა შინა თვისსა მიღებისასა განამხნოს პუნქტსა ამას შინა თხოვილი ჩემი ყოველად უმოწყალესითა აღთქმითითა წერილითა ვითარმედ სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ სამეფოს მემკვიდრითი მემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი.

ისეთივე ითხოვეთ ყოველად მოწყალისა ხელმწიფისაგან ყოვლად უმდაბლესად თქვენ მიერ მირთმეულითა წერილითა ყოველისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომლისაცა ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესის შეკრულობის ნიშნად.

ესრეთვე ითხოვეთ ჯამაგირიცა ჩვენთვის, საშესაბამოსა სახითა. უკეთუ ჰაზრი ესე არ მიღებულ იქმნას, მაშინ ყოველი დამოკიდებუ-

ლება ჩვენი იქმნების დახსნილი თვინიერ ურთიერთისადმი მეზობლურისა ქცევისა. მეფე სრულიად საქართველოჲსა გიორგი[21].

წერილისა ამის ძალითა, იმპერატორმან პავლე დაუნიშნაო მეფეთა და მეფის ძეთა სოფელნი და ყმანი და მამულნი რუსეთისა გუბერნიათა შინა. თვით დესპანსა გარსევან ჭავჭავაძესაც უბოძა მამულები. გარნა აკტი ესრეთი, ხელმოწერილი თვით იმპერატორისაგან არ აღსრულდა და არცა ბოძებამან ამან მოიღო ძალი აღსრულებისა, გარდაცვალებისაგამო თვით იმპერატორისა. ესე მიამბეს შვილმან გარსევანისა ღენერალ-ლეიტენანტმან ალექსანდრე ჭავჭავაძემან და მეფის ძეთა.

დიდად სწყალობდა ქართველთა იმპერატორი პავლე. აქ თფილისის არხივში მინახავს მისგან კნორრინგთან მთავარმართებელთან მოწერილი წერილი ნამდვილი, რომლითაცა უბრძანებს წარუვლინოს სია დიდთა ქართველთა გვამთა და ღირსთა, რათა უბოძოს მათ ღრაფობა, ბარონობა და რომელთამე ორდენიცა ანდრიისა.

LXVIII

დესპანთა ამათ მეცადინებითა შესდგა და დამტკიცდა ტრაქტატი, მიღებული იმპერატორისა პავლესაგან.

აჰა თვით ჰაზრნი და მუხლნი ტრაქტატისა ამის, რომელიცა იპოება დაბეჭდილსა ფრანციზულად წიგნსა შინა როტიევისა: [22]

„1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა შემდეგი:

1.

მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა „მეფე საქართველოჲსა და შემდეგნი მისნი და შემკვიდრენი“.

---

[21] თვით ნამდვილზედ არის მიწერილი მეფისავე ხელითა: თავდს ვარსევან ჭავჭავაძის.

დესპანნი ამა წერილისა აღმასრულებელნი იყვნენ: თავადნი გარსევან ჭავჭავაძე, ელეაზარ უალიანუაშვილი და გიორგი ავალოვი.

ელეაზარ ძე იესესი იყო სტატსკი სოვეტნიკი; მოკვდა 65 წლისა უშვილოდ თფილისს 1821 წელსა და დასაფლავდა ქაშვეთისა ეკკლესიასა. ღენერალი ერმოლოვი იტყოდა მისთვის: Его портрет надо посадчть в золотую раму. Он был человек редких достоинств.

[22] Itinéraire de Tiflis à Constantinople (Bruxelles, 1829) გვ. 69.

2.

ძე მეფისა გიორგისა დავით ტიტულსა „განმგე საქართველოჲსა“ და გარდავალს ესე შთამამაელობითა პირმშოდამ პირმშომდის.

3.

საქართველოჲსა ერი და მუნ მსახლობელნი 12 წლისა განგრძნობასა, არ გაიღიბებენ არასა ხარჯსა, რათა დაეწყვნენ თვისსა მდგომარეობასა შემდეგ ესოდენთა ბრძოლათა. განმგე საქართველოჲსა მიიღებს რუსეთიდამ 12 წელსა მისთვის და სამეფოსა სახლისა წესთათვის 20.000 თუმანს (200.000).

4.

მადანი ოქროჲსა და ვეცხლისა ახტალას და მისბანს (ზიშხანსა), შევა რუსთა განმგებაში და იმითი აივსება ზემო თქმული ჯამი ფულისა.

5.

6.000 რუსისა ქვევითი ჯარი სრულისა კომპლექტითა იდგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ამა ქვეითისა ჯარისათვის.

6.

ქართველნივე მოაგროვებენ ჯარსა ესოდენსა, რაოდენიცა საჭირო იქმნების დასაცველად სამზღვრებისა.

7.

რუსნი წარგზავნიან ინჟენერთა თვისთა აღსაშენებელად და განსაახლებელად ციხეთა მათ ადგილთა ზედა, სადაცა დაინახება საჭიროდ.

8.

ფულსა, მოჭრილსა თფილისში ექმნება ერთსა მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორეს საქართველოჲსა.

9.

საზრდო რუსეთისა ჯარისათვის მოიყიდება იმავე ფასითა, რომელიცა იქმნება დანიშნული ადგილობრიეთა მცხოვრებთათვის.

როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა, უნდა იქმნას კომლეურად და არა თვითო სულად [23].

[ხელმოწერილია]:

რუსეთისა მხრით

რ ო ს ტ ო ფ ჩ ი ნ ი (ღრაფი).

საქართველოჲსა მხრით

ა ვ ა ლ ო ვ ი.

ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

LXIX

ტრაქტატსა ამას შეუდგნენ განმარტებაებანი ვრცლად, რომელთაცა ეწოდება დიპლომატიისა ევროპისა ენითა ნ ო ტ ა ნ ი და დაიწერა ესენი თვით დესპანთაგან, შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა გიორგისა. აჰა თვით ნოტანი ესე ნამდეილნი:

1

პყრობილებისამებრ ჰაზრისა პირველისა მის პუნქტისა, რომელიცა მიცემულ იქმნა ჩვენგან ვიდრე სიკვდილამდე მისისა სიმაღლისა მეფისა საქართველოჲსა ხელმწიფისა ჩვენისა სახელითავე მისითა მაღლისა მინისტრისადმი, რომელიცა ბრძანებისამებრ მისისა [24] იმპერატორობისა დიდებულებისაგან წარგზავნილ იქმნა საქართველოჲსა შინა წერილებითა. ამისთვის გვაქვს ჩვენ პატივად ქვეშევრდომობით მოხსენება ამისი, რომელ დიდ შემძლებელნი საქართველოჲსანი, სამღვდელონი, და სერონი ერნი, ყოველნივე მოსწრაფე არიან და სურსთ ყოფად ერთა ამითა მოქმედებითა სამარადისოსა შინა მონებასა მაღლად-განდიდებულისა იმპერიისა რუსეთისასა, და შეკრულჰყოფენ თავსა თეისსა ამით, რომელ წმინდათა აღასრულონ ყოველივე იგი, რაიეესაცა აღასრულებენ მონანი მისნი, და არა უარ-ჰყონ არა რომელიმე სჯული, და ბრძანება რაოდენცა სამეფოსა მისგან იქმნების შესაძლო, და მცნობელცა იყვნენ ყოლისა რუსეთისა იმპერატორისა

[23] წიგნი დაბადებისა, პირველი ნეშტთა თავი 21. მეორე მეფეთა თავი 24. ქართველთა მეფენი, მოშიშნი ღ-თისა ბრძანებისა, ერიდებოდნენ ს უ ლ ო ბ ი თ მცხოვრებთა აღწერასა.

[24] აქა თვით ჰავჰავაძეს დაურთავს ლექსი: ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი ს ა.

თვისად შთამომავლობითად ხელმწიფედ, და თვითმპყრობელად; და ესრეთ ვინაიდგან ზემო დანიშნულნი ნოტანი იგი, და სხვანიცა პუნქტნი ყოველნი მისის იმპერატორობისა დიდებულებისაგან პირველივე მაღალ-მნებებელობით განხილულ იქმნა, და სამეფო იგი საუკუნო ჟამობით მონად ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტისად მიღებულ იქმნა, ამისთვის ამის შედგომილებისამებრ ყოვლად უმონებრიეერად ვითხოვთ მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისაგან, რათა დამტკიცებულჰყოს მიღება სამეფოსა მის დღესასწაულობითითა დამტკიცებითა ორითავე მხრით საიმპერატოროსა აქტსა შინა, რომელსაცა შინა ჟამსა იქმნენ იგინი იმედოვანად ამისა, რომელ ვითარცა თვით ეგრეთვე შემდგომნი ამისნი მემკვიდრენი იპყრობენ მათ მარადის მამობრივს კეთილმხედველობასა შინა, და საკუთრად იქმნებიანცა მღწველ კეთილდღეობათათვის მათ ერთასა, რომელთაცა ნებით თვისით მისცეს თავი თვისი საუკუნოსა მონებასა, და ესრეთვე მიენიჭოსთ მათ ყოველივე წესი, სარგებლობა და ჩინებულება ესე ვითარი, რომლითაცა ძველნი ყმანი მისის იმპერატორებისა დიდებულებისანი სარგებლობენ, და დაუცველ იქმნას, ვითარცა სამეფო, ეგრეთვე სამზღვარნი მისნი ყოველთა მეზობელთა მათ მტერთ თავდასხმისაგან, და ვნებისა, და ყოველთა მათთა წინააღმდგომობათაგან და განუწესებს ყოველსა მას მსახურებასა ესე გვარსა, რომელსაცა შემძლებელიქმნენ ახლისამებრ მონებისა თვისისა ტვირთვად, დაცვად და აღსრულებად.

2

პუნქტსა ამას შინა კვალადცა აწ დამტკიცებულ ვჰყოფთ, და ყოველითურთ განვრცელებით მივიღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილნიებებულ იქმნას მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან, და დანიშნულ მმართველად საქართველოჲსა სამეფოსაჲ ერთად რომელიმე მეფის ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ [25], და იჯსენიებოდეს მეფეთ საქართველოჲსად, და მიეცეს მას თანაშემწედ მარადის მუნ მყოფად ერთი, რომელიმე დიდის რუსეთის დიდ-შემძლებელთაგანი, რათა მან ჴმართველობასა შინა მისსა განჰმარტოს მას

---

[25] თანაჴმად ტრაქტატისა, და წერილისაცა მეფისა გიორგისა, დესპანთადმი ჴაწერისა: „რათა სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფობა ე. ი. რათა არა გაუჭდეს მეფობა ანუ მოადგილეობა ხელმწიფე იმპერატორისა მეუფეთა გვარშია,—ესე უნებდა იქა წესითა ვითარცა ძველადცა იწოდებოდა საქართველო ვალისტანად სპარსთა ყაენებისა და თვით მეფესა საქართველოჲსას უწოდებდენ ყაენნი—ვალი ჴურჯისტანისა.

მისდამი მიცემული იმპერატორებითნი სჯულნი ბრძანებანი, და სხვანიცა ესე გვარნი, და რათა თვინიერ თანახმობისა მისისა, მან იმპერატორის მოადგილემან, და მუნ მეფედ წოდებულმან არა რომელითამე სახითა თვით თავით თვისით არა კადნიერ იქმნეს განწესებათა რომელისამე სჯულისა, ბრძანებისა და რიგთა. და რათა არა მოაწეროს ხელი მან მხოლოდ თვინიერ ხელმოწერისა მისდამი განწესებულისა მის თანაშემწისა, ამისთვის ჯერ არს რათა თვითოეულთა მათ ბრძანებათა ანუ თუ განწესებასა ზედა სჯულიერისა ძალისა მექონთასა პირველად მოაწეროს ხელი დიდის რუსეთის დიდშემძლებელმან, რომელმანვე დააგდოს ზემორე ადგილი ხელმოწერისათვის მეფისა მის, და ამას მოხსენებასა ვიკადნიერებთ ყოვლად უმონებრიეთითა სახითა, — ამისთვის, რომელ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა მიუცილებელად საჭირო არს, რათა ამით განმხიარულებელ, და განმხნობილ იქმნენ ერნი იგი, ვიდრე პირველ განჩვეევადმდე. და მას მეფესა აქვნდეს მხოლოდ სახელი მეფობისა, და სხვებრ ყოველსა ჩვენ, ვითარცა სარწმუნონი მონანი მივანდობთ უდიდებულესობისა კეთილმნებებელობასა, და ვითხოვთ, რათა მოგვეტეოს უკეთუ ვჰყავთ მეტნი და უადგილონი წინადადებანი ვითარცა ახლად და სრულობით იმპერატორსა სრულიად რუსეთისა ტახტისა ქვეშევრდომილებისა ჩვენისათვის კადნიერ ქმნილთა.

ესე კვალადვე განხილვებასა შინა საჭიროდ იჩვენების, რათა სხვანიცა მუნებურნი თავადნი და აზნაურნი მნებებელობითა ყოვლად უდიდებულესისათა განწესებულ იქმნეს სხვადასხვათა სასამართლოთა შინა ადგილთა და მათ შორის იგინი იყვნენ პირველნი, და მეორენი იყვნენ შემდგომნი მათნი რუსეთისა მოხელეთაგანნი თანამდებობითითა ამით შეკრულებითა, და ყოველსავე მას რაოდენგზის სათანადო იქმნების მათ სასამართლოთა ადგილთაგან, მოხსენებად არა ჯერ არს, რათა მხოლოდ ერთისა იმპერატორისა მოადგილესა მას. და მეფესა მოახსენებდენ, არამედ ორთავე ზემოთქმულთა მათ გვამთა, რომელთადმიცა ჯერ არსვე, რათა ყოველსავე მოახსენებდენ უმცირესნი ადგილნი უპირველესთა, და ყოველნი თანამდებ არიან მოხსენებად სრულისადმი შეკრულებისა.

ხოლო სიმცირისათვის ადგილთა საქართველოჲსათა დავსდებთ ესრეთ, რომელ საკმაო იქმნების ხუთნი სასამართლონი ადგილნი, რომელთაგანცა პირველი იწოდებოდის ესრეთ ვითარცა კეთილ მნებებელ იქმნების სოვეტად, ანუ დეპარტამენტად სენათისა, სადაცა ჯერ არს, რათა იმყოფებოდეს ზემოხსენებული იგი მოადგილე, ანუ მეფე, და შემდგომად მიცემული მისდა თანაშემწე დიდის რუსეთისა დიდშემძლებელთაგანი, და სამნი მუნებურთა თავადთა და აზნაურთა-

განი. მუნვე სათანადო არს, რათა იმყოფებოდეს უპირველესი შეფი რუსეთისა მუნ მყოფთაგანისა მხედრობისა, რომელიცა შეკრულ არს უფრორე მათა კერძოთა ღუწისადმი და სხვანიცა მოხელენი, ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე დიდისა რუსეთისაგანი წერილთა მცოდნენი განწესებულ იქმნენ ეგოდენნი, რაოდენიცა განხილვისამებრ საჭირო იქმნების.

მეორე ადგილი, რომელიც სათანადო არს, რათა იყოს ბრძანებასა ქვეშე პირველისასა, ჯერ არს, რათა იწოდებოდეს სამეფოსა მართველობად, რომლისაგანცა სხვანი იგი სამთა მათ პროვინციათა შინა მყოფნი განიყოფებიან თვითოეულად, და მათ ყოველთავე ეწოდებოდეს უეზდნი, — ანუ თუ ვითარცა კეთილმნებებელ იქმნეს, ვინაიდგან სიმცირისათვის სამპყრობელოსა სამეფოსა მის საქართველოსა. ესენი ყოვლითურთ საკმაო ჩქმნებიან, ამად რომელ უკეთუ რომლისადმიცა მაცხოვრებისა გარეგან სატახტოსა მის ქალაქისა მოუნდეს დამჭირნეობა მიუცილებელად, და წარმოვიდეს რომელთამე საჩივრითა სატახტოსა მას ქალაქსა შინა თფილისსა, ამისთვის არა არს ადგილი ესე ვითარი, რომელიცა განშორებით მდებარე იყოს უფროს ოთხისა დღისა სავალისა.

3

ქალაქსა შინა თფილისს ჯერ არს, რათა განწესდეს წესი პოლიციისა, და განიწესოს ერთი მუნებურთა ჩინებულთაგანი ობერ-პოლიცმაისტრად, და მას მიეცეს თანაშემწედ ერთი დიდის რუსეთისა ხარისხისა მქონებელთაგანი ვინმე, ამად რომელ მუნებურთა მათ ერთათვის დიდად საჭირო არს ესე, რათა მდთ ღარიბნი მუნ მოსახლენი შემძლებელ იყვნენ ქალაქსა მას შინა განსვენებით ცხოვრებად, და რათა გლეხთა მათ მაქვნდესთ სახმარნი ნივთნი ქალაქთათვის თვინიერ ყოვლისა სხვათაგან შევიწროებისა, და რათავე იმოქმედონ თვითოეულმან თავისუფლებით ხელოვნება თვისი, და არა ესრეთ, ვითარცა არს აზიის ჩვეულება, რომელ რომელიცა არს ძლიერ, მას აქვს სავაჭროსა მას შინა ყოველივე მძლავრება, და მოსახელეთადმი ჰყოფს შეიწრებასა.

თვით მასვე ქალაქსა შინა თფილისს სათანადო არს, რათა განწესდეს კვალადცა ერთი სასამართლო, და იწოდებოდეს სლოვესნად, სადაცა ჯერ არს, რათა იყოს პირველად მსაჯულად ერთი ქართველთა აზნაურთაგანი, და მეორე მუნებურთა ვაჭართაგანი, და მესამე ასნაფთაგანი ვინმე, რათა მათ, ოდესცა შეხვდეთ საქმე სიტყვით საჩივარი, მაშინ განარჩიონ, განსამართლონ და გარდასწყვიტონ, თვით მასვე დღესა, რომელსაცა შინა მოჩივარი მივალს საჩივრითა თვისი-

თა და უკეთუ არ ექმნების მათ ძალი, რათა განასამართლონ, და სიყვარულითა შიარიგონ, მაშინ წარიგზავნონ ორნივე იგი სამეფოსა მმართველობასა, ანუ თუ პოლიციასა შინა განბილვისამებრ საქმეთასა.

4

მქონებელთა საქართველოსა შინა ვაჭრობისათა მეზობელთა მათ ერთადმი განეწესოს სახელმწიფოსა შემოსავალთა სარგებლობისათვის ბაჟნი, რომელსაცა შინა პირველ დელეხტორად ჯერ არს, რათა იყოს შთამამავლობით საქართველოსა თავადთაგანი, და ორნი შემდგომნი მისნი იყვნენ ერთი მუნებურთა აზნაურთაგანი, და ერთი დიდისა რუსეთისაგანი, და ესე საბაჟო იყოს თფილისსა შინა და მათთაგან სამზღვართა ზედა მთის ერთა სპარსთა, და თურქთასა დაინიშნოდეს სამყოფად თვითოეულნი ქართველთა მოხელეთაგანი, და თვითოეულნი რუსთაგანი, და თუ რომელთა სამზღვართა ზედა ჯერ არს დადგენა მათი და აგრეთვე იმერეთის მხრით, ვიდრემდისცა არ იქმნების უკანასკნელისა დესპანისა წარგზავნა პორტისადმი. და სახელობით განწესება ფორპოსტთა, მანდამდის ჩვენ აწ თქმად არა ძალგვიძს მათ განწესებათათვის. და ესრეთ ოდესცა მივიწევით ჩვენ მუნ, სათანადო არს რათა ესრეთგზის დამტკიცებით იქმნეს საუკუნოდ თანხმობით განწესება ადგილთა მათ სადაცა ჯერ არს დაყენება, რათა არა ვლონ მუნ ვაჭართა საქონლითა თვისითა, და სადაცა ჯერ არს რათა მუნ აქვნდეს თავისუფლებითი სვლა, რომელ ამით სახით მიეცნენ ერთგზის სამზღვართა ზედა ბაჟი, და მიიღონ ბილეთი, და მიიტანონ იგი თფილისსა, ანუ თუ რომელსამე უეზდის სასამართლოსა შინა, რომელ მეორეთ აღარ გარდაიხადონ ბაჟი იგი. ხოლო უკეთუ როგორმე მოულოდნელად, და უმეცრებით გამოატარებს, რომელსამე საქონელსა მათ ადგილთა ზედა, და სამზღვართა, სადაცა დაყენებულ იქმნების სვლა ვაჭართა, მაშინ ვიდრემდისცა დაეჩვეოდენ, თუ რომელთა ადგილთა ჯერ არს სვლა საქონლითა ამის პირველისა შეხდომისამებრ, არა მიადგეს მათ არა რომელიმე დასჯა, და გამოერთვას ბაჟი იგი თფილისს შინა, ხოლო ვინაიდგან სამეფო საქართველოსი აწ შეერთებულ იქმნა იმპერიისათანა ყოვლისა რუსეთისა და მუნებრივნი მცხოვრებნი იქმნენ ყმათა ყოვლად უავღუსტესისა მონარქისად, მაშინსადამე, ამის შედგომისამებრ უბრძანოს ვისადმიცა ჯერ არს, რათა მოშტანილთა საქონლისათა მოზდოკსა შინა ქართველთა და სხვათაცა ვაჭართა საქართველოზე მოსულთა, და მუნ საქართველოსა შინა გარდამხდელთა განწესებულისა ბაჟისათა, მეორედ მოზდოკსა შინა არღა გამოერთვას და ეგრეთვე მოზდოკით საქართველოსა შინა მისრულთა, ვინადგან თანამდებ არიან განსრულნი თფილისით.

და ესრეთვე მრავალნი ვაჭარნი მისის დიდებულებისა, და აწ ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა მონანი რუსნი, ქართველნი, სომეხნი და სხვანი, რომელნიცა გამოვლიან რა ყიზლარსა, მოზდოკსა და სხვათაცა ადგილთა, და მოიწევიან რა ოვსთა შორის, მაშინ არა თუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მისაცემელთა საქონელთა ზედა, არამედ ესეცა ფრიად ხშირად იქმნების, რომელ ისინი მომწყურნობითა ნიეთ მოყვარებისათა, მოაკლებენ მათ ყოველსავე ნაქონებსა თვისსა და ამისთვის ვრაცხ თანამდებად ჩვენდა მოხსენებასა ამას, რომელ პირველსა ამას წარმოსვლასა რომელსამე დიდ შემძლებლისასა, რომელიცხ რაოდენსამე ჟამსა დაინიშნვის სამყოფად საქართველოსა შინა მუნებურთა განწესებულებათათვის, მისდამი საბმარ არს, რათა მუნ განვლასა შინა ჰქმნას მათდამი, ესე იგი, ოვსთადმი მტკიცე განწესებულება ამა საქმეთათვის, და შემდგომად ამისა მცირესა შინა ჟამსა შესაძლო არს, რათა იგი მცირედ საარაცხნი ერნი ძველთაგან დამონებულნი საქართველოთა მეფეთაგან ფრიად სუბუქად მოყვანილ იქმნენ კვალადცა თანამდებობითა მორჩილებასა და მონებასა შინა და რათავე საშვალ მოზდოკისა და საქართველოსა, სადაცა არს საჭირო, განწესდეს რაოდენიმე ფორპოსტნი, და დაიყენოს სამყოფნი კამანდნი.

არა მცირედრე ვრაცხთ თანამდებობადვე ჩვენდა ყოვლად ქვეშევრდომობითსა ამას მოხსენებასა, რომელ თვითოეულნი მეფის ძეთაგანნი, თავადნი, აზნაურნი და სამღვდელონი ართმევენ გამოსაღებთა განმვლეთა მათ, რომელნიცა ვაჭარნი ჰგიელიან სამფლობელოთა მათთა ზედა ანუ ადგილის ფასთა მსგავსად ბაჟთა და ესე სათანადო არს რათა იქმნეს დაყენებულ, ამად რომელ ვაჭარი გარდამხდელი ერთგზის ბაჟისა საქართველოსა შინა შემდგომად, სადაცა განვრცელებულებასა სამპყრობელო ჩვენისა ყოვლად უავღუსტესისა ხელმწიფისა სათანადო არს, რათა მუნ იყვნენ თავისუფლად მეორედ გამოსაღებთაგან ბაჟთასა; კვალად მათ სრულყოფისათვის კადნიერ ვიქმნებით შეერთებად მოხსენებისა ამის, რომელ საზოგადოდ მობირებისათვის ვითარცა ქართველთა ეგრეთვე მეზობელთა მათთა ვაჭართაცა განვრცელებისადმი ბაჟთასა, და განმხნობისათვის მათისა, არა კეთილნებებულ იქმნების განწესება ამისა, რათა დებულებათამებრ ათამანის პორტიისათა აღიღებდეს სამი ასსა ზედა, დაფასებისამებრ საქონლისა; და უკეთუ რომელიმე ვაჭართაგანი დაფარვისა სახითა იქმნების მომტანელ რომლისამე ნივთისა საქართველოსა შინა, რომლისა ნივთისა დამფარველთა, მაშინ გადახდესთ ესრეთ, რომელ გამოერთვას მას ორი წილი ნაცვლად ერთისა, რათა ამით სუბუქითა დასჯითა უმეტეს ადრე მოიქცეს ერი ახლად შემოსრული მაღლისა

მის იმპერატორებითისა დიდებულებისა მონებასა შინა, და თვით ესევე ჰყოს ამას, რომელ მოიქცნენ მამულსავე შინა მოსახელეთადმი, და შესაძლო იქმნებისცა, რათა მომგონებლობითა თვისითა განაერცელონ ვაჭრობა თვისი ბასრას, ბაღდადს და უშორეს ინდიასა შინა.

5

აწ ჩვენ სუსტითა ჩვენითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოველად უმონებრივესად წინ წარმოდგინებად ამისა, რომელ ადგილნი ანუ სამპყრობელონი საკუთარნი მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთანი ყოველივე იგი შემდგომაცა მათდამი იქმნენ დაშთომილ, ვითარცა სჯულიერნი მათი საკუთარი, ხოლო უკეთუ რომელსამე მათგანსა ძალითა, ანუ თუ სხვათა რომელთამე უჯეროთა სახით, ადგილნი მიუმძლავრებიესთ, მაშინ იგი სამართლით სათანადო არს, რათა განრჩეულ იქმნეს და მიეცეს იგინი პატრონთა თვისთა, რომელთადმიცა ეშესაბამების სწორედრე მიცემა.

და ესრეთ მრავალნი ადგილნი მდებარენი სამზღვართა ზედა მთის ერთასა სპარსეთისა, თურქთა და სხვათასა, რომელიცა არიან მპყრობელობასა ქვეშე მეფისა ძეთა, თავადთა და აზნაურთა, და სამღვდელოთა ერთასა, გვეჩვენების ჩვენ დაცვისათვის სახელმწიფოსათა უშიშრობასა შინა უმჯობესად, რათა ესე ვითარნი ადგილნი მათგან გამორთმეულ იქმნენ და ნაცვლად მათსა მიეცესთ მათ სხვა შინაგან საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, და იგი ადგილნი დაშთეს სახელმწიფოდ, სადაცა კეთილ განხილულებით იქმნეს აღშენებულ სიმაგრენი გაფრთხილებისათვის მეზობელთასა და ამითიცა განერებიან მრავალნი ტყუილსა ცილისწამებასა, და შესმენასა ვითამცა-ღა მათ აქვნდესთ დაფარული შეერთებულება ორგულთათანა; ხოლო რომელნიმე თქმულთა მათ ადგილთ-მჭონებელთაგანი შესაძლო არს, რათა დაშთეს მასვე ადგილსა თვისსა ჩინებულისა მოქმედებისა მათისა, და შესაბამად დაფიცებისათვის და დამორჩილებისათვის თვისისა სჯულიერისა ხელმწიფისადმი, და განეწესოსცა წელიწდობით ჯამაგირი. რათა ამით მყოფნი მუნ, ვითარცა მცოდნენი ძალისა და მდგომარეობისა თვისთა მეზობელთასა, შემძლებელ იყვნენ რათა აჩვენონ სარგებლობა.

6

ქვრივთა დედოფალთა, ეგრეთვე ქვრივთაცა მეფის რძალთაცა, და მეფის ასულთა, რომელნიცა არა არიან გათხოვილ და წელთა თვისთა შემსგავსებით არა ძალუძსთ განქორწინებად, ყოველად მო-

წყალებით ებოძოსთ შესაბამი გვარისა თვისისა უფლება რუსეთს, ანუ ქვეყანასა შინა თვისსა, და მათნი საკუთარნი ადგილნი ჩვეულებისად იქაურთა წესთასა სოფელნი და სხვანიცა შემოსავალნი მიღებულ იქმნეს სასარგებლოდ უდიდებულესისა კარისადმი, ხოლო მამაკაცთა მათ მეფის ძეთა, ძმისწულთა, და მის ძეთა მეფისა სახლისათა, ყოველთა მათ, რომელთაცა სუსტსა თვისისა სიმრთელისა ძალით, ანუ მოხუცებულებისა გამო დაშთებიან ქვეყანასა შინა თვისსა ისარგებლონ საკუთარითა თვისითა ადგილითა. ხოლო იგინი, რომელნიცა თვინიერ იქვისა მიღებენ სურვილსა, და მოიწყვიან და შევარდებიან ფერხთა ესე ვითარისა თვისისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისათა მიღებულ იქმნენ, მსახურებასა შინა და ნაცვლად მუნებურთა მათ ნაქონებთა თვისთასა მიენიჭოსთ რაიცა კეთილნებებულ იქმნეს, და იქაურნი აღირიცხოს სახელმწიფოდ.

7

სამღვდელოთათვის ვითარცა არს უპირველესე აწ საქართველოსა შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მეფისა ირაკლისა ანტონი, რომელსაცა აქვსთ ძველისა იქაურთა განწესებისამებრ ტიტულად კათოლიკოსობა, კურთხეულ არს ხელმწიფობასა შინა ნეტარ ხსენებულისა იმპერატრიცასა პატივსა შინა არქიეპისკოპოსისა ცარსკისელოს და მუნ წარგზავნილ იქმნა განრიგებისათვის მუნებურთა სამღვდელოთა წესთასა, ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე თანადებობასა, და სახელსა შინა, — თანასწორადვე სხვანიცა ეპარქიათა შინა თვისთა მყოფნი მიტროპოლიტნი, არქიეპისკოპოსნი, და იღუმენნი, პროტოპოპნი, მღვდელნი და დიაკონნი და სხვანიცა ეკლესიისა მოსამსახურენი თვითოეულნი წოდებისამებრ თვისისა და ადგილთა მათთა სახელდობით, თუ ვითარნი, და რაოდენი არიან იგინი მიუცილებელად მუნ მიწევნისა ჩვენისამებრ, ყოვლად პონებრივთა სახითა ჰყოფთ მოხსენებასა და ვინაიდგან განსვენებული იგი უგანათლებულესი მეფე, და სამეფო მისი ითხოვდენ, რათა მიეღოთ საშოვალაკონი, და პოლიტიკებრნი სჯულნი, ამისთვის ჩვენცა მივიღებთ კადნიერებასა, და ამისთვისვე ვითხოვოთ დიდისა ჩვენისა ხელმწიფისაგან, რათა მიეცეს ბრძანება უდიდებულესისა უწმინდესსა სინოდსა, რომელ წარმოგზავნოს ჩვენთანა, ანუ შემდგომად ჩვენსა ერთი სამღვდელო ვინმე რუსეთისა საიმპერატორობისგან მცირეს ჟამობით არქიმანდრიტი ანუ იღუმენი, კაცი შდაბალი და მუდრო, რათა აჩვენოსთ მათ განწესებულებანი აქაურნი საკუთარნი დღესასწაულობათათვის საუქმოთა, და სხვათაცა სახელმწიფოთა დღესასწაულობითთა დღეთა.

ხოლო მიტროპოლიტნი, არქიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, არა მჭონებელნი ეპარქიისანი, უკეთუ გამოჩნდეს ადგილი მათთვის, არამედ დაშთომილად, და უქმად, მაშინ მოხსენებისამებრ მუნებურთა მაღ სამღვდელოთა, და ჩვენგან კეთილნებებულ იქმნების. რათა იგი დაიდგინოს მუნ ეგრეთვე არქიმანდრიტი და იღუმენი, ოდესაცა მათგან თხოვილ იქმნების, ეგრეთვე მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა, რომელნიც ეგებიან უადგილოდ, ყოვლად მოწყალებით ებოძოსთ მცირედი ულუფა საზრდოდ განსადიდებელად ყოვლად უავლუსტესისა სახელისა. და ვითხოვთ რომელ ყოველნიე იგი სამღვდელოთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ, და პატივცემულ ღირსებისამებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მექონთა რუსეთისათა, ვინათგან ქვეშევრდომილ ქმნილი იგი სამეფო თვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა.

8

და მათთანავე წინა წარმოგიდგენთ ძველთა ჩვეულებათა საქართველოსათა, რომელიცა მუნ ჰგიეს თვით დაწყებითგან მათით ესე რომე უფროსღა თვითოეულთა მეფის ძეთა, და თავადთა ყოვლად სამღვდელოთა საქართველოსათა ჰყავთ აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანცა მათ აქვს მიწა მიცემული, რომელსაცა ზედა არიან გლეხნი დასახლებულნი, და მუნ ცხოვრებენ იგინი და არა რომელსამე შეიწრ[ო]ებასა მიმღებლობენ მათთა ვადადთაგან: ხოლო ჟამსა ბრძოლისასა წინააღდგომად მტერთა ყოველიე სრულებით თვითრეულად მასთან წარვლენ ბრძოლასა შინა და ესრეთვე ჟამსა ნადირობისასა, და ანუ თუ ჟამსა მასპინძლობისასა მათთანავე იმყოფებიან სრულებით, და სახლთა შინა მათთა ვითარცა აზნაურნი ერთბამად მათთანა ერთსა ზედა ტრაპეზსა განსცხრებიან და ოდეს რომელიმე მათგანი არღა ინებებს უმეტეს ყოფად უფალთა მათთანა, მაშინ ვითარცა აზნაური დაუტევებს მიწასა მათსა და სოფელსა და წარვალს თვისით სახლეულობით სხვისადმი, რომელიცა თვინიერ ყოვლისა ნაკლულევანებისა თვისადმი მიიღებს და მრსცემს მასვე უპირატესობასა ვითარიცღა აქვნდა პირველ მისსა ჟამადმდე, და ამისთვის ყოვლად უმონებრივესად წინ წარმოდგომილ ვჰყოფთ მათ აზნაურთა, რომელნიცა ყოვლისავე შინა საზოგადოდ გამოსადეგნი არიან და უფროსად სამხედროსა შინა სამსახურსა, რომელსაცა შინა არიან დაჩვეულ და ესე არა კეთილნებებულ იქმნებისა, რათა ყოველივე იგი ჩამოგრთვათ ყოველთა მათ მებატონეთა და აღირაცხნენ იგინი საეროთა აზნაურთა

წესთა შინა, და სანაცვლოდ ჩამორთმეულთა მათ მიეცესთ თანასწორიცე სამკვიდრებელი, იგინი ხმარებულ იქმნენ ღწვასა შინა უდიდებულესისა მსახურებისასა.

9

ხოლო რაოვეცა შეეხების თქმად მადანთათვის საქართველოსა შინა მყოფთა, რომელიცა არს ოქროსა, ვერცხლისა და სხვათა ნივთთა ესე არს რომელ წინა წარუდგენთ ნებასა ქვეშე მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რათა გამოცხადებით მუშაკობისათვის მათისა ებრძანოსთ წარმოსვლა განსწავლულთა კაცთა, და მუშანი გამოცდილნი იპოებიან სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი, რომელნიცა შესაძლო არს, რათა მოიხმარებოდენ სამუშაოდ თეთრისა მიცემითა.

10

ვითარცა მეოთხესა პუნკტსა შინა მორთმეულსა ჩვენგან სახელსა ზედა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა სამეფოსა უმაღლესის მისის იმპერატორობის მინისტრისადმი ნოტი, იყო ესე რომელ ვითხოვეთ ჩვენ სამყოფად საქართველოსა შინა ექვსი ათასი კაცი მაღალ დიდებულის რუსეთის იმპერატორის მხედრობა, ესრეთვე აწცა კადნიერი ვიქმნებით ყოლად უმონებრივესად მოხსენებად, რომელ აწინდელისა. ამის მდგომარეობისამებრ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა რიცხვი მხედრობისა საჭირო არს [26], ვითარცა საზოგადოსა განსვენებისათვის, ეგრეთვე დამყუდროებისათვის აღშფოთებულებათა ჩვენთა მეზობელთასა, ხოლო შემდგომად, ოდესცა განწესებულ იქმნების მუნ შესაბამი მყუდროება, და ყოველივე მოიყვანების რა შესაბამობასა შინა, მაშინ თუ რაოდენიცა რიცხვი მხედრობათა ჯერ არს, ამას მივანდობთ სრულებით განხილულობასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რომელიცა შესაძლო იქმნებისცა, რათა სახელდებით საიმპერატოროსა აქტსა შინა, დაინიშნოს, და უკეთუ კეთილნებებულ იქმნების, რათა ზემოხსენებულისა ამის მდგომარეობისათვის აწ მყოფსა მას საქართველოსა შინა მხედრობასა მოემატოს, მაშინ ყოვლად ქვეშევრდომობით ვითხოვთ, რათა უკუნქცევისათვის სიძვირეთასა მოსყიდვასა შინა პრავიანტისასა, ებრძანოს მუნ მყოფსა რუსეთისა მხედართმთავარსა განმზადება მათი კეთილჟამიერად მუნ მყოფისა ბაზრის ფასისამებრ.

[26] იგივე ნუ უმეტესი, მიუწერია თვით გარსევან პავლავაძეს, რათა არა დაუძძიმონ რუსთა მფარველობითი კავშირი.

1

რაოდენიცა შეეხების დაწყებასა განსწავლულისა მხედრობისასა საქართველოსათა ერთასა, რომელნიცა შეკრებად შესაძლო არს ესე, არს რომელ ჩვენ მოხსენებად არა რა ძალგვიძს, და ოდესცა წარიგზავნების უდიდებულესისა მისის იმპერატორების უმაღლესის კარისაგან რომელიმე გვამი საქართველოსა შინა, და იგი ჰყოფს მუნებურისა ერისა სამხედროსა აღწერასა, მაშინ დროსა მას წოდებული მეფედ ითხოვს, რაოდენცა სახმარ არს მოხმარებასა შინა მსახურებისასა ერთბამად რუსეთისა ძლევა შემოსილისა მხედრობისათა, და სადაცა იგინი თანამდებ იქმნებიან წარსვლად, და მსახურებად მისის იმპერატორების დიდებულებისა, თვისისა ყოვლად მოწყალისა, და შთამამავლობით ხელმწიფისადმი უმწვერვალესითა ძალითა მსახურებისა თვისისათა, ეგრეთვე განუსწავლებელისაცა ჯარისაცა შესაძლო არს ოდესმე აღმსუბუქებისათვის რუსეთის საიმპერატოროსა მხედრობასა მოხმარება მარტოდ, განხილულ იქმნების საქმაოდ აღსრულებისათვის საქმისა და ეგრეთვე სამზღვართა ზედა მოსაბელეთა არა ძვირად შეხვედების თავდასხმა და ოხრება მტერთაგან სხვადასხვათა; და ამის დაყენებისათვის არა კეთილნებებულ იქმნებისცა, რათა მუნ უფროსად მყოფად დანიშნულსა ებრძანოს, რომელ ყოველთა მათ, რომელთაცა ძალუძსთ მსახურება საჭურველითა აიძულოსთ მათ, რათა იქონიონ იგინი, და ამით საკუთრად თვისთა დაცვათა თავს იყვნენ შემძლებელ მარადის მზაყოფად.

12

აწ ჩვენ ჩვენითა სუსტითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმონებრივესად წინ წარდგინებად ამისა, რომელ მყოფნი გლეხნი სხვადასხვა სამფლობელოსა ტყვედ წარყვანილნი, ანუ განშენებულნი სხვადასხვა მიზეზითა სპარსეთს, ანუ თუ თურქს, თვისავე მამულსა მოქცეულ არა სათნო იქმნებისა, რათა საკუთრითა მაღლისა მონარქობითისა მოწყალებისათა ებრძანოსთ სახალხოდ გამოცხადება ამისი საქართველოსა შინა, რომელ ყოველნი, რომელნიცა მოიქცევიან პირველსავე თვისსა სამკვიდრებელსა აქამდე განშორებულნი, იგინი დაშთენ თავისუფლად, და აღირჩიონ წადილისამებრ თავისისა საცხოვრებელი ადგილი, რომელსადმიცა ენებოს აღრიცხვა თავისა თვისისა სახელსა ზედა სახელმწიფოსა, ანუ სხვისა უფლებისა ქვეშე და რომელრცა მსგავსიერითა სურვილითა თვისითა, სადაცა იქმნების აღწერილ საცხოვრებელად იგინი მუნ სამარადისოდ დაშთებიან თვი-

ნიერ უცხოს ქვეყნის კაცთა, რომელთადმიცა თავისუფლად მყოფობა ესე არ შეხებისთ, რომელნიცა დაშთებიან პირველისამებრ თავისუფლად, მას ჟამამდის ყოველივე აღიწერებოდნენ, და ეს არა მიეხდებისთ ესე ვითარისა მოწყალებისათა, რომელ არცა ერთი მათგანი არ დაშთებიან, და ყოველივე კვალადცა მოსურნე იქმნებიან, რათა მოიწივნენ სამკვიდრებელსა შინა თვისსა, და მისგან ექმნების სამეფოსა მას არა მცირე სარგებლობა.

ესრეთვე ყოვლად ქვეშევრდომებით წინადადებულ ვყოფთ გლეხთათვის საქართველოსათა, რომელნიცა იმყოფებიან სამფლობელოსა შინა თვისსა მებატონეთასა, რომელთადმიცა გლეხნი იგი ძველადვე მუნებურითა სჯულითა ვერ განშორდებიან ესრეთ, რათა იგინი აიყარნენ, მისგან და მივიდნენ მეორისადმი. და ეგრეთვე მებატონენი იგინი ვერ მიიღებენ მათ, და ვჰგონებთ ესე იქმნების შემსგავსებული წესთადმი მაღალდიდებულისა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსათა, რათა ვითარცა აწ სამეფო საქართველოსი შეერთებულ იქმნება ამის იმპერიისათანა და ამისთვისცა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმდაბლესად თხოვნად ამისა, რომელ მიეცესთ ბრძანება უდიდებულესობისა, ვითარცა აღწერადმდე, ეგრეთვე შემდგომადცა იგი გლეხნი, და ვაჭარნი, რომელნიცა იჩვენებიან მიწერილად, რომლისადმი მებატონისად, ანუ თუ ქალაქისად, მუნვე-სამყოფსა შინა დარჩეს და ღაააყენოს, რათა მუნიდგან არა წარსულ იქმნას თვისისა სურვილისამებრ სხვისადმი და რათა არცა გადმოსახლებულად შემძლებელ იყვნენ რუსეთსა შინა, ესრეთვე მსგავსად ამისა დაყენებულ იქმნეს, რათა გლეხნი რუსეთისანიცა არა ვიდოდენ, და ესე დაეშალოსთ მათ აღთქმითა საშინელისა, და ფიცხელისა დასჯისათა.

ესრეთვე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინა ჩვეულება, რომელ მუნებურნი მებატონენი გლეხთათვის ჰყიდნენ ვინ როგორ რაოდენსაცა ინებებდა, და ამისთვის არ კეთილნებებულ იქმნებისა, რომელ ესე ვითარი მსყიდველობა აწ დაყენებულ იქმნეს და ებრძანოსთ, რათა განყიდონ არა სხვა გვარ, არამედ ერთბამად სახლეულობით, და უძრავით მამულით თვისით, უკეთუ აქვსთ მათ; და ეგრეთვე არ მიჰყიდონ თუ არ ქართველთა და დიდის რუსეთის მებატონეთა და ეგრეთვე ტყვენი ქართველთანი, რომელნიცა თურქთა, სპარსთა და სხვათაგან ერთა საჭურველითა სახელმწიფოსათა ბრძოლასა შინა გამოხსნილ იქმნებიან, მათდამი მოიქცნენ ესრეთ, ვითარცა ესე გვარსა შემთხვევასა შინა იქცეევიან რუსეთისა ტყვეთადმი, და რომელიცა ესე გვართაგან გამოხსნილ იქმნების ვისგანმე, და პირველი იგი მებატონე მისი ინებებს მისა თვისადმი კვალად მიღებასა, მაშინ იგი თანამდებ იქმნების, რათა უკუნ ზღოს დახარჯული იგი თეთ-

რი ცამოხსნასა ზედა, და ამის წინააღმდგომსა შემთხვევასა შინა სათანადო არს, რათა დაშთეს უფლებასა ქვეშე მისსა, რომელმანცა გამოიხსნა, და ექმნესცა ნება მისყიდვად ამისა სხვათადმი შინაგან სამეფოსა შინა, და არა მეზობელთა უცხო ქვეყნისა კაცთადმი.

13

ვითარცა მეფის ძეთა და ძის ძეთა მეფის ფამილიისათა, რომელიც მდგომარეობასა შინა თვისსა პირველისამებრ დაშთებიან ეგრეთვე თავადნი და აზნაურნი, ექმნესდ სარგებლობა ყოვლითა ამით პატივითა და ჩინებულებითა, რომლითაცა სარგებლობენ აზნაურნი რუსეთისა იმპერიისანი, და მიიღონ ეგე ვითარიცე სახელსა ზედა თვისსა ღრამატა დაბ ღირსებისათვის დიპლომი, და იმპერატორისა მსახურებასა შინა მიღებულსა ჩინისათვის პატენტი, ეგრეთვე სამღვდელოთა წესთაც მექონთა ეპარქიისა და მონასტერთა აქვნდეს იგივე პატივი, ვითარიღათაცა სარგებლობენ რუსეთისა სამღვდელონი ერნი.

14

ვაჭართა, მედუქნეთა და ხელოსანთა ერთა აქვნდეს იგივე სარგებლობა კომერციასა შინა, ესე იგი სრულსა ვაჭრობასა შინა, და შემატება მოძრავითა და უძრავითა საქონლითა თვისითა, თვით რაიცაღა აქვსთ სარგებლობა მით სხვათა ამათ იმპერიათა შინა მყოფთა; ხოლო ძველთაგან მოყვანილნი შეიწროებისაგან მტერთა მათ მეზობელთასა სიღარიბესა შინა, რომელთაცა არა მცირედი მიუღიეს, შეიწრება, მათგან მათ პირველსა შეხდომილებასა შორის აემსუბუქოს რომელსამე განწესებულებასა პირისპირ ზემოხსენებულისა მის რუსეთის მემკვიდრეთა.

15

ყოველივე სახელმწიფონი სათხოვარნი აწინდელნი ანუ თუ შემდგომნი, და ეგრეთვე სხვათა მებატონეთა გლეხთა გამოსაღებნი სხვადასხვანი სახელმწიფოდ თვინიერ რომელისამე საჭიროსა სახმარისა მხედრობათასა წარუდგენთ დიდსა მონარქობასა განხილულებასა, და ყოვლად მოწყალებისა მნებებელობასა ჩვენისა ხელმწიფისა იმპერატორისასა, რათა მიეცესთ თავისუფლება, რაოდენცა დრჯსა კეთილნებებულ იქმნებს, და ესრეთვე ებრძანოსთ მებატონეთა უძნებისამებრ ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა სჯულთა ზედა განიწესების რიცხვი

მათ მხედრობათა, რომელთაგანიცა შესაძლო არს, რათა განსწავლულთა აფიცართაგან, და რიადოვისაგანთა ისწავლონ სამხედრო ეგზერციცია, და დისციპლინი, გარნა ჩვენ კაღნიერ ვიქმნებით თხოვნად მისის იმპერატორების დიდებულებისაგან სახელსა ზედა ყოვლისა საქართველოსა ერთასა, რომელთაცა თვისის ნებით შთავრდომილ ჰყვეს თავი თვისი მონებასა მას, რათა ყოველად მოწყალებით თავისუფლად ეგნენ იგინი მსუბუქ გონებისამებრ მათის რეკრუტისა მოკრებისაგან და ეგრეთვე არა იხმარებოდენ იგინი მსახურებასა შინა ამას მხარესა აქეთ კავკასიისა მთისასა, ესე იგი შვეიცარიასა, პრუსიასა სამზღვართა ზედა, სადაცა დაუჩვეველის ჰაერის ძლით თვინიერ დიდისა შრომისა იგინი მსახურებისა განგრძობად არა შემძლებელ არიან, და იხმარებოდენ იგი მხედრობანი შეერთებით მათთანა, რომელნიცა იმყოფებოდენ საქართველოსა შინა რუსეთის პოლკთა თანა უდიდებულესისა მსახურებასა შინა მხარესა მას წინააღმდგომად ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა სამყრობელოთა, ესე იგი წინააღმდგომად ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა თათართა, სპარსთა და მთის ერთა და ეგრეთვე გამოზრდათათვის შინაგან სამეფოსა პიკეტთა და ყარაულთა და ეგრეთვე ყოველად უმონებრივესად კაღნიერ ვიქმნებით თხოვად ამისა, რომელ შემოსრულნი ამას ახლად მოკრებულსა მხედრობასა შინა თავადთა, და აზნაურთა ძენი ყოვლად მოწყალებით მიღებულ იქმნენ ობერ და უნდერ ოფიცრობის ჩინით და უკეთუ რომელიმე მეფის ფამილისაგანი მამაკაცისა ანუ დედათაგანისა, ძენი მასვე რიცხვსა შინა მსახურებისასა მოსურნე იქმნებიან შემოსვლად, და უიმოცა ჰყოფენ ამას. მაშინ იგინი ყოვლად მოწყალებით პატივისცემისათჳს გვართა მათთასა მიღებულ იქმნენ შტაბ-აფიცრობისა ჩინით, და მიღებისამებრ შტაბ-ობერ-უნდერ ოფიცარნი ქართველთაგანი, რომელნიცა მხედრობასა შინა იქმნებიან მსახურად, მათ მოემატებოდეს ჩინი განწესებისამებრ იმპერიისა ამის, ხოლო ჯარისკაცთა ყოველად მაღლისა მონარქობითისა მოწყალებისაგან დაენიშნოს, რაოდენიმე დრო მსახურებისა, რათა მათ კეთილჟამიერად იცოდნენ, რომელ მსახურონ რა 10 ანუ 15 წელსა მისის იმპერატორების დიდებულებასა წინააღმდგომად მტერთა რუსეთისა, და ქრისტიანობისა სახელისათა, ესე იგი პირისპირ სპარსთა, თურქთა, ლეკთა და სხვათა ესე ვითართა, შემდგომ შემძლებელ იქმნებიან, რათა მოიქცნენ სახლად თვისად, და წინაშე ერთ ქვეყნიერთა ერთა თვისთა თანა განადიდონ ქება მისის უმაღლესის დიდებულების მსახურებითა, ესე ვითარი მოწყალება აღავზნებს გულსა მათსა მბურვალებითა ერთგულებისათა, და აღავსებს მათ მონებრივისა ქვეშევრდომობითა ტახტისადმი ყოვლისა რუსეთისა, და ამით არა თუ მხოლოდ შემძლებელ

იქმნებიან ჟამისამებრ, რათა განამრავლონ რიცხვი კაცთა სამხედროთა, არამედ ესე დაადგინებს მათ მხიარულებით წარსვლად უკეთუ ებრძანების თვით ვიდრე სამზღვარამდე ინდიისა.

ხოლო უკეთუ მდგომარეობა საქმისა მოითხოვს, რომელ შემდგომად მოკრებისა საქართველოსა რეგულის ჯარისა, ანუ კვალადვე თუ შემდგომად დამშვირნეობასა კვალადცა შემოკრებისა რაოდენთამე ქართველთა განუსწავლელთა ჯართასა, მაშინ შესაძლო არს, რათა მუნ მყოფმან მეფემან აუწყოს ესე ხელმწიფისა მოადგილესა და სამღვდელოთა, რათა ემსგავსონ ამას შინა დიდისა მონარქიასა სიმდაბლით მოქცევასა, და სამზღვარ უდონ მოკრებასა მას თვისთაგან გამოსაღებთასა, და მუშაკობასა მსახურებისა მათისასა, რათა ამით მოწყალებითა მოყვანებულ იქმნენ იგინი სრულს გლეხკაცობისა მდგომარეობასა შინა.

16

ყოველთა სასამართლოთა პირველთა და უკანასკნელთა ადგილთა შინა გამგეთა და მოხელეთა ქართველთა, და რუსთა ღირსებისა და თანამდებობისამებრ მათისა განეწესოსთ შესაბამი ულუფა მუნ მოკრეფილისა სახელმწიფოსა შემოსავლისაგან, ხოლო ესრეთვე უმცირესთა მოხელეთაცა მიეცეს ულუფა მასვე შემოსავლისაგან განწესებულისა სამეფოსა მისგან და განსრულთა სახელოსა მისგან, და ნებით თვისით მუნ დაშთომილთა.

17

ვითარცა მრავალნი გვარნი კნიაზთა, და აზნაურთაგანი საქართველოსათა იმყოფებოდენ აქამდე მსახურებასა შინა კართა ზედა მეფისათა და სხვათაცა ადგილსა შინა სამეფოთასა, და აქვნდათ სხვა და სხვანი ადგილნი სამოხელონი, რომელთაცა სარგებლობენ თანამდებობითა პატივითა, და მსახურებდენ მეფესა და ქვეყანასა თვისსა გულსმოდგინებით და ერთგულობით, ამისთვის უკეთუ მათგანთა რომელთა აწ მოხუცებისა გამო წელთასა და ანუ სხვათარე მიზეზითა კვალადცა მსახურებასა შინა არა ინებონ შესვლა, არა კეთილნებებულ იქმნებისა, რათა პატივ ეცესთ პირველთა მათთა მსახურებათა, და მოხუცებულებასა, და რათა დაშთენ პირველსავე ძას პატივსა შინა, და მიეცესთ მათ პატივი თანადასწორად მათ თავადთა, და აზნაურთადმი, რომელნიცა დიდებულებისა მისის იმპერატორების მსახურებასა შინა იმყოფებიან.

მოყვანებისათვის მყოფთა მუნ უშიშოებისა მდგომარეობასა შინა, პირველ საქმედ ვრაცხავთ ამას, რათა მივიღოთ სახმარი გაბთხილება მეზობელთა მათ ჰარელთაგან, რომელნიცა შთამამავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს აწცა კახეთისა, გარნა მათ შეურაცხჰყვეს სჯული ქრისტიანობისა, და ემორჩილებიან მახმადის სჯულსა, და საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა; ესე ერნი არცალა მცირედ არიან საშიში და არც რიცხვითა არიან უმეტეს სამი ათასიდგან ვიდრე ოთხი ათასადმდე; გარნა ენება მათგან არს ესე პირველისამებრ, რომელ კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრებენ პირისპირ თვით კახეთისა სამფლობელოსა ქალაქისა ქისიყისა, და საშვალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა შინა გამოდიან ცხენიანნი და ქვევითნი, მარადის მდგომარეობენ ერთი მეორისაგან ქვევითისაგან ერთის დღის სავალსა და ადგილსა მას შინა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა არა რომელიმე მთა და ბორცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძიმითა ურმითა მსუბუქად შეიძლების სვლა. ესე ჰარელნი არა არიან ესრეთნი, რათა იყონ საშინელ საქართველოსათვის, არამედ წარმოდგომილ არიან შესავედრებელად, და სადგურად ყოველთა ლეკთა ავაზაკთა და თვით ომარხან ავარისისაცა ესრეთ, რომელ ოდესცა იგინი განიზრახვენ მორბევასა საქართველოსა მიწათასა, მაშინ მოიწვევიან ჰარელთადმი და მიიღებენ თვისადმი მოსყიდვით მათგან საგძალთა, და ყოველთავე სახმართა ნივთთა, და თვით მათცა თვისთან შეიერთებენ, და ამით განიმრავლებენ ჯართა თვისთა, და წარიყვანენ მათაგან გზისმცოდნთა, და ყველა უეზდთა *, რომელთაცა მახლობელად მოსახელეობითა უწყიან, სადა ანუ თუ რომელსაცა ადგილსა სცხოვრებენ ქართველნი გაუფრთხილებელად, და მოულოდებელად თავდასხმისა მის მტერთასა, და ესე არა უცნაურ არს, რომელ უკანასკნელი იგი შემოსვლა ომარხანისა საქართველოსა შინა ყო იმათზედ გამოვლით, და მხედრობაცა მათი იყო მასთან. ესე თვით მცირე სამყოფი ჰარელთა მოქმედებს უმეტეს ამასცა, რომელ შემწყნარებლობას ორგულთა ქართველთა სამართლით სასიკვდინოდ დასასჯელთა და სხვათაცა, და ეგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა, და აოხრებისათვის ოსმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველად მოიწვევიან ჰარელთადმი, და მუნიდგან სწორედ მიელენ ახალციხეს.

---

* ხელნაწ. „ყოლაუზთა“. რედ.

ხსნისათვის ამის სუსტისა და უპატიოსა ერისაგან ვითხოვთ ყოვლად მოწყალისაგან, რათა მოგვეცეს ნება ჩვენ, რომელ წარვიდეთ სამკვიდროსა შინა მათთა და ავყაროთ იგინი, და დავჭყოთ სხვადასხვათა შინა ადგილთა საქართველოსა მოსახელეთა შორის, დარწმუნებულჰყოფთ, რომელ შეერთებით ერთად უძლეველთა იმისის იმპერატორების მხედრობათა თანა ამას აღვასრულებთ მსუბუქად დროსა ზამთრისასა, და ადგილთა მათთა დავასახლებთ ქრისტიანეთა ნებით თვისით მოსურნეთა, რომელთაგანიცა თვინიერ იქვისა მოიპოვების მრავალნი მოსურნენი, ამის მიზეზისათვის, რომელ ადგილი იგი არს ნაყოფიერი, სადაცა მოდის პური მრავალ გვარი და უმჯობესნი სხვათაგან, და ბრინჯი, და ესრეთვე ხილი, და აბრეშუმის ხე, რომლისაგანცა ხელოსანნი საკმაონნი რიცხვით აკეთებენ აბრეშუმსა, და ესეცა შესაძლო არს, რათა თვით მათ ჰარელთა აღვირესხათ და დაწყნარებულ იქმნენ, გარნა ვინაიდგან დიდი ხნიდგან შთაცევიდენ მახმადისა სჯულსა შინა, ამისთვის ვრაცხთ უმჯობეს, ვითარცა ზემო ვსთქვით, რათა განიყვნენ სხვადასხვათა შინა ადგილთა, რომელ ვნება რაიმე მათგან ყოფად შეუძლო იყოს, არა არს იქვე ამას შინა, რომელ, ოდესცა მიიწევის მათდამი ზამთარისა დროსა შინა რუსეთისა და საქართველოსა მხედრობა, რაოდენიც წარიელინების კეთილგანჯისამებრ, მაშინ იგი ყოველიე და თვით უპირატესნიცა მათნი არა დაუტევებენ ამას, რომელ არა ჰყონ აღთქმა ფიცისა ამისთვის, რომელ იქმნენ იგინი მონად ქართველთა უკეთუ მხოლოდ მიეცესთ მათ ნება, რათა დაშთენ იგინი ადგილთა შინა თვისთა. გარნა ესე პირობა, რომელიცა არა ერთგზის მათგან ქმნილ არს, არამედ დიახ მცირედ აღუსრულებიათ, და უფროსღა ყოველთათვის გარდახდომილან რჩევისადმებრ ზემო თქმულთა მეზობელთასა, თურქთა და სხვათასა და ამისთვის ვითარცა არა მისანდობელთა არს საჭირო, რათა გამოყვანილ იქმნენ და დაესახლენ სხვადასხვასა შინა ადგილსა; ხოლო რომელნიმე უმეტესნი მათ ერთა კეთილნებებულ იქმნეს წარმოგზავნად უმაღლესისა კარისადმი, ესრეთ რომელ გამოვლონ მათ მოზდოკსა და ყიზლარსა ზედა, და განიხილონ მდებარენი იგი ადგილნი, და უკეთუ მოეწონოსთ მათ იგი ერი თვისით დასახლდენ მუნ, და ამასზედა უკეთუ თანახმა იქმნებიან იგინი, ჩვენ ვითარცა მონანი იმისის იმპერატორების დიდებულებისანი ნოტსა ამას ვჰყოფთ მოხსენებასა, რომელ შემძლებელ იქმნებიან ფრიად მცირესა ჟამს, რათა ჰქმნა კეთილი, ზაოდი აბრეშუმისა, ვინადგან ჩვენ რომელ ერი ესე ამის საქმისადმი უფროსღა გამოსადეგი არიან ვიდრეღა სხვანი.

ხოლო ჩვენ, ვითარცა ახლად შემოსრულნი დიდისა იმისის იმპერატორებითის დიდებულის მონებასა შინა, შესაძლო არს, რომელ უცნობელობითა რუსეთისა განწესებულებისა და ჩვეულებისათა საკუთრად ქვეშევრდომობითა ჩვენით ვსთქვათ რაიმე ნამეტნავი და უშესაბამო ამას ყოვლად უმონებრივესად ვითხოვთ შთამამავლობით ჩვენისა დიდისა ჴელმწიფისა იმპერატორისაგან, რათა მოგვეტეოს ჩვენ მისთა სარწმუნოთა მონათა, რომელნიცა შემოსრულნი აღსრულებასა შინა ყოვლად მოწყალებით აღთქმულისა მმართველობისა უდიდებულესისა სჯულთა ყოვლითთურთ ვრაცხთ საქმედ, რათა ვაჩვენოთ მოსწრაფება ჩვენი თვით საქმით. ხოლო პირველსა ამას შეხდომილებასა შინა არავისგან არს შესაძლო ყოველივე განრჩევით გამოცხადებად, და უფროსლა ჩვენგან თქმად, თუ ვითარ არს სარგებლობა სახელმწიფოსა, და ესე გვარივე ყოველთათვის სახმართა სამეფოსა საქართველოსათა აწ ქვეშე კურთხეულისა იმისის იმპერატორების დიდებულების მპყრობელობისა შეერთებული იმპერიისათანა ყოვლისა რუსეთისა. ხოლო ოდეს მივიწევით ადგილთა მათ მისის დიდებულების კარისაგან წარმოგზავნილითურთ, მაშინ უცილებელად ნაკლულევანებათა ჩვენთაგან მოხსენებულთასა შევასრულებთ, დაშთომილსა მუნ ნამეს̃ნიკისა ანუ მეფისათა რუსეთისა უფროსად მყოფისადმი არა დაუტევებთ ყოველთა მათ ნაკლულევანებათა; ვინადგან მყოფნი ადგილთა მათ შინა უფროს სუბუქად შესაძლო არს დანიშვნად მისიცა რაიეცა იქმნების ნაკლულევანება, და სხვებრ ვითხოვთ, რათა ყოველივე ესე ღირს იქმნეს მაღლისა მონარქობითისა მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან კეთილგანხილვასა"[27].

ესეთი იყო დაწყობილება ქვეყანისა სურვილისამებრ თვით მეფისა. მეფის ძეთა დავით და იოანე განიხილეს და დაამტკიცეს წესდებანი ესენი. თავადთა, ვითარცა თანამზრახველთა მეფისა (უიმათოთ არა რასა საქმესა საქვეყნოსა არა იჯერდენ მეფენი, რეცა ფედერატთა მთავარნი), მიიღეს და დაინახეს კეთილად მფარველობა რუსეთისა, კანონთა ზედა ამათ დაფუძნებული. მხოლოდ მეფისა ირაკლისა ძენი იულონ, ვახტანგ, ანუ იგივე ალმასხან, მირიან და ფარნაოზ, — მრისხანებდენ მათთვის, ვითარცა დასაღუპავთათვის ქვეყანისა. მეფის ძე ალექსანდრე ადრევე იყო ლტოლვილი სპარსეთსა და მუნით ექადოდა, სპარსთა ძალითა, კანონთა მათ დარღვევასა.

---

[27] ნოტანი ესენი, ელეაზარ ფალავანდიშვილის ნაწერნი, აქვნან დღეს უგანათლებულესსა კნიაზსა ირაკლის, მეფის ძის ალექსანდრეს ძესა.

პირი ესრეთისა წესდებისა წარუვლინეს იმერეთისა მეფესა და მთავართა, კათოლიკოსსა ანტონის და რავდენთამე მღვდელმთავართა. ამათ ესე ვერ მიიღეს სიამოვნით, თუმცა პასუხი ქაღალდითი არ აცნობეს, გარნა მოესმათ მაშინვე სიტყვით უსაფუძვლობა საქმისა. ვიეთნიმე იტყოდენ — „ქართველნი სტყუვდებიანო“; ვიეთნიმე — „ერთმანეთსა ღალატობენო“ და სხვანი იტყოდენ: „ვითარცა წყალწაღებულნი ხავსსა ეჰიდებიანო“.

ძმათა მეფისა, აცნობეს ესე ქსნისა, არაგვისა და კახეთისა მცხოვრებთა. განთესეს ყოველგან ჰაზრი ესე, რომელ დასაღუპავად მეფისა ირაკლისა ოჯახისაო, ჰქმნეს ესეო; განსყიდეს ვითარცა გაცემულთა, ქვეყანაო და მეფობაო და მოელიანო სასყიდელსა განსყიდულისასაო; — სახარებისა სიტყვიდან იტყოდენ ესრეთ მტერნი მეფისა გიორგისა და მოხელეთა მისთა მდივანთა და დესპანთა!

LXX

მოვიდეთ პირველისადმი საგნისა:

სცნო პეტერბურღსა იმპერატორმან პავლე აღსლვა საქართველოჲსა ტახტსა ზედა მეფისა გიორგისა. გარსევან ჭავჭავაძემან აუწყა მინისტრსა, რომელ გვირგვინი სამეფო, ბოძებული იმპერატრიცისა ეკატირინა მეორისაგან ირაკლისადმი, დაიკარგა თფილისისა გაოხრებისა დროსა სპარსთაგან. მაშინ ბრძანა იმპერატორმან პავლე უქმნან სხვა გვირგვინი და წარმოუვლინეს კოვალენსკისა[28] ხელითა და თვით ჭავჭავაძისა თან მოსელითა თფილისს საჴეფონი ნიშანნი. აჰა წერილიცა ვიკტორ კოჩუბეისა მეფისადმი 22 აპრილს 1799 წელსა წამოგზავნილი:

„უგანათლებულესო მეფეო

ჩემო პატივის-საცემო კეთილმოსურნეო!

განსაკუთრებითითა სიამოვნითა ვჰგზავნი უმაღლესობისადმი თქვენისა, ყოვლად უმაღლესსა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა, ჩემისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა გრამატასა სხვათა თანა

[28] ესე კოვალენსკი 1803 წელსა კნიაზმან ციციანოვმან დიდისა შეურაცხებითა განდევნა თფილისიდამ რუსეთად.

ინვენსტიტურისა ნიშნებითა დასამყარებელად თქვენისა ტახტსა ზედა სამეფოსა და შემდეგ თქვენსა უგანათლებულესისა მემკვიდრისა თქვენისა. ნიშანნი ესენი მოერთმევათ უმაღლესობასა თქვენსა დანიშნულისა კარსა ზედა თქვენსა მინისტრისა მიერ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა უფლისა სტატსკის სოვეტნიკის კოვალენსკისა, რომლისა დასწრებითა აღსრულდება ყოველივე სიწმინდით წესდება მეფობასა ზედა დამტკიცებისა. მასთანავე ერთად მომგზავრობს სრულისა უფლებისა მეჭონი მინისტრი თქვენი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, რომელმანცა ისურვა, რათა იქმნეს თანაზიარი ესრეთისა მხიარულებითისა თქვენთვის შემთხვევისა. ამასთან მოვალეობად ჩემდა მივიღებ, წერილთა გამო თქვენთა მისის უგანათლებულებისადმი განსვენებულისა კანცლერისა კნიაზის ბეზბოროდკისადმი, მოგვერთვათ პასუხი, რომელ ყოველთა თხოვათა თქვენთა ზედა სიკვდილადმდე თვისისა გამოითხოვა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა კეთილნებობა. ამათ გამო ვაცნობეცა ნოტა მინისტრსა თქვენსა და მე არღა ვრაცხ საჭიროდ განვამეორო. გულის სიწრფელითა მოგილოცავ თქვენო უმაღლესობავ, მიღებისა გამო მათ, მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალებისა ხელმწიფისა მოწყალებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალებისა ხელმწიფისა, მოწყალებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა თქვენდამი განწყობილებისა გამო შემდეგცა არა მოკლებით მოწყალებათა. დასამტკიცებელად ამისა საჭიროდ ვხედავ მოვახსენო უმაღლესობასა თქვენსა, რომელ ყოვლად ქვეშევრდომობითითა ჰაზრისა თქვენისა წარმოდგენითა, რათა არღა განაგრძობ-, დეთ შემდეგთა დროთათვის თქვენ მიერსა პირად მიწერ-მოწერათა შესამზღვრეთა მეზობელთა ზედა დადგინებულთა მოხელეთადმი, მისი იმპერატორებითი დიდებულება მოანდობს თქვენსა ნებასა, უფრორე ამისთვის, რომელ ყოველნიეე მიწერ-მოწერანი თქვენი შეიძლება იქმნებოდეს მინისტრისა მიერ მისის დიდებულებისა, რომელიცა იმყოფება თქვენთან. — უკანასკნელ სურვილითა ვმოწმობ საუწყებელად თქვენისა უმაღლესობისა, რომელ დესპანი თქვენი კნიაზი გარსევან ჭავჭავაძე ყოველსავე დროსა ყოფნისა მისისა აქა, იქცეოდა სახითა მით, რომლისათვისცა მისის იმპერატორისა დიდებულებისა იქმნა

ლირსი პატივისცემისა. ამასთან დამმატებელი სიისა, ნიეთთა წარმოვლენილთა მისისა იმპერატორებითისა დიდებულებისა ბრძანებითა,— ვჰგიე უმაღლესობისა თქვენისა მარადის კეთილმოსურნე და მზა მსახურებისა,

ღრაფი ვიკტორ კოჩუბეი[29]

ს.-პეტერბურღით,
აპრილსა 22 დღესა.
1799 წელსა.

აგვისტოსა 10-ს, 1799 წელსა, შემოვიდნენ თფილისსა კოვალენსკი და თვით გარსევან ჭავჭავაძე; წარდგნენ წინაშე მეფისა, მიულოცეს წყალობაები და დანიშნეს დღე დაფიცებისა და წყალობითა გამოცხადებისა 1 დეკემბერი. სასახლიდამ ანჩის-ხატისა ეკკლესიადმდე იყო დადგენილი ჯარი ორპირად და შუა მათსა განვლეს მეფემან, დედოფალმან და ყოველთა. ღენერალი ლაზარევი განაგებდა ჯარსა. კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი იუსტინე, არსენი თფილელი, იოანე ბოდბელი, სტეფანე რუსთველი იყვნენ ერთსა დღესა ანჩის-ხატის ეკკლესიასა შინა მწირველნი. აქა დაესწრენ ყოველნივე კარისკაცნი, სარდალნი და მოხელენი, თვით დედოფალი მარიამ, მეფის სახლისა ძენი, რძალნი და ასულნი, რომელნიცა, გარდა დედოფლისა დარეჯანისა, იმყოფებოდენ თფილისსა. თვით მეფე გიორგი და დედოფალი მარიამ თხოვითა კოვალენსკისა წარდგენ წინაშე საწიგნისა, წარიკითხეს ფიცითი აღთქმა რუსეთისა იმპერატორისა ერთგულებასა ზედა, მოაწერეს ხელი, მაშინ კათოლიკოსმან ანტონი დაადგა მეფესა გვირგვინი, გარდაიკიდა თვით მეფემან ლენტი წმინდისა ანდრიისა, იპყრა ხელსა სკიპტრა, შემოირტყა ხმალი, გარემოიდვა პორფირი გორნოსტაისა და დასჯდა ტახტსა მორთულსა. თვით დედოფალმან დაიკიდა ორდენი პირველისა ხარისხისა ეკატერინასი და ვარსკვლავი ორდენისა ამის; ჩაიცვა კაბა ძვირფასი გორნოსტაითა გარემოდებული, დაიდგა ფავსა ჯიღა გვირგვინისა ძვირფასი. მასვე დროსა მემკვიდრემან დავით მიიღო 1-ლი ხარისხი ანნას ორდენისა.

---

[29] აჰა პირი წერილისა ამის რუსულად, რომლისაცა ნამდვილი აქვს დღეს ჰრაკლი მეფის ძის ალექსანდრეს ძეს:

. . . . . .

[ხელნაწერში ამ შენიშვნას მისდევს პ. იოსელიანის წარწერა: „აქ ადგილი დასტოვე დასაწერად". მთელი ერთი გვერდი შეუვსებელია: — წერილის პირი არაა მოყვანილი. რ ე დ.]

ოდეს არქიდიაკონმან დომენტი და მგალობელთა იწყეს ხელ-მწიფე იმპერატორისა და მეფისა გიორგისა მრავალჟამიერისა გალობა, მაშინ იქმნა ნარიყალიდამ სროლა ზარბაზანთა. ესრეთ დამტკიცებული რუსეთისაგან მეფედ საქართველოჲსა მეფე გიორგი, და მემკვიდრე დავით წარვიდენ სასახლესა ქვევითად; ეკკლესიიდამ სასახლედმდე ორპირად იდგა ჯარი რუსისა და იკვროდა მუზიკა. მცხოვრებნი თფილისისა უძღოდენ ზურნითა, დაფითა და საყვირითა. ყოველნივე ეხაროდენ მეფესა განმხიარულებულსა რუსთა ძალითა. მეფე ქრისტიანე აღიდებდა მეფესა ერთ მორწმუნესა, მართლმადიდებლობისა მისაყრდნობელსა. „აწ განისვენა გულმან ჩემმან,—უბრძანა მეფემან ევთიმის მოძღვარსა თვისსა, — მივის მცველად მეფობისა, იმპერატორი მართლმადიდებელიო“. მისრულთა სასახლესა, ულოცვიდენ სარდალნი და მოხელენი. ტრიფილემან მწიგნობარმან წარსთქვა იამბიკო ქებითი [30]. ხელ-ჯოხიანმან თავადმან გიორგი ერისთოვმან მოახსენა სიტყვაჲ ქებითი [31]. მეფემან გიორგიმ უბოძა თვითოს სალდათსა ორი აბაზი და მასვე დღესა თვითვე უბოძა სადილად, მარხვისა დღეთა გამო, ერთი ურემი დოში და ზურგიელი და ერთი ურემი ღვინო; ათი კოდი სისირი და მრავლად წნილი კომბოსტოსი.

მეორესა დღესა მინისტრმან რუსეთისა კოვალენსკიმ მოითხოვა, რათა ფიცითსა აღთქმასა ზედა მოაწერონ ხელი სარდალთა და კარისკაცთა, კათოლიკოსმან და მღვდელთმთავართა. ჰქმნეს ესე ყოველთა თანახმად მეფისა ბრძანებისა, ჯერეთ 26 ნოემბერსა ამავე წელსა. შესული თფილისს ჯარი რუსისა და ღენარალი ლაზარევი იყვნენ მცველად მეფისა და სატახტოჲსა ქალაქისა. ვჰგონებ ამავე დროსა იმპერატორმან პაველე უბოძა კათოლიკოსსა ანტონის თეთრი ბარტყულა ანუ კუნკულა შემკული ძვირფასად სერაბიმ-ქერუბინებითა.

---

[30] ტ რ ი ფ ი ლ ე, დიდი მწიგნობარი, გარდამწერავი მრავალთა წიგნთა, მეგობარი გერასიმე ლოდბარისა, რომელიცა ანიშნავს „სრული მგალობელი“; მოკვდა 1808 წელსა და დაასაფლავა დომენტიმ ნათლისმცემლისა მონასტერსა.

თვით გ ე რ ა ს ი მ ე იყო გურული, გვარით ანთაძე. ამან და ძმამან მისმან ოთარ და შვილმან მისმან გიორგი, შემოიტანეს ფმერული ეკკლესიური გალობა საქართველოს; ესენი მეფემან ირაკლი მოიხმო თფილისად და კათოლიკოსმან ანტონი პირველმან უბოძა მათ მამული სოფელსა აღაიანში და ესრეთ დაასახლა იგინი აქა. გერასიმე გარდაიცვალა 1805 წელსა.

[31] ესე სიტყვა ქართულად ვერ დაიბეჭდა თვისსა დროსა და მე ვსთარგმნე რუსულად და დავბეჭდე 1846 წელსა (Закавк. Вестник № 1 за 1846 год, რომლისაცა რედაქტორად ვიყავ მე). ესევე] დავბეჭდე მეორედ იკორთისა მონასტრისა აღწერაში, დაბეჭდილსა ცალკე წიგნად: Описание Икортскаго в карталинск. монастыря, Тифлис, 1865 год, და ჟურნალში: ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ჲ ს ა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი, წელიწადი 18... თვე...

LXXI

მტერნი მიჩუმდნენ და იდუმალ დრტვინვიდენ; მაშინ გაიქცა ალექსანდრე მეორედ სპარსეთსა და ეახლა ყარაბაღს ბაბა-ხანისა შვილსა აბაზ მირზას და სარდარსა მისსა სულეიმანს. აქა იდგა ჯარი სპარსეთისა და ერევნის ხანისა მაჰმად-ხანისა, დასაპყრობად საქართველოჲსა. მეფემან აცნობა ესე რუსეთსა და ესე იყო მიზეზი, რომელ მოვიდა თფილისს სხვაცა პოლკი რუსეთისა, რომელსაცა განაგებდა ღენერალი გულიაკოვი. ხოლო თავად და განმგედ ყოველთავე საქმეთა, შემდგომად მეფისა განმხნეებულისა რუსთა ჯარისა მასთან ყოფნითა, ნაცელად მოწოდებულისა რუსეთად კოვალენსკისა, იყო ღენერალი ლაზარევი.

სპარსთა, დროთა ამათ, აღრეულთა თვისსა ქვეყანასა შინა, ვერ იგდეს დრო საქართველოდ შემოსვლისა, და რუსთა განდევნისა, ბაბა-ხანი განმზადებული ჯარებითა უკუ-იქცა ხოით და ნახჩევნით, რათა სძლიოს მეამბოხესა ძმასა თვისსა ჰუსეინსა, გაყაენებულსა ქვემო სპარსეთსა. ესრეთ უკუქცეულმან შეიპყრა ძმა თვისი, დასთხარა მას თვალნი და საქართველოსა მიეცა დრო განმტკიცებისა რუსთა ჯარისა მფარველობითა.

LXXII

ამასვე დროსა მოვიდა იბრაიმ ბეგი ახალციხის ფაშისაგან გამოგზავნილი თხოვითა, რათა მეფე შეჴიდეს ხონთქარის სელიმის მფარველობასა და აღუთქმიდა ახალციხისა და სრულიად სამცხისაცა შეერთებასა სამეფოჲსათანა მეფისა, ვითარცა იყო ძველად. მეფემან იწყინა და უბრძანა სრულიად იუარი. რუსთათვის გზისა გასაკეთებლად დარიალიდამ იყვნენ გაგზავნილნი შანშე ერისთვისშვილი, გლახა ბაბანაშვილი და ნაცვალი ქალაქისა მიკირტუმა სურგუნაშვილი. მაშინ ჩერქეზიშვილმან დავით, კაცმან სიტყვამარჯვემან და ახალციხისა ფაშისა მახლობელმან, მოახსენა მეფეს: ბატონო მეფევ და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა? — „დახშვა კარისა ამის, — უბრძანა მეფე-

მან, — იქმნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა; ამისთვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქმნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ".

LXXIII

რუსეთისა ჯარსა მოუძღვა ღენერალ-მაიორი ლაზარევი სახელით ივან პეტროვიჩი. ოდეს იხილა მან მინისტრი რუსეთისა კოვალენსკი დაახლოვებულად მეფისა, შესწუხდა შურითა და არ აღასრულებდა არა რომელსამე მისსა ბრძანებასა და არცა თვით მეფისა სურვილსა. სულგრძელებითა სავსე მეფე მეცადინებდა ჰქმნას ყოველივე სათნოდ მისა: უგზავნიდა საჩუქართა მას და დედოფალიცა მარიამ ყმაწვილსა 20 წლისა ცოლსა მისსა ქსენია სტეფანოვნას და ორსულსა. მეფის ასულნი მივიდოდნენ სანახავად და დროჰსა გასატარებელად მისისა ცოლისა, და ესე გულგრილად მოექცეოდა მათ. 24 ნოემბერსა ეყოლა ცოლსა ქალი. მეფემან თვით ინება ექმნას მას მიმქმელად. უბრძანა განუცხადონ სურვილი ესე მეფისა თვით ლაზარევსა და ცოლსა მისსა. გარნა ცოლი მისი 1 დეკემბერსა გარდაიცვალა და ქალსა ახალშობილსა ექმნა მიმქმელად არა მეფე, არამედ დედოფალი მარიამ და უწოდეს სახელად ალექსანდრა, რომელიცა საუბედუროდ მამისა, ხასიათით დაუწყნარებელისა, მოკვდა 7 დეკემბერს.

მრავლად მეცადინებდა მეფე მისსა პატივისცემასა. ბრძანა დაასაფლავონ გვამი ცოლისა და ქალისა მისისა სიონისა ეკკლესიასა; აღასრულონ ყოველივე სათხოვარი მისი მსწრაფლ და დაუყოვნებლივ. რაოდენცა მეფე მეცადინებდა მისსა დაკმაებასა, ეგოდენ ღენარალი უჩვენებდა უსიამოვნებასა მეფესა და მხლებელთა მისთა. გამოიყვანა მოთმინებიდამ მხლებელნი მეფისა დარჩია მელიქი, სულხან თუმანიშვილი, ქალაქის მოურავი და თვით მინისტრი კოვალენსკი. ვერ ააჩქარა ვერავინ სულგრძელი მეფე გიორგი.

მეფესა უნებდა წარვლენა რუსისა ჯარიდამ 400 კაცისა გორსა, დასასუსტებელად მუნ მეფის ძისა იულონის განძლიერებულისა. ურჩებამან ლაზარევისა ვერ მოიყვანა აღსრულებასა ესრეთი ჰაზრი მეფისა დასამშვიდებელად აღრეულებისა. უნებდა მეფესა ჩამორთმევა საუფლისწულოებისა, რომლითაცა იყო დაგლეჯილი სამეფო.

თვით სალდათნი ჯარისა სწუხდენ ღენერლისა თვისისა უგვანობასა და სიფიცხლესა და რადგანცა ექცეოდენ სალდათნი, ამისთვის

გამოსცა მეფემან ბრძანება ფიცხელი, ყოველგან შეუკრან გზა გაქცეულთა სალდათთა.

მემარხულე მეფე ურმობითა უგზავნიდა ჯარსა მართმადიდებელსა დოშსა, ზურგიელსა და ღვინოსა; ლაზარევი ყოველსავე იწუნებდა. მხოლოდ მეფე ყოველსავე მოითმენდა და უბრძანებდა: „არა რაჲ აწყენონ გულფიცხელსა, გარნა საჭიროსა ღენერალსა: არამც წყენითა მის‌ითა, ვაწყენინოთ ლინიაზედ კნორრინგსა და ამისით თვით უმაღლესსა იმპერატორისა კარსა“. — მომდურავ‌სა ღენერალსა მიუჩინა შვილი თვისი მეფის ძე იოანე, და ვერცა ამან დაამშვიდა ამბოხი და შეშფოთე და მოუსვენებელი გული მისი.

ესოდენი აქვნდა სულგძელება მეფესა, რომელ არ მიხედა ლაზარევისა აღშფოთებასა და თვით დაესწრო ცოლისა მისისა დასაფლავებაზედ, თვით სიონის ეკკლესიასა შინა და უბრძანა სასახლის კაცთაცა პატივისცენ და ნუგეშად მისსა მივიდნენ და დაესწრნენ მუნ. დღისა ამ‌ისთვისცა კვალად უბოძა სალდათთა მისისა ჯარისა თევზითა და პურითა ხორაგი მარხვისა დღეთა გამო დეკემბრისა თთვეში. — მეფისა თხოვითა თვით კათოლიკოსმან ანტონი აუგო ანდერძი გარდაცვალებულსა ცოლსა მისსა ქსენიას. ვერცა ამით, ვერცა მრავალგვარითა ალერსითა, ვერ მოიგო მეფემან გული გაწფიცხებულისა ლაზარევისა.

ესე მისი გულფიცხელობა იყო მიზეზი, რომელ 1803 წელსა, მოიკლა უბედურად ღენერალი ესე დედოფლისა მარიამისა მხლებელისა ნიკოლოზ ხიმშიაშვილისაგან.

ეს ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისაგან, რომელსაცა მიაწერეს ესე, და არც ჯიბრაილისაგან. დროსა მას, როდესაც ლაზარევმან კ. ციციანოვისა ბრძანებითა შემოარტყა ჯარი დედოფლისა სასახლესა და შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა, იყო დილა და 8 საათი დილისა, დედოფალმან მოსთხოვა დრო და მოთმინება: „შვილებსა წვრილებსა სძინავთო“. ლაზარევმან ესე თხოვა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა: „ეხლავ გამოდითო! ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდხანსაო“. მაშინ, მუნ მყოფთმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორის ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდამ და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელსა.

შეესივნენ ჯარისა კაცნი და გამოიტანეს მოკლულისა ღენერლისა გვამი. თვით დედოფალი დასჩრა ხმლითა მკლავში სომეხთან... კაჭკაჭაშვილთან, პოლიციის კვარტალნიმან. ჩასვეს ტრახტრევანსა იგი

და შვილი მისი მეფის ძე ხუთის წლისა ირაკლი და წარიყვანეს რუსეთად, და დაასადგურეს ბელგოროდს.

მოკვლა ლაზარევისა ხიმშიაშვილისაგან ცნობილი სხვათაგანცა მრავალდა, თვით მიამბო დედოფალმან მარიამ.

LXXIV

1797 წელსა გაჩნდა ჰირი თფილისისა ქალაქსა. მცხოვრებნი გაიხიზნენ და მოედენენ სოფლებსა. განსრულთა სოფლებად, განთესეს მომსვრელი სენი ქართლსა და კახეთსა. მეფე ირაკლი, დედოფალი დარეჯან წარვიდენ კახეთსა; მეფის ძე გიორგი და მეფის რძალნი განვიდენ ავჭალასა და შეჰკრეს იგი ყოვლისა მხრით. ესე დრო იყო სეკდემბრის თთვისა და განსრულთა ქალაქიდამ მცხოვრებთა ადვილათ ჰპოვეს ბინა ტყეთა შინა, მთის ძირთა და ხეობებთა ახლოს თფილისისა. დიდი იყო დროთა ამათ ტყება და ვაება დიდთა და მცირეთა, ობოლთა და ქვრივთა, მონასტერნი და უდაბნონი, რომელთაცა წინა უძღოდა ევთიმი მოძღვარი მეფისა [32] მოეშველნენ განბნე-

---

[32] ე ვ თ ი მ ი, შემდგომად სერაპიონისა წინამძღვარი ნათლისმცემლისა მონასტრისა, გვარით მჭედელაშვილი, ყმა თავადის გარსევან ჭავჭავაძისა, ანუ მისის მამის სულხანისა, წინანდლისა სოფლიდამ. შევიდა ბერობასა მეფისა ირაკლისა დროსავე და იყო საყვარელი თვით ირაკლისა მეფისა; გარდაიცვალა შემდგომად მეფისა გიორგისა. ევთიმი იყო დიდი მოღვაწე მეუდაბნოე, სიწმინდითა სავსე. გამოსრული მონასტრით მისასვლელად ხაშმისა სოფელსა, წარიტაცეს ლეკთა ტყედ. მასთანავე წარიყვანეს სხვაცა ბერი ამფილოქე. ესე ამფილოქე ტანით მაღალი, გრძელწვერი და მხნე სხეულითა, ლეკთა მიიღეს პატივითა: ჰგონებდენ მას თავად მონასტერისა და ძვირფასად საჯონებელად. ამისთვის შესვეს იგი ცხენსა და პატივითა მიჰყვანდათ, ევთიმი ტანით მცირედი, არა სახიერი და სუსტი, მიჰყვანდათ ქვეითად და იტყოდენ მისთვის უპატიოდ: მაგისთვის რას მოგვცემენ? შემდგომად ერთისა თთვისა სცნეს ლეკთა, რომელ ევთიმის გამოსახსნელად წარუვლინა მეფემან გიორგი ოცდაათი თუმანი და მეორისა ბერისათვის ოთხი თუმანი. ლეკთა მოიხადეს ბოდიში და ესრეთ პატივით მოიყვანეს თვისსა უდაბნოსა.

შემდგომად ევთიმისა იქმნა წინამძღვრად დომენტი შანშეს შვილი, გვარით დავითისშვილი-ბაგრატიონი. იყო არქიდიაკონად კათოლიკოსისა, ოდეს მეფემან გიორგი მიიღო სამეფო რეგალია.

წინათ ამისსა და ამის დროსაცა, ბატყვის დღესაც ცოცხალი ნათლისმცემლის წინამძღვარად ყოფილი არქიმანდრიტი იოანე ჯორჯაძე (78 წლისა) იყოო ნათლისმცემლისა უდაბნოში 8 გადამდგარი არქიმანდრიტი, 18 მღვდელ-მონაზონი, 6 არქიდიაკონი და 30 ჩსახურნი და მორჩილნიო.

თვით დავით გარესჯისა მონასტერში, რომელსაცა ეწოდებოდა ლავრა, იყვენნო 1799 წელსა 3 გადამდგარი მოხუცებისა გამო ეპისკოპოსნი: დანიილ მანგლელი, ტიმოთე ნეკრესელი და ვონიფანტე მოქველი იმერელი; 6 არქიმანდრიტნი;

ულთა პურითა და ღვინითა, საჭმელითა და საჭონლითა. მეუდაბნოეთა ხელნი გარდაიჭცნენ ხელად ღვთისა და განგებულებისა მისისა. მეუდაბნოენი და მემხოლოენი, შთამოსრულნი მთათაგან თვისთა უყაყთა, გამოსრულნი კლდეთა ნაპრალთაგან, ვითარცა მერცხალნი ბუდეთაგან თვისთა, ექმნებოდენ მსახურად და ნუგეშინისმცემელად ლტოლვილთა სახლთაგან თვისთა, ვითარცა ანგელოსნი მფარველნი, ეჩვენებოდენ იგინი მათ, მოვლენილად ღვთისაგან. ლოცვა და ვედრება მათი, განწმედდა ქრისტიანეთა გონებასა და განამხნევებდა მას, რათა უძლოს განსაცდელსა. ესე მიამბო დედამან ჩემმან, ლტოლვილმან სახლობითა დროთა ამათ კახეთად; სადაცა მიმართეს საფარველსა მეფის ასულისა ბარბარესა მეუღლისა კახთა თავადისა სვიმონ ანდრონიკაშვილისა სოფელსა ვეჯინსა, კაცისა გარდამატებულად მდიდარისა ყმითა და მამულითა, მებატონისა 400 კომლისა კაცისა.

---

23 მღვდელ-მონაზონნი; 14 არქიდიაკონნი და 60-მდინ მსახურნი. წმინდის დოდოს უდაბნო, თუმცა იყო დროსა ამას ცარიელი, გარნა წირვა-ლოცვა იყო ხოლმე სიახლოისა გამო გარესჯისა ლავრასთან. 1811 დასუსტდა გარესჯა, თუმცა მოღვაწენი ღირსნი არ აკლდა და არცა მწიგნობარნი. აჰა ერთი წერილთაგანი, რომლისაცა ნამდვილი მე მაქვს, მოწერილი მეზკვიდრისა მეუღლისა ელენესთან.

„უგანათლებულესსა საქართველოს მეფის ძალს

უმოწყალესსა ხელმწიფასა,

მდაბლად თაყვანისმცემელნი და მმადლობელნი და მლოცველნი ღვთისადმი დღეგრძელობისა თქვენისანი. ვინადგან ჩვეულხართ მოწყალებასა უღონოთა და გლახაკთასა კეთილ გონიერებით, აწ ჩვენ მდაბალთა და უღირსთადაცა განცხადნა მოწყალება უგანათლებულესობისა თქვენისა, მცნებისათვის საუფლოისა და ბრძანებისა ძველსა და ახალსა თეატრსა: ვითარმედ „მიეცით მოწყალება და აჰა ყოველივე თქვენი წმინდა არს"; და კვალად „რომელი სწყალობდეს ღარიბსა, აფასებს ღმერთსა", და კვალად იტყვის: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი". ამათსა აღმასრულებელსა, ღმერთმან აღგისრულოსთ თქვენც აღნაოქვამი თვისი, თქვენებრთა გვამთათვის განმზადებული სიხარული წმინდათა თანა. ამინ. და ამას საწუთოსა შინაცა აღგისრულოსთ ყოველი სათხოველი გულისა ნებისამებრ თქვენისა. ესე ვუწყით დამტკიცებით ნამდვილ, რომელ ყოველივე საწადი თქვენი ნებაცა ღვთისა იქმნების.

თქვენი მოწყალება ფილონი და ერთი თუმანი თეთრი გვებოძა, რომლისათვისცა კვალადცა ფრიადსა მადლობასა აღგიარებთ.

თქვენის უგანათლებულესობის მარად მლოცველნი, მდაბალნი და უღირსნი ერთობით წმინდისა დავით გარესჯის მონასტრის ძმათა სავსება.

აპრილს კვ.
წელსა ჩყია."

LXXV

ოდეს მეფე ირაკლი მწუხარე გარდაიცვალა თელავსა, ჰირი ესე იყო მიზეზი, რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გარდაიტანეს გვამი მეფისა მცხეთასა დასასაფლავებელად. არაგვისა პირსა დადებული კუბო მეფისა მიიღეს მცხეთელთა და დაასაფლავეს და კახნი, არღა გასრულნი არაგვსა, უკუიქცნენ კახეთად. გამეფებულმან მეფემან გიორგი 1798 წელსა მოინება, რათა ძველთა ჩვეულებათა გამო მოსთხოვონ სომეხთა კათოლიკოსსა ლუკას მოსვენება ლახვრისა. წარგზავნეს კაცნი და მოსცეს იგი გარნა სიფრთხილითა დიდითა და შიშითა, რათა ქარიველთა მეფემან არ მიითვისოს თვისად საუნჯე ესე ეჩმიაწინისა. ვართაპეტმან გრიგორი ოშაკანმან და ათთა სხვათა მოასვენეს და დაასვენეს იგი პირველ სიონისა საკათედროსა ეკკლესიასა ნუგეშად ერისა. დღისით დაშთებოდა აქა და ღამით მიასვენებდენ ვანქისა სომეხთა ეკკლესიაში. ინება ღმერთმან და განქარდა ჰირი. ხეფე ვერ ბედავდა შესვლას ქალაქად და ლახვრისა მომტანნი ეჩქარებოდენ წასვლასა. მოვიდა ბრძანება მეფისა, რათა დაშთეს იგი თფილისსა მოსვლადმდე მისისა. სომეხნი სთხოვდენ ქალაქისა მელიქსა დარჩიას უშველოს მათ ესრეთსა გაჭირვებაში. ამან დააღონა მელიქი, მოქალაქენი, სომეხნი თფილისელნი და თვით ვართაპეტი მათი თფილისისა, დროთა ამათ აპისკოპოსი ოჰანეზ, თვით წარვიდა მეფესთან და ევედრებოდა რათა ინებოს დაუბრუნოს ლახვარი ეჩმიაწინსა. მეფემან დაარწმუნა იგი, რომელ არარაჲ აქვს ბოროტი გულსა შინა განზრახვა ლახვრისათვის წმიდისა და უბრძანებს პატივითა ჯეროვანითა, საჩუქრისა ბოძებითა და მადლობისა წერილისა მიწერითა კათოლიკოსისადმი წარუვლინოს თვისსა ადგილსა, მაშინ, ოდესცა თვით და სახლობა მისი ნახვენ მას, ილოცვენ და ემთხვევიან. ეპისკოპოსმან ოჰანეზ მოსულმან მოიტანა ესრეთი ამბავი სამწუხარო სომეხთათვის, რომელნიცა დიდად ამბოხებდნენ, თუმცა ვერა ჰბედავდნენ ცხადად თავისა გამოდებასა მეფისა რიდითა. დღედა და ღამე სწუხდა მელიქი, შესრული თვითცა დიდსა ეპვსა, თუმცა არწმუნებდა ყოველთა, რომელ მეფე არა ინებებს ლახვრისა მიტაცებასა. კათოლიკოსი ანტონი, თხოვილი სომეხთაგან, რათა ინებოს და მოსთხოვოს მეფესა ძმასა თვისსა დათხოვნა მათი ლახვრისა, უარჰყოფთა შუამდგომლობასა, რათა არა აწყენინოს მეფესა; ამისთვის მიმართეს არსენი თფილელსა და მანცა ვერ ჰბედა მისვლა მეფესთან, რომელიცა მას ვერ სწყალობდა. დაღონებულთა და მოთ-

მინებისაგან დაღალულთა მიმართეს ევთიმის, მეფისა მოძღვარსა და ესე მოქალაქეთა თხოვნითა განღვიძებული წარვიდა და მოახსენა ვედრება ეჩმიაწინელთა მამათა, ლახჯრისა მომსვენებელთა. მეფე განრისხდა და უბრძანა ევთიმის: უბრძანოს მელიქსა შთაგონება ვართაპეტისა, რათა შეიცადონ ერთიცა კვირა. შეძრწუნებულმან მელიქმან [33] მისწერა მეფესა წერილი თავისა თვისისა განსამართლებელი, აღუწერა ეჩმიაწინელთა მოუთმენლობა და სულსწრაფობა მათი, და დაარწმუნა მეფე, რომელ მარადის ეცინის მათ მათსა მიუნდობელობასა, რომელსაცა შეაჩვიეს სომეხნი მზაკვართა და მატყუართა სპარსთა.

მსწრაფლ განვიდა ხმა ყოველგან, რომელ მეფე გიორგი იგდებს თვისდა ლახვარსა. შეიპირეს ექვსნი მარჯვენი კაცნი სომეხთაგანნი და ორი ერევნელი თათარი ვაჭარი და შეითქვნენ იდუმალ წარიღონ ლახვარი ეჩმიაწინსა. მელიქმან დარჩიამ სცნო ესე, შესწუხდა ფრიად; მისცა საპყრობილესა შეთქმულნი მეამბოხენი და უჩინა მცველად ლახვრისა ქართველნი და სომეხნი აზნაურშვილნი, და მასვე დროსა აცნობა მეფესაცა გიორგის ამბავი ესე. ესე იწყინა მეფემან, მეორესა დღესა ქალაქისაკენ განმზადებულმან ტივითა, რომელიცა ელოდდა მას მტკვრისა პირსა ავჭალას და უბრძანა თვით დასაჯოს მეამბოხენი ქალაქისა ლახვრისა გამო, ვითარცა სურს და ელოდდეს მას. 15 აგვისტოს დღესა მიცვალებისა ღვთისა დედისა დღესასწაულსა, მობძანდა თფილისს სახლობით, შევიდა პირდაპირ სიონისა ეკკლესიასა და მოისმინა საღმრთო ლიტურღია მუნ, სადაც ესვენა ლახვარიცა საშუალ ეკკლესიისა წინაშე ამბიონისა. შემდგომად წირვისა, მივიდა ლახვართან, თაყვანი სცა, ემთხვია დიდისა ლმობიერებითა, ილოცა მხურვალებითა და მასვე დროსა სთქვა ქადაგება დეკანოზმა სიონისა იოანე ოსეს ძემან, მცოდნემან სომხურისაცა ენისა მწიგნობრობათა.

მეორესა დღესა უნებდა განემგზავრებინა, ლახვარი სომეხთა კათოლიკოსისადმი საჩუქრებითა, გარნა მოახსენეს ჰირისა გამოჩენა ახლო თფილისსა. მეფემან ბძანა შეაყენონ ლახვრის წარვლენა. მხოლოდ მისწერა წერილი ოქევატერს ეჩმიაწინსა, გაუგზავნა იაგუნდისა ბეჭედი და აღუთქმიდა ლახვარსა. დროსა მას მოერთვა მეფესა გიორგის ეჩმიაწინიდამ წერილი შემდეგი, რომლისა ნამდვილი მაქვს მე, სომხურად, დაწერილი 29 იანვარს 1800 წელსა [34]:

---

[33] მელიქსა ამას დარჩია ბებუთაშვილსა კუზიან მელიქად უწოდებდენ დიდისა კუზისა გამო. მოკვდა 1836 წელსა.

[34] ...[გამომცემელი აქ შენიშნავს: „35 (sic) აკლია“ (საკომენტარიო ციფრები დაბეჭდილ ტექსტში არეულია. იხ. „რედაქტორის შენიშვნებში“ წერილი „ტექს-

„ბატონო მეფევ! თქვენმა უმაღლესობამ 1798 წელსა ითხოვა წმინდა ლახვარი განსაკურნებელად ჰირისა და უწმინდესმან პატრიარქმან ჩვენმან აღიღეს იგი საშინელისა მის ადგილისაგან ნოემბრისა თთვისა დაწყებითსა რიცხვებში ხელითა საყვარელისა ძმისა ჩვენისა იოანე არქიეპისკოპოსისა და ოდეს მოაწია მან თქვენამდე, ქრისტეს მოწყალებითა განჰკარდაცა ჰირი. წარსრულთა დროთა ჟამსა სულგანათლებულისა მეფისა მამისა თქვენისაცა რავდენჯერმე ჰყო წარმოვლენილი იგი და შემდგომად ჰირისა განჰკარვებისაცა, უკუქცეულიცა მსწრაფლ ჩვენკენ. ამისთვის თქვენისა უმაღლესობისადმი ჯერ იყო რათა ენება დაბრუნება მის ლახვრისა შემდგომად განჰკარვებისა მის ჰირისა. თუმც რავდენჯერმე მოიწერა თქვენისა უმაღლესობისადმი სულგანათლებულმან პატრიარქმან, და თქვენ აღუთქმიდით და არა უგზავნიდით ესრეთ, რომელ აღსრულდაცა თვით კათოლიკოსი. ჩვენ, დაშთომილნი ობლად, მწუხარედ და შემუსრილნი გულითა, — გვეჰირებიან, ვითარცა წმინდა ლახვარი, ეგრეთვე მცველი მისი ძმა ჩვენი იოანე არქიეპისკოპოსი, რომელმანცა ჩინებულად იცის უცხოთა ქვეყანათა ენები და სიტყვა ნიჭებული დიდ სახმარია წმინდისა ამის საძგურისათვის და ჩვენთვისაცა გაჭირებულთა დროთა ამათ გამო. აგერ წელიწადი და სამი თთვეა, რაც მოდიან მლოცველნი შორის ქვეყნებიდამ და ვერ მხედველნი წმინდისა ლახვრისა ტირიან და უკუიქცევიან. დღითი დღედ განიფინების ხმა ყოველგან, რომელ წმინდა ლახვარი დატყვევდა თფილისსა. ესრეთისა ამბავისა მიზეზად არ ხართ თქვენ, თქვენო უმაღლესობავ: ამისთვის, რომელ არა ეთანხმება მეგობრობასა და მფარველობასა თქვენსა, რომელნიცა მამაპაპათაგან თქვენთა გაქვსთ მოცემული ერთადმი ჰაოსიანთა და წმინდისა ეჩმიაწინისა. ამისთვის მე მწუხარე მოხუცი მინას ეპისკოპოსი და კრება სულიერი წმინდის მონასტრისა, ეპისკოპოსნი, ბერნი, და სხვანი ძმანი ვედრებითა და ცრემლითა გთხოვთ თქვენ ჯვარ-გვირგვინოსანსა, სიყვარულისათვის ქრისტესისა, ნუ დაგვიტევებთ ნურცა ჩვენ, ნურცა სახლსა ჩვენსა უნუგეშოდ. სასიხარულოდ ჩვენდა გვიბრუნეთ წმინდა ლახვარი იოანე ეპისკოპოსითურთ, რომელნიცა ესოდენესა დროსა ტყვეობასა შინა არიან. ესრეთ აღსრულებითა თხოვისა ჩვენისა, ყოვლად ძლიერი ღმერთი წყალობითა აღასრულებს თქვენსაცა თხოვნასა და დაგიცვამსთ თქვენ და შვილთა თქვენთა

ტისათვის“). ხელნაწერ 2301-ის „სხოლიო“ № 34-ში მოყვანილია სომხური წერილის პირი, რომელიც მკრალი ფანქრით არის გადახაზული. როგორც გამოირკვა, ის არ წარმოადგენს ეჩმიაწინიდან მოწერილ ბარათის დედანს და არც ჩვენ შემოგვაქვს აქ. რ ე დ ა ქ ტ ო რ ი).

მშვიდობითა და კეთილ(ცხოვრებითითა მფარველობითა. იყვენით სიმრთელით, დიდებულო მეფევ. სადიდებელად მეფეთ მეფისა ქრისტესსა და სასიხარულოდ მორწმუნეთა, და ნუგეშად გულისა კეთილად მავედრებელისა თქვენისა ღვთისადმი, უმდაბლესი მინას არქიეპისკოპოსი, მსახური ნათელმოსილისა წმ. ეჩმიაწინისა ტახტისა 1800 წელსა, 29 იანვარსა".

ლახვარი ვერ წარუვლინეს; წარუვლინეს იმედისა წერილი დაუკარგველობისა საუნჯისა ამის წმინდისა ეჩმიაწინისათვის წმინდისა.

ესრეთ დასცხრა დროებით ყოველივე ამბოხი ლახვრისა გამო, რომლითაცა, ჰგონებენ, განიგმირა უფალი ჯვარსა ზედა. ხოლო მე ვიტყვი მისთვის მასვე, რასაც იტყვიან სომეხთა მეისტორიენი და თვით ჩამჩიანი თვისისა წიგნისა ტომსა მეორესა, გვერდსა 344. წერილთა ამათთაგან სჩანს, რომელ ლახვარი ესე იყო თვით იგი, რომლითაცა განიგმირა დავით დვინელი 693 წელსა და არა ქრისტესი. ვრცლად დავსწერე მას ზედა რუსულად წიგნსა ჩემსა Жизнь святых Грузинской церкви. Тифлис, 1850 года.

შეიმეცნონ ესეცა მათ, რომელნიცა ზღაპრობით უწოდებენ მას ლახვრად ქრისტესსა. ოდეს ჰპოვეს ჯვარი ქრისტესი და ლურსმანნი იერუსალიმსა, მწერალთა მედროეთა და თვალით მხილველთა, აღირიცხესცა ნიეთნი ნაპოვნი მიწისა ქვეშე და რიცხვთა ამათ შორის არა არს მოხსენებული ლახვარი, და, გარდა ამისა, არცა ერთი ძველთა მწერალთაგანი არა მოიხსენებენ ლახვარსა ამას ლახვრად ქრისტესსა. ხოლო მწერალნი სომეხთა და თვით ჩამჩიანი აღწერენ ლახვარსა ამას ვითარცა მას, რომლითაცა განიგმირა და მოიკლა წმინდა დავით დვინელი და არა თვით ქრისტე.

მრავალი რამე აქვსთ სომეხთა ეკკლესიასა, მიღებული წესდება და არა ჰეშმარიტი წმინდათათვის მოთხრობა, არა არის განსაკვირველი! ესრეთ განბნეულთა სომეხთა არ შეუძლიანთ სხვად მყოფობა. ეძიებენ საგანთა მრავალთა დამტკიცებასა და ვერ დაუკავშირებიათ, რადგანაც არ არის მათ შორის ერთობა არცა ეკკლესიისა, — ერთისა მეორისაგან დაშორებულისა, არცა ხალხთა ერთობისა, რადგანაც არა აქვსთ დგომა ერთსა სამეფოსა და ანუ ქვეყანასა. დაკავშირებისათვის ქართველთა თანა სომეხთა მეფემან გიორგიმ მისცა ნება ვართაპეტსა მათსა, რათა იორდანეზედ განსვლა მათი იყოს ერთობითი ქართველთა თანა. ესე იყო მეფობისა მისისა ორსა წელსა. შემდგომადცა 1803 წლამდე. კნიაზმან ციციანოვმან, განმგემან საქართველოჲსა, სომეხთა მოძულემან, ბრძანა, რათა სომეხნი არა აღირეოდენ ქართველთა მართლმადიდებელთა თანა და ამისთვის სრულიად განაშორა იგინი.

ამავე დროსა გარდაიცვალა სომეხთა კათოლიკოსი ლუკა. აცნობეს ესე მეფესა გიორგის იოსებ მიშკარბაშისა ხელითა, რომელიცა იყო მამა ვასილისა ბებუთოვისა, ღენერალ ოტინფანტერისა ჩინითა გარდაცვალებულისა 1859 წელსა *. ამავე წერილითა უბრძანებდა მეფე სომეხთა ეჩმიაწინისა კრებასა (ძველთა მეფეთა ჩვეულებითა ქართველნი დაამტკიცებდენ მათსა კათოლიკოსსა) აღირჩიონ იოსებ არღუთაშვილი რუსეთსა მყოფი. აჰა ნამდვილი წერილი სომხურად და თვით თარგმნილი ქართულად, ვითარცა წარუკითხეს მეფესა გიორგის. ესე თვით მამისა ჩემისაგან იყო თარგმნილი და მისგანვე დაწერილი ქართულად:


„ნათელ აღგებულისა სასწაულ აღდგმულისა საყდრისა წმინდისა ამის ეჩმიაწინისა მსახურთა, სამღვდელოთა მოწესეთა, კრებულთა ძმათა, ესე იგი ეპისკოპოსთა, მოძღვართა და მოწესეთაგან დიდისა წადილითა ჭრისტეს მიერ ლოცვა და კურთხევა უხვი მოწყალება და დამცველობითი მადლი, და წმინდათა ამათ ნაწილთა შეწევნა მოგხსენდესთ, ყოვლად უპატირსნესო, უმაღლესო მეფეო ყოვლისა საქართველოსაო გიორგი! იყავნ კურთხევა წმინდისა ამის საყდრისა ძეთა, ასულთა და ყოველთა სახლეულთა თქვენთა* ზედა. იცოდეს კეთილ მსახურებამან თქვენმან, რომელ დასწერს ბრძენი სოლომონ: „ვითარმედ გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა და რომლისა მიერ კერძოსა ენებოს, მიერ მისდრიკოს“. ეგრეთვე თქვენისა უმაღლესობისა გული მნებებელობას ჩვენ მტირალთა და მგლოვართათვის ნუგეშინისცემასა; ვინადგან უმაღლესობა თქვენი დამდაბლებულა ჩვენდამდე და გებოძებინათ ჩვენ უმეცართა მონათათვის წერილი სიყვარულისა და მოწყალებისა, ხელითა სარწმუნოთა თქვენისა მარიშქარბაშისა იოსებისათა და ტერ-არაქილ დეკანოზისათა, რომელიცა ჩვენ წერილი იგი თავსა ზედა ჩვენსა მივიღეთ და სიყვარულით წარვიკითხეთ და ნუგეშინის ცემა იგი მიცვალებისათვის სანატრელისა მამათმთავრისა ჩვენისა უფლისა ლუკა უწმინდესისა კათოლიკოსისა, და ფრიად ნუგეშინის ცემულ ვიქმენით, და ვითარმედ ნიშნათ ჩვენისა სიყვარულისა და ნიშნად თქვენისა მწუხარებისა გებოძებინათ მშვენიერი ნათხზი გარდასახურავი, რომელიცა დიდისა მადლობითა მივიღეთ, და მისთვის საკრებულოდ წავსთქვით კურთხევა თქვენისათვის

* გენ. ვასილი ბებუთოვი გარდაიცვალა 1856 წ. 10 მარტს. რ ე დ.

ჭმაღლესობისა; რომლისათვის ესთხოვეთ და კვალად ვთხოვთ, რათა მეუფემან მეუფეთამან, და უფალმან უფლებათამან მოგანიჭოს თქვენ ცხოვრება გრძელი და ნაცვლად ამა ჩვენდამო ბოძებულისა ნიჭისა, შოგანიჭოს ნიჭი საუკუნო, მარადის კურთხევითა და განძლიერებითა თქვენითა, და გყოსთ საშინელ მტერთა ზედა ჯვარისა თვისისათა. ბოლო რომელიც სულიერისა მამისა ჩვენისა იოსებ არქიეპისკოპოსისათვის გებრძანათ კათოლიკოსად წმინდისა ამის საყდრისა, ეგრეთ ვითარცა მამათმთავრისა საყვარელისა არქიეპისკოპოსისა მინასისა თვისცა მოგეწერათ, სამართლად ფრიად კეთილარს ბრძანება თქვენი და თან კმაობა არს ნებისა ჩვენისა. ვინადგან ორგზის ექმენით ჩვენ კრება წმინდასა ამას შინა ტაძარსა გამორჩევისათვის კათოლიკოსისა, და მას შინა აღვრიცხეთ დიდპატივით იოსებ არქიეპისკოპოსი და ღირსად ესაჯეთ საქეთმპყრობელად წმინდისა ამის საყდრისა. გარნა შემდგომად შეშინებულთა რაოდენთამე საშინელთა მიზეზთათა, ვერღარა ვიკადნიერეთ ჩაწერად მუჯალამასშინა; მაგრამ შემდგომად თქვენისა ბრძანებისა, შევმზადეთ მუჯალამა იოსებ არქიეპისკოპოსისათვისცა და კონსტანტინოპოლისა პატრიარქისა დანიელისათანა. ესეცა ჩავსწერეთ, ვითარცა დაგვეწერა მინას ვართაპეტისათვისცა; წ ქეშმარიტებით ჯერ არს თქმა, რომ იოსებ არქიეპისკოპოსი არს კრებული წმინდისა ამის საყდრისა, და ეჩმიაწინისათვის მრავალსა შინა წელსა მრავალგზის შემმატებელი და ყოველთაგან აქ მოსაწონებელი არის მაგისი კათოლიკოსობა, რომ არა აქვს ყოველითურთ ნაკლებობა რაჲმე არცა კეთილის მოქმედებითა, არცა ჰასაკითა და არცა ჯვაროვნებითა; მაშა კურთხეულმან გვარმან ჩვენმან მოუწოდონ მას და დაპატიჟონ კათოლიკოსობა უკეთუ მასცა არა აქვნდეს შიში რაჲმე განსაცდელი მიზეზად, მოვიდეს, ინებოს, მობრძანდეს; მიიღოს ჩვენი საპერჩინებო და სანებებელი და შესაწყნარებელი არის.

უკანასკნელ გეველრებით, რომ ქრისტეს შემხები წმინდა ლახვარი ეგე ოჰანნეს ვართაპეტითურთ გვიბოძოთ.

მლოცველნი თქვენნი ქვემო აღმბეჭდველნი:



წელსა 1800, იანვრის კთ, ეჩმიაწინს [33].

[33]. ...[ხელნაწერის (საისტ. საეთნ. 2301) „სხოლიოებში“ ეს საკომენტ. ციფრი და წერილის სომხური დედნის პირი არ არის მოყვანილი. რ ე დ.].

პასუხად ესრეთისა თხოვისა ლახვრისათვის, აცნობა მეფემან რომელ წარიღებს მას ახლად დანიშნული ოქვარტერი იოსებ ეჩმიაწინს, რომელსაცა ელოდდენ ქალაქსა თფილისს, რუსეთისა გზით. ვერცა ამან იოსებ, არ მნახავმან თვისისა ტახტისა, ვერცა სხვათა, — ვერ წაიღეს ლახვარი იგი. მხოლოდ შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა, მინისტრმან რუსეთისა კოვალენსკიმ სომეხთა თხოვითა უბრძანა ანუ ურჩივა წარელენა მისი ეჩმიაწინად.

LXXVII

ვითარცა მეფეთა ტომი და მეფის ძე და მეფე, — იყო მეფე გიორგი ღირსებითა აღსავსე; მრისხანე ბოროტთათვის, მძლავრი ამაყთათვის და მეშფოთთა, მდევნელი მდევნელთა, მცემელი მცემელთა; მასვე დროსა ტკბილი კაცთადმი ტკბილთა, მშვიდი მშვიდობისა მოყვარეთადმი, აუჩქარებელი მყუდროთადმი, ნუგეშინისმცემელი მწუხარეთადმი, ობოლთა და ქვრივთა შემწყალებელი; მცირედთა თანა იყო მცირე, მდაბალთა თანა მდაბალი; მღვდელთა პატივისმცემელი, დიდთა კაცთა თანა ყოვლად დიდებული, მეტადრე მაშინ, როდესაცა რომგორმე განარისხებდენ მას ანუ მომატებულითა და განუზომელად თქმულითა სიტყვითა ანუ უკადრისითა ლექსითა, ანუ უზდელობითა. მოკლედ და ძრიელად უბრძანებდა სიტყვასა მდაბალთა კაცთა მოჩივართა; ღიმილითა მოისმენდა მათთა თქმათა ოდესმე უჯეროთა და უგვანად მოხსენებულთა. რისხვასა მისსა ესე ვითართა თვის შეამეცნებინებდა მათ დაფიქრებულისა და უპასუხოჲსა დუმილითა. იყო ვითარცა ლომი, რომელიცა არაოდეს არა იცვლის პირისა სახესა თვისსა საპატიოსა, მეფურსა და დიდებულსა. დიდთა საგანთა ზედა საღმოთოთა და საქვეყნოთა მაუბარი, ხშირად გარდავიდოდა შესაქცევთა, გარნა არა უშვერთა, საქმეთა ზედა და ოდეს სრულყოფდა თქმასა და მოთხრობასა, თვითვე ბრძანებდა ლექსად ძველადვე თქმულსა სიტყვასა: „აი ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო“. მეფის ძე მიხაილ, შვილი მისი, ხშირად მეტყოდა ამასვე და მიბრძანა ძალი მისი: თეიმურაზ მეფესა მეორესა ახლდა ბერი მანასე სახელით და მას სადმე უბრძანებდა ამასაო ლექსად, ვითარცა თვით მოლექსე.

მცოდნე ზეპირად ექვსთა დღისა, რომელიცა აღწერა ვასილი დიდმან და გარდამოიღეს ქართულად IX საუკუნესა, და ეგრეთვე ეპისტოლეთა მისთა, — რომლისა სრული თარგმანი გვაქვს გაიოზისა ასტრახანისა არქიეპისკოპოსისა, — ხშირად მოიგონებდა მაღალთა და დიდთა ვასილისა თქმულობათა: „ყოველივე მოვალსო თვისსა დრო-

საო, — (ესე მისწერა ოლიმპიას ვასილმან) [36], — ყვავილი გაზაფხულსა, ეკალი ზაფხულსა, ნაყოფი ხილისა შემოდგომას; ხოლო ნაყოფი ზამთრისა არს საუბარი“ მასვე დროსაო, — ბრძანებდა მეფე, — მისწერა ვასილმან ხუმრობითი, დაცინებითი და შექცევითი სიტყვა (ეპისტ. 267) კომბოსტოსათვის, რომლისა სადმე ჰამითა განიკურნა სნეულებისაგან, გარყვნილი ცხოვრებითა და არაწმინდებითა განმგე (ვგონებ, პონტოჲს) ანტიპატრე.

დიდად ხშირად ეტყოდა და განუმარტებდა განმარტებითსა ფსალმუნიდგან იოანე ოქროპირისა სიტყვასა: „აღმოსთქვას გულმან ჩემმან სიტყვა კეთილი“, — აღმოსთქვას გულმან სიტყვა ე. ი. რათა იცოხვნიდეს ვითარცა საშმელსა სიტყვასა კეთილსა ოდეს ვსჭამთ, ეხარშამთ საშმელსა და რომელიცა სჭამს ანუ მიიღებს საზრდოდ სულსა საღმრთოსა, მასვე ამოიცოხნის, ე. ი. აღმოსთქვას [37]“. ესე ვპოვე ლათინურსა ენასა ზედა დაბეჭდილი და მუნ სწერია: (in Psalmos tom, V. hom. 44). Eructamus quod comedimus; at qui comedit spiritum divinum: hunc ergo eructat *, ნუ ვიქმნებით უმადლონი ღვთისა, ეტყოდა მონოზონთა და კარისკაცთა, — რათა არა მივიღოთ ყუედრებითი სიტყვა მოსე წინასწარმეტყველისა: „ისრაილმან სჭამა, განძღა, განსუქდა და ჰკრა წიხლი მას, რომელსაცა უყვარდა“ (მეორე სჯა 32. 15). ზეპირად, ტკბილად და ნელიად ესაუბრებოდა უდაბნოჲსა მემხოლოეთა და ეტყოდა წმინდათათვის, მოწამეთათვის, მემარხულეთათვის, წერილთაგან, რომელნიცა წარეკითხა ყურადღებითა და ახსოვდა მეხსიერებითა ძლიერითა. კასიანე მწერლისა თქმათა, მაქსიმე აღსაარებელისა და იოანე კლემაქსისა სინაიტელისა მოძღერებათა, წარმოსთქვამდა ესრეთითა ძალითა და ესოდენ მადლიანად, რომელ მსმენელთა აღატირებდა და ადინებდა ცრემლთა. თვით მოძღვარი მისი და მეგობარი, წინამძღვარი ნათლისმცემლისა უდაბნოჲსა ევთიმი, უწოდებდა სულიერსა თვისსა მოწაფესა მეფის ძეს გიორგის, მოძღვრად თვისსა. განკვირვებასა შინა შეყვანილი ევთიმი ღირსი, მოახსენებდა პატივად მეფისა მოძღვრე-

---

[36] ეპისტოლე 13.

[37] ფსალმუნთა განმარტება 145.

* ზ. ჰიპინაძის გამოცემაში ეს ადგილი არ იყო მოყვანილი. ამ სტრიქონის ნაცვლად დაბეჭდილ ტექსტში ცარიელი ადგილია დატოვებული და გამომცემელი ქვემოთ შენიშნავს: „აქ დედანში აკლიაო“. ხარვეზი ჩვენ შევავსეთ ხელნაწერიდან (ჯ№ 2301).

ლათინური ფრაზის თარგმანი: „აღმოვიცოხნით რასაცა ვჭამთ, მაგრამ ვინც სჭამს სულსა ღმრთისასა, მაშასადამე მასაც აღმოიცოხნის“ (თარგმნისა და ზოგიერთი მითითებისათვის ვმადლობ პროფ. ს. ყაუხჩიშვილს). რედ.

ბათა, სიტყვასა მოხსენებულსა იესოსადმი იოანე წინამორბედისაგან: მე შენგან ველი ნათლისღებასა, და შენ მთხოვ, რათა ნათელ გცე შენ?

ვითარცა მიწა წვიმითა დამთვრალი და განპოხილი, ეგრეთ იყოო მეფე გიორგი,—იტყოდა მამა ჩემი ეგნატი,—სამღრთოთა წერილებითა დაუნჯებული და ვითარცა რიტორი მათთა ჰაზრთა და თქმათა წარმომთქმელი.

LXXVIII

სტეფანესა რუსთველსა (არქიეპისკოპოსსა) ახსოვდა წარმოთქმული მეფისა გიორგისაგან სიტყვა ოქროპირისა ღირსებისათვის კაცთა გონებისა. მე მოვიძიე ნამდვილ თქმა ესე ოქროპირისა წერილისაგან, მიწერილისა ანტიოქელთა მცხოვრებთადმი (სწავლა 2) და ჰაზრთა მიხედვითა, თვით სტეფანესაგან თქმულთა, დავსწერე აქა მკითხველთა საცნობელად:

„მრავალნი პირუტყვთაგანი სჩანან უმეტეს კაცისა: ლრმი ძლიერებითა, ცხენი სიმსწრაფლითა, არწივი ფრინვითა. გარნა კაცმან დაიმორჩილა ცხენი თვისდა მოსახმარად. ხოლო არწივი? კაცმან მოიძია საშუალობა და ღონე შესაყენებელად მფრინველთა*. კაცთა აქვსთ თვისნი ფრთენი. დიახ! მე მაქვს ფრთა ერთი უმსწრაფლესი არწივთა ფრთისა, რომლითაცა აღვიწევი არა ათსა სტადიონსა, არცა ოცსა სტადიონსა, არცა ცადმდე მხოლოდ, არამედ უმაღლეს ცისა, ადგილადმდე, სადაცა სუფევს ქრისტე მარჯვენით ღვთისა“.

„ერთსა და მასვე უკეთუ ვიტყვი ორგზის და სამგზის, — იტყოდა მეფე, — საჭიროებისათვის, რათა არა დამავიწყდეს ჰაზრი და იყოს უმეტეს სრულად და მტკიცედ გონებასა ზედა დანერგულად. იტყვის ოქროპირიო: კაცისა ანუ გვამისა სხეულსა ჯერ არს რათა აქვნდეს თავი, ხესა ძირი, მდინარესა წყარონი, საუბარსა დაწყებითი რაჲმე საგანი.

თქვენ ხართო, — იტყოდა მეფის ძე გიორგი ოქროპირისა სიტყვასა, — მიკრულნი რეცა ბაგეთადმი ჩემდა და ვითარცა მერცხალთა ბარტყნი, მიაგებებთ ბუდიდგან ნისკარტთა, რათა მიიღოთ მსწრაფლ მისგან საზრდელი.

დღესა ერთსა, საუბრისა დროსა მათთვის, რომელთაცა სურდათ სიკვდილი მეფისა ანუ მოკვლა მისი, ღიმილითა წარმოიტყოდა იოანე ოქროპირისავე სიტყვასა: „დღესაცა იპოებიან იუზაბელისა გვარისანი. იროდიადა კვალად განცოფდა; როკავს და მოითხოვს თავსა

* ხელნაწ. „მფრინვალეთა“.

იოანესსა“. ესე სიტყვა იყო თქმული არა დარეჯან დედოფალზედ, დედინაცვლისა თვისისა. ბრძანებდა მას მეფისეულისათვის[38] დედოფლისაგან მიჩნეულისა, და თითქმის სასახლისა მბრძანებელისა, — მიბრძანა ესე არა ერთ გზის მეფის ძემან მიხაილ.

---

[38] მეფისეული და დედოფლისეული, სასახლისა გამდელნი, ესრეთ იყვნენ ძლიერნი, რომელ მეფესა და დედოფალსა ჰხადიდენ ტყვედ მათ ხელთა შინა. თვით მეფის ძენი და მეფის ასულნი და მეფის რძალნი ძრწოლავდენ მათგან. მღვდელთავართა ეშინოდათ მათი. მათითა სიტყვითა შეაძულეს მეფესა ირაკლის ანასტასია, დაჲ ანახანუმ დედოფლისა, — ცოლისა თეიმურაზ მეორისა. განსწავლულისა სწავლათა შინა და მოლექსეობასა და მხიარულებასა იყო ზნეობით მაღალი, მორწმუნე და კეთილმსახურებითა შემკული. აქვნდა მიწერ-მოწერა მზეჰაბუკ მდივანბეგთან. წერილნი ამათნი ვერღა ვჰპოვე. აჰა ერთი მისთა ლექსთაგანი, ოდეს მზეჰაბუკ უქებდა მას შესხმასა შინა ხუმრობითსა გულსა თეთრსა, თუმცა იყო შავგვრემანი დიდად სახითა:

ვით მიქე მე გული ქაღალდად,
ინდთაგან უფრო შავია.

სხვაცა ლექსი:

ოდეს დაჰკრავ სიბრძნის ტალსა,
ფილოსოფოსთ მისცემ პლსა,
მე ვითა მთხოვ პასუხს ქალსა
თუ ამა წიგნსა უჩვენებ სხვასა
ვეღარ მიწოდებ შენდა დასა.

ესე მითხოვილი თავადის ბარათოვისადმი და მერეთ ქვრივი გარდაიცვალა 1787 წელსა.

ამასვე ანახანუმს და ანასტასიას ჰყვანდა დაჲ მახია, ქალი ბარათაშვილისა. 16 წლისა იყო, როდესაც მიათხოვეს ნადირ-შაის ძმას ადელშაის. ესე შემდგომად ქმრისა თვისისა, მოვიდა თფილისს სპარსეთიდამ მას დროს, როდესაც იყო მშობიერად მარიამ ბატონიშვილზედ და წარვიდა რუსეთსა. ქალაქსა მოსკოვს შეირთო ქმარი ბარათაშვილიევ და ამოუწყდა ყოფელნივე. როდესაც დედოფალი დარეჯან მიიყვანეს მოსკოვს, იხილა იგი მუნ მახიამან და გაიკვირვა, რომ ლეჩაქი ეხურა დარეჯანს თავზედ შეკეცილი. გარდაიცვალა მოსკოვს 129 წლისა შემდგომად მოსკოვისა აღებისა ნაპოლეონისაგან. მიმქმელი მისი იყო, სიტყვისმებრ მისისა, თფილელი — მიტროპოლიტი ონოფრე, კაცი 79 წლისა და არ ახსოვდა სახე მისი, რადგანაც მცირეწლოვანობაში გარდაიცვალა, ესე მიამბო მეფის ძემან მიხაილ და დაუმატა იყოო შავთვალწარბა, მაღალტანოვანი, გონიერი და დიდად ზრდილი. რუსეთში ჩაეცვა მას ტანისამოსი რუსული.

მეფისეულისა და დედოფლისეულისა მტერი იყო ნიკოლოზ არქიმანდრიტი, რომელსაცა მიუბოძა მღვდელმთავრობა მეფემან გიორგი და ესე იყო უკანასკნელი ხერჯაშნელი, გარდაცვლილი რუსეთისა მმართებლობასა. გარდა ამისა მეფისა გიორგისა მეფობაში არვინ კურთხეულა ეპისკოპოსად, რადგანც იყვნენ ყოველნივე ცოცხალნი. მასვე მეფის ძეს ახსოვდენ ხარჯაშნელად:

1) ვიქტორი, გარდაცვლილი 1787 წელსა.

2) გრიგორი ზაზაშვილი ორს წელს ყოფილი ალავერდელად. ესე იყო მიმქმელი ემბაზით მემკვიდრისა დავითისა.

3) ნიკოლოზ, ზემორე თქმული.

[ეს შენიშვნა (№ 38) წინა გამოცემაში არ მოიპოვება. რედ.

LXXIX

მეფის ძემან თეიმურაზ მომითხრა, მეფისაგან გიორგისა მამისა თვისისა არა ერთგზის გაგონილი თქმითა, და არა წარკითხვითა სიტყვა იოანე ოქროპირისავე ღამითისა ლოცვისათვის და სიტყვა ესე მაღალი ვჰპოვე საქმე მოციქულთა განმარტებაში (სწავლა 26) და მოვიღებ აქა საცნობელად მკითხველთა: „ღამე არა არს დაწესებული, რათა განატარებდენ მას სრულიად ძილითა და განსვენებითა; ხელოსანნი, ვაჭარნი და მსყიდველნი და თვით ეკკლესია ღვთისა, განიღვიძებენო შუაღამესა. განიღვიძე შენცა, ვითარცა ეკკლესია ღვთისა; განიხილე წყობა ვარსკვლავთა, დუმილი ყოვლადი ჰაერისა და წესი ქმნულებათა. ღამისა ჟამსა სული კაცისა არს უმეტეს განწმენდილი, მსუბუქი და მოცლილი; აღიწევის მაღლად გონებითა თავისუფლად. სიბნელე ღამისა და სიღრმე დუმილისა შეიყვანს ფიქრსა და მსჯელობასა. უკეთუ აღიხილავ ცად, ვარსკვლავებითა მორთულად, ვარსკვლავებითა, რომელნიცა არიან ცისა თვალნი, მიეცემი დიდსა სიხარულსა და დატკბები შვებითა, ოდეს აღიწევა აზრი შენი და გონება ღვთისადმი. მიხედე კაცთა, რომელნიცა დღისით ჰცივიან, როკვენ, იცინიან, ბოროტობენ, მტაცებლობენ და იქმონენ მრავალთა უგვანთა და უკეთურებათა, — არა რაჲთა არა განირჩევიან მათგან, რომელნიცა მდებარებენ საფლავთა შინა; და მაშინ შეურაცხყოფ სოფლისა ამას ამაოსა ამბოხებასა. მოვალს ძალი და ესე მათ [მო]აგონებს[თ] რაჲ არიან: ძილი სახეა სიკვდილისა, სახე და მსგავსება არარაჲსა. — განვედ ჭუჩასა და იხილე რომელ არღა ისმის არავისი ხმა. მიიხედე სახლსა შენსა; ყოველნივე მწოლარებენ, ვითარცა საფლავთა შინა. ესე ყოველი განაღვიძებს სულსა და მოაგონებს სოფლისა ამის არარაობასა... ღამისა ჟამსა მღვიძარებენ მცენარენი: და ესრეთვე სული შენი, უმეტეს მცენარეთა რეცა მფშვინავთა, მიიღებს ზეცისა ცვარსა“.

სოფრონ არქიმანდრიტი, არაგვისა ერისთვისშვილი, აღზრდილი ნათლისმცემლისა მონასტერსა, მოიგონებდა მეფისა სიტყვათაგან ვასილი დიდისა ბრძანებასა ევთიმესთვის წინამძღვარისა, რომელიცა იყო მდაბალთა გვართაგანი, გარნა მაღლად მაღალთა ზედა გვაროვანთა მდგომარე მონოზონების სიწმინდითა და ღირსებითა: „კაცი დიდებული და გამოჩენილი, გარნა არა მექონი ჩინებულთა მამა-პაპათა არა ემსგავსების წყლისა ნაკადთა, რომელნიცა განდიდდებიან მაშინ, ოდეს შეიერთებენ სხვათა წყლისა ნაკადთა; ესრეთი კაცი

მიემსგავსების წყაროსა, რომელიცა თავით თვისით სდის და თვით არის კეთილგემოვანი და სასმელი... იტყვიანო, არა ხარ დიდისა გვარისაო და არცა დიდებული; მიუგე: შენ ხარ ნაცარი და მტვერი; არა ხარ უმეტესი აბრაამისა მამისა ჩვენისა, რომელიცა ესრეთ იწოდებოდა". ამა სოფრონისა თანა მყოფი, დროსა ამბავისა ამის მოთხრობისა, ბერმან სერაპიონ (მოკლული ლეკთაგან 1855 წელსა მონასტერსა) დავით გარესჯისა უდაბნოჲსა კაცმან მცოდნემან ძველისა და ახლისა ფილოსოფიისაცა დაუმატა ესე: „მე ვიყავ 18 წლისაო ჯერეთ მორჩილად, ოდეს მეფე მობრძანდა დავით გარესჯას დიდისა ამალითა და ინება, რათა სატრაპეზოსა სადილსა ჟამსა წარეკითხათ ე ქ ვ ს თ ა დ ღ ი ს ა რაჲმე. წინამძღვარმან მიბრძანა გამორჩევა წიგნიდამ, ვითარცა მე თვით დავინახავდი ღირსად, რათა მოესმინა მეფესა. აღვედ მკითხველთა სადგურსა და წარვიკითხე სრულიად მეცხრე სწავლა ვასილისა დაბადებისათვის ქვეყანისა ცხოველთა და თვით კაცისა. ოდეს დავასრულებდი კითხვასა, შევსცვალე ხმა ჩემი და ვიტყოდი წიგნისა ამისა დასასრულსა ამას: „ესრეთ მწუხრი ესე და დრო მზისა დასვლისა გვიბრძანებს დუმილსა. შევსდგეთ და მივცეთ შესვენებასა საუბარი ჩვენი... წარვედით აწ სიხარულითა, აქა შეკრებილნო, მეგობარნო ქრისტესნო, და ნაცვლად საზრდოთა მდიდართა, და საშჳელთა მრავალგვართა, განაშვენეთ და განწმიდეთ ტრაპეზი თქვენი სიტყვათა ჩემთა მოხსენებითა". ესე იყო, ვგონებო, 1794 წელსა, წინათ აღა-მაჰმად ხანისაგან თფილისის აოხრებისა, დღესა ხუთშაბათსა, დღესასწაულსა თვით დავით გარესჯელისსა ამაღლებისა სწორსა. მეორესა დღესა შემდგომად წირვისა დილითისა და პარაკლისისა გამოეთხოვა ძმათა და წარვიდა მტკვრისა მხრით ბორჩალოსა და თანა ჴძღოდენ ყაზახისა და ბორჩალოსა თათარნი.

პირველი იყოო ჩემგან მეფის ძისა ნახვაო და ჴეშმარიტად ვიტყვი, დღედმდე მომხსენებელი მისი, ვეკვირვები მისსა ღრმად სწავლასა სამღთოთა წიგნთა შინა, წმიდათა მამათა წერილთა დახელოვნებასა მისსა, ბრძნად მსჯელსა. ტკბილად და რიტორულებ მოუბარსა, ნამდვილ მეფესა, ტანითა ახოვანითა, ჭკუითა, ზრდილობითა, მოთმინებითა, აუჩქარებლობითა, დიდსა მორწმუნესა, ქრისტეს ეკკლესიისა მოყვარესა და ვიტყვი მონაზონთათვის მაგალითსა.

კითხვა ჩემი დიდად მოეწონა მეფესაო; — გამომკითხა ვინაობა ჩემი, სადაობა, წელი ცხოვრებისა და წელი უდაბნოსა შინა შესვლისა. ერთისა კვირისა შემდეგ შემაყენეს ბერად; მიკურთხეს ჩოხაო და მიწოდეს სახელად ნაცვლად სჳმონისა სერაპიონი. სახელი წინამძღვრისა ჩემისაო, რომელმანცა მაღალითა სიწმინდითა განატარა ქვეყნიერი ესე ცხოვრებისა სარბიელი.

LXXX

დროსა გამეფებისა, მეფე გიორგი მწუხარე ქალაქისა თფილისისა გაოხრებისა გამო სპარსთაგან და მცხოვრებთაითვის, რომელნიცა კვალად შემოუდოდნენ თვისთა სახლთა გარდამწვართა, მისწერა თხოვითა წერილი სომეხთა კათოლიკოსსა ლუკას, რათა ასესხოს მას ფული. კათოლიკოსმან მოართვა სესხად ათასი თუმანი, და ფული ესე განანაწილა მათზედ, რომელნიცა იყვნენ მოკლებულნი ღონეზედ აღშენებისათვის ანუ განახლებისათვის სახლთა თვისთა: — ქალაქი თფილისი, მეცადინებითა მელიქის დარჩიასითა აძლევდა ამა დროსა, სამეფოდ დღეში 18 მანეთსა, ვითარცა მიამბო ღენერალმან ვასილი იოსების ძემ ბებუთოვმან. დიდი მოღვაწე ქალაქისა განახლებაზედ, არა ზოგავდა არარასა ობოლთა, ქვრივთა და შეუძლებელთათვის. ჯიბე მისი, იტყოდენ მხლებელნი მისნი, არის შიოს მარანიო.

დღესა ერთსა მეფე ბრძანდებოდა ჩარდახზედ სასახლისა თვისისა წმინდისა გიორგისა ეკკლესიის გვერდზედ და იხილა მუნ ყმაწვილი 15 წლისა, რომელიცა სდგას შორს და უმზერის მეფესა, მეფემან მაღალისა ხმითა ჰკითხა მას: „ვინა ხარ ყმაწვილო?“ იგი წარსდგა მსწრაფლ და მოახსენა: „ვარ შვილი სიონის კანდელაკისა იოანესი“... „ოჰ — ბრძანა მეფემან, — მოკლულისა სპარსთაგან, წამებულისა ქრისტესთვის. შენ ხარ შვილი ჩემისა ნათლის-დედისა. მოდი, მოდი, რაგქვიან სახელი? გაბრიელ, შენი ჭირიმე! — მოდი დაჯეგ, დაჯეგ. სადა დგეხარ ეხლა?“ — „მეზობლისა სახლში“; — მაშინ შევიდა ოთახში, გამოიტანა თვით პატარა თალათინისა ყუთი, ამოიღო ჯიბიდამ გასაღები, გააღო ყუთი და ლურჯის ქისიდამ თვით თავის ხელითა იწყო თვლა აბაზებისა, „ოცდაათისა მანეთის აბაზი მიბოძა და რადგანაც არ მქონდა ხელსახოცი, თვით ამოიღო მისისავე ყუთიდამ ქაღალდი ლურჯი და ნახევარ თაბახში გახვია და მიბრძანა: „მიუტანე ესე ფული ჩემსა ნათლი-დედასა, დედასა შენსა და უთხარ ეხლავე გაიახლოს სახლი სადგურად ობოლთა“. — ამა ფულითა დროთა მათ, — მეტყოდა სიონის დეკანოზი გაბრიელ ქართველოვი, გარდაცვლილი 1866 წელსა, — აღვაშენეთ სახლიო, რადგანაცა იყო დიდი იეფობა მასალისა, მუშისა, კალატოზისა და აგურისა“.

მეფის ძემან და მემკვიდრემან დავით რუსეთსა ყოფნისა დროსა გაიცნა და მოინება შერთვა ცოლად რომლისაღაცა ტატისჩევის ქალისა. მობრუნებულმან საქართველოდ, იწყო მიწერ-მოწერა წერილთა გარსევან ჭავჭავაძის ძესთან და ვარლამ მიტროპოლიტთან (ერისთვისშვილთან), დროთა ამათ ს. ჰ. ბ. ჩლენად სინოდისა მცხოვრებთან. მეფესა გიორგის დიდად სურდა შერთვა ქალისა მის რუსთა გვარისა და აჩქარებდა საქმისა ამის დაბოლოებასა, რათა ბაგალითითა ამით დაკავშირდეს რუსეთთან თვით და ერიცა მისი და რათა მოაშოროს არაწმინდებით ცხოვრებასა — ბაყალ ავეტიქას ქალთან დაუმალველად. ერთი ესე ვითართა წერილთაგანი ნამდვილი, რომელიცა მე მაქვს, არის მოწერილი მეფის ძეს დავითთან ვარლაამისა; აჰა პირი ნამდვილიდამ ამ 1-ლისა ამის წერილისა.

„მათს უგანათლებულესობას, მეფის ძეს და საქართველოს მემკვიდრეს [დავითს] *,

ჩემს მოწყალე ხელმწიფეს!

ქვეშერდომით თაყვანისმცემელი მათს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ.

ხელმწიფეო ჩემო! თქვენი წიგნი მებოძა, და როგორც მმართებდა ისე ვიხარე თქვენის მშვიდობის ამბის სმენისათვის. ბატონს მეფეს წიგნი მივართვი, და მათს უმაღლესობას მოვახსენე, და თქვენც მოგახსენებ: ტატისჩოები ჰეშმარიტს პასუხს ითხოვენ, ამისთვის რომ ბევრნი თხოულობენ, და გათხოება უნდათ. და თქვენ ბრძანებას ელიან.

აქაური ამბავი ეს არის, ევროპაში დიდი ბრძოლაა. სუაროვს ** შვეიცარიაში საშინელს მთაში უღალსა და უვალს ადგილებში, რომის იმპერატორის ღენარალთ ცხენები დაუგვიანეს და ოთხი დღე იქ მოუხდა დგომა. იმ დღეებში საშინელი ქუხილი და ელვა, მძაფრი წვიმა თურმე იყო, და იმ დროს ფრანცუსნი განეწყვნენ, და დი[დი]ს სიმხნით და ძლიერებით იმ საშინელის ადგილიდამ გამოვიდა სუაროვ[ი]. მოკლედ მოგახსენებ, სუაროვი ასე სწერს ხელმწიფეს, ახლა რომ *** მოვიგონებთ იმ დღეს, ჩვენი სული შეძრწუნდება ხოლმეო.

---

* ეს სახელი პლ. იოსელიანს შეუტანია წერილში. დედნის პირში კი ის არ მოიპოვება (იხ. წ.-კ. საზ-ის 3053). რ ე დ.

** იგივე — სუვოროვი. რ ე დ.

*** დედანშია: „რომ ახლა რომ... რ ე დ.

ხელმწიფის შვილი კონსტანტინე პავლოვიჩიც იქ ყოფილიყო. და ამისთვის ხელმწიფემ სუაროვს ღენერალისიმუსობა უბოძა, და თავისი შვილი ცესარევიჩად გამოაცხადა. კნიაზ პეტრე ბაგრატიონიც დიახ კარგა გაისარჯა, და კიდეც დასჭრეს. ბუნაპარტემ ჯარი მისირში დააგდო და თითონ ფრანციაში მივიდა.

სხვებრ გეუედრები, მოწყალეო ხელმწიფეო, არ დამივიწყო, მონა ერთგული.

თქვენის უგანათლებულების მონა ერთგული, არქიერი ვ ა რ ლ ა ა მ.

ნოემბრის 18
წელს 1799

LXXXII

რავდენისამე წლითა წინათ წერილისა ამის ვარლაამ მიტროპოლიტისა (რომელიცა იქმნა 1811 ექსარხად საქართველოჲსა) გარსევან ჰავჰავაძემან აცნობა მეფესა მიწერილი პეტერბურღსა ამბავი დავითისათვის მემკვიდრისა, დანიშნულისა ოთარ ამილახვარისა ქალზედ ელენეზედ. მეფე, მოსურნე რძლად ტატიშჩევისა ქალისა, სწერს, სხვათა შორის, შემდეგსა პასუხსა. ჯერეთ მეფის ძეობაში და მემკვიდროობაში:

„მათს ბრწყინვალებას
ჩემს საკუთარს მეგობარს,

რა აქედგან თქვენი ბრწყინვალება წავიდა, მას უკან თქვენი წიგნი არ მოგვსვლია და თქვენი ამბავი გარჩევით არ გვსმენია და თქვენმა გონებამ უწყის, რომ თქვენის წიგნის დაგვიანება და ამბაყის უცნობელობა დიდად მოგვაწყენს, და ვინც წამოვიდეს თქვენს წიგნსა და ამბავს არ უნდა დაგვაკლებდეთ ხოლმე. მშვიდობა არის, ღეთის მოწყალებით. პეტერბურღს რომ მიხვიდეთ, იქ დიახ კარგისაგან ურჩეულესი იშოვება თეთრი კაპლი, რომელსაც ანადიონო ჰქვიან. ამისი სამი ანუ ოთხ სტილის (?) ოდენი უნდა გვიშოვნოთ და კაის ჭურჭლით და თქვენის ბეჭდით დაბეჭდილი უნდა ფოშტით გამოგვიგზავნოთ, ან ასეთის კაცის ხელით, რომ აქ ჩვენ მოგვივიდეს, მაგრამ დიახ კარგისაგან პირველი და ურჩეულესი უნდა იყოს, რომ ცუდი არ იყოს და ვიცით ცუდს არ გამოგვიგზავნით და ამას გარდა, სიცოცხლის წამალი რომ ჰქვიან იმ წამლისაც თორმეტი მინა გვიშოვნეთ და ესეც თქვენის ბეჭდით დაბეჭდილები და კაის კაცის ხელით გამოგვიგზავნეთ, რომ უეჭველად აქ ჩვენ მოგვივიდეს და ის ორივ კი

ჩვენთვის საჭირო არის, და ამისთვისა გთხოვეთ და ვიცით თქვენც გამოიმეტებთ და კიდეც იშოვნით და მაგიერს თქვენს რგებას და სიამოვნებას ჩვენც ვეცდებით; ჩვენთვის დოხტურსაც გამოეგზავნა, ცხოვრება არსებისა ჰქვიან, რომელიცა რომ მათს დიდებულებას უთარგმნინებია ის წამალი და იმისი ორი რიგი თურმე იქმნება; ერთი დიახ კარგისაგან და მეორე ცუდი და ეცადენით, რომ ცუდი არ იყოს და იმ პირველისა კარგისაგან გვიშოვნოთ იმ ცხოვრება არსების წამალისა და თორმეტი წვრილის მინებით იქმნება და ესეცა და ეს ზემოხსენებული თეთრი კაპლიცა ოთხი სტილი გვიშოვნოთ და გამოგვიგზავნოთ და ასეთს კაცს გამოუგზავნეთ ამ ჩვენი მხრისაკენ, რომ საეჭვო არა იყოს რა და აქ ჩვენ მშვიდობით და უნაკლულოდ მოგვივიდეს და შემდგომად თქვენს სიკეთეს, ამბავს და წიგნს ნუ დაგვაკლებთ, რომელიც ჩვენთვის ნიადაგ სასიამოვნო სასმენელი არის. დავითის ცოლის შერთვა და ქორწილის ამბავი გეკითხათ: იოანე ფეტიაშვილმა გვიანბო და თქვენი გული ამაზედ სარწმუნო ბრძანდებოდეს, რომ დავითს არც ცოლი შეერთოს, არც ქორწილი ექმნას და ვიზედაც დავითისაგან შერთვის ეჭვი არის, არც დავითისაგან იმისი შერთვა იქმნეს და დიდი სიცრუვე და ტყუვილიც არის და დაჯერებულიც ბრძანდებოდეთ, ამაზედ ასე შორს არის და თვით აქედგან პეტერბურღი როგორც შორს არის ისე ის საქმე. და უჩვენოთ ხომ ვერ დაიჯერდა დავით ამ საქმესა და ჩვენგან სარწმუნო იქმენ, რომ სიცრუვისა და ჭორის ამბავის მეტი არაფერი არ არის რა, და თქვენვე დიახ კარგათ იცით, რომ ტყუილის მეტი არა არის რა და გთხოვთ შენგან დაუვიწყებელნი ვიყვნეთ ყოველს საქმეში.

თქვენის ბრწყინვალების საკუთარი მეგობარი საქართველოს მეფის ირაკლის პირმშო ძე გიორგი

წელსა ჩღჟდ,
მარტის კზ.

თფილისს.

იმერეთის საქმისას რაღა გეხვეწო ამის მეტი; ახლა შენ იცი, რომ ის საქონელი არ დაგვეკარგოს. შენი ალალი თეთრი რომ მომცე შენის ჯიბიდგან, ისრე იქმნება“.

LXXXIII

1799 წელსა მეფის ძე და მემკვიდრე დავით, ურჩი მამისა, თვითნება და მგონებელი ბრძნად თავისა თვისისა, უმეტეს მამისა, ვითარცა მხილველი რუსეთისა, — შევიდა განსაცდელსა ძნელსა. სიხარბემან ფულისა და ნივთთა და მოლოდებამან, სნეულებისა გამო მამისა თვისისა უკურნებელისა, მეფობისა, რომლისა ძალითა ადვილად დახსნიდა ქორწინებასა, — აქმნევინა ესე, რომ არღა ინება შერთვა დანიშნულისა მასზედა ელენეს ამილახვრის სარდლის ოთარის ქალისა, არცა ტატიშჩევის ქალისა რუსეთს, და შეირთო სურვილისამებრ მამისა სვიმონ, აღად წოდებულისა აბი მელიქის ქალი ხამფერვან, რომელსაცა ნათელსცეს მართლმადიდებელისა ეკკლესიისა წესითა * და უწოდეს სახელად ელენე. — ქალსა ამას აქვნდა ფულად 8.000 მანეთი ფული დროთა ამათ დიდძალი და ესოდენისავე ფულისა ნივთნი და სამკაულნი. მეფე თვით დაესწრა რძლისა თვისისა მირონცხებასა სასახლისა წმინდის გიორგის ეკკლესიასა შინა. თანაშემწეთა აღსრულებისათვის ესრეთისა საქმისა იოანე ანდრონიკაშვილსა, დუცალ ბარათაშვილსა და ეგნატი იოსელიანსა, რომელიცა ასწავებდა მას ქალსა ადრევე ქართულსა, წერასა და საუბარსა, უბრძანებდა მეფე იდუმალ დაახლოვონ მისდა შვილი მისი დავით.

დღესა მესამესა შემდგომად ქორწილისა მეფემან, რათა მტერთა არა მისცეს მეტად მიზეზი დღესასწაულობისა, დასუსტებისათვის მეფობითისა ღირსებისა, — თვით წარვიდა, ნახა რძალი თვისი, ამბორსუყო, და აკურთხა და უბოძა პირის სანახავად ქარვასლა სახასო ქ. თფილისს ძველად როსტომ მეფისაგან აშენებული და სოფელი გურჯაანი სახასო ყმებითა და მამულითა და ოქმისა ბოძებითა, მასვე დღესა მეფისაგან დამტკიცებულითა. ჰგონებდა მეფე, რომელ ესრეთითა ქორწინებითა ძე მისი დავით გამოვიდოდა ცოდვიდამ და განუტევებდა ბაყალ ავეტიქას ქალსა, შეყვარებულსა ადრითვე, რომელიცა შემდეგ წარიყვანა რუსეთსაცა და მუნ მოკვდა. მტერთა სდუმნეს. გარნა, თვით დავით მოსული გონებასა, შევიდა სინანულსა. არცა

---

* მონათლვა კანონისამებრ ანტიოქიისა კრებისა სომეხთა და მირონცხება იყო წმ. გიორგის სასახლის ეკკლესიაში. თვით მეფე სკამხედ მჯდომი დაესწრო მუნ. ნათლიად ანუ მიმქმელად იყო თავადი დავით თარხნიშვილი, მიმბაში. ესე ამბავი მითხრა შვილმან მისმან, ვითარცა მამისაგან გაგონილი ღენ.-ლეიტენანტმან იოსებ თარხანოვმან. პ ლ. ი ო ს.

გვარი თავადობისა, არცა სიძველე და ჩინებულება გვარისავე, არცა კავშირი რაჲმე დიდკაცობათა ქვეყანისა, არცა მეფობითი აღზრდა ჰაზრითა და ქცევითა, — არა აქვნდა მეფის რძალსა და მემკვიდრისა ცოლსა სადედოფლოდ ბაგრატიონის ტახტისათვის მომზადებულსა. მეფემან, განსადიდებელად გვარისა მისისა, მიუბოძა მისსა გვარსა თავადობისა ღირსება [39], გარნა რასა ეკმაებოდა ესე სომეხთა ქალსა, რომლისა მოყვარენი და ნათესავნი იყვნენ ვაჭარნი და დაბლისა ხელობისანი. დაჰკა ერთი მისიე მეფის რძლისა, სახელად მაია, სომხადვე დაშთენილი, ჰყვანდა ცოლად მოქალაქესა თფილისელსა... გულასპოვსა ვაჭარსა. ამილახვარი ოთარ, ეცინოდა მეფისა სახლსა დაწუნებისათვის მისისა ქალისა. შეიძულა ოთარმან იუსტინე მთავარ ეპისკოპოსი, რომელსაცა პატივს სცემდა მეფის რძალი ელენე და სწყალობდაცა დიდად [40]. ამისთვის მეფემან ინება და შერთო უმცროსსა პირველისა ცოლიდამ, შეილსა თვისსა თეიმურაზს. თვით მეფის რძალი ელენე იყოფოდა გარდაცვალებადმდე მეფისა თვისსა ქმართან არა პატივცემულად მისგან და შემდეგ გარდაცვალებისა განაძიაცა თვისგან და ჰგონებდა გაშვებასა. იწყო საქმემან დეკასტერიაში და არღარა გამეფებულმან მიიღო საქართველოსა კონსისტორიიდამ, კათოლიკოსის გარდაწყვეტილებითი უარი დახსნისათვის ქორწინებისა. დავით წარვიდა რუსეთს 1803 წელსა და მეფის რძალი ელენე,

---

[39] მამა მისი აღა ანუ სვიმონ ცხოვრებდა ასტრახანსა და ვაჭრობდა შვილთა შეწევნითა. შვილნი ესენი იყვნენ ზურაბ, სვიმონ, დავით და იოანე, თუმცა უხაროდ[ა]თ მეფისათანა მოყვრობა და გვარის შოვნა, გარნა შესწუხდენ ოდეს მდიდრად გათხოვებისა გამო დისა თვისისა, შევარდნენ ვალში და დასუსტდნენ ქონებითა. აჰა ერთი წერილთაგანი სვიმონისაგან მამისა ჩემისადმი მოწერილი 19 მარტსა 1800 წელსა, შემდეგ ჯვარის წერისა, რომელიცა იქმნა 1799 წელსა:

...[წერილი არ არის მოყვანილი და ცარიელი ადგილია დატოვებული. რ ე დ.]

[40] აქა ვიტყვი რავდენთამე მთავარეპისკოპოსთათვის, რაჲცა გავიგონე მეფის ძის მიხაილისაგან.

1) კ ი რ ი ლ ე, გვარით ციციშვილი, ბიძა გიორგი სარდლისა სიმამრისა თვით მეფისა გიორგისა, დროსა დომენტის ტყვეობისსა ოსმალოსა, მიანდვეს მას კათოლიკოსობა. ოდეს მოვიდნენ ოსმალნი ასაკლებელად მცხეთისა და სხვათა ეკკლესიისა საუნჯეთა, სცემეს მას მრავლად, რათა აჩვენოს მას სამკაულნი და თაბლითა დააყრევინეს ფერხთა ფრჩხილები. შემდგომად დაბრუნებისა დომენტისა სტამბოლიდამ ჩააბარა მას კათოლიკოსობა და თვით იწყო ცხოვრება მარტივისა ბერისა. იყო მცოდნე სპარსულისა და თათრულისა, საყვარელი მეფისა, ნასწავლი მჭერმეტქვი და სიტყვა მარჯვე; მიწერ-მოწერა მისი ანასტასიასთან (წიგნმან ამან არ მოაწია ჩვენადმდე) მეფისა ირაკლისა დედინაცვალთან, მოწმობს მისსა სიბრძნესა. იტყოდა სადმე, მეფისა ვახტანგისა დაჲ ნათესაებ მისი მასწავებდა დიაკონობისა დროსა კმევასაო. რავდენჯერმე აღიყვანეს ხარისხსა და გამოძიესო დროთა ამბოხისა გამო. გარდაიცვალა 90 წლისა 1774 წელსა. მის შემდეგ იყვნენ:

ბრძანებითა იმპერატორისა ალექსანდრესისა, მივიდა პეტერბურღსა 1810 წელსა და გარდაიცვალა მუნ 1836 წელსა.

თვით ელენე მეფის რძალი და მემკვიდრისა ცოლი იყო ემბაზით მიმქმელი ჩემი. ამისთვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარული მასთან 4 წელსა ს. პ. ბ. (1831 — 1835); იყო პატიოსნებითა სავსე, მოშიში ღვთისა, მორწმუნე ქრისტიანე, გარნა არა დამტევებელი სრულიად სომეხთა სარწმუნოებისა: საუბარი მისი, მიქცეული სომხურად, არა იყო დიდკაცური ქართული; ქცევა არა ქართველთა დიდთა გვარისა ქალთა ჩვეულებრივი; არა მოყვარე მეფისა სახლისა წევრთა და არცა მათგან ყვარებული; — უნებდა მას დასაფლავება თვისი... სოფელსა *... მდებარესა პეტერბურღით ცარსკის სელოსა მიმავალთათვის, აღშენებულსა ეკკლესიასა და არა თვისსა ქმართან ნევსკისა მონასტერსა. ამისთვის მოჰედა მან მკვრუვისა ოქროთი ხატი ღვთისმშობლისა და ამკობინებდა მას მრაველითა თვალითა და მარგალიტითა და ნებავდა დადებულიყო ხატი იგი თვით მასვე ეკკლესიასა საძვალეედ მისდა დანიშნულსა. მიბრძანა და გავუკეთე რუსულად და ქართულად ზედაწარწერა. წარმოსულმან რუსეთიდამ, ვერ ვსცან, სადა დაიდვა ხატი ესე, რადგანაცა თვით დასაფლავდა ნევსკის მონასტერსა.

---

2) ტიმოთე.

3) იოსაფ ყაფლანიშვილი, ძმა დავით სარდლისა.

4) ბესარიონ გოსტაშაბიშვილი, ალმასხან ბატონიშვილის ნათლია რომელიცა კიტრისა ჰამითა დაირჩო და განითქო: ეშმაკებმა დაარჩეს. [ამ სიტყვას ზ. ჭ-ის გამოცემაში მისდევს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები: „ძმა დავით სარდლისა“, რაიც რედაქციულ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. „ცხოვრებას“ ხელნაწერში (საისტ. საეთნ. № 2301) ის არ მოიპოვება და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან გოსტაშაბიშვილი დავით სარდლის (ორბელიანის) ძმა ვერ იქნებოდა. რედ.]

5) პაისიოს გარსევანაშვილი, ნამღვდელავი, რომელსაცა, სწამებდენ ფრანგობასა; — შეუ გიორგი არ მიენდებოდა მას ფრანგობისათვის.

6) იოანე ქარუმიძე, ონოფრე ბერისშვილი, კაცისა დიდად წმიდისა და მოღვაწისა. გარესჯას გარდაიყვანეს წილკნიდამ.

7) იუსტინე მაღალაშვილი, უკანასკნელი, გადიყვანეს რუისიდამ.

* მგონია პულკოვო ერქვა სოფელსა ამას. მუნ არის ეკკლესია ბორცვსა ზედა. აქა უნებდა დასაფლავება [პ. ი.].

აჰა ორიცა მისი წერილი, მოწერილი მამისა ჩემისადმი:

[1]

წელსა ჩყიგ.
ღვინობისთვის კვ-სა.
პეტერბურხით.

„მაღალ-ღირსო უფალო ეგნატი,
ჩემო სულისა მამავ!

მერმეთ ჩემს მაკურთხეველ მარჯვენას ანბორს მოვახსენებ და თქვენ მშვიდობას და თქვენის ცოლშვილის ღმერთსა ვთხოვ. ვიცით რომ ჩემს ამბავს იკითხავთ, ესრეთ იცოდე ჩემი ანბავი. მარიამობის თოთხმეტს აქეთ, მე ჩემს ძმა დავითთან ვარ. თავისის ხასების რჩევით ისრე ინება ჩე[მ]მა ქმარმა. ახლა კი დიდად წუხს და დიდათაც მეხვეწება, რომ შეურიგდე, მაგრამ მე არ ურიგდები. ამ დღით მოციქულების გზავნით და წიგნების წერით ილაჯი აღარა მაქვს, მაგრამ მე არ ურიგდები; ღვთითაც, თუ ხელმწიფე მშვიდობით მობძანდება, ღვთით ჩემი საქმე ყველა კარგათ მოხდება. იმას კი თავისი ხასები ველარას უშველიან. ესრედ იცოდე ჩემი ანბავი. ამაზედ მეტს ვერას მოგწერ. მერმეთ გთხოვ, ჩემო ეგნატი, დიდათაც დაგიმადლებ: ეგ ჩემი ოცი თუმანი ბატონისშვილს თეკლეს გამოართვი, და დუქნების ქირა. ის ფული ვანელ გეურქას მიეცი მანდ და იმას აქ ფული აქვს არტემ ბუღდანიჩთან, ის მე აქ მომცემს, თავისის ანგარიშით. როგორც მანეთი გადის ხომ იცი და მომიწერია კიდეც მე, რომ აქ ვალი მჭონდა ოთხასი თუმანი, ზოგი მივეცი და ზოგი კიდევაც დამრჩა მისაცემი. კიდევაც ამას გეხვეწები, რომ დუქნების ქირა და ეგ ოცი თუმანი გამოართო და გეურქას მისცე და საჩქაროდ მოაწერინო, რომ მე აქ არტემ ბუღდანიჩისაგან მამბარდეს. ამას მაგისი თეთრი აქვს აქ და მალეც მომცემს. ამას გარდა კიდევ ამას გეხვეწები, რომ გურგინ ბეგასშვილს სტეფანეს ეგ ჩემი თამასუქი და გიორგის თამასუქი გამოართო და გამოგზავნო. ორკეცი ფასი მიეც ფოშტისა და არ დაიკარგება. არტემ ბუღდანიჩის სახელზედ ნევსკის ფიშეხტზედ სომხის საყდარში. ესრეთ მოაწერე და არ დაიკარგება. თუ სტეფანე სახლში დგას, გაჭილის თვეების ქირაც გამოართვი, ისიც გამოგზავნე. ახლა შენ იცი, როგორც გაირჯები ჩემს მამულებზედა გურჯაანზედ, ან ქარვასლაზედ როგორც კაის ფასათ გასცემთ. ამ იანვარში უნდა ეცადოთ რომ კაის ფასათ მიიცეს, რომ არ დავი-

ღუპო. ჩემი სიცოცხლე მაგაზედ ჰკიდია; თუ ცოტად გაიცემა, აქაც, ისე იფიქრე, იმ ანგარიშით მომეცემა და თუ მეტად მიეცემა, იმის ანგარიშით მომეცემა, ესრეთ იფიქრე, ამაზედ მეტს ვერას მოგწერ. მაგაზედ ეცადეთ, რომ სამასამდინ ეგება ავიდეს მაგისი იჯარა, რომ არ დამღუპოთ. თუ ესრეთ არა,—საუკუნოდ დავიღუპები. მინისტრი მისწერს ვასილიევს გურჯაანისთვის და ქარავასლისთვის, ახლა თქვენ იცით, როგორც კარგათ მოსწერთ და ან მოაწერინებ ვასილიევს. იმის ცოლს ჩემ მაგიერ შეეხვეწე რომ კარგათ მოაწერინოს თავის ქმარს. მასუკან მე ვიცი როგორც ვემსახურები. ასრე არწმუნე, ეგ რომ ეცადოს კარგათ მოწერას. ახლა შენ იცი, როგორც გაირჯები მეტადრე ქარვასლაზედ, რომ ცოტას ფასით არ გასცეთ და არ დამღუპოთ საუკუნოთ. თქვენი ქრისტეს გულისთვის ჩემი სიცოცხლე ხომ იცი მაგაზედ ჰკიდია; ახლა შენ იცი, ამაზედ მეტს ველარას მოგწერ ახლა და ამის იქით სხვას წერილით მოგწერ ჩემს ანბავს.

თქვენი მშვიდობის მოსურნე მეფის რძალი ე ლ ე ნე“.

[2]

„მაღალ ღირსო უფალო მღვდელო ეგნატი ონისიმოვიჩ,

ჩემო სულის მამავ!

მერმეთ დიდი ხანია თქვენი ამბავი არა შემიტყვია. მგონია რომ მემდურებით. ჯვარი გეთხოვნა, არ გამოგიგზავნეთ. შენც იცი, რომ ერთი დღე შესვენება არა მქონია მწუხარებისა გამო ჩემის მეუღლისაგან: ცოცხალი იყო მტანჯავდა; მკვდარი უარესად მტანჯავს. მგონია, რომ შენც შეიტყობდი კაჭკაჭოვის ჩივილსა, აქ მინისტრისათვის მოეწერა ერმალოვს, რომელიც იმის პასუხი მოუა. ახლა იქნება კიდევ სასამართლოდ შეიქნას. ჩემთვის დიდად საჭიროა, რომელს წელიწადში დაიკარგა ან რომელს ჩისლოში. ერთ თოთს ქაღალდზედ დანიშნე და გამომიგზავნე, რომ ჩემთვის დიდად საჭირო არის, მინდა ლითვინოვისაგან მოწმობა მოვატანინო. საჩქაროდ მომწერე. ამათ გარდა, კაჭკაჭოვმა რომ წიგნი მომცა, ის წიგნიც გამომიგზავნე. მე რომ ასი თუმნის თამასუქზედ ხელი მოვუწერე თავდებობისა მანამ იმან ხელწერილი არ მოგცა, მე ხომ არ ეუწერდი. მას უკან იმან ერთი წიგნი მომცა, რომ თუ იმ ასი თუმნის თამასუქის თეთრს მე ვინმე მთხოვდა, იმის ყიზლარის ვენახი უნდა გაყიდულიყო და იმ თამასუქის ფული იქიდამ უნდა მისცემოდა. თუმცა იმ წიგნის პირიც მე აქა მაქვს, მაგრამ ახალი სჯობს რომ მე აქა მქონდეს. ის რომ შენ გედა-

ვებოდა შენს საპიროთ გამოგიგზავნე, იმისი ასლი, ვინც ის გადიღო, თარიღი დავიწუებია. თუ ქრისტიანი ხარ, ეს ჩემი თხოვნა საჩქაროთ ფოშტით მიბოძე; რომ მალე ლითვინოვისაგან მოწმობა მოვიტანო. ის ციხეში დასმას უპირობდა და მე დავიხსენ და ახლა იმის მაგიერია რომ მიჩივის. ღვთის ძალით მაგის სიმტკუნეს მალე გამოაჩენს. სხვა რაღა გეხვეწო, ჩემი სათხოვარი შეისმინე; სხვა იყავ მშვიდობით.

თქვენის მშვიდობის ამბის მოსურნე მეფის რძალი ე ლ ე ნ ე.

დიდათ ავათა ვარ. ეს წიგნი ავანტყოფმა დავსწერე. ამ საპიროებისთვის, თორემ არ შემეძლო წერა.

დეკემბრის ი-ს, წელსა ჩყვ-ს--".

LXXXIV

თვით მეფის ძე დავით ესრეთისა ქორწინებითა ჰგონებდა დაკავშირებასა სომეხთა მდიდართა, ქართველთა-თანა და მოყვანასა მათსა ერთობისადმი ეკკლესიისა. გარნა შესცდა. სომეხნი განბნეულნი სპარსეთისა, ოსმალისა და სხვათა ადგილთა არიან ყოვლად დაცემულნი ზდილობითა; — უქონელნი მამულისა არიან, უქონელნი სიყვარულისა თვით კეთილისა მოქმედთადმი მათისა; დამვიწყებელნი თვისისა ენისა და მოსაუბრენი სხვათა ზედა ენასა, რომელთა იგინი ემორჩილებიან, ვერ სცნობენ რასათვის არს მშვენიერება ლექსთა და ჰაზრთა გამოხატვისა; არა უწყიან რა უყვარდეს, ვინ უყვარდეს, სად უყვარდეს, რას ეტრფოდეს. განვარდნილნი ერთობისაგან სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა და კვალად შეხიზნული ლათინთა — ეკკლესიასა, არა უწყიან თვითცა რასა შინა მდგომარებს მათი ეკკლესიისა ღირსება. მილიონიდგან განბნეულისა სომეხთაგან ერისა კნინღა ნახევარი წარიტაცეს ლათინთა; დანაშთენი ერთ-ნახევარი დაცინებულნი ყოველგან, გინებულნი სპარსთა და თურქთაგან, არიან სრულად ცივად მხედველნი გულგრილნი. სახლი მათი სხვათა ადგილზედ, ვაპრობა მათი უცხოსა ნათესავთან, მეგობრობა სიცრუითი — შესაძინებელად რისამე! — ვერსადა განიზრახვენ მეფობასა თვისსა, ვერვისთან იტყვიან მეფეთა თვისთა ტახტისათვის; თვით მწერლობა მათი, ლათინთა მოძღვართაგან ნამუშაკევი, არის მათთვის ანუ ვერ გასაგონი, ანუ საცნოდ მათისა ეკკლესიისა მისაღები. სომეხთა ეკკლესიისათვის იტყოდა ბესარიონ კათოლიკოსი, — სირცხვილიც არის ვისაუბროთ და სადაა ეკკლესია ესე და რა ღირსება უნდა აქვნდეს მას, სადაცა ორი დიდი ეკკლესია აღმოსავლეთისა და დასავლეთისა საუბრობს, და მესამეცა ეკკლესია დიდი ლუტერისა ჰყვავის მეტობითა მათვე

ორთა დიდთა ეკკლესიათა. თვით გონიერნი სომეხნი ხშირად სადამე მოიხსენებდენ ანუ მართლისა გულითა ანუ ცბიერობით თავთა თვისთათვის: ნუ უმე ვინცა საჯინიბოს შინა დაიბადება, არის იგი ცხენი? ესრეთ სძაგთ სხვათა თანა თქმა, რომელ არს იგი სომეხი.

LXXXV

მეფის ძესა გიორგის არ უყვარდა სომეხნი, ვითარცა დამკარგველი ძველადვე მეფობისა, ვითარცა არღა მექონი მამულისა და განბნეული ქვეყანად, ვითარცა ენისა არღა მექონი და სხვათა ენათა ზედა ცუდად მოუბარნი, ვითარცა განვარდნილნი ადრითვე მართლ მადიდებელისა ეკკლესიიდამ, — ერი ესე ახალ ისრაილად წოდებულ იქმნა. ვაჭარი მსყიდავი და გამსყიდავი, ცრუ, მატყუარი, უპირო და უპურო. ერთგული მისი, ვისგანაც აქვს გამოსარჩენი და რომელიცა მას შეისყიდვის ანუ ფულითა, ანუ პატივითა, ანუ სხვითა საჩუქრითა. დავით აღმაშენებელი, რომელმანცა შემოიხიზნა იგინი და დაასახლნა გორსა, თვით ხნანოდა, ოდეს იხილა გარყვნილი თესლი, მეფობისა დამკარგველი. კრებისა კანონთა შინა, რომელიცა იქმნა ქალაქსა მცხეთას მის დროს, იტყვის სხვათა შორის: რათა ერი მისი ქრისტიანე იყოს მოძულე ცოდვისა მის სოდომელთა, რომელმანცა წარწყმიდნა ბაბილონი და რომელმანცა დაუკარგა მეფობა სომეხთა. თამარისაცა დროსა სძაგდენ იგინი ქართველთა. ამისთვის ჰგონებდენ ერთობითა სარწმუნოებისა, მოეყვანათ სულისა ერთობასაცა ქართველთა თანა.

ჰაზრსა ამას გამოხატავს მოლექსე დედოფლისა თამარისა შავთელი... ოდეს იტყვის:

სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი,
ღმერთმან არ ღირს-ჰყო უფლებათასა.

(მუხლი 85)

LXXXVI

მეფის ძე გიორგი ხშირად იტყოდა ორგულობითა მოქცევასა ყორღანიშვილისაგან, აღწერილსა ვახუშტისაგან. მწუხარისა ხმითა მოუთხრობდა, ვითარ განსცა მან მეფე სვიმონ და შთააგდო თურქთა ტყვეობასა, და ვითარცა მემკვიდრემან მისმან ამოწყვიტა ყოვლადი გვარი ყორღანაშვილთა დიდით მცირემდინ, და ვითარცა ერთისა

ყრმისაგან, ძიძასთან გაბარებულისა, კვალად გაბეერდა გვარი ყორღანაშვილთა. ყორღანაშვილისა მილახვრისა გამო დარეჯან დედოფალი * იტყოდა შემდეგსა:

გაიგონე რა გიამბო! დღესა ერთსა გროვამან ათასმან მგელთა მშიერთა, ვერ ჰპოვა საზრდელი. ერთმან მათგანმან ჰპოვა მძორი მინდორსა. — წარვიდა და აცნობა შეშინებულთა მგელთა და ფრთხილთა გაგზავნეს ერთი გამბედავი თვისაგან აცნობოს რა არის ეს მძოვრი მყრალი უმაგალითოთ, უჩვეულო მათდა. მისულმან მგელმან იხილა მძორი, დასუნა და ნახა მძორი კაცისა მყრალი; უკუმოიქცა და უამბო: ეს მძორი ყორღანაშვილისა არისო. გაექცნენ მგელნი და მოერიდენ მძორსა ცუდსა.

LXXXVII

სომეხთა შეაწერდა ხარჯსა ოდესმე მძიმედ; და ოდეს გაახსენებდენ შეუძლებელობასა მათსა, მაშინ ეტყოდა: გაიგონე რა გიამბო! სომეხსა შეარჩინე ერთი ბისტი; ერთს თვეზედ გახდის ერთ თუმნად. ერთსა ბისტსა!—როგორ? ბატონო მეფეო?—ჩვენვე,—იტყოდა მეფე, მოგვატყუებს და ჩვენითვე გამდიდრდება.

LXXXVIII

ვითარცა მართლმადიდებლობისა მოყვარე, ერთობისათვის ეკკლესიისა, მრავლად მეცადინებდა მათსა მოქცევასა. არა სძაგდა ეკკლესია მათი, არცა წესი მათისა ეკკლესიისა, არცა ხმა მათისა გალობისა. — მოქცევა მათი, საჭიროა, ეტყოდა რუსეთისაცა ელჩსა კოვალენსკისა, ქვეყანისათვის. ადვილად გამცემი ქვეყანისა სომეხი, ერთს გროშზე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა და სხვათაცა ქვეყანაში არა აქვს რა შესატკივარი გულისა, არცა კოშკი მამა-პაპათა, არცა ციხე ძველი, არცა ხმალი წინაპართა, არცა დროშა, არცა მატურა, მეფეთა. — დღესცა მოსაცთუნებელად სპარსთა და თურქთა, სადაცა არიან განბნეულნი მათნი სომეხნივე, — მარადის მოვისყიდით ჯაშუშად სომეხთა უნებურთა, და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა. ასეა მათი ბუნება. დიდად საჭიროა ჩემისა სამეფოსათვის თესლი ესე განბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნო-

*) ხელნაწ. „დედოფლისა". რედაქტ.

ებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოჲთა ნათესაობითა. — ვითარცა ვაჭარნი, საპირონი არიან, და ვითარცა ქვეყნისა მცხოვრებნი, დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი; არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი სასწორისა*, სადა და ოდეს დაედვნენ და ვისა მიმართონ: ოსმალოსა ანუ ყიზილბაშსა. თვით უპატივცემულესი მათ შორის ჩემსა კარზედ, პატივსცემს ფულსა და გამოსარჩენსა. ეს არის მათი ღმერთი და მას თაყუანსა სცემს. ეკკლესია სომეხთა არის დანახეთქი რაჲმე ძველად დაწყობილისა შენობისა; ნეშტი გოდლისა დაცემულისა, რომელიცა ჯერეთ არ იყო შესრულებული; — დროთა მათ ოდეს სომეხნი განვარდნენ ერთობისაგან მართლმადიდებლობისა, ე. ი. რომაელთა და ბერძენთა ანუ აღმოსავლეთსა და დასავლეთსა, — დიდნი ეკკლესიისა სვეტნი ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგორი ღვთისმეტყველი და სხვანი აწყობდენ ეკკლესიასა 318 წლიდამ განთავისუფლებულსა დევნისაგან იმპერატორთა და წარმართთაგან, — ეკკლესიასა მიეცემოდა წესი და რიგი, მშვენიერება და სამკაული შენობათა გარე და შინაგან; მოიძიებდენ ძველად მოციქულთა დროთაგან მიღებულთა კანონთა და მცნებათა დღესასწაულთათვის; აღიწერებოდენ მოთხრობანი მოწამეთა და ღირსთა და სხვანი. — ესე ყოველი იყო მიზეზი, რომელ სომეხთა ეკკლესია დაშთენილი გარე ერთობისა დიდ ეკკლესიათა თანა ზღუდისა, ვითარცა შვილი უძღები, ჰრბის ველსა ბრმად და უპატრონოდ; — უპყრია წესდება ძველისა დაუფუძნებელისა, დაუწესებელისა ჯერეთ ეკკლესიისა, ე. ი. შობა და ნათლისღება დღესა ერთსა, მარხუათა დღენი ნებსითნი და მოვალეობითნი; და ბეჭედი მღედელმთავართა ხელთა ზედა, ვითარცა აქვნდათ არიოზელთა ოდესმე; უცომოთა ზედა შეწირვა, სამწმინდაობისა გალობასა ზედა დამატება: „რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის პეტრე მკაწვრალისა (ფულლონისა)“; ლიტურღიაც არცა ვასილისა, არცა ოქროპირისა, არცა გრიგორისა ღვთისმეტყველისა; დიდსა შაბათსა განსხნილება თევზითა და ერბოთი, ერთის სიტყვითა არღა ესმათ ხმა და სწავლა აღსარებათა, რომლითაცა დაფუძნდა ეკკლესია მსოფლიო, ე. ი. აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.

განშორებულმან ქრისტიანობისა დედა ქალაქთა, — რომსა, კონსტანტინოპოლეს, ანტიოქიას, ალექსანდრიას და იერუსალიმსა, — სომხითმა არღა ისმინა რამე, და ვითარცა ყრუ, დაშთა ბრმად მჯდომი შორის ორთა სამეფოთა სპარსეთისა და საქართველოჲსა. შემდეგ განბნეულმან პირსა ქვეყანისასა, ვითარცა ახალთა ისრაჱლთა, არღა რა მიიღეს მათი და მხოლოდ დროთი დროდ დასუსტებისა გამო თვით საბერძნეთისა, — წარიტაცეს ლათინთა მისირში, ლიბანსა,

* ხელნაწ. „სასწვრისა“. რ ე დ.



ვახტანგ ბატონიშვილი

ტურციასა და თვით ევროპიისა ნაწილებშიაც, სადაცა იგინი შეიხიზნეს პაპისა მოსაეთა.

დღესცა ჰგალობს შარაკანთა შინა თვისთა, ე. ი. საგალობელთა გიობასა და შეურაცხებასა ხალკიდონისა კრებისა კანონთა; — უწოდებს მას მგელთა ხროვად, ფლავიანეს მოწამესა ჰგონებს მწვალებელად; ადიდებს და აღიარებს წმინდანად დიოსკორესა და ევტიქისა და რად? თვით სომეხთა ეკკლესიამან არა უწყის. მაგინებელი ხალკიდონისა კრებისა, აღიარებს სწავლათა და დოღმატთა, მუნ დამტკიცებულთა აღმსარებელი წმინდანად დიოსკორესა და ევტიქიასა, — არა აღიარებს დღეს მათთა წვალებათა, რომელთათვისცა განიდევნენ იგინი და შეჩვენდნენ. — ესე ვითარნი უწესობანი აქვს სომეხთა ეკკლესიასა, — ობლად, გარედ დაშთენილსა და მტერთაგან შინაგანთა (ნახევარ სომეხთა, ე. ი. გაფრანგებულთა) და გარეგანთაგან დაჩაგრულსა და დაცინებულსა სიმცირისა გამო სარწმუნოებისა მათისა აღმსარებელთა. თვით რიცხვი ესე არის განბნეული, მიფანტული სხვათა და სხვათა ქვეყანისა კერძოთა, არა მექონი მამულისა და დედაქალაქისა; არცა კათედრის ერთობისა. სხვა არის კათოლიკოსი ეჩმიაწინისა, სხვა არის კონსტანტინოპოლისა და სხვა მისირიისა ადგილთა, რომელნიცა ერთი მეორესა არა მორჩილებენ და არცა ვისგანმე დამოეკიდებიან. კატეხიზმოცა ანუ სისტემაცა ღვთისმეტყველებისა მათისა ეკკლესიისა, არს კათოლიკეთაგან შედგენილი რომისა ეკკლესიისა წესდებითა, და საკუთარი რაჲცა აქვსთ, ანუ რუსთაგან შედგენილი, ანუ არა სრულიად და ნათლად გამომეძიებელი მათთა დოღმატთა.

LXXXIX

მეფემან გიორგი გამეფებისა შემდგომად მისწერა წერილი მეფეთა ჩამომავალსა, ვახტანგ მეფისა შვილისშვილსა, გიორგი ალექსანდრეს ძეს გრუზინსკის, რომლითაცა ევედრებოდა მისცეს და დაუბრუნოს ქვეყანასა ჯვარი წმინდისა ნინასი. წერილი ესე იყო მესამე, მიწერილთა შორის მეფეთაგან თეიმურაზისა და ირაკლისა. ვაჟარსა სომეხსა მიმავალსა ასტრახანს, გაატანა იგი და უბრძანა გარდასცეს შუნით ნიჟნი ნოვგოროდსა, სადაცა სადგურებდა თვით გიორგი ალექსანდრეს ძე. კოპიო წერილისა ამის, დაწერილისა მამისა ჩემისა ხელითა, არის ესე:

„უგანათლებულესო და დიდებულო ძმად და ბიძად საგულებელო გიორგი, თ ა ნ ა-მ ო ს ა ხ ე ლ ე ო ჩ ე მ ო [ესე ლექსი თვით მეფესა ჩაერთო]! ღმერთმან მამათა ჩვენთა, ინება და მომცა ტახტი ქართველთა

მეფობისა. გაოხრებულსა მტერთაგან, აკლია ახალი რაჲმე წყალობა, სასოება და ნუგეში. პაპისა და მამისა ჩემისა თხოვითა დაეურთავ ვედრებასა ჩემსა: მოანიჭეთ ჯვარი წმინდისა ნინასი, — საუნჯე ქართველთა ქართველთავე; ჰქმენით სახელი და საჩუქარითა ამით დაასაჩუქრეთ ეკკლესია წმინდა ჩვენი. განსვენებულმან გიორგი პაპამან თქვენმან მოსცა ხატი ძვირფასი ღვთისმშობლისა სიონისა და გვაქვს სიქადულად. ნუ მიხედავთ დროთა წარსრულთა და ოჯახისა შფოთსა: თუ ინებებთ და თვით მობრძანდებით, როგორც იწერება გაიოზ ასტრახნიდგან, დიდად მოხარული ვიქმნები, ვეცდები გასიამოვნო და გაამო, ვითარცა ძმასა ძმამან და ბიძასა ძმისწულმან. ინებოს ღმერთმან, ესე აღსრულდეს. მობრძანებადმდე თქვენისა, ინებეთ ბოძება ხატისა, აკურთხეთ მით კვალი გზისა თქვენისა რუსეთით ქვეყანასა ჩვენსა და განუსვენეთ ესრეთ დიდისა დროჲთ მოლოდინსა. ველით პასუხსა მეცა და სამღვდელო და საერო დასიცა. მოკითხვასა მოვახსენებ სახლობასა თქვენსა, სისხლსა და ხორცსა ჩემსა.

ამბავი ჩვენის ქვეყანისა მტერთაგან შევიწრ[ო]ებულისა, თქვენც მოგეხსენებათ. რუსეთი თუ არ შეგვეწია, უჭირს საქრისტიანოსა. მაქვს მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფესთან. სპარსთა ვეღარ ვენდობით. თურქი ავის თვალით გვიყურებენ. ლეკი ვერ დასცხრა ავაზაკობისაგან, შინაურის მტერისა არ მეშინიან. არიან მჩხავანნი კატანი.

როინ გედევანიშვილს უბრძანე მოსვენებით იყოს: ნუ კადნიერობს. გაიოზიც უმადური არის სადმე მისი. იმას ნურას ერწმუნებით: თქვენი ერთგული ძმა და მეგობარი გ ი ო რ გ ი.

იჳნისის 10 დღესა
1798 წელსა!“

მეფე
გიორგი

ეს წერილი იყო უკანასკნელი მეფეთაგან ჯვარისათვის წმინდის, ნინასა. მეფის ძეთა მირიან, ფარნაოზ და სხვათა მიამბეს, რომელ მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა წერილი პავლე იმპერატორთან მისაწერი, დაწერილი ხელმოუწერელი და ბეჭედ დაუსმელი, რომლითაც ეევედრებოდა მას გამოსთხოვოს იგი უსამართლოდ დამპატრონებელთა ჯვარისა. უკეთუ თხოვითა ამითაცა არა ეშველებოდა საქმესა, მაშინ აპირებდა ექმნა კრება სამღვდელოთა და კრებისა განაჩენისა ძალითა მოეთხოვნა საუნჯე ქვეყანისა. ეჭადოდნენ შეჩვენებითისა განაჩინებითისა წარვლენასა. ესე და მორიდება რუსთა იყო მიზეზიო, რომელ

გიორგი ალექსანდრეს ძე დაეშურა და წარუდგინა იმპერატორსა პავლეს (ალექსანდრეს) * და ამან შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა გიორგისა, წარმოუელინა საქართველოსავე 1801 წელსა და დაიდვა საფარველად ერისა სიონისა თფილისს ეკკლესიასა შინა.

თაყვანის საცემლად ჯვარისა ამის წარვიდოდნენ ქართველთა მღვდელთმთავარნი მოსკოვიდამ ნიჟნა-ნოვოგოროდსა ს. ლისკოვოს: პაფნოტი არქიეპისკოპოსი ხოზიაშვილი [41] იოანე მიტროპოლიტი მროველ-ყოფელი, ნიკოლოზ თფილელი, ზენონ ალავერდელი და სხვანი. კათოლიკოსი იმერეთისა მაქსიმე დიდად მოსურნე ჯვარისა ხილვისა წარვიდა მოსკოვით და თაყვანისცა მას. „მცირედიცა ნაწილი მისი, წარმოიღოო, — მითხრა არქიმანდრიტმან გენათისა მოხუცმან სვიმონ წულუკიძემან. — ესე მიამბოო, — მეტყოდა,— ჯერეთ ყმაწვილსა სოფრონიოს ნიკორწმინდელმან წულუკიძემანვე გვარად, არქიეპისკოპოსად იმერეთისა გარდაცვალებულმან 1841 წელსა.

მეფისა გიორგისა ასულისა ნინასაგან, მეუღლისა გრიგორი დადიანისა, ვიცი ესეცა, რომელ მოსკოვისა მიტროპოლიტსა პლატონს, მოეწადინა ხილვა ჯვარისა ამის დროსა ჯერეთ იმპერატრიცა ეკატერინესსა და ოდეს უჩვენეს იგი მას მოსკოვს, ერჩიეა მეპატრონეთათვის წარგზავნა მისი საქართველოდვე. მიეცათ მათცა პირობა და

---

* ხელნაწერში ეს სიტყვა სახელი ერთად არის დაწერილი პ. იოსელიანის მიერ შავი მელნით. (სიტყვა „ამან" გულისხმობს ალექსანდრე I-ს). რ ე დ.

[41] პ აფ ნ ო ტ ი არქიეპისკოპოსი მოქვისა (სამურძაყანოს ანუ აფხაზიასა) გვარით ხოზიაშვილი, ძე მეკონდახისა და თვითცა იცოდა ხელობა ესე. 24 წლიდამ შედგა ბერად და ახლდა კათოლიკოსსა ანტონის დიაკონად. შემდგომად გარდაცვალებისა გიორგი მეფისა, ბატონიშვილის იოანეს თხოვითა 1802 წელსა, აკურთხეს იგი არქიმანდრიტად თირის მონასტრისა დიდ ლიახვზედ. შემდგომად გარდავიდა მეგრელიაში დედოფალს ნინასთან, რომლისა ქმარმან დადიანმან გრიგორი წარაელინა დესპანად რუსეთსა. ჯილდოდ ესრეთისა დესპანობისა მიუბოძეს არქიეპისკოპოსობა მოქვისა. 1811 გარდაჰყვა დედოფალს ნინას რუსეთსა და დაშთა რუსეთსავე მოსკოვის ჩუდოვის მონასტერში; აქა გარდაიცვალა 1823 წელსა 50 წლისა და მუნვე დაეფლა. მოსკოვისა არქიეპისკოპოსსა აგვისტინეს დიდად არ უყვარდა იგი მეშურნეობითა, რამეთუ დიდად პატივს სცემდენ მას მოსკოვისა მცხოვრებნი. იყო კაცი მოხუმარი, მხიარული, პურადი და ყოველთადმი სიყვარულითა აღსავსე, მთავარმან საქართველოისა ციციანოვმან წარგზავნა იგი კაიშაურსა მთიულთა დასამშვიდებელად. აქა, — იტყოდა თვით,— 40-დინ ხანჯლითა მჩხვლიტესო და დამიფარაო სიკვდილისაგან და სირცხვილისა მეფის ძემან ფარნაოზ. 1815 მოვიდა დროებით თფილისსა და ექსარხოსმან ვარლამ ქსნის ერისთვისშვილმან არ აწირვინა სიონში მტერობითა. ესე იწყინა მან და ჰყვედრიდა მას ესრეთსა მისდამი მოქცევასა, ოდეს მივიდა თვით მოსკოვსა, სადაცა გარდაიცვალაცა, ვითარცა გადაყენებული ექსარხოსობიდამ.

შემდეგ. ეს ამბავი ვიცი იონა მროველ მიტროპოლიტისაგანაო, შემდეგ დღეთა დაგვირგვინებისა ალექსანდრე პირველისა. ოდეს წარვდეგით მიტროპოლიტთან პლატონთან, მე და ძმა ბაგრატ, — მეტყოდა მეფის ძე მიხაილ, — მოგვილოცა ჩვენ ჯვარისა წარგზავნა ხელმწიფისა ალექსანდრესაგან საქართველოდ. დიდად იამა მასცა ესრეთ სიყვარულითი მიხედვა იმპერატორისა ქართველთადმი.

XC

მფარველობა რუსეთისა, 1783 წლიდგან დამტკიცებული ტრაქტატითა, აქვნდა იმედათ პირისპირ სპარსთა. ამისთვის სწერდა წერილითა ელჩსა თვისსა გარსევან ჭავჭავაძეს და მით არწმუნებდა რუსეთსა თვისსა ერთგულებასა. გარსევან ჭავჭავაძე, სათნო და საიმედო მეფისა ირაკლისა, იყო ერთგულად მიჩნეული მეფისა გორგისაგანცა. სძულობდენ მას, მეშურნეობით რავდენნიმე პირნი კარისკაცნი; გარნა ვერ გაბედავდნენ მეფესთან რასმე მასზედ უშვერისა თქმასა. ელიაზარ ფალავანდოვსა სურდა დანიშნულიყო ნაცვლად მისა რუსეთისა კარზედ; მოახსენეს ესე მეფესა და დიდად შორს დაიჭირა. ერთგულობასა ზედა გარსევანისსა სრულიად იყო მეფე დარწმუნებული. და მისისა შვილისა ალექსანდრესაგან ვიცი არა ერთგზის თქმულად, რომელ მამაჩემი გარსევან იყოო შემადგენელი ტრაქტატისა მის, რომლითაცა შეეკრა რუსეთსა მეფე გიორგი 1799 წელსა. „მამასა ჩემსაო, — მეტყოდა ალექსანდრე, — სძაგდენ მეფისა ძმანიო და თუმცა არ უყვარდა მეფე გიორგი, სუსტად დროთა ამათთვის გასაჭირთა საგონებელი ძმათაგან, გარნა დიდად ესვიდა, ვითარცა კაცსა სვინიდისიანსა, ქვეყნისათვის მზრუნველსა და გონიერსა ჰაზრითა და მოქმედებითა. ორმოცამდინ მეფის წერილი, რომელნიცა აქვნდნენ ალექსანდრეს, მიწერილნი მამისა მისისადმი, დიდად მოწმობენ მეფისა გონიერებასა და სამეფოჲსა თვისისა დაწყებასა და განმგეობასა“. წერილნი ესენი არღარა არიან შემდგომად აოხრებისა წინანდალს მისისა სახლისა ლეკთაგან, რომელთაცა 1855 წელსა დაუწვეს სახლი და წარასხეს სახლობა ჭავჭავაძისა დავითისა, ძისა მისა ალექსანდრესსა. ავალიშვილი გიორგი, ცოლის ძმა გარსევან ჭავჭავაძისა, ხშირად განმხნევდებოდა მეფისაგან, რათა ჰპატრონობდეს მისსა სამკვიდრებელსა კახეთსა დროდმდე შესრულებისა საქმეთა რუსეთისათანა. მეფემან დღესა ერთსა უბრძანა ავალიშვილსა: „ეცადე, იყო ერთგულად სიძისა შენისა გარსევანისაო. შემიწყე მეცა და ნუ დაიზოგავ, თუ ვიქმნები საჭირო შენთვის. გარსევან ჩვენთვის ჭინა–

ხულობს რუსეთში და ჩვენ მისთვის ვიჯინაბულოდ აქა. იმას იქ არა უკჱრს რა. შვილი მისი ალექსანდრე, ნათლული იმპერატრიცა ალექსანდრასი და კეთილად აღზრდილი, შვილია ჩემიცა და ვამოსადეგი ქვეყნისათვის. მოუწერია, ეგზაენიო საქართველოდ, დიდად მიამება მისი ნახვა". — ეს ამბავი მიამბო თვით გიორგი ავალიშვილმან მოსკოვს. იყო მეგობარი მამისა ჩემისა, და აქვნდა მასთან მიწერ-მოწერა სიკვდილამდე და იამა ჩემი ნახვა, ჩემთან საუბარი და ვაცნობა. იყო თვით მწერალი და გადმომღები რუსულით ქართულად წიგნთა მრავალთა. ამაეე დროსა ვნახე პირველად და უკანასკნელად მასთან სანახავად შემოსულნი — გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, რომელმაცა მიართვა ჯვარი წმინდის ნინასი იმპერატორსა პავლეს (ალექსანდრეს) და კონსტანტინე ბატონიშვილი, ძე იმერთა მეფისა დავითისა, — მეფისა ირაკლისაგან იმერეთით განდევნილისა.

XCI

მოუთმენელად ელოდა მეფე გარსევანისა წერილთა. მეფე გიორგი, — იტყოდა დავით მიმბაში თარხნიშვილი,—როდესაც მოვიდოდა მისი წერილი, შეჰყრიდა მდივანბეგთა ეგნატი თუმანიშვილსა, თეიმურაზ ციციშვილსა და მდივანთა, რომელთა შორის იყო ესავ ბეგთა-ბეგიშვილი სომეხი და დიმიტრი (ქართველი) თუმანიშვილი, მოლექსე. ესოეთმან მოლოდებითგან მარადის მეფისაგან. გარსევანის წერილთა მიღებასა, მიაწერდეს სპვანი მიუნდობელობასა და შიშსა განცემითსა გარსევანისაგან. მეფე ფრთხილი და მღვიძარე საქმეთა შინა, არასა ჰჭონებდა ცუდად ელჩისათვის თვისისა და ამისთვის ოდესმე დროთი-დროთ შეიყვანდა სირცხვილსა და კდემაში. გარსევნისა მტერთა სურდათ, მეფისა მიმალულთა წინააღმდეგთა, დაეშორებინათ გარსევან მეფისაგან, რომლისაცა გული ვერ გაიგრილეს მასზედ, ვერცა კარის-კაცთა, ვერცა ძმათა, ცუდად მისთვის მოსაუბრეთა, ვერც დედოფალმან დარეჯან, რომელიცა სწყალობდა მას წყალობათა გამო მეფისა ირაკლისა და ჰჭონებდა, რომელ შერჩებოდა მას და შვილთა მისთა ერთგულად დროთა შფოთისა და ამბოხთა, რომლითაცა ამწარებდენ მეფესა გიორგის. გარსევან, უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მეტისა მნახავი და უკეთ მზრახველი, იყო მტკიცედ და შეურყეველად თვისსა მოვალეობასა ზედა. ჰაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის, ჰფიქრობდა მეფისათვის და დამშვიდებისათვის აღრეულთა ქართველთა. მოკლედ იცნობდა მეფის ძმათა და შვილთა; ოდესმე ასმენდა მათ და ამხილებდა. თვით დედოფალსა დარეჯანსა, მწყალო-

ბელსა თვისსა, მოსწერა წერილი მკვახე სადამე შფოთთათვის დაუცხრომელთა და დიდად არა მოეწონა არცა ანდერძი მეფის ირაკლისა, არცა მეცადინება თვით დედოფლისა, რათა აღვიდეს ტახტსა და შეფობდეს მაგალითისამებრ ეკატირინასსა. წერილისა ამის პირი თვით გარსევანმა წარუდგინა მეფესა და ოდეს სცნო ესე დედოფალმან, დიდად იწყინა და დააბრალა პირმოთნეობასა. მხლებელნი დედოფლისა ეცინოდნენ გარსევანსა, ჰყვედრიდენ მას და ოდესმე ურიგოდცა მოიხსენებდენ.

დრო და არქივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენ მაღლად იდგა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზედა ქართველთა. რაჲცა მე ვიცი არქივისა საქმეთაგან, -- რომელთაცა მე, აღმწერელი მეფისა ცხოვრებისა, არა შევეხები — ვიტყვი გარსევნისათვის, რომელ დროთა ამათ იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთგულად მეფისა და მამულისა. მგმობელი მისი სცოდავს.

XCII

გამეფებულმან გიორგი, მრავლად მწუხარემან ძმათაგან შფოთისათვის, სცნო სიტყვა, თქმული მღვდლისა იოსებ თურქისტანიშვილისაგან საცინელად მეფეზედ: ეს აბაზიც ყალბიაო! — მეფემან მეორეს დღესა დაიბარა მღვდელი, მოიკითხა, გამოჰკითხა ამბავი ქალაქისა და უბრძანა მიუტანოს და მიართოს ოქმი რავდენთამე კომლთა კაცთა, ბოძებულთა წინათ მეფეთაგან, რათა დაამტკიცოს მანცა, ვითარცა ახალმან მეფემან, — ჩვეულებითისა წესითა, მეორესა დღესა მიართვა ოქმი, აიღო მეფემან ოქმი და უკუაგდო ცეცხლსა, რომელიცა ენთებოდა ბუხარში, და დაუმატა სიტყვა მისივე მღვდლისაგანვე თქმული: ეს აბაზიც ყალბიაო!

მრავალნი მრავლად ბოროტად ანუ უშვერად განმარტებენ მეფისა ესრეთსა მოქმედებასა. საქმე ესე იქმნა სასჯელად მღვდლისა, უშვერად მეფისა მომხსენებელისა. რა უწესობაა ესე დროთა მიხედვითა? ნუთუმე სხვებრი, სჯულისამებრ, სასჯელი, განკიცხვისათვის მეფისა იქმნებოდა უმეტეს მსუბუქი? განიხილონ ესე მკითხველთა და მსმენელთა.

შემდეგ რავდენისამე ჟამისა, მასვე მეფესა შეეწყალა მღვდელი იგი თურქისტანიშვილი ხუმარი და ადრითვე მეფესთან დაახლოებული და უბოძა ახალისა ოქმითა ყმანი და მამულნი ძველსა წერილში მოხსენებულნი. — მაშინ მღვდელმან გამხიარულებულმან მოახსენა სიტყვა ფსალმუნისა: „წყალობასა და სამართალსა გაქებდენ შენ, უფალო“.

მღვდელი ეს ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1820 წელსა თფილისს. და მარადის კეთილად მომხსენებელი მეფისა აკურთხევდა მეფობასა მისსა და შვილთა მისთა.

XCIII

ოკდომბრის თთვესა სვეტიცხოველობისა დღესასწაულისა გამო მიბრძანდა მეფე ქ. მცხეთას, ჩამოხდა ცხენიდამ და იხილა კაცი ცხენოსანი, რომელიცა მოაქენებდა შორით მცხეთისაკენ. — მოახსენეს მეფესა, მუხრან-ბატონი მობრძანდებაო. შემდგომ სხურებისა აიაზმისა შევიდა დიდსა ეკკლესიასა და ხმითა მაღლითა წარმოსთქვა: „სვეტო ცხოველო! შენ მიაგე მტერთა ჩემთა; შენდა დამიცს ყოველი სასოება ჩემი". — იწყეს მწუხრი და შემდგომად მწუხრისა, — მოვიდა კაცი და მოახსენეს: ცხენიდამ გადმოვარდა და გარდაიცვალა მუხრანის ბატონიო! — შესწუხდნენ მეფე და კათოლიკოსი, დაიწერეს პირჯვარნი და ეკვირვებოდნენ ესრეთსა უეცარსა ამბავსა.

კაცთა მოსრულთა და მოამბეთა მოახსენეს: ფონთხელას რომ გამოსცილდა ბატონი იოანე მუხრანის ბატონი, დაიძახეს მდევარიო. 50 კაცითა მხლებელითა, გამოუდგნენ ლეკთა არაგვის პირზედ მიმალულთა და ოდეს მიახლოვდნენ, დაუწყეს თოფთა სროლა, უკუქცეულთა არაგვისაკენ მდინარისა გზითა. მაშინ დაბრუნებული მუხრანის ბატონი გადმოვარდა ცხენიდამ, წვეთითა ვნებული, და მსწრაფლ განუტევა სული. — მუხრანისა ბატონმა არა იცოდა მიბრძანება მეფისა მცხეთასა და არცა გონებდა ჯერეთ მეფისა ნახვასა, რომელიცა მას არა სწყალობდა. მან სცნო ესე უკუქცეულისა კაცისაგან, რომელიცა წინათ იყო გამოგზავნილი მოსამზადებელად ბინისა მისთვის მცხეთას. ზოგთა მიაწერეს ესე უმეცარი (sic) და მოულოდებელი სიკვდილი ძლიერსა წყენასა, მოულოდინებელად მეფისა მიბრძანებისა გამო მცხეთას, ზოგთა მეფისაგან წყევითა წართქმულთა სიტყვასა და ზოგთა დაღალვასა დევნისა გამო ლეკთა დასისა და ვითარცა ბრგესა, სისხლ ჰარბსა კაცსა, მარადის ეშინოდის სადმე დამბლისა.

მასვე დროსა არღა მოასვენეს მცხეთას გვამი, წაასვენეს იგი მუხრანსა; თვით მეფემან მისწერა სამძიმრისა წერილი დასა თვისსა, მეუღლესა მისსა ქეთევანს და შემდგომად სამისა დღისა მოიტანეს გვამი და დაასაფლავეს მცხეთას, ვითარცა საძვალესა მათსა. მუხრან-ბატონობა უბოძა და დაუმტკიცა შვილსა მისსა კონსტანტინეს.

შეწუხებული მეფე სამეფოსათვის დაუწყნარებელისა შინა შფოთთაგან და მტერთა ლეკთაგან გაქელვისაგან, — ჰფიქრობდა და განიზრახვიდა რუსეთისადმი ქვეყნისა გარდაცემასა. პატრმან ნიკოლა, გვარით „რუტილიანო" (ესე განაძიეს ქართლით მინისტრის ბრძანებითა 22 ნოემბ. 1801 წელსა), მოახსენა მეფესა: „ევროპიისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო შენი ტკბილი. წესდება მათი და ჩვეულება იქმნება სამძიმო თქვენთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნება დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყანისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მდევნელად, და მაწუხებელად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, — გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსაარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა ულელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა; ძოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა" (დღესცა სიტყვასა ამას, პატრისაგან თქმულსა, მოიგონებენ თფილისისა მცხოვრებნი. ოდეს მუზიკითა უძღვიან საფლავადმდე მიცვალებულთა).

„— ჩემო პატრო! — უპასუხა მეფემან, — დავსუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსოთ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ ვინ დაიცვამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედა ბრძანებლობისა. რა ვქმნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავსცე ქრისტესსა! ვერ წავიწყმედ სულსა. შევსწირავ ცოლშვილსა და შეუდგები ქრისტესა და ჯვარისა თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწედ ქვეყანისა. ესე იყო სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა; და ესე იყო ჰაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგრები მასზედ. ჩემი პირობაები რუსეთისა მეფესთან, — საკეთილონი არიან ქვეყანისათვის".

მაშინ ათანასი ჯვარის მამამან, რომელიცა შემდეგ იქმნა პატრიარქად იერუსალიმისა, დასამატებელად პატრისა რჩევათა, ბრძანა მოიტანონ დაბადება და წარიკითხონ ისაია წინასწარმეტყველისა თავი 3 და იხილონ რას იტყვის ღმერთი წინასწარმეტყველისა პირითა ერისათვის, რომელიცა ესრეთ დამოეკიდება უცხოსა ნათესავისა უფლებასა. ეგნატი იოსელიანმან, ჯერეთ ერისკაცმან და მამამან ჩემმან, წარიკითხა იგი:

„ეჰა მეფე უფალი საბაოთ მოსპოლავს იერუსალიმისაგან და იუდეასაგან ძალსა მისაყრდნობელსა, პურისა ძალსა და წყალისა ძალსა, გმირსა და მძლესა კაცსა მებრძოლსა, და მსაჯულსა, და მდიდარსა, და წინასწარმეტყველსა და მოაზრესა, და მოხუცებულსა, და ერგასის თავსა, და საჩინოსა თანამზრახველსა, და ბრძენსა ხუროთმოძღვარსა და გულის ხმიერსა მოძღვარსა მსჭენელსა. დავადგენ პაბუკთა მთავრად მათთა, და ყრმათა უფლად მათთა... ყრმასა დავუდგენ, რათა ებრძოდეს მოხუცსა და დრკუსა კაცსა მეწინააღმდეგედ კაცისა პატიოსნისა...

შეიპყრას კაცმან ძმა თვისი ანუ სახლეული მამისა თვისისა, მეტყველმან. შესამოსელი გაქვს, იყავ ჩვენდა წინამძღვრად და ჰამადი ჩემი განაგე, ვითარცა გენებოს. და პასუხად ჰრქვას დღეთა ამათ: არა ვიქმნები თქვენდა წინამძღვარად; არცა არს სახლსა ჩემსა პური, არცა სამოსელი, რამეთუ დატევებული იქმნა იერუსალიმი და იუდეა დაეცა, რამეთუ ენანი მათნი და ქცევა მათი არიან წინააღმდეგ უფლისა და აღაშფოთებენ ღვთისა დიდებისა თვალთა... ერო ჩემო, კაცნი, რომელნიცა მთავრობენ შენზედა, გაცთუნებენ შენ, დაჰკარგვენ გზისა შენისა კვალთა... დროთა ამათ უფალი მოუღებს სამკაულთა, და სარკეთა და შემოსავს საგლოველსა სამოსსა; მოხსნის სარტყელთა, მოხდის ქუდთა და ქაჩლად სახილველ-ჰყოფს თავისა მათისა თხემთა: განასწორებს მათ მიწასთან“... შეჰსწუხნა მეფე, ამოიოხრა და ბრძანა: „ღმერთო დაგვიფარე; ღმერთო დაგვიცევ: ღვთისა დედაო, ნუ მიგვცემ ჩვენ კაცობრიესა განძრახვასა, არამედ წილადომილთა შენთა გვექმენ პატრონი და მფარველი“.

ევთიმისა წინამძღვარსა და მოძღვარსა მოაახსენეს ესე ამბავი. მოვიდა მონასტრიდამ და კვალად განამხნევებდა მეფესა, რათა არა სცვალოს ჰაზრი თვისი პირველი და მისცეს სამეფო რუსეთისა ხელმწიფეთა მფარველობასა. დამყარდა მეფე მისსა რჩევაზედ და სთქვა: „სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა რუსთა ხელმწიფეთა“.

XCV

შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა, რუსთა დაივიწყეს ევთიმი, ჰყვანდათ უპატიოდ და ვერცა დაიცვეს დევნათაგან, რომელნიცა აღუდგინეს მას ძმათა. გაგზავნილმან ჩინოვნიკმან საჩივართა გამო მასზედ, მრავლად საგიო და უპატიო ჰყო, სტუქსა უშვერად, მოიხსენა მწარედ და განაჩინა განშორება მისი წინამძღვარობისაგან უდაბნოჯასა. ევთიმი არა იგლოვდა ესრეთსა განჩინებასა. მოიხსენებდა პატ-

რისა და ათანასისა სიტყვათა და იტყოდა: „ჰეშმარიტად ღირსი არს მუშაკი სასყიდლისა; მომეგო მე ჯერისამებრ. სოფელსა შინა მყოფსა, მომხვდა მე სოფლისა მათრახი, ღმერთო ჩემო! ნუ მიმცემ მე უმეტესსა სასჯელსა; მოქმედება ჩემი და მეცაძინება რუსთა მოყვანისა არა იყო ორგულება ქვეყანისა".

1844 წელსა ს.-პეტერბურლსა ყოფნასა ჩემსა მეფის ძემან ფარნაოზ, არა კმაყოფილმან, რომელ [არ] ვადიდე ჩემგან დაბეჭდილსა მუნ ისტორიასა ეკკლესიასა მეფე გიორგი, — მიმცემი რუსეთისადმი საქართველოჲსა, მიბრძანა: ჩემო პლატონ, მეფე გიორგი და ძმა ჩემი არ არის საგიობელი შენგან. შენ ჰხადი მას გამცემელად ქვეყანისა. არა, იგი ვერ გასცემდა ქვეყანასა; ვერ განსყიდდა მას; ვერ შეექმნებოდა ორგული ტახტსა და სკიპტრასა. შეიმცნე სიტყვანი ესე ჩემნი და თვით დაამატე, ვითარცა მეისტორიემან, ჰაზრი შენი. — სიტყვათა ამათ ზედა მე ვსდუმნე: ვიხილე როშელ, მრისხანედ მიბრძანა ესე...

XCVI

მეორესა დღესა შემდგომად მეფისა ირაკლისა გარდაცვალებისა, მეფემან გიორგი ბორჩალოდამ მოუწოდა ჩოლაყაშვილსა დავით ჯიმშერისაშვილსა, კაცსა სიტყვა მარჯვესა და კვალად ატტიკურად მწერალსა და უბრძანა ოქმისა ზედა წარწერა ბეჭედსა მისსა მეფობითსა. დღისა მეორისათვის უქმნა მას წარწერა ბეჭდისა ოქმთა და ბრძანებათათვის შემდეგი:

სიმდაბლით გარდამოსრულსა,
იესოს ვაქებ ღმერთკაცსა სრულსა.

მუნიდგანვე წარმოგზავნა კაცი თფილისს და ოქრომჭედელსსა კოსტას... ამოაჭრევინეს ვეცხლზედ. მიერთვა მეფეს თელავს და მოეწონა. ამა ბეჭდით გამოვიდა პირველი ოქმი მეფისა, რომლითაცა მეფემან გიორგი მიართვა ძღვნად თელავისა კარის ეკკლესიასა ორი კომლი კაცი შათის მამულითა და ზვრითა. მასვე დროსა უქმნეს დედოფლობისა ბეჭედი მეუღლესა მისსა მარიამს მარტივითა ზედა წარწერითა: „დედოფალი მარიამ".

მტერნი მიეცნენ დუმილსა; მხლებელნი და ერთგულნი მეფისა დღესასწაულობდენ.

XCVII

მოსრულსა ქალაქად თფილისად მეფესა ეახლნენ თფილისისავე მცხოვრებნი თავადნი, აზნაურნი და სამღვდელონი, რომელთაცა მოსვლადმდე მისსა დაეფიცათ ერთგულებასა ზედა სასახლისა ეკკლესიასა, რომელიცა იყო ნაკურთხი კვართისა საუფლოჲსა სახელზედ. დიდად ერთგულად შერჩნენ მეფესა იოანე ჯანდიერიშვილი, რომელსაცა უბოძა მოურაობა კაკაბეთისა და იყო მასთან თან-შეზდილი. — შემდეგ უბოძა მორდალობა დედოფლისა. შემდეგ მისსა იყვნენ ერთგულადვე და თავგამოდებულად პაატა ჭავჭავაძე და სვიმონ ჯანდიერიშვილი, რომელსაცა უბოძა მოურაობა ველისციხისა.

მასვე დროსა თავადთა და მზნაურთა ცოლნი მიულოცავდენ დედოფალსა მარიამსა. მეორესა დღესა წარდგნენ სომეხთა ვარდაპეტი ვანქისა ოჰანეზ, სამღვდელოჲთა, მელიქი ქალაქისა და სხვანი მოხელენი ქალაქისავე. კათოლიკოსმან და არსენი თფილელმან და რუსთველმან სტეფანე სწირეს სიონის ეკკლესიასა, თანა დასწრებითა მეფისა, დედოფლისა, სამეფოჲსა სახლისა წევრთა და ქალთა წარჩინებულთა და დიდებულთა; გარდაიხადეს პანაშვიდი გარდაცვალებულისა არაკლისათვის. მეფე სტიროდა და ვითარცა აქვნდა ჩვეულება ცრემლითა მოსმენა წირვისა, იტყოდნენ ვიეთნიმე არა კეთილთა სიტყვათა მეფისათვის, რეცა სახილველად მგლოვარისა. გარნა მეფე იყო ნამდვილ კეთილმსახური და მორწმუნე, მოვიდა ლმობიერებასა და გამოვიდა ეკკლესიი-ღამ მწუხარე.

XCVIII

მეორესა დღესა მიბრძანდა მუხრან-ბატონი იოანე, წარსდგა მეფესთან და მეფემან ცნობილმან, რომელ არა არის მისგან კმაყოფილი და არცა მისდა კერძოდ, არამედ ძმათადმი უმეტეს განწყობილი, — უბრძანებდა სიტყვათა ტკბილთა და დიდად დაწუნარებითა, — იყოს მისდა ერთგული მოვალეობისამებრ მისისა მეფისადმი.. მუხრანის ბატონმა აღიარა ნამდვილ მოვალეობა თვისი და დამტკიცა ფიცითა, რომლითაცა მასვე დღესა თფილისსა მოსვლისა მისცა ფიცითი ერთგულობა სხვათა შორის. „მეუღლესა მისსა მეფისა ირაკლისა ასულსა ქეთევანსა, აქვნდა დიდი რიდი შიშისაო მეფისაგან მისსა სახლზედ გაიჭვიანებულისაო“, — მეტყოდა ნოხუცი გიორგი ერის-

თოვი, — ამისათვის მოჰყვა თანა ქმარსა თვისსა მუხრანის ბატონსა იოანეს; წარვიდა და წარდგენ პირველად დედოფალთან და შეუგზავნა კაცი მოკითხვისა მეფესა. მეფე თვით მიბრძანდა და ნახა დაჲ თვისი, ორნივე სტიროდენ და ორთავე ატირეს მუნ მყოფნი ქალნი და კაცნი.

ესრეთ ამა დროთაგან უკანასკნელადმდე ქმარიცა და ცოლიცა იყვნენ მარადის დუმილითა, ფრთხილნი არა აწყინონ რა მეფესა, თუმცა გულითა არ აქვნდათ მეფისა სიყვარულიო, — იტყოდა იგივე გიორგი ერისთოვი.

XCXIX

მასვე დღესა წარგზავნა ეპისტოლენი მონასტერთა და უდაბნოთა, რათა უწირონ გარდაცვალებულსა მეფესა, წესისამებრ ეკკლესიისა ორმოცი და წლისა წირვა და აღუთქვაცა სანუგეშოდ ძმათა თვისთა დროსა საწირავი ესრეთი ოქმი, მიწერილი ეპისტოლედ მეუისაგან ბეჭედსმული, სახელსა ზედა ათანასი შიო მღვიმელისა წოდებითა ხოლო და არა ნამდვილ წინამძღვრობითა, მაქვს მეცა. აჰა პირი მისი:

„შიო მღვიმისა წინამძღვარო ათანასი და უდაბნოჲსა მამანო!

ინებეთ გარდაცვალებულისა მეფისა ერაკლისათვის შვიდისა, ორმოცისა, და წლისა წირვა გარდაიხადეთ. თვისსა დროსა ეს ჩვენი ოქმი წარმოგვიდგინეთ, რომ ძმათა სანუგეშო აღვასრულოთ. წელსა 1798 აპრილის 30 დღესა *.



ესე ათანასი იქმნა შემდეგ არქიმანდრიტად; იყო კაცი განსწავლული ანტონისაგან პირველისა კათოლიკოსისა; გვარით მიქელის-შვილი კახელი. 1802 კვალად შევიდა შიო მღვიმეში ლეკთა შიშითა გაოხრებულსა. 1803 ოდეს მოეგება მემკვიდრესა დავითს ქ. მცხეთას ფებერელის 19, სთხოვა თანა წარყვეს მას რუსეთსა. ათანასი მასვე დღესა თანა ჰყვა მას და წარიყვანა რუსეთსა კერძო დიაკონად მო-

* ხელნაწ. „წელსა". რ ე დ.

მზადებული შიო მღვიმეს ზაქარია იოსელიანი, ბიძა ჩემი, გარდაცვალებული ღენერალ-მაიორის ჩინითა 1865 წელსა ს.-პ. ბურღსა. თვით ათანასი უკუ მოიქცა მუნით და დასაფლავდა კახეთს.

C

დღესა მას, ოდესცა იქმნა დაფიცება თავადთა და აზნაურთა და ფიცითსა ფურცელზედ ხელისმოწერა მეფისა ერთგულობაზედ, მაშინ დავით, რექტორმან თელავისა სემენარიისა, — შემდგომად წირვისა აღსრულებისა მოახსენა მეფესა იამბიკოდ ლექსი. წარკითხვით თვით რექტორმან წარსთქვა ესე და მერეთ აგალობა რვათა თვისთა მოწაფეთა თავადთა ჯერეთ ყრმათა. კიდურ წერილობა ანუ აკროსტიხი იამბიკოთა იყო: „მეფეს გიორგის უგალობს რექტორი დავით".

მეფემან პატივი სცა მას მადლობითა და ამცნო ერთგულობისა მოვალეობა მეფისადმი: „ცხებულიაო მეფე ღვთისაგან; პატივმცემელი მეფისა, პატივ-იცემების ღვთისაგანაო. ორგული მეფისა არ იქმნების არაოდეს ერთგული ღვთისა. — თვალი მეფისა არს თვალი ღვთისა; გული მეფისა ხელთა შინა უფლისათა; — მეფე, რომელიცა, ვიტყვი ამას უეჭველად, — მიენდობა ღმერთსა, მტკიცედ იქმნება თვისსა ტახტზედ და იკურთხევა ღვთისაგან. ვინ უნდა მყვანდეს ღმერთზედ მეტი პატრონიო და მფარველი, მე მეფესა, რომელზედაც დამიძს სასოება ჩემი".

ვიეთთამე ლექსთა ამათთვის წართქმულთა დავით რექტორისაგან, ჰგმეს იგი. დედოფლისა დარეჯანისა მხლებელთა და შვილმან მისმან ფარნაოზ მუნ მყოფმან თელავს აიგდეს მასხარად. მეფემან სცნო ესე და ბრძანა: „დედოფალი დედაა ჩემი, — ვალი მაქვს დუმილისა. ხოლო სხვათა, კადნიერად მოუბართა, პასუხს უგებს მეფე გიორგი", — იტყოდა თავისა თვისისათვის.

CI

მასვე დღეს ხოდაშნისა წინამძღვარი იოანიკე ბერძენი, თაზოს ჰალაკელი და მხნე და მეომარი და ამისთვის პატივცემული გადაცვალებულისა მეფისაგან, მოვიდა თელავსა და მოართვა სეფისკვერი. განმხიარებულმან მეფემან მიიღო ხელთაგან მისთა კურთხევა და ჩვეულებისამებრ მეფისა შემდგომად სიტყვათა: სახელითა მამისათა

და ძისათა და სულისა წმინდისათა, — თვით იტყოდა და ბრძანა: „ამინ“ ხმითა დიდითა.

მიიწვია წინამძღვარი სადილად და ესაუბრა მრავლად ბრძოლათათვის მისგან ნახულთა პირისპირ ლეკთა. 25 წელიწადსა სადმე იმყოფებოდა კახეთსა და იყო ყოვლად ქართველი. „მამაო იოანიკე, — უბრძანა მეფემან, — იყავ ერთგული ჩემიცა, ვითარცა იყავ მამისა ჩემისა, არა ვინ გამოგიცვალოს გული ჩემზედა; ნუ მიეტაცინები მტერთა ჩემთა“.

მწუხრისა შემდგომად წარვიდა იოანიკე და იხილა დედოფალი დარეჯან ძაძითა მოსილი და მგლოვარე მეფისათვის. დედოფალმან უბრძანა ყველრებად საგონებელი სიტყვა, დავიწყებისათვის მეფისა გარდაცვალებულისა წყალობათა; და იგი იმართლებდა თავსა და მოახსენებდა სიტყვათა შესაბამთა: „ერთგული მეფისა ირაკლისა ჩემისა მწყალობელისა, — იტყოდა იოანიკე, — ვარ ერთგული პირმშოჲსა მისისა შვილისა; ბატონო დედოფალო, ნუ ამღერევთ მეფობასა, მოგახსენებთ ერთგულობით; მეფობა არის პირმშოჲსა შვილისა, — ესრეთ ყოფილა და არის ყოველგან. როგორ გნებავსთ, უმცროსი ძმა იქმნეს მეფედ და უფროსსა წაერთვას. — მტერი გარეგანი კარსა გადგიან და ახლა აპირებ, მტერობა და შფოთი შინაცა დაბადონ; — ესენი მარჩეველნი არიან ცუდნი კაცნი. ინებეთ და დატუქსეთ იგინი. — საუბარსა მისსა ზედა იყო დუმილი ქალთა და კაცთა, დედოფლისა მეინახეთა და თვით დედოფალმან არა ბრძანეს არა რაჲმე წინააღმდეგი მეფისა გიორგისათვის.

CII

1798 წელსა ივლისის თვეში ნიჭოზისა ეპისკოპოსმან ათანასი (ჭყონებ იმერელმან) უბრძანა დაუსვენოს ეკკლესიაში ძელი ჴეშმარიტი, — სიდიდით განთქმული ყოველგან, რათა დააფიცონ ამირეჯიბნი თავადნი და მოდავენი მათნი იმერეთისა მესაზღვრენი. აღიღეს ტრაპეზიდან ძელი ჴეშმარიტი ესე ოქროსა ბუდეში ჩადებული მკლავისა სიგრძე და ალავერდისა ძელისა ჴეშმარიტისა მიბედვითა ორგზის დიდი და დაასვენეს გარე ეკკლესიისა საწიგნესა ზედა. შემდგომად ფიცისა და შფოთისა შორის გლეხთა და თავადთა დაივიწყეს ეკკლესიისა მცველთა აღება ძელისა ჴეშმარიტისა საწიგნოდამ და დაკრძალვა ტრაპეზსა ზედა. მწუხრისა შემდეგ სცნეს, რომელ საუნჯე ესე არღაა არცა საწიგნეზედა და არცა ტრაპეზზედა. მოახსენეს მღვდელმთავარსა, შეუდგა მრავლად ძიება, გარნა ვერ პოვეს იგი,

სცნო ესე კათოლიკოსმან და ეცნობა მეფესა გიორგის; იწყეს ახლად ძიება; წარგზავნეს კაცი იმერეთად და სთხოვეს წერეთელთა და აბაშიძეთა მოიძიონ მათ ღვთისა პატივისათვის და წმინდისა ეკლესიისა, რომელმანცა (sic) საუკუნოებითა დაცული აწ მათთა მიზეზთა გამო მიეფარა. სწამებდენ მიტაცებასა მისსა წერეთელისა და აბაშიძისა გლეხთა, მუნ ფიცისა დროსა მყოფთა და მათთაგან მოპარვასა. მეფემან მწუხარემან დაკარგვისათვის ესრეთისა ქვეყნისა სიმდიდრისა, ბრძანა გამოდევნონ მღვდელმთავარი კათედრიდამ. გამოიყვანეს მუნით და წარგზავნეს ექსორიად ნათლისმცემელისა უდაბნოსა გარესჯას.

ძვირფასად შემკულსა ჯვარსა აქვნდა წარწერა ოქროსა უკანა ფიცარზედ შემდეგისა ჰაზრისა: „მე, დედოფალმან რუსუდან, ავაზაკთაგან გაძრცვილი ძელი ჳეშმარიტი კვალად შევამკევ სულისა ჩემისა საოხად“. ესე მიამბო სვიმონ არქიმანდრიტმან წულუკიძემან, გელათისა წინამძღვარმან (1847 წელსა). იტყვიანო დღესაც აბაშიძიანთა აქვსთ მაღლად სიწმინდე ესეო; რომელთა იგულისხმებდა აბაშიძიანთა მომთხრობი ამბავისა ამისა არა მახსოვს.

შემდგომად ნიქოზელისა ათანასისა განდევნისა, იშუამდგომლეს მიეცეს მისი ეპარქია დიონოსის იღუმენსა [43] გვარით არა აზნაურთაგანსა. მეფემან ბრძანა უარი და განმარტა, რომელ სამეფოჲსათვის მისისა სარგებლობისათვის გვარით განთქმულისა კაცისა [დანიშვნა],

---

[43] ესე დიონოსი იყო თავადთა ციციანთა ყმა სოფლისა ხვედურეთიდამ. ახლდა მეფის ძეს იულონს: ამისავე თხოვნითა უბოძა იღუმენობა მას კათოლიკოსმან ანტონი. შემდგომად წარსლვისა რუსეთად იულონისა, დაშთა უადგილოდ და იყოფოდა მეფის ასულთან მარიამთან ს. ქარელს. ამან დიონოსიმ მეფის ასულისა მარიამისა თხოვითა დაასაფლავა ყინცვისის წმინდის ნიკოლოზის გაუქმებულსა მონასტერსა მძოვრეთისა ხეობაში მეფის ძის იულონისა ძე ლევან, რომელიცა დარჩა საქართველოს, ებრძოდა რუსთა და მოიკლა ზაკვით და მოსყიდვით ოსისაგან, მისდა და მასთანა ყოფილისა. ესე იყო 1810 ანუ 1811 წელსა. ესე ლეონ იყო უფროსი შვილი იულონისი, მხნე, გამბედავი და გულადი; ათსა წელსა მდევნელი ბედისა და ვერ ღირსებული ბედის მოღალატისა.—

მეფენი არა ადვილად უბოძებდენ გლეხთა და აზნაურთაგანსა კათედრათა სამღვდელმთავროთა. მარადის მოიძიებდენ თავადთა საბლთაგან, დამოკიდებულთა დიდოჯახობით დიდთა კაცთა თანა, უფრო პურადთა, უხვთა, გამცემთა და კარისა მექონთა გამოჩენილისა პატივად მაღალისა ხარისხისა. ესე იყო მიზეზი, რომელ ძველადვე ითქვა ლექსად სიტყვა ეპისკოპოსთათვის არა ღირსთა გვართაგან და ოდესმე ვერ შეფერებულთა ერისაგან ნაკლულევანობათა გამო მათთა. აჰა შაირი, თქმული გ. (?) საგინაშვილისაგან.

თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, წინამძღვრიშვილი მროველი,
ან გლეხი კაცი ნიქოზლად, ცოდნა იცოდეს ყოველი,
ან ბეზირგანი მდიდარი, ჭკორელი და გლოველი,
ან კარგი დარბაისელი, მაჩაბელ წინწყაროელი,

ინება მიეცეს ეპარქია ესე სპვასა, რომელსაცა ექმნება ხმა დიდი და კავშირი. „სამღვდელმთავრო ადგილი, — ბრძანა მეფემან, — არის ერთი ქვეყანისათვის მისაყრდნობელი სვეტი. დიონოსი არს ღირსი და მეუდაბნოე, და არა მცოდნე საეროთა საქმეთა. ეპისკოპოსი უნდა იყოს სარდალი ქვეყანისა, ძლიერი საქმითა და მორჩილებასა შინა მომყვანი დიდთა და მცირედთა, ჯერეთ ესრეთი გვიხდებიან კაცნი და მშვიდობისა დროთათვის მეუდაბნოენი და მოღვაწენიცა ადვილად განაგებენ ეკკლესიათა“.

ამისთვის არა დანიშნა მან ნიქოზელად არავინ და ელოდა, რათა ჰპოოს კაცი ღირსი მღვდელმთავრობისა; მოვიგონე ბოსუეტი, დიდი საფრანგეთის ორატორი და მქადაგებელი, რომელსაცა დიდმან ლუდოვიკე XIV არ გამოუთხოვა რომისა პაპას კარდინალობა, რადგანც არა აქვნდა ღირსება დიდთა გვართაგან შთამომავალთა და არცა უბოძა მას პარიჟისა კათედრა, რადგანაც არ იყო დიდთა გვართა შვილი. დროთა მიხედვით განმართლდებიან მეფე და მხლებელნი მისნი, ჰაზრნი და მოქმედებანი მათნი.

შემდგომად მეფისა გიორგისა, ძემან მისმან დავით 1802 წელსა, ეკუაქცია თვისსა კათედრად ათანასი, რომელიცა გარდაიცვალა მუნვე ნიქოზსა და დასაფლავდა მუნვე ეკკლესიასა 1810 წელსა; შემდგომად მისსა კათედრა ესე გაუქმდა და აწ არის სოფლისა ეკკლესიად.

CIII

მეფის ძე ილია იქმნა დიდად შეწუხებული სნეულებისა გამო სახადისა: მკურნალთა გამოაცხადეს სნეული უკურნებელად, მოახსენეს მეფესა და მან ბრძანა: „მივენდოთ ღმერთსა და წმინდასა იოანე მანგლელსა; გახსენით საფლავი მისი და ამთხვიეთ სნეული შვილი ჩემი მეოხისა ჩემისა ძვალთა“. — აღასრულეს სურვილი მეფისა შემდგომად პარაკლისისა და ოდეს ამოღებული ლუსკუმიდამ თფილისის სიონის ეკკლესიასა თითითა ძვალი წმინდისა დასდვეს პირსა და თვალთა სნეულისა, მასვე ჟამსა, გასაოცებელად თვით მხილველთა, განიკურნა სნეული იგი. იხარებდა მეფე, დღესასწაულებდენ სამღვდელონი, იშვებდენ კარისა კაცნი, განცვიფრდებოდენ ქალაქისა მცხოვრებნი, ეკვირვებოდენ მაჰმადიანნი. დაკრძალული გვამი წმინდისა ლუსკუმასა შინა მდებარე, კვალადცა მეორესა წელიწადსა განაღეს მისვე ბრძანებითა სნეულებისა გამო მეორისა შვილისა მისისა მეფის ასულის თამარისა, რომელმანცა მიიღო კურნება პირველისამებრ მსწრაფლი და საკვირ-



ილია ბატონიშვილი

ველი კაცთათვის და თვით მკურნალთაჴვის არა მართლმადიდებელთა. ესენი იყვნენ ოსეფა ყარაევი ფრანგი, თათულა ექიმი სომეხთა სარწმუნოებისა და პატრნი ნიკოლა და შემდეგი მისი ფილიპე.

ათანასი ჯვარის-მამამან, დროთა ამათ აქა მყოფმან, მახლობელმან მეფისა და შემდეგ პატრიარქად იერუსალიმისა დადგინებულმან,— აღწერა ორივე ესე საოცარი ამბაჲ და სასიქადულოდ ქრისტეს ეკკლესიისა წარუვლინა მოხსენება იერუსალიმსა პატრიარქს. ესე მიამბო იორეთეოს თაბორისა მიტროპოლიტმან და აწ დღეს ანტიოქიისა პატრიარქმან 1849 წელსა დროსა ყოფნისა ჩემისა კონსტანტინოპოლეს სტუმრად მასთან მისსა მონასტერსა ხალკისა ჭალაკსა. დიდად გამაკვირვა მოთხრობამან ათანასისაგან აღწერილმან; ვერ ვჰპოვე თვით ეპისტოლე ესე მუნ, სახმარი ჩვენ ქართველთა ისტორიისათვის. ხშირად და განცვიფრებით მესმოდა საუბარი ამისა შემთხვევისათვის იოკიმე ეპისკოპოსისაგან ახტალისა, ბერძნისა კვიპრიდამ და ფრიად შეყვარებულისა მეფისაგან გიორგისა, რომლისა დროსაცა იყო იგი არქიმანდრიტად.

დღეისათვის ლუსკუმასა შინა ძეალთ ამათ წმინდისა დაკრძალვისა დეკანოზმან და მეცნიერმან იოანე იოსებიშვილმან წარმოსთქვა სიტყვა ქადაგებითი: „სჰკვირველ არს ღმერთი წმინდათა შორის მისთა“ და უკანასკნელ ჰრქვა მეფესა: „მეფეე კეთილმორწმუნეო, იხარებდე სულითა, განიფრთხე გონებითა, იშვებდინ გულითა; აჰა ძე შენი, რომელიცა მოგანიჭა შენ წმინდამან. აჰა სასწაული დროთა ჩვენთა, აჰა უღირსებისაგან ჩვენისა ღირსებად მომყვანებელი ნიში სასწაულისა, ვგალობდეთ გალობათაგან სიონისათა და ესვამდეთ წყაროსაგან დაბეჭდილისა და ესჳამდეთ მტილისაგან შეღობილისა და მტკიცედ დაცულისა. ჩვენთანა არს ღმერთი, სცანთ წარმართთა და იძლიოდენ, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

განმხიარულებულმან მეფემან, მხნედ და მაღლისა ხმითა ჩვეულებისამებრ მისისა მოხდენილისა სახითა, ვითარცა მარადის იყოფოდა მეფე ბრგე და მაღალი ძლიერისა ბაგეთა ბგერითა პასუხ-უგო მჭადაგებელისა: „ეშმარიტად, მამაო, საკვირველ არს ღმერთი წმინდათა შორის მისთა. შევიქმენით ღირსი ღვთისა წყალობისა, ზეგარდამო მოხედვისა და კურთხევისა, იკურთხოს სახელი მისი“. ამა შემთხვევისათვის შესწირა მეფემან ხატი წმინდისა ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ ცურვილი ზედა წარწერითა: „განკურნებისათვის შვილისა ჩემისა... შემოგწირე წმინდა იოანე მანგლელო სულთა ჩვენთა მეოხი ხატი სახისა შენისა, წელსა 1799, თთვესა აპრილსა 8“. —

ხატი ესე დაიკარგა 1804 წელსა სიონისა მხატვრობათა განახლებისა დროსა კნიაზის ციციანოვისა ბრძანებითა, ვითარცა მიამბო დეკანოზმან სიონისა გაბრიელ ქართველოვმან, გარდაცვლილმან 1865 წელსა.

CIV

მეფესა გიორგის დიდად უყვარდა კოვალენსკი, რეზიდენტი და მინისტერი რუსეთისა თფილისში. იყო კაცი ტკბილი, სათნო და ნამდვილ ერთგული მეფისა, შეჩვეული ქართველთა წესთა პყრობისა. ამანვე მოართვა მას სამეფო რელალია ანუ ნიშანნი მეფობითნი პეტერბურღიდამ თფილისსა წარმოვლენილი პავლე იმპერატორისაგან: გვირგვინი, ხმალი, პორფირი, სკიპტრა, ტრონი, დროშა და I ხარისხი წმინდისა ეკატირინასი დედოფალსა მარიამს. ამისთვის აჩუქა და მიუბოძა მას ბაღი ყაბახისა თავსა ჩრდილოეთით მდებარე, რომელიცა ძველად ეკუთნოდა იასე მეფესა და რომელსაცა შინა თვით იასე, ვითარცა მაჰმადის სარწმუნოებისა მექონი, ჰმარხია. აწ ბაღსა ამას ეწოდების ბაღი ინჟენერთა. ვითარ მოეღო მას ესე ციციანოვისა დროთა, რომელმანცა განაძიჯა იგი საქართველოდამ, ვითარცა ბოროტმომხმარებელი თვისისა წოდებისა, — არა ვუწყი. მხოლოდ მახსოვს ცოლი მისი, მოხუცი ქვრივი მოარული ხშირად მემკვიდრისა დავითისა მეუღლესათანა ელენე მეფისა რძალთან 1831 და 1832 წელთა შინა ქ. ს. პ. ბ.

CV

მახსოვს მე სალდათი ერთი სახელით თეოდორე, რომელიცა იყო დანიშნული მეფის კარზედ ყარაულად ანუ ორდინარცად. ესე ესრეთ შეიყვარა მეფემან, რომ ინება ყოველთვის მისი თვისთან ყოფნა. კოვალენსკის სთხოვა, რათა გამოყვანილი პოლკიდამ, ახლდეს მეფესა. ესე ვერ იკისრა თვით მინისტერმან და სთხოვა ღენერალსა ლაზარევსა და რადგან ამანცა ვერ გაბედა დაუკითხავად ლინიაზედ თვისისა შეფისა (მაშინ იყო კნორიგი), ამისთვის უარი მოახსენეს მეფესა. შემდეგ თვით მეფემან მისწერა წერილი და მან მოსცა ბრძანება აახლონ, ვითარცა სალდათი ორდინარცი და არა ვითარცა კერძო პირი. სურდა მეფესა ებოძებინა მისთვის აზნაურობითი ღირსება, სახლისა ადგილი ქალაქსა და მიბარება საჭურჭლისა თვისისა. თეოდორე იყო ყმაწვილი კაცი 29 წლისა, ტამბოველი და მალე შეისწავა ქართულიცა ენა;

იყო ცქვიტი და ფხიზელი. შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა, 1824 წელსა ვხედავდი მას ხშირად ანჩისხატისა უბანში მცხოვრებად მოხუცად; შემოვიდოდა წმინდისა გიორგის კარისა ეკკლესიასა და აღანთებდა სანთელსა ხატისა წინაშე, და მარადის დაუკლებლივ მოახსენებინებდა კვეთისა დროსა შესრული სამკვეთლოსა, მეფესა გიორგის და დაადებინებდა მოხსენებითსა ნაკვეთსა ცრემლით და ვედრებით ღვთისადმი. ქართულიცა იცოდა მიქცევით რუსულის გამოთქმისა.

1831 წელიწდიდამ, დროთაგან წარსვლისა ჩემისა რუსეთად სასწავლებელში, ვეღარსადა ვნახე იგი და ვერცა გამოვიკითხე სადაობა მისი. წყალობასა არა მოაკლებდნენ მას ძველნი კაცნი მეფობისა ნეშტნი დავით მინბაში, სოლომონ მეითარი და დიმიტრი თარხნისშვილნი, დავით და გიორგი თუმანიშვილნი, შაწშე ერისთვიშვილი, მეფის ასული თეკლა, ზურაბ ყაფლანიშვილი, მუხრანის-ბატონი კონსტანტინე, თავადი იოანე აფხაზი [43] და სხვანი, მეფობისა ჟამსა მცნობნი მისნი. დიდად უყვარდა იოანე ეპისკოპოსსა ავალიანსა, რომელიცა მეფის დროსა იხილვიდა მას ხარებისა ეკკლესიასა, სადაცა

---

[43] თავადსა იოანე აფხაზიშვილსა, კარდანახელსა, მეფისა გიორგისაგან მიჩნეულსა და პატივცემულსა, ხშირად წარმოათქმევინებდა ლექსთა ძველად გოჩასაგან თქმულთა, ოდეს დაესწროდა თფილისს და ეახლებოდა მეფეს.

1.

განთქმულა პირველ ბრძენთაგან, სიდარბაისლე მესხისა,
ომი და შებმა კახელთა, მოსანდომია არ სხვისა,
ჩუქება პირველ კარგობა, ქართველთა არ ეძრახვისა,
არიან ზრდილნი იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა.

2.

მთიულნი ცხენსა მოგპარვენ, თუ თვალი დაიხუჭია,
მიბრძანდი საციციანოს, მოგპართვან ბატის კუჭია.
საამილახვრო ბიჭები, მკერდ-ზრქელ[ნი] შიგნით ფუჭია;
დოიანთ ბარათიანთა, ხმალზედ აცვდებათ მუჭია.

მეფე ათქმევინებდა ამას გასამხნევებელად კახთა, ოსისა და ბრძოლისათვის. „მიამება, როცა შენ წარმოსთქვამ ლექსთა ამათო, — მიბრძანებდა მეფეო, — მსუქნათ იტყვი ხოლმეო და მადიანად". — ესე მოთხრობა თვით იოანე აფხაზისაგან მაქვს გაგონილი ჩემსა სიყრმეში. იყო მეგობარი და მწყალობელი მამისა ჩემისა და ხშირად ვხედავდი მას თფილისს, მოხუცებულად მავალსა და იყო 78 წლისა და გარდაიცვალა 1829 წლისა შემდეგ. დაესწრო აღამამად-ხანისა ომში თფილი-

მიჰყვებოდა მეფესა გიორგის წირვისა მოსასმენად, და სადაცა მამა ეპისკოპოსისა ამის იყო დროთა მათ მღვდელი ხარებისა ეკკლესიისა ფრანგთაგან მოღებულისა მეფის თეიმურაზ მეორისაგან (1755 წელსა).

CVI

თფილისისა აოხრებისა დროსა, გაუქმდა სტამბაცა სამეფოჲსა პალატისა. მეფემან გიორგი ბრძანა განახლება მისი: კვალად იწყეს სახლისა სასტამბოჲსა შენება, დაიბარეს ქაღალდი ოსმალოდამ ახალციხისა გზით და სპარსეთისა საძზღვრიდამ, შეუდგნენ ასოთა ჩამოსხმასა, დაზგებისა კეთებასა, და მბეჭდავთა შეკრებასა. შფოთთა თფილისსა, ქართლსა და კახეთსა შინა აღდგენილთა ძმათაგან მეფისა, დაგვიანებამან ქაღალდისა, მოუცლელობამან თვით მეფისა სნეულებისა გამო, რომელიცა მოერია მას და განუძლიერდებოდა დღე ყოველ, დააბრკოლეს საქმე: სტამბა დაშთა უქმად და მბეჭდავნი უსაქმოდ. მეფემან ვერ იგდო დრო, რათა შესდგომოდა საქმესა ამას და სიკვდილმან მეფისა მოუღო ბოლო წიგნთა ბეჭდვისა ჰაზრსა მისსა. ამას სტამბაში დაიბეჭდა შემდეგ მხედრულისა ასოთ მოკლე საქართველოჲსა ისტორია, რომელსა ეწოდა: „ნარკვევი“, ქმნილი ბატონიშვილისა დავითისაგან და მერეთ ღენერალისა კნორინგისაგან მეფობისა გაუქმებისა გამო განცხადება ქართველთადმი.

CVII

მეფე, მზრუნველი მონასტერთათვის, მეცადინებდა, რათა ძველთა წესთა ზედა ყოფილიყვნენ მამანი და ძმანი მათნი. 1800 წელსა ფებერვლისა 7 სწერს მეფე შვილსა თვისსა იოანეს შემდეგსა ბრძანებასა: „წინამძღვარი იკორთისა მონასტრისა ჩივის მეზობლებზედ ეკკლესიისა მამულებსა არ გვანებებენო. მიბრძანდი და შეიტყე სადაო: გამამძიებელიც მანდ მიბრძანდება და ოქმებსაცა და მეფეთა წერილებსაც განაახლებს. გალავანიცა დაქცეულა. უბრძანე სახასო გლეხთა შენობაზედ გაისარჯნენ, რადგანაც მათი სალოცავი არის. გამალიელ

სის აღებისა დროსა 1795 წელსა. ვითარცა კეთილმორწმუნემან კაცმან 1797 წლიდამ შესწირა ნათლისმცემლისა უდაბნოსა ყოველწლივ ზედაშედ და ნუგეშად ძმათა მოღვაწეთა თვითო ურემი ღვინო. შვილი მისი განაგრძობს შეწირულობასა ამას დღეინდელად დღედმდე.

შეუწუხებიათ და წინამძღვარობაზედ ხელს იღებს. გამოცდილა ამისი არ იქმნება. საჭირო კაცი არის ესე და დიდად მცდელი. ეცადე და-ამშვიდო". — მეფის ძემან იოანე სრულ ჰყო ესე საქმე და განუსვენა წინამძღვარსა. მადლობითა აღესილმან გამალიელმან მოართვა მეფეს ხატი ღვთისმშობლისა, შემკული მეფისა ირაკლისა ძის ვახტანგისაგან, შობილისა პირველისა ცოლიდამ და გარდაცვლილისა უშვილოდ [11].

აქ სათქმელია ესეცა საცნობელად შემდეგთათვის. იკორთისა ანუ ჭირშისა მონასტერი მთავარ ანგელოსთა. სამარხი წმინდათა მოწამეთა ესრეთ იყო ძველად მიჩნეული, რომელ მეფენი უნიშნავდენ განმგედ წინამძღვარსა, მაშინაც, ოდეს ერისთავთა ეპყრათ ქსანი და ჯერეთ არ ჰქონდათ მათ ჩამორთმეული ერისთავობა ქსნისა. არ არის დიდი ხანი, ვსცან, რომელ დავით ჯორჯაძე წინათ გამალიელისა იყო სადმე წინამძღვარად მუნ დანიშნული, თვით იგი დავით, რომელსაც მისცეს შემდგომად ბოდბელობა. ამავე მონასტრისა მამამთავარი განაგებდა ქსანზედ ორთა სხვათა მონასტერთა, ესე იგი ლარგვისისა და ალევისა. ესე უკანასკნელი დავით აღმაშენებელისა დროთაგან იყო საზღვარი არაგვისა და ქსნისა საერისთაოთა. აქა

---

[11] ესე ვახტანგ იყო პირმშო ძე მეფისა ირაკლისა, პირველისა ცოლიდამ, განდევნილისა და მომკვდარისა 1744 წელსა. ამას მოგვარეს ცოლად ქეთევან დადიანისა კოსტანტინე მუხრან-ბატონისა, რომელიცა იყო დანიშნული მესამესა წელსა ცხოვრებისა თვისისა, და ვითარცა მშვენიერსა ზრდიდა თვით თამარ დედოფალი, დედა ირაკლისა. დაწერეს ჯვარი, ოდეს შეიქმნა ქალი 13 წლისა და თვით ვახტანგ იყო 16 წლისა. ამავე წელსა შეეყარა ყვავილი და მორჩენილი სენისაგან, წარიყვანეს აბანოდ შემდგომად 40 დღისა. ესრეთმან გაუფრთხილებელმან ბანვამან, შეაქცია და გარდაიცვალა თფილისს. მეფე ირაკლი მიეცა დიდსა შეწუხებასა და თეიმურაზ მეფე, მამა ირაკლისა, ესრედ შესწუხდა, რომ დაჰკრა თავი კუბოსა და გაიტეხა. დაასაფლავეს მცხეთას. მეშვიდესა დღესა, ოდეს ჩვეულებისამებრ მიუტირეს ცოლსა ქეთევანს, მაშინ იხილა ცხენი ქმრისა და ეტირალი მივიდა. ცხენთან და ცხენისა კისერსა შემოახვია თმა თავისა თვისისა გრძელი და მშვენიერი. ქეთევან დარჩა ქვრივად და შემდეგ, როდესაც ეყოლა მეფეს ირაკლის შვილი მესამისა ცოლიდამ, უწოდეს თხოვისამებრ ქვრივისა რძლისა ქეთევანისა, სახელი ქმრისა მისისა ვახტანგ აღმასხანად წოდებული. ამან იშვილა იგი და სცხოვრებდა მასთან. — 1803 წელსა გარდაჰყვა რუსეთს და ჰკერკობისა სენითა გარდაიცვალა 1808 წელსა ს. ჰ. ბ.

„ვახტანგ პირმშოსა, — მეტყოდა მეფის ძე მახვილ, — მიუჩინეს ლალად გივი გურამიშვილი, კაცი ზრდილი და ვაჟკაცობითა გამოჩენილი. ოდეს ზრდიდა იგი მას, დღესა ერთსა შეეშინდა ცოცხალისა თევზისა. გივი განრისხდა და ჰრქვა: „როგორი შვილი ხარ მამისა! აღიღე თევზი ეხლავე!" — ესრეთ შეაჩვია უშიშროებასა და სიყრმითგანვე გულოვნობასა, მეფეთათვის საჭიროსა".

ხატი, მისი ნაქონი აქვნდა მეფის ძეს მიხაილის და შემდგომად გარდაცვალებისა მისისა ხვდა წილად მეფის ძის ბაგრატის ძეს ალექსანდრეს და აქვსთ სახლობასა მისსა აქა ქ. თფილისს.

ვიტყვი მამამთავრობისა მნიშვნელობასაცა. მამამთავარი მარადის იქმნებოდა ერისკაცთაგანი და მოვალეობა მისი იყო ძველად, — განეგო ყმა და მამული მონასტრისა და ეზრუნვა ეკლესიისა უნჯთათვის. მართებს მწერალსა და მკითხველსა არა აღრიოს მნიშვნელობა ესრეთისა წოდებისა ლექსისა თანა „პატრიარქი“, რომელთაცა ნიშნავს მასვე და ითარგმანების ბერძულიდამ ესრეთვე „მამამთავრად“. მეფემან გიორგი რუსეთისა გზით განლებული კარი დარიალისა ჩააბარა მეფის ძეს ვახტანგსა და უბრძანა არა ვითარცა მამამან, არამედ ვითარცა მეფემან და მბრძანებელმან, იყოს მზად და ფხიზელად, — რათა არა აწყინონ რუსთა ჯართა გზაზედ და აძლიონ ყოველივე შემწეობა ურმითა, და ცხენითა და კაცითა ყოველთავე მუნით მიმავალთა და მომავალთა, ესრეთი ბრძანება მეფისა მეფის ძისადმი მსწრაფლ განითქვა, და თვით ვახტანგ ანუ ალმასხან, სუსტი სულითა, — დამორჩილდა და მორჩილებითა თვისითა, — დასდვა შიში და დუმილი მხლებელთა თვისთა ზედა. — მეშფოთი არაგვი, დაუცხრომელი და გაუმაძღარი ომითა, ვითარცა დღესცა ძველადგან იმღერის არაგვსა კაცი, — დაჩუმდა, და იყო მოლოდებასა მზაკვარსა იგდოს დრო მარჯვე და მიუდგნენ ერთგულობითა მეფის ძეს იულონსა, რომელიცა იდუმალ არა დასცხრებოდა წინააღმდეგობითა მეფისადმი, და ჰგონებდა გამეფებასა, ვითარცა უფროსი შვილი ირაკლისა მეორისა ცოლიდამ. მაძინ მეფემან მოიწადინა თვით წარსვლა არაგზედ და ქსანზედ ჰაზრით მით, რათა გამოდევნოს მუნით იულონ და ვახტანგიცა. სნეულებამან არ მისცა დრო თავისუფალი და ვერ შეასრულა ჰაზრი თვისი დასამშვიდებელად სამეფოჲსა.

CVIII

ვახტანგ მეფის ძე, აღმასრულებელი მეფისა ბრძანებათა, უგზავნიდა შემოდგომას და გაზაფხულს ხევის ბერთა ფშავიდამ, ხევსურიდამ, თრუსოსა ხეობიდამ, ხევიდამ და მთიულეთიდამ, და მეფე მადლობელი ძველთა მათგან მორთმეულთათვის, — მოძღვრებდა იყვნენ ერთგულად მეფისა და არა დაივიწყონ მათ მოვალეობა მათი. მეფე მეცადინებდა რუსთა სიყვარულსა და აგონებდა მათ შეწევნასა, რომელსაცა მოელის მათითა მოყვანითა მტერთა ზედა საქრისტიანოთა. ესრეთისა ჰაზრისა განფენისათვის მთათა შინა ავად რუსთათვის მოსაუბრეთა, — ორგზის წარავლინა მთებთა შორის პაფნოტი არქიმანდრიტი. ესე პაფნოტი იყო თვით იგი, რომელიცა შემდგომად

კნიაზმან ციციანოვმან შეგზავნა მთათა შინა დასამშვიდებელად, და კაიშაურსა აღშფოთებულთა მთიულთა სცეს 40 გზის თუმცა ნელიად ხანჯალი და უბრძანებდნენ მას რუსისა ერთგულსა და ქვეყნისა ორგულსა, შეჯდეს * ვირსა მიგვრილსა მისდა, — საკიცხველად. „ამ დროსა მიეედ მე მუნ კაიშაურსაო, — მიბრძანა მეფის ძემან ფარნაოზ, — დევნულმან რუსთაგან და ვიხსენ იგი განსაცდელისაგან და დავაბრუნე ანანურისაკენა". — ესე პაფნუტი იქმნა შემდეგ არქიეპისკოპოსი და გარდაიცვალა მოსკოვს 1823 წელსა.

CIX

ამავე დროსა მიეწერა მეფისა ბრძანება მეფის ძესა ვახტანგს, რათა დაწესებული 1 იანვარს 1774 წელსა, ირაკლისავე დროსა მორიგეთა კანონნი აღსრულდებოდეს ეგრეთვე ფიცხელად, ვითარცა მამისა მისისა მეფობასა. ამავე ბრძანებითა, დასდვა მას ვალად მეფემან შეჰყაროს, ვითარცა კარისა მისისა მოხელენი სალთ-ხუცესი, მილახვარი **, ბოქოულთ-ხუცესი, ეგრეთვე მოურავნი, ხევის-ბერნი და სხვანი, და გამოუცხადოს მათ ესრეთი მოვალეობა მათი. ესრეთმან მეფისა ბრძანებამან დიდად შეაშინა მეფის ძეცა და თვით ჩვენცაო, — იტყოდნენ მოხუცნი დუშეთში, — ჩემთან დაახლოებულნი გოშპარ კობიაშვილი და იასე ყარანგოზიშვილი, რომელთაგან პირველი გარდაიცვალა 112 წლისა 1862 წელსა და მეორე 87 წლისა 1864 წელსა.

CX

1800 წელსა გაჩნდა ჰირი ქალაქსა: შემოიტანეს ესე ახალციხისა მხრითა. რუსთა ჯარისა შეფთა და თვით კოვალენსკიმან სთხოვეს მეფესა, მიიღოს ზომა და ღონე კარანტინებისა. მეფემან წერილითა უწყებულმან, წერილითავე აცნობა: ყარანთინსა უნდა ყარაულებიო და ძნელია შოვნა ესოდენთა ყარაულისა რიცხვთა, რომ ვერვინ შემოვიდეს მუნით აქეთ ჩემსა სამეფოშიო. ამისთვის კმარა ეს ზომაო: მე მივსწერე ახალციხისა ფაშასა გამოუცხადოს ვაჭართა ყოველგან აქეთ

---

* ხელნაწ.: „შეერთდეს". რ ე დ.

** ხელნაწ.: „ამილახვარი" (ნამდვილად კი თანამდებობა იგულისხმება. სწორი წაკითხვა დაუცავს წ. კ. ს. ხელნაწ. 3053-ს). რ ე დ.

მავალთა: თუ შემოვა ეინმე ჩემს სამძღვრებში, არავის მივიღებთო, სავაჭროსა წავართმევთო და თვით მასცა თოფსა ჰკვრენო. — გაიცინეს შეფთა ესრეთსა პასუხზედ; გარნა მეფემან ჰქმნა ესე; აცნობა ფაშასა ბრძანება თვისი და ნამდვილ აღარავინ შემოვიდა და ექვსსა თვეზედ ჭირიცა გაჰქრა და შემდეგ ვაჭრობაცა კვალად გაიმართა. იტყვიან მომსწრენი დღეთა ამათ მწარეთა: მართლად ერთმანცა კაცმან ვერ გაბედა შემოსვლა სოფლებშიაცაო; მიწერილი ბრძანება ესრეთ აღსრულდა მტკიცედ, რომელ არავინ უნახავთ არავის მისრული სამძღვრებისა სოფლებში კაცი ოსმალოთა ადგილებიდამ. გაგზავნილთა ამ სოფლებში კაცთა აზნაურთა მოხელეთა აღსრულებისათვის ბრძანებისა, მოახსენეს მეფესა: „ვხედავდით მხოლოდ ლეკთა გუნდ-გუნდათ მიმავალთა შორით ტყისა და მთებისა გზებითა ანუ ახალციხეს, ანუ მუნით დაღესტანსა“.

ამასვე დროსა მოართვეს მეფესა და წარმოუდგინეს 4 სალდათი გაქცეული თფილისიდამ ახალციხისაკენ. ესენი დაეპირათ წალკისსა თავსა გარდაბავალსა მთაში. მიცემულნი სამჯავროსა, რუსთა წესითა, იპატივა მეფემან და ინება არღა დასჯა მათი. ჴორჩილ ექმნა ღენერალი ლაზარევი და თვით მოახსენა მას მადლობა მათთვის. — მეტად ფიცხელად ეკიდებიან, ეგ კურთხეულნი სალდათთაო. — ბრძანა მეფემან და უპასუხა ესრეთისა სიტყვისათვის სიმამრმან მისმან სარდალმან გიორგი ციციშვილმან: „ამისთვის იმარჯვებენ რუსნი, რომ ესრეთ დიდსა მორჩილებაში ჰყვანან“.

სასნეულო ჭირიანთათვის გამართეს თვით რუსთა ვერაზედ ლურჯ მონასტრისა გვერდით. სახლად აუშენეს 4 წნელის დიდი სახლი, გარედამ და შინიდამ ლესულნი გაჯითა და ზევით ჭერი ფიცოითა დახურვილი. აპრილიდამ ავგისტომდინ ყო ესე. მზრუნველობა სნეულთა სანოვაგისა და საწოლისა, მიანდვეს ქალაქისა მელიქსა დარჩია ბებუთოვს და ერთსა სომეხსა, აღალო..., ოსმალოდამ მოსულსა, ჭირნახადსა.

CXI

მხნე და გულოვანი, გმირი ვაჟკაცობისა და პატივცემული მეფისა ირაკლისაგან ზაალ ყაფლანიშვილი, — ობლად, ვითარცა თვით იტყოდა, დაშთენილი, — შემდეგ მეფისა ირაკლისა, წარვიდა სოფლად და გოდებდა მუნ ჴვეყანისათვის აღრეულისა. — ოდეს გამეფებული მეფე გიორგი თელავსა, მობრძანდა თფილისსა და მოითხოვა სიონისა ეკლესიაში ფიცი. თავადთა და აზნაურთაგან, მაშინ ერთგული

ბამულისა და მეფობისა ზაალ მოვიდა თფილისსა და ჰფიცა მას ერთგულობა და წარვიდა მოხუცი 84 წლისა სოფლადვე. ვითარცა მოხუცი და არღა სახმარი ომთათვის და ბრძოლათათვის, ჰგონებდა თავსა თვისსა უსარგებლოდ ქვეყანისათვის და არცაღა მოელოდა შემდგომად ირაკლისა ხმალთა ტრიალსა ვისგანმე, სიტყვისამებრ შემდეგ თქმულისა კ. გრიგორი დიმიტრის ძის (ქართულად ნამდვილ „ზურაბის ძისა“) ორბელიანისა:

მამული ვერღა იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება იერიისა მასთან მარხია სამარეს.

მეფე გიორგი დამფასებელი ზაალის გმირობისა, სწუხდა, მისსა უნახაობასა. მაშინვე წარავლინა გოგია ბარათაშვილი, ხელჯოხიანი და უბრძანა სთხოვოს ჩამოსვლა ქალაქად. ზაალმან მოსულმან თფილისად, იხილა მეფე და ტირილით მოიგონა გარდაცვალებულისა მეფისა მასთან ალერსი, ვითარცა მეგობრული მასთან. მეფემა სცა ნუგეში, აღუთქვა სიყვარული და დაჰპირდა სამსახურთა მისთა დაუვიწყებელობა. დროსა ამას მუნ მყოფმან მეფისათანა* სარდალმან იოანე ორბელიანმან, აღიმაღლა ხმა და, ვითარცა სარდალმან, ჰრქვა მას: „გმირად გსახვენ ზაალ! და იყავიცა ვიცით ესე; პატივი არ მიგეღების არავისგანო“. მაშინ ზაალმან, შინაურთა დაევებითა მამულთა გამო დამდურებულმან და ადრევე სიყვარულისა ერთობითა არ შეკრულმან, პასუხ-უგო გმირულად: „დიახ, ბატონო სარდალო, გმირსა გმირი უნდა აფასებდეს მაშინ ვიქმნები სწორე გმირად სათქმელი. — ჩემი სამსახური მაშინ იყო, როდესაც ხმალი მეფისა წინ მიძღოდა. ეხლა მოხუცი და სნეული, რიღას გამოსადეგი ვარ. აბა, სარდალო! მეფეს და ქვეყანასა გვიჩვენე ხმალი შენი ლესული, და გვათქმევინე გმირობაცა შენი“.

სარდალსა იოანეს ეწყინა და მეფესა გაეღიმა და იამა: იცოდნენ სარდლისა იოანესი არა ვაჟკაცობა და ნეტარებითა მოიხსენებდენ მამასა მისსა, სარდალსა დავითს, მხნესა და გულოვანსა, ნამდვილ დიდკაცსა და მეფეთათანა შელაღებულსა.

ზაალ გმირთა გმირი, გარდაიცვალა 1808 წელსა და დასაფლავდა სიონისა თფილისს ეკკლესიასა. სიკვდილამდე იყო დაუვიწყებელი ანახანუმ დედოფალისა და ყოველ წლივ წარვიდოდა ბცხეთას და გარდაუხდიდა მას პანაშვიდსა [15].

---

[15] ესე ანახანუმ იყო მეორე ცოლი თეიმურაზ მეორისა, ასული ბარათაანთი, ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილისა. ოდეს მოკვდა ცოლი თამარ, მეექვსესა თთვესა შეირთო იგი მშვენიერებისა გამო. სძულდათ ირაკლის და ანნას, ვითარცა დედინაცვალი და არ უნებდათ ხილვა მისი, რადგანც ეცვათ ჯერეთ შავი გლოვისა. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, მივიდა ირაკლი სანახავად მისისა. დედო-

* ხელნაწ. „მეფემან“.

დღესა ერთსა მეფესთან, გარისხებულსა ძმათაგან თვისთა შფოთთა გამო, შეიყვანეს წვრილნი შვილნი მისნი: ოქროპირ და ირაკლი. — გამდელთა მათთა დაუსვეს იგინი ახლოს მეფისა დაფიქრებულისა. ლალა მეფის ძის ილიასი დაეით აბაშიძე და გოგია ბარათაშვილი უალერსებდენ და ეთამაშებოდენ ყმაწვილთა. ესრეთსა ალერსსა შეუდგა თქმა წყობითი „იწილო-ბიწილოსი“. სავსებისათვის მოთხრობისა ამის მართლივ დავსწერ ამასაც აქავე:

„იწილო, ბიწილო,
შროშანო გვრიტინო,
ალხო მალხო,
ჩიტმა გნახო,
შენი ფესვი
ფესმანდუკი,
აბდა უბდა
გადასკუბდა,
აჯეგ მაჯეგ,
მეფეე ჩაჯეგ“.

ჩვეულებისამებრ ქართველთა, იტყოდენ ამას რავდენჯერმე და დაასწავლიდენ ყრმათა განმახვილებისათვის და დალესვისათვის მეხსიერებისა; ეგრეთვე ძლიერისა, მტკიცისა და წყობითისა ლექსთა და სიტყვათა, წარმოთქმისათვის.

ფალი ანახანუმ, რათა არა ეჩვენოს მას უზდელად, მოირთო ვითარცა დედოფალი, ყელსა და თმათა, ხელთა და გულსა მოიფინა თვალი და მარგალიტი, წამოისხა ხამი ანუ ფლევრი ინდოეთისა ნაქსოვი და, ამით, რეცა იფარვიდა და მალავდა მათ სამკაულთა. ესრეთ ეჩვენა ირაკლის და ესრეთვე მეფის ასულს ანნას. იყო დიდი მორწმუნე და ქრისტეს მოყვარე. მრავლად შეამკო ეკკლესიანი ქართლსა და კახეთსა. დიდად ზრუნვიდა მონასტერთათვის. შემდგომად სიკვდილისა თეიმურაზისა რუსეთს, სცხოვრებდა თფილისს და უკანასკნელთა, ცხოვრებისა თვისისა, წელთა, იკურთხა ჩოხა სამონოზნო და ატირა მრავლად მუნ მყოფნი და დამსწრენი კურთხევისა დედოფალი დარეჯან და სასახლისა ქალნი. ჩოხა უკურთხა კათოლიკოსმან ანტონი პირველმან ნათლისმცემლისა ეკკლესიასა შინა პირისპირ სასახლისა. გარდაიცვალა შემდგომად რვისა დღისა გარდაცვალებიდგან თვით კათოლიკოსისა ანტონისა. სიკვდილი ანტონისა, ჩვეულებისამებრ ქართველთა, ჩასძახეს მომაკვდავსა ანახანუმს. დაასაფლავეს მცხეთისა ეკკლესიასა მეფეთა სამარხსა.

დროსა ამას, როდესაც მეფე დუმილითა დაღრმობილი, ტრფიალებდა შვილთა სიყვარულითა, შევიდა მეფესთან მემკვიდრე მისი დავით. ამას გამოჰკითხა ქვეყანისა საქმენი და რავდენისამე მოხსენებისა საქმეთათვის უპასუხა დიდად მკვახედ. დავითს არ იამა ესე და დაფიქრებული გამოეთხოვა მამასა და გამოვიდა. — გამოვიდა დავით და შევიდა იოანე ძმა მისი. მეფემან შესჩივლა დავითისაგან უჯერონი მოხსენებაები და უბრძანა სიფრთხილით მოქცევა: „ქვეყნისა გაოხრებულისა მეფე ვარ. დიდი ჭკუა გვინდა ამისთანა დროებაშიო. უფროსნი შვილნი ხართო ჩემნი და უნდა მეცა მპატრონებდეთო“. რაჲ იყო საგანი ესე მათის საუბრისა, არღა დახსოვნებოდა გოგია ბარათაშვილსა, გარდაცვალებულსა 1850 წელსა, რომელმანცა მომითხრა ამბავი ესე.

მეორესა დღესა განვიდა ხმა ქალაქში: მეფე იწილო-ბიწილოსა შეექცევაო. სცნო ესე მეფემან, გარნა არ განრისხდა; შვილებსა დასდვა ეჭვი და სდუმნა. — დედოფალმან მარიამ შეიტყო ესე და შესჩივლა მამასა თვისსა გოგიას. აჩქარებული გოგია დაამშვიდა თვით მეფემან, სიძემან მისმან და უბრძანა დუმილი. ამავე დროსა შევიდნენ მეფესთან სარდალი იოანე, ალექსანდრე მაყაშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი და მელიქი ქალაქისა დარჩია; თან შეჰყვა ამათ წირვისა შემდგომად მღვდელი ონისიმე იოსელიანი და მიართვა მეფესა სეფისკვერი. მაშინ უბრძანა შეიყვანონ მასთან ყმაწვილები ილია, ოქროპირი და ირაკლი. „გოგიავ, — ბრძანა მეფემან, — თუ გიყვარდე, შეაქციე ყმაწვილები იწილო-ბიწილოთი, დასხედით ონისიმესთან: მაგასაც ეცოდინება იწილო-ბიწილო“.—ამითი უნებდა ეჩვენებინა, რომელ მეფობისა საქმეთაცა განვაგებო და ალერსსაც ყმაწვილებთან დროს ვუპოვნიო.

ესრეთითა მოქცევითა ამხილა და არცხვინა დამცინებელნი. განვიდა კვალად ხმა ყოველგან და მიჩუმდენ ენანი, ბოროტისა მეფეზედ მეტყველნი.

CXIII

ამბაესა ამას დაუროო ამბავი მანვე გოგია ბარათაშვილმან— ქალაქი ამ დროს დამშეული იყო და პური ვერ მოდიოდა ადვილად ამ ქალაქშიაო. მეფესა გაეგზავნა ეშიკასბაში გიორგი ციციშვილი და მალხაზ ამირეჯიბი და ნაზირი კათოლიკოსისა ნიკოლოზ ელიოზიშვილი მოსაშველებლად პურისა; ეგრეთვე ყაზახ-ბორჩალოში გაეგზავნა იოსებ კალატოზიშვილი, თარუა არღუთაშვილი და ჰუსეინ-ჰაჯი.

ამათ თითქო განგებ შეთქმითა, ერთს დღეს შემოიტანეს თფილისში 320 ურემი ქართლიდამ და 400 ყაზახ-ბორჩალოდამ. გაიესო ბაზარი პურითა, ჩამოვარდა სიაფე და გაიძღო ქალაქმა კუჭი. მცხოვრებნი თფილისელნი ადიდებდენ მეფესა და ჰგიობდენ მაგიებელთა მისთა. — მარიდიცა შეძვირებული იყო და ამისთვის წარგზავნა პაველე მელიქიშვილი და ქალაქისა ნაცვალი სურგუნაშვილი ყულფისაკენ, რომელთაცა წარიღეს ბრძანება მეფისა ყაზახისა და ბორჩალოსა სულთნებთან. ესენი წარუძღვნენ და მოიტანეს ერთს თვეზედ 200 ურემი და 700 აქლემებითა მარილი მრავლად. „დიდად ბეჯითად მეფობდა, — იტყოდა იგი გოგია, — მაგრამ ძმები და მხლებელნი მათნი აშფოთებდნენო, ძრწოდენ ყოველნივე. მეფისაგან იშიშოდენ ძლიერ, მაგრამ არ დასცხრებოდენ ხოლმეო. მიკვირს ეხლაცა მოთმინება და სულგრძელობა მეფისაო. ყმაწვილი ვიყავი, ხმა არა მჭრონდა დიდკაცებშიაო, მაგრამ მესმოდა კარგად ყოველივეო და ბევრჯერ დავფიქრდები ეხლაც და ვიტყვი: რათ სჩადიოდნენ ასეო? რა კაცნი იყვნენო? რას ეძიებდნენო? სამგლე გოჯივით ატეხილი იყო დიდი და პატარაო!

მართლად იტყვიანო: ღმერთი რომ კაცსა გაუწყრება, პირველად ჰკვასა წაართმევსო. იმ დროს აღარავინ იყო რიგიანი კაცი, აღარც სარდალი, აღარც სალთხუცესი, აღარც მწერალი, აღარც მდივანბეგი და აღარც მღვდელმთავარი. ჰეშმარიტად ვიტყვი მხოლოდ ამას, რომ მეფე გიორგი თვით იყო სწორეთ ჰკვიანი, თვით სარდალი, თვით მსაჯული და თვით მღვდელმთავარიო“.

ამბავი ესე მიამბო თვით გოგიამან — (არა ვუწოდებ გიორგი, რადგან ამა სახელითა „გოგია“ იგი იყო ცნობილი); როდესაც 1847 წელსა მიჩვენა მან ბირთვისისა ციხე დაწვლილებით და ვიყავი მასთან სტუმრად ერთსა ღამესა, ოხვრითა მითხრა მან: „ესრეთისა სიმაგრისა მექონე ქვეყანა, და რამდენი ამისთანა არიან სომხეთისაკენ, როგორ უნდა წამხდარიყოო. ჰეშმარიტად ცოდვისა მოგვეევლინაო და მტერმან ასე გაგვაქროო!“

ჰეშმარიტია თქმულება მისი ესე უკანასკნელი და აქა მოსმენის მეისტორიე წახდენისა მიზეზსა. წინასწარმეტყველისა პირითა მასვე იტყვის ღმერთი, განმგე მეფეთა და მეფობისა. წარვედი და არქვ, — უბრძანა ღმერთმან ისაის, — ერსა ჩემსა ისრაილსა: „არა ვიყო მე წინამძღვრად ერისა ჩემისა: რამეთუ ენანი მისნი უსჯულოებენ და უფლისა მიმართ ურწმუნოებენ“.

ნუ დამცინებენ თქმასა ამას მკითხველნი შრომისა ამის ჩემისა. მიიღონ ჰაზრი ესე ანუ თქმულად ტაციტისაგან, რომელიცა, ვითარცა წარმართი — ესრეთვე ეძიებდა რომელთამე დაცემისა მიზეზთა; ანუ

თქმულად გიბბონისაგან მეისტორიეს დეისტისა, ანუ თქმულად ბოსვეტისაგან და მიშლესაგან, — ისტორიისა ფილოსოფიურად მწერალთა. მე ვიტყვი წინასწარმეტყველისაგან თქმულსა: მიიღონ სარწმუნოებასა ზედა მერყეევთა ანუ ურწმუნოთა ჰაზრი მისი, ვითარცა თქმული კაცისაგან გონიერისა, მამულისა თვისისა მოყვარისა, შორს მხედველისა, დაწვლილებით ყოველისავე გამომეძიებელისა, მთრთოლარისა სამეფოჲსა და მეფეთათვის თავგანწირულისა, რათა არა გამქრალიყო, სარწმუნოება მტკიცე აბრაამისა, ვარსკვლავი ისრაილისა, ძალი და ძლიერება დავითისა, სიბრძნე და მართლმსაჯულება სოლომონისა. აქა კვალად ვსდუმებ. უძლურებამან და დუმილმან კალმისა ჩემისა განაღვიძონ და ასაუბრონ სხვანი...

CXIII

1799 წელსა მოვიდა ელჩი ყაენისა და წერილი მისი მეგობრული. სთხოვდა მეფესა — არა დაარღვიოს კავშირი ძველთა საქართველოჲსა მეფეთა ერანის ყაენთანა, რათა არა დაივიწყოს წყალობაები, რომლითაცა საესე იყო საქართველო, რათა რუსთა არა მიანდონ სვე და ბედი თვისი. ყაენი აღუთქმიდა მფარველობასა თვისსა საქართველოსა ვალისტანზედა, სარწმუნოებისა მათისა არა დევნასა, უფლებასა სახანოებთა ზედა ერევნისა, განჯისა და ყარაბაღისა, ვითარცა იყო მეფისა ირაკლისა დროსა, და უკეთუ ისაჭიროებს მეფე ჯარისაცა გამოგზავნასა 6000 კაცისა ყაენისა ხარჯითა დასაცველად გზათა, რომელნიცა აქენდნენ სავლელად ლეკთა, ქვეყანისა ამაოხრებელთა. — მეფემან მიიღო ელჩი პატივითა და მაშინვე მისწერა წერილი, რომლითაცა დაუმალველად და გამოცხადებულად აღიარა საჭიროება ქვეყანისა დასაცველად მინდობით და მიმართვით რუსთა ხელმწიფისადმი. მისწერა მეფემან: „ირანი შეგვექმნა მდევნელად და მტერად ჩვენდა; დაივიწყა სისხლი მეფეთა ქართველთა ჯვარისა დაღვრილისა ავგანისტანსა. ირანმან აღწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი. ირანმა აღძრა ლეკი ასაკლებად ჩვენდა. ერთიდაიგივე სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა, მაიმედებს ქვეყანისა დამშვიდებასა! დარღვევა მათთან კავშირისა, არ შემიძლიან და ვერცა შევირცხვენ პირსა და ვერც გავტეხავ სიტყვასა მიცემულსა. ყოველნიენი სასულიერონი და საერონი გვამნი თხოულობენ რუსეთისა ხელმწიფისა მფარველობასა".

პასუხითა ამით წერილითითა წარვიდა ელჩი. მაშინ ყაენმან მოსწერა წერილი ყარაბაღისა, განჯისა და შაქშირვანისა ხანთა დასაპ-

ყრობად საქართველოჲსა იქონიონ მზად საგზალი და იყოლიონ ჯარი. მეფის ძე ალექსანდრე დროთა ამათ იყო თავრიზსა და იმედეულებდნენ შეწევნითა მისითა, შემოვიდნენ ქართლსა განჯისა გზით და ფულითა ნაქირავნითა ლეკთა ჯარითა შემოვიდნენ კახეთსა, გარდაადგომ ტახტიდან მეფე გიორგი, შეუკრან და გაამაგრონ გზები რუსეთისა მხრით და გაამეფონ ალექსანდრე, ანუ უფროსი ძმა მისი იულონ. მეფის ძეს ახლდენ ქართველთაგანნი: ზაქარია ხერხეულიძე, ადამ ბებურიშვილი, როსტომ საგინაშვილი, თადია ჩოლაყაშვილი და სხვანი. ხანმან ყარაბაღისა აცნობა ესე მეფესა გიორგის და თვით მეფემან დამყარებულმან რუსთა იმედსა ზედა, არ მიცა პასუხი ხანსა, თუმცა მეგობარსა თვისსა. ჰუსეინ-ბეგი ყარაბაღისა, ელჩად გამოგზავნილი ევედრებოდა მეფესა უბოძოს წერილი ხანსა და მეფე უბრძანებდა სიტყვითა: „რუსთა ჯარი ექვსისა დღისა სავალზედ შორავს ჩემგან. დაბარება და მოსვლა მათი აქა ადვილია. ესრეთ აცნობე ხანსა. მე წერილსა ვერ მივსწერ; არცა არის რიგი დაუკითხავად რუსთა ხელმწიფისა მჭონდეს მიწერ-მოწერა. ზაკვითსა მოქმედებასა ინანებს ირანი, არ შერჩება ყაენთა თფილისისა აოხრებაჲ, და სისხლი მცხოვრებთა დაღვრილი აქა. ირანმან წაგვახდინა: რუსეთი გარდაუხდის მაგიერსა ირანსა. უწერილოდ მისულმან ელჩმან, რომელიცა მივიდა უწერილოდ მეფისაგან, განარისხნა ხანი ყარაბაღისა და მოიყვანა განცვიფრებასა ესრეთი მეფისა მასთან მოქცევა. აცნობა ესეცა ყაენსა და აღუთქვა მზა ყოფნა თვისი შეერთებისათვის მისისა ყაენისა ჯართან შესასვლელად საქართველოსა და დასასჯელად გაამაყებულისა მეფისა. ორისა თთვისა შემდეგ, სცნო ყარაბაღისა ხანმან და თვით ყაენმან რუსთა ჯარისა შემოსვლა თფილისსა.

CIV

ამასვე დროსა იგდეს ხელსა თადია ჩოლაყაშვილთან მოწერილი წერილი თვით მეფის ძის ალექსანდრესაგან და ესრეთივე იოანე ბოდბელთან, მაყაშვილთან, რომელმანცა მიმალა, თუმცა სცნო მეფემან. ერთი ესრეთი წერილი მიიღო იდუმალ ორგულმან მეფისა ჩოლაყაშვილმან და ბრძანა მეფემან შეიპყრან იგი და მისცეს სამსჯავროსა. პყრობილმან და შეშინებულმან გამოაცხადა წერილიცა მიწერილი ბოდბელთან და ორთა სხუათა თავადთადმი, და მეფემან, ნაცელად სასჯელისა (რადგანც ჩოლაყაშვილი იყო სიძე მეფისა ძის ალექსანდრესი), ბრძანა სინანულისათვის მათისა მოსცენ ფიცითი წინაშე კარისა ეკკლესიის ხატისა, თელავს, სიტყვა წერილითი ერთგულობი-

სათვის მეფისა გიორგისა და ეკმაოსცა მათ ესე. გულტკივნეულმან მეფემან და გულჩვილმან, უბრძანა იყვენენ დამნაშავენი სიფრთხილით, ებრალებოდესთ ცოლშვილნი თვისნი, ვითარცა ებრალვის თვით მეფესა იგინი, არა ღირსნი სიბრალულისა და შეწყალებისა.

იოანე ბოდბელსა მიეწერა საყვედურითი წერილი ესრეთისა სიტყვებითა, რომელ მოიყვანა ძრწოლასა და შიშსა ყოვლადი კახეთი. „ორგული მეფისა და გამტეხი ფიცისა, არღაა მწყემსი ეკკლესიისა— მისწერა კათოლიკოსმან ანტონი, სიტყვა და თქმა მეფისა — თვით განიკვეთ ესრეთითა მოქცევითა თაესა შენსა ხირისხიდგან შენისა. — ნუ მიმიყვან იქამდინ, აღვასრულო იგივე სასჯელი, რომლითაცა დაისაჯა ორგული მეფისა როსტომისა კათოლიკოსი დიასამიძე". — შეკრთომილი ბოდბელი, თვით მოვიდა ქალაქსა, წარდგა მეფესთან და მოითხოვა ბოდბიში და მიტევება ბრალისა; მიაწერა ბრალი თვით ძმასა მისსა მეფის ძეს ალექსანდრეს, რომელამანცა მოსწერა წერილი უქმად და ყურუგდებელად დარჩენილი. ამით დასცხრა კახეთი და შეშინდა ქართლი. სიმტკიცემან მეფისა მიაჩუმა ბორგვანი მრავალთა, იდუმალ მუშაკთა პირის-პირ მეფისა ესე — ამბავი მიამბო მეფის ძემან თეიმურაზ ერთსა და მასვე დღეს, ოდეს მესაუბრებოდა ს. ჰ. ბ. ხატისა გამო კარის ეკკლესიისა ღვთისმშობლისა, რომელიცა აქვნდა მას ს. ჰ. ბ. და რომელიცა შემდგომად გარდაცვალებისა მისისა აქვნდაცა კვალად მეუღლესა მისსა მეფის რძალს ელენეს; და აწ მეფის ძეს იოანეს შვილისშვილს იოანესვე.

დიდად შინაურად შეჩვეული მასთან მოვახსენებდი ხშირად სიტყვასა: „ბატონიშვილო! ხატი ეგე ტაძრისა, სწუხს ტყეობასა თვისსა, ტაძრისაგან თვისისა დაშორებასა და უცხოებასა შინა მწირობასა". „ამის მადლი, — მეტყოდა, — შემეწიოს მე, როგორ მოვიშორებ მას, მანამ ცოცხალი ვარ". — „ჩემი რჩევა, ბატონიშვილო, წარგზავნოთ თელავსა; არ დაუკარგოთ საუნჯე ქვეყანასა და თვისსა ადგილსა. ფასი ხატისა მაგისა, იცის ქვეყანამან, რომელსაცა იგი ეკუთვნის და რომელმანცა იგი ჰქმნა და შეამზადა". —

ზედა წარწერა ხატისა ამის არა მაქვს და მახსოვს ზეპირ ნამდვილ, რომელ იყო შემკული კახთა მეფისა ლეონისაგან. დედოფალიცა თინათინ მეუღლე მისი, იყო მუნ მოხსენებული [46].

---

[46] ხატი ესე, შემდგომად გარდაცვალებისა მეფის რძლისა ელენესა, მეუღლის მეფის ძის თეიმურაზისა, წარმოიგზავნა თფილისს დასასვენებლად თელავისა მეფეთა კარის ეკკლესიისა 1866 წელსა. იოანე ბატონიშვილის შვილიშვილმან იოანე გრიგორის ძემან გამოითხოვა იგი და მიიღო თვისდა საკუთრებად, ვითარცა სახლისა მისისა საუნჯე. ძვირფასითა მინაკრისა ხელოვნებითა არის ესე შემკული. რაგი იყო, ვითარცა ტაძრისა ხატი, ყოფილიყო დასვენებული თელავს, თვისსავე ტაძარსა შინა თაყვანის საცემლად ქრისტეანეთა, კახეთისა მხარისა, ქართველთა.

CXVI

მოთხრობასა ზემორეს დაუმატა მეფის ძემან თეიმურაზმან შემდეგი: „როღესაც მე თვით შემდგომად მეფისა გარდაცვალებისა წარვედი სპარსეთსა, მაშინ მეფის ძე ალექსანდრე დიდად მყვედრიდა მეფისა მამისა ჩემისა ესრეთ მოქცევასა წერილთა შინა მისგან მოწერილთა. მოიხსენებდა მეფესა უშვერად და უკადრისად და, სწყევიდა მას. სიტყვანი ესე მოსწყლვიდენ ჩემსა გულსაო და მაშინ ვსცან მტერობა მისი მამისა ჩემისა სახლისათვის და ბოროტი განზრახვა მისი ძმათათვის ჩემთა. — შემძაგდა მეფის ძე ალექსანდრე და ენახე თვით სპარსელთა ქცევა, ბილწი ჰაზრი მათი უსაფუძლო განმგებლობისათვის და საომრად. ვსცან იგინი არა რაჲსა მცოდნენი, ყაენისაგან დაშორებულნი, ვერ გამბედავნი სიტყვისა თვისისა მეფესთან და სწორისაცა სასარგებლოჲსა ჰაზრისა არ გამომთქმელნი. დიდად მიკვირდა მდგომარეობა ირანისა, მეფეთა კარისა, და მოვიხსენებდი პაპისა ჩემისა კარსა და თვით მამისა ჩემისა, ყოვლად მეფურისა, დიდებულისა, განცხრობითისა. მბიარულებითისა, სამართლიერისა და კარლია ტახტისა მდიდართა, მოკლებულთა, სნეულთა, მშიერთა, ობოლთა, ქვრივთა და პყრობილთათვის. ებლაც ვეკვირვი. მიხედვით სპარსეთისა და სხვათაცა ევროპიისა მეფეთა, ჩემგან ნახულთა რეინისა პირამდინ, მამისა ჩემისა სიმაღლესა და ბრწყინვალებასა; ეხლაც ვხედავ, რომელ ქრისტიანობა არის სამკაული მეფეთა და მასზედა დაფუძნებული მეფობა და განმგეობა ქვეყანისა არის საჩინო, ტკბილი, სამართლიერი და უცთომელი. — „აი, ჩემო პლატონ, — მიბრძანებდა მეფის ძე, — რითაც იყო დიდი კარი მამისა ჩემისა, — იყო ქრისტეს მოყვარე ყოვლად და ამისთვის იყო მეფე პირველი, თუმცა მტერთაგან გარეულთა და შინაურთა შეიწრებული".

CXVII

დიდად ეხაროდა ქართველთა ერისა ჩვეულებასა, ოდესცა აღდგომისა დღესა მიერთმეოდა ვეცხლისა სინზედ, მილოცვით დღესასწაულისა, სხვათაშორის საპასექოდ მომზაღებულთა სანოვაგეთა, თავი ღორისა მოუხარშავი და მოსახარშავად განმზადებული. — „კურთხეულმან ვასილი, — ბრძანებდა მეფე, — განხსნა ჭამა ღორის ხორცისა, აკურთხა და განსწმიდა, რასაცა მოსე მცნებითა თვისი[თ] უწოდებს

ბილწად. თქმული ესე თუმცა არსად სწერია ბრძენთა და ქართველთა წერილებში, გარნა საზოგადოდ ზეპირ თქმულობით, მიაწერენ დიდსა ვასილს. დიდმან ვასილი შემოიღო ესე, რათა ჰამითა ღორის ხორცისა დააშოროს პურითთა ქრისტიანენი და რათა მოქცეულნი ქრისტიანედ და მიმალულნი ურიაობასა ჰურიანი, ადვილად განირჩეოდნენ. ესრეთი არის სადამე განმარტებული დოსითეოს ნეკრესელისაგან".

ესე დოსითეოს იყო გვარით ჩერქეზიშვილი, კახელი კაცი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, მეფესა ირაკლის მეორესა უნებდა ებოძა მისთვის კათოლიკოსობა შემდგომად ანტონისა პირველისა. გარნა არა ჰქმნა მეფის ძემან გიორგი და მიუბოძა შვილსა თვისსა ანტონის. იცოდა კარგად სომხური. იყო კოპლი დაბადებით. გარდაიცვალა 1789 წელსა. მას დეუდგა ნეკრესლად ამბროსი.

CXVIII

თელავიდამ მოსრულსა დავითს, რექტორსა, თელავისა სემენარიისა შემდგომად გაიოსისა მოძღვრისა, უბრძანა მეფემან დახედოს ქალაქსა თფილისსა სასწავლებელთა, რომელნიც იყვნენ დროსა მას: ნათლისმცემელისა ეკკლესიისა, კალოუბნისა, სიონისა, ქაშვეთისა, მეტეხისა და ანჩისხატისა. ასწავებდენ აქა წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამმატიკას, კატეხიზმოს ანტონი კათოლიკოსისა სისტემითა, ძველთა სამეფოთა ისტორიასა და სხვ. მოსრულთა ჰასაკსა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწავებდენ ძველსა და ახალსა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა ანტონისაგანვე შედგენილსა. მოწაფენი დროთა ამათ იყვნენ ოთხასამდინ, ვითარცა იტყოდენ თვალით მხილველნი მოხუცნი.

მაისის თთვესა მეფე მიბრძანდა კალოუბანსა და იხილა მოწაფენი ეფრემ ღვდლისა კალოუბნელისა: თვით თვითოეულსა უბრძანა წაიკითხოს დავითნი, პარაკლიტონი, ჟამნი ხუცურად, აგალობნა იგინი და თვითცა გალობდა წირვისა და მწუხრისა საგალობელთა. დიდად განმხიარულდა მეფე, იხილა რა ყრმანი მადლიანად — ვითარცა სადმე თვით ბრძანა მეფემან, — მკითხველნი. უბოძა თვითო აბაზი და ამცნო ყრმათა, რათმ ეშინოდეს მათ ღვთისაგან და შეიქმნებიან ბრძენნი და შვილნი ეკკლესიისანი. „დასაწყისი სიბრძნისა არს შიში უფლისა" — ხშირად ბრძანებდა მეფე.

ესე მიამბო თვით მოხუცმან იოანე, ვიკარმან საქართველოჲსა, ეპისკოპოსმან ავალიანმან, მუნ დამსწრემან დროსა ამას. ამასთანავე

დაუმატა ესეცა: „ფული თეთრი, რომელიცა შეუმაობდა დროთა ამათ ქალაქსა, და რომელიცა მიერთმეოდა მეფესა, ყოველთვის ჩაჰყრიდნენ ადუღებულს ნაცრიანს წყალში და ესრეთ ფულსა განწმენდილსა და ჩირქიდამ მოშორებულსა, მიართმევდენ მეფესა; ... ჯიბე მისი იყო შიოს მარანიო“ — ე. ი. უხვი და მოწყალე მოკლებულთათვის და მარადის უკლებელი ფულისა. დიდად უყვარდა განსვენებულსა იოანეს მოგონება მეფისა გიორგისა: „— იყო კაცი წმინდა. ფაქიზი და მართალი, მოძულე არა წმინდებისა, არცა ერთი ძმა, არცა ერთი შვილი არ იყო, ეგოდენ წმინდა და ღირსი და გონიერი ვითარცა გიორგი, ვითარცა მზე ბრწყინვედა და ვითარცა მთვარე სიდიდით სჭარბობს ვარსკლავთა, ეგრეთ მანათობელად სჩანდა მეფე გიორგი შორის ძმათა და შვილთა თვისთაო“.

CXIX

დიდად სძაგდა ალთაფისა დანახვა, და ბრძანებდა სადმე: „არ ეკადრება ქრისტიანესა მისი ქონვა, რადგანაც არის ნიშანი მაჰმადიანობისა. „სპარსნი ალთაფასა ჰხატვენ მაჰმადისა გვერდზედ, — იტყოდა მეფე, — და ცხონებასა თვისსა მოელიან ალთაფისაგან განწმედითა“. — ძმანი მისნი ეცინოდენ ამისთვის მეფესა და ჰგონებდენ უშვერად თქმასა მისგან ალთაფისათვის. „დროთა ამათ, თათრობისა დასასუსტებელად, იტყოდა მეფე სიტყვასა ამას. ვერ მზედველნი შორით არა მოიწონებდენ მეფისა ჰაზრსა და გამგენი ოქმულობისა მისისა, ნაცვლად ალთაფისა მაჰმადისა სიმვოლისა, ხმარობდენ სპილენძისა თუნგსა ძველთა ქართველთა ერისა ჩვეულებითა.

CXX

მეფე ყოვლისა ღონისძიებითა მეცადინებდა, დაესუსტებინა და განექარვა სპარსთა წესნი და ჩვეულებანი, როსტომ მეფისა დროდგან ქართველთა შორის შემოტანილნი და დამკვიდრებულნი. „განამტკიცეთ კაცნი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, — უბრძანებდა ხშირად მღვდელთ მთავართა და არსენისა თფილელსა, არა დიდად მისგან პატივცემულსა, — შეაყვარეთ ერსა ჩემსა ქრისტე; განთესეთ მცნებანი მაცხოვრისა, სიმტკიცე სარწმუნოებისა, სიმტკიცეა მეფობისა და ბედნიერება ერისა. მორწმუნე მეფე და მორწმუნე ური მეგობარნი არიან ღვთისა და შვილნი მაღლისანი. დამცველხი ქრისტიანობითისა

სიწმიდისა, დაიცვებიან განსაცდელთაგან. მწყემსსა კეთილსა არა წარუწყმდების სამწყსო სულიერი, მოსავი ჯვარისა არა სადა დაეცემის". ვიყნეთ მტკიცედ სახარებისა სიტყვათა ზედა; დაჭემყარნეთ სარწმუნოებისა კლდესა ზედა; ვისასოებდეთ და მიევნდოთ ღმერთსა და იგი დაგვიცვამს. ნუ ჰგონებთ მტკიცედ საქმესა, თუ ღმერთი არ წარმართებს მას. მოიხსენეთ რჯულთველისა სიტყვანი:

„განგებასა ვერ ვინ შეცვლის, არ საქმნელი არ იქმნების" (192).

„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია" (1382).

„მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგან განაწირსა" (981).

„დაესხენ, სხვანი სხვად ჰფიქრობდენ. ჩვენ, ჩემო მოძღვარო, — უბრძანა ევთიმის თვისსა საყვარელსა — ჩვენებურად ვიფიქროთ, როგორც გვიწირავს ისე ვსწიროთ. შოთამაც ასრე სთქვა ლექსად:

„ზოგთა აქვსთ საღმთო სიახლე დაშვრების აღმა ფრენითა,
კვლავ ზოგთა ქვეუძსთ ბუნება, კეკლუცთა ზედა ფრენითა" (29).

CXXI

სიყრმიდან განსწავლული სამღრთოჲთა და საეროჲთა წერილითა, უყვარდა დიდად კითხვა ვეფხის-ტყაოსნისა, ზეპირად, ძველ-დროთა ჩვეულებრივითა წესითა, წარმოთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა, ეტრფოდა ლექსთაწყობასა და გულმხიარულებითა გასაგონად, ტკბილად აბოლოებდა შოთასა ტკბილთა ნათქვამთა. კათოლიკოსსა ანტონის პირველსა, რომელსაცა არა სწყალობდა სიყრმიდგანვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსა, — მოიხსენებდა არა კეთილად, რადგან ვერ სცნო ღირსება შოთასი, რადგანცა დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისავე დროსა, შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მაენებელი მკითხველთათვის და მომწამელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა. დიდად ეკვირვებოდა ესრეთსა ბრძნისა კაცისაგან მოქმედებასა. „წიგნი შთასი, — იტყოდა მეფე, — არის მახვილი სახმარი თვისსა დროსა. გონიერი მოიხმარებს და უგუნური მითვე საშურველითა თავსა თვისსა განიგმირავს. ღვინო არის სამკურნალო, და უგუნური გარდააქცევს საწამლავად, სალოთავად. სიმდიდრე არის ნიჭი ღვთისა: ერთი მოიხმარებს კეთილად და მეორე წარსაწყმედელად თავისა თვისისა. ნუმე ცეცხლი მათფობელი და დამწველი, არის რამე საგმობელი? ბატონი კათოლიკოსი, არა ჩემგან საკიცხველი, შეიქმნა მართლად საძრახისად მწერალთაგან. შოთას თქმულნი ატკბობენ სულსა, ასუქებენ გონებასა, ამაღლებენ გრძნობასა, ავრცელებენ გულსა, ამხიარულებენ კაცსა, დიდებულ

ჰყოფენ ქართველთა ენასა, ამუსიკებენ ქალთა და კაცთა, თუმცა არ არის ბევრთათვის დიწერილი, გარნა არა უხმარი ბევრთათვისცა მწერალთა სახედ მწერლობისა, ლექსთა ხმათა შეწყობისათვის, ასოთა დანაკვთობისათვის. აჰა ერთი ესე გვარი ლექსთაგანი:

„ლაშქარნი და დიღებულნი მოდრკეს, მდაბლად ეთაყვანნეს,
მოახსენეს: მიწად ვექმნეთ, ვითარც მიწად მიგვიყვანნეს.
მორჩილ ქმნილნი დაგვადიდნეს, ურჩნი მკვდართა დაგვაგვანნეს,
მტერთა მკლავნი შეაბუნტეს, გულნი ჩვენნი აგულვანნეს (1684).

ხშირად იტყოდა ევთიმისათვის მოძღვარისა თვისისა, რომელსაცა არა უყვარდა ლექსთა კითხვა სოფლიოთა, შოთას თქმულთა:

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი,
ვით ზღაპარი ასე ესმის, უბედობა თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უძს ვითა მტრედი (1219).

CXXII

1799 წელსა, თთვესა ნოემბერსა 26 შემოვიდა თფილისსა ჯარი რუსისა ე. ი. პოლკი ლაზარევისა. მეფის ძენი დავით და იოანე წინა უძღოდენ მას დარიალისა გზით. მეფის ძე ალმასხან ანუ ვახტანგ, უნებლიეთ მიეგება ანანაურსა და თან ჰყვა 30 აზნაური კარისა თვისისა კაცნი და მოხელენი: გოშპარ დიმიტრი და დურმიშხან კობიაშვილნი; გლახა ჭილაშვილი და გრიგორი ყარანგოზიშვილნი პირველობდენ მათ შორის [47]. გონიერთა ქართველთა უხაროდათ რუსთა ჯარისა შემოსვლა, ვითარცა ერთ მორწმუნისა ერისაგან ელოდნენ ქვეყნისა დაცვასა. მეამბოხენი და მეფისა იდუმალ წინააღმდეგნი იტყოდენ სხვად: განმარტებდენ ბოროტად და ჰგონებდენ მეფობისა და სამეფოჲსა ღალატობასა; მეფემან წინათ ცნობილმან მოუმზადა 4,000 კოდი პური, რომელიცა ეშიკაბაშმან თამაზ ორბელიანმან

[47] გაშპარ, დიმიტრი და დურმიშხან კობიაშვილნი და გრიგოლ ყარანგოზიშვილი 1803 წელსა იყვნენ აშფოთებულისა არაგვისა წინამძღომელნი 1803 წელსა. მერეთ შეიპყრეს რუსთა და დაბორკილნი დაატესაღეს ანანურისა ციხეში. აღდგომისა დღესა ესენი გადმოცვივდენ მაღლისა კოშკიდამ და ივლტოდენ მთიულეთისა მთებში, ფეხ მოტეხილი გოშპარ იბრძოდა პირისპირ რუსთა. უკანასკნელ შემოირიგეს და დამშვიდებულნი ცხოვრებდენ სახლთა შინა თვისთა.

და სვიმონ ანდრონიკაშვილმან, მეფისა სიძემან, მოატანინეს ურმებითა. სადვურად ჯარსა დაუნიშნეს საბურთალო ახლოს მტკვრისა, 12 ბაბაზნი აცხობდნენ ჯარისათვის პურსა თფილისს და ვოდრებით ურმითა მიაქვნდათ. მესამესა დღესა სალდათთა თვით იწყეს ცხობა პურისა ფეჩში მომჟაოდ: ვერ იამათ ჩვენებურად მცხვარი პური. დილისა შოურავნი დღე-ყოველ უზიდავდენ შეშასა... მასვე დროსა მიეწერა ფიცხელი ბრძანება ნინია სუმბათიშვილსა ნათლუბის შოურავსა, კომლზედ სამოურავოჲსა მისის შესწერდეს თვითო ურემი ხერა რუსისა ჯარისათვის და მომხადდეს ესე დეკემბრისა თთვისათჳს 1800 წლისა. მეფე განვიდა ცხენითა საბურთალოს, მიბრძანდა ჴა ნაპა; დაიკრა მეჩიკა, გამოეჭიმა ჯარი; ღენერალმან მოართვა რაპორტი რუსულად და ქართულად დაწერილი. — მიხვალოდა მეფე და უბრძანა მაღლის ხმითა: „გამარჯვება ქრისტეს მოყვარესა მხედრობასა“, მაშინ შეჰკივლა ჯარმან სიმრთელე მეფისა, რუსთა ჩვეულებითა. „ვეცდები ღენერალო, არა დავაკლო არა რაჲ ჯარსა; რასაც მოითხოვთ აღგისრულებთ!“ — ესე იყო დილით. რავდენნიმე ასნი კაცნი დააყენეს თფილისსა, სადაცა შემოვიდა ჯარი მუზიკითა, და წინა უძღოდა 15,000 კაცი მცხოვრებთაგანი და იყო ციხიდამ სროლა ზარბაზანთა და რეკა ზართა.

ამასვე დღესა საღამოზედ კვალად წაბრძანდა მეფე სანახავად მათისა ბანაკისა, და ისიამოვნა დიდად ხილვა სალდათთა, თავისუფლად, კარგათ ჩაცმულთა და მომღერალთა. სიმღერანი მათი ბოხისა ხმითა ყვირილითა, ცქვიტად წარმოთქმული, მოიყვანდა მეფესა განცვიფრებაში, — „გმირული მღერაა, რუსთა სიმღერაო, სარდალო, — უბრძანა იოანე ორბელიანსა, — მხნენი უნდა იყვნენო. ახლა ვხედავ და მრწამს, რომ ადვილად შეგვიშინებს და მოერევიან ჩემთა მტერთაო. ამათ ვერ დაუდგებე ვერცა ლეკი. ვერც[ა] სპარსი და თურქიო. ჩემისა ქრისტეს ძალითა, განსვენებით ვიქმნებით ამიერიდგანაო. — მაცხოვარო! შენ შეგვეწიე!“ — წარმოსთქვა მეფემან ქუდ მოხდითა.

შემდგომად ათისა დღისა ინება მეფემან, მოსმენა რუსულად წირეისა. მოვიდა ბატალიონისა მღვდელი და მგალობელნი სალდათნი სასახლისა წმინდისა გიორგისა ეკკლესიისა. ყოველივე იყო რუსულად. დიდად მოეწონა მეფესა წირვისა წესი, მგალობელთა მოიყვანეს მეფე ლმობიერებასა და ბრძანა: „უცხოთ სცოდნიათ გალობა“. მოხსენებისა დროსა იმპერატორისა და სახლეულთა მისთა მღვდელმან მოიხსენა მხოლოდ მეფე და დედოფალი. მემკვიდრემან დავით იწყინა ესე და აყვედრა მღვდელთა რუსულის ენისა მცოდნეთა ზაქარია სიდამონსა, იოსებ წინამძღვარიშვილსა და იოანე ქართვე-

ლოვსა [48] დავიწყებისათვის მისისა, ოდეს მისცემდენ იგინი რუსისა მღვდელსა წირვისათვის დარივებასა. — შემდგომად წირვისა ჩეფჭმან მიიწვია ღენერალი და მღვდელი თვისთანა სადილად და მცალობელთა რუსთა სალდათთა თვით თვისის ჯიბიდამ მათთან ამოღებული უბოძა 4 მანეთი ფულად წვრილისა აბაზებისა.

CXXIII

მომწონებელი რუსეთისა ჯართა წყობისა, ჰგონებდა წარეველინა შვილი თვისი უფროსი პირმშო მეორისა ცოლიდამ მიხაილ, იმპერატორისა პავლესადმი. დროსა ამას იყო ესე, ვითარცა თვით მიამბო, 17 წლისა. დაიბარა კავალენსკი, რეზიდენტი და უბრძანა მომზადება შესაბამისა წერილისა. ნოემბრისა თთვისა 8, დღესასწაულსა მთავარანგელოსისა მიხაილისასა, წარიგზავნა წერილი ესე; გარნა მასვე წელსა გარდაიცვალა მეფე გიორგი და ორის თთვისა შემდეგ თვით იმპერატორიცა პავლე. ამისთვის დაშთა ჰაზრი ესე და განზრახვა უქმად. მეფის ძე მიხაილ, თვით ბრძანებითა დედოფლისა დედისა, წარვიდა რუსეთად და არღა მხილველი სამშობლოჲსა ქვეყანისა, გარდაიცვალა 82 წლისა ქალწულებითისა ცხოვრებითა 21 ნოემბერს, 1861 წელსა და დასაფლაედა ოქროპირისა ეკკლესიასა ალექსანდრე ნევსკისა მონასტერსა, სამარხოსა ძმათა და ნათესავთა თვისთა.

CXXIV

დიდ-მარხვის 5 კვირიაკესა, მწუხრად მიბრძანდა მეტეხსა, დღესასწაულობისა გამო ტაძრისა დაუჯდომლობისა. მოიხილა ადგილი გარემო ტაძრისა და ძველნი ნეშტნი ძველთა მეფეთა სასახლისა. თვით ამოწმებდა საძირკველთა დანაშთენთა იმ გვრგვლივ კლდოვანისა მის ადგილისა, რომელსა ზედაც ვახტანგ გორგასლანისა დროდ-

---

[48] ამათ ესწავათ რუსული ასტრახანში. იოსებ წინამძღვრიშვილი იყო მოძღვრად, საქართველოსია განმგეისა კნიაზის ციციანოვისა და გარდაიცვალა მოხუცი 1827 წელსა. იოანე ქართველოვი იყო მასწავლებელად თეიმურაზის საკეთილშობილოსა, რომელიცა გამართა კნიაზმან ციციანოვმან 1803 წელსა და გარდაიცვალა 1816 წელსა. ზაქარია სიდამონიშვილი კახელი გადაყვა მეფის ძეს მიხაილს და რადგან ორჯერ მიიღო საჩუქრად ჯვარი ოქროსი, ეწოდა მას: „ორჯვარა დეკანოზი". მოკვდა მოხუცი 1834 წელსა თელავს უკუმოქცეული რუსეთით.

გან როსტომ მეფისა დროდმდე (1455—1630) იყო სასახლე საქართველოჲსა მეფეთა, და თვით ეკკლესია ვითარცა კარის საყდარი.

ბრძანა და განაჩინა დაფუძნება მუნ სასახლისა და განწმენდა ადგილ[ი]ა მცხოვრებთაგან, რომელთაცა აქენდათ მუნ სადგურად დ[ა]რეებითად მიცემული, ანუ ეკკლესიისა მსახურთა, ანუ ეკკლესიისა ყმათა, ანუ სასახლისადმი მიწერილთა მოხელეთა და მხლებელთა.

განსაკვირვებელად მეფისა და ქალაქისა მცხოვრებთა პასექისა შემდგომად, ოდეს განსწმედდენ ადგილსა აღშენებისათვის ჯერეთ ახლოს ეკკლესიისა 300 ჯა[ბ]ანდ[ა]რისა ადლისა სიგრძეზედ, მტკვრისა მხარეს, პლანისამებრ ანუ სახისა, ხატულისა მეფესთან მყოფისა ნემეცისა დეიტრიხისა (?), დაეცა მეხი თვით ადგილსა მას. შეშინებულმან მეფემან შეაყენა შენობა მუნ თავისდა სასახლისა. მცხოვრებნი თფილისისა მორწმუნენი და ურწმუნონი, ბუნებისმეტყველნი და ღვთისმეტყველნი, თვისებრ, სჯად და სხვად განმარტებდენ ესრეთსა შემთხვევასა. თვით მეფე მიეცა შიშსა და ოცნებასა; ბნელი იგი რაცაღა საიდუმლოობითი კაცთა ბუნებისა, შთაუხდა გონებასა და სულსა მისსა და მორჩილმან მარადის უხილავისა ხელისა, ხელითა ხილულითა ეძებდა მარადის სამკურნალოსა მოწყალებითა, რომლისაცა იწყო გაცემა უხვად ქვრივთა, ობოლთა და გლახაკთადმი. მაშინ შიშმა ღვთისა დამატა ლოცვასა ლოცვა, ვედრებასა ვედრება და ცრემლთა ლოცვითთა, ცრემლნი.

CXXV

„დღესა ერთსა მოახსენეს მეფესა, — იტყოდა იოანე მდივანი ბეგთაბეგიშვილი, — უხვებამან თქვენმან და გაცემემან გამოლივა საკუჭნაო თქვენიო“, მეფემან უბრძანა პასუხად: „უხვსა მეფესა არ მოაკლდება საუნჯე; ვითარცა შიოს მარანსაო“. მოწყალება, — კარიაო სასუფევლისა განმღები. მოწყალესა კაცსა, მოციქული პავლე, შეადარებს თვით ღმერთსაო“,

CXXVI

ჯერეთ მეფისა ირაკლისავე დროსა აქვნდა შეტყობილი, რომელ რუსთა მეცნიერებათა აკადემიისა კალენდარში, მოიხსენებდენ საქართველოჲსა მეფეთა სახლისა წევრთაცა. დროდგან, ოდეს საქართველოჲსა მეფემან ირაკლი აღიარა ტრაქტატითა (1783 წ.) ვასსალობა

რუსეთისა და სამეფოცა საქართველოჲსა დაიდვა ვალისტანათ რუსეთისა. მარადის აცნობებდენ ახალთა დაბადებულთათვის და მიცვლილთათვის. ესე იყო მიზეზი, რომელ მეფისა გიორგისა შემდგომად მისწერეს, რათა მეფისა რძალი ელენე, სეუღლე მემკვიდრისა ჩაეწერათ 1801 წლისა კალენდარში, პასუხად ესე ვითარისა წერილისა სწერს მამასა ჩემსა ეგნატის ძმა მეფის რძლისა ელენესი თავადი სეიმონ აბა-მელიქი, შემდეგსა:

„ჩემო უსაყვარელესო მოწყალეო უფალო ნათლიავ! [49].

ამ ჩემს ჰაზრს ასე შემოკლებით მოგახსენებ. ღმერთი არ წარმწყმენდს და ჩემს უდიდეს სასურველთ ხილვას მაღირსებს, რაც შენი სიკეთე და ღვაწლი არის ჩემზედ და ჩემს ოჯახზედ, რომ ვარ სარწმუნო ჩემს გულში ჩამარხული და ჩამკვიდრებული არის. დიდათ მინდა რომ შევიძლო წიგნის მოწერა; დავწერო და მოგახსენო, იცოდე, რომ ასე ვიცი. მაგრამ რა ვჰქნა არც დაწერა შემიძლია და არც წერილით მოხსენება, თუ ღმერთი მაღირსებს თქვენს ხილვას, მაშინ მოგახსენებდებათ.

თქვენს ნათლიდედას, ჩემს სიცოცხლეს ასე მოვახსენებ: ყოველხა წამებულნი უზომესი და უდიდესი ტანჯვის მიღებით, ღირსებულან მეფობასა. ასრეთვე ეგზომი შენი ჰირი და ნაღველი რაც გაგიწევია ღმერთი და ჩვენი მრავლად მოწყალე წმინდა გიორგი გვაღირსებს სააქაო სოფლის სიხარულს და ბედნიერებას და საიქაოსაც სარწმუნო არს რომ უმოწყალეოთ არ დაგვაგდებს.

ჩემი ხელმწიფე შვილის სახელისა კალანდარიაში ჩაწერინება გიბრძანებიათ; ამ წლისა აღრიდგანვე დაბეჭდილი გამოსული გახლავთ, რომ ამას აღარა ეწამლება-რა, ათის მარცვლის და ოცისათვის აღარ დაბეჭდენ. ღვთით მეორე მომავალის წლისა იქნება ღვთით სხვა უკეთესს და უდიდეს გვარათ ჩაიწეროს.

სხვა ამბავი აქ ჩვენთვის არა კეთილი და არცა არა მშვიდობა და სიხარული. ღვთით და წმინდის გიორგის შეწევნით მანდედამ მოვეღით ჩვენს სიხარულსა, ნუგეშსა და ბედნიერებასა. დავშთებით ჩემის უსაყვარელეს მოწყალის ხელმწიფის მონა თავადი სეიმონ აბა-მელიქოვი.

ქ. მათსა უგანათლებულობასა ჩემს უდიდეს სასურველს და სანახავ სანატრელს მეფის რძალსა ელენეს ლამაზ პირს კოცნას მოვახსენებ.

წელსა 1801
იანვრის...7.
ვასტრახანს".

---

[49] უწოდებს ნათლიად, რადგანაც ძმა ჩემი ქრისტეფორე, გარდაცვლილი 1808 წელსა და თვით მეცა, ბისის დისა მეფის რძლის ელენესაგან ვართ მონათლულნი.

CXXVII

მეფის გიორგისა სიცოცხლისავე ღროსა ძმა მეფის რძლისა ზურაბ სწერს ქ. ასტარხნიგან შემდეგსა წერილსა მამასა ჩემსა:

„ჩემო ხელმწიფეე ეგნატი!
უფალო ნათლიავ!

ამას წინა ფოშტით კნიაზმან მაგათსა უგანათლებულესობასა არზა მოართვა და მცირე ხანს დაცლა სთხოვა იმ ნივთისა; ეს ნუ მოგიკვდება და შენმა მზემა ყოვლის ცდით ეცდილობთ, რომ ამ შეწყობის ცოტა რომ გაკეთება დავანახოთ ქვეყანასა და მერე სახელმწიფო ხაზინიდამ თეთრი ავიღოთ პირველათ მაგათს უგანათლებულესობას ვაახლებთ. ამაზედ ხათრიჯამი იყავით და ნუ სწუხართ [50].

ამ თთვის 23 მაგათ უგანათლებულესობას კნიაზისათვის ბაბახანის შვილის თავრიზსა მოსულა ებრძანა; აქაც ბევრის ამბავს აპორებენ ბაბა-ხანისასა; ღმერთმან ქნას, რომ ამათი დიდებულებიდან სამხედრო წარმოეველინოს ჩვენს ხელმწიფეს. ღრაფ-კამერღერი მუსინ-პუშკინი მოვიდა პეტრებრუხიდამ. ვოენი გუბერნატორთან კორინღთან მიდის. ასე მოგახსენებენ, რომ ოსეთის გზა უნდა დაჩარიკოს ორი დღის მოსულ არის, ჯერ კნიაზს არ უნახავს; თუმც უნდოდა, რომ მაშინვე ენახა, მაგრამ თავის შეუძლებლობისა მიზეზით ვერ ნახა და ასეთს ყოფაში ბრძანდება, რომ შეგებრალებათ და დღისით შენობისა მიზეზით ადგება, გავა საღამოდინ ოსტატებს თავს ადგა; ძალიან ბეჯითად ვამუშაებთ იმ ზემო აზრის მიზეზით [51].

ჩვენს ხელმწიფეს ბატონის რძლისათვის მეფისაგან სოფლის ბოძება ებძანა. ღმერთმან ბედნიერებაში მოახმაროს; ვიცი ესეც შენი გარიგებული იქნება [52].

---

[50] ძმანი მეფის რძლისა ჰპირდებოდენ ფულისა გამოგზავნასა, ნაცვალ ვებითსა წოდებისათვის თავადობისა, ოდეს მამა მათი სვიმონ აღა წარვიდა რუსეთად დიდისა საუნჯითა თვალთა და მარგარიტთა ნადირ-შაისაგან ნაქონთა. იმპერატრიცამან ეკატერინა ანუ იმპერატორმან პავლე ზეისყიდეს ესე და უბოძეს მაბული პოლშისა მხარეს. და თვით წოდებისაგამო მათისა, მეფისა წერილსა შინა, თავადად დარჩენება კნიაზად რუსეთისა.

[51] ვინ არის ესე კნიაზი? არ ვიცი.

[52] მეფემან გიორგი უბოძა პირის სანაბავად თვისსა რძალსა გურჯაანი, სახასო კაცები, მარცანი სოფელი და ქარვასლა ქ. თფილისს.

ბატონიშვილისაგან გამოვზავნილი არეშაშვილი მარტირუზას აქ მოსვლა. ამას წინათ მოგახსენე რომ ჩვენსა ჩამოვახდინეთ, კარგის პატივით მიენდო აღა, ურმის ქირა ჩვენ მიგვაცემინა. მაშინვე ხუთ მინალიუნიანი ჩექმა უყიდეთ და ჩავაცვით. ახლა ამბობს, რომ აქ აშრახანს (sic) ქორწილი მინდა ვქნაო, დანიშნული ვარო. ესე თუ რამე ქორწილისათვის მოსულა და მანდ ბატონიშვილი მოუტყუებია და აქ ჩვენ მოტყუებას გვპირობდა, რომ ბატონიშვილმა იკისროს ახლა ჩემი თავიო. ამისი მოსვლა იყო და აქ რაგინდარა ჰორების დაყრა, რომ ბატონიშვილს სხვა საქმეზედ გამოუგზავნიაო და რასაც ამბობდნენ, როგორ შემიძლიან მოხსენება.

ამას წინათ მაუდი ბათიხტი და ტემლაკი გეთხოვნათ. თეთრი მაუდი აქ არ იშოვება და მაშინვე მოსკოვს მივწერეთ, რომ წინას ფოშტით გამოგვიგზავნონ; იმედი მაქვს ჩქარა მოგვივიდეს ჩქარა გაახლოთ.

ახლაც შლაპა ებძანა, მაშინვე ვიყიდეთ კარგი შლაპა; გუშინ კვირა იყო და გუშინ წინ პრაზნიკი: იაშიკი ვერ გაუკეთებინეთ და ვაახლებთ [53]. ამას წინათ ას ხუთი მარცვალი ბაჯაღლოს ოქრო გამოვეგზავნეთ, როდესაც მოგერთვათ გვაცოდინეთ და მე თქვენს მონას ნუ დამაგდებთ თქვენის გულისაგან.

მისს უგანათლებულესობას ჩემს ხელმწიფეს ბატონის რძალს და თქვენ ნათლი დედას სურვილით ხელს ვაკოცებ. ქ. ბატონს მამა თქვენს, ქრისტეფორეს დედას ქრისტეფორეთ და მაიათი მრავალს მოკითხვას მოვახსენებ. თქვენი და დააქორწინეთ, თუ არა? [54]

მათი მონა ზურაბ სვიმონის ძე აბი-მელიქოვი

ჩემს სიძეს მირზას წიგნი ებოძებინა, იმ წიგნის პასუხს სხვას დროს მოვახსენებ. წყალობას ვითხოვ სიძეც მომიკითხო და მაიაც შაქარათი. ჩვენი ეთერა სისუაც მომიკითხე [55].

წელსა 1800.
ი ვ ნ ი ს ი ს 25
ვასტრახანს.

---

[52] შლაპა ღენერლისა მემკვიდრისა დავითისათვის.

[53] ქრისტეფორე იყო ჩემი ძმა; მაია არის ჩემი დაი დღესაც ცოცხალი; დაი, რომელსაცა კითხულობს, იყო მამიდა ჩემი თინათინ.

[54] სიძე მირზა იყო... გულსაპაშვილი ბეზირგანი თფილისისა; შაქარა იყო შვილი მისი; და მაია დედა შაქარასი და. დაი ღვიძლი მეფის რძლისა ელენესი.

ალექსანდრე ბაქოვიჩი

CXXVIII

აპრილისა თთვისა დღეთა შინა მოუვიდა მეფეს წერილი ომარხანისა ავარიელისა, სადაცა იყო შეხიზნული მეფის ძე ალექსანდრე. ომარხანი, მცოდნე საქართველოსა შინა გზათა და კვალთა, ამაოხრებელი სურამისა, ჭალისა, — აბაშიძეთა სოფლისა და ახტალისა, — მელიქიანთა სადგურისა, — სთხოვდა მეფესა, რათა მისცეს წილი სამეფოჲსა ძმასა თვისსა ალექსანდრეს; რათა კავშირისა გამო ჯერეთ მამისა დროსავე მისისა ირაკლისა, ევზავნოს საყოველ წლოდ დანიშნული საჩუქარი ანუ ხარჯი მას ავარიისა ბატონსა და ოსოქოლისა * პატრონსა. — დიდათ მიაჩნდათ სოფელი ესე ოსოქოლა, სადგური ხანთა, შეუვალი მტერთათვის, ექვსასისა კომლისა შეჰურვილისა ლეკისა ბოლაზი და ნაყოფიერებითა მდიდარი მთათა ადგილთა შორის. თვით ომარ იყო ბრძანებელი და თავად მრთელისა დროთა ამათ დაღესტანისა.

მეფე ერიდებოდა ავარიისა ხანსა; იცოდა ძალი მისი და ხმა. რომელიცა აქვნდა დაღესტნელთა ზედა. ხანი ესე ადვილად შეჰყრიდა 20,000 ლეკსა. 6,000 ლეკი ცხენოსანი, გულხადარა მზად იყვნენ ბრძანებასა ქვეშე მისსა. გარდა ამისა აქვნდაცა დიდი ნათესაობითი კავშირი ერთობისა ყარაბაღისა ხანთან, იმ დროითგან, ოდეს გამოხრებელმან ჭალისა, წარიყვანა ტყვედ ორნი დანი აბაშიძისა ქალნი და მათგან ერთი თვით ჰყვა ცოლად და მეორე მიართვა ძღვნად ყარაბაღისა ხანსა.

მეფემან მისწერა წერილი ერთი არაბულად თვით ომარ ხანსა და მეორე ძმასა თვისსა ალექსანდრეს. პირველისა წერილითა აუწყა ომარ ხანს, „რომელ კავშირი მასთან მას არ დაეიწყებია; ელის დროსა უკეთესსა, რათა უფრო მტკიცედ დაამყაროს იგი მასთან. დაღისტანი სიმტკიცეა ჩემიო, — სწერდა მეფე, — უკეთუ ავარაიისა ხანთა შეწევნითა და ძალითა დამშვიდდება ლეკი და არღა შემოვა თარაფ-თარაფად (გუნდ-გუნდათ) ასაოხრებელად სოფელთა, მე ვარ პირმშო შვილი მამისა ჩემისა, მეფედ დამტკიცებული რუსთა, სპარსთა და თურქთაგან. ძმათა ჩემთა და თვით ალექსანდრემან, არა ინებეს ჩემი მეფობა, გამექცნენ და მით აშფოთებენ ქვეყანასა. ურჩიეთ თქვენცა მას, დამემორჩილოს და მივსცემ მას სოფლებთა და ადგილთა

---

* ოსოქოლო (ონსოქოლო, უნცუქულ) — სოფელია დაღისტანში (ყოისუბუში შედის). რ ე დ.

სარჩოდ რაცა ვერ მისცა მას მამამან ჩვენმან. თუ დამშვიდდება ალექსანდრე, მე და ჩემი ქვეყანა გავმდიდრდებით და მაშინ კავშირი და ერთობა თქვენთანა უფრო მეტი იქმნება; — დავახლოვდებით ძველთა ჩვეულებისამებრ და სარგებლობაცა ჩვენგან ყოველთვის ექმნება დაღისტნელთა, — ეხლა მდგომარეობა ევეყანისა ცუდად არის: აღრეულებისა გამო გაღარიბდა ერი ჩემი. რუსთა მფარველობისა არ უნდა ეშინოდეს არცა ძმასა ჩემსა, არცა დაღისტნელთა".

მეორითა წერილითა ძმასთან, ამცნებდა მას ტკბილად ქრისტეს სიყვარულისათვის დასცხრეს, მოვიდეს მისდა და მიიღოს ყოველივე რასაცა შეიძლებს მეფე მისდა მისანიჭებელად. მისცა აღთქმითი პირობა შეფიცებითა წინაშე ძელისა ჭეშმარიტისა, ჰყოს იგი კმაყოფილი. „მეფობისა დათმენა არ შეიძლება, ძმაო ალექსანდრე, — სწერდა მას, — დაეცემა მეფობა. უკეთუ განუყოფ მე სამეფოსა ძმათა ჩემთა. ვის უქმნია ესე და არ უნანია? ნუ ექმნები მტერი ოჯახსა და საქრისტიანოსა. დამიახლოვე ავარიისა ხანი: შენზედ უკეთესსა შუამდგომელსა მასთან კაცსა, მე ვერ ვიპოვნი. — ნუ იქმნები ორგულ ქვეყანისა: აჩვენე ერთგულობა მეფობასა გაოხრებულსა და ამით ადიდე შენი სახელი. ამ ჩემ წერილთან მოგივა კათოლიკოსისაცა წერილი ვედრებითი. ამბორს გიყოფ შორიდამ და გელი მალე. მომეშველე და ვიყვნეთ სიყვარულით [სიყვარულისათვის] * ქვეყანისა [56]".

პასუხი წერილთა ამათ არა მოერთო მეფესა. ომარხანსა მოუკვდა დროთა ამათ ცოლი აბაშიძეთა ასული და იგლოვდა. ალექსანდრე პარიდამ ნუხისა გზითა წარვიდა სპარსეთად და ელოდდა მალე ლეკთა ჯარითა კახეთში შემოსვლასა.

---

[56] ესე წერილი დაწერა მეფისა მდივანმან იოანე ბეგთაბეგოვმან, რომელიცა გარდაიცვალა 1838 წელსა, თვით მისგან ვიცი ესე.

მანვე მიამბო, რომელ მეფე გიორგი ხშირად ბათქმევინებდაო ძველად თქმულსა სიტყვასა მოლექსისაგან:

როსტომ სთქვა, სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდაო,
ასსა ლიტრასა რკინასა კბილ-ქვეშ შევიდებ, კნატს ვუზამო,
ალაზანსა და იორსა დავეწაფები ყლაპს ვუზამო,
იქით მთასა და აქეთსა ხელს მოვუჭირებ რაზტს მე ვუზამო,
თავსა მოსულსა დიაცსა, მე იმა ვერას ვუზამო.

* ფრჩხილებში შეტანილი სიტყვა არის წ. კ. საზ. ხელნაწერ 3053-ში. ავტორს ის რატომღაც გამორჩენია საბოლოო რედაქციის დროს. რ ე დ.

CXXIX

ჩერქეზ ქირპანის ბატონმან უცმან, ალექსანდრე მეფის ძის სიმამრმან და მეფეთა თანა დააბლოვებულმან ადრითგან. მოართვა მეფესა გიორგის 6 ცხენი ყაბარდოელი, ორი თეთრი და ოთხი სხვისა ფერისა, ტანოვანნი და ძლიერნი. დიდ სხეულოვანობისა გამო მეფისა, ვერ სადამე უძლებდნენ მას ცხენები და ამისთვის გამორჩევით, მცნობმან მოყარემან მოართვა ძღვნად. — იამა მეფესა და მიუძღვნა ნაცვლად გებისა საჩუქარი მას და რიცხვით სახლეულობისა მისისა ქალთა ოთხი ბეჭედი ალმასისა იაგუნდ მოდებულნი თანასწორისა ფასისა და ხელოვნებისა და გულსაკიდი მარგარიტისა ძეწკვი. თვით მას წარუვლინა დიდი საგზაო აზარფეშა ვეცხლისა შიგნით მოოქროვილი და თოფი, რომელიცა ადრევე აქვნდა ნაჩუქრად ინგლისისა ვაჭრისაგან, თფილისს მოსულისა მეფისა ირაკლისაქე დროსა.

კაცთა, საჩუქარისა მომტანთა უბოძა ტანსაცმელი მდიდარი და შესაბამი მათდა იარაღი და გაისტუმრა ლიახვისა ხეობითა, იმავე გზითა, რომლითაცა მოვიდნენ. — ესენი ჩაბარა მშვიდობითისა მგზავრობისათვის იასე მაჩაბელსა, ლიახვისა ბატონსა და დავით ამირეჯიბსა, იმერეთისა მესამზღვრეთა და მოყვრობით იმერეთისა და მეგრელიისა თავადთა თანა დამოკიდებულთა. ამბავი ესე მიამბო მეფის ძემან მიხაილ დამსწრემან საქმისა ამის. ერთი ცხენთა ამათგანი იყო თვით იგი, რომელიცა შემდგომად ლეკთა ჯარისა და ალექსანდრე მეფისა ძისა მათათანა ყოფისა ომსა საგარეჯოსა ახლოს (ნიახურას) დამარცხებისა წარუვლინა თვისისა უნაგირითა ღენერალსა რუსისა გულაკოვსა ძღვნად, და მიაგება აელაბრისა თავსა. ესრეთ, ვითარცა ძლევა მოსილი შეჯდომით მეფისა ცხენზედ შემოვიდა ქალაქსა და პირდაპირ წარდგა იგი მეფესთან, სნეულებით საწოლსა ზედა მდებარესთან და მიულოცა ერთობ ქართველთა და რუსთა ჯარისაგან გამარჯვება პირველი, და ძლიერი, საბელოვანი და საიმედო შემდეგთა დროთათვის. ლეკთა ბაირაღები მოტაცებულნი მძლეველთაგან, მოაქვნდათ თვით ლეკთა ტყვედ შეპყრობილთა, ეგრეთვე ზურნა და დაფი ლეკებისა. მცხოვრებნი ქალაქისა აელაბრიდამ სასახლედმდე მოჰყვებოდნენ ძლევა მოსილსა ღენერალსა ზურნითა, და დაფითა და საყვირითა; მეფის ძენი იოანე და ბაგრატ, — რომელნიცა დაეწყვნენ ბრძოლასა ამას დიდსა და სახელოვანსა და რომელნიცა დააჯილდოვა იმპერატორმან პავლე ბოძებულთა მათდა 2 ხარისხისა იოანე ერუსალიმელის ორდენითა, — იდგნენ მარჯვნივ და მარცხნივ ღენერლისა;

დიდი და ერცელი დროთა ამათ მოედანი სასახლისა გაიცსო მაყურებელთაგან. დედოფალი მარიამ, და მეფის ასულნი მუნ დამწსრენი შესაროდენ მძლეველთა. განმხიარულებულმან მეფის ასულმან რიფსიმე, ადრევე მცნობმან ღენერლისა, წაიძრო თითიდამ, ვათარცა თვით მიამბო, ბეჭედი ფირუზისა და უბოძა მას საჩუქრად. მიხედვით მაგალითისა ამის დედოფალმან უბრძანა მოხელესა თვისსა მოართვან ბეჭდები და ერთიცა სამ-იაგუნდ სმული ოქროს ბეჭედი ხელითა თვისითა უბოძა ღენერალსა. თვით მეფემან, ოდეს ღენერალი მოვიდა და აკოცა მკერდსა, აკოცა თვით ღენერალსა შუბლზედ და უბრძანა სიტყვანი ტკბილნი. „მივსწერე იმპერატორსა პავლესაო მხნეობა შენი: იმედი მაქვს დაგაჯილდოოსო დიდად“.

აქავე იყვნენ შეკრებილნი კათოლიკოსი ინტონი, არსენი თფილელი, იუსტინე მთავარ ეპისკოპოსი და სომეხთა ეპისკოპოსი ოჰანეზ თფილისისა.

ესრეთითავე დიდებითა და დღესასწაულობითა წარუძღვნენ მას სახლად თვისად, რომელიცა იყო ახლოს მეფის ძის დავითის სასახლისა მტკვარისა კიდესა ზედა. ესე იყო დილით 11 საათსა, დღე იყო, თუმცა ნოემბრისა თთვისა, მზიანი, მშვიდი და თფილიო, — მიამბო მანვე მეფის ასულმან რიფსიმე.

აქავე დაუვიწყებლობისათვის ვიტყვი ამასაცა, რომელ მეფემან ირაკლი იხილა შვილი თვისი ალექსანდრე, არა კეთილად მქცევი და მოუძებნა ცოლად ქალი ქირმანის ბატონითა ყაბართოდამ. მოიყვანეს ქალი ესე თორმეტი მოახლითა 14 წლისა თფილისს, წითელისა თალათინითა მშვენიერად წელ-რტყმულითა ზორტებითა, ოშვიბათისა მშვენიერებისა. შემდგომად ორის კვირისა ნათელ სცეს მას სასახლისა ეკკლესიასა, უწოდეს სახელად ნინა. მეფის ძე ალექსანდრე ცივად ექცეოდა სასძლოსა თვისსა და ქალმან, ჯერეთ ჯვარ-დაუწერავმან იგრძნო ობლობა თვისი და მწუხარებითა დუმილითა განატარა 6 თთვე, მოწყლული გულითა დაჭლექდა და გარდაიცვალა და დასაფლავდა თფილისს, მეტეხისა ეკკლესიასა შინა.

CXXX

შემდგომად რუსთა და ქართლისა ჯარისაგან ნიახურას გამარჯვებისა, მეფემან გიორგი სნეულად საწოლსაზედა მდებარემან, მისწერა დესპანთა თვისთა შემდეგი წერილი:

„ჩვენ მაგიერად მისს ბრწყინვალებასა ჰავჰავაძეს, უფალს ეშიკაღაბაშს, ყაზახის მთავარს და ამირას გარსევანს და კნიაზს ავალოვს,—

თანა განმზრახსა ჩვენსა გიორგის, და კნიაზს ფალავანდოეს [57], მდივანს ელიაზარს, მრავალი მშვიდობითი სუფევა და სიყვარული ეუწყოსთ: აქაურს ამბავს აქიდგანვე თქვენც კარგად შეიტყობდით. დაფარულად რაოდენს საქმეს ცდილობდნენ, მოწერა აღარ ვინებეთ საქმით გამოცხადება შეუყენეს. ბაბა-ხანისშვილი და მისი სარდარი როსსიისა მხედრობისა ამო[სწ]ყვეტათ და საქართველოსა დასაპყრობად, რომ მოვიდნენ ერევანს, ალექსანდრე იმათთან მივიდა აქედგან გაქცეული. იმათ იქიდგან წიგნი და კაცი მოსდიოდათ; ჯარი შეიყარეს ამათ, მოვიდნენ. მაგრამ ღვთისმშობლისა მოწყალებამან განაქარვა იმათი განზრახვა. მათისა დიდებულებისაგან როსსიის მხედრობის მოშველება რომ შეიტყეს ყიზილბაშთ წავიდნენ შეშინებულნი. იქიდგან უკმათ დარჩომილი ალექსანდრე შუშის ხანთან მივიდა; ომარ-ხან დაბარებული ჰყვანდათ; ომარ-ხან რომ ჩამოვიდა, ალექსანდრე, იბრაიმ-ხანის-შვილიც იმასთან ომარ-ხანთან მივიდნენ; დიდი ჯარი შეიყარეს; ჯარის მნახავი კაცნი ასე ამბობდნენ: ოცდაათი ათასი არისო, რომელნიც გაღმიდგან გამოდიოდნენ, მაგრამ ათასი კი მეტი იყო. ომარ-ხან, ალექსანდრე და მათთან სხვანი წამოვიდნენ საგარეჯოს, მარტყოფს დამდგარიყვნენ; აქედგან ესენი მისულიყვნენ ვისთანაც შეთქმულობა ჰქონდათ; იმათით როსსიის მხედრობა და ჩვენ ამოვეწყვეტენით; ომარ-ხანს და იმათ საქართველო დაეპყრათ, მაგრამ ეს კი არ იცოდნენ, ომარ-ხან და ჰარელნი საქართველოს იმათ აღარ დაანებებდენ. ნიახურას რომ მოვიდა ომარ-ხან უფალნი ღენერალნი [58] ქიზიყს მისულნი, რაოდენისამე როსსიისა მხედრობით და ჩვენი შვილები იოანე და ბაგრატ კახეთისა მხედრობითა ნიახურას მოეწივნენ; ნოემბრის შვიდს სამი საათი დღისა დარჩომილი იყო, რომ მოეწივნენ და მყის თანა შეებნენ; სადაც ბინა ჰქონდათ და განზრახვა მისელისა, იქ არ მიესწრათ, ქრისტეს ღვთისა და ღვთისმშობლის მოწყალებით შეებნენ და სძლიეს და ფრიად მრავალი მოსწყვიდეს. ჯონგათაის თავი აქ მოგვივიდა; ომარ-ხანის დიდათ დაკოდვას ანბობენ იმათის ჯარით მოსრულნი [59]. ჩვენ ახლა ამისთვის გწერთ ამ წიგნსა, ამათ ამისთანა მაგათის დიდებულების სამუხანათო საქმე და

---

[57] მოხსენებულნი აქა გვარნი ავალიშვილისა და ფალავანდიშვილისა არიან თქმულნი რუსულისა ენისა მიბაძვით „ავალოვად“ და „ფალავანდოვად“. ესე ნამდვილი, რომელიცა აქვს დღეს უგანათლებულესს ირაკლის ალექსანდრეს ძეს, არის დაწერილი კიკოლა დიაკვნისაგან. (იხილე სხოლიო 6).

[58] გულიაკოვი და ლახარევი. ესე ომი აღარ აღესწერე, რადგან რუსთაცა აქვსთ აღწერილი და ქართულადაცა არის აღწერილი.

[59] ომარ-ხან დაჰრილობითა ამით მოკვდა ზაქათალას და მუნვე მეჩითში დასაფლავდა.

ჩვენი ამოსაწყვეტი განზრახვა არ მოიშალეს. ჩვენის თავისა რომ დავუთმოთ, მაგათის დიდებულების მეედრობის აძოწყვეტა როგორ და ვითმინოთ? მაგათის დიდებულების საფარველი რომ მოაკლდეს საქართველოსა, საქართველოდგან ქრისტიანობის ნათელი აღსდგებაა[60]. კურთხეულის მეფის მამის ჩვენისა ანდერძიც ასე გვაქვს, თქვენც კარგათ იცით. ამ ჟამად ღვთის-მშობლის მოწყალებით მძიმეს სნეულებისაგან განვთავისუფლდით; სრულიად სიმრთელეს რომ მივიღებ ქრისტეს ღვთის მოწყალებით, არაგვს ავალ, არაგვსა და საბატონიშვილოებს ჩამოვართმევ; ვიდრე ჟამადმდე დავდუმდები, მაგრამ ამათის მხრისაგან მეშინის მტერთა ჩვენთაგან შემწეობით, როსსიის მხედრობას შესცოდონ რა; ვინ იცის ამათგან მოხსენდეს რა მაგათის დიდებულების დიდებულსა კარსა. თქვენ იცოდეთ მიზეზი საქმისა ამის. ჰეშმარიტებაა, ვიდრე აქამდისინ მრავლისაგან მრავალი დამითმენია; მაგათის დიდებულებისა და მხედრობისა მუხანათობა და მაგის უძლეველის მხედრობისა ვნება კი ჩვენგან არ მოითმინება. ჩემი სული უნდა დავსდვა მაგათის დიდებულებისა და მხედრობისათვის მათისა; ღვთის შემდგომად მაგათი დიდებულება არის ყოველის მხრით ჩვენი შესაეედრებელი. წელთა ჩყ. ნოემბრის იბ. ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი. უვარგობა კი არ იქმნება, ასე იცოდეთ, გიორგი“[61].

CXXXI

დღეთა ამათ შფოთისა და ამბოხისა ძმათაგან და გარე მტერთა, მოერთვა მეფესა, ოთხთავე მართლ-მადიდებელთა პატრიარქთა კურთხევითი წერილი და ნაცვლად-გებითი საჩუქრებითი და ხატები გაგზავნილთათვის საჩუქართა და მესაწირავთა, ვითარცა მოსახსენებელად განსვენებულისა მეფისა ირაკლისა, ეგრეთვე წარსამართებელად გამეფებულისა გიორგისა. სამი ესეთი ხატთაგანი დღესცა იპოება ჩემსა სახლში და მაქვნან თაყვანისსაცემელად; ესე არის კვიპაროზისა ფიცარზედ ამოჭრალი ხატები საუფლოთა დღესასწაულთა, მეორე

---

[60] ე. ი. განქარდება.

[61] ესე მიმატებული ესრეთ თვით მეფესა მიეწერა. აქა იგულისხმებს მეფე, რომელ მოღება საუფლისწულოთა და არაგვისაცა ძმათაგან. უვარგისი ანუ უსარგებლო არ იქმნებაო; წერილსა ამას ნამდვილსა, რიცხვი არ უხის. მხოლოდ გარსევან ჭავჭავაძეს მეორეს გვერდზედ დაუნიშნეს რიცხვი მიღებისა: „28 დეკემბერსა 1800 წელსა მივიღე“. დღე ესე არის დღე მეფის გარდაცვალებისა.

ჯვარი, და მესამე სადაფისა ხატი... სხვანი ესე ვითარნი ჯვარნი და ხატნი წარავლინა მეფემან ეკკლესიათა შინა კახეთისა და ქართლისა და ჯვარნიცა მოსახმარებელად ტრაპეზთა ზედა. გამოგონია 200 თუმნისა ნივთნი ვეცხლისა და ოქროსი წარავლინა საბერძნეთსა მეფემანო და ფულად 80 თუმანი, დროთა ამათთვის უფულობისა და ქვეყნისა გაოხრებისათვის ლეკთა და სპარსთაგან, — არა მცირედი ამასვე დროსა მოერთვა კონსტანტინოპოლით პატრიარქისაგან ხატი ფიცარზედ ნახატი „წყარო ცხოვრებისა“. დღესცა ჰგიეს ესე წმინდის გიორგის კარის ეკკლესიაში.

CXXXII

ამასვე დროსა პატრმან დამიანე ანკონელმან, მოსრულმან რომითა თფილისად, მიართვა მეფესა წერილი პაპისა პიოს მეექვსისა. წერილითა ამით სთხოვდა პაპა მაგალითისამებრ მამისა მისისა გარდაცვალებულისა, აქვნდეს მფარველობა მღვდელთა ზედა გამოგზავნილთა შოციქულთა ქალაქიდამ საქართველოს. სწერდა მადლობასა პატივისცემისათვის მათისა კათოლიკეთა სამწყსოჲსა და ეკკლესიისა განმგეთა. ლათინთა ზედა ენასა დაწერილი ეპისტოლე ანუ ბულლა გარდმოიღეს ქართულად ექიმმან რომში აღზრდილმან კათოლიკემან სომეხთა გვარისა შარიმანაშვილმან [62], რომელიცა მოკვდა თფილისსა 1836 წელსა. წერილი ესე ნამდვილი და თარგმნილიცა ქართულად აქვნდა დავით თუმანიშვილისა, ეგნატი თუმანიშვილისა ძმასა (გარდაიცვალა 1832 წ.). ვის დაშთა იგი, არა ვუწყი.

იოანე ყარაევმან კათოლიკემან ექიმმან მეფისა გიორგისა, მომითხრო ამბავი ესე და სთქვა: „დიდად იამა მეფესა, წერილი პაპისაო, და იკითხა, რატომ არ იციან ხატითა ანუ ჯვარითა დალოცვაო. თუმცა არა ვარ პაპისა სარწმუნოებისა, გარნა ვარ მეფე ქრისტიანეო და თვით პაპა არის მღვდელმთავარიო. რიგია იცოდეს მეფეთა პატივიო“.

პატრი დამიანე, მიმრთმევი წერილისა შეწუხდა მეფისა ესრეთითა სიტყვათა გამო. მაშინ მეფემან განამხნო და ბრძანა ნუგეშად პატრისა აცნობონ თვისსა ენაზედ პატრსა, რომელ მეფესა დიდათ ეყოლები

---

[62] ვჰგონებ ერქვა მას სტეფანე, ამან შეადგინა ლექსიკონი ბოტანიკური მცირე ბალახთა და მცენართათვის სამკურნალოთა. შემდეგ იოანე მეფის ძემან დაურთო ესე თვისგან ქმნილსა ლექსიკონსა. ნ. დ. ჩუბინოვმან შეიტანა ლექსნი ესენი თვისსა ლექსიკონსა, რომელიცა დაბეჭდა შემდეგ დავით ჩუბინოვმან.

პატივითა და სიყვარულითა. „არავარ თქვენისა სარწმუნოებისა, — ბრძანა მეფემან, — ვარ ო რ თ ო დ ო ქ ს ი (ხშირად ხმაროობდა ლექსსა ამას ბერძულსა, რომელიცა ნიშნავს „მართლ-მადიდებელსა"). გარნა მიყვარან პატრნი სწმინდითისა მათისა ცხოვრებისათვის, გულისა კეთილისა ჭონვისათვის, ქველისმოქმედებათათვის, რომელსაცა იქონიებენ, გლახაკთა, ობოლთა და სნეულთა მზრუნველობისათვის. — ჩემო პატრო, იყავ განსვენებით, დაახლოებით ჩემისა კარისა. შემიწიე, თუ საჭიროება რაჲმე გაქვნდეს".

განმხიარულებული პატრი წარვიდა სახლად თვისსა და შემდგომად გარდაცვალებისა მისისა, მწუხარე და კურთხევითა მომხსენებელი მეფისა, 1801 წელსა თვითცა გარდაიცვალა ქ. თფილისსა.

მისსა მოადგილედ დაშთა პატრი ფილიპე, კაცი მაღალისა სათნოებისა და აღმაშენებელი ლათინთა ეკკლესისა თფილისსა და დამაფუძნებელი სასწავლებელისა ყრმათათვის ფრანგთა, სასტუმროჲსა სახლისა, — შესაწყნარებელად უცხოთა კაცთა და სასნეულოჲსა, — საკურნებელად სნეულთა უპოვართა. 1859 წელსა გარდაიცვალა 77 წლისა და დასაფლავდა აღშენებულსა მისგანვე მცირესა ქვა-კუთხიანსა ეკკლესიასა ზოგიერსა ფრანგთათვის სასაფლაოსა სოლოლაკის მთისაკენ, მშვენიერსა და თვალსაჩენსა ადგილსა.

CXXXIII

სნეულობისა დროსა მოუბარმან მეფემან ინება გამოკითხვა ლექსისა „მღვდელი" მნიშვნელობისა. მოახსენა იოანე ოსეს-შვილმან განმარტება ლექსისა, გაგონილი მზე-ჭაბუკ დიამბეგისაგან ორბელიანისა [63], რომელსაცა წარეკითჲა ესე წერილთა შინა თფილისის მიტროპოლიტისა ნიკოლოზისა [64]: „ლექსი „მღვდელი" არის იგივე „ღვთისა"

---

[63] ესე მზეჭაბუკ იყო ორბელიანი (ყაფლანიშვილი) კაცი რიტორი, მცოდნე ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა. განსწავლეს იგი ვინცღა ისე დიაკონმან (ვინ იყო ვერ ვსცან, — ესრეთ ადვილად იკარგება ახალთა დროთაცა ამბავნი) — მოძღვრად მისსა იყვნენ ზაქარია სომეხთა ვართაპეტი იტალიაში აღზრდილი და ზაქარია გაბაშვილი მოძღვრად წოდებული. — იყო ტანით და სახით სრულიად ეზოპე. გარდაიცვალა 1794 წელსა. მოწაფე მისი იყო მამა ჩემი ეგნატი,

[64] მისგან დაწერილისა წიგნისა ბოლოს სწერია ესეცა:

„ქართული ქორონიკონი ჯდებოდა ოივ მეათოთხმეტეს მოქცევაში ვიყავით.

მთავარნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთ ეწერათ და არღარავინ სწავლულიყო ამისა, თვინიერ უბუცესისა ძმისა ჩემისა სულხან საბა ორბელის ძისაგან კიდე. მასცა მამისა ჩემისაგან ესწავა და მან მე მასწავა ჟამსა მას რომელთა ინებეს, ხელთაგან ჩემთა ისწავეს, არაბედ ვერ სწორო ქმნულთა ჩემთასა! მას ჟამისა

ლექსიდგან წარმოებულიო ე. ი. ღვთელი, ღვთელი, მღვდელი ანუ ღვდელი. აქედამვე წარმოსდგა ესეცაო. რომელ მეფენი ღვთისა ცხებულნი იყუნენ მასვე დროსა გვაბნი ღვთისანიო ე. ი. სამართონიო. აქედამვე შემოვიდა თქმულობა დიაღ ძველი ქართველთა შორის და ხმარებული გლეხთაგანგანცა სოფლებში; „მღვდელთა და მეფეთა“ — ამით იგულისხმებოდა არა უპირატესობა მღვდელთა მეფეთა ზედა, ვითარცა აწცა ჰგონებენ მრავალნი შეცთომით, არამედ ესე, რომელ თვით მეფენი იყუნენ ერთსა და მასვე დროსა მღვდელნიცა და მეფენიცა დროთა წარმართობისაცა.

მეფე გიორგი, ოდესცა მოისხამდა სუფრაზედ მღვდელთა, უჩვენებდა მარადის ახლოს თვისსა ადგილსა და უბძანებდა ყოველთვის „მღვდელთა დაბ მეფეთა!“ — „მაღალი ხარისხი არის მღვდელთმთავრობა, — ბრძანა მეფემან თვით, — აქვს უფლება შეკრვისა და გახსნისაო. ესე უფლება არ მისცემია არცა ანგელოსთა და არცა მთავარ ანგელოსთაო. სამოსი მათი ბისონი არის სამოსი მეფეთა, ღიდისა წმინდისა კოსტანტინე კეისრისაგან მირთმეული. ამითა აღიყვანა ეპისკოპოსი ერთსა და მასვე თვისთანა სამეფოსა პატივსა; ამისთვის გამიგონია პატრთაგანა, მრავალთა არა უწყიან, სად და რით თავდება უფლება მათი. ესე იყო მიზეზი, რომელ წმინდათა პაპათა აღიარეს თავი თვისიო უფლად და მსაჯულად მეფეთა და თავად ეკკლესიისა და მოადგილედ ქრისტესა ქვეყანაზედ“.

მეფენი და შემდგომნი მათნი მოწლედ [?] ჰყვაროობდენ ამა წერასა. მე ქართველთა იმერელთა და კახთა მეფეთ დედის ძმისწულმან და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძემან მროველ ეპისკოპოსმან და აწ თფილელ მიტროპოლიტმან, ულირსმან ნიკოლოზ ანბანი ესრეთ დავწერე; ტრფიალე მსწრაფლ გულისხმა ჰყოფს და მოსურნე ადგილ მიხვდების. — ურთიერთთარს დაჰსცლეა და გვარ-კეთილობა საჰინო მიქმნიეს, და უმეტესსა გვარსა ნუ ვინ შესძინებს. ჩემსავე ცხოვრებასა ვიხილე ჩემ მიერ სწველულის პიერ, ვითაც' სხვა თვით მოიგონოს და ჩვენსა პირველად მყოფსა შლად არა ჯერარს. გვარი და ერთმანერთში დაქსელეა ესრეთ ხამს გულისხმიერისაგან სხვა და სხვა რიგად დაიჭსელვის, ტანის სისხო ყოველთავე სწორედ ჰხამს. მე თპოვებულის თვალით დავსწერე: რამეთუ ვიყავ ორმოცდაათთექვსმეტისა წლისა მის წერაშია, მხილველთაგან შენდობასა ვითხოვ, ღვთის სიყვარულისათვის ჩემი სიმძიმე იტვირთეთ და სჯული ქრისტესი აღასრულეთ. ქალაქსა დიდსა სამეფოსა შინა მოსკოვს, 1728. აგვისტოსა“.

დაუკარგველობისათვის ამისსა, ესე აქა დავსდევ, ნუ მრისხვენ მკითხველნი „მეფისა ცხოვრებისა“ მწერალსა.

CXXXIV

ლეკნი მოწოდებულნი ქალაქსა მეფისა მცველად, ითხოვდენ დანიშნულსა ჯამაგირსა. თფილისისა ქალაქისა შემოსავალი არა ეკმაყა ამათ. ამისთვის ებრძანა მელიქსა დარჩიას შეაწეროს მოქალაქეთა დაუფრორე შემძლეთა კაცთა ფული. სომეხნი დრტვინვიდენ, გარნა მისცეს საკმაოდ და არა გაწერილებისაებრ. მეფემან უბრძანა მელიქსა, გამოუცხადოს სომეხთა ვაჭართა რომელ „შემოხიზნულნი საქართველოსა დაიცვებიან ქართველთა ძალითა. აქუსთ ვალი ეწეოდენ გულითა ქვეყანასა გაჭირვებისა დროსა. შეუწუხებლივ არა იქმნებარა: ერბო-კვერცხისა ჰამისა მოსურნემან უნდა გატეხოს კვერცხი. — გამოუცხადე მათ არ იყვნენ უმადლონი ქართველთა“.

ჰგონებდა სადამე მეფე, რომელ სომეხთა შფოთისა იქნებოდა თანაზიარი ყორღანაშვილი ოსეფა, მილახვარი დედოფლისა დარეჯანისა. მაშინ მოახსენეს მეფესა, რომელ თვით ყორღანაშვილმან მოსცა მელიქსა ოთხი თუმანი. სდუმნა მეფემან და არა მომლოდნელმან მისგან, ესრეთისა მოქცევისა, — რათა არა აწყინოს დედოფალსა უბრძანა საიდუმლოდ მელიქსა: „გულითა ჰქმნა ესე, თუ ჩემსა მოსატყუებელად?“ პატივცემულად მეფისაგან იყვნენ მოქალაქენი გურგინბეგი სტეფანე, ფითუაშვილი და მუნთაშვილი. სომეხთა გვარი ემდურებოდა ამათ, ვითარცა მეფისადმი დაახლოებულთა კაცთა და დამჩაგვრელთა დანაშთენთა სომეხთა. — ხშირად სადმე ეტყოდა სომეხთა თფილისელთა ფითუაშვილი უფრო მიჩნეული: „ძალი ქართველთა მეფისა, ჩვენი ღონიერებაც არისო. რატომ არა ხედავთ და არ სინჯავთ: ერთს ბედნიერებაში ვართ ჩვენ სომეხნი აქა და სპარსეთსა და ოსმალოში“?

ესრეთ ლეკთა ჯარითა დაცული მეფე იყო მწუხარედ და მაშინ შევიდა კოვალენსკი და მიართვა წერილი იმპერატორისა პავლესი. წერილითა ამით სთხოვეს მეფესა სომეხთა მელიქსა ჯიმშიდ შახნაზაროვსა და ფრიდონ ბეგლაროვსა. სურვილისამებრ მათისა უბოძოს ადგილი ხაზახში, რათა დაასახლონ თვისნი ყმანი სომეხნი, დევნილნი სპარსთაგან. „ამისთვის იკვრიან ესენი პირობითაო, — სწერს პავლე,— დაიცვან ძალითა თვისითა სამეფო თქვენიო, კეთილობისათვის სამეფოჲსა თქვენისა და სიბრალულისაგამო ვითარცა ქრისტიანეთა მივიღე მე ესენი ჩემდა ქვეშევრდომად და მოვაჩემებ საქმესა ამას, მიიღოთ იგინი ვითარცა სტუმარნი და უბოძოთ დასასახლებელად ადგილი თხოვილი და უფლებაცა თვისთა სომეხთა ზედა, ვითარცა

აქვნდათ მათ თვისსა ქვეყანასა. 3 ივნისს, 1799 წელსა". — მეფემან ესე ვერ ჰქმნა და უბრძანა მინისტრსა სიძნელე საქმისა და ესეცა, რომელ თვით სომეხთა არა სურდათ მათი ბატონობა ჩვს ქვეყანაშიო. გარნა აღსასრულებელად პავლეს სურვილისა უბოძა გრაფატა, რომლითაცა აძლევს ლორესა, დაპირებულსა შამირაღისათვის კალკუტელისა სომხისა. თუ ეს შამირაღა მოვა, ანუ მისი შვილიო, მაშინ,— სწერს მეფე, — ლორეს მას მიეცემ და სამაგიეროსა თქვენაო.

CXXXV

1200 კაცსა ლეკსა მეომარსა ეძღეოდა თოფე და თოფე ჯაბა არა თვითოს თოფეში 30 მანეთი. — მესამესა თოფესა მათისა თფილისს ყოფნისსა, გაუორგულეს ძმათა იულონმა და ალექსანდრემან. ბელადი მათი, ერთგული კაცი მეფისა, მივიდა და მოახსენა ესე მეფესა. მეფემან არა შეამცნევინა შიში, რომელსაცა მიეცა თვით. უბრძანა ბელადსა მადლობა და სიფრთხილე. მეორესა დღესა დილით, ახლად გაღვიძებულმან მეფემან იხილა 150 ლეკი სასახლისა თვისისა წინარე მისრული და რეცა მთხოვნელი დაპირებულისა ჯამაგირისა. გამობრძანდა გადმოკიდებულისა მოედნისაკენ ბალკონსა და იქიდამ დიდისა ზახითა უბრძანა, — შედგნენ და მაშინვე მოუწოდა ქართველთა ქეშიკთა ანუ მხლებელთა. ესენი მსწრაფლ ყოვლისა კუთხისა სასახლისა გამოცვივდნენ ხანჯლებითა, კეტებითა და გაყარეს ლეკები შეშინებულნი. დროსა ამას გააფრთხილა მეფემან, არავინ მოკლან ლეკი. იქმნა ძიება. ბელადმან გამოაცხადა ღალატი ძმათაგან მეფისა და გარია ღალატობაში კუზიანი ბელიქი, მაღალქელაშვილი და შიო თუმანიშვილი. ძიებიდამ გამოცხადდა, რომელ სამთა ჯუკანასკნელთა პირთა იცოდნენ ესე და შიშისათვის ძმათა მეფისა ვერ მოახსენეს მეფესა; გარნა ღალატობასა შინა და ორგულებასა არა ერიენენ. ამისთვის უბრძანა ჯარიმისა გარდახდა და წაართვეს მათ 400 თუმანი ფულად და ვეცხლად. ამ ფულითა მიეცათ ჯამაგირილეკთა და დანაშთენისა ჯამაგირისა გარდასახდელად დიდძალი ვეცხლისა ნივთნი საკუთარნი, დააშლევინა და მოაპრევინა ფულად. ლეკები დაითხოვა, რადგან შემოდიოდა რუსისა ჯარიცა. მეძანდერათ ლეკთა იყო მიჩენილი ხიდისთაველი თომა მელვინეთხუცესიშვილი, მცოდნე კარგად ლეკურისა ენისა.

ძმა თვისი იულონ დატუქსა ქათოლიკოსისა პირითა და განაძია თფილისიდამ. „ნუ მიმიყვანს იქამდინ, რომ სპასთა და მეფეთა უფლებითა დავთხარო თვალები", — შეუთვალა მეფემან. მაშინ წარ-

ვიდა იულონ ქართლისაკენ. ალექსანდრე, მამისავე თვისისა დროსა-გაქცეული და ახალ მეფობაში უკუ მოქცეული თფილისად და მიღებული კეთილად მეფისა გიორგისაგან, შე'მინდა და კვალად გაექცა სპარსეთად.

შიომ თუმანიშვილმან [65] მაღალქელაშვილმან და კუზიანმან მელიქმან დარჩია, მეორედ შეფიცეს ერთგულობაზედა და ჩამოართვეს წერილი მათ მოღონინისა სომეხთა ეკკლესიაში თანა დასწრებითა მათისავე ეპისკოპოსისა ოჰანეზისა, ქალაქისა მოურავისა ევსტატი ციციშვილისა და ეშიკაბაშისა ასლან ორბელიანისა. მილახვარი ყორღანაშვილი იდუმალ გარეული ამა საქმეში, არა დასაჯა მეფემან დედოფლისა გამო დედინაცვალისა და ბრძანა მისთვის: „მაგისსა ფიცსა არა მივიღებ. ეგ არის მყრალი ფატრუჭი, ბუტუტავს და აყროლებს. მაგისი რიდი არავის უნდა აქვნდეს, თვით მოჰკლავს თავსა თვისსა. ახლდეს დედასა ჩემსა. მეფისაგან მოძულებული, ღვთისაგანაც არის მოძულებული. არა გაევრეთი მისსა სისხლშია. სისხლსა სისხლითა არ დაიბანენო. ვარ მეუე და ვიქონიებ მოთმინებასა და სულგრძელებასა, რომლითაცა განშვენდებიან მეფენი, ღვთისაგან დადგინებულნი მაღლად".

CXXXVI

ჯერეთ მეფისა ერეკლესავე დროსა 1767 წელსა მოახსენეს იმპერატრიცასა ეკატერინას სიმდიდრისათვის ოქროჲსა და ვეცხლისა და სხვათა მადნებისა საქართველოსა შინა. ღრაფმან აპოლო[ნ] მუსინ-პუშკინმან მოსთხოვა იმპერატორსა პავლეს 20 სეკდემბერს 1799 ბრძანება წასვლისა საქართველოდ. მოსვლ'დმდე მისსა თფილისსა მეფემან გიორგი სცნო მისვლა მისი ლინიასა, უბრძანა გარსევან ჭავჭავაძეს წარმოავლინოს მუსინ-პუშკინი მასთან. მოსრულმან ახტალას განიხილა ალაერდისა მადანი და ჰპოვა, რომელ ერთსა წელიწადს მოსცა ბერძენთა მემადნეთა 445 ლიტრა (ლიტრა 9 ფ.), და ყოველ თთვე გამოჰქონდათ 30 ლიტრა და 2,000 ფუთი რუსული ტყვია. ამავე ვეცხლიდამ გამოარჩევდენ ლიტრიდამ 30-მდე მისხალსა ოქროსა. 800 კაცი მუშაობდა მუნ მეფისა ხარჯითა. მეფემან გიორგი გასცა ესე ჯარით და ბერძენნი თვითოსა ლიტრისათვის აძლევდენ მეფესა 160 ფ.

18 სეკდემბერს 1800 წელსა გრაფმან მუსინ პუშკინმან აცნობა იმპერატორსა პავლეს. მაშინ იმპერატორმან უბრძანა გამოსთხოვოს

---

[65] ....[ეს შენიშვნა პ. იოსელიანს მიუკუთვნებელი დარჩენია. რ ე დ.]

მეფესა, რათა პირობაებითა გარდაეცეს მადანი ესე და სხვანიცა რუსთა მემადნეთა უფლებასა. მეფემან გიორგი ინება მოურიგდენ სომეხთა მოიჯარადრეთა, რომელნიცა აძლევდენ წელიწადში 12,000 მანეთსა, რათა გარდასცეს ესე თვით გრაფსა მუსინ-პუშკინსა. 8 ოკდომბერსა 1800 წელსა მოვიდა ბრძანება იმპერატორისა, რათა შეიკრას პირობაები მეფესთან.

ღრაფმან პუშკინმან მოსწერა წერილი ლინიით მეფესა 16 ნოემბერს 1800 წელსა განსწავლულისა მემადნისა ეიბვალდისა ხელითა და პირობაებიცა:

1) გარდაეცეს რუსეთსა მადნები საჭართველოჲსა სამეფოჲსა.

2) მიეცეს საუკუნოდ საჭირო მადნებთათვის ტყე, წყალი, და ესე ვიეარნი სახმარნი.

3) მიეცეს უფლება ციხეთა და სიმაგრეთა აშენებისა და მიენიჭოსთ მუშაკთათვის მემადნეთა საკმაო სახლავი მიწა პურისა მოსაყვანათ და სათივეებიცა.

4) გარდაეცესთ მადნებიცა ესრეთნი, რომელთაცა იპოვიან სადმე რუსნი.

5) ჩააყენონ მადნებში მუშაკნი იმერელნი, ქართლელნი, კახელნი, ოსნი, ყაზახელნი ბორჩალოელნი და სხვანი და დაბინაეებისათვის მუნ მათისა, მიეცეს ცხოვრებისათვის შეწევნა.

6) ეძლეოდეს[თ] პური ქართლიდან, ყაზახ-ბორჩალოდამ ფასითა, როგორც ფასობდეს ადგილობრივ.

7) უკეთუ მებატონეებთა მამულებში გამოსჩდეს მადანი, ესეცა მათ მიეცესთ.

პირობაებთა ამათ მეფე იყო თანახმა და აღსასრულებელად დაუდვა თვით შემდეგნიცა პირობაები:

1) დაიცვას სამუდამოდ რუსეთმა სამეფო მისი მტერთა დაცემისაგან.

2) მიეცეს მეფესა ერთ-დროებით ფული ნაცვლადი.

3) მოეცეს მადანთა დასაცველათ 3000 რუსთა ჯარაული.

მაშინ მეფემან დაამტკიცა კონტრაკტი და დაუსვა მას ბეჭედი შეფისა და დედოფლისა. მოაწერეს მას ხელი ღენერალმა ლაზარევმან და მღვდელმან მადნისა იოსებ წინამძღვარისშვილმან.

ღრაფმან მუსინ-პუშკინმან 5 იანვარს 1801 წელსა წარადგინა ესე ხელმწიფესთან შემდგომად მეფისა გარდაცვალებისა და შეიცვალა ახლისა მთავრობისაგან ჰაზრიცა მეფისა და მდგომარეობაცა ქვეყანისა განმგეობითი (პოლიტიკური).

1801 წელსა მუსინ-პუშკინმან იწყო მუშაობა მადნებისა და 3 წელსა ვერა რაჲ ჰქმნეს. კნიაზმან ციციანოვმან 1803 წელსა იხილა

ესე მძიმედ მმართებლობისათვის და უნებდა შეყენება მუშაობისა-მუსინ-პუშკინი მწუხარებითა მოკვდა თფილისს და დასაფლავდა ჯვარის-მამის ეკკლესიასა. მუშაობა შედგა ვითარცა დღეინდელად დღედმდე,

კნიაზმან მ. ს. ვორონცოვმან განიხილა ესე ადგილი და საქმეცა დაწყობილი ძველად. მეცა მიახლო თვისთან (მასთან მოგზაურობაცა ჩემი აღვსწერე და დავბეჭდე რუსულად თფილისს 1850 წელსა) * და გამოძიებით გზათა ცუდთა მუნ მისასვლელად, არღა ინება დროდმდე განახლება მადანთა ამათ მუშაობისა.

CXXXVII

დედოფალმან დარეჯან, მჯდომარემან დედოფლისა მარიამისათანა რძლისა თვისისა, რომელიცა მშობიერად იყო ირაკლიზედ, უკანასკნელსა შვილზედ, მოახსენა მეფესა სამდურავი კარისა კაცთათვის, რომელნიცა ატარებენ ენათა და იქმონენ ამბოხთა. „იმდღესაც მოგართვი ხოხბებიო და კარისა კაცთა გაებედნათ და ეთქოთ არ მიირთოთ, მოწამლულნი იქმნებიანო. აბა რა სათქმელია და როგორ მოსათმენია? უნდა მოვკლა და ვინა? შვილი ჩემი და მეფე. შვილი ხარ ჩემი და რა პასუხი უნდა მივსცე ღმერთსა, რომ ესე ვიფიქრო? — იმდურებით ჩემს შვილებზედ. რა ვექმნა, აგერ ორი თვეა ალექსანდრე გამექცა. მიხარიან ესე? მიმართა თათარსა და მე ხელს მოუმართავ როგორმე? რომელი შვილი დავწყევლო? რომელი შვილი მოვჰკლა? თქვენცა გყვანან შვილები. რომელსა გაიმეტებთ მოსაკლავად და შესაძულებელად?“ — მეფე შესწუხდა და მოვიდა ლმობიერებასა და იტყოდა დედოფლისა დასამშვიდებელთა სიტყვათა.

დედოფალი დარეჯან ჰგონებდა მეამბოხედ და აღმაშფოთებელად სამეფოჲსა სახლისა მაყაშვილსა ალექსანდრეს, რომელიცა იყო დიდად მიჩნეული მეფისა გიორგისაგან და მისგან მეგობრად ხადილი.

მეფემან შემდგომად ვრცელისა საუბარისა ინება და სთხოვა დედოფალსა დედინაცვალსა თვისსა, დაშთეს მათთან სადილად და განატაროს მათთან დღე. დედოფალმან პატივისცა და დაშთა სადილად. სადილზედ გამხიარულებულმან დარეჯან უბრძანა მეფესა „შვილო ჩემო! 4 წლისა დამხვდი, როდესაც შემოვედ სამეფოსა სახლსა, შვილი იყავ ჩემი და მე დედა ვიყავ, არ უნდა მალე დაიგიწყო წარ-

---

* იგულისხმება პ. იოსელიანის წიგნი: Путевые записки от Тифлиса до Ахталы. ტფილისი, 1850. რ ე დ.

დარეჯან დედოფალი

სული დრო, და არცა ალერსი ჩემი შენდა ყმაწვილობისა დღეთა-სხვა რომ არა მჰქონდეს რა შენთან ამაგი, ეს ხომ არის დაუვიწყებელი ჩემგან. ავად შეიქმენ 4 წლისა და რა გვარათა მეცნიერებითა, მოგიარე და მოგარჩინე. არც ერთს ჩემ შვილზედ ესოდენი ამაგი არ მიმიძღვის". მაშინ, დედოფლისა დარეჯანისა მუნ მეფესთან ყოფნისა დროსა, მოართვეს მეფესა ბრძანება იულონთან, აახლოს ეშიკაბაშსა თვისსა ალექსანდრე მაყაშვილსა დავით აბაზაძე, რომელიცა მიდიოდა იმერეთსა წერილითა სოლომონ მეფესთან. იკითხა დედოფალმან ჰაზრი დესპანობისა; მეფემან მრისხანედ ბრძანა პასუხად: „სოლომონ მეფესა წაურთმევია ხატი ჩემისა სიძისა დადიანისათვის ხატი ელაზერნისა. თუ არ უბრუნა და არ დასცხრა სოლომონ, ამოვაგდებ მეფესა იმერეთიდამ". დიდი ფიცხელი მიწერა იყო ესე მეფისა გიორგისაგან, და კვალად უფიცხელესი თვით იულონთან, მე პირნი მათნი არა მაქვს და წამიკითხავს იულონის შვილთან ლუარსაბთან, რომელსაცა აქვნდა იგი. დამსწრე ამა მოთხრობისა ეუნატი იოსელიანი იტყოდა: „ამოიხრა მეფემან და მოახსენა დედოფალს დარეჯანს: „მაწუხებენ და მოთმინებიდან გავყევარ ამათაო".

CXXXVIII

მეფე იქმნა სნეულებითა დამძიმებული. მოახსენეს ბრძანოს ვათხოვება მეფის ასულის თეკლასი. ბრძანა, დალოცა, აკურთხა და დასწერა ჯვარი ვახტანგ ყაფლანიშვილზედ, რომელიცა იყო ძე თავადის დიმიტრისა. ესე ქორწილი იყო 7 სექდემბერს 1799 წელსა. მეფესა უყვარდა დიდად და გამორჩევით დაჲ თვისი თეკლე [66]. თვით მეფისა ასულისაგან თეკლასა გავიგონე ესე, ოდეს მობრძანებულმან ჩემსა სახლსა ინება და ნახა 1829 წელსა სნეულად მდებარე მამაჩემი ეგნატი: „მპირდებოდა და უეჭველად დამზითევდაო, უკეთუ დაეცალა ღმერთსა მეფისათვის, ძმანი ჩემნი და დანი მართლად სძულობდნო მას; — შური მეფობისა იყო მიზეზი ესრეთისა სიძულილისაო. ვერ გავამართლებო ვერცა დედასა ჩემსა დედოფალსა დარეჯანსაო, ვერც ძმათა და დათა ჩემთაო. კარგად ვიცი, რომ აწუხებდენ მეფესაო. უბედურება იყო მოსული ჩვენსა სახლზედაო, ვიყავით ღირსნი დასჯისაო და დავისაჯენითო. ვიტყვით მრავალსა, ვაბრალებთ მრავალთა, ვეძებთ მიზეზთა, რომელთაგანცა რა მოხდა, მხოლოდ განგების

[66] გარდაიცვალა 11 მარტსა 1846 წელსა და დიდისა პატივითა დაასაფლავა მცხეთას უგანათლებულესმან კნიაზმან მ. ს. ვორონცოვმან.

საქმე გვავიწყდებაო: კურთხეულ არს ღმერთი მამათა ჩვენთაო. რუსთა მთავრობა საჭირო იყოო ქვეყანისათვის, დევნილისა თათართაგან და ქრისტეს სახელისა მოძულეთაგან, სცდებიან იგინი და სცოდვენ ღმერთსა, რომელნიცა აბრალებენ ძმასა ჩემსა გიორგის ქვეყანისა გაცემასა და სამეფოჲსა დაცემასა. ამას კი გაბედვით ვიტყვიო, რომ რუსეთსა არა ეკადრებოდა, რომელ დასტოვა სამეფოჲსა სახლისა წევრნი ულუქმოდ. არავინ იყო მთქმელი და მომხსენებელი დიდისა რუსთა ხელმწიფისა, — მიეხედნათ რა გვარად უზრუნველჰყო დიდმან პეტრე მეფე ვახტანგ, ძენი და ასულნი მისნი, თავადნი და აზნაურნი, მეფისა მხლებელნი, — ძნელია მამაშვილობამ, ჩვენი მდგომარეობა და რა გაეწყობა? კვალად და კვალად იკურთხოს ღვთისა სახელიო".

მამა ჩემი ეგნატი დიდად იყო ფრთხილი, სიტყვისა წარმოქმისა. გარნა მოსრული გრძხობათა სისავსესა, ესრეთისა მეფის ასულისა საუბარისა გამო, აღიმაღლა ხმა და მოახსენა:

„ბატონიშვილო! მესმის ყოველივე და ვიტყვი მოკლედ გოდებითსაცა ჩემსა სიტყვასა: არვინ ველოდით რუსთაგან ამას, რასაცა თქვენ მიბრძანებთ; ახლა ვჰხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებულნი, და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად. მიხედეთ ამათ მართალმსაჯულებასა? განა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა? აზიურთა და ძველთა ჩვენთა სჯულის-დებათა ეცინიან რუანი. განიხილონ რომელია უკეთესი, უმოკლესი და უმეტეს მართლ-მსაჯულებითი? ჭრთამიო, იტყვიან, გარნა ესოდენი და ესრეთი მექრთამობა შესაძლებელია სადსამე? რა გაეწყობა! ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოჲსა, სარწმუნოებითა, ეკკლესიებითა, მონასტრებითა, მდივან-ბეგობითა, სწავლითა და ხელოვნებითა, გუთნითა და ხვნითა, თესვითა და მკითა, პატიოსნებითა და ზრდილობითა აღსავსე, ესრეთ ბრწყინვალე სამეფოჲსა ტახტითა და თავად-აზნაურობითა, სამღვდელოთა წესითა და საეროჲსა სიმდიდრითა: თოფითა, ზარბაზნითა და ხალხისა სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადამე დიდსა რუსეთისა იმპერიასა?! — მივიღოთ ყოველივე სიმდაბლით და დავემორჩილეთ განგებისა ხელსა. ღვთისა განგებისა ხელსა ვერ ვნახავთ. ვხედავთ განგებისა კვალსა და კმარა ესე ჩვენთვის. დუმილი და კვალად დუმილი, მეფის ასულო, გემართებს მუნ, სადაცა ცხადად და ნათლად ვხედავთ ყოველსავე. მოვიხსენიოთ სიტყვა მოციქულისა იაკობისა; აჰა,



თეკლე ბატონიშვილი

რასა იტყვის იგი! ჩამოიღე შვილო პლატონ, — მიბრძანა მე მამამან მწოლარემან, — სახე იგი რომთა პაპისა პიოს მერვისა, და მიართვი ბატონიშვილსა წარიკითხოს თვით ქვესახისა წერილი იაკობ მოციქულისა"; — მივართვი და წარიკითხა მამისა ჩემისა ხელითა მიწერილი სიტყვა მოციქულისა, რომელიცა ზე ამა წერილისა, იყო ნემეცურადცა ნაბეჭდი".

„ნეტარ-არს კაცი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა; რამეთუ გამოცდილ-იქმნას და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელიცა აღუთქვა მოყვარეთა თვისთა" [67].

დღესაცა მაქვს სახე ესე მე.

დიდსა დროსა დაჰყო მეფის ასულმან თეკლე და მერმეთ ფარნითა წაბრძანდა სახლად თვისად, რომელიცა დიდად ახლოს იყო სახლისაგან ჩვენისა.

CXXXIX

შიში იყო დიდი სპარსთაგან და ომარხანისა. შიშსა ამას დაერთო ძმათა ამბოხი. იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ აორგულებდენ ქართლსა და არაგვსა. ორჯერ მოუხდენ ქალაქსა 4,000 კაცითა და უნებდათ დედისა თვისისა, დედოფლისა დარეჯანისა წაყვანა თფილისიდამ. მეფემან არ მისცა ნება დედინაცვალსა ქალაქიდამ გასვლისა. დაუყენა მცველად 600 კაცი თვისისა ჯარისა და რუსთა სალდათნი. განაგებედ ყოვლისა ამის დანიშნა კოვალენსკი და მეფის ძე იოანე.

დაპარებული ჯარი რუსთა კვალად შემოვიდა. გულიაკოვი ღენერალი მას მოუძღვა 23 სეკდემბერს; მეფე თვით გაბრძანდა ტრახტევანდით გარე ქალაქისა და მიეგება თუმცა სნეული, ჯარსა და ესრეთვე შემოუძღვა ქალაქსა. იყო მეფესთან დედოფალიცა მარიამ და სხვანიცა მრავალნი ქალნი. ზარბაზანთა სროლითა ციხიდამ და ზარებისა რეკითა დაუხვდენ ქრისტეს მოყვარესა მხედრობასა. მხედრობა ესე დააბინავეს ავლაბარსა, კუკიასა და ვიეთიმე როტანი ლილოსა და მარტყოფსა. შეშინდენ მეფის ძენი და განმპნევდა მეფე.

მეფემან კვალად სულგრძელებითა მოინება დამშვიდება ძმათა. ამისთვის უბრძანა კოვალენსკის, პათოლიკოსსა და მეფის ძეს იოანეს, დააბოლოოს საქმე ესე მეფესთან მორიგებისა. ფარნაოზ უმეტეს სხვათა ძმათა დაშთა შეურიგებელად. ამას ალექსანდრეზედ აქვნდა დიდი იმედი, რომელიცა სწერდა სპარსეთით წერილთა დედოფალსა.

---

[67] იაკობ. 1, 12.

დარეჯანს, იმერთა მეფეს სოლომონს, ძმათა: იულონს, ვახტანგს, ფარნაოზს და მირიანს; ეგრეთვე ბოდბელსა იოანეს, თამაზ ყაფლანიშვილს და სხვათა. ჰგონებდენ ლეკთა ჯარისა და სპარსთა შემოსვლასა მალე საქართველოდ; გარნა რუსთა ჯარმან, — საკმაოდ თფილისსა მყოფმან, შეაშინა ყოველნივე. დარჩათ მათ იმედათ სნეულება მეფისა სასიკვდინე, ჰგონებდენ შემდეგ მისსა იულონისა გამეფებასა და რუსთა ჯარისა დათხოვნასა. ჯერეთ მეფისა სიცოცხლისა დროსა, მტერთა მისთა განთესეს ხმა გარდაცვალებისა და ეხაროდენ დროთა ცვლილებასა. ესე იყო მიზეზი, რომელ ვერცა კოვალენსკიმ, ვერცა შემდეგ მისსა ლაზარევმა, ვერცა მეფის ძემან იოანე, ვერ დაამშვიდეს მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ. უმეტეს ფარნაოზ იყო შფოთისა მიზეზი, ამისთვის რომელ მეფემან მისწერა ფიცხელი წერილი ოთარ ამილახვარსა, სდევნოს ფარნაოზ და უბრძანოს სოფლისა მოხელეთა არ მიუშვან იგი არსადა.

ბრძანებამან ამან ჰქმნა ესე, რომელ ფარნაოზ გაჰირებული უსარჩოობითა მოდრკა და მოსწერა რუსისა ღენერალსა ლაზარევსა, შევიდეს მისსა მდგომარეობასა და ჰქმნას მან თვით სამართალი.

პასუხად მისისა წერილისა, იყო მოწოდება მისი თფილისად და დამორჩილება მეფისა.

ესრეთივე აღრეულობა იყო კახეთსა, რომელსაცა განაგებდა მეფის ძე ბაგრატ. ესე ითხოვდა, რათა მეფემან მიაშველოს მუნ დასამშვიდებელად აღრეულობისა მეფის ძე დავით.

თუმცა მეფე იყო დროთა ამათ დიდად სნეული, გარნა საქმობდა დიდად. იყო მიწერ-მოწერასა შინა ყოველგან და მხნედ და დაუღალველად ზრუნვიდა. რათა რუსთა ჯარსა აქვნდეს პური მზად თფილისსა, გორსა, თელავსა და სიღნაღსა. მახლობელნი მისნი დიდისა განკვირვებითა ძოუთხრობდენ მისსა დროთა ამათ მეცადინებასა, რათა დაეწყო საქმე რიგიანად და მტკიცედ. მარადის საქმისა დაწყებისა წინათ და დაბოლოებისა დროსაცა ბრძანებდა სიტყვასა თვისსა და თქმასა ჩვეულებრივსა: „ქრისტეს ღვთისა მადლითა!“.

CXL

დღეთა ამათ მწუხარებისა, თხოვითა დედოფლისა მარიამისა, კათალიკოს-პატრიარქმან ანტონი მისწერა ქართლისა და კახეთისა მღვდელმთავართა და მონასტრისა წინამძღვართა ილოცვიდენ მეფისა სნეულისა განკურნებისათვის, და ჰყოფდენ ვედრებასა წესისაებრ წმინდისა ეკკლესიისა. თვით თფილისსა, დღე ყოველ ეკკლესიათა

გაგარან გატონიშვილი

შინა იყო ვედრება. დედოფალი მარიამ მხლებელებითა თვისითა ფერხშიშველი ვიდოდა ანჩისხატისა ეკკლესიასა, და წინაშე ხელთუქმნელისა ხატისა დაჩოქვითა, ცხარითა ცრემლთა დინებითა, წვრილთა შვილთა ილიასი, ოქროპირისა, ირაკლისა და თამარისა მუნ დასწრებითა ევედრებოდა ღმერთსა განაგრძოს დღე მეფისა, დროთა ამათ მწარეთა ამბოხთა დასამშვიდებელათ, საჭიროჲსა. იტყვიან მუნ დამსწრენი მოხუცნი: გრგვინავდა ხმა გოდებისა და ტირილისა გარემო დედოფლისა მწარედ მტირალისაო. ძნელი დღე იყო, დღე ესე ცრემლთა და ვაებისაო. შემდგომად პარაკლისისა, რომელიცა გარდაიხადა იუსტინე მთავარ-ეპისკოპოსმან, განბანეს ხატი და ნაბანი ხატისა, თვით ხელითა თვისითა თეთრისა მინისა ჭურჭლითა წარიღო დედოფალმან და მიართვა მეფესა. მეფემან, ჩვეულებისაებრ თვისისა, ცრემლითავე მიიღო, იხმია, ისხურა წყალი პირსა თვისსა და გულ-მკერდსა წარმომთქმელი მხურვალედ ლოცვისა და ვედრებისა და თვით წმინდისა ხატისათვის თქმულისა ტროპარისა, რომელიცა იცოდა მტკიცედ ზეპირად მეფემან მორწმუნემან.

CXLI

მეფემან, მდებარემან საწოლსა უიმედოსა განკურნებისა წყალმანკისა გამო განძლიერებულისა, — ინება და სთხოვა კათალიკოსსა ანტონის განხსნას საფლავი და ლუსკუმა წმინდისა იოანე მანგლელისა.

22 დეკემბერსა, მიბრძანდა სიონისა ეკკლესიასა კათოლიკოსი ანტონი და თანა დასწრებითა იუსტინე მთავარ-ეპისკოპოსისა, იოანე ბოდბელისა მიტროპოლიტისა და სტეფანე რუსთველისა იწყეს პარაკლისისა გარდახდა. შეიკრიბენ დროსა ამას მუნ სიმრავლე ერისა, კაცთა და ქალთა. მუნ დაესწრნენ მარიამ და მეფის ძენი და მეფის ასულნი და მეფის რძალნი.

ქალაქისა მცხოვრებთა შორის განვიდა ხმა, რეცა დღესა ამას შეიყარნენ სიონსა, რათა შეჰფიცონ მეფის ძეს დავითს ვითარცა მეფესა. ღენერალი ლაზარევი, ცნობილი საქმისა ამის გამო, მსწრაფლ წარვიდა ეკკლესიად და იხილა მუნ სიმრავლე ერისა და მუშაკნი საფლავისა განხსნისათვის, სადაცა იყო ლუსკუმა წმინდისა გვამისა. პარაკლისი გალობითა განგრძელდებოდა მრთელსა საათსა. ლაზარევი დარწმუნდა, რომელ მიზეზი სიონისა ეკკლესიასა შინა შეკრებისა არის აღსრულება პრაკლისისა და არა შესახები მეფობისა, გამოვიდა და წარვიდა.

ამოიღეს ლუსკუმა და ესრეთ ზდილობითა და ლოცვითა წარიღეს იგი და შეიტანეს მეფისა საწოლსა. მეფე განმხნევდა, წარმოდგა და უბრძანა: დააჩოქონ წინაშე ლუსკუმისა. დიდითა ვედრებითა და ცრემლთა დენითა და სარწმუნოებითა ემთხვია წმინდათა ნაწილთა. დედოფალი მარიამ და მხლებელნი სტიროდენ მწარედ და ატირებდენ სხვათაცა. ღენერალი ლაზარევი თვით დაესწრო მუნ დროსა ამას და ამასცა, მწუხარესა ცოლისა და შვილისა, სიკვდილისაგამო მასვე დეკემბრისა თთვესა, განუახლეს ტკივილი გულისა და ატირეს მრავლად. მაშინ მივიდა მუნ დამსწრესთან დეკანოსთან იოსებ წინამძღვრის შვილთან, რომელმანცა იცოდა რუსულიცა და ჰრქვა: „ახლა ვხედავ რომელ მეფე გიორგი მაღლად სდგას ღმერთთანაო!“

შემდგომად ლოცვისა, წარასვენეს ლუსკუმა წმინდისა და დასდევეს თვისსა საფლავსა დიდითა კრძალვითა და თაყვანისცემითა.

მეფე შეიჭმნა უკეთ და მასვე დღესა ლაზარევმან აცნობა ამბავი ესე ღენერალსა კნორრინგსა.

CXLII

22 დეკემბერს სნეულმან მეფემან თვით მოინება, რათა აღასრულონ მას ზედა საიდუმლო ზეთის კურთხევისა, ამისთვის შეკრბენ სახლსა მისსა კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი იუსტინე, მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი, არქიეპისკოპოსი რუსთველი სტეფანე, მიტროპოლიტი თფილელი არსენი, არქიმანდრიტი და მოძღვარი მეფისა ევთიმი და მღვდელი სასახლისა ონისიმე იოსელიანი. მოყვარე ქრისტესი მეფე გიორგი, მდებარე ცხედარსა ზედა, იღოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა, რათა სცეს მას კურნება სულიერი და ხორციელი. ცრემლთა დენითა თვალთაგან, ცოდვათათვის მტირალთა, მოიყვანდა ლმობიერებასა თვით მვედრებელთა განკურნებისათვის სნეულისა. შემდგომად სრულყოფისა ზეთის კურთხევისა მოეცა შვება მეფესა მწუხარესა. განატარა ღამე მშვიდობით და დღესა მეორესა დილით, ოდეს შებრძანდა დედოფალი მარიამ სანახავად მეფისა, იხილა მეფე თვალებ შერეული და რეცა მატრიალებელი თვალთა უჩვეულოჲსა მისთვის სახითა. შესწუხდა და მოახსენა გაბედვით ცრემლმორეულმან მეფესა:

„ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაჲმე? დავით უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი (დ ა რ ე ჯ ა ნ, — არღა ახსენა სახელითა ქართველთა ზრდილობისა გამო)? — „ბატონო დედოფალო, გაიგონე

რა გიამბო; მე აუჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა, — უბრძანა პასუხად დედოფალსა ცოლსა თვისსა. — ბარათაშვილო გიორგი! მომგვარე ღენერალი", — ბრძანა მეფემან. მსწრაფლ აცნობეს ღენერალსა და მივიდა მეფესთან. მეფემან სთხოვა დაწეროს წერილი იმპერატორსა პაელესთან, აცნობოს უკანასკნელი დღე მისისა ცხოვრებისა, და ესეცა, რომელ: ჩამიბარებია ანდერძად ცოლშვილი ჩემი და საქართველო. — ეხლავ დასწერეთ წერილი ჩემ მაგიერ მოკლე! — დაუწერეს წერილი მოკლე, და მოაწერა ხელი და დაასვა ბეჭედი თვისი.

ესე ამბავი მიამბო ექიმმა იოანე ყარაევმან, მუნ დილით საღამომდინ მყოფმან და ყოვლისა ამისა ამბავისა მცოდნემან და თანადამსწრემან. — მაშინვე იოანე ყარაევი დაუმატებდა მხიარულებით და ყელ-მოღერებით სიტყვათა: „სწორე მეფე იყო, უხვი, ძლიერი სიტყვით, მლოცველი, უტყველი, წმინდა ფიქრითა, ბევრით უკეთესი მამაზედ ქცევითა, თუმცა არა სიმხნითა".

CXLIII

შობისა დღესა 25 დეკემბერსა, დასდგეს კარავი ნაკურთხი პირის-პირ ოთახისა მისისა, და იწყეს წირვა; თვით მეფე მწოლარე ცხედარსა, დიდისა მხურვალებითა ისმენდა ლიტურღიასა და თვით წარიკითხა დღისა ამის სამოციქულო ხრაოდენ შეეძლო ხმითა, დიდითა სამეფოჲსა კილოთი, მტკიცედ ლექსთა გამოთქმითა, ჰაზროვანად, ძლიერითა ბაგეთა ბგერითა, თანხმად მაღალთაევე ჰაზრთა სიტყვათა თვით ზეცით გარდამომეტყველისა მოციქულისა.

ლიტურღია აღასრულა მოძღვარმან მისმან არქიმანდრიტმან ევთიმი, იოანე ნათლისმცემელისა უდაბნოჲსა წინამძღვარმან; — და მასვე დღესა ეზიარა ცრემლითა და დიდისა ვედრებითა ღვთისადმი ხორცსა და სისხლსა ღვთისა მაცხოვრისა ჩვენისა.

მასვე დღესა წირვისა შემდგომად, მოახსენეს მეფესა ახლად მოყვანილთა ინდოეთისა ქათამთათვის თფილისს, უცხოდ სადამე სანახავისა. ინება რათა აჩვენონ მას. მსწრაფლ აცნობეს რუსისა სალდათსა, ქათამთა ამათ რუსეთით მომყვანსა და მოჰგვარეს მეფესა 2 მამალი და 4 დედალი. მუნ მხლებელთა კაცთა დაუსტვინეს და ქათამთა გაშალეს ფრთები, დაუშვეს ბოყვნი, იწყეს ხმაურობა თვისებრი. განცვიფრებით მსინჯველსა მათსა მეფეს, მოახსენეს ღირსება და გემოვნება ინდოეთისა ქათმის ხორცისა. „ნუ უმე სჭამენ ამათსა ხორცსა?" — იკითხა მეფემ. — „დიახ, ბეფევ! დიდსა ხმარებაშია რუსეთში

ხორცი ინდოეთისა ქათმისა". — „ღმერთმან დამიფაროს მაგათის ჭამისაგან", — ბრძანა მეფემან და მაშინვე დაიწერა პირჯვარი ხელითა, რომლითაცა მარადის ჩვეულებისამებრ პირჯვარის გამოსახვისა დროსა, ხვდებოდა ცხვირსა მისსა. ესრეთ წარიყვანა ინდოეთისა ქათმები რუსისა სალდათმან და აქედამ განითესა საქართველოში ინდოეთისა ქათმისა სიმრავლე და ეწოდა მათ დღედმდე ი ნ დ ო უ რ ი. ესე მიამბო ეპისკოპოსმან ნიკიფორე ჯორჯაძემან, რომელიცა დღეს ამას იყო დამსწრე წირვისა, ვითარცა არქიდიაკონი მიტროპოლიტისა იოანე ბოდბელისა. და შემდგომად გარდაიცვალა ვიკარად ექსარხოსთა.

CXLIV

26 საღამოს იქმნა შეყრილობა 40-დმდე კაცთა თავადთა და აზნაურთა სარდლისა სახლში. სარდალმან იოანე ორბელიანმან სთქვა: „ბატონებო! ძნელს[ა] მდგომარეობაში არის დღეს ქვეყანა ჩვენი. ბატონი მეფე უკურნებელითა სენითა მწოლარე, დღეს ანუ ხვალ მიგვეცვალების. მემკვიდრე მისი დავით გვეჭადის მეცა და მუხრანის-ბატონსა შეურაცხებით განდევნასა ჩვენისა ღირსებისაგან. მე მყვანან ნამდვილნი სარდალნიო, არა ერთხელ ბრძანა დავითმან საეროდ და გასაგონად. — იგიეე დავით ექადის ცუდად დედინაცვალსა თვისსა, დედოფალსა მარიამს და იგიცა მწუხარე, დნება ვითარცა სანთელი და არ იცის რა ჰქმნას. — მგონია დამშვიდებისათვის ქვეყანისა და ჩვენისა საკუთარისა პატივისა დასაცველად, ვისურვოთ, — დაშთეს რუსეთისა მეფობა: ნურღა გვინდა მეფედ დავით". — დროსა ამას შეიდა მუნ მუხრანის-ბატონი, ჯერეთ ჰაბუკი კონსტანტინე, კაცი გვარშთამოებით სხალთ-ხუცესი, გარნა გამოუცდელი, ვითარცა სარდალი. მიიღეს პატივითა დიდითა და დაითანხმა იგი სარდალმან იოანე ორბელიანმან, ვითარცა უფროსმან უმცროსი. მუხრანის-ბატონსა თანა ახლდენ დროსა ამას: ზედგინიძე, ვითარცა ლალა ანუ მრჩეველი და ერთგული სახლისა მისისა, და რატიშვილი... მუხრან-ბატონისავე აზნაურშვილი. ესენი ადრევე ჩაგონებულნი მეფის ასულის ქეთევანისაგან, დედისა მუხრან-ბატონის კონსტანტინესსა, — იტყოდენ და წარმოსთქმიდენ სიტყვათა მკვახეთა დავითისათვის. მაშინ მუნ მყოფმან მღვდელმან თურქისტანიშვილმან იოსებ გაბედვით სტუქსა რატიშვილი და აყვედრა მას კადნიერებითა მის მეფის ძის დავითისათვის სიტყვა. — ზრდილობითი საუბარიცა დაიკარგა დროთა ამათ შინაო, — იტყოდა ევნატი იოსელიანი. ვერვის გაებედნა ეშმარიტების თქმა. სოლომონ ლიონიძე, ვითარცა ლომი ჯარემოცული

მტერთაგან, იბრძოდა ქვეყანისათვის, მეფობისა დაუკარგველობისათვის. ლექსი „მეფე“ დადუმდა აჭა? ბატონებო, იყვენით ფხიზელად; ჯვარცმულისა მადლმა, იღუპება ქვეყანა უშველებელად. იქით სარდლები იწევენ, აქეთ მეფის ძენი; მელიქი და სომხობა გველურად იქცევიან. მოდით გონებასა. დაფიქრდით და შედით საქმისა ბეჭობაში. დავითისა მემკვიდრისა მტერობისათვის, რათ უნდა შეექმნათ მტერი ქვეყანასა! ნამუსიანად უნდა ვიყვნეთ ქვეყანისათვის და მეფობისათვის. დასაწყობელად საქმეთა და შინა აღრეულებათა კმარან რუსნი და ტრაქტატი მეფისა გიორგისა. ღვთისგულისათვის მოითმინეთ და სულგრძელებით და დამშვიდებით მოვილაპარაკოთ და დავაწყოთ საქმე საქვეყნო თვით დავით მემკვიდრისა სახლში“.—

სარდალმან არ უსმინა ლიონიძესა, კაცსა მას მხოლოსა, რომელსაცა ესმოდა ყოველივე და რომელიცა ხედავდა შორს. ხმა მისი იყო ნამდვილი ხმა ღაღადებისა უდაბნოსა. ვერარაჯას მოქმედი მივიდა ლიონიძე დავითთან; ესაუბრა მას და ვითარცა მეგობარსა ურჩია შრავალი რაჯმე. — დავით, მერყევი ჰაზრითა და აღშფოთებული, არ ისმენდა სიტყვათა ბრძნისა თვისისა მეგობრისა. მან არა ინება, — მიეწოდა თვისთანა სარდალი და სხვანი პირნი საქვეყნონი; არცა აჩვენა ვითამც თავი თვისი სუსტად და მოკლებულად მეფობითისა ძალისა, ვითარცა ჯერეთ მემკვიდრე და მომლოდინე მეფობისა გვირგვინისა, ტრაქტატისა ძალითა რუსეთისა ხელმწიფესთან. „ამიერიდგან, — იტყოდა დავით, — ჩემი სახლი დახშულია სარდლისათვის და მისთა მეგობართათვის, ვითარცა ქვეყანისა მტერთათვის. მე გავხდი მას მელიქისა სარდლად და დავანახვებ მას მალე, — ვარ ანუ არა მეფე ნამდვილი?“ — კათოლიკოსი ანტონი, დროსა ამას მიბრძანდა მეფის ძეს დავითთან და სთხოვა, რა სურს მას იმა დროჯასათვის, უკეთუ არღა იქმნება მამა მისი მეფე, უიმედო ცხოვრებისა? დავითმან პასუხ უგო მას: „თვით იცით ვინ ვარ და რა მეკუთვნის, მოვალეობა თქვენი გაქმნევინებსთ მას, რაცა იქმნება საქმნელი. წინათ ვერა რას მოგახსენებ“. იოანემან ძმამან დავითისა მუნ დამსწრემან დაუმატა ესეცა; „როგორ უნდა წაერთოს მეფობა დავითსა, ჩემსა ძმასა, არ ვიცი? არ არის პირმშო მეფისა? არ არის მემკვიდრე თვით რუსეთისაგან აღსარებული? როგორც მამა ჩემი გამეფდა, გამეფდება დავით შემდეგ მამისა თვისისა. — საწყენი იქმნება ესე ანუ სასიამოვნო მრავალთათვის, საქმე ესე ესრეთ მოხდება. მეფისა გიორგისა შემდეგ არის დავით მეფე საქართველოჯასა“.

კათოლიკოსი იქცეოდა დროსაცა ამას და შემდეგცა ესრეთ, ვითარცა ეკიდებოდა მისსა ხარისხსა. ვერ სძლია ჰაზრი მისი ვერცა დედოფალმან დარეჯან, ე. ი. დედამან მისმან, ვერცა ძმათა და ვერცა

სხვათა მეფისა გიორგისა წინააღმდეგთა. — ესრედ მტკიცედ და შეურყეველად იყო კათოლიკოსი, აღმასრულებელი მხოლოდ მოვალეობისა თვისისა კათოლიკოსობისა.

CXLV

27 დეკემბერსა დილით მეფესა დაეკარგა მადა. არღა ინება არცა წვნიანი, არცა ჩაი პატრისაგან მომზადებული, არცაღა მიიღებდა წამალსა თათულა ექიმისაგან და იოსება აქიმბაშისაგან (ყარაევისა). წყალმანკი გაძლიერდა, მოაწვა გულსა და დააწყებინა ქშენა, დროთი-დროდ მოითხოვდა ალიბუხარისა წყალსა. მაშინ მოუწოდა მოძღვარსა თვისსა წინამძღვარსა ევთიმის; სთხოვა უკითხოს ლოცვანი ანგელოზისა მფარველისა, ავედრებდა სულსა მოძღვარსა თვისსა, რომელსაცა ესავდა დიდად, ვითარცა კაცსა წმინდასა და ქვეყნიერად ანგელოზად ხმობილსა მეფისაგან და ესრეთვე ცნობილსა ყოველთაგან. დილითვე 8 საათსა უბრძანა წაუკითხოს დაუჯდომელი, —ღვთისა დედისა ქებანი. 9 საათსა დილით დასდვეს კარავი და სწირა თვით ევთიმემან და კვალად ეზიარა მეფე დიდითა ცრემლთა დენითა და ვედრებითა. შემდგომად მიღებისა სამღრთოთა საიდუმლოთა, ხმითა ძლიერითავე სთქვა: „ხორცი და სისხლი მაცხოვრისა შემიყვანს მე სასუფეველსა. ქვეყნიერსა მე ვეღარასღა ვიტყვი. თვით მაცხოვარი იზრუნებს სამეფოსათვის, არღა ჩემისა. რუსთა ხელმწიფესა ვუტევებ პატრონად ქრისტიანობისა. იგი კანაგებს ყოველსავე. — დედოფალო, ნუ სტირ ჩემთვის. იესო ჩემი ტკბილი, დაგატკბობს შენ და შვილთა ჩემთა. მოსავი ქრისტესი, არა სადა დაეცემის. — დიახ, დედოფალო! არა სადა დაეცემის".

საღამოსა მწუხრისა ლოცვისა წინათ შემძიმდა მეფე. მოვიდა კათოლიკოსი და იამა ნახვა მისი. მობრძანდა დედოფალი დარეჯან და იამა მისიცა ნახვა. მოსთხოვა მას ხელი და ამბორ უყო. აკოცა დედოფალმან შუბლზედ. „მომიტევე დანაშაული, დედაო ჩემო, — სთხოვე ძმათაცა ჩემთა მომიტეონ ბრალი ჩემი მათთან!" აღიკვნესნენ თვალნი ცრემლითა გარე მოდგომილთა მეფისა საწოლისა. შეიქმნა მსახურთა და მხლებელთა ქალთა და კაცთა გრგვინვა გულთა მწუხარეთა. „ნუ სტირიან, — ბრძანა მეფემან, — ილოცონ ჩემთვის, რათა კეთილად და სათნოდ წარვსდგე ღმერთთან!" — იწყეს მწუხრი და შეიქმნა მცირედ უკეთ და მოხედვით. წაბრძანდა დედოფალი დარეჯან, წარვიდა კათოლიკოსი. დაშთა მოძღვარი და აქიმნი თათულა, პატრი ნიკოლა და ოსეფა. ღამე ესე განვლო მეფემან დუმილითა,

ვითარცა მისუსტებულმან და ხშირად, ნახევარ ფხიზელი, იტყოდა: „კირიელეისონ, უფალო შემიწყალე". მერეთ: „ღვთისა დედაო, მიბარე სული ჩემი!"

CXLVI

28 დილით მეფესა, გონებისა არა დამკარგავსა, ულოცეს ცისკარი და მერეთ წირვაცა და 11 საათსა დილით შემდგომად ჩამოლოცვისა განუტევა სული. — ვითარცა ცხოვრება მისი იყო ქრისტიანებრი, იტყოდენ ხშირად მუნ დამსწრენი, ეგრეთვე აღსასრულიცა მისი იყო ქრისტიანეთა ეედრებისა გვარი: „ქრისტიანობითი აღსასრული ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითნი, — უფლისა მიერ თხოვილნი" [68] — ნამდვილ მიენიჭა მეფესა ქრისტეს მოყვარესა.

აცნობეს გარდაცვალება მეფისა ლაზარევსა და სასახლისა კაცთა: წარგზავნეს კაცნი საუწყებელად ქართლისა და კახეთისა; და კურიერი მასვე დილით გაიგზავნა ს. პ. ბ. საუწყებელად იმპერატორისა პავლესსა. ლაზარევმან აცნობა ესე წერილითავე თვისითა ქალაქისა მელიქისა დარჩია ბებუთაშვილისა და ყოველგანცა და მისწერა საცნობელად, რომელ ყოველივე განკარგულება და ბრძანებაები, — დამტკიცებადმდე მემკვიდრისა დავითისა მეფედ იმპერატორისაგან — იქმნება ბეჭედ სმულნი სამთა პირთაგან, ე. ი. მეფის ძის იოანესი, ეგნატე მდივნისა თუმანისშვილისა და ჩემისაო.

მასვე დღესა მოძღვარმან მისმან ევთიმი გამოუცხადა ანდერძი მეფისა დასაფლავებისა გამო მისისა, რომელიცა იყო დაცული ვეცხლისა კანდელსა შინა, კიდულსა წინაშე იოანე ნათლისმცემელისა ხატისა უდაბნოსა შინა იოანე ნათლისმცემლისა. წარავლინეს კაცნი და მოიტანეს ანდერძი თვით მეფისა ბეჭდითა დაბეჭდილი და მისგან დაწერილი და ხელმოწერილი. კანდელი ესე ვეცხლისა შეწირული მეფის ძის გიორგისაგან, არის დღესცა მუნ კიდულად [69]. ლაზარევმან,

---

[68] ლიტურღია იოანე ოქროპირისა ანუ ვასილისა. კ ვ ე რ ე ქ ს ი პ ი რ ვ ე ლ ი.

[69] საფლავსა შინა, დანიშნულსა მეფისათვის, დასაფლავდა თვით ევთიმი მოძღვარი მისი. ზედ-წარწერა თვით ევთიმ ეცხლისა კანდელისა, ოქროთ დაფერილისა, დღედმდე კიდულისა წინაშე ნათლისმცემლისა ხატისა არის შემდეგი:

„ქ. წინამძღვრობასა ევთიმისასა. ჩვენ ყოვლად უღირსმან საქართველოსა მეფის ძემ გიორგიმ, შემოგწირე მცირე ეს შესაწირავი კანდელი ვეცხლისა, შენ, ხასოსა და მეოხსა ჩვენსა, ნათლისმცემლის მონასტერს, მრავალ-მთისასა, რათა

აღრეულებისა გამო სამეფოჲსა, ვერ გაბედა რათა მიეცა ჯარი უდაბნოდმდე: მეფის ძე ალექსანდრე მიმალული თვით დავით გარესჯისა მონასტერსა, შემდგომად ნიაბურას დამარცხებისა, ჰგონებდა თფილისად ჯარითა მოსვლასა და უწოდდა ძმათაცა თვისთა: იულონს, ვახტანგს და ფარნაოზს ჯარებითავე. ამისთვის დაეკითხაცა კნორრინგსა. ესრეთ დაგვიანდა დასაფლავება მეფისა.

მაშინ დედოფალმან, მეუღლემან მისმან, თვით რუსეთისა ღენერალმან და კარისა კაცთა, — არღა ინებეს აღსრულება ანდერძისა სურვილისამებრ თვით მეფისა და დასდვეს, რათა მეფეთა საძვალესა შინა იქმნას გვამი მისი დასაფლავებული.

CXLVII

30 დეკემბერსა გვამი მეფისა, მდიდრად კუბოსა შინა მორთული, მიასვენეს სიონისა სამღვდელმთავროსა ეკკლესიასა. მიცვალებულსა მიუძღოდა ჯარი რუსთა და ქართველთა, ზარბაზნები, დროშა სამეფო და ღერბი სამეფო და იკვროდა მუზიკა საგლოველი. გარემოადგნენ კუბოსა რუსთა სალდათნი და ქართველთა ქეშიკნი. ყოველ დღეს გარდაიხდებოდა პანაშვიდი; მდივანბეგთა ძველთა წესითა, დაჰყარნეს ეკკლესიისა იატაკსა, საწერელნი და ყალამნი, — ნიშნად შეყენებულისა ბრძანებათა მწერლობისა; ხელ-ჯოხიანთა სასახლისა კვერთხნი, — ნიშნად გაუქმებულისა მათისა ხელობისა; მზარეულთა—ქვაბი, ფლა-

---

მფარველ მექმნა მრჩობლსავე ცხოვრებასა შინა მეუღლით ჩემით, ძეებითა და ასულებითა. წელსა ჩღპგ. მისხალი ო".

სხვანი იტყვიან, რომელ ვეცხლისა ხომლისა ბუშტში იყო ჩადებულიო ანდერძი მეფისაო. ხომლსა ამას აქვს ზედა წერილი შემდეგი: „ქ. ვინადგან ყოველნი მორწმუნენი ქრისტეს-მიერნი, ქრისტეს მიმართ აღსულად მოსწრაფე არიან თვითოეულნი სიმკაცრისამებრ თვისისა, ამათ ხატისა მიმხედველმან, ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლისა ძემან გიორგი, მეცა ვიგულისმოდგინე შეწირვად შენდა ზეცათა მეფისა წინამსრბოლო, ხომლი ვეცხლისა კეთილად ქმნილი სახსენებელად საუკუნოდ, სულისა ჩემისა და სხეულთაცა ჩემთა სიმრთელედ და ეგრეთვე მეფის რძლის ქეთევანისა მეუღლისა ჩემისა სადღეგრძელოდ, და ძეთა და ასულთა ჩემთათვის, — შეიწირნე ესე მცირედი წვლილი ქრისტეს წინამორბედო და შენ გვაგენ ნაცვალი ბევრ წილად მერმესა მას ცხოვრებასა და აქა სამარადისო საფარველი შენი; — და რომელმან ამის დაშლად ხელ-ჰყოს ან წარიღოს იგიმცა შეიშლების რისხვითა ღვთისათა. ნოემბრის 29. ქრისტეს აქეთ 1776 წ. მისხალი ტნა. გარესჯის ნათლისმცემლის უდაბნოსია ესე ხომლი".

ესე მშვენიერი ხომლი აწ ორად გაუყვია ვისღაც და ესრეთ ჰკიდიან მუნ ნათლისმცემლისა ეკკლესიაში.

ვის საწურავი და ესე ვითარნი, — ნიშნად უქმთაღა მათთვის ნიეთთა; პირის მწდემან მეფისა ოქროსა და ვეცხლისა და სხვათა გვარისა სასმელისა ჭურჭელნი, — ნიშნად არღა სახმართა მათთგან; მილახვარმან ძვირფასნი აღვირნი ცხენთა. თვით ადგნენ თავსა, ნივთთა ამათ მიყრილთა გუნდ-გუნდად აქა იქა. ეკკლესია გალობდა პანაშვიდსა საგალობელთა. სასახლისა კარისკაცნი იგლოვდენ მეფესა; დედოფალი მარიამ და შვილნი სტიროდნენ ობლობისა მწუხარებასა; რუსთა ჯარი დაიცვამდა ქალაქსა; ძმანი მეფისა, მტერნი მისნი, განბნეულნი სხვათა და სხვათა სამეფოჲსა კერძოთა, ეხაროდენ დროთა ცვლილებასა; დედოფალი დარეჯან მწუხარებდა არა ეგოდენ მეფისა გიორგისათვის, რაოდენ შვილთათვის თვისთა განბნეულთა და მისთვისცა უმეტეს, რომელ არა იცოდა რაჲ შეუდგებოდა ქვეყანასა რუსთაგან დაცულსა, მეფის ძისა დავითისაგან, რუსთა იმედითა, დაპყრობილსა. დავით მემკვიდრე მეფისა, გარე ქალაქისა თვისსა სასახლესა, განიზრახვიდა მეფობასა და ელოდა მეფისა დასაფლავებასა. სარდალნი და თავნი კაცნი მეფობისა, დამთვრალნი ურჩებითა დავითისადმი მემკვიდრისა, უკეთესისა მომლოდნენი, მეფეთა არღა მოსურნენი, იყვნენ დუმილსა შინა. — მღვიძარენი დაუკარგველობისათვის მეფობისა მეფის ძენი იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ და მიხაილ, სარდალი იოანე ყაფლანიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, იოანე ანდრონიკაშვილი, ეგნატე იოსელიანი, მეითარი თარხნიშვილი და მათ შორის უბრძნესი და ნათლად მხედველი მყოობადისა და მომავალისა სოლომონ ლიონიძე, — დიდი მტერი და მოძულე ლაზარევისა, სთაოვდნენ და ევედრებოდენ დავითსა წარვიდეს ცხეთას და დაგვირგვინდეს მეფეთ. დავითმან ესე არა ინება, ელოდა სამეფოთა ნიშანთა რუსეთიდამ, და მიიღო მოსვლადმდე ბრძანებისა, მხოლოდ წოდება ნაცვლად მეფისა, რ ე ღ ე ნ ტ ო ბ ი ს ა ანუ სამეფოჲსა გ ა ნ მ გ ი ს ა. შემდგომად სამისა დღისა მემკვიდრე დავით აშფოთდა იოანე სარდალზედ და მუხრანის-ბატონს კონსტანტინეზედ, რომელთაცა უგვანად მოეხსენებინათ დავით საუბარსა შინა მეფობისათვის. მაშინ წარვიდა სოლომონ ლიონიძე და მოახსენა დავითს: „დასამშვიდებელად მეფობის და აღრეულობისა დასაცხრომელად, მიიღეთ ზომა მტკიცე. ჰქმენით რაცა არის საქმნელი. აჩვენეთ ძალი და ძლიერება თქვენი. გმართებსთ აწ გმირობა; დუმილი თქვენი და სისუსტე, რაცაღა აძლიერებს თქვენთა მეტოქეთა. დაეც ზარი და მეხი შიშისა მუხრანის-ბატონსა და სარდალსა; ეხლავ უბრძანე დაიფიცონ მორჩილებაზედ. ნუ ჰკარგავ მეფობასა და ნუ ღუპავ ქვეყანასა. ვინ არის მოცილე მეფობისა? რუსეთმან აღრევე აღგიარა მემკვიდრედ და პირშობითა გაქვს უფლება მიიღო კვერთხი მეფობისა". — ესრეთ მტერნი იდუ-

მალ მოქმედებდენ; თვით ღენერალი ლაზარევი არა მეგობრად ხადილი არ ურჩევდა, რათა მიეღო წოდება მეფისა. ურჩება განდიდდებოდა; მოხელენი გაუქმდებოდნენ და თვით ზედა წარწერაცა ამილახვარისა ბეჭდისა: „მეფჱსა მტრისა ლახვარი, ვამტკიცებ ამილახვარი!“ — შეიქმნა საცინელად! თვით მხლებელნი მისნი და მრჩეველნი სუსტდებოდენ. ვითარცა მეხცემულნი, ვერსადა ჰპოობდენ კურნებასა. არცა ოქმთა ზედა და ბრძანებათა დავითისაგან ბეჭდილთა, არც ეკკლესიასა შინა მოხსენებისა ადგილთა, არცა მოედანთა და არცა სახლსა შინა არღა ისმოდა ლექსი „მეფე“. დაუშთა ესე წოდება გარდაცვალებულსა გიორგისა და ისტორიისა შემდეგთა დროთათვის საუწყებელად იგივე წოდება „მეფისა“ დამატებით „უკანასკნელისა“. . . .

მტერნო, გიხაროდენ! იწყო გლოვისა ხმამან, ვაებამან მეფობისათვის. დაუშთა ღვთისა განგებასა, რადა კეთილად სცვალოს ბოროტი, ბნელი გარდააქციოს ნათლად, და წყლული ჰკურნოს!

რუსეთისა მეფეთა, მეფობისა მფარველთა ხვდა წილად, მოსცეს ღირსებითი მნიშვნელობა ქართველსა ერსა მორწმუნესა; და ესე იწყო დღიდგან გარდაცვალებისა „უკანასკნელად“ წოდებულისა მეფისა გიორგი მეათცამეტისა და მომდინარებს დიდებულად *, ერისა სიმრავლითა, სიმდიდრითა და სწავლითა, --- ვიდრე დღეინდელად დღედმდე.

CXLVIII

დაყუდებულმან ბერთუბნისა კოშკსა ზედა იოანიკემან კახმან, მბაძაემან სვიმონ დიდისა მესვეტისა, სცნო გარდაცვალება მეფისა და მოსწერა დედოფალსა მარიამსა შემდეგი წერილი:

„... სიკვდილი მეფისა ქრისტეს მოყვარისა, არის ვაება ქვეყანისა, საგლოველი ეკკლესიისაგან წმინდისა; გარნა, ბატონო დედოფალო! მიიღე ნუგეშად და ირწმუნე ესე, რომელ დაახლოებული ღმერთთან, უმეტესად ექმნების მფარველად სამეფოსა თვისსა. ლოცვა მისი, ვითარცა კიბე იაკობისა, შთამოიყვანს ზეგარდმო კურთხევასა თქვენზედა და შვილთა თქვენთა ზედა ქვეყანასა ზედა საქრისტიანოსა. შეუდეგით კვალსა მისსა ლოცვითსა; იყვენით პატრონად ობოლთა და ქვრივთა და ამით იხილავთ და იყოლიებთ ცოცხლად მეფესა გიორგის, არა ვითარცა არა მყოფსა, არამედ, ვითარცა გარდასრულსა

* ხელნაწ. „დიდებად“. რედ.

ამიერ სოფლით, მას სოფელსა მზე დაუვალსა. ჩვენ ცოდვილნი ვერ დავივიწყებთ მას მოხსენებითა სახელისა მისისა და სულისა მისისა სამღრთოჲსა უსისხლოჲსა მსხვერპლისა შეწირვისა დროსა. მრაელი კეთილი გვახსოვან მისგან მამათა და ძმათა მეუდაბნოეთა. კურთხევა უფლისა იყოს თქვენთანა; მადლი და მშვიდობა უხვად ნუ მოგაკლოსთ თქვენ... მდაბალი და უნდოჲ სულითა გლახაკი ბერი იოანიკე".

ბერი ესე იყო ჰოტორისა სოფლიდამ; სიყრმიდგან ახლდა ზაქარია მოძღვარსა გაბაშვილსა და მასთანა მოესმინა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. განდევნილსა ზაქარიასა გარდაყოლოდა იმერეთს და მუნით მღვდელ-მონოზნათ შემოსილი წარვიდა ცხოვრებად ბერთუბანსა დიდისა მოღვაწებითა. იტყვიან მისთვინ, ვითარცა კაცისათვის წმინდისა და ღირსისა, გულთა და ჰაზრთა გამომთარგმანებელისა. მამანი მონასტერთა ხადოდენ მას, ვითარცა ახალთა დროთა ქართველთა ეკკლესიისა მნათობს. გარდა ლოცვათა ლოცვანთა შინა მოღებულთა, თვით სადამე დღე და ღამე თხზვიდა და შეადგენდა ზეპირად გონებითა ლოცვათა და იტყოდა მათ. ესრეთ განატარა ცხოვრება თვისი და სარბიელი სოფლისა მწირობისა 1802 წელსა ღრმად მოხუცმან. ბოდბელმან იოანე, დროსა ამას ნათლის-მცემელისა მონასტერსა ყოფილმან, დაასაფლავა მუნვე მისსავე სასვეტოსა. გაბრიელ მონოზონმან ნათლისმცემელისა, აღმწერელმან „ჯვარ მოსილისა", ცრემლით წარსთქვა ქებითი მისთვის სიტყვა, რომელიცა მინახავს იოანე რუსთავისა არქიეპისკოპოსთან. ვისა აქვს იგი დღეს, არა ვუწყი.

CXLIX

გარდაცვალებულისა მეფისათვის სამწუხარონი ანუ სამძიმარისა წერილნი მრაელად სადმე მოერთვნენ დედოფალსა: გურიიდამ, მეგრელიიდამ და იმერეთიდამ. ხანთა ერევნისა, ყარაბაღისა იბრაიმმან, ჯავთხანმან განჯისა, მუსტაფა-ხანმან შაქი-შირვანისა მოართვეს წერილნი და ძღვენნი, რომელთაცა უწოდებდენ ძველთავე ლექსითა „შესაწევარად". დღესაცა არს ადგილ-ადგილ ჩვეულება ესე ძველივე. ამასვე დროსა მოუვიდა წერილი ომარხანისა, რომელსაცა ყოველწლივ ეძლეოდა მეფისაგან 5.000 მანეთი ჯამაგირისა სახითა.

ესრეთივე წერილი მოეწერათ ახალციხისა ფაშასა, ძველთა ათაბაგთაგან გვარისა ჩამომავალთა, რომელთანაც იყო მეფე დაკავშირებული მეგობრობითითა მიწერმოწერითა.

მოსრულთა თფილისად მიუტირეს მეფე-დედოფალსა; იხილეს დავით განმგედ მეფობისა და ჯერეთ არ მეფედ. სამეფო ქართველთა ეჩვენებოდათ მათ უდაბნოდ, — მოკლებულად მცხოვრებთა ხმაურობისა; მინდვრად-თვალთათვის მიუწდომელად და დასაღალველად; გვამად კაცისა, — თავმოკვეთილისა; მზედ ზამთრისა, — არ მათბობელისა; ტყედ მაღნარისა, — ცულით დაკოდილისა და მკვიდრად არღა მფშვინავად. მწუხარებისა ამისა დღეებში მიიღო დედოფალმან დაწერილი იმპერატორისა პავლესი, მეფე გიორგისთან მოწერილი 23 ნოემბერს 1800 წელსა, რომლითაცა უცხადებს მეფესა უსიამოვნებასა თვისსა სნეულებისა და უძლებობისა გამო თვით მეფისა. წერილი ესე წარუკითხეს დედოფალსა 14 იანვარს.

ნეშტნი მეფობისა და კარისა სამეფოჲსა ფიქრმორეულნი, ვიდოდნენ ვითარცა აჩრდილნი მთვარისა ღამისა. საუბარი მათი იყო ვითარცა ბგერა ზარისა, ჰაერისა მხოლოდ შემარყეველისა; საქმე მათი და დაწყობანი საქვეყნოთ, იყვნენ ვითარცა ქსელი ბაბაჭუისა სუსტთა ბუზთათვის გაბმულისა და ქსოვილისა. შეყრილება მათი მოსაზრველად უმჯობესისა, დაბადებდა შფოთსა და უთანხმოობასა.

საბატიონი კაცნი შეირყუნენ და დაეცნენ, ვითარცა სვეტნი შენობათა ძვრისაგან შერყეულნი და დაცემულნი. მაშინ ვითარცა მიძინებულთა განიღვიძეს, იხილეს და იგრძნეს მრავალთა უბედურობა თვისი მაშინ, ოდეს მწუხარებამან, ვითარცა მახვილმან განვლო გულთა მათთა. ურჩებამან დაბადა სინანული ესე; ჰამეს კაწახი და მოსჭრნეს კბილნი, — სიტყვისამებრ წინასწარმეტყველისა.

CL

რუსთა მთავრობა, რუსთა ენა, სჯული და წესი მათი დაშთა იმედად. იმედითა ამით სასოებს ქვეყანა განმტკიცდეს მშვიდობა, დაეცხროს მტერი შინა და გარე, მოეძიოს სამზღვარი თვისი ძველი, ჯერეთ თურქთაგან პყრობილი; განახლდეს ვაჭრობითი ერთობა, ვითარცა ძველად, ფინიკელთა ტვიროს და სიდონისა, ფრიღიისა და კაპპადოკიისა, მისირისა და ეგვიპტისა, ლიბანისა და ბაღდადისა, ლიბიისა და ბაკტრისა, სამარყანისა და ინდოეთისა, ბიზანტიისა და ათინისა; აღყვავდეს სწავლა და ხელოვნება; დაფუძნდეს ძირმტკიცედ ქრისტიანობა მართლმადიდებლობითი მკვლავითა მტკიცითა დაცული, კვალად შეიმკოს მეფობითი გვირგვინი ქვეყანისა, ვითარცა ქრისტეს ვენახისა, მეფეთა და წამებულთა ურიცხვთა სისხლითა მორწყულისა;

და ესრეთ დიდებასა, სიმდიდრესა, ერთა სიმრავლესა და ქართველთა თემთა და ტომთა ერთობასა მოყვანითა განახლდეს ვითარცა ორბისა სიჰაბუკე მისი და მოიგონონ ძველნი სამეფოსათვის მოღვაწენი მეფენი.

CLI

დიდი იყო აღრეულება დროთა ამათ ამბოხისა და შფოთთა, და ამასთანავე დიდი სიცილი და შეჭცევა ქართველთა დიდთა და მცირეთა. არ ეკვირვებოდენ ამას მრავალნი და არცა ჰგონებდენ ამას უშვერად. ჭირსა და ლხინსა აერთებდენ. ესრეთ იყო მაშინ და ესრეთვე არს დღეს. ქართველთა ერი ძველი და მრავალთა ჭირთა და შეიწროებათა მნახველი, ადვილად მიიღებდა მწუხარებასა და ადვილად განიკურნებდა თავსა, ვითარცა ჭირნახადი. გავლილი ცეცხლსა, ვითარცა ბრძმედსა შინა, ოქრო იყო ნათლად და წმინდად საჩვენებელი: ქსერსისაენ დროსა 400 წლით წინათ ქრისტესსა, შეეჩვია სპარსთა უფლებასა და ჰქელავდა მათთანა ერთად ეგვიპტისა და ატტიკისა მთათა და ბართა, ვითარცა სწერს ღეროდოტი. ხმალი ქართველთა ღელავდა ომსა და ბრძოლასა პირისპირ მაკედონელთა დროსა გმირისა მათისა მეფისა ალექსანდრესსა. შეჩვეულნი არაბთა უფლებასა, ვერ დამორჩილდა მათ სრულითა მონებითა. მორჩილი ქრისტეს მცნებათა, იყო ურჩი ბერძენთა ანუ ბიზანტიისა იმპერატორთა, რომელნიცა იპყრობდენ ზღვისა შავისა პირთა, მოსცემდენ მეფეთა ქალთა და წარიყვანდნენ მეფისა ქალთა თვისდა სასძლოდ. ჩინგიზი და თემურლანგი უქცევდნენ ქართველთა მეფობასა და ქართველნი კვალად განახლდებოდნენ. მიძინებულნი მტერთა და უცხო ნათესავთა ზედა დასმისაგან, კვალად განიღვიძებდენ. პოლიტიკა შაჰ-აბაზისა ამოფხვრისათვის ქრისტიანობისა ქართველთა შორის, რომელთაცა მოსცემდა 200 წლისა განგრძობასა მეფეთა მაჰმადიანთა,— დაშთა უნაყოფოდ. ხმალი ქართველთა ტრიალებდა ავგანისტანისა მთებზედ, ვაჟკაცობა მათი და გმირობა განაკვირვებდა სპარსთა და ყაენთა. ყანდარი და ხოროსანი ერიდებოდა მათ, ვითარცა კავკასიისა გმირთა. თვით ყაენი მიუწოდებდა ქართველთა მეფესა დასასჯელად მეამბოხეთა ავგანთა. თურქნი, მეზობლად მოკრულნი ქართველთა, იშიშვოდენ შემოსვლასა შინა ქართლსა და კახეთსა შეუვალსა. ქართველთა ესრედ მრავალ საუკუნოებითა, გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პური გამომცხვართა, ვერ ერეოდა ვერცა შინაგანი, ვერცა გარეგანი მწუხარება. გაღელებული თავისუფლებითა და განლაღე-

ბული მთებითა, ეცინოდა ბედსაცა და უბედობასაცა. ქართველთა გამოსწოვეს ტვინი სპარსთა, შეუპოვეს იმპერია რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, შეუპოვეს ბიზანტია და თვით დაშთა შეუპოველად მათთვის, რომელნიცა ჰგონებდენ მათსა შეპოვასა.

მახვსა დაგებულსა მტერთაგან, თვით მტერნი გაებნენ. საბრძე შეიმუსრა და ჩვენ განვერენით, — იტყოდენ და იტყვიან ქართველნი დღედმდე, წერილისა სიტყვასა.

ესრეთი არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესავისა, ძველისა კაცთა ნათესავთა შორის!

CLII

მეფის ძე იულონ აღირებდა თავსა თვისსა მეფედ შემდგომად ძმისა თვისისა გიორგისა. დარეჯან დედოფალი სიტყვითა და საქმითა და წერილითა რუსთა ღენერალთა თანა, მეცადინებდა მისსა დადგინებასა. ამისთვის მისწერა წერილნი ქალაქისა მელიქსა დარჩიას და ოთარ ამილახვარსა და კახეთსა, აღიაროს იგი მეფედ. ამასავე დროსა მოსწერაცა წერილი ბელოტიდამ, სადაცა სადგურებდა იგი, თვით ლაზარევსა. ლაზარევი ფრთხილი ჰყვედრიდა მას წერილითავე და სთხოვა კათოლიკოსსა ანტონის აღუკრძალოს ქართლისა მღვდელთა მოხსენება მისი მეფედ. ამასავე დროსა 9 იანვარსა 1801 წელსა მისწერა წერილნი იულონსა, ვახტანგსა, მირიანსა და ფარნაოზს მოვიდნენ თფილისს და მოისმინონ ბრძანება იმპერატორისა პაველსი დადგინებისა გამო მეფის ძისა დავითისა განმგედ საქართველოჲსა და არა მეფედ. გრამატა ესე მოიტანეს ს. პ.-ბურღით დესპანთა გიორგი ავალიშვილმან და ელიაზარ ფალავანდიშვილმან 8 იანვარსა. 14 იანვარსა წმინდისა ნინოს დღესასწაულის დღესა გამოცხადდა გრამატა ესე თფილისს და სცნესცა ყოველგან. გარნა არა მიიღეს არცა ბიძათა მისთა და არცა დედოფალმან დარეჯან. „როდესაც დაიწერა გრამატა, მაშინ იმპერატორმან პაველმ არ იცოდა გარდაცვალება მეფისა გიორგისაო — იტყოდენ იგინი, — და არცა იყო ცნობილი ჯერეთ ანდერძი განსვენებულისა ირაკლისა. მეფის ძენი იულონი, ვახტანგ, მირიან, ფარნაოზ შეგროვდნენ დუშეთს, აქედამ მივიდნენ მუხრანს და უნებდათ დაეგვირგვინებინათ მეფედ იულონ მცხეთას. ლაზარევმან, რჩევითა თვით მემკვიდრისა დავითისა, წარგზავნა მუნ 250 სოლდათი. ამან დააბრკოლა განზრახვა მათი, ამისთვის წარვიდენ მარტყოფისა გზით კახეთსა და მუნით ბოდბესა. აქედამ მოუწო-

იულონ ერეკლესძე ბატონიშვილი

რუსთა ღენერლისაგან იმპერატორისა უფლებისა ქვეშე მეფესა და მოსწერესცა წერილი, რათა უმეტეს 1000 წლისა ჰყოლიათ მეფე ბაგრატიონთა გვარისა, რომელთაცა მათთან ერთად იყვნენ ქვეყანისათვის თავდადებულნი, წმინდანი და მოწამენი და რათა არ მოელისთ მათ მეფე.

განმგემან მეფობისა, მიწერითა კათოლიკოსისადმი, ჩამოართვა მღვდელმთავრობა ამბროსი ნეკრესელსა და სტუქსა ნიკოლოზ ხარჭაშნელი. მასვე დროსა შეიპყრეს და მისცეს პყრობილებას ოთარ ამილახვარი, ვითარცა მოურავი გორისა და ივანე ამილახვარი, არქიმანდრიტი, ბარსანოფე ავალიშვილი, ნათლისმცემლისა უდაბნოსა შინა მყოფი, ელევთერი მღვდელი, იოსებ ჭავჭავაძე და თვით დავით ალექსიშვილი, რექტორი თელავის სემინარიისა.

დესპანნი გიორგი ავალიშვილი და ელეაზარ ფალავანდიშვილი წარსრულნი თფილისით 20 იანვარსა 1801 წელსა და 12 სხვანი, — დაშთენ ქართველთა საუბრად და გამოცანად: „რაჲ უნდა შეუდგეს ქვეყანისა მდგომარეობასაო?“ — მოლოდინი კახელთა და ქართლისა ითხოვდა მეფედ იულონსა ანდერძისამებრ ირაკლისა; განმგე დავით თვისდა სამეფოჲსა რეგალიასა, ვითარცა ადრევე აღსარებული მემკვიდრედ თვით რუსეთისაგან და თვით კნორრინგი და ლაზარევი [ცდილობდენ] დამშვიდებისათვის ქვეყანისა, გუბერნიისა განხსნასა, ყოველადობით რუსეთჲსა მმართველობისა დადგინებასა და სამეფოჲსა სახლისა წევრთა კაცთა და ქალთა გარდაყვანასა რუსეთად, — დაწყნარებისათვის და განქარვებისათვისვე ამბოხისა ქართველთაგან.

ჰაზრი ესე დაბოლოებითი იყო რუსთა განმგეთა აქა და მასვე ჰაზრსა შეუდგნენ მრავალნიცა ქართველთაგანნი, მტერნი მეფისა სახლისა.

CLIII

ესრეთსა მდგომარეობასა შინა მოსული ქვეყანა ელოდა პატრონსა. მეფის ძენი იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე, იოანე და ბაგრატ დაიყვნენ: თვითოეულსა ამათგანსა ჰყვანდნენ ოც-ოცნი დიდთა კაცთაგანნი მხლებელნი. ერთი წილი, განსრულთა ერთობისაგან, ერიდებოდა მეორესა; ერთი მეორესა ეწინააღმდეგებოდა; ერთი მეორესა ეცინოდა. ვიეთთამე უნებდათ მეფედ იულონ, ვიეთთამე დავით, ვიეთთამე სურდათ აღსრულებულიყო მეფისა ირაკლისა უგვანი ანდერძი დასაღუპავად ქვეყანისა შედგენილი. ანდერძითა ამით უნდა მისცემოდა მეფობა პირველად იულონსა, მერეთ ვახტანგსა, მერეთ

შირიანსა, მერეთ ალექსანდრეს, მერეთ უკანასკნელსა შვილსა ირაკლისსა ფარნაოზს. — შემდეგ ამათსა უნდა გარდასულიყო გვირგვინი შეფობისა მეფისა გიორგისა შვილებზედ ე. ი. პირველად უნდა მისცემოდა მეფობა დავითის, მერეთ იოანეს, მერეთ ბაგრატს, მერეთ თეიმურაზს, მერეთ მიხაილს და სხვათა. შემდეგ ამათსა მეფობა უნდა გარდასრულიყო იულონისა შვილზედ, მერეთ ვახტანგისა შვილზედ და სხვა.

იტყვიან, ანდერძი ესე შეადგინა ოსეფა ყორღანაშვილმანო და იყო თანახმა თვით დედოფალიცაო. დარეჯანს დედოფალსა მხოლოდ სურდა დასამშვიდებელად შფოთისა თვით ეშეფა, ვითარცა იყო ოდესმე რუსეთსა იმპერატრიცა ეკატირინა მეორე.

მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი. ამა ანდერძითა ირღვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან. ესე იყო მიზეზი, რომელმანცა დაბადა შფოთი ძმათა შორის და გადაუყენა ერთგულობიდამ მრავალნი. ესრეთ, რომელ დიდისა მეცადინებითა მეფის ძემან თეიმურაზ დაუახლოვა მემკვიდრესა დავითს სიმამრი თვისი სარდალი ოთარ ამილახვრიშვილი, ესე ოთარ, ადრითვე ემდუროდა მეფის ძესა დავითს, რომელიცა იყო დანიშნული მისსა ქალზედ და არღა დაიწერა მასზედ ჯვარი (იხ. LXXXII). გარნა შემდეგ მისცა საპყრობილესაცა დროებით, სხვათა თანა, და ესრე იქმნა მიზეზად, რომელ მეფის ძე თეიმურაზ, სიძე ოთარისა, გაიქცა სპარსეთსა და ეახლა ყეენსა.

CLIV

უთანხმოობისა დროთა ამათ ქალაქი თფილისი ღელავდა. გაჩნდნენ მეამბოხენი, რომელთაცა ზოგთა სურდათ რუსნი, ზოგთა უნებდათ მემკვიდრე დავით, ზოგთა არცა იულონ და არცა სხვანი, ზოგთა უნებდათ იქმნეს აღრჩევით მეფე მიუხედველად პირმშოობისა; და ვიეთთამე დასაწყნარებელად შფოთისა სურდათ მეფედ დედოფალი დარეჯან.

იოანე სარდალი, განღვიძებული სხვათაგან და დამშვიდებული მეფის ძის იოანესაგან და ალექსანდრე მაყაშვილისაგან, მივიდა და წარსდგა დავით მემკვიდრესთან და მოახსენა: „ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბძანე და გამოუცხადებ როუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მე-


ფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისევე ვიმეფოთ". მეფის ძემან დავით, მიუთხრა ესე ამბავი ღენერალსა ლაზარევსა და კოვალენსკის. მათ დაიბარეს იოანე სარდალი და გამოჰკითხეს ესე. სარდალმან აღიარა, არა ბრალი თვისი, არამედ სიტყვა თვისი. „მე მოვახსენეო, — იტყოდა სარდალი, — დავითს ჩემი რჩევა დასაცველად მეფობისა, ნიშნად ერთგულობისა, ვითარცა ფიცითა შეკრული მეფეთათვის ქართველთა. რადგანაც არა სურს მას დავითის მეფობა, როდესაც მივსცემ ფიცსა რუსეთისა იმპერატორსა, ვექმნები ერთგული და მოკვდები მისთვის ერთგულობაშიო". — ესე იკმავეს ღენერალთა რუსეთისა. სარდალი იოანე ამიერიდგან უკუ-უდგა მემკვიდრესა დავითს. არღა გაერია არა რასამე საქმეში, არცა შევიდა იმა შეთქმულობაში, რომელიცა ჰქმნეს თავადმან დუცალ ბარათაშვილმან და სხვათა. დასარღვეველად ესრეთისა შეთქმულობისა და სხვათა შფოთთა დასაწყნარებელად განეფინა საქართველოს მიწერილი ყველგან შემდეგი ეპისტოლე.

„ბატონნო საქართველოს თავადნო და აზნაურნო! თქვენი მუჯალობა გვებოძა და მართებული ესე იყო, რადგან მეფე გიორგი მიიცვალა, აჭ შემოყრილიყავით და გეტირნათ, წაგეხურათ და მერე დიდნი დიდად შეყრილიყავით და მცირენი მცირედ და საზოგადო ქვეყნისა კეთილმდგმოობა გამოგერჩიათ. ამ ჟამად ზოგიერთნი სხვანი და როსტომ ბეგთაბეგიშვილი, ელიზბარ თუმანიშვილი და დუცალ [70] შეგიყრიათ და რესპუბლიკის თავად გაგიკეთებიათ. აბა სად მივიდეთ. ეს თქვენის კეთილშობილებისათვის დიდად აუგია და სათაკილო. თუმცაღა ჩვენ ქართველთა მეფე გვყოლია, მაგრამ ოდესმე საბერძნეთის ყმანი ვყოფილვართ და ოდესმე სპარსეთისა, და ახლა მეფე თეიმურაზმან, მეფე ერეკლემ და მეფე გიორგიმ ეს ქვეყანა რუსეთის ხელმწიფეს მისცა. დაგიჟინიათ * მეფის ერეკლეს ანდერძზედ დავდგეთო. მეფე ერეკლემ დასტოვა თავისის ანდერძის დამარღვეველი ანდერძი, რომელიც მეფეს გიორგის მისცა, ის ანდერძი გარსევანმა წაიღო იმპერატორთან. მოიცადეთ, ნუ აჩქარებულხართ, ნურც თქვენს სოფლებს ახდენთ, და ნურც ჩვენი ბატონიშვილების ოჯახს აქცევთ და სისხლს უგდებთ ერთი ერთმანეთში. რაც იმპერატორის ნება და ბრძანება მოვა, თქვენც იმაზედ დადეგით. და ჩვენც იმის პირდაპირი, ხომ იცით, არავის შეუძლიან. და მერმე ერთი რამ

[70] როსტომ ბეგთაბეგიშვილი გარდაიცვალა 1836 წელსა. ელიზბარ თუმანიშვილი . . . წელსა და დუცალ იყო თავადი იოანე ბარათოვი, ზედ დამატებით დუცალიშვილი, ესე გარდაიცვალა 1810 წელსა.

* ხელნაწ. „დაგინიჟიათ". რ ე დ.

რომ გარდამაელობა ექმნათ და ძალით გვაქმნევინონ, სირცხვილი იქმნება საზოგადოობისათვის, ჩვენი რჩევა ეს არის და ახლა ნება თქვენია. იანვრის ია ქრ. უპთ. [71].



[71] ნამდვილი ესე, რომელიცა მე მაქვს არის ბეჭედ-სმულნი. — ზოგიერთი ძნელი გასარჩევია და რავდენიმე მხოლოდ წარვიკითხე. გვამნი ესენი არიან:

მეფის ძე იოანე.
მონა ღვთისა გაბრიელ.
დიმიტრი (თუმანიშვილი მდივანი).
ალექსანდრე (მაყაშვილი, ეშიკაღაბაში მეფისა).
სოლომონ მეითარი (თარხნიშვილი).
ზაალ მორდალი (ბარათაშვილი, მოკლული ყმათაგან თვისთა 1810 წელსა),
ვახტანგ (ორბელიანი, ქმარი მეფის ასულის თეკლასი).
დავით (რექტორი ალექსიშვილი).
ნიკოლოზ.
ფარსადან.
დავით (მიმბაში, თარხნიშვილი).

მეფისავე გიორგისა დროთა ერისკაცობაში და მერეთ შესული სამღვდელოსა წოდებაში ეგნატი იოსელიანი, იყო მიწერ-მოწერაში დავით სომეხთა კათოლიკოსთან. ერთმან ესე ვითართა წერილთაგანმან მოაწივა ჩემდა და ამისთვის დაუკარგველობისათვის დროთა წარსულთა მოთხრობისა, დავურთებ აქა მას მიწერილსა სომხურად, შისგანვე თარგმნილსა ქართულად [72]:

„უწმინდესო მეუფეო

უმაკურთხეველესო უფალო!

ვინაიდგან არა არს ხელმწიფება, გარნა ღვთისაგან, ამისთვის ღვთისა მიერ განფესულ-განძილურმან მპყრობელმან ხელმწიფეთა შორის იმპერატორმან და იმპერატორთა შორის ხელმწიფემან პავლემ პირველმან აღგაგო და აგანთო შენ უწმინდესი ეგე ვინმე სანთლად ჭეშმარიტად, რომელიცა დაგადგინა არა ხვიმირსა ქვეშე დაფარულად, არამედ სასანთლესა ზედა განბრწყინვალებულად, რათა ნათობდე ყოველთა, და მით პირსა ყოვლისა ქვეყანისასა ბრწყინავდე და უსაკუთრესად ნათესავსა ზედა ჰაოსთასა, რომელთაცა საზოგადოდ მამად და მწყემსად იზედ იწოდე შენ. ამიერიდგან ხარ შენ, ვითარცა ქალაქი მთასა ზედა დაშენებული იმპერატორისაგან, რომლისაცა ნათელსა არა ძალუძს დაეფაროს ვინმე: ესე ყოველი იქმნა ხელმწიფებითა სულისა წმინდისა ღვთისათა, რომელმანცა სცნო გონებასა იმპერატორისასა უხილავად ვიდრემე მავალისა ფრთისა კალმითა; და

---

[72] ესე დავით იყო სოფლისა ენაგეთიდამ, აწლოს თფილისისა, მცნობი მეფისა გიორგისა და მეგობარი მეფის ძისა დავითისა. ოდეს სომეხთა კათოლიკოსი სოსებ არღუთაშვილი მოსრული რუსეთით მოვიდა თფილისს და მოკვდაცა აქა 11 მარტსა 1801 წელსა, მაშინ მეცადინობითა მეფის ძისა დავითისა და მაჰმადხან ერევნისა ხანისა დამტკიცდა კათოლიკოსად სომეხთა დავით ენაგეთელი. ხოლო 1804 განაგდეს სომეხთა და დასვეს ბრძანებითა ალექსანდრე იმპერატორისა დანიილ სტამბოლელი.

[შენიშვნა: პ. იოსელიანი შეცდომით ასაბელებს ერევნის ხანად მაჰმადხანს (?). იგულისხმება ჯავათაანი, რომელიც მოკლეს 1804 წ. 3 იანვარს. რედ.].

ვინადგან იცის მოწყალებამან ღვთაებრივმან, კვალად შემდგომად რისხვისა შეიწყალებს შერისხულთა. ამისთვის ჩვენ შერისხულთა მტერთაგან სიყმილითა, სრვითა და პატრონთა მამათა ჩვენთა ხელმწიფეთა მეფეთა გარდაცვალებათაგან აღგვეღგინა უხელმწიფესი და უთვითმპყრობელესი იმპერატორი, რომელმანცა შეგვიწყალა და განგვაშვენა მემკვიდრისა აღდგინებითა და თქვენ უწმინდესისა აქა მონიჭებითა, რათა აკურთხო შენ მემკვიდრე ჩვენი იერიელთა გვარისა, და მყოფნი იერიასა შინა მონანი მისნი და მეცა უმონაესი მონა თქვენისა უწმინდესობისა.

ეგნატი იოსელიანი.

20 აპრილსა 1801 წელსა.

თფილისით“.

CLVI

დღიდგან გარდაცვალებისა მეფისა არა დასცხრებოდა ღელვა აღრეულობისა ქ. თფილისს. არცა დავით მემკვიდრე, არცა შვილნი სხვანი მეფისა და არცა რუსთა ჯარისა მბრძანებელნი არა აბოლოებდენ მეფისა გვამისა დასაფლავებისა საქმესა. ლაზარევსა მომლოდინესა ბრძანებისა კნორრინგიდამ და შიშმან ძმათაგან მეფისა, რომელნიცა აგროვებდენ ჯართა დასაცემად თფილისზედ, ვერ გააბედვინა მიცემა ჯარისა, რათა წარელოთ გვამი უდაბნოდ, მოშორებულისა თფილისიდამ 60 ვერსტითა. ესე იყო მიზეზი რომელ 20 ფებერვლამდე 1801 წლისა ესვენა გვამი მეფისა სიონისა ეკკლესიასა და სხეულისა ხრწნილებასა იძაგრებდენ და ეშველებოდენ კუბოსა შინა ყინულთა შთადებითა. თავადნი და აზნაურნი ქართლისა და კახეთისა, მომავალნი თფილისს, მიმოვიდოდნენ კუბოდ მისსა, სტიროდენ, ემთხვევოდენ ხელთა მისთა და ესალმებოდენ საუკუნოდ. უკანასკნელ, გასულმან მოთმინებიდამ მეფის ძემან იოანე, დაუდევნელობისაგამო * მეფის ძისა და მემკვიდრისა დავითისა, თვით იზრუნვა და დაასკვნეს უკანასკნელი ანდერძის აგება 20 ფებერვალსა და მასვე დღესა წასვენება გვამისა მკხეთას. შემდგომად წირვისა და ანდერძისა გამოასვენეს ეკკლესიით კუბო მეფისა. კუბოსა ამას, რომელიცა ეპყრათ თავადთა ურჩეულებთა, უძღოდენ წინა ჯერეთ თავადნი და

* ხელნაწ. „დაუდევნელისა გამო“. რედ.

აზნაურნი, მათ შეუდგნენ ეკკლესიისა მსახურნი ხატებითა და სანთლებითა; მერეთ ორდენნი: ალექსანდრე ნეველისა და წმინდისა ანდრია პირველ წოდებულისა, ხმალი, სკიპტრა, გვირგვინი, ბაირაღი. მარჯვნივ იყო კათოლიკოსი ანტონი სამღვდელოთი და მარცხნივ იოსებ კათოლიკოსი სომეხთა თვისითა სამღვდელოთი. ბალდახინისა ქვეშე გარემო კუბოჲსა მიუძღოდენ მეფის ძე და მემკვიდრე დავით, იოანე და ბაგრატ. დიღმის კარითა გაასვენეს მიცვალებული და გარე ქალაქისა დასდვეს გვამი, სთქვეს პანაშვიდი და მაშინ დაცალეს 6 ბატალიონმან თოფები და 3 პოლკის ზარბაზანთა სამ-გზის ჰქმნეს სროლა. მასვე დროსა ციხის მეზარბაზნეთა ისროლეს 31 სროლა. ქაშოეთისა წინ გამოეთხოვა სამეფო ქალაქი თფილისი მეფესა თვისსა. დადუმდა ხმა საგლოველი ბარაბანთა და მუსიკისა და ხმა ზარბაზანთა. ჯარი რუსისა უკუ იქცა ქალაქად და გვამი მეფისა წარიღეს მცხეთას. ესე იყო დღე ოთხშაბათი, მესამისა, დიდმარხვისა კვირისა. მეორესა დღესა, შემდგომად ლიტურღიისა, კათოლიკოსმან ანტონი და მღვდელმთავართა დაასაფლავეს მარცხნივ აღსავალისა კარისა. მუნ იყვნენ და დაესწრნენ მეფის ძენი იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ და ილია, თავადნი და აზნაურნი და მოხელენი მრავლად. დედოფალი და ქალნი, ქართველთა წესითა, დაშთენ თფილისსა, ვითარცა მგლოვარენი და მხოლოდ საღამოსა დროსა წაბრძანდნენ.

მეფე გარდაიცვალა 56 წლისა შობიდგან. განმგემან საქართველოჲსა მარკის პაულუჩი * 1812 წელსა უქმნა ტაგრუცი და დაასდვა თითბრისა ფიცარზედ რუსული ზედა-წარწერა:

Здесь покоится царь Георгий, родившийся в 1750 году, который взошел на престол Грузинской в 1798 году, и который из любви к благу своих подданных, желая на всегда обезпечить их благосостояние, 1799 году уступил Грузию Российской Империи и скончался 1800 году. Дабы предать потомству память о последнем Грузинском Царе, именем Его Императорскаго Величества Александра, главнокомандующий в Грузии Маркиз Паулуччи ** соорудил ему сей памятник в 1812 году".

მოხსენებული აქა წელიწადი ცხოვრებისა არის ყოვლად შეცთომილი.

---

* ხელნაწ. „პავლუჩჩი".

** ხელნაწ. Павлуччи". რ ე დ.

CLVII

დედოფალმან მარიამ და მგლოვარეთა შვილთა მისთა გარდაიხადეს ორმოცი. კათოლიკოსმან და მღვდელმთავართა და ერთგულთა გარდაცვალებულისა მეფისა კვალად დაურთეს დედოფლისა ცრემლთა ცრემლნი თვისნი. მცხეთას მიბრძანდენ დედოფალი და შვილნი, გარდა მეფის ძისა დავითისა. განმგედ ვალდებულებისა ამის, წესისამებრ ეკკლესიისა, იყო მეფის ძე იოანე. მარჯუე საქმეთა შინა, მხოლოდ ესე მეფის ძე, შეექმნა ქვეყანასა და სახლეულობასა თვისსა, მისაყრდნობელად. მორიდებაცა დიდი აქუნდათ ყოველთავე ამისი. სარდალი იოანე ორბელიანი ექმნა მორჩილი და იახლაცა თვისთანა მცხეთას სახლეულობით. ქალაქისა მცხოვრებნი ურმებითა, ცხენებითა და ქვეითითა მივიდნენ მრავლად მცხეთასა და დაესწრნენ წირვისა და ორმოცისა გარდახდასა. მოიგლიჯნენ სოფლებიდამ ქალნი და კაცნი და სტიროდენ მეფესა და ობლობასა. ოთხი ათასი და მეტი ქალი და კაცი ისტუმრა ტრაპეზითა მეფის ძემან იოანე. მასპინძელნი სანოვაგითა უხვად იყვნენ თვით კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი იუსტინე, სტეფანე რუსთველ ეპისკოპოსი და არსენი თფილელი. იყო 21 ფებერვლისა და დღე თფილი, უტალახო და მშვიდი. წანამძღვარმან ჯვარის მონასტრისა ტრიფილე წირვისა შემდგომად სთქვა ქადაგებითი სიტყვა, რომელსა შინა გამოხატა ღირსება მეფისა გიორგისა, ვითარცა ნამდვილისა ქრისტიანისა, წმინდისა ჰაზრითა და გონებითა, წმინდისა ცხოვრებითა განკრძალულითა და წმინდისავე ქრისტიანებრითა აღსასრულითა.

ტრაპეზისა შემდგომად წარვიდენ თვისდა მცხოვრებნი და სამეფო სახლი და დედოფალი წამობრძანდნენ თფილისად მეორესა ღღესა, შემდგომად ლიტურღიისავე აღსრულებისა დილით ზედმობმით ცისკრისა.

CLVIII

მეფის ძე და მემკვიდრე დავით, ვითარცა რეგენტი ანუ განმგე საქართველოჲსა ელოდდა წერილთა თვისთა მიწერილთა იმპერატორისადმი პავლესა, პასუხთა. შესული, რეცა სრულსა განმგეობითსა ძალსა, იქმოდა სამართალსა, მიიღებდა მოჩივართა და უძღვიდა სამეფოსა. განრისხებულმან ვიეთთამე გვამთა ზედა ვითამცა ურჩთა,

ბრძანა და მისცა საპყრობილესა სარდალი ოთარ ამილახვარი და სხვანიცა. ამათ შორის იყო თვით უუგონიერესი სოლომონ ლიონიძე. ესე თვით საპყრობილესაცა შინა არა დასცხრებოდა სიტყვითა და თქმითა გლოვითითა: „დავითმან დალუპა ოჯახი მეფეთა, გამოსპრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი“. დასადუმებელად მწარედ მოუბარისა ენისა ამის ურჩიეს მემკვიდრესა დავითს, მისცეს მას შემთხვევა ლტოლვისა საპყრობილედამ. მაშინ მიუჩინეს იდუმალ კაცნი და აღუთქვეს გააპარონ იგი იმერეთსა. ეთანხმა სოლომონ ლიონიძე, გამოვიდა. იდუმალ ციხიდამ და წარვიდა ქუთაისს და შეეხიზნა იმერეთისა მეფესა სოლომონს.

ვუწოდებ მას, პატიოსნებისა გამო მაღალისა დროთა ამათ, ფაბრიციოდ ქართველთა; და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიისა კატონად.

CLIX

შეერთების რესკრიპტი

14 ფებერვალსა მოვიდა რუსეთით ორი რესკრიპტი იმპერატორისა პავლესი: ერთი ქართველთა სახელზედ და ერთი სახელსა ზედა დავით მემკვიდრისა, ესრეთ ქართულად თარგმნილი მასვე დროსა: [73]

რესკრიპტი 1.

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ პავლე პირველი იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა როსიისა და სხვათა.

ადრიდ დროთაგან საქართველოჲსა სამეფო შეჰირვებულიყო უცხოთესლთაგან, რომელთაცა მეზობლობით განელიათ ძალი დაუცხრომელითა ბრძოლითა საკუთრითა დამცველობისა თავისა თვისისათა და განმხილველნი განულტოლველობისა შედგომრლებაჲ აქვნდათ უბედურად. ამასთანავე შეერთდა უთანხმოება სახლსა შინა სამეფოსა

---

[73] ორივე ესე რესკრიპტი მაქვს მე მამისავე ჩემისა ხელითა ნაწერი. რუსული ვერ ვპოვე. ვინ სთარგმნა ქართულად, არ ვიცი. ამისთვის ისევე დავსწერე, როგორც იყო დაწერილი და არა შევეხე გასწორებასა.

[შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მონოგრაფიის ხელნაწერში რესკრიპტი სხვისი ხელით არის დაწერილი, რომელიც შემდეგ პ. იოსელიანს გაუსწორებია. რ ე დ.].

სამუქაროჲ სრულ ყოფად დაცემისა სამეფოჲსა და ამისდა იშვა ურთიერთარს შორის ბრძოლაჲ. მეფემან გიორგი ირაკლის ძემან იხილა მოახლოვება დასასრული დღისა თვისისა. ჩინებულნი გვამნი და თჳთერი საქართველოჲსა მოლტოლვილი იქმნეს საფარველსი ქვეშე ჩვენსა და არა რაჲმე განიხილეს განრინებისათვის თვისისა დაუსრულებელისაგან წარწყმედისა და დამორჩილებისადმი მტერთა თვისთა, ითხოვეს წარმოგზავნილთა მიერ ელჩთა სხვისა ძალისა მქონებელთაგან უსაშვალოდ მონებაჲ იმპერატორისა ყოვლისა რუსეთისა ტახტისა. ამისთვის ყურად-ვიღებით თხოვა მათი მებრ-თან-შობილისა მოწყალებისა ჩვენისა ერთმორწმუნეთა ერთა ზედა. და სამარადისოთა ზრუნვითა სარგებელისათვის საქართველოსა ერთასა, განვსაზრეთ ჩვენ აღსრულება სურვილისა მეფისა გიორგისა ირაკლისა ძისა და ერისათვისისა. და ამისთვს ვბრძანეთ რაოდენ დაპყრობისათვის შინაურისა დაწუნარებისა, ეგოდენ გარე მოზღუდვისათვის მისივე გარეგანთაგან დაცემათა და ვუბრძანეთ შეყვანება მხედრობისა ჩვენისა საპყროპელოსა საქართველოსა და ამით გამოუცხადებთ იმპერატორულისა ჩვენისა სიტყვითა ვითარმედ შეერთებისაზე სამეფოსა ქართლოსისა საუკუნოებითითა დროჲთა, მპყრობელობასა ქვეშე ჩვენსა. არა თუ ოდეს დატყვევებულ იქმნებიან (საყვარელ სიმართლესა შინა დაცვისა ჩვენისასა კანონნი მათნი) საყვარელ სარწმუნოჲთა ახალნი ყმანი ჩვენნი სამეფო ქართლოსი და სამფლობელონი მისნი; არამედ წარმატებულება და საკუთრად სჯულიერი თვითოეული შესაბამობა, რომელისაგანცა თვითოეულისა დროსა დანიშნულება შედგომილება ერისა სამფლობელოსაცა აქვს სარგებლობად ყოველითა მით კანონითა, რომლითაცა რუსეთისა ძველნი ყმანი წუალობითა ჩვენითა წინაპართათა და ჩვენითა დატკბებოდნენ თავისუფლებითა და წარმატებულებით საფარველსა ქვე'შე ჩვენსა. სხვებრ ვეგებით რწმუნებულნი, ვითარმედ ესე ახალნი ყმანი ჩვენნი და შემდგომნი ძენი მათნი დაცულ იქმნებიან შეურყეველითა დარწმუნებითა ჩვენთა და მოსაყდრეთა ჩვენთაგან და ვიმედოვნებთ, რომელ იქმნებიან მცდელ ერთგულებისა ჩვენისა და სარგებლობისა იმპერიისა ჩვენისა ყოვლისა უმაღლესისა განზრახვითა და მონარჩულისა კეთილმნებებელობისა ჩვენისა. გამოცხადდა სანკტპეტერბურღსა შინა წელსა 1801 იანვრის 18 დღესა. წელსა მეფობისა ჩვენისა 5 და დიდისა მაგისტრობისა ჩვენისა წელსა 3.

პაველ".

რესკრიპტი 2.

„უფალო ღენერალ-ლეიტენანტო, მეფის ძეო დავით! წერილნი თქვენნი ოცდა ოთხით და ოცდა რვით დეკემბრით ჩვენგან მიღებულ იქმნეს. თანა აძს უწყებად უგანათლებულესობასა თქვენსა თხოვა ნეტარხსენებულისა მამისა თქვენისა, დიდებულთა, და ერთა საქართველოსათა ჩვენდამი გამოცხადებულისა მიღებისათვის სამეფოსა საქართველოსასა საუკუნოობითსა მონებასა შინა იმპერიისა ჩვენისასა, რომლისა თვისცა გამოცხადებულ იქმნების ნება ჩვენი მდებარითა ამას უკვე წერილსა შინა გამოცხადებულითა მანიფესტითა, რომელნიცა თვის (sic) ეყვიან პატივცემულსა გვამსა თქვენსა, წარმოგზავნილითა აქადგან სრულისა ძალისა მქონებათა საქართველოსა დესპანითა ძალ-ედვათ უწყებად თქვენდა წინადადებულთათვის ჩვენთა, რომელთაცა შინა ჰპოებთ თქვენ საკუთარსა მტკიცედ დამტკიცებასა მზრუნველობისა ჩვენისასა თქვენდამი. ვით თქვენთვის, ეგრეთვე საზოგადოდ კეთილობისათვის საქართველოჲსა განკუთვნითა მოწყალებითა, თქვენდამი კეთილმნებებელობითა.

პავლე“.

რესკრიპტი პავლესი წარიკითხეს სიონისა ეკკლესიასა შინა. შემდგომად წირვისა აღსრულებულისა არსენი თფილელისაგან, კათოლიკოსმან ანტონი აღასრულა პარაკლისი. მუნ დაესწრნენ მეფის ძენი: დავით, იოანე, ბაგრატ, მიხაილ და სარდალნი სამეფონი და მოხელენი. მასვე დროსა იმპერატორმან მოსწერა ღენერალსა კნორრინგსა, რათა სიმტკიცისათვის ერთგულობისა, წარგზავნოს ს. პ. ბ. ქართველთაგან დეპუტატნი, დასაფიცებელად მათ[ი]სა მუნ.

CLX

მეფის ძე დავით, დაშთომილი განმგედ საქართველოჲსა, ვითარცა მოადგილე იმპერატორისა, განაგრძელებდა მოქმედებასა თვისსა დაწყობისათვის ქვეყანისა. მეფის ძენი [74] იოანე, ბაგრატ და მიხაილ

---

[74] წერილი მეფის ძისა მიხაილისა ს. პ.-ბურღით მამაჩემთან, რომელიცა იყო მასწავლებელი მისი და ძმისა მისისა მეფის ძის ილიასი:

წარვიდნენ რუსეთად და გზაზედ გიორგიევსკის სცნეს გარდაცვალება იმპერატორისა პაველესი 11 მარტსა 1801 წელსა. მოვიდა ამბავი ესე თფილისსა და შემოვიდაცა თფილისს დასაწყობელად საქმეთა და დასაცველად სამეფოჲსა საქართველოჲსა ღენერალი კარლე კნორრინგი 9 აპრილს, 1802 წელსა. ამან იხილა დიდი და დაუბოლოებელი აღრეულობა ქართველთა და მოახსენა იმპერატორს ალექსანდრე პირველსა მდგომარეობა ქვეყნისა. ალექსანდრე, მზრუნველი ქვეყანისათვის, ჰგონებდა რუსთა ჯარისა შემოსვლითა შფოთთა დაცხრომასა. კნორრინგმა კვალად მოახსენა დაუცხრომელობა ამბოხთა, უსურველობა ქართველთაგან თვისთა მეფის ძეთა და წადილი დიდთა და მცირედთა, რათა განცხადდეს საქართველოსა შინა ყოელადი მმართველობა რუსეთისა. რუსთა დაადგინეს დავით და განხსნეს მმართველობა დროებითი, სადაცა ისხდნენ ღენერალ-მაიორი ლაზარევი და თავადნი ზაალ ბარათოვი, იოანე ჩოლაყაევი, სულხან მდივანი თუმანოვი და ეგნატი მდივანი თუმანოვი.

მაშინ იმპერატორმან ალექსანდრემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაცა საუკუნოდ შეერთდა საქართუელო რუსთა იმპერიასა. მანიფესტი ესე მაშინვე ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდაცა. აჰა თვით ნამდვილი რუსულად და ქართულადაცა თარგმნილი:

„უფალო პროთოდიაკონო ეგნატი!

მრავალი მოკიოხვა მოგხსენდესთ. ჩვენ მშვიდობით გახლავართ. შენს ფილონს დიმიტრი თუმანოვი მოგიტანს. ესე მარტივი წიგნი ანუ პროსტოი არ გეწყინოს. თუ მეგობრად არ გრაცხდე, ასე არ მოგწერდი.

თქვენი მეგობარი მეფის ძე მ ი ხ ა ი ლ ი“.

$1806\frac{9}{5}$

წერილსა ამას მოხსენებული თუმანიშვილი არის ძე მდივნისა იოსებისა, მოლეკსე და მწერალი. გარდაიცვალა თფილისს 1821 წელსა. თვით მამაჩემი გარდაიცვალა 77 წლისა 22 ივლისს 1844 წელსა.

Божиею Милостию Мы

Александр первый

Император и Самодержец

Всероссийский

и прочая, и прочая, и прочая.

Объявляем всем обитателям царства Грузинскаго, кому о том ведать надлежит.

Покровительство и верховная власть Российской Империи над царством Грузинским всегда налагали на монархов Российских и долг защиты. В 1796 году, против сильнаго нападения к вам Аги-Мегмед Хана, в Бозе почившая Великая Государыня Императрица Екатерина Алексиевна послала часть войск своих. Столь успешное тогда не токмо спасение царства Грузинскаго, но и счастливое покорение всех областей и народов от берегов Каспийскаго моря до рек Куры и Аракса, ограждали вас от всяких опасностей; оставалось токмо внутренним благоучреждением благоденствие ваше утвердить на веки. Но внезапное и скоропостиж-

წყალობითა ღვთისათა ჩვენ

ალექსანდრე პირველი

იმპერატორი და თვითმპყრობელი

ყოვლისა რუსეთისა

და სხვათა. და სხვათა, და სხვათა.

განუცხადებთ ყოველთა საქართველოჲსა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის.

მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა საბეფოსა ზედა ქართველთასა, სდებენ მარადის ერთ მთავართა ზედა როსიელთასა, ვალსაცა ხელის აპყრობისასა. ჩღვე წელსა პირისპირ ძლიერად დაცემისა თქვენზედა ალა-მაჰმად-ხანისა ღვთისადმი განსვენებულმან დიდმან ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატირინა ალექსიევნამ წარგზავნა ნაწილი მხედრობათა თვისთა. ესე ოდენი წარმართებაჲ, მაშინ არა თუ ოდენ განარინებდა საქართველოჲსა სამეფოსა, არამედ ბედნიერებითი დაპყრობა ყოველთა სამფლობელოთა და ერთა კიდურსა ზედა კასპიის ზღვისასა მდებარეთა ვიდრე მტკვრად და არეზამდე, შეგზღუდვიდენ თქვენ ყოველთა საშიშოთა გამო; დაშთებოდა ოდენ შინაგანითა კეთილ დაწესებითა დამყარება კეთილდღეობისა თქვე-

ное отступление войск Российских из Персии, Армении и из пределов ваших, испровергли справедливое ожидание ваше. Все потом претерпенныя вами бедствия, — нашествие неверных и иноплеменных народов, раззорение городов и селений, порабощение и увлечение в плен отцов, матерей, жен и детей ваших, наконец раздор царской фамилии, и разделение народа между разными искателями царскаго достоинства влекли вас в междоусобныя брани. Окружающие вас хищные народы готовы были напасть на Царство ваше и ненаказанно разтерзать его остатки. Соединением всех сих зол не токмо народ, но даже и имя народа Грузинскаго, храбростью прежде столь славнаго во всей Азии, истребилось бы от лица земли. Стоя в бездне сей, не однократно призывали вы покровительство Российское. Вступление войск Наших и поражение Омар-Хана Аварскаго приостановили гибель вашу, устрашив всех хищников, наполняющих горы Кавказския и тех, кои раздирают область Персии и Великой Армении; затихли крамолы по среде вас, и все вы единодушно и торжественно воззвали власть Российскую управлять вами

ნისა საუკუნოდ. გარნა მეყვსეულად მსწრაფლ მოწევნითმან გამოსვლამან რუსეთისა მხედრობისამან სპარსეთით, სომხითით და საზღვრით გამო თქვენით აღმოფხვრეს სამართლიანი ლოდინი თქვენი. შემდგომად ყოველმან თქვენ მიერ მოთმენილმან განსაცდელმან მოსვლამან სხვათა სარწმუნოებისა ერთამან, დაქცევამან ქალაქთა და შენობათა, და მონებამან და წარზიდვამან ქალთა, დედათა, ცოლთა და შვილთა თქვენთა; უკანასკნელ უთანხმოებამან მეფისთა სქესთამან და განყოფამან ერთა სხვათა და სხვათა მეფობისა ღირსებისა მეძიებელთა შორის მიგზიდნეს თქვენ ურთიერთისა საბრძოლველად. გარემოსნი თქვენნი წარმტაცნი ერნი იყვნენ მზა და ცემად სამეფოსა ზედა თქვენსა და დაუსჯელად განგლეჯად დაშთომილთა მისთა. შეერთებითა ყოვლისა მის ბოროტებისათა არა თუ ოდენ ერი, არამედ თითქმის სახელითა ქართლოსანთა პირველვე გულოვნობითა დიდებული ყოველსა აზიასა შინა, აღიტხვრებოდაცა პირისაგან ქვეყანისა. მდგომელნი უფსკრულსა ამას შინა არა ერთგზის უწოდდით თქვენ მფარველობასა როსსიისასა. შესვლამან სპათა ჩვენთა და დაწყლვამან ომარხან ავარიისა დააყენეს წარწყმენდა თქვენნი, შეაძრწუნნა ყოველნი წარმტაცნი კავკასიის მთათა აღმავსებელნი, და იგინიცა, რომელნიცა ჰკვრეხენ სამფლობელოსა სპარსეთისა და დიდისა სომხითისასა; დამყუდრდა შორის

непосредственно. Мы, вступя на Всероссийский престол, обрели царство Грузинское присоединенное к России, о чем и Манифест в 18 день Генваря 1801 года издан уже был во всенародное известие.--Вникая в положение ваше, и видя что посредство и присутствие войск Российских в Грузии и доныне одно удерживает пролитие крови нам единозерных и конечную гибель, уготованную вам от хищных и неверных сопредельных вам народов, желали мы испытать еще, нет ли возможности возстановить первое правление под покровительством Нашим и сохранить вас в спокойствии и в безопасности.—Но ближайшия по сему исследования наконец убедили Нас, что разныя части народа Грузинскаго, равно драгоценныя Нам по человечеству, праведно страшатся гонения и мести того, кто из искателей достоинства царскаго мог бы достигнуть его власти, поелику против всех их большая часть в народе столь явно себя обнаружила. Одно сомение и страх сих последствий возродив безпокойства, неминуемо были бы источником междоусобий и кровопролития. Сверх того, бывшее правление даже и в царство царя Ираклия, который

თქვენსა მიმგვირიობა და თქვენ ყოველთაცა ერთსულობითა და დღესასწაულებითა ღაღადჰყავით, რათა ხელმწიფება რუსეთისა გმართებდესთ თქვენ უსაშვალოდ. ჩვენ აღსრულთა ყოვლისა რუსეთისა საყდარსა ზედა ვჰპოეთ სამეფო საქართველოჲსა, შეერთებული რუსეთისადმი, რომლისათვისცა გამოცხადება იყო უკვე იანვრის იზ დღესა წელსა ჩყა, საყოველთაოდ ცნობისა; მიმწთომან მდგომარეობისა თქვენისა, და მხილველმან ვითარმედ ღონიერება და ყოფნა რუსეთისა მხედრობათა საქართველოსა შინა იპყრობს მხოლოდ იგი დათხევასა ჩვენთა ერთსარწმუნოთასა სისხლსა და ნამდვილსა წაწყმედასა განმზადებულსა თქვენთვის სხვათა ნათესავთა მესაზღვრეთა თქვენთა ერთაგან,—და ვისურვეთ ჩვენ გამოცდა, ვალად არს შეძლება აღდგინებად პირველისა მმართებელობისა მფარველობასა ქვეშე ჩვენსა და მით დაცვად თქვენდა უშიშრებასა და განსვენებასა შინა.—გარნა უახლოესმან გამოძიებამან ამისმან მიგვიზიდნეს ჩვენ, ვითარმედ პირად პირადი ნაწილი საქართველოს ერისა, თანასწორ უძვირფასესი ჩვენთვის კაცობრიობისა ძლით, იშიშვის სამართლად დევნულებისა და ნაცვალგებისა მის, რომელიცა მეძიებელი მეფობისა ღირსებისა შეიძლებდაცა მიწდომასა ხელმწიფებისა მისისასა; ვინაჲდგან პირისპირ ყოველთა მათ უფროსმან ნაწილმან ერთაგან ესოდენ ცხად-ჰყო თავი თვისი; მხო-

духом и достоинством своим соединил все под власть свою, не могло утвердить ни внешней, ни внутренней безопастности; напротив столькратно вовлекало вас в бездну зол, на краю коей и ныне вы стоите и в которую по всем соображениям должны вы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти от падения сего вас не удержит. Сила обстоятельств сих, общее посему чувство ваше и глас Грузинскаго народа преклонили нас не оставить и не предать на жертву бедствия язык единоверный, вручивший жребий свой великодушной защите России. Возбужденная надежда ваша сей раз обманута не будет.—Не для приращения сил, не для корысти, не для распространения пределов и так уже обширнейшей в свете Империи, приемлем Мы на Себя бремя управления Царства Грузинскаго;—единое достоинство, единая честь и человечество налагают на Нас священный долг, вняв молению страждущих, в отвращение их скорбей учредить в Грузии Правление, которое могло бы утвердить правосудие личную и имущественную безопасность, и дать каждому защиту закона. А по сему, избрав нашего ген.-л. Кнорლო მანეკვმან და შიშმან შესადგომელთა ამათ ჰშვა განუსვენებელობა, და უცილებელად იქმნებოდაცა წყაროდ ურთიერთისა შორის სისხლთ მთხეველობისა; გარდა ამისა მმართებლობამანცა მეფობასა შინა მეფის ირაკლისასა, რომელმანცა სულითა და ღირსებითა თვისითა შეაერთა ყოველი ,ხელმწიფებასა ქვეშე თვისსა, ვერ ხელიეწიფა (sic) დამტკიცება ვერცა გარეგანისა და ვერცა შინაგანისა უშიშროებისა. პირისპირ ესოდენ გზის მიგზიდნათ თქვენ ფსკერსა შინა ბოროტებისასა, რომლისა კიდურსა ზედაცა დღეს სდგეხართ თქვენ, და რომელსა შინაცა ყოველთა გამოხატვათამებრ გშვენისთ თქვენ შთაცვივნა, უკეთუ ძლიერი ხელი მართლისა ხელმწიფებისა არა შეგიპყრობსთ თქვენ დაცემისა ამისაგან. ძალმან გარემოებათა ამათ, ზოგად ამის ძლით გრძნობამან თქვენმან, და ხმამან საქართველოჲსა ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ, არა დაუტეოთ და არა მიესცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა ხვედრისა თვისისა დიდ სულისა რუსეთსა საფარველისადმი. განღვიძებული იმედი თქვენი არა იქმნების მოტყუებული ამ გზის. არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათათვის, არა განერცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა. მხოლოდ პატივი და კა-

ринга быть главноуправляющим по среде вас, дали мы ему полныя наставления открыть сие правление особенным от имени Нашего объявлением и привесть в силу и действие предначертанное от Н а с постановление, к исполнению коего приобщая избранных из вас по достоинствам и по общей доверенности, уповаем, что вы вверяясь правлению сему, несомненно, под сению онаго начально спокойствие и безопасность обрящете а потом и благоденствие и изобилие.

Все подати с земли вашей повелели Мы обращать в пользу вашу, и что за содержанием Правления оставаться будет, употреблять на возстановление раззоренных городов и селений. Каждый пребудет при преимуществах состояния своего, при свободном отправлении своей веры и при собственности своей не прикосновенно. Царевичи сохранят уделы свой кроме отсутствующих; а сим годовой доход с уделов их ежегодно производим будет деньгами, где бы они ни обретались, лишь бы сохраняли, долг присяги. Во взаимность сих великодушных попечений Наших о благе всех и каждаго из вас, Мы требуем, чтобы вы для утверждения постоновленной над вами власти дали

ცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღრმთოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჰირვებათა მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაცა ეძლოსცა დამყარება მარლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა სჯულისა. ხოლო ამისათვის გამომრჩეველმან ჩვენისა ღენერალ-ლეიტენანტისა კნორრინგისა, რათა იყოს უპირატეს მმართებელად თქვენ შორის, მივეცით ჩვენ მას სრული მოძღვრება გამოაცხადოს მმართებლობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენითა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხზული განწესებაჲ, რომლისა სრული საყოფელადცა უზიარებთ თქვენ მიერ ღირსებათა და საზოგადოდ ნდობათამებრ გამორჩეულთა. ვსასოებთ, ვითარმედ თქვენ მორწმუნენი მმართებლობისა ამის უეჭველად სიგრილისა ქვეშე მის დასაბამსავე მოიპოვებთ განსვენებასა და უშიშროებასა და შემდგომად კეთილდღეობასა და უხვებასა.

ყოველნი ხარკნი თქვენისა ქვეყანისანი, ეუბრძანებთ ჩვენ, რათა მიაქციონ სასარგებლოდ თქვენდა და რაჲცა სახარჯოდ მმართებლობისა დარჩების აღსადგინებელად დაქცეულთა ქალაქთა და შენობათა. თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანამდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებელად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან.

присягу в верности по форме, при сем приложенной. Духовенство яко пастыри душевные, первые должны дать пример.

Наконец, да познаете и вы цену добраго правления, да водворится между вами мир, правосудие, уверенность как личная, так и имущественная, да пресекутся самоуправство и лютыя истязания, да обратится каждый к лучшим пользам своим и общественным, свободно и невозбранно упражняясь в земледелии, промыслах, торговле, рукоделиях, под сенью законов всех равно покровительствующих. Избытки и благоденствие ваше будет приятнейшею и единною для Нас наградою.--Дан в престольном граде Москве, сентября 12-го дня 1801 года.

Подлинный подписан собственною Его Императорскаго Величества рукою так:

Александр.

(м. п.)

მეფისძენი დასცვენ მამულთა თვისთა, გარდა განშორევებულთა, და განშორევებულთა მათ მიეცემისთ მამულთა თვისთა გამოსავალი ყოველ წლივ თეთრად, სადაცა იქმნებიან იგინი, ოდენცა სცვიდენ ვალსა ფიცისასა. — ხაცვლად დიდსულობითთა ზრუნვათა ამათ ჩვენთვის, ვითხოვთ ჩვენ თქვენგან, რათამცა თქვენ დამტკიცებისათვის თქვენზედ დაწესებულისა ხელმწიფებისა ჰყოთ ფიცი ერთგულებასა ზედა, ამასთანა მდებარისა სახისამებრ. სამღვდელოთა ვითარცა მწყემსთა სულისა თანა პირველად შვენისთ მიცემა მაგალითისა.

უკანასკნელ, რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართებლობისა, რათა დაეშენოს შორის თქვენსა მშვიდობა, მართლმსაჯულება, რწმუნება, ვითარცა ნივთთა, ესრეთვე საქონლისაცა, რათა მოისპოს თვითმმართებლობაჲ და მხეცებრივი უთანხმოება. რათა იქცეოდეს თვითოეული უმჯობესთა სარგებელთა თვისთა და საზოგადოებისადმი თავისუფლად დაუბრკოლებელად. შრომის მოყვარებდეს მიწისა მუშაკობასა, განძრახვათა (?). ვაჭრობათა და ხელთსაქმეთა შინა. საგრილსა ქვეშე სჯულთა ყოველთა თანასწორ მფარველთასა. ნათლი და კეთილდღეობა თქვენი იქმნების მთლოლ ჭილტოლ ჩვენთვის. მიეცა საყდროსანსა ქალაქსა მოსკოვს სეკდემბრის იბ. დღესა ჩყა წელსა.

ნამდვილზედ ქვემო წერილ არს, საკუთარითა ხელითა მათისა იმპერატორების დიდებულებისათა ესრეთ:

ალექსანდრე.

(ადგილი ბეჭდისა).

CLXI

მანიფესტისა ამის გამოცემისა დროსა, დაესწრნენ მოსკოვსა დესპანნი, მეფის გიორგისაგანვე გაგზავნილნი გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი. მუნვე იყვნენ 12 დეპუტატად ქართველთაგან მისრულნი თავადნი და აზნაურნი გიორგი თუმანიშვილი [75], გიორგი ერისთვიშვილი [76], გლახა ვაჩნაძე, ოთარ ქობულიშვილი, აბესალომ ბებუთოვი, გაბრიელ რატიშვილი, რომელიცა ახლდა იოანე მეფის ძეს, იაია ავალიშვილი, ძმა გიორგი ავალიშვილისა, იოანე მაღალოვი; პავლე წინამძღვრიშვილი, დავით ზანდუკელი, გრიგორი ოქროშჭედლიშვილი, ნიკოლოზ ონიკოვი.

ამათგან ორთა გიორგი ავალიშვილმან და ელიაზარ ფალავანდიშვილმან იმპერატორისა ბრძანებითა წარმოიღეს საქართველოდ მანიფესტი ესე, რათა მიართონ მემკვიდრესა დავითს I საცნობელად ქართველთა.

CLXII

მასვე დროსა კნორრინგმან, განმგემან საქართველოჲსა გამოსცა ქართულად დაბეჭდილი თფილისს თვისი გამოცხადება ქართველთადმი შემდეგი:

„მისის იმპერატორებითისა დიდებულებისა თვითმპყრობელისა ყოვლისა როსიისა ღენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა ინსპენქციისა ინსპექტორი, უპირატეს მმართებელი საქართველოჲსა, ასტრახანისა მხედრობითა ღუბერნატორი, მემთავრე ასტრახნისა ღუბერნიასა შინა საქმეთაცა სამოქალაქოთა, კაზანის მუშკეტერის პოლკისა შეფი და ორდენთა: წმინდისა ალექსანდრე ნეველისა, წმინდისა ანნასი პირველისა ხარისხისა, სამხედროსა წმინდისა დიდისა მოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა მეოთხისა ხარისხისა, და მპყრობელობითისა წმინდისა იოანე იერუსალიმელისა უფროსისა ჯვარისა კავალერი.

---

[75] ესე იყო შვილი ეგნატი თუმანიშვილისა, მოღუწესე და მოყვარე ქართველთა მწერლობისა. გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკად 1837 წელსა.

[76] გიორგი იესეს ძე ერისთოვი. ამან შეირთო ცოლად მეფის გიორგის ქალი გაიანე. მექონი ღენერალ-ოტინფანტერისა ჩინისა და ლურჯისა წმინდის ანდრიასი ლენტისა. გარდაიცვალა 1863 წელსა.

[შ ე ნ ი შ. გ. ი. ერისთავი გარდ. 1864 წ. რ ე დ.]



კარლ ფედ. კნორინგი

განვუცხადებ ყოველთა საზოგადოდ ქართლსა და კახეთსა შინა მცხოვრებთა:

ვიწყევ რა აღსრულებად მოყვანება უმაღლესისა ნებისა მისისა დიდებულებისა ყოველსა როსიისა იმპერატორისა, მაქვს მე ვალი და შეკრულება, რათა განვაწესო კვლავ ჟამადმდე თფილისსა შინა უზენაესი საქართველოჲსა მმართებლობა ჩემსა ქვე'შე პირველ მჯდომარეობასა; ხოლო ქალაქთა შინა და მაზრათა, ვითარცა სასამართლო და განმგებელობა, ეგრეთვე კეთილწესობაცა, რომლისა გამო, განმცემი აწ საყოველთოდ უწყებად განწესებისა შინაგანისა საქართველოჲს მმართველობისა; რომელიცა დამტკიცებულ არს სამღრთოთა ნებითა ხელმწიფისა იმპერატორისათა, შეკრულ ვარ მე, რათა შევზღუდო სამფლობელონი ესე გარეშეთა დაცემათა გამო, დავიცვა მცხოვრებელნი მათნი უშიშროებასა შინა თვით თავისა მათისა და ქონებისაცა, და მივაწიო ყოველთადმი დაფარვა, რწმუნება და განსვენება მმართებელობითა მღვიძარითა და ძლიერითა, მარადის განმზადებულითა, რათა მისცეს მართლმსაჯულება დაჩაგრულსა, შემწე ექმნას არა ბრალულებასა, და სამაგალითოდ ბოროტთა დაისაჯოს კანონთ გარდამავალი. ამისთვის უკვე ნუ ვინმე იკადნიეროსმცა თავ-ნებად და მძლავროებით კმაყოფიერება საძიებელისა თვისისა, არამედ თვითოეულმან წარადგინოს საჩივარი თვისი განწესებულთა მისთვის ადგილსა შინა, მსასოებელმან უეჭველად, რომელ მიიღებს მსწრაფსლა და პირ-მიუფერებელსა სამართალსა. მოგონებანი განსაცდელთა მათ, რომელნიცა განზავებულ იყვნენ საქართველოჲსა შინა, წარმოადგენენ სარწმუნოსა ყოველთა მისთა მცხოვრებელთათვის თავდებობასა, რომელ იგინი სავსითა სასოებითა აღიძრებენ ხელმწიფებასა განმზადებულისა მფარველობისასა, რომელიცა განზდევნის მათგან უფსკრულისა ბოროტებისა მათდა გარერტყმულსა და ყოველთა მათთა საზღვართა ზედა განაპყრობს დაფარვასა მშვიდობისა და უშიშროებისასა, რომელ მიჩნევა საკუთრისა კეთილდღეობისა თვისისა აღსძრავს გულთა მათთა საუკუნოსადმი მადლობის ცემისა და შევრდომილებისა, და რომელ სრულიადითა მორჩილებითა განამართლებენ იგინი ზრუნვათა ნებისა კეთილმდგომარეობისა მათისა დამამყარებელისათა. მოყვარენი მშვიდობისა და კაცობრიობისანი იძულებულ იქმნან, რომელ მოხალისობა და შრომანი და არა მანქანებანი; უხვება მცხოვრებელთა, და არა სიგლახავე მათი; მტკიცე და შეურყეველი სასოება სახიერებისადმი უფლისა, და არა სასოწარკვეთილება; უკანასკნელ არა მზაკვრობა, სისხლისა თხევა, სულელობა, უწყალოება და არცა სიგლისპე: არამედ წრფელ სულიერობა, კაცთმოყვარება და შებრა-

ლება, ქველის მოქმედებანი, რომელთაცამებრ შვენის ქრისტიანესა ჩინებულ ყოფა, არიან წყაროდ ერთა განსვენებისა და კეთილდღეობისა. მიცემულ არს თფილისსა მაისის ზ დღესა, ჩყბ წელსა.

მოწერილ არს: კ ნ ო რ რ ი ნ გ ი".

CLXIII

4.000 ეგზემპლარი გამოცხადებისა ამის და ესოდენივე რიცხვი იმპერატორისა მანიფესტისა მხოლოდ ქართულად დაბეჭდილი თფილისს მეფის გიორგისაგანვე გამართულსა სტამბაში, — განეფინა და განითესა ქართლ-კახეთისა ადგილთა.

სცნეს ესე დიდთა და მცირედთა, მოხარულთა და არა მოხარულთა დროთა ცვლილებისა. სცნო ყაენმან ფათალიშაჰმან და სულთანმან თურქთა სელიმმან, ხანთა და ფაშათა მეზობელთა. მეფე იმერეთისა სოლომონ შედგა და შესწუხდა: იწყო განმაგრება სამზღვართა თვისთა და დაკავშირება თურქთა ფაშებთათანა მესამზღვრეთა. დაღესტანი შეძრწუნდა რუსთა მეზობლობითა.

მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ, მოძულენი ძმისწულისა თვისისა დავითისა, იყვნენ ქართლსა და განიზრახვიდენ რუსთა მთავრობის ურჩებასა. ვერა-რაჲსა მჭმნელნი, ვერცა იმერთა მეფისა შეწევნითა, რომელსაცა შეეხიზნენ ცოლ-შვილითა, და ვერცა ერთა აშფოთებითა, — მოეცნენ რუსთა და წარვიდენ რუსეთად 1805 წელსა და აღსრულდენ ს.-პ. ბ. იულონ 23 აგვისტოს 1816 წელსა და ფარნაოზ 30 მარტს 1852 წელსა.

მეფის ძე ალექსანდრე, გაქცეული მეფისავე დროსა სპარსეთად, დაშთა მუნ; ვითარცა მიტრიდატე ქართველთა ისტორიისა — სიძულვილითა რუსთა მთავრობისა და დაუძინებელითა მათდამი მტერობითა, აღსრულდა თავრიზის ახლო 1844 წელსა.

დედოფალი დარეჯან გარდავიდა 1804 წელსა რუსეთსა და, მიღებული პატივითა იმპერატრიცასაგან, გარდაიცვალა ს.-პ. ბ. 1807 წელსა და დასაფლავდა ალექსანდრე ნეველისა მონასტრისა ხარებისა, ეკკლესიასა, თვით საფლავსა მას, რომელიცა იყო უქმი და ცარიელი შემდგომად გარდასვენებისა მუნით იმპერატორთა საძვალესა გვამისა იმპერატორისა პეტრე მესამისა იმპერატორისა პავლესაგან 1796 წელსა.

CLXIV

აღსასრულებელად ესრეთისა მანიფესტისა, განმგემან საქართველოჲსა კნორრინგმან, შეჰყარა თავადნი და აზნაურნი ქართლისა და კახეთისა ქ. თფილისს და გამოუცხადა მათ ნება იმპერატორისა. სიონისა საკათედროსა ეკკლესიასა შინა კათოლიკოსმან ანტონი წარაკითხა ქართულად არქიმანდრიტსა თვისსა ტრიფილეს. შემდგომად წარკითხვისა დასდევეს საწიგნე და მასზედა დაბეჭდილი პეტერბურგსავე რუსულად და ქართულად ფიცითი აღთქმა შემდეგი:

Клятвенное обещание.

Я нижеименованный обещаюсь и клянусь Всемогущим Богом пред святым его Евангелием в том, что хощу и должен Его Императорскому Величеству Великому Государю Императору Александру Павловичу Самодержцу Всероссийскому, и Его Императорскаго Величества Всероссийскаго Престола наследнику, который назначен будет, верно и нелицемерно служить и во всем Высочайшей ЕГО воле повиноваться, не щадя живота своего до последней капли крови; все изданные и впредь издаваемые от постановленной Его Величеством власти узаконения или учреждения принимать с должным послушанием и оныя по крайнему разумению, сил и возможности предосте-

ფიცითი აღთქმა

მე ქვემო სახელდებული აღვსთქვავ და ვფუცავ ყოვლისა შემძლებელითა ღვთითა წინაშე წმიდისა სახარებისა მისისა ნას შინა, ვითარმედ მნებავს და თანამაძს მათის იმპერატორების დიდებულებისა ალექსანდრე პავლოვიჩისა თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა და მათის იმპერატორების დიდებულების ყოვლისა რუსეთისა საყდრისა მემკვიდრისა, რომელიც იქმნების დანიშნულ, ერთგულად და პირუთვნელად ემსახურო და დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესსა ნებასა მისსა, არა დავზოგო ცხოვრება თვისი ვიდრე უკანასკნელ წვეთად სისხლისა, ყოველი მოცემული და შემდგომად მოსაცემელი მათის დიდებულების დადგინებულისა ჰელმწიფებისაგან სჯულის დება ანუ განწესებაჲ მივიღო სათანადოჲთა მორჩილებითა, და მათცა უკიდურესისა გულისხმისყოფისა, ძალისა და შემძლებელობისამებრ გავუფრთხილდე და მივაქ-

регать и оборонять; возстановленное Его Императорским Величеством в отечестве моем спокойствие и тишину покрайней возможности моей соблюдать и никаких сношений с возмутителями отечества моего прямо или посредственно, тайно или явно не токмо делом, но внушениями или иным чем, замыслом, действием и намерением не иметь. О вреде же Его Величества интересам или общей пользе, как скоро уведаю, не токмо благовременно объявлять, но и всякими мерами отвращать и недопущать буду; и таким образом себя весть и поступать, как верному к постановленной надо мною Его Императорскаго Величества власти и спокойному гражданину благопристойно есть и надлежит и как я пред Богом и Судом Его страшным в том всегда ответ дать могу, в чем суще мне Господь Бог душевно и телесно да поможет. В заключении же сей моей клятвы целую Слова и Крест Спасителя моего Аминь.

ციო; აღდგინებულისა მათის იმპერატორების დიდებულებისაგან მამულსა შინა ჩემსა განსვენება და მყუდროება უკიდურესისა შეძლებისამებრ ჩემისა დავიცვა და არავითარიმე მიწერ-მოწერა აღმრეველთადმი ჩემისა მამულისათა სწორედ ანუ საშუალით, საიდუმლოდ ანუ ცხადად არა თუ ოდენ საქმით, არამედ მხილებითცა ანუ სხვითა რაჲთამე მოგონებითა, მმექმეობითა* და განზრახვითა არა ვიქონიო. ხოლო ვნებასაცა მათის დადებულების** სარგებლისა, ანუ საზოგადოსა შესამატისასა, ვითარცა ვსცნობ რა, არა თუ ოდენ ცხად ვჰყოფ აღმსთობითვე, არამედ ყოვლითა ზომითა გარე ვაქცევ და არა მიუშვებ და ესე ვითარითა ხატითა მოვაქცევ თავსა, ვითარცა სარწმუნოსა მათის იმპერატორების დიდებულების ჩემზედა დადგინებულისა ხელმწიფებისადმი, და მშვიდისა მოქალაქისა კეთილშესაბამ და თანამდებარს, და ვითარცა ჯერმიჩნს მე წინაშე ღვთისა და საშინელისა მსჯავრისა მისისა მარადის მას შინა სიტყვის გება, რომელსა შინაცა მწუმეყოს მე უფალი ღმერთი სულიერად და ხორციელად. დასამტკიცებელადცა ფიცისა ამის ჩემისა ამბორსუყოფ სიტყასა*** და ჯვარსა მაცხოვარისა ჩემისასა ამინ.

ფიცითსა აღთქმისა ფურცელზედ, მოაწერეს ხელი კათოლიკოსმან ანტონი, მთავარეპისკოპოსმან იუსტინე, თფილელმან არსენი, ბოდბელმან იოანე, რუსთველმან სტეფანე, წილკნელმან გერვასი,

* უ. ი. „მოქმედებითა“.
** უ. ი. „დიდებულების“.
*** უ. ი. „სიტყვასა“.



ფარნაოზ ბატონიშვილი

ნეკრესელმან ამბროსი, ნიკოზელმან ათანასი, წინამძღვარმან ნათლის-მცემელისა ევთიმემან და სხვათა სამღვდელოთა. მათ შეუდგნენ მუხრანის-ბატონი კონსტანტინე, სარდალი იოანე ორბელიანი, მორდალი ზაალ ბარათაშვილი, აბელ ჩოლაყაშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, სვიმონ და იოანე ანდრონიკაშვილი, გიორგი ავალიშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი და სხვ.

კნორრინგი თვით დაესწრო მუნ და ღენერალნი რუსთა ჯარისა ლაზარევი, გულიაკოვი, კარიაგინი და კოვალენსკიცა ადრითვე ელჩად რუსეთისა ყოფილი თფილისს მეფისა კარზედ. 10.000 რუსეთისა ჯარი იდგა და იცველდა საქართველოსა.

1803 წელსა, აპრილის 18 წარიყვანეს რუსეთსა დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგისა მოკვლისაგამო ღენერალისა ლაზარევისა. თანა ჰყვნენ მას შვილნი: ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკლი და ქალნი ანნა და თამარ. თვით დედოფალი, ვითარცა პყრობილი, დააბინავეს კურსკისა გუბერნიისა ბელგოროდისა დედათა მონასტერში, სადაცა დაჰყო 1811 წლადმდე. მერეთ მივიდა მოსკოვს, გარდაიცვალა 30 მარტსა, 1851 წელსა. მოასვენეს გვამი მისი საქართველოს და დაასაფლავეს მცხეთას.

მეფის ძე თეიმურაზ წავიდა სპარსეთსა და ეახლა ყაენსა. მოიქცა მუნით და წარვიდა რუსეთად 1810 და მუნ გარდაიცვალა 25 ოკდომბერსა 1846 წელსა.

თვით მეფის ძე და მემკვიდრე დავით და ბიძა მისი ვახტანგ წარვიდენ რუსეთად 18 ფებერვალსა 1803 წელსა. მისრულთა მცხეთას მოეგებნენ შიომღვიმისა ბერნი და მათ უბოძა თოფი თვისი „გველტუჩა", რათა დასდვან უდაბნოსა და გაემგზავრა. ვახტანგ გარდაიცვალა ს.-პ.-ბურღს 23 ოკდომბერს 1814 წელსა, ხოლო თვით დავით ს.-პ. ბ. 50 წლისა, 13 მაისს, 1819 წელსა.

CLXV

დავით, ვითარცა ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, იყო მიწერ-მოწერასა შინა მამაჩემთან და დავით რექტორთან. მცოდნე რუსულისა ენისა თარგმნიდა წიგნთა ქართულად და უგზავნიდა ამათ, ვითარცა კაცთა განსწავლულთა. საქართველოჲსა საქმეთა შინა არღა ერეოდა. იყო მორიდებული და მომდურავიცა ქართველთა.

1819 წელსა, იანვრისა 8 მოსწერა წერილი, და ესეცა იყო მისგან უკანასკნელი, მწიგნობრობისა და მწერლობისა მასწავლებელსა

თვისსა დავით რექტორს. წერილსა ამას შინა სხვათა შორის იტყვის შემდეგსა:

„ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა უბრძანეთ, ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემთვის სწუხს, იმათ წაუკითხე ლუკას თავი კგ, კზ, — ვიდრე ლბ-მდის [77].

ეჰმადლობ ღმერთსა, სუყველას მოვრჩი!"

დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

რუსთველ[ი].

---

[77] ადვილპოვნისათვის წმინდისა სახარებისა მუხლთა ამათ, დავუმატე აქა ესე:

„26. და შეუდგა მას სიმრავლე ერისა და დედებისა, რომელნი ეტყუებდეს და სტიროდეს მას.

27. მიექცა მათ იესო და ეტყოდა: ასულნო ერუსალიმისანო ნუ სტირით ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა.

28. რამეთუ აჰა ესერა მოვლენან დღენი, რომელთა შინა სთქვან, ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს, და ძუძუნი, რომელთა არა განზარდნეს.

29. მაშინ იწყონ სიტყვად, მთათა დამეცენით ჩვენზედა და ბორცვთა დამფარენით ჩვენ.

30. რამეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას რაჲმე ეყოს?

31. მაშინ მოჰყვანდეს სხვანიცა ორნი ძვრისმოქმედნი მოკლვად მისთანა".

—

ესე სწერია ბოლოს წიგნაკისა მის: „ჰ ი ნ დ თ ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა", მისიონერისა მამა-ბუშესაგან მოწერილი ეპისკოპოსთან ავრანშის მონასტრისა" და რომელიცა ეთარგმნა რუსულისა გაზეთით „ინვალიდით" თვით დავითს და მეფის ძეს ბაგრატს გარდაეწერა მისთვისვე ძმისათვის თვისისა დავითისა 8 ივლისსა 1817 წელსა ს.-პ. ბ. მეფის ძეს დავითს ოდგილ-ადგილ თვით გაუსწორებია რვეულისა (12 ფურცელი in 8°) წიგნაკი და გამოუგზავნია დავით რექტორისათვის. რვეულისა ამის ბოლოს ფურცელზედ, რომლისა მესამედი არის მოგლეჯილი, სწერს მეფის ძე დავით შემდეგსაცა: „...ცოტა შვინდის კურკა წამოიღოს... ელევთერს (იხ. ზევით სხოლიო 12) ხელს აკოცე. შვინდის—ჩურჩა და კუნელი გამომიგზავნეწამლათ მინდა კუნელი. ჩემო ლალავ, ცოტა რაჰული წამალი კრიბული გამომიგზავნე... ფიას და....."

ამასთან არის მოხსენებული წიგნისათვის „ანსილიონისა" მის მეფის ძის დავითისაგან თარგმნილისა ქართულად და გამოგზავნილისა ერთი დავით რექტორთან და ერთი ეგნატი იოსელიანთან. აჰა რასა სწერს მეფის ძე დავით: „მამაო ეგნატი! წმინდას მარჯვენეს გიამბორებ. კარგა-ხანია თქვენი ამბავი აჲრა მსმენია რა, არცა თქვენგან და არცა სხვათაგან. ანსილიონისა რა ჰქვენით, ვერცა რა ამისი გავიგეთ, და ვერცარა თქვენ ანაფორისა გაიგევით. თქვენ, ამიტომ უფრო, რომ არ ვიცი ჰიპნეულისა გინდათ თუ მატყლისა.

ანსილიონში მეხუთე თავში, სადაც სხუაჲისათვის ძველისა და ახლისა პოეზიისა სწერია, ჩაიკითხეთ და იპოვნეთ ის მუხლი.

ვჰგონებ არცა ერთი ლექსთაგანი არს სხვათა შორის ესოდენ ხმეული ძვრისყოფასა შინა, ვითარცა ლექსი ესე რომელ არს ბუნება. ჩაჰყევით და იპოვნეთ:

დაბოლოება

ღვთისა განგებასა ვერვინ შეაყენებს. განიხილონ მკითხველთა წიგნისა ამის, ვის შეეძლო ქართველთა სამეფოჲსა დაცვა, გარდა რუსთა. თვით რუსეთი, ვითარცა კოლოსსი დიდი, ებრძოდა 70 და მეტსა წელსა კავკასიისა მთისა მცხოვრებთა, თათრობისა გამო მათ შინა შესულისა, ქართველთა ქრისტიანობისა გამო მტერთა. განგებამან ღვთისა ქმნა ესე, რომელ რუსთა ძალითა დამშვიდდნენ მთისა მცხოვრებნი, თემნი თვით ქართველთა სამეფოჲსა დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმნდენ და მცხოვრებნი თემთა ამათ; იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი, რაჭველნი და სამცხენი ათაბაგათა, შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებად.

განგება ღვთისა რუსთაჲე ძალითა მოიყვანს ნათესაობითსა ერთობასა ქობულეთსა, აჭარასა, ლივანასა, ჯერეთცა თურქთაგან პყრო-

---

ულისე და მწყემსი აპოლონ. ნევზიკა და ცოლი მისი სწერია. — ასე უნდა: ნაუზიკა და ცოლნი მისნი. მრავლობითად უნდა.

გთხოვ გახსოვდე.

1817 ივლისი 22.

ამათ გაქცეულთა და ლტოლვილთა რუსთაგან და თვით დავითისაგან მემკვიდრისა, იახლეს თვისთანა თამაზცა ორბელიანი. მაშინ გამოსთქვეს ლექსი დასაცინებელი და წარუვლინეს მათ:

ლომნი კატურად გარბიან, ერთითა შეძახილითა,
ამილახვარი მოჰყვანდათ, ერთითა შეძახილითა,
იულონ თქმით, თამაზ ბანით, ფარნაოზ მოძახილითა.

აქ უნდა ვსთქვა 1) რომ თუმცა ამილახვარი არ გარდაჰყვა მათ, გარნა დიდად ეწინააღმდეგებოდა დავითს, და მოიყვანეს მაშინვე თფილისს და უბრძანეს აქა დასადგურება; 2) თამაზ, შვილი მეფის ასულისა ანნასი, დისა მეფისა ირაკლისა, იყო კარგი ბანისა მთქმელი გალობაში; 3) ფარნაოზ საკვირველი და ტკბილი მოძახილი გალობაშივე (ბანი და მოძახილი არიან გალობისა კილონი ანუ ტონნი ევროპულად) და 4) დავითმან მემკვიდრემან დაწერა ესე ლექსიო, — იტყვიან.

ნაცვლად-გებითი პასუხი დაცინებისა მოერთვა მათგან დავითს, ლექსადვე დაწერილი თამაზისგან სხვათა შორის ესეცა მრავალთაგან დახსოვნილი:

დავით პლუტეს, ბაგრატ ცუდეს და ივანე მოგვიკუნტეს,

დარბაისელთ გამორჩევით, ხათა — გოგიამ ვ... უკუ სცეს.

[ეს შენიშვნა (№ 77) გამოტოვებული იყო მთლიანად და მხოლოდ აქ იბეჭდება პირველად. რ ე დ.]

ბილთა. განგება ღვთისა შეიტანს და განფენს ქრისტიანობისა ნათელსა მთათა შინა, სადაცა მკვიდრობენ ლეკნი, ჩეჩენნი, ჭისტნი, ჩერქეზნი და აფხაზნი. ნათესაობითი ერთობა ქართველთა გვარისა, განტკიცდება სარწმუნოებითითა ერთობითა მათთან. მართლმადიდებლობა რუსეთისა, ვითარცა შუქი მზისა მაცხოველებელისა და მანათობელისა, მოჩანს ვითარცა განბნეველად მაჰმადიანობისა სიბნელისა, ბოროტისა კაცთა ნათესავისათვის და მარადის უნაყოფოჲსა. — ესე ყოველი ხედა წილად რუსეთსა და აღსრულდებაცა ესე ვითარი ქრისტიანობითი და მოქალაქობითი განახლება კავკასიისა, სასიქადულოდ ქვეყანისა და კაცთა ნათესავისა.

მაშინ ქვეყანა კავკასიისა, სავსე ქვეყნიერითა და ზეციურითა მადლითა, უხვებითა, სიმდიდრითა, მშვენიერებითა, შეიქმნება ერთი და ყოვლადი. მცხოვრებნი ქვეყანისა ამის, შორის ორთა ზღვათა, მაერთებელთა ევროპისა და აზიისა, მოიგონებენ მაცხოვრისა ნუგეშინისცემითსა სიტყვასა: „და იყვნენ ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო“.

ავტორის დამატებითი შენიშვნები

სამეფო ჯარი ნაღარა-ხანისა პირნი:

1) იოსებ ბარათაშვილი, ზედამხედველი, შემდეგ უზბაშად დადგენილი ალავერდისა და ახტალისა მაღნებზედ 1809 წელსა. მოკვდა 1811 წელსა.

2) მედაფენი: ივანე კოტეტიშვილი.
დავით ოჯალაშვილი.
ფილიპე გოცირიძე და 4 სხვანი.

3) მებუკენი: სტეფანე ნორიელი.
შიო ბორაშვილი, დიდი ფალავანი და მოკრივე.
ქრისტესია კავთისხეველი.

4) მეზურნენი: დათია ღოღოლაშვილი.
პაატა ამისხაშვილი.
არუთინა ტაგრუციშვილი და 3 სხვანი.

5) მექოსენი: პავლე სოზაშვილი.
სოლომონ . . კუკიელი და 2 სხვანი.

6) მენაღარე: დავით ირემაშვილი.
სესია . .
როსტომა გელიაშვილი.

7) ტაბლაკი .

8) ჯიმჯიმი

თოფხანისა მსახურნი.

1) განმგე ჯაბახანისა მეფის ძე იოანე. 2) იოანე ქობულიშვილი. რუსთა მიიღეს იგი პოდპოლკოვნიკად.

2) ზედამხედველი თავადი... გურამიშვილი და მის შემდეგ... ნაზარაშვილი, ხუმრობით კნიაზად წოდებული თვით ახლად მოსულთა რუსთაგან.

3) . . ყალამთაროვი. ესე დაესწრა ნიახურას ომშიაცა. რუსთა მიიღეს იგი არტილლერიისა კაპიტნად.

4) გიორგი ჩემსურაშვილი, — ხირსელი.

მსროლელნი: a) ზურაბა . . . . . ხიდისთაველი. ესე ცხოვრებდა მეფის ძეს იოანესთან ს.-პ. ბ. მერეთ მეფის ძეს ბაგრატთან. 1834 მოვიდა საქართველოს და მოკვდა ხიდისთავს 1837 ღრმად

მოხუცი. მან შესწირა აქა თვისსა ეკკლესი[ა]სა ზარები ზედა წარწერითა: . . . . . *

b) ზურაბა ხაჩიშვილი ბოდბისხეველი. ამას მოხუცსა მეც მოვესწარი. მოკვდა 1826 წელსა ქ. თფილისს, იყო ყმა ნათლისმცემლის უდაბნოჲსა. c) კაპიტა... კაცი მეხუმარი და მოხუცებაშიაცა ცქვითი. მოკვდა 1824 წელსა. d) 40 სხვანი, რომელთა სახელი და გვარნი დავიწყდნენ დროთაგან.

ასოცი ხარი და კამბეჩი იყო მზად ზარბაზანთათვის დანიშნული და მათნი მეხრენი.

თოფის წამლისა მკეთებელნი.

1) ზედამხედველი ერასტი სოროლაშვილი, ნალეკარი, ხერთვისიდამ ტყვედ მოყვანილი 1770 წელსა. მისი თანაშემწე:

2) პეტრე . . ხიზაბარელი და 10 სხვანი.

წამლისა კეთება არავისა ჰქონდა აღკრძალული. ყოველს სოფელში აკეთებდნენ თვისთვის სახმარსა და ჰყიდდენცა თავისუფლად.

ზარგი-ხანა

ფულის მომჭრე[ლ]ი.

ფულსა სჭრიდენ მეფისა გიორგისა დროსა ვეცხლისა აბაზიანსა, ორ-აბაზიანსა, ორ-შაურიანსა და ერთ-შაურიანსა, და შავი ფულიდამ ორ-ფულიანსა და ერთ-ფულიანსა.

ლეკთა გამო, რომელნიცა თხოულობდენ ჯამაგირსა, მეფემან უბოძა ვეცხლის ბადიეები და ვეცხლის კოკები და აქედამ მოაჭრევინა 700 თუმანი.

მუსინ-პუშკინისა დროსა, 1800 წელსა, მასვე ზარბი-ხანაში, რომელსაცა უწოდეს მონეტნი დვორი, ახტალისა მადნებიდამ გამოტანილისა ვეცხლისა მოსჭრეს სახედ და საჩუენებელად რუსთა და ქართველთა რავდენიმე ბრონზისა ფულნი; მათზედ იყვნენ გამოჩენილნი ერთსა მხარეს არწივი რუსეთისა და მეორესა ღერბი ქართველთა მეფისა, ესენი შემდგომათ წარუვლინეს რუსეთისა დიდთა კაცთა. გარდა ამა დაწყებისა დროსა რუსთაგან ფულის მოჭრისა, არა რაჲ მოუჭრიათ 1802-მდე. 1802 იწყეს მოჭრა ორაბაზიანისა და აბაზიანისა, ესრეთვე სპილენძიდამაც ორ-კოპეიკიანისა და ერთ-კოპეიკიანისა.

---

* ხელნაწერში ეს „ზედა წარწერა" არაა მოყვანილი. რ ე დ.

დროთა მეფობისა მისისა გვამნი, წარჩინებულნი გვარ-შთამოებითა საქმითა, სიტყვითა, ცხოვრებითა იყვნენ შემდეგნი:

1) მუხრანის-ბატონი იოანე, სიძე მეფისა და მეუღლე ქეთევან მეფის ასულისა, — მექონი ხმისა და პატივისა..., სალთ-ხუცესი სასახლისა; არა ცხადად, გარნა არა მყვარებელი მეფისა, მორიდებულად მეფისა მცხოვრები მუხრანსა, შეშინებული მეფისაგან, რომლისაგანცა ჰგონებდა, რათა მოულებს მას სალთ-ხუცესობასა მიტაცებულსა მეფის ირაკლისა მიერ დავით სარდლისაგან ორბელიანისა. ესე გარდაიცვალა 1798 წელსა. მისმან შვილმან ჯერეთ 16 წლისამან კოსტანტინემან დაიმკვიდრა ადგილი მისი დამტკიცებითა თვით მეფისა გიორგისაგან და გარდაიცვალა 1843 წელსა *.

2) დავით სარდარი ყაფლანიშვილი, სიძე მეფისა გიორგისა, ქმარი დისა მისისა თამარისა ერთისა დედიდამ... ამას ჰყვანდა ცოლად... და იყო კაცი მხნე და ძლიერი სიტყვითა. ამან დააშენა სომხითი მტერთაგან გაოხრებული. გარდაიცვალა 1796 წელსა.

3) ოთარ ამილახვარი, სარდარი [საამილახვროსი და ლიახვზედ საერისთოსი]. მოურავი გორისა; ქალი მისი ელენე იყო ცოლი თეიმურაზ მეფის ძის გიორგისა შვილი. გარდაიცვალა 1827 წელსა.

4) გიორგი ციციშვილი ეშიკაღაბაში მეფისა გიორგისა. გარდაიცვალა 1850 წელსა, ღრმად მოხუცი.

5) ლუარსაბ თარხნიშვილი, ქმარი სოფიო მეფის გიორგის ასულისა, გარდაიცვალა . წელსა.

6) ევსტატი ციციშვილი [ქალაქისა მოურავი, ნაშობი მეფის ირაკლისა ასულისაგან], მეგობარი კათოლიკოსისა** ანტონისა მეორისა. გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდსა 1828 წელსა და მექონი ჩინისა д. ст. ссв., კაცი წერილთაცა შინა დახელოვნებული.

7) დავით თარხნიშვილი, მიმბაში მეფის კარზედ მყოფი. გარდაიცვალა 1847 წელსა.

---

* ხელნაწერში ამ სიტყვებს მიჰყვება ბარბარე ქობულიშვილის მინაწერი, რომელიც მკრალი ფანქრით არის გადახაზული: „ყველა სარდალ[თ] შორის და მბრძანებელი ომში. ეს იყო სომხითის ამშენებელი, რომ აღარსად იყო შენობა გარდა კუმისისა. იქაც კლდის შემწეობით შვიდი კომლი ესახლა. დავით სარდალმან გააკეთა ტაბახმელას კოშკი. კოდაზედ კოშკი და გალავანი ეკლესია“. ქვევით, ყველგან, ქობულიშვილის ხელით შესრულებული ადგილები შეტანილი გვაქვს კვადრ. ფრჩხილებში. ცარიელი და უბრალო ფრჩხილები კი ავტორს ეკუთვნის. რედ.

** აქ ქობულაშვილის მიერ ჩამატებულია სიტყვა „პოეტა“. რედ.

8) ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, რომელმანცა მოკლა ღენერალი ლაზარევი; [იყო ყულუბჩი მარიამ დედოფლისა. გადავარდა ახალციხეს და მუნ მოკვდა].

9) როინ ამირეჯიბი, დიდი მხნე და ვაჟკაცი, ერთგული მეფისა.

10) ფარსადან მაჩაბელი, შინა ყმა მეფისა, ოესთა ჯარისა მკრებელი, და ხარკისა სახასოს მომგროვებელი.

11) ელეაზარ ფალავანდიშვილი, რომელმანცა მოაწერა ხელი ტრაქტატზედ, პავლეს იმპერატორისა და მეფისა.

12) შანშე ერისთავი, შინა მეფესა ახლდა. მოკვდა 1831 წელსა.

13) ელიზბარ ერისთავი ყულასაღარი. ესე იყო სიძე იმერეთისა მეფისა სოლომონისა დიდისა. ქალი ამის ანნა იყო ცოლი მეფის ძის ფარნაოზისა. მოკვდა . . წელსა.

14) . შალიკაშვილი, მხნე და ვაჟკაცი, მტერთა უშიშარი, გამბედავი მეომარი. — მეფე ირაკლი იტყოდა: „სამისა შალიკაშვილითა 500 კაცს მტერს არ შევუშინდებიო“.

15) ზაალ ბარათაშვილი [ყმაწვილი კაცი, მაგრამ მაინც მეფე გიორგიმ ისევ უბოძა მამის ადგილი სუფრაჯობა და ემსახურებოდა].

16) გიორგი ბარათაშვილი (სუფრაჯი... გარდაიცვალა 1854 წელსა)*.... ახლდა განუშორებლივ მეფესა.

17) ზაზა სოლოღაშვილი, — ლეკთა აიკლეს მისი სოფელი, დაასახლა გლეხნი, აღაშენა კოშკი. მიუხდა ახალციხის ფაშა რვაასის კაცითა; გაუმაგრდა კოშკში და მოუკლეს შვილი ფაშასა. ზაალ [sic] გამოუხდა კოშკით, მოსტაცა მოკლული შვილი და შეითრია. ფაშა სირცხვილეული დაბრუნდა. ამას ზაზას ჰყვანდა ძმა სვიმონ რუსეთისა კარზედ ცერემონიმეისტერი.

18) ვახტანგ ყაფლანიშვილი ანუ ორბელიანი, იყო ქმარი თეკლა მეფის ასულისა, მოკლული კახეთსა 1812 წელსა. ამას ებარა ყარაბულახი და გარემო სოფლები და იფარვიდა საგარეჯოს, მანავს ლეკთა დაცემისაგან. უდაბნოს ბოლოს დაამარცხა ბელადი ერთი და მოსჭრა თავი.

19) თამაზ ყაფლანიშვილი. ეშიკაღაბაში, მამიდაშვილი მეფისა. გაიქცა იმერეთსა და მერეთ მობრუნდა და მოკვდა თფილისს ( ).

---

* ჩვენ მიერ ფრჩხილებში შეტანილი სიტყვები ავტორს მელნით გადაუხაზავს. რედ.

20) ზაალ ორბელიანი. მეომარი, თანაშეზდილი ირაკლისა ( ).

21) ჭაბუა, ანუ იოანე ყაფლანიშვილი, მდივანბეგი, ფილოსოფოსი, მოლექსე, მწერალი სამღრთოთა და საეროთა წერილთა. სიტყვა მჭევრი.

22) ეგნატი თუმანიშვილი, მდივანი მეფისა, კაცი გონიერი და მწერალი და მწიგნობარი.

23) სოლომონ ლიონიძე, მაღალის გონების კაცი. ერთგული ქვეყანისა, დიდი მრჩეველი და უცთომელად შემმეცნებელი საქმისა.

24) შიო სიდომონიძე, საყვარელი მეფისა. ამას ჩააბარა მეფემან გრემის ეკკლესია, სადაცა დაუმტკიცა მამულებიცა; მოკვდა 1810 წელსა.

25) იესე დეკანოზი, იყო სასახლისა. მეფემან გიორგიმ უბოძა მას აზნაურობა; შვილი მისი ეფრემ, მოხსენებული ზევით ( ).

26) იესე იესეს-შვილი, გვარით ბარათაშვილი [მსაჯულობით ხმობილი. მისსა ბეჭედზედ ესრეთ ეწერა: „ჟამი ესეცა წარელის“]. აქვნდა მას სხვაცა ბეჭედი წარწერითა: „პირი ესეცა მტკიცე არს“. მტერთა დააბეზღეს მეფესთან, რომელ იესე მსაჯულს ორი ბეჭედი აქვს და ასვამს ზოგსა ქაღალდზედ ერთსა და ზოგზედ მეორესაო. მეფემან მიიხმო და მოსთხოვა პასუხი: „დიახ, ბატონო მეფევ! თქვენს განჩინებაზედ, ვითარცა მტკიცეზედ და სამართლიერზედ ესდებ სიმტკიცისა ბეჭედსა და სხვათა წერილთა ზედა ადვილ დასარღვეველთა მეორესა. ორთავე ბეჭედთა ზედა წარწერიდამ სჩანს ლექსი სახელისა მისისა „იესე“.—მეფემან გაიღიმა და სდუმნა. იხილა, რომელ არა რაჲ იყო უგვანი ბეჭედთა მისთა გამო.

27) ეგნატი იოსელიანი, მწერალი მეფისა, მისგანვე მიბარებული სომხისა მოძღვართან სასწავლებელად ენისა და სომხურისა ენისათვის მოხმარებული მეფისაგან, მწერალი წიგნთა. გარდაცვლილი 1843 წელსა, 77 წლისა.

28) გლახა ჭილაშვილი, მილახვარი მეფის ძის ვახტანგისა ანუ ალმასხანისა, აზნაურშვილი არაგვისა. მობრუნდა რუსეთით და მოკვდა 1815 წელსა.

29) ადამ ყარანგოზიშვილი [ვაჟკაცობით ცნობილი], მოკლული ლეკთაგან ნაოზასა 1801 წელსა.

30) გრიგორი ყარანგოზიშვილი, მებრძოლი რუსთა.

31) იასე ძმა მისი, დიდივე ვაჟკაცი.

32) გოშპარ კობიაშვილი ( ).

33) ზაალ ტერიშვილი, მეფისა კარზედ აღზრდილი და მეფისა გიორგისა საყვარელი, მოკვდა 1824 წელსა.

[გედევანიშვილი, საკათოლიკოსო აზნაური და სარდალი საეკლესიო ყმათა]*.

34) ბ ე ც ი ა კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი. მეფემან გიორგიმ მიანდო გზაზედ დარიალისა დახვედრა და გამოძღოლა რუსთა ჯარისა. თუმცა იწყინა ესე ძმამან მისმან ვახტანგ, გარნა ვერა ჰქმნა წინააღმდეგი.

35) ზ ა ა ლ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. მისსა სახლში ქვემო ავჭალას გაატარა მეფემ სახლობით თვისით ორი ზაფხული. ცოლი მისი ნინო დღესაც ცოცხალია 104 წლისა. თვით მოკვდა 1804 წელსა.

36) ი ო ა ნ ე კ ვ ე ზ ე რ ე ლ ი, არა აზნაურთაგანი, მეფის სადილზედ განუშორებელი. იყო ერთგული მეფისა, მესაუბრე კარგი და მლოცველი. კარი მეფისა იყო მისთვის ღია მარადის.

37) ი ო ს ებ ზ ე ი დ ლ ი შ ვ ი ლ ი, წინამძღვაროვი გვარით, რუსულისა ენისა მცოდნე. მერეთ მოძღვარი კ. ციციანოვისა. მოკვდა 1827 წ. თვით მე გამიგონია მისგან შემდეგი ამბავი: „მოკვდა აფიცარი ლუტერანი 1801 წელსაო; არ ვიცოდი როგორ უნდა დაგვემარხაო. მიბრძანეს დაასაფლაეო. გადვიკიდე ოლარი და გავყევ მიცვალებულსაო, მოთქმით გალობისა: „არც ჩვენია, არც სხვისია, ეშმაკმან იცის ვისია“-ო. ესრეთი ხუმრობა მრავალი იცოდა მან მოხუცმან.

38) ზ ა ქ ა რ ი ა ს ი დ ო მ ო ნ ი ( ).

39) ი ა ს ე ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

40) თ ე ი მ ურ ა ზ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, მდივანბეგი, დიდი ჰკვიანი კაცი, ორჯერ სტამბოლში ელჩად გაგზავნილი. მოკვდა 1802 წელსა.

41) ბ ა რ ძ ი მ, (მოკვდა მოხუცი ღრმად 1827; ახლდა სპარსეთს მეფეს თეიმურაზს) და ზ ა ზ ა მიმბაში ბორტიშვილები მაჩაბლები. ბარძიმს მეფე უწოდებდა „უმანკო ტრედი“, და ზაზას „შევარდენი“. ზაზა დაესწრო ასპინძის ომში, როდესაც მეფის ძეს გიორგის არ დაუჯერა ტოტლებენმან მიშველება, მაშინ ზაზამ შეჰკივლა: „დაანებე მაგ. მ. . ძ. წამობრძანდით, ჩვენ შევებმით და გავიმარჯვებთო“. შემდეგ რუსთა შეიპყრეს ზაზა და ბაადურ მაჩაბელივე და ორნივე ციხეში დაიხოცნენ 1810. ამ ზაალს (?) უბოძა კეხვის ციხე, — მეფის ძემან დავით.

42) ზ ურ ა ბ ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი, მამა მიხაილისა. მეფემან გიორგიმ მიუჩინა რუსისა ჯარსა საგზლისა მისაცემად. მისცეს პირდაპირ ჩინი ტიტულიარნის სოვეტნიკობისა. მოკვდა მოხუცი 1819 წელსა, ანუ 1820 წელსა.

43) ნ ი კ ო ლ ო ზ ე ლ ი ო ზ ი შ ვ ი ლ ი, ნაზირი კათოლიკოსისა ანტონი მეორისა. თანა ჰყვა მას რუსეთს და უკუჩცეული მუნით მოკვდა 1857 წელსა ღრმად მოხუცი.

---

* ჩამატებულია ქობულიშვილის მიერ უადგილოდ. რ ე დ.

44) კათოლიკოსი ანტონი მეორე, [მეფის] ირაკლის ძე. უყვარდა მეფეს, ვითარცა ძმა თვისი და კაცი განკრძალული. საკვირველი სასოებიანი მწირველი. იონა მიტროპოლიტი და ექსარხი, ხშირად მეტყოდა ხოლმე მისთვის: რუსეთში მისგან ვისწავლე წირვაო. თვით იონა იყო დიდად სასოებიანი მწირველი. გარეგანსა ცერემონიასა გარდაემატებოდა მარადის ღირსებითა ცრემლთა დენითა და კრძალვითა აღსრულება სამღრთოჲსა ლიტურღიისა მისგან აღსრულება.

45) იუსტინე, მთავარ-ეპისკოპოსი [მაღალაშვილი, კაცი ფილოსოფოსი და გაზრდილი დიდის კათოლიკოსისა]გან. წირვისათვის მისისა იტყოდა მეფე გიორგი: „წირვა იუსტინესი არის გარედგან რაჲმე საჩვენებელი დიდისა საიდუმლოჲსა, რომელიცა არის ლიტურღია; კეთილი და პატიოსანი; მაგრამ გვავიწყებს და არა გვაგონებს ლიტურღიისა სიღრმესა; ვითარცა მზე ზამთრისა ანათებს და არ გვათბობს. წირვა უნდა ხვდებოდეს გულსა და არა თვალსა“. ესე ვიცი თვით მიტროპოლიტისა იოანე ბოდბელისაგან, და ხშირად მეტყოდა მეფისა თქმასა ამას იმერეთისა მიტროპოლიტიცა დავით წერეთელი.

46) არსენი თფილელი [ქართველთ მეფეთ ჩამომავლობა]. მოკვდა განდევნილი კათედრიდამ 1813 წელსა. ესე არა უყვარდა მეფეს გიორგის.

47) ვარლაამ, შემდეგ ექსარხოსად ყოფილი, ქსნის ერისთვისშვილი; მცოდნე ებრაულისა ენისა, დეკანოზი და მასწავლებელიცა ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე მეორისა გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ს. პ.-ბ. ებრაულისა ენისა მეტყოდა ვარლაამისთვის (1834 წელსა), რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლაამისა, რომელიცა დაიბეჭდაცა. მისგანვე ვარლაამისა ესწავა მრავალთა ქართულთა ლექსთა, ებრაულის ენისა სახმართა.

48) იოანე ბოდბელი [მაყაშვილი]. ამას არ უყვარდა მეფე გიორგი და მარადის მოიხსენებდა არა კეთილად. იყო ორგული მეფისა, თუმცა მიმალული. ძმასა მისსა ალექსანდრესთან აქვნდა იდუმალ მიწერ-მოწერა. ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1837 წელსა; იყო დიდი პურადი, დიდი ეკკლესიათა ძველთა განმაახლებელი. დიდად მეცადინებდა შემდგომად თვისსა ყოფილიყო ვინმე მღვდელმთავრად ბოდბეს და ვერვის დააჯერა. მრავალი ვიცი მისგან ძველი ამბავი და მრავალი მაქვნდა მასთან ბაასი მრავალთათვის საგანთა.

49) მიხაილ ნინოწმინდელი, არ უყვარდა მეფესა გიორგის. მოკვდა 1813 წელსა ბრმად. იყო მოწაფე ანტონი კათოლიკო-

სისა. ამან უქმნა სარდალსა დავით ყაფლანიშვილსა ზედა წარწერა, ღვთისა დედისა ხატზედ:

„სიტყვისა ღვთისა დედაო, ძღვენს მცირეს გაგიბედაო,
როს აწყურს მექმენ მწედაო, მუნ შოვნით გიმკობ ზედაო.
შენდა ვითხოვ ჟამსა არ დრობით
ვინ გამკობ არ დარიდობით“.

ხატი ესე დღესცა აქვს კ. მანანა ორბელიანსა, ვითარცა სამკაული და საუნჯე ოჯახისა. არის სახე ივერიისა ანუ კარისა ღვთისმშობლისა და გარემო 26 უსხედან წმიდანი ნაწილნი, ზედა წარწერებითა თვით წმიდათა მათ, რომელთაცა ნაწილნი განაშვენებენ ხატსა წმინდასა.

50) ამბროსი ნეკრესელი, ნამღვდელავი, მოკვდა თფილისს 1799 წელსა. ქალი მისი თინათინ იყო დედა ნ. ო. ფალავანდოვისა ღუბერნატორად ყოფილისა 1837 წელსა. ესე ამბროსი იყო უკანასკნელ ეპისკოპოსი ნეკრესისა, ლეკთაგან გაოხრებულისა.

51) გერვასი წილკნელი, გვარით მაჭავარიანი, ესე ეკურთხა მეფისა გიორგისა დროსა, რომელიცა მას ვერა სწყალობდა. რად? ვერ ვსცან; მოკვდა 1817 წელსა. ამის მეტი მეფის გიორგის დროს არ კურთხეულა ეპისკოპოსად.

52) მროველი.

53) ევთიმი, არქიმანდრიტი წინამძღვარი ნათლისმცემლის უდაბნოსი, მოძღვარი მეფისა. მისი იყო ხშირად საუბარში თქმა: „ქრისტეს ღვთის მადლითა“. ესე თქმა მიიღო თვით მეფემან გიორგი მისგან და ხშირად ხმარობდა საუბართა შინა და წერილთაცა თვისთა და თვით მიწერმოწერასაცა შინა სამეფოჲსა საქმეთა გამო.

54) იოანე ქარუმიძე, სამთავნელი, მერეთ მთავარ-ეპისკოპოსი, კაცი ნასწავლი. მოკვდა თფილისს და დაასაფლავა არსენი თფილელმან თვისსა სამეტოქოსა კვირა-ცხოვლისა ეკკლესიასა 1804 წელსა.

55) იულოს ურბნელი, თუხარელი. კაცი მაღალისა სათნოებისა, ღირსი ვითარცა მეუდაბნოე. მომხილველი ტრაპეზუნტისა და აღკეცილი ახლოს მისა ნათლისმცემლისა უდაბნოჲსა; წინამძღვარ-შან უდაბნოჲსა ამის უწოდა სახელი თვისი და მოვიდა ახალციხით თფილისად. იყო არქიმანდრიტად დიდისა ანტონისაგან ნაკურთხი. მანვე მიუბოძა ურბნისელობა.

56) სერაპიონ, წინამძღვარი დავით გარესჯისა.

57) ნეოფიტე, არქიმანდრიტი და წინამძღვარი მცხეთის დაუჯდომლობისა ეკვდერისა, დაქცეულისა 1838 წელსა. მოკვდა უადგილო, თფილისს 1841 წელსა.

58) ნიკოლოზ შუამთისა [მოძღვართ მოძღვარი, ნიკოლოზ ქობულოვი]* მოკვდა 1803 წელსა.

59) ნიკიფორე შიო მღვიმისა, რომელიცა დაიკეტა ლეკთა გამო 1800 წ. 1802-დმდე ( ).

60) გამალიელ, წინამძღვარი იკორთისა, მოკვდა 1816 წელსა. არ უყვარდა ამას ვარლაამ ექსარხოსი, რადგანაც ებრძოდა ერისთვიანთა ყმათა და მამულთათვის ძველად შეწირულთა და მისგან ექსარხისა მიმალულითა.

61) ათანასი ჯვარის-მამა, ბერძენი, მოკვდა პატრიარქად იერუსალიმისა 1834 წ.

62) ნიკიფორე, არქიდიაკონი იოანე ბოდბლისა; მერეთ არქიმანდრიტი ხირსისა, მერეთ ეპისკოპოსი გორისა და ვიკარი ექსარხოსთა. მოკვდა 1850 წელსა. სნეულმან მდებარემან სარეცელსა მრავლად ეცადა ენახა და მიეღო კურთხევა ექსარხისა ისიდორესი, გარნა ამან არ ნახა, მტერობისა გამო მისდა და მეშურნეობისა, რომელ მას უმეტესსა უძღვიდენ პატივისცემასა კ. ვორონცოვი და სხვანიცა. — მე თვით ვარ მოწამე ამისი და თვით ვიყავ შუამავლად რათა ენახა მას იგი.

63) . . სირა-მთისა.

64) . ათონისა.

65) იოაკიმ ვიკარი კიპრიისა მონასტრისა. იქმნა ეპისკოპოსად ახტალისა 1803 წელსა, მოკვდა 1829 წელსა. ამას ახლდა დიაჩოქად ფასილი... რომელმანცა მიიღო დეკანოზობისა ხარისხი და აღაშენა ხარფუხს თფილისს ეკკლესია გუმბათიანი წმინდისა ნიკოლოზისა სახელზედ.

66) ტრიფილე, აღმწერელი წიგნთა, წინამძღვარი ჯვარისა მონასტრისა, არაგვს გაღმა პირის-პირ მცხეთისა. მოკვდა 1818 წელსა.

67) იოსტოს, მღვდელ-მონოზონი ანდრონიკაშვილი [კაცი ფილოსოფოსი და ერთგული მეფეთა]. მოკვდა ვეჯინსა კახეთში.

68) იოანე ოსეშვილი [სიონის მღვდელი იყო]* ( ).

69) ონისიმე იოსელიანი [საყვარელი მეფის გიორგისა] იოსებ კათოლიკოსისაგან ნაკურთხი. მამა მისი ქრისტეფორე გადმოვიდა

---

* პ. იოსელიანს ბარბარე ქობულიშვილის ჩანაწერი (შეტანილია კვადრ. ფრჩხ-ში) შემდეგ შეუსწორებია. რადგან სიტყვა „ნიკოლოზ“ თვითონ მას დაუწერია ნომრის (№ 58) შემდეგ, ამიტომ ეს სახელი ქობულიშვილის ფრაზიდან ამოუგდია. ჩვენ ის აღვადგინეთ. (შდრ. ძვ. გამოცემა, გვ. 315). რედ.

** ხელნაწერში, ქობულიშვილის ამ ფრაზაში, პ. იოსელიანს წაუშლია სიტყვა „მღვდელი“ და მის ნაცვლად დაუწერია „დეკანოზი“. (შდრ. ძვ. გამოცემა, გვ. 316). რედ.

იმერეთით წყალ-ტუმბოდგან. ორნი ძმანი მისნი დაიხოცნენ ჰარის ომში. კათოლიკოსსა ანტონის უნებდა, რათა მიჰყიდოს მან მამული თვისი და ვენახი მარტყოფს „სესიაური“ სხვასა. უარისათვის გადააყენა მღვდელობიდამ. მეფემან თეიმურაზ იწყინა და კვალად გახსნეს კრულებიდამ.

70) სოლომონ დეკანოზი ანჩის-ხატისა [ალექსიევი]. მწერალი და მწიგნობარი; ძე ალექსი დეკანოზისა, მწერალისავე ჩინებულისა. მოკვდა 1808 წელს; ამან 1795 წელსა ზურგით გაიტანა ხატი პირის მღვთისისა ქალაქიდამ, დაუდვა ურემსა მცხეთაში და აქედამ გასული არაგვსა წარვიდა თელავსა და დახიზნა მუნ იგი წინ ქეთევან დედოფლის ეკკლესიასა.

71) კეჟერაშვილი მარტყოფელი, მბეჭდავი წიგნთა.

72) აბრამ, გვარით ურიათყოფილი, მოუსტვინეშვილად წოდებული, მბეჭდავი წიგნთა, პატივცემული მეფისაგან; მეგობარი დავით სარდლისა ორბელიანისა; მშრომელი მეტეხისა ეკკლესიისა განახლებაზედ სოფელსა მეტეხს. დიდი მლოცველი და მემარხულე, და მღვდელი განკრძალული. იდგა მარტყოფს.

73) ზაქარია სულხანოვი, მბეჭდავი წიგნთა, მოძღვარი დედოფლისა დარეჯანისა. დაახლოებული მეფისა გიორგისა. მოკვდა 1820 წელსა.

74) ისაკ მწიგნობარი, სიონისა თფილისს ეკკლესიასთან მცხოვრები. მოკვდა 1799 წელსა. მეფემან გიორგიმ თავისის ხარჯითა დაასაფლავა იგი მუნვე. მეფის ძემან დავით იახლა თვისთან, ოდეს მოიხილა ერევანი და განჯა, ეჩმიაწინისა ეკკლესიასა შინა შესულმან, არ დაიწერა პირჯვარი და ამით აწყინა სომეხთა ოქევარტერსა ლუკას, ამან არ მიიღო მღვდელობისა ხარისხი სიმდაბლისა გამო და იმავე მწიგნობრისა ანუ მკითხველისა ხარისხითა აღსრულდა.

75) ჰარონ მღვდელი ალექსიევი. ეახლა კათოლიკოსსა ანტონის მეორეს. არ უყვარდა ესე მეფეს. მოკვდა თფილისს 1827 წელსა.

76) ელევთერი, საყვარელი მეფის გიორგისა მღვდელობაში. 1804 ბერი და არქიმანდრიტი. 1812 წელსა წინა უძღოდა კახეთისა დამამშვიდებელსა, გარნა მრავალთა თავადთა, აზნაურთა და სამღვდელოთა ბოროტად და შეუწყალებელად დამსჯელსა ღენერალსა დიმიტრი ორბელიანსა. აქა შეიძაგეს იგი. შეიძაგა თვით ერმალოვმაცა. გარნა უყვარდა მრავალთა პურადობისათვის და ტკბილისა ხასიათისათვის. მოკვდა 1825 წელსა.

77) გოგია დიაკვანი [საყვარელი მეფის გიორგისა]. სახლობა მისი ახლდა მას და დედოფალსა მსახურებად. იყო გარკვევით ლექსთა

და აზრთა გამოხატვით მკითხველი ეკკლესიისა წიგნთა. ხმა მისი არის, — ბრძანებდა მეფე, — ხმა ლოცვისა და ვედრებისა, ხმა საგალობელისა ხმათაო.

78) დავით მღვდელი ჩუბინიძე, ნათლისმცემლის ეკკლესიისა აწ დაქცეულისა, და იესე დეკანოზი, შვილი მისი. ამას აქვნდა შუნ სასწავლებელი, სადაცა მეცა ვსწავლობდი ქართულისა კითხვასა და წერასა ხარისა ბეჭის ძვალზედ დროთა ჩვეულებისა გამო. 1817 გაუქმდა სასწავლებელი ესე და გადაგვიყვანეს სემენარიასა, რომელიცა განხსნა მასვე წელსა 1 ოქტომბერსა ექსარხოსთან თეოფილაქტე. კარგად მახსოვს დღე ესე 8 წლისას, ოდეს რექტორმან პირველმან ეიტალი კურთხევისა დროსა და სხურებისა გვიბრძანა ეუყრიდეთ თეოფილაქტეს ყვავილოვანთა ბალახთა.

79) ზოსიმე, ბერი დავით გარესჯელი, გამომკვეთელი სენაკისა და კანკელისა, თფილისს სიონისა შემმზადებელი.

80) ილარიონ არქიმანდრიტი, ვაჩნაძე; — მრავალი დასდვა ამაგი საბა წმინდის მონასტრის განახლებაზედ კახეთს.

81) დარჩია მელიქი ბებუთაშვილი, კუზიანი ტანით და ფრთხილი საქმეში კაცი. პატივს სცემდა მას მეფე გიორგი, თუმცა განარისხაცა ორგულობისა შეწამებისაგამო. მოკვდა 1827 წელსა.

82) სტეფანე გურგინბეგიშვილი, კაცი მდიდარი და დარბაისელი, მოკვდა 1808 წელსა.

83) ოსეფა ბებუთაშვილი, მიშკარბაში, მამა ვასილისა ღენერალ ოტინფანტერისა. ელჩად ხმარობდა მას ეჩმიაწინსა და ერევანსა. მოკვდა 1807 წელსა.

84) აღა დანიელ ფითუაშვილ[ნ]ი, მოქალაქენი დარბაისელნი.

85) . . მუნთუაშვილი.

86) მიკირტუმ თაყუაშვილი, სასახლისა კაცი და მოქალაქე.

87) აღალო ოქუაშვილი, დიდი მდიდარი საკათოლიკოსო ყმა.

88) რევაზ და ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიზიყისა მოურავნი ( ).

89) იოანე ანდრონიკაშვილი ეშიკაღაბაში; მემკვიდრისა შახლობელი და ერთგული. გარდაიცვალა 1830 წელსა.

90) სვიმონ აბაშიძე, მეფის გიორგისა მძახალი და მისგან პატივცემული.

91) სვიმონ ბებურიშვილი, დიდი და გამოჩენილი ვაჟკაცი, გმირთა გმირი. ესე გაიქცა 1803 წელსა და მივიდა თეისსა ძმასთან ადამთან, რომელიცა ახლდა მეფის ძეს ალექსანდრეს. დამსწრემან რუსთა თანა სპარსთა ომისა, შეიძინა სპარსნი მხდალნი. ამისთვის უიმედო მათგან გამოვიდა რუსთან და გამოიყვანაცა ძმა თვისი.

92) თადია ჩოლაყაშვილი, — გაიქცა სპარსეთსა ალექსანდრესთან და მერეთ მობრუნდა. მოკვდა 1836 წელსა. მეფე გიორგიმ მიანდო მზრუნველობა რუსთა ჯარისათვის, რომელიცა იდგა საგარეჯოში და ახლო მისსა სოფლებში.

93) ჰუსეინოღლი სულიან, ბორჩალოელი, მეფისა მცნობი; საქმეთა შინა მრავალთა მისგან ხმარებული. შემდგომად მეფისა არ დამორჩილდა რუსთა და ივლტოდა სპარსეთად.

94) ალიბეგ, სულთანი ყაზახისა, მდიდარი საქონლითა, შემნახავი მეფისა გიორგისა, ცხვრისა და ძროხის არვეთა. ივლტოდა სპარსეთად.

95) იბრაღიმ, სულთანი შამშადილისა. ამას ებარა მეფისა ჯორები და აქლემები.

96) პეტრე ლარაძე, მოლექსე და მწიგნობარი, შვილი მღვდელთა ხარებისა ეკკლესიისა, რომელიცა თეიმურაზ მეფემან მოუღო ფრანგთა. მოკვდა 1837 წელსა.

97) დავით რექტორი ალექსიევი. მოკვდა 1825 წელსა.

98) ომან ხერხეულიძე, აღმწერელი მეფის ირაკლის ცხოვრებისა; მოკვდა 1805 წელსა. ახლდა იულონსა და მომდურავი მისი ეახლა მეფეს გიორგის, რომელმანცა უბოძა მდივნობა კახეთისა ოქმითა.

99) სტეფანე ფერშანგი, გორელი სომეხი, მოლექსე. ამან ტყვედ მოყვანილსა ლეკსა ოსოქოლელსა ასესხა ფული რვა თუმანი და დაიხსნა მაჩაბლისაგან, პირობითა, რომ გამოუგზავნის. ლეკმა დაიცვა სიტყვა მიცემული და გამოუგზავნა რვისა ნაცვლად ათი. სცნო ესე მეფემან და იამა მეფესა. — იყო სტეფანე მოიჯარადრე ბურნუთისა და თამბაქოსი თფილისს. მრავალია მისგან დაწერილი ლექსი. მოკვდა თფილისს, 1839 წელსა, ღრმად მოხუცი.

100) დიმიტრი, იოსებ მდივნის შვილი, გვარით თუმანიშვილი. მოლექსე. მოკვდა 1821 წელსა. ახლდა მეფის ძეს მიხაილს. ს.-ჰ. ბ.

მისგან დაწერილსა ლექსსა სიყვარულითსა:

„სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი“.

უქმნა დაწუნება ლექსადვე მღვდელმან ეგნატე იოსელიანმან. ამას შეუდგინეს ბაასი. მიწერ-მოწერისა ესე წიგნაკი, წარკითხული ჩემსა სიყრმეში, ვეღარსად და ვერვისთან ვჰპოვე. დიდის გონიერებით იყო ორთავე მხრიდგან ნაწერი. — იყვნენ სიყრმით მეგობარნი და მეზობელნი სახლთა სადგურით, მეფეთა სასახლისა.

101) ბესიკი ახუ ბესარიონ გაბაშვილი, მოლექსე, მოკვდა 1799 წელსა *; ამაზედ მრავალი სწერია და მე არღა განვიმეორე.

102) სოლომანა აბამელიქი, ბიძა მეფის რძლის ელენესი. დავით მემკვიდრის ცოლისა. მეფე გიორგი პატივს სცემდა, პატივისცემისათვის თვისისა რძლისა. მოკვდა ბრმა, ღრმად მოხუცი 1823 წელსა.

103) . . . . საათნავა, სომები თფილისელი, ცნობილი გვამი, გამოჩენილი მოლექსე. მოკვდა 1801 წელსა; იყო მწერალი მარტივითა საუბარისა ენითა, გარნა ჰაზრთა მკვეთრთა მეჩონი. მისთა თქმათა დღესაც იგავად იტყვიან ქართველნი; იყო მომღერალიცა, იყო სომეხი და სძაგდა სომები; ამისთვის ემდუროდენ სომებნი.

104) ოთარ ქობულიშვილი, სოფლისა კისისხევისა, დესპანი ქართველთა მოსკოესა, ოდეს შეერთდა საქართველო რუსეთსა 1801 წელსა. გარდაიცვალა 1830 წელსა; იყო ესეცა მოლექსე სიყვარულისა და მიჯნურობისა. ლექსთა მისთა იმღერდენ ქართველთა მოსაკრავენი და მეჩიანურენი.

105) გიორგი ავალიშვილი, ცოლისძმა გარსევან ჭავჭავაძისა.

106) იაია ავალიშვილი, ძმა გიორგისა, ცოლის ძმა გარსევან ჭავჭავაძისა. იყო დესპანად, ოდეს შეერთდა საქართველო რუსეთსა 1801 წელსა. მოკვდა კახეთს 1837 წელსა.

107) გარსევან ჭავჭავაძე, გვამი ცნობილი.

108) პაატა ჭავჭავაძე. ამას მიანდო მეფემან ირაკლი გამოყვანა 900 ლეკისა და სარდლობაცა იმერეთისაკენ, მუნ მისრულთა ლეკთა შესაწევნელად ქართველთა ჯარისა, ოდეს დასევს მეფედ სოლომონ. ლეკთა აღაოხრეს იმერეთი, დაიტაცეს ეკკლესიათა სამკაულნი და ბარძიმ-ფეშხუმი ჰქმნეს ჴურჭელად ჭრაქისა ასანთობელად. ესე იწყინეს იმერთა და დიდად ემდურვოდეს მისსა სარდლობასა. იტყვიან დღედმდე იმერელთა თფილისისა აღებისა დღესა სპარსთაგან, მაგიერი გარდუხადეს ქართველთაო: ე. ი. გაცარცევეს თფილისიო.

109) ნიკოლოზ მხატვარი აბხაზი, შვილი მისი იოანე იქმნა შემდგომად ღენერალი ( ). დედოფალმან დარეჯან დაახატვინა ამას კანკელი ანანურისა ეკკლესიისა და სხვაბაცა ეკკლესიათა, ამანვე განაახლა სიფრთხილით ანანურისა ეკკლესიისა კედელზედ დახატულნი ძველად 13 ასურელთა მამათა ხატნი. დღეს არღა არიან ესენი.

110) იოსებ კალატოზიშვილი, ახლდა მეფესა გიორგის და მერეთ დედოფალსა მარიამს; ამან გასცა დედოფალი, რომელსაცა

* ბესიკი გარდ. 1791 წ. იანვარში. რედ.

უნებდა გაქცევა ქალაქიდამ თუშეთსა ანუ ფშავ-ხევსურეთსა. კნიაზმან ციციანოვმან დაასაჩუქრა იგი; მოკვდა 1834 წელსა. მრავლად ემდუროდა მას მეფის ძე თეიმურაზ; როტიე გოლლანდიელი სწერს მისთვის თვისსა წიგნში. თუმცა ახსენებს მას გვარით და არა სახელით.

111) იოანე აბხაზი კარდანახელი, კაცი ქრისტიანე და პატივცემული; მოკვდა 1828 წელსა ( ). ესე გაგზავნა მეფემან გიორგი თელავსა ორჯერ და გაატანა სანთლები კელაპტრები, რათა დღესა ქეთევან დედოფლობისსა, დაესწროს წირვისა ჟამსა მცირესა ეკკლესიასა შინა, აღშენებულსა მუნ თეიმურაზ მეფისაგან პირველისა. ესე ეკკლესია არის პირველი, ნაკურთხი ქეთევან დედოფლისა წამებულისა სახელზედ.

112) ალექსანდრე მაყაშვილი, ეშიკაღაბაში მეფისა გიორგისა, ძე გამდელისა მისისა სეიმონისა. გარდაიცვალა 1823 წელსა ცხენიდამ გადმოვარდნით, ოდეს მიეგებებოდა მისულსა კახეთად და მიმავალსა გომბორისა გზით ექსარხოსსა იონას. ამანვე დაასაფლავა იგი იყალთოს მონასტერსა.

113) სვიმონ მაყაშვილი, ლალა მეფისა გიორგისა, დასაფლავდა იყალთოს მონასტერსა ( ).

114) დავით ჯიმშერიშვილი, ჩოლაყაშვილი, დიდად ნიჭებული კაცის სიტყვითა და მწერლობითა ( ).

115) გიორგი თუმანიშვილი, ძე ეგნატ მდივნისა, მოყვარე მწიგნობრობისა და მწერლობისა, ამან შეკრიბა ერთ წიგნად ლექსნი ძველად თქმულნი და უწოდა ქართველთა მწერლობისა ამის საუნჯესა „მრავალ-ყვავილოვანი“. დღესცა აქუს იგი შვილსა მისსა ღენერალ-მაიორსა ალექსანდრეს. მოკვდა 1837 წელსა.

116) იოანე აბამელიქი, ძმა მეფის რძლის ელენესი ( ).

117) სოლომონ (სოღომონ) აბამელიქი, ბიძა მეფის რძლის ელენესი, მოკვდა 1827 წ.

118) მირზა აფრიამა ენაკოლოფაშვილი, სპარსეთიდამ მოსული. მეფემან გიორგიმ სამჯერ წარავლინა ერევნის ხანთან და მუნით შირვანსა ტყვეთა ქართველთა, დაშოენილთა მუნ დროსა თფილისის აოხრებისა, მოსაყვანად. მოკვდა 1824 წელსა.

119) შიო მეჭიანური, ქებული მრავალთაგან და მომღერალიცა. მოკვდა 1828 წელსა, ჭვემული დროთა ცვლილებისაგან, მტირალი წარსულთა ჟამთათვის, მისთვის ტკბილთა და ცრემლით მოსაგონთა. თვით პოეტი, გოდებით ჰკრავდა ჩანგთა და აგოდებდა თვით ჩანგსა.

120) დავითა მეთარე, წავკისელი.

121) [აღაჯა, მომღერალი], სომეხი თფილისელი.

122) [ალაეერდა მომღერალი], თფილისელი თათარი.

123) ნინია, დურგალი ლალიაშვილი, ჩინებული ხელოსანი*.

124) გლახა კალატოზი ზაზიაშვილი, სომეხი. ამან ააშენა ეკკლესია მარტყოფს გუმბათიანი და იქავე დაასაფლავა რუსთველმან სტეფანე 1826 წელსა.

125) ოქრომჭედელი [გაბრიელ მასხალოვი], (აწ ბასხაროვი), მისგან მრავალია ნაკეთები ბარძიმ-ფეშხუმნი, ჯვარნი და ხატნი შემკულნი. ალევის სამების ეკკლესიაში არის ერთი მისგან გაკეთებული სასანთლე ვეცხლისა ბატკნად ანუ ცხვრად ნაკეთი ვეცხლისა. ესე შეუწირავს მეფისა გიორგის ძეს იოანეს, როგორც სჩანს ზედა წარწერიდამ.

126) სამართებლების** მკეთებელი ივანე ზოტიშვილი. ქალაქსა ს.-პ. ბ. გაეცან 1843 წელსა . . . სლივიცკი მოხუცი, შამა მის სლივიცკისა, რომლისაცა ძეგლად სიმხნისა იმპერატორმან ნიკოლოზ უწოდა სიმაგრესა ერთსა პოლშაში „ფორტი სლივიცკისა“. ესე მოხუცი სლივიცკი იყო ზუბოვისა ადიუტანტი დერბენტსა და როდესაც იმპერატორმან პავლე დააბრუნა ჯარი რუსეთად, მაშინ მოვიდა იგი თფილისს 1797*** წელსა და მოისყიდა სამართებლები****, ეგონა კიდევ იყო ხელოვნება ესე მუნ და მისხოვდა დაუბარო მას რაოდენიმე. თვითონ მიეე თვითო აბაზიო. არცა ერთი ევროპაში ნაკეთი არ შეედრება თფილისისა სამართებლებსაო*****.—ესრეთ ადვილათ იკარგება ხელოვნება?

127) ასლან ორბელიანი, ეშიკაღაბაში მეფისა; მცოდნე სპარსულისა ენისა, დასაფლავდა მთაწმინდას თფილისში.....წელსა 1826. ერმოლოვისა თხოვითა დაამშვიდა აღრეულობა ყაზახში და არცა მიუდგა მეფის ძეს ალექსანდრეს, რომელთა წერილთა არ უმალევდა ერმოლოვსა. შემდგომად სპარსთა დამარცხებისა შამქორს ერმოლოვმან ჰკითხა ასლანს: „მითხარ, გიყვარვარ თუ არაო?..“ ასლანმან

---

* №№ 122 და 123-ის შორის წაშლილია სიტყვები:
[საათნავა მოლექსე და მომღერალი]

ზაალ, პაატა, ოტია ისმაილა, უსეინა თარუმა, პოღოს	მომღერალნი ქართველნი თათარნი სომეხნი.

პირველი სტრიქონი (კვ. ფრჩხილებში) ეკუთვნის ბარბარე ჭობულიშვილს.

** ხელნაწ. „სამართლებისა“. რ ე დ.

*** ხელნაწ. 1897.

**** ხელნაწ. „სამართლები“

***** ხელნაწ. „სამართლებსაო“.

უპასუხა: „სარდალო, არც მყვარებიხარ და არც მიყვარხარო“.— მოიწონა ესე სწორე მისი თქმა და უთხრა: ერეევანსა რომ შემოვადგებით, მაშინ შევრიგდებითო.

128) იოანე სარდალი, ოდეს კ. ციციანოვისა დროსა წარვიდა ჯარში, მაშინ ესე და ასლანცა და სხვანი თავადნი იგდეს ტყვედ სპარსთა. ფათალიშახმანნახა ესე იოანე და ოდეს იხილა მისსა გულზედ ვარსკვლავი ანნასი, ბოძებული იმპერატორისაგან, მაშინ ჰყვედრა მრავალი, მისწვდა თვით ვარსკვლავსა, მოგლიჯა იგი და გარდააგდო და უბრძანა: „ამისთვის უღალატე შენს მეფესა და ქვეყანასაო?“— მოქცეული თვისდა გარდაიცვალა თფილისს .

129) აბელ ჩოლაყაშვილი, მეფისგან გიორგისა შერისხული თელავს, სადაცა მოვიდა გვიან და არა უნებდა მოწერა ხელისა ფიცისა ქაღალდზედ. 1812 წელსა უღალატა რუსთა, რომელთაცა გაგზავნეს სიბირს; უკუ მოქცეული მოკვდა კახეთს 1838 წელსა.

130) აბელ ანდრონიკაშვილი, მიმბაში მეფისა გიორგისა, აღმაშენებელი ქოდალას ღვთაებისა გუმბათიანისა ეკკლესიისა ქაშოეთისა თფილისს ეკკლესიისა პლანისა. 1812 წელსა ბუნტისა გამო გაგზავნეს სიბირსა და უკუმოიქცა 1817 წელსა. იყო სიძე სარდლის იოანესი. მოკვდა და დაეფლა მუნვე 1835 წელსა.

131) თომა ანდრონიკაშვილი, შვილისშვილი მეფისა მეფისასულის ბარბარესაგან, ჯერეთ ყრმა იზრდებოდა მეფესთან. მოკვდა 1847 წელსა.

132) დავით მიმბაში თარხნიშვილი. ცოლი ამისი მაკრინა იყო ცოლის და დადიანის ლეონისა, და დედიდაჲ დავით უკანასკნელისა დადიანისა. გარდაიცვალა 1837 წელსა. ესე იყო მიმქმელი მეფის რძლის ელენესი, მეფის ძის დავითის ცოლისა (მემკვიდრისა), ოდეს მიიღო მართლმადიდებლობითი სარწმუნოება.

133) გიორგი ჩოლაყაშვილი, შერჩა მეფესა გიორგის, ვითარცა მეფის ძის ბაგრატის ნათესავსა ცოლით, და ვერ შერჩა რუსთა, რომელთაცა უღალატა 1812 წელსა; ამისათვის პყრობილი თფილისის ციხესა, მოკვდა 1813 წელსა.

134) ადამ ანდრონიკაშვილი, მილახვარი მეფის გიორგისა. 1801 წელსა გაჰყვა სპარსეთსა მეფის ძეს ალექსანდრეს. მოვიდა მუნით 1804 წელსა. მოხუცი 80 წლისა მოკვდა 1854 წელსა ვეჯინში.

135) ბეცია თურქისტანაშვილი, ესე იყო მოურავად ტირძნისა სოფლისა, მეფისაგან გიორგისა დადგენილად.

ტირძნისისათვის, სადაცა იყო ეგნატი იოსელიანი, სწერს შემდეგსა:

„ტირძნისი ყოფილა არაგვის ერისთვის საპურე სოფელი და მეფემ ირაკლი არაგვთან ტირძნისიცა ჩამოართვა არაგვის ერისთავთა.

„მაშინ ტირძნისი მისცა სარჩოდ ხერთვისისა ბეგსა ახალციხიდამ აქ გადმოვარდნილსა. მას ბეგს გამოართვა მეფემ ერეკლემ და მისცა სამოურაოდ დავით ვისმე აბაშიძეს, და შემდგომად აბაშიძისა, მისცა მეფემ ერეკლემ მეთოდი რაჭის ერისთავს. შემდგომად გარდაცვალებისა მეფის ირაკლისა, გამეფებულმან მეფემან გიორგი წარგზავნა გამგედ მის სოფლისა ბეცია თურქისტანიშვილი და როდესაც ახალსა დროსა მეფისა გიორგისა გამეფებისა, დავით ბატონიშვილი გადმოვიდა რუსეთით და ლაშქაროვის მაგიერ სოფელი სთხოვა მეფესა, მაშინ მეფემან დაუწერინა სიგელი ტირძნისისა რომ არის ლაშქაროვისაო. მაშინ ის სოფელი მიაბარა მეფემან სიგლითურთ დავით ბატონიშვილსა. დავით ბატონიშვილმან გამგზავნა მე განმგედ მის სოფლისა და მე გამოვსცვალე ბეცია და ვიყავ ორს წელს გამგე მისი ჩ ღ ე ბ და ჩ ყ ე თ და რაც გამოსავალი იყო სოფლიდამ ჩემს სარგოს მე ვიღებდი და საბატონოს ვუგზავნიდი დავით ბატონიშვილსა. მერმე მე გამომცვალა სვიმონ გაბაშვილმან 1799 წელსა. 1802 წელსა რუსეთით მოვიდა ნიკოლოზონიკოვი და ლაშქაროვსა ტირძნისი მიებარებინა მისთვის. ამისთვის მან ონიკოვმან გამოსცვალა სვიმონ გაბაშვილი და მიიღო ონიკოვმან ტირძნისი. შემდგომად მისსა მიიბარა ლაშქაროვისაგან და ონიკოვისა იოსებ დეკანოზმან წინამძღვრიშვილმან. ამისისა მოქმედებითა გაისყიდა ტირძნისი და მიესყიდა სულხანოვს“.

136) ი ო ბ ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე. ესე იყო მოურავი და სალთხუცესი მუხრან-ბატონისა; მეფე გიორგი სწყალობდა მას ვითარცა მეფეთა ერთგულსა და უბრძანებდა ყოველთვის საამოდ მისდა სიტყვათა. თვით მუხრან-ბატონი ექცეოდა მას ვითარცა კაცსა დარბაისელსა. მოკვდა მოხუცი 1819 წელსა.

137) დ ი მ ი ტ რ ი ს ა გ ი ნ ო ვ ი. ზედამხედველი ქ. თფილისს თამბაქოს იჯარისა მეფისა გიორგისა დროს. ნაცვლად ამისა მიეცა რუსთაგან პენსია. მოკვდა 1821 წელსა.

138) შ ი ო შ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ძე სულხანისა. მეფე ირაკლი სწერს მამასა მისსა სულხანს შემდეგსა წერილსა, რომელსა შინა მოიხსენებს შიოშსაცა:

„ჩვენ მაგიერად თუმანოვს მდივანს სულხანს მრავალი მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წარმოგზავნილი მაიორის დისწული დავით, მრავლის საქმეების გამო აქამომდე ვერ გამოვისტუმრეთ, რომელიც ამ დროს ჩვენის ქვეყნის ამბის ვითარება იყო; ჩვენი წიგნები მოგივა და ყოველსავე იმით სცნობ. ამ დავითის ხელით რომ წიგნე-

ბი წარმოგეგზავნა შენის ძმის წიგნში, შენი დიახ შეწუხება მოგეწერა ულუფის მოუცემლობის მიზეზზედ, და ჩვენ ამისთვის წარსულს ჟამს ერთი წიგნი მოვსწერეთ აშტარხანს თარხან-აღაშვილს სტეფანეს და სამოცს თუმანს დავესესხენით, რომ მანდ შენთვის უნდა გამოეგზავნა და მაგიერი ჩვენგან მიეღო, და ერთი წიგნიც იოსებ არქიერს მივსწერეთ და იმასაც ასს თუმანს დავესესხენით შენთვის მოსაცემად და ჯერეთაც არ ვიცით ჩვენის მიწერილობისამებრ ხელი გაგიმართეს თუ არა, რადგანც აქაური ამბავი ყოველივე ამ ახლის ჟამში მოწერილი გექონდა, რომელსაცა ჩვენის წიგნებითა სცნობ; ამისათვის ამ წიგნით ამბავს აღარას მოვიწერეთ: აქაური ნაღველი ნურა გაქვს რა, ღვთის მოწყალებით ვინცა ვინ შენიანი არიან, ყველანი მშვიდობით იმყოფებიან, და შენს შვილს შიოშს ჩვენ ფეშქაშნივისობა ვუბოძეთ ქართლისა.

წელსა 1791.
აგვისტოს 20.

ირაკლი

ესე შიოშ იყო შემდეგ გუბერნიისა გახსნისა მიღებული რუსთა მთავრობისაგანცა; მოკვდა 1829 წელსა.

139) იოსებ მელიქიშვილი, ხაზინადარი. ამას უბოძა მეფემან გიორგი ლაშქარ-ნივისობა სომხითისა და საბარათაშვილოსი *. მოკვდა 1830 წელსა.

140) სოლომონ ავალიშვილი, კახელი; 1800 წელსა, ოდეს რუსის ჯარი წარვიდა ყაზახსა, მაშინ წარატანა ჯარი ქართველთა 600 კაცი არაგველი სოლომონს. შვილი ამისი ივანე იყო ღენერალ-მაიორი და მოკვდა 1861 წელსა.

141) ზურაბ ყაფლანიშვილი, იყო ზედამხედველი თფილისის ბაჟისა, მოკვდა 1827 წელსა. ესე იყო მამა ღენერალ-ოტინფანტერისა კ. გრიგორი ორბელიანისა.

142) გიორგი ყაფლანიშვილი, ნაზირი მეფისა გიორგისა, მცოდნე არაბულისა, სპარსულისა და თათრულისა ენათა. მოკვდა 1810 წელსა,

143) ელიზბარ ერისთავისშვილი, ყულარაღასი. ესე გადავიდა იმერეთსა და მუნ შეირთო ცოლად ქალი იმერთა მეფისა სოლომონ დიდისა. დაახლოებული იმერთა მეფისა დავითისა, ურჩევდა შიწერა-მოწერასა რუსეთთან და ჰგონებდა ამით ქსნის საერისთავოსა

* ხელ. „საბარათაშვილისა".

მოპოვებასა, ჩამორთმეულისა ქართლისა მეფისაგან. მეფემან სოლომონ მეორემან ჩამოართო სოფლები იმერეთსა ნაშოვნნი და მიუბოძა რა იგინი მალხაზ ანდრონიკაშვილსა, რომელიცა იყო ქმარი მეფის ძის არჩილის ქალისა მარიამისა. გადმოსრული იმერეთით მოკვდა ქართლსა 18 წელსა.

144) მალხაზ ანდრონიკაშვილი, ამას ჰყვანდა ცოლად მეფის ძის არჩილის ქალი მარიამ და სცხოვრებდა იმერეთსა. შემდგომად მეფისა გიორგისა ებრძოდა რუსთა, ვითარცა ერთგული იმერთა მეფისა სოლომონისა. 1811 წელსა წარვიდა სპარსეთად და უკუმოქცეული მივიდა ახალციხეს და ტრაპეზუნტსა. აქა მოკვდა მეფე სოლომონ 1815 წელსა. მალხაზ მერეთ მობრუნდა კახეთსა და მოკვდა აქა 18 . . ; ღენერალ ლეიტენანტი იოანე მალხაზიჩი ანდრონიკოვი—დღესცა ცოცხალი არის შვილი მისი.

145) ნინია ჩერქეზიშვილი, კაკაბეთის მოურავი. დამსწრე ნიახურას ომშიაც. საყვარელი მეფისა.

146) ზაალ ანდრონიკაშვილი, სალთხუცესი მეფის ძის იოანესი. დიდი ერთგული მეფისა.

147) დიმიტრი ჩოლაყაშვილი, ფშავისა, ხევსურისა და თუშეთისა მოურავი.

148) იოსებ ჭავჭავაძე, ნაზირი მეფისა.

149) ადამ ვაჩნაძე, დიდი ვაჟკაცი. ამან მოჰკლა თოფითა ჯუნგუთაი (?) დაღესტნელი, რომლისა თავი მოართვეს მეფესა შემდგომად ნიახურას ომისა.

150) ილია ავალიშვილი. ესე გაგზავნა მეფემან გიორგი ძმასთან ალექსანდრესთან ჰარსა წერილითა მასთან და ომარხანთან წინათ ნიახურას ომისა. წერილითა ამით მოუწოდებდა ძმასა დამორჩილდეს და არა შევიდეს ქრისტიანეთა სისხლის ღვრასა ლეკთა შეწევნითა.

151) პაატა აბაშიძე ქართველელი, ნაზირი; ამან შეიპყრა გზაზედ კაცი, ძმისაგან მეფისა ალექსანდრესაგან გაგზავნილი იმერეთსა და მოართვა მეფესა თფილისს. წერილითა ამით სთხოვდა მოსცეს ჯარი თვისი იულონს, რათა განაძიონ მეფე გიორგი მეფობიდამ და მისდა ნაცვლად დასვან იულონ. ამასავე დროსა უნიშნავდა დღესა, როდესაც უნდა შემოვიდეს ლეკთა ჯარი და განაძიონ თფილისიდამ თვით რუსნიცა, მეფისა გიორგისაგან მოყვანილნი საქართველოსა.

მეფემან აჩვენა ესე რუსისა ღენერალსა და თვით ნამდვილი უბრძანა კაცსა ძმისა თვისისა ალექსანდრესსა, წარიღოს და მიართვას მეფესა სოლომონს.

152) გიორგი ხერხეულიძე. მეფემან წარაველინა ესე და ზაალ ბარათაშვილი მდივანბეგი დემურჩალოს, ბრძანებითა, რათა ჩამოართოს მოურავობა ესე მეამბოხესა თამაზს ყაფლანიშვილსა და მიიბაროს ზაალ ბარათაშვილმან. დარეჯან დედოფალმან იწყინა ესე და იქმნა დიდი შფოთი წინათ გარდაცვალებისა მეფისა. ამისთვის 8 იანვარსა 1801 წელსა მოვიდა ალექსანდრე ყარაბაღით ყაზახში და აცნობა დედასა წერილით, რას მიბრძანებთო. მეფე გიორგი, გარდაცვლილი 28 დეკემბერსა, ჯერეთ არ იყო დასაფლავებული.

153) გაბრიელ რატიშვილი. ამას ვითარცა ომში ნიახურას დასწრობილსა, გაატანა მეფემან წერილი, ერთი ხელმწიფე იმპერატორთან და ერთი კნორრინგთან ლინიაზედ. წერილებითა ამით მოახსენებდა პავლეს მადლობასა ჯარისათვის და გაუგზავნა ლეკთა ბაირაღები; და ითხოვდა, რათა დაჯილდოვდენ ლაზარევი, გულიაკოვი, მეფის ძენი იოანე და ბაგრატ და სხვანიცა. ამასვე გაატანა საკუთარი მოხსენება, ვითარცა განმგემან ჯაბახანისა, თვით მეფისძემან იოანე, ღენერალ კნორრინგთან.

154) ზაზა ანდრონიკაშვილი, წარსრული ს.-პ. ბ. 1800 წელსა დესპანთა თანა, ზრუნვიდა დიდად მეფობისათვის ქართველთა, და ამისთვის არ მოეწონა მოხსენება ღენერალისა კნორრინგისა, მისრულისა 1801 წელსა ს.-პ. ბ., ვითამც ქართველთა არა სურდესთ თვისი მეფე. მასვე დროსა მისწერა წერილი იოანე სარდალსა ორბელიანსა და ურჩევდა არა ქმნან ამოვარდნა მეფობისა საქართველოში. წერილი ესე იგდეს რუსთა და აღუკრძალეს მოსვლა საქართველოდ. 1818 ესე ზაზა და დოსითეოს ეპისკოპოსი ფიცხელაური წარვიდენ ნევისა მდინარისა შესართავსა ფინის ზღვის პირსა, და აქა ბანაობდენ ცურვითა; მსწრაფლ აღელდა ზღვის-პირი. დოსითეოს ცურვითა გამოვიდა წყლისა პირსა და ზაზა მოტაცებული ღელვისაგან დაირჩო. ვერღა იპოვეს ვერცაღა გვამი მისი. იყო წლისა 50 და სცხოვრებდა იულონ მეფის ძესთან მისსა მწყალობელთან, რომელთაცა უყვარდა იგი, ვითარცა კაცი დიდად სიტყვა მუევრი და აზრთა დიდთა და საფუძვლიანთა მეჭონი.

155) გიორგი ამილახვარი, ამას ჰყვანდა ცოლად დაჲ სარდლისა დავით ორბელიანისა. 1801 წლისა იანვრის დამდეგს, იულონმან მოიტაცა ტყვედ ცოლი ესე მისი ქეთევან და მიიყვანა თვისდა სოფელსა ბელოტს. მემკვიდრე მეფის ძე დავით აპირებდა რუსთა ჯარითა ზედა დასხმასა. მაშინ გაიქცა იმერეთსა იულონ და განთავისუფლდა დისწული მემკვიდრისა ტყვეობისაგან.

ᲕᲙᲘᲚᲔᲚᲔᲜᲘ ᲛᲙᲣᲠᲐᲕᲐᲓ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ:

მოურავნი ქართლისა:

ერასტი ამილახვარი .	სოღანლუღს
ქაიხოსრო სუმბათოვი მოლარეთხუცესი . .	ნავთლუღსა
ბარამ გურგენიძე ნაზირი	დიდუბეში
ალექსანდრე მაყაშვილი.	წინწყაროს ორსავე ავლაბარში კუკიას
ფარსადან ქარუმიძე .	ახალ სოფელში
გიორგი ამილახვარი	გორში
ლუარსაბ ლოლაძე და გოგია ბეგიაშვილი	მეჯვრისხევს
გოგია ბეგიაშვილი	მეჯუდაში
დავით ბიბილური	სათემოს
ფირან ჩერქეზიშვილი.	კიწნისში და ტყვიავში, ღვიდისში
გოგია ფურცელაძე	პატარა ლიახვსა და ოსებისა
გოგია მირზაშვილი . .	ვანათსა, არბის, შინდისს
ეგნატი იოსელიანი (ორჯერ)	ტირძნისში
ნინია ამილახვარი	ცხინვალში და ქარელში
მიმბაში ზაზა მაჩაბელი	ქელვი და აჩაბეთი
ნაყსიდა ზარდიაშვილი .	მაღრანდოველეთში
ევგენი აბაშიძე	ალსა, სურამსა და ქეფინისხევსა
ნიკოლოზ გლურჯიძე მოლარეთხუცესი . .	ხიდისთავსა
დომენტი წინამძღვრიშვილი	გლურჯეთსა
დავით აბაშიძე ქეშიქჩი-ბაში	ბორჩალო და შილიხოს
შანშე ერისთვისშვილი	შულავერსა
რევაზ ვახვახიშვილი	ახატელისა თათრებისა
თამაზ ორბელიანი	დემურჩასალის
ადამ ანდრონიკაშვილი . . .	კახეთში თათრებისა ქირჩხლის
ოსეფა ბებუთაშვილი მიშკარბაში	ბაადარსა

სოლომან არღუთაშვილი	სარვანში
საამ ბარათაშვილი .	ძველს თაქლასა
პაატა აბაშიძე	ახალს თაქლასა
სოლომან გაბაევი	მუღანლოსა
გიორგი ციციშვილი სარდალი	ელებისა, ქოლაგირისა, მუღანლოსა, ქოშქილისისა, აყლილისა, უზუნლარისა და დისიღისა
ოსეფა ყორღანაშვილი მილახვარი	ჰასან-ხოჯალისა
გარსევან ქავქავაძე . .	ყაზახის თათრებისა
გიორგი ციციშვილი სარდალი	ფამბაკისა

მოურავნი კახეთისა:

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი	მანავში
თადია ჩოლაყაშვილი (მის ნაცვლად ვახტანგ ორბელიანი) .	თვალ-საგარეჯოს,სართიჭალაში
დავით მაყაშვილი	უჯარმასა
ზაალ ანდრონიკაშვილი	ორსაევე მარტყოფში
გოგია ნათალიშვილი	ლილოსა
დიმიტრი ჩოლაყაშვილი	თიანეთში და მარილისში
გლახა საგინოვი აზნაური	ქისტაური
ალექსანდრე მაყაშვილი	ბოჟორმას
დავით და იოანე ქობულოვი	ზემოხოდაშენსა
ალექსანდრე მაყაშვილი *.	ძველის გალავნისა თელავსა
იროდიან გურგენიძე	თელავსა
გიორგი ვახვახიშვილი	კალაურსა
იოსებ ჭავჭავაძე .	ირაკლის ციხისა
სფირიდონ ჯანდიერიშვილი	ქვემო ხოდაშენსა და შაშიანსა
ომან ჯანდიერიშვილი	ურიათუბანსა
დიმიტრი ანდრონიკაშვილი	ველისციხეს
დავით ჯანდიერიშვილი	გურჯაანში
დურმიშხან ჩოლაყაშვილი	პანკისში, ბახტრიონსა და ქორბალას
აღათანგო პეტრიაშვილი	მაღრიანში
ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი	ლალისყურსა
თამაზ ჯორჯაძე	შაქრიანსა
დიმიტრი ჯორჯაძე .	ენისელსა
დავით მაყაშვილი	აღდგომას

* ორივე სიტყვა გადახაზულია ხელნაწერში.

გიორგი ნოდარიშვილი და ფარეშხუცესი ანდუყაფარ ბანცურიშვილი	შილდას
კირილე ავალიშვილი	ლომის-ციხეს
დავით ჩოლაყაშვილი	ვეფხვის-ციხეს
ლუარსაბ თარხნიშვილი	ფაშაანსა
იმონ ქობულიშვილი	სანავარდოს
გარსევან ვაჩნაძე	კუპავანსა და ორსავე გავაზას
სპირიდონ თარხნიშვილი	ვანთას
ლუარსაბ თარხნიშვილი	აკურას
ომან მაყაშვილი .	ყარაჯალას პირაქეთ თათრებისა და კახეთში მცხოვრებთა
დავით და იოანე ქობულიშვილი .	თათრებისა ყიზილ-აჯილისა
რევაზ ანდრონიკაშვილი სარდალი . . .	ქიზიყში
როსეფ ჯანდიერი ნასახჩი-ბაში	ჯიმითსა და ყანდაურას
ნინია ჩერქეზიშვილი	კაკაბეთსა
დურმიშხან ჩოლაყაშვილი	თუშებისა
დიმიტრი ჩოლაყაშვილი	ფშავისა და ხევსურებისა

სამღვდელო წესი

მეფისა გიორგი XIII დროსა სამღვდელო წესი იყო შემდეგი:

1) კათოლიკოსი
2) ქართლსა მიტროპოლიტნი: სამთავროჲსა
   თფილისისა
   რუისისა
3) არქიეპისკოპოსნი: წილკნისა
   მანგლისისა *
4) ეპისკოპოსნი: ურბნისისა
   სამთავისისა
   ნიქოზისა
5) კახეთისა მიტროპოლიტნი: ალავერდისა
   ბოდბისა
   ნინოწმინდისა

---

* ამ სიტყვის წინ სწერია „არქიეპისკოპოსი“, რაიც ზედმეტია. რ ე დ.

6) არქიეპისკოპოს[ნ]ი: რუსთავისა
ნინოწმინდისა

7) ეპისკოპოსნი: ნეკრესისა
ხარჭაშნისა

მეფისა დროსა იყვნენ მონასტერნი:

ქართლისა: შიომღვიმისა.
მეტეხისა
იკორთისა
ანანურისა
ჯვარისა
მღვიმისა
ლარგვისისა
ხობისა
ულუმბიისა
გეთსამანიისა
თირისა

კახეთისა: 12-გან ორნი: დავით გარესჯელისა, იოანე ნათლისმცემლისა

შუამთისა, ბოკორმისა: ალავერდელი განაგებდა

წ. საბასი ხირსისა, ღვთაებისა ვეჯინისა, ნათლისმცემლისა: განიგებოდა ბოდბელისაგან

ქართლისა მღვდელთმთავარნი: კათოლიკოსი ანტონი II.

კახეთისა ალავერდელი,—განმგედ თვით ანტონი.

მთავარ-ეპისკოპოსი იოანე (მოკვდა 1802 წ.)
თფილელი არსენ
მროველი იუსტინე
ბოდბელი იოანე
ნინოწმინდელი მიხაილ
რუსთველი სტეფანე

წილკნელი იოანე (შვილი სქემოსანისა ონისიფორესი 38 წლისა, ქარუმიძე.)
ურბნისელი იულიოს
სამთავნელი გერვასი
ნიქოზელი ათანასი

ნეკრესელი ამბროსი; ესე შილდას იდგა.

ნიახურისა ომში დასწრებული და მხნეობით გამოჩენილნი მუნ პირნი იყვნენ:

შეფის ძენი: იოანე
ბაგრატ

ქართლისა თავადნი: პაატა აბაშიძე, ნაზირი მეფისა
ზაალ ბარათაშვილი მდივანბეგი
გიორგი ხერხეულიძე
გაბრიელ რატიშვილი

კახეთისა: რევაზ ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი
ზაზა ანდრონიკაშვილი, სალთხუცესი მეფის ძის იოანესი
იოანე ზურაბიშვილი
ზაზა ზურაბიშვილი
იოანე ანდრონიკაშვილი
როსებ ჯანდიერიშვილი
გიორგი ჯანდიერიშვილი
ადამ ვაჩნაძე
დოსეს ვაჩნაძე
ასლან ონანაშვილი
გიორგი ჩოლაყაშვილი
დიმიტრი ჩოლაყაშვილი, ფშავის და თუშის მოურავი
ლუარსაბ სუმბათიშვილი, მიმბაში
იოსებ ჭავჭავაძე, ნაზირი მეფისა
ილია ავალიშვილი
იოანე ქობულიშვილი, პოლკოვნიკი ქართველთ თოფხანისა
ალექსი ყალათრიშვილი, კაპიტნად წოდებული ქართველთ ჯაბახანისა და
გიორგი ჩამბურიშვილი კაპიტანივე ჯაბახანისა

ამასვე ომში დაესწრნენ ექიმნი ქართველთა მეფისა, ფრანგნი სარწმუნოებით:

ოსეფა ყარაშვილი და შვილი მისი იოანე

სამოხელონი მეფისა გიორგისა XIII:

სამხედრონი:	სარდალი
	სარქარდარი
	მიმბაში
	პუნსედ-ბაში
	უზბაში
	ფანჯაბაში
	დელ-ბაში
სასახლისა:	სალთხუცესი
	ვეზირი
	მდივანი
	ფეშქაშ-ნევისი
	მუსტოუფი
	მოლარეთ-ხუცესი
	ნაზირი
	სალაროს ნაზირი
	მოლარე
	სალაროს მუშრიბი
	მუშრიბი
	თუმმალი
სამეფოჲსა:	ყულაჩ-აღასი
	ეშიკ-აღაბაში
	ქეშიქჩი-ბაში
	ქორიასაული
	ნასახჩი-ბაში
	მირისშქარ-ბაში
	ბოქოულთ-ხუცესი
სამოქალაქონი:	მოურავი
	მელიქი
	მამასახლისი
	ნაცვალი
	ქეთხუდა თავი
	ქეთხუდა მეორე

თფილისისა
ქიზიყისა
თუშისა
ხევსურეთისა
ფშავისა
სამშადილისა
ბორჩალოსი
ფამბაკისა
გორისა
თელავისა
საგარეჯოსი
სურამისა

რედაქტორის შენიშვნები

ტექსტისათვის

პლატონ იოსელიანის მონოგრაფიას „ცხოვრება მეფის გიორგი მეცამეტისა“ თავისი ისტორია აქვს. ეს წიგნი ავტორმა 60-ან წლებში დასწერა. 1867 წელს ხელნაწერი უკვე დასაბეჭდად ჰქონია გამზადებული და წაუკითხავს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს (1800—1869). ეს უკანასკნელი თავის პოლემიკურ წერილში „პლატონ იოსელიანს“ (იხ. წ. კ. სხ. № 1646) სწერს:

„პლ. იოსელიანმა წამიკითხა, 1867 წელსა აპრილის თუესა, თავისი ამ ახლო ხანებში თხზულება საქართველოს მეფის გიორგის მეცამეტეს ცხოვრება“ (გვ. 1).

იმავე წელს ხელნაწერის ერთი ასლი, საკუთრივ მის მიერ შესწორებული (ამ ხელნაწერის შესახებ დაწერილებით ქვემოთ), ბროსესათვის გაუგზავნია ჭ. პეტერბურგს, იოანე ბატონიშვილისათვის გადასაცემად. თავდაპირველად კი მას განზრახვა ჰქონია პირდაპირ თავისი ადრესატისათვის გადაეგზავნა ხელნაწერი. ეს ჩანს ბროსესადმი მიწერილ ბარათებიდან (იხ. პლ. იოსელიანის წერილები ბროსესადმი წ.-კ. სახ-ის № 4797); 1867 წლის 22 აპრილის თარიღით პ. იოსელიანი სწერს ბროსეს ბარათის post-scriptum-ში:

„მეფისა გიორგი მე-XIII ცხოვრება ქართულად შევასრულე. ორ კვირაზედ ვუგზავნი კ. იოანე გრუზინსკის. ეს ამას თქუენ გარდმოგცემსთ. ვჭგონებ საჭირო იყოს აღსავსებად ქართულთა მეფეთა ცხოვრებისათვის, თქვენგანვე დაბეჭდილისა“ (იქვე... პ. იოსელიანი გულისხმობს ბროსეს შრომას: Histoire de la Georgie, I—II, 1849...).

მეორე ბარათში კი პ. იოსელიანი სწერს ბროსეს:

„უფალო ბროსეტ!
მოწყალეო ხელმწიფევ!

ამასთან მოვირთმევია „ცხოვრება მეფისა გიორკი XIII“ ჩემგან შედგენილი. გთხოვ განიხილო და მერეთ გარდაჰსცეთ უგანათლებულესსა იოანე გრუზინსკის, რომელიცა ჯერეთ არ არის პეტერბურღსა. იქმნება ამა ცხოვრებამან — უკეთუ თქუენცა დაუმატებთ თქუენთა სხოლიოთა, — შეავსოს პერიოდი ქართულთა მეფეთა.

თქუენი მორჩილი
პლატონ იოსელიანი

9 მაისს 1867
თფილისით“

მარი ბროსესა (1802—1880) და პლატონ იოსელიანის მეცნიერული ურთიერთობა არ არის შემთხვევითი. ეს ურთიერთობა იწყება 40-ან წლებიდან და გრძელდება 70-ან წლებამდე. როგორც მათი მიწერ-მოწერიდან ჩანს, პლ. იოსელიანი ბროსეს აწვდიდა საინტერესო ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერებს, გადაჰ-

ქონდა სხვადასხვა ტაძრის წარწერები და თავის გამოკვლევებთან ერთად უგზავნიდა პეტერბურგში, სადაც გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართული ისტორიოგრაფიის დარგში. პლ. იოსელიანი აფასებდა „პირველი უცხოელის“ (მისივე სიტყვებია) დაინტერესებას საქართველოს წარსულითა და ლიტერატურით. თავის მხრივ, მარი ბროსეც უგზავნიდა საკუთარ შრომებს პლ. იოსელიანს და აძლევდა რჩევებს ისტორიისა და გრამატიკის საკითხებში. ბროსე პირდაპირ გამოსთქვამდა ხოლმე თავის აზრს პლ. იოსელიანის შრომებზე (ამ უკანასკნელისადმი მიწერილ ბარათებში). როგორც ჩანს, პ. იოსელიანის გრამატიკა მას არ ბოსწონებია (ამას ცხადყოფს პლ. იოსელიანის მკაცრი პასუხი, რომელიც მიწერ-მოწერაშია დაცული). „გიორგი მეცამეტეს ცხოვრებას“ შესახებ კი ბროსეს აზრი უცნობია.

მონოგრაფიის ხელნაწერი, რომლის შესახებაც პ. იოსელიანი სწერს ბროსეს, ამჟამად დაცულია საქ. მუზეუმში (იხ. საისტ.-საეთნ. საზ. № 2301). ის ხელთ ჰქონია გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც ამ ხელნაწერის ასლი თავისთვის დაუტოვებია. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, თუ გავითვალისწინებთ იმ ლიტერატურულ ურთიერთობას და მეგობრობას, რომელიც ამ ორ არჭაისტს შორის არსებობდა. პლ. იოსელიანი ავტორიტეტული პიროვნება იყო გრ. ორბელიანისათვის ისტორიისა, ლიტერატურისა და გრამატიკის საკითხებში. მათ შორის არსებობდა ურთიერთ რჩევის ტრადიცია და გაუგებარ საკითხების ახსნა-განმარტებისათვის გრ. ორბელიანი ხშირად მიმართავდა ხოლმე მას. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთი დოკუმენტი—გრ. ორბელიანის წერილი პლ. იოსელიანისადმი—რომელიც აქ მოგვყავს:

„ჩემო მოწყალეო ბატონო პლატონ!

გთხოვთ მიბრძანოთ, სად იყო კარნუ ქალაქი და ანუ ამჟამად რას ეძახიან? ძალიან საჭიროა ჩემთვის, ესე იგი ჩემის ტოლუმბაშისათვის.

თქუენი გულითადი პატივისმცემელი

თ. გრიგოლ ორბელიანი

30 აპრილს 1870

[იქვე მიწერილი პ. იოსელიანის მიერ]:

კარნუ ქალაქი იყო ძუელად სომხითისა. თეოდოსი დიდმან ვიზანტიისა იმპერატორმან (346 — 395) განაახლა და უწოდა სახელი თეოდოსიპოლი. თურქთა უწოდეს აზრუმი.

პ. იოსელიანი

[post-scriptum-ში]:

რომელთა დროსა ეწოდა ამას Arx Romanorum, ე. ი. სიმაგრე ანუ ციხე რომაელთა. აქედამ შედგა სახელი ქალაქისა: არზ-ურუმი, ე. ი. ციხე. ურუმთა ანუ რომაელთა“ (იხ. საქ. მუზ. № 1839)“.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია თუ პ. იოსელიანის ხელნაწერის ასლი ორბელიანს თავისთვის დაუტოვებია.

როცა ილია ჭავჭავაძემ მოისურვა „ცხოვრება“-ს დაბეჭდვა ჟურნალში 1878 წელს, გრ. ორბელიანმა მას გადასცა ხელნაწერის ასლი. აი გ. ორბელიანის წერილიც ილიასადმი (იხ. წ.-კ. სახ-ის № 2660):

„ჩემო ბატონო,
კნიაზო ილიავ!

სიხარულით მომირთმევია მეფე გიორგის ცხოვრება თქუენის ახალის ჟურნალისათვის. მოიხმარეთ, თუ გამოგადგებათ, მაგრამ კი თავის დროზე ისევ დამიბრუნეთ

თქუენი მარადის ბედნიერების მსურველი
თ. გრიგოლ ორბელიანი

27 დეკემ: 1878.

„ცხოვრება“ პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ივერიაში“ 1879 წელს (იხ. №№ 9—10). ცალკე გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ 1895 წელს. ეს გამოცემა წარმოადგენს ივერიის ტექსტის განმეორებას და შეიცავს ყველა იმ შეცდომებს, რომლებიც „ივერიაში“ დაბეჭდილ ტექსტში მოიპოვება—გამომცემელს უცქელად გადმოუბეჭდავს მონოგრაფია ჟურნალიდან. ამის შესახებ სწერს თვითონ გაომცემელიც: „გიორგი მეფის ცხოვრება“ დაიბეჭდა დედანზედ სასტიკის შეთანხმებით და შედარებით. ბევრს ალაგას ჩვენ შეცდომებიც შევამცნიეთ, მაგრამ ამას ჩვენი კალამი არ შეხებია, არსად წერტილი, მძიმეც კი არ შეგვიცვლია. მხოლოდ ჩემის ავადმყოფობის მეოხებით ერთს ფორმაში შეცდომა მოუხდა კორექტორის (ric) მსწორებელს და ერთს ალაგას ჰაბუას (ორბელიანი) მაგიერ ჰაბუაა ნახმარი“ (იხ. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ. ტფილისი, 1895. გვ. 1, ბოლოში).

„ცხოვრება“-ს დედნის ის ასლი (ორბელიანისეული), რომელიც ივერიაში დაიბეჭდა, ამჟამად უცნობია. საქ. წ.-კ. სახ-ის № 3053 წარმოადგენს მონოგრაფიის პირველი ვარიანტის ასლს, რადგან მასში არ მოიპოება ის ადგილები, რომლებიც პ. იოსელიანს დაუწერია უფრო გვიან. ქრონოლოგიის აღმნიშვნელი ციფრები ბევრ ადგილას არ არის დასმული და მონოგრაფიის მხოლოდ შემდეგ თავებს მოუღწევია ჩვენამდე: VII, XXVIII, XXIX — XXXII, XXXIV — LXIII, LXVI LXVIII. LXXIV — LXXXI, LXXXIII — C, CII — CXI, CXIII — CXV, CXVII — CXXV, CXXVII — CXXXI, CXXXIII — CXXXIV. CXXXVI — CXXXVII, CXXXIX, CXLI — CXLIV, CXLVI — CXLIX, CLII; ამრიგად, წ.-კ. სახ. № 3053-ს მნიშვნელობა არა აქვს მონოგრაფიის ტექსტის დადგენისათვის. მაგრამ ამ ხელნაწერთან ერთად დაცულია ორიგინალები ზოგიერთი დოკუმენტისა (მაგ. ბარბარე ჭობულიშვილის წერილები და სხვ.), რომელიც მონოგრაფიის პირველ გამოცემაში იყო დაბეჭდილი დიდი შეცდომებით.

მონოგრაფიის ტექსტის გასწორებისას ჩვენ მივმართეთ საისტ.-საეთ. სახ-ის, ხელნაწერს № 2301; ეს ხელნაწერი, როგორც აღნიშნული იყო, წარმოადგენს მონოგრაფიის ძირითად დედანს, თუმცა მონოგრაფიის უმეტესი ნაწილი გადაწერილია სხვისი ხელით, რომელიც შემდეგ ავტორს გაუსწორებია. ეძღვნება ის იოანე გრუზინსკის და ჩასმულია კარგ ყდაში. მე-2 ფურცლის პირველ გვერდზე სხვისი ხელით დაწერილია სათაური:

ცხოვრება
მეფის გიორგი XIII-ისა
თფილისი

(შავი კორპუსით აწყობილი ასოები დაწერილია ხუცური ასომთავრულით)

მე-3 ფურცლის 1-ლ გვერდზე მეორდება სათაური:

ცხოვრება,
მეფისა გიორგი მეათცამეტისა
აღწერილი,

პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ

თფილისი
1867

შემდეგი ფურცლის ცალკე გვერდებზე დაწერილია მიმართვა იოანე გრუზინსკისადმი (ხელი პლატონ იოსელიანისაა):

მათს უგანათლებულესობას
მეფისა გიორგი XIII ძის იოანეს ძის ძეს
იოანე გრიგორის ძეს გრუზინსკის

დავჰსწერე ცხოვრება ესე მეფისა გიორგი XIII ვიტყვი სვინდისით, პირუთნებელად, მოვიღე ცნობანი ესენი ჭეშმარიტთა მომთხრობთა პირთაგან და წერილთაგან ნამდვილთა, რო[მელ]თაცა მოაწიეს ჩემადმდე. შევისწავლე საქმენი ესენი კაცთაგან, თანადამსწრეთა დროთა მათ და თვით მოქმედთა გვამთა და პირთაგან. პირნი ესენი, მომთხრობელნი საქმეთა ამათ იყვნენ დაახლოვებით ცნობილნი ჩემგან მეუღლე თვით მეფისა ბატონი დედოფალი მარიამ; ძმანი თვით მეფისა მირიან და ფარნაოზ, ძენი მეფისა ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ილია, ოქროპირი და ირაკლი; ქალნი მისნი მეფის-ასულნი სოფიო, დედოფალი მეგრელიისა ნინა, რიფსიმა და თამარ; მეფისა დანი ანასტასია და თეკლა; მეფისა რძალნი ანნა მეუღლე ფარნაოზისა, ელენე მეუღლე დავით მემკვიდრისა პირმშოჲსა შვილისა თვით მეფისა, ელენე მეუღლე მეფის-ძის თეიმურაზისა, შვილის-შვილნი მეფისა და ძმისწულნი მისნი; მძახალნი და მოყუარენი მეფისა ეპისკოპოსნი და მღვდელნი, ბერნი და ერის-კაცნი, მეფესთანა ჯდომილნი, მესაუბრენი მისნი და მასთან მოხუმარნი, მასთან მოგზაურნი და თანამზრახველნი მისნი, შემაქცეველნი და მსახურნი მისნი, მასთან ზოგად მლოცველნი და დამტირებელნი მისნი, მტერნი მისნი და ოდესმე მაყუედრებელნი საქმეთა მისთა და მისთვის არა კეთილისა ჰაზრისა მეკონნი.

მეფეთა ისტორია, მეფემან უნდა ჰსწეროსო,—ხშირად მეტყოდა მეფის ძე თეიმურაზ. თქმასა ამას აქუს თავისი ჰაზრი, ძალი და მნიშვნელობა. მეფემან, უეჭველად, უკეთ იცის, რასა რაჲსათვის იქმს. ჩუენ მწერალნი, არა მეფენი, ადვილად შევჰსცდებით საქმეთა მომდინარეობისა კუალზედ და გზაზედ; ადვილად ვერ-ვჰპოვებთ მიზეზთა, რ[ომე]ლთაცა აწარმოეს ანუ ამიზეზეს საქმე რაჲმე.

მაშა ვითარ ვჰბედე წერა ცხოვრებისა ამის? მე მამა-პაპითა ვეკუთუნოდი მეფეთა სასახლესა გუარისა-გამო ძუელისა. 1560 წლიდამ, ვ[ითარც]ა ფიცისა კაცნი ვიყუენით სუანეთსა, ოდიშსა, იმერეთსა და ქართლსა. ვ[ითარც]ა სასახლისა კაცნი ვახლდით მთავართა და მეფეთა იმერეთისა და ქართლისა დასრულებადმდე მეფობისა. მეცა თვით, ვიყავ დაახლოებული [ხელნაწ. „დაახლობეული“] მეფის-ძეთა ვ[ითარც]ა მათთანა შინაური, მათთან დაბინავებული, მათთან გამოკუებული და შენახული. მათთანა ოთხსა წელსა (1831 — 1835) და კუალად ორიცა წელი (1843 — 1844) ვ[ითარც]ა მეჯობარმან მათმან და გამომკითხველმან დროებათა წარსრულთა საქმეებისა, ვჰსცან მეფობითი მნიშუნე-

ლობა და ღირსება, მეფეთა მოვალეობა, მეფეთა მოთხოვნილება, ძალი, სიმტკიცე და სისუსტე მათი. შევისწავლე მეფეთა საუბარი, რისხუა მათი და ალერსი და ატტიკურნი ოდესმე თქმანი.

ვიტყვი აქა ჰ[ეშმარი]ტად, რ[ომე]ლ მეფისა სასახლისა წევრნი ესენი, თუმცა დიდსა ნაკლულევანობასა შ[ინ]ა მყოფნი ს.-პ. ბ. და მოსკოვს და აქაცა, იყუნენ სიტყვისამებრ

1) რუსთაველისა:

[იყო არაბეთს როსტევან მეფე] ღუთისაგან სვიანი
მაღალი, უხვი, მდაბალი [ლაშქარ-მრავალი, ყმიანი]
მოსამართლე და მოწყალე. [პორჭმული, განგებიანი]
[თვით მეომარი უებრო] * კულავ მოუბარი წყლიანი.

32.

2.) ანუ ბუნებიო და სისხლით მეფურნი, სიტყვისამებრ ჩახრუხაძისა:

სიუხუედ ზღუებრი, სიმაღლით ცებრი,
მდაბლად მოწყალე, ჰურეტად ნარნარი.

22.

3.) ანუ კუალად სიტყვისამებრ შავთელისა:

თუალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქურივთა,
შიშუელთ სამოსად მინიჭებული.
მოხუცებულთა, შრომით რებულთა,
სიმტკიცის კუერთხად მისაყრდნობელი
მოგუფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა,
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი

63.

4.) და არა-ოდეს არ შემიმჩნევია იგი, რასაცა იტყვის ბაგრატიონთათვის იოსებ თფილელი.

ზოგთ ბაგრატიონთ ასე ჰსჯირთ, არ ახსოვთ სამსახურია,
რა გინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აჭუსთ შურია,
ვის რა გაოდა ქართლშია, მეც რომ მეპამა პურია.

279.

ესრეთი მათთან დაახლოება, და დაახლოვებისა-გამო მათთან შემეცნება ამბაეთა და მოთხრობათა იყო მიზეზი, რომელ ესრეთ გაბედვით აღუსწერე ცხოვრება ესე მეფისა.

მოთხრობათა ამათ ჩემთა ნაწილ-ნაწილ და ნაპერ-ნაპერ შეკრებილთა და დაწერილთა უძლურებისა-გამო და თუალთა სისუსტისა, ვერ მივეც სისტემა სინქრონიზმოსი: ამისთვის ვითხოვ მკითხუელთაგან მოტევებასა. ამასთან ვიტყვი ამასაცა, რ[ომე]ლ რუსთა არხივასა, ჩემგან უცნობსა და არა-ადვილ მოსაძიებელსა, არა შევეხე.

* ფრჩხილებში შეტანილი სიტყვების ნაცვლად ხელნაწერში წერტილებია რ ე დ.

მეფე გიორგი XIII იყო პაპისა თქუენისა მამა. ამისთვის, თქუენ, ვ[ითარც]ა უფროსსა, პირმშოსა სახლისა მისისა შთამომავალსა და მემკვიდრესა, — გიძღუნი ცხოვრებასა ამას მისსა.

უგანათლებულესობისა თქუენისა
ერთგული და მორჩილი
პლატონ ეგნატის-ძე იოსელ[ი]ანი

„25“ მარტი 1867 წელსა
ქ. თფილისს

დღე ესე,—დღე ხარებისა ყ[ოვლა]დ წმინდისა ღუთისმშობელისა, რ[ომ]ლისა წილხდომილად იწოდება ძუელთაგან ქართუელთა სამეფო; დღე ესე, — დღე ძეგლისა ქ. თფილისს დღესასწაულებით აღმართვისა პატივად უგანათლებულესისა კნიაზის მ. ს. ვორონცოვისა; და ამისთვის დღე ესე, — დღე მრავლისა კეთილისა მომასწავებელისა შემდეგთა მოსალოდნებელთა დროთათვის“ (ეს მიმართვა, ივ. ბერძენოვის შესავალი წერილით, დაბეჭდილია 1868 წლის „ცის-კ[რ]ებში“ (იხ. № 12) სრულიად უცვლელად. შდრ. „ბიბლიოგრ“. № 36).

ამ მიმართვის შემდეგ ცალკე გვერდიდან იწყება თვითონ მონოგრაფია. პირველი პარაგრაფის ზემოთ პ. იოსელიანს თავის ხელით დაუწერია სათაური:

„ცხოვრება მეფისა გიორგი XIII“

მონოგრაფიის თავებად დაყოფა (რომაული ციფრებით) ეკუთვნის ავტორს. მასვე ჩაუწერია საკომენტარიო ციფრები ხელნაწერში. შენიშვნები („სხოლიონი“) კი მოყვანილია მონოგრაფიის ბოლოში და შესრულებულია ავტორისავე ხელით (თუმცა ზოგან გადამწერიც დაუხმარებია).

მონოგრაფიის მთელი რიგი აბზაცები (და ზოგჯერ თავებიც) პ. იოსელიანს დაუწერია, როგორც ჩამატებანი. უმთავრესად კი მონოგრაფია სხვისი ხელით არის გადაწერილი. როგორც ჩანს, ავტორს ის ცალკე ფურცლებზე და ცალკე თავებად უწერია (ისტორიულ ამბავთა თხრობისას პ. იოსელიანი არ იცავს მკაცრ ქრონოლოგიურ რიგს. ამის შესახებ თვითონაც სწერს მიმართვაში). მონოგრაფიის ეს დამოუკიდებელი თავები შემდეგ სხვას გადაუთეთრებია. გადათეთრებული ადგილები ავტორს თვითონ გაუსწორებია.

ხელნაწერი ჰქონია გრ. ორბელიანს, რომელსაც მონოგრაფიის აშიებზე წითელი ფანქრით მიუწერია შენიშვნები. მოგვყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა:

1. ხელნაწერის ფურც. 130. გვ. 2. თავი CXXVII. ომარ-ხანის შესახებ გრ. ორბელიანი შენიშნავს:

„ომარ ხანი, ანუ როგორც ლეკნი ეძახიან უ მ ა ხ ა ნ იყო მხოლოდ ხანი ავარიისა, და სხუანი დაღისტნელნი პატივს ჰსცემდენ ვითარცა დიდსა ვაჟკაცსა“.

2. იმავე თავში, აშიაზე:

„ომარ ხანმა აიღო ვახანის ციხე და იქიდამ გამოიყვანა ტყვედ ორნი დანი აბაშიძისა, რომელნიცა იყვნენ ბებიის ჩემის დები. — მე, როდესაც ვიყავ ავარიის მმართველად, ვდეგ იმ სახლში, სადაცა ჰსცხოვრებდა მაია, ომარ ხანის ცოლი, ბებიის ჩემის და. ზოგნი ერთნი მაიას მსახურნი, იყუნენ ისევ ცოცხალნი და მე მსახურებდენ“.

3. იმავე თავში პ. იოსელიანის სიტყვებს: „ომარ ხანს მოუკვდა დროთა ამათ ცოლი აბაშიძეთა ასული“, გრ. ორბელიანი შენიშნავს:

„არაა აბაშიძის ქალი, ომარ ხანისა სიკუდილისა შემდეგ, გამოვიდა საქართუელოში და არ მახსოვს რომელი თავადიშვილი შეირთო იმერეთში. — დაუვიწყებლობისათვის ვიტყვი: ორნი დაუძინებელნი მტერნი და საქართუელოს დამამხობელი ომარ ხან მარხია ზაქათალის მეჩითში, და თავი აღამაჰმადხანისაცა იქავე. — თავი ესე მოართვეს იბრაიმ ხანსა ყარაბაღისა ბელაქანში, სადაცა იყო ლტოლვილი შიშისა გამო ყაენისა.—თავი ყაენისა ეგდო უპატიუროობით და ფეხსა ჰსცემდენ მუნ [?] ლანძღვითა. მაშინ ჭარელები მოვიდნენ იბრაიმ ხანთან და მოჰსთხოვეს თავი ყაენისა, ამ სიტყვით: თუმცა აღამაჰმადხანი იყო მტერი ჩუენი, მაგრამ იყო დიდი ყაენი და არა შეეფერება ეგრეთი გინება მკვდარსა. არცა თქუენ, არცა ამისსა დიდსა სახელსა. — იყო კაცი და მოკუდა. — ჭარელებმა წაიღეს თავი აღამაჰმადხანისა დიდის პატივით და დამარხეს თავის მეჩითში.—ომარ ხანსა ჰყუანდა პირველ ცოლად იბრეიმ ხანის ქალი, და ხსენებულს დროს უეჭუელად ეს ქალი მოკუდებოდა“.

4. ხელ. ფურც. 133. გვ. 2, თავი CXXVIII: ომარხანის დამარცხების გამო გრ. ორბელიანი შენიშნავს აშიაზე:

„დამარცხებული ომარ ხან მივიდა, მხოლოდ მცირედის ჯარით, ზაქათალას და იქ მოკუდა მწუხარებითა და სირცხვილით დამარცხებისა გამო. — ავარიიდამ მოვიდა აქა მაია სატირლად ქმრის საფლავსა ზედა და აქედამ, დიდის მეცადინეობით და მოხერხებით, საქართველოს“.

5. თავი CXXIX. მეფის წერილში სიტყვებს: „ჯონგოთაის თავი აქ მოგვივიდა“ გრ. ორბელიანი შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„ჯუნგუთაის თავი? — ჯუნგუთაი არის სოფელი მეხთულის სახანოსი; მაშინდელი მეხთულის ხანი, ჰახსახნახ, ცოცხალი დაბრუნდა ამ ომითგან“ (იგულისხმება ნიახურას ბრძოლა. რედ.). და სხვ.

გრ. ორბელიანის შენიშვნების შესახებ პ. იოსელიანი სწერს მონოგრაფიის ბოლოში:

„წითელის კარანდაშით შენიშვნანი არიან ღენერალ-ტინფანტერის კ. გრიგორი დიმიტრის-ძის ორბელიანისაგან. კოპია ამისი [ე. ი. მონოგრაფიის, რედ.] ამასაცა აქვს“.

მაშასადამე, ილიას დაუბეჭდავს ამ ხელნაწერის ასლი (ჩვენის` ფიქრით შეცდომებიც ამ ასლში უნდა ყოფილიყო უმთავრესად. აქედან ისინი ივერიისა და ზ. ჭ-ის ტექსტში გადასულა).

რამდენიმე სიტყვა მონოგრაფიის 1895 წ. დაბეჭდილი ტექსტის შესახებ. მას ახასიათებს:

1. უადგილოდ ხმარება მძიმეებისა და წერტილების, რომლებიც აბნელებენ ფრაზის აზრს ან სხვანაირად განმარტავენ მას.

2. ჭარაგმების არა სწორი გახსნა (მაგ. ზოგან „წ-დ“ გახსნილია, როგორც „წმინდა“. უ. ი. „წმინდანად“ ან „წმინდანებად“ და სხვ.

3. სიტყვების მრავალნაირი ხმარება ხელნაწერსაც ახასიათებს, მაგრამ დაბეჭდილ ტექსტში ის უფრო ხშირი მოვლენაა (მაგ. პ. იოსელიანი არსად სწერს „თბილისსს“. ზ. ჭ-ის გამოცემაში კი გვხვდება როგორც „თბილისი“, ისე „თფილისი“. აგრეთვე კათოლიკოზი // კათოლიკოსი და მრ. სხვ.)

4. მთელი სიტყვების, ფრაზებისა და აბზაცების დაკლება ან უადგილო-ადგილას ჩამატება. ამის მაგალითები მრავალია.

5. შენიშვნათა რიგის არევა ზოგიერთის მთლიანად გამოტოვების გამო.

საისტ. საეთნ. საზ-ის ხელნაწერ № 2301-ის მიხედვით ჩვენ გავასწორეთ მთელი მონოგრაფია. შეცდომების სიჭარბე, რომელიც დაბეჭდილის ხელნაწერთან შედა-

რებისას გამოირკვა, უეჭველია ახასიათებდა „ივერიის“ რედაქციის განკარგულებაში მყოფ ასლს (ეს ასლი ამჟამად უცნობია). დამახინჯებანი იმდენად ბევრია, რომ მათი ამოწერა შეუძლებელია. ფრაზებისა და აბზაცების დაკლება გადამწერის უნებლიე შეცთომითაც უნდა აიხსნას. ასეთი დაკლება ხშირად სრულიად ბუნდოვანს ხდის კონტექსტის შინაარსს და ამ მხრით კურიოზული შემთხვევაც მოიპოვება. მაგ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში (იხ. გვ. 185) ვკითხულობთ:

„წერილნი ესენი * არღა არიან შემდგომად აოხრებისა წინანდალს მისისა** სახლისა ლეკთაგან, რომელნიცა [sic] 1854 წელსა დაუწვეს სახლი და წარასხეს სახლობა ჭავჭავაძისა. ხშირად განმხნევებოდა მეფისაგან, რათა ჰპატრონობდეს მისს სამკვიდრებელსა კახეთსა დროდმდე შესრულებისა საქმეთა რუსეთისათანა“.

გამოდის, თითქოს მეფე ამხნევებდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს 1854 წელს ლეკების მიერ წინანდლის აოხრების გამო. როგორც ვიცით ალ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1844 წელს, ხოლო გიორგი XII — 1800 წ. ხელნაწერი ამ გაუგებრობას ჰფანტავს. იქ და ჩვენს გამოცემაში სწერია:

„წერილნი ესენი არღა არიან შემდგომად აოხრებისა წინანდალს მისისა სახლისა ლეკთაგან, რომელთაცა 1854 წელსა დაუწვეს სახლი და წარასხეს სახლობა ჭავჭავაძისა დავითისა, ძისა მისა ალექსანდრესი.

ავალიშვილი გიორგი, ცოლის ძმა გარსევან ჭავჭავაძისა, — ხშირად განმხნევებოდა მეფისაგან, ჰპატრონობდეს მისსა სამკვიდრებელსა კახეთსა დროდმდე შესრულებისა საქმეთა რუსეთისათანა“ და სხვ.

მონოგრაფიაში დაბეჭდილი ზოგი დოკუმენტი (მაგ. ქობულიშვილის წერილები, მეფის მიმოწერა და სხვ.) გასწორებულია წ.-კ. სახ-ის № 3053-ში დაცულ ორიგინალებისა და ასლების მიხედვით. ძველი ტექსტის მე-78 გვერდზე, ქობულიშვილის წერილში, თვით ბარათის ბოლო აბზაცი გადატანილია ზევით და ჩაკერებულია შუაში (სიტყვების „...როგორც მამას იამებოდა“—შემდეგი „მეფის სასახლის ღვინის ქება“... ვიდრე სიტყვებამდე „...და მიუციაო“). ჩვენ ეს აბზაცი წერილის ბოლოს გადავიტანეთ (იხ. ჩვ. გამოც. გვ. 64—65), ხოლო შენიშვნაში დაბეჭდილია დასასრული წერილისა. წინანდელ გამოცემაში კი ქობულიშვილის ორი წერილი ერთი მთლიანი ბარათის სახით იყო დაბეჭდილი. მათ გამოსაყოფად სათანადო ადგილას ჩვენ ნომრები ჩავსვით კვადრატ. ფრჩხილებში (ბ. ქობულიშვილის მეორე პატარა ბარათი ცალკე ფურცელზეა დაწერილი და „ცხოვრება“-ს ადრინდელი ვარიანტის ასლთან ერთად არის დაცული. (იხ. წ.-კ. სახ-ის № 3053. ჩვ. გამომც. გვ. 65).

სოლომონ ლეონიძის სიტყვა „მოთქმით ტირილი“... მეორედ დაიბეჭდა „ანთოლოგიაში“ 1928 წელს; ამ წიგნში „ სიტყვა“ იბეჭდება წ.-კ. სახ.-ის 50-ისა და „ანთოლოგიის“ ტექსტთან შედარებით. ზოგ ადგილას ჩვენ ვიცავთ აბზაცთა იმ რიგს, რომელსაც № 50-ი მის დევს. ამ ხელნაწერის მიხედვით დატოვებულია ზოგიერთი სიტყვა და წაკითხვა, რომელსაც პლ. იოსელიანის რედაქციაშიც ვხვდებით.

ცალკე უნდა შევნიშნოთ მონოგრაფიაში მოყვანილ ალექსანდრე I-ის მანიფესტისა და ავტორის დამატებითი შენიშვნების შესახებ.

---

* იგულისხმება გარსევან ჭავჭავაძის არქივი.

** იგულ. ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მონოგრაფიაში მოყვანილია მანიფესტის რუსული ტექსტი, რომლის პარალელურად ქართული თარგმანიც არის წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი ძველი თარგმანია და სხვისი ხელით არის გადაწერილი (პ. იოსელიანს შემდეგ ის გაესწორებია). თარგმანი არ არის ადექვატური და მასში საკმაოდ ბევრი ბენდოვანი ადგილი მოიპოვება, რის გამო ბოლოს, აშიაზე, გრ. ორბელიანს მიუწერია: „ბნელად არის ნათარგმნი". მასვე (გ. ორბელიანს) გაუსწორებია წითელი ფანქრით მთელი რიგი ადგილები თარგმანისა. „ივერიის" მიერ დაბეჭდილ ტექსტში მანიფესტის თარგმანი დაბეჭდილია ამ გასწორებათა თანახმად, რაიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ „ივერიას" სწორედ ამ ხელნაწერის ასლი დაუბეჭდავს. ჩვენ აღვადგინეთ თარგმანის პირვანდელი სახე, შესაძლოა — უფრო დაშორებული რუსული ტექსტის შესატყვის ადგილებიდან.

რაც შეეხება პ. იოსელიანის დამატებით შენიშვნებს (მონოგრაფიაში მოსსენებულ ქართველ პირთა შესახებ), აქ შემდეგი თავისებურება იქცევს ყურადღებას:

როგორც ჩანს, პ. იოსელიანს ზოგიერთ პიროვნებათა მხოლოდ სახელი (ან გვარი) აღუნიშნავს თავდაპირველად ხელნაწერში, ცნობებს კი მათ შესახებ ის ჰკონებდა სხვადასხვა პირთა დახმარებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია მისთვის ბარბარე ქობულიშვილს, რომელსაც მრავალ ალაგას შეუვსია შენიშვნები (ალბათ, თვითონ პ. იოსელიანის თხოვნით). ბარბარე ქობულიშვილის მიერ შესრულებული ადგილები ჩვენ ყველგან კვადრატ. ფრჩხილებში შევიტანეთ და მკითხველს საშუალება აქვს ტექსტიდან მათი გამოყოფისა.

ხელნაწერში შენიშვნათა ნომრები ყველგან არ არის დასმული, რაც გაძნელებულია შემდგომი ჩამატებებისაგან. ზოგ ადგილას ავტორი ახალ ნუმერაციას მიმართავს. ჩვენ თავიდან ბოლომდე ერთი რიგი დავიცავით.

ძირითად ტექსტში დაბეჭდილი სქოლიოები (სულ 77 №№) ხელნაწერში მოყვანილია ბოლოს, ავტორის დამატებითი შენიშვნების წინ. ჩვენ დავიცავით „ივერიის" მიერ მიღებული სისტემა და შენიშვნები დავტოვეთ ტექსტშივე. გამოტოვებული შენიშვნები ყველგან აღგენილია და ამრიგად ჩვენი გამოცემა ახალ მასალას შეიცავს (ნახე შენიშვნები №№ 38, 77 და სხვ.).

რამდენიმე შენიშვნა მართლწერისა და ორთოგრაფიის შესახებ.

ხელნაწერში ცალკე სიტყვების დამწერლობისა და მართლწერის მხრით დიდი მერყეობაა. ხელნაწერის სახის ზუსტი დაცვა ყოვლად მიუღებელ სიჭრელეს დაჰბადებდა. მხედველობის სისუსტის გამო (ნახე მიმართვა გრუზინსკისადმი ზემოთ) პ. იოსელიანს კარგად ვერ მიუდევნებია თვალი ხელნაწერისათვის (ასლის სწორებისას). ხელნაწერში გვხვდება პ. იოსელიანის სტილისათვის მიუღებელი სინტაქსური ფორმები („მეფემან ირაკლიმ", „კათოლიკოსმან ანტონიმ" და სხვ. ნაცვლად კონსტრუქციისა „მეფემან ირაკლი", „კათოლიკოსმან ანტონი" და სხვ. პლ. იოსელიანი ასეთ შემთხვევებში არასოდეს არ ათანხმებს პირველ სიტყვას მეორესთან). ცალკე სიტყვებიც სხვადასხვანაირად არის ნახმარი, თვით ავტორის მიერ შესრულებულ ადგილებშიაც (კათოლიკოსი || კათოლიკოზი; პატრიარქი || პატრიაარხი; დაჰსწერა || დასწერა; იშვიათად — დაწერა. მაგ. ხელნ. გვ. 234 „ესე წერილი დაწერა"). არის გამონაკლისიც: პ. იოსელიანი და გადამწერი ყველგან ხმაროებენ „თფილისს", რომელსაც წინა გამოცემები არ იცავდენ (იქ ხშირად გვხვდება „თბილისი"). ჩვენ დავტოვეთ ის ფორმები, რომლებიც უფრო დამახასია-

თებელია პ. იოსელიანის მართლწერისათვის (მოყვანილ დოკუმენტებში კი ორიგინალის სტილია დაცული). პ. იოსელიანი ყველგან ჰყოფს კომპოზიტებს, განსაკუთრებით გვარებს (გურამის-შვილი, თუმანის-შვილი, ციცის-შვილი, ყაფლანის-შვილი, გულ-საკიდი და ა. შ.). ჩვენს გამოცემაში უარყოფილია ასეთი დაყოფა (ზოგი გამონაკლისის გარდა) და ამოგდებულია უადგილო ს-ნი (არც პ. იოსელიანი იცავს მას ყველგან). უარყოფილია აგრეთვე ჯ-ის, კ-ის, ფ-ის ფორმები, აგრეთვე უფუნქციო ჰ-ა ზმნებში (ჰსწერს, ჰსწუხს, დაჰშთა და მისთ.) პ. იოსელიანის ისედაც არქაულ სტილსა და ენას ამ ნიშნების დაცვა ძალზე დაამძიმებდა (არც ხელნაწერის ავტოგრაფულ ადგილებში გვხვდება ის ყველგან).

პუნქტუაცია და მოქმედ პირთა სიტყვების საერთო თხრობიდან გამომყოფი ნიშნები ნაწილობრივ „ივერიის“ რედაქციას ეკუთვნის, ნაწილობრივ კი წინამდებარე გამოცემის რედაქტორს.

ქარაგმები ყველგან გახსნილია.

რამდენიმე სიტყვა სათაურის შესახებ.

ჩვენს გამოცემაში ძირითადი ტექსტის წინ მიდის სათაური, რომელიც მონოგრაფიას აქვს წამძღვარებული ხელნაწერში (ფურც. მე-3, გვ. 1). ეს სათაური თუმცა სხვისი ხელით არის დაწერილი, მაგრამ სავსებით იცავს ავტორის სტილს (პ. იოსელიანი ხმარობდა „მეათცამეტეს“ მეცამეტეს ნაცვლად). შესავალი წერილების წინ და ყდაზე კი სათაური მიდის შემოკლებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი შეგნებულად წერს მეფის ტიტულად „მ ე ც ა მ ე ტ ე ს“... ამის შესახებ თვითონ პ. იოსელიანი მიუთითებდა თავის ადრინდელ გამოკვლევაში „Описание древностей города Тифлиса (1866, გვ. 32, შენიშვნაში):

„Георгий XII, тот самый, который по смутам в крае от персов два раза восходил на троне Карталинскаго царства и это подало повод историкам считать его царем того же имени о д и н а д ц а т ы м и д в е н а д ц а т ы м. На этом основании, получившем исторический авторитет, царь Георгий последний, вручивший судьбу царства великодушной защите России, именовался и именуется т р и н а д ц а т ы м“.

ამასვე იმეორებენ: ადოლფ ბერჟე („აქტებში“), ივ. ბერძენოვი (იხ. ცისკარი, 1868 № 12) და ნ. დუბროვინი (ნახე მისი Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России, изд. II, СПБ. 1897 გვ. IX). აქ მოვიყვანთ „აქტების“ რედაქტორის სიტყვებს, რომელსაც ჩვენის მხრით არაფერს ვუმატებთ:

„Грузинский царь Георгий XII часто называется писателями XIII-м, но ошибочно, так как в Истории Грузии упоминается только 12 царей под этим именем. Это произошло оттого, что Георгий XI, сын Шах-Навваза, воцарился два раза, в 1676 и 1703 годах“ (იხ. Акты кавк. арх, ком., 1866, ტ.-I, გვ. 93. შენიშვნა).

დასასრულ ერთი შენიშვნაც:

პ. იოსელიანის მონოგრაფია შეიცავს ზოგიერთ ადგილებს, რომელნიც განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებენ ავტორის ანტისემიტურ და შოვინისტურ მსოფლმხედველობას (იხ. §§ LXXXV და LXXXVIII). საბჭოთა მკითხველისათვის ეს ადგილები აშკარად მიუღებელია და მათ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა თუ აქვთ: ახასიათებენ ქართული ინტელიგენციის გარკვეული ფენის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ერისადმი წარსულში.

II. უცხო პიროვნებანი

კომენტარიების ამ ნაწილში მოცემულია მოკლე ცნობები იმ უცხო პირებზე, რომლებიც მონოგრაფიის ტექსტში გვხვდებიან. სახელები მოყვანილია ისე, როგორც ავტორს აქვს ნახმარი (ფრჩხილებში გასწორებულია წაკითხვა ან სრულად არის მოყვანილი გვარი და სახელი). პირთა სახელების დალაგებისას გვარები ცალკე არ არის გამოყოფილი (მაგ. „აპოლონ მუსინ-პუშკინი" შეტანილია „ა"-ზე დალაგებულ სახელებში).

გეოგრაფიულ სახელებიდან აქ შემოტანილია მხოლოდ ორი: 1) „თებაიდა", რადგან ტექსტში ის შედარების მიზნით არის ნახმარი და 2) ოლიმპია—რომლის განმარტება საჭიროა კონტექსტის მნიშვნელობის გასაგებად.

კარგად ცნობილ პირების (მაგ. ნაპოლეონის, არისტოტელეს, ნერონის და სხვ.) შესახებ ცნობები მოკლეა, რადგან მათი ვინაობა ასე თუ ისე ნაცნობია საშუალო ცოდნის მქონე მკითხველისათვის).

* *

აბას მირზა—ირანის მეფის ფეტ-ალი შაჰის (იგივე ბაბახანი) შვილი 1783—1833). მონაწილეობას იღებდა რუსეთ-ირანის ომში 1811—12 და 1826—28 წლებში. მისი შვილი მაჰმად მირზა გაეუფდა 1834 წ.

აბრაამი—ბიბლიური პატრიარქი, ებრაელთა ერის მამამთავარი, რომელმაც პირველად უარყო კერპთთაყვანისცემლობა, დაიბ. დაახლ. 2040 წ. ახალ ერამდე.

ალექსანდრე [მაკედონელი]—უდიდესი სამხედრო მოღვაწე ანტიური ეპოქისა (356—323).

ალექსანდრე I—რუსეთის იმპერატორი (1777—1825).

ანტიპატრე (ანტიპატროს)—გამოჩენილი მაკედონელი სარდალი (გარდ. 319 წ. ჩვ. ერამდე) თუ ანტიპატროს—ბოსტრელი ეპისკოპოსი (?). მე-VI საუკ.

ანტონ დიდი მეგვიპტელი—დაიბადა დაახ. 251 წ. ეგვიპტეში. გარდ. დაახლ. 356 წელს 106 წლისა. ცნობილი ასკეტი. ცხოვრობდა ძველი კოშკების ნანგრევებში. კათოლიკური ეკლესია დიდს პატივს სცემს მის ხსოვნას.

ანტონ მეგვიპტელის ასკეტური ცხოვრება მრავალჯერ არის აღწერილი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. მხატვრულ ლიტერატურაში ანტონზე ლეგენდა დასწერა გუსტავ ფლობერმა („Le Tentation de Saint Antoine").

ანტონ მეგვიპტელს შემდეგში გამოუჩენენ მიმდევრები, რომელთაც მთელი ორდენი შეჰქმნეს მისი სახელწოდებისა.

აპოლონ მუსინ-პუშკინი (გარდ. 1805 წ.)—რუსი მეცნიერი, ფიზიკოსი და მინერალოგი. მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის მთავრობის სახელით გიორგი მე-XII-სთან მადნებისა და სხვა ნედლეულის ექსპლოატაციის პირობების შესახებ 1799—1800 წ.წ. (პირობები იხ. А. Цагарели-ს წიგნში: Грамоты... том II, вып. I. გვ. 295—6, 1902; უფრო დაწვრილებით: Акты, I, გვ. 513—524), რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის მომხრე (იხ. М. Полиевктов: Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, ტფ. 1935, გვ. 49—50).

არიოზი—ალექსანდრიელი მწვალებელი; მის სახელთან არის დაკავშირებული ერეტიკული მიმდინარეობა, რომელიც ქრისტეანული ეკლესიის ისტორიაში ჩაისახა. ქრისტეანულმა ორთოდოქსიამ უარყო არიოზის შეხედულება, მიმართული ღმერთ-მამისა და ღმერთ-ძის ერთარსობის წინააღმდეგ (არიოზის აზრით, ქრისტე ღვთაებრივი პიროვნებაა, მაგრამ წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ღმერთსა და ადამიანს შორის).

არისტოტელი—საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი (384—322 ჩვ. წ.რამდე). ფილოსოფიისა და მეცნიერების მრავალი დარგის მამამთავარი.

ბაბახან—ირანის მეფე. გარდ. 1834 წ. (იგივე ფეტ-ალი-შაჰ).

ბასილი დიდი (იგივე—ვასილი დიდი)—კესარიის (კაბადოკია) არქიეპისკოპოსი, ღვთისმეტყველი (329—397 ჩვენი ერით). ბასილი დიდის კალამს ეკუთვნის ასკეტური წესდებანი, მრავალრიცხოვანი ქადაგებანი და სხვ. ერთერთი გამორჩენილი წარმომადგენელი ქრისტეანული ჰომილეტიკისა. ქართულად თარგმნილია მისი „ეპისტოლენი“ და მრ. სხვ. [ქ. კეკელიძე: უცხო ავტორები ძველს ქართულ მწერლობაში, ტფილ. უნივ. მოამბე, 1928. ტ. VIII, გვ. 109—111].

ბაუმეისტერი (ფრიდრიხ ქრისტიან) — გერმანელი ფილოსოფოსი (1709—1785), ვოლფის სკოლის მიმდევარი. მისი თხზულებანი და სახელმძღვანელოები პოპულარობით სარგებლობდნენ ევროპაში მე-18 საუკუნეში და ითარგმნებოდნენ რუსულადაც, რუსულიდან კი ქართულად (კერძოდ ანტონ I კათოლიკოსმა სთარგმნა ბაუმეისტერის „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“ და რამდენიმე წიგნი ფილოსოფიის ისტორიიდან და ეთიკიდან)

ბეზბოროდკო (ალ. ანდრიას ძე)—სახელმწიფო მოღვაწე ეკატერინე II-სა და პავლე I-ის მეფობის პერიოდისა. თავის დროზე გავლენიანი დიპლომატი (1747—1799).

ბეზბოროდკო ხელმძღვანელობდა რუსეთთან საქართველოს დაკავშირების საქმეებს პავლე I-ის დროს.

ბოსვეტი (უან ბენინ ბოსუეტი)—ფრანგი ისტორიკოსი, ღვთისმეტყველი და ქადაგი (1627—1704). მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი თეოლოგიისა, ისტორიისა და ეთიკის საკითხებზე. კლასიკური (ბერძნული და რომაული) კულტურის დიდი მცოდნე. თავისი დროისათვის საუკეთესო ორატორი. ქართულად თარგმნილია მისი „მოძღვრება“.

გაიოზ ასტრახანელი (გაიოზ რექტორი) — ასტრახანის არქიეპისკოპოსი, ქართველი (1750—1821). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოში. რუსეთში გამოსცა „კიტაიის სიბრძნე“ (მოსკ. 1777), „ქართული ღრამატიკა“ (კრემენჩუგი, 1789) და სხვ. უთარგმნია ბასილი დიდის „ქადაგებანი“, მარკ. ავრელიუსის „საყოფაქცევო სჯა“ და სხ. მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა და ცხოვრების მიმოხილვა იხ. კ. კეკელიძის „ქარ. ლიტ. ისტ-იის“ პირველ ტომში (იქვეა დასახელებული კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული წყაროები. დამატებითი ლიტერატურა: პ. იოსელიანის История грузинской церкви, Спб. 1843, გვ. 135; В. Шереметевский-ს წერილი „Рус. Биогр. Словарь-ში 1914, გვ. 115—117).

გაიოზ მოძღვარი—[იგივე გაიოზ ასტრახანელი.]

გიბბონი (ედუარდ)—ინგლისელი ისტორიკოსი (1737—1794). მის კალამს ეკუთვნის მონუმენტალური შრომები რომის იმპერიისა და ბიზანტიის ისტორიაზე. გიბბონის შრომები ფრანგულ ენაზე გადათარგმნა გიზომ. არსებობს რუს. თარგ-იც.

გრიგოლ ნოსელი (ნისელი)—ქალ. ნისის ეპისკოპოსი, ბასილი დიდის უნცროსი ძმა (335—394?). ღვთისმეტყველი და პოეტი-მოაზროვნე. ფილოსოფიური ერუდიციის მხრით ბადალი არ ჰყავდა IV საუკ. ქრისტიანე ღვთისმეტყველთა შორის.

გრიგოლ ნისელზე დიდი გავლენა მოახდინა პლატონის, პლოტინის და ორიგენის თხზულებებმა. აინტერესებდა ანთროპოლოგიის, ესქატოლოგიის და გნოსეოლოგიის საკითხები. გიორგი ნისელის ლიტერ. მემკვიდრეობა დიდია რუსულად თარგმნილია მისი ეგზეგეტიკური და დოგმატიკური ნაწერების ნაწილი.

(8 ტომად). ძველად ნოსელის ნაწერები ქართულადაც უთარგმნიათ [კეკელიძე, უცხო ავტორები... 117—119].

გ რ ი გ ო რ ი ნ ა ზ ი ა ნ ზ ე ლ ი—ღვთისმეტყველი, შვილი ქ. ნაზიანზის ეპისკოპოსისა (329—390). ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, რომელიც ეძებდა დასავლეთის ეკლესიასთან აღმოსავლეთის ეკლესიის შემაერთებელ ხაზს. რუსული თარგმანი მისი შრომებისა (6 ნაწილად) გამოვიდა 1889 წ.

გრიგოლ ნაზიანზელის ღვთისმეტყველური შრომების ნაწილი ძველად ქართულადაც უთარგმნიათ [კეკელიძე, უცხო ავტორები... გვ. გვ. 120—130].

გ რ ი გ ო რ ი ღ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი [იგივე—გრიგოლ ნაზიანზელი].

გ უ ლ ი ა კ ო ვ ი—ვისილი სიმონის ძე, გენ.-მაიორი (1751—1804). 1800 წ. მონაწილეობა მიიღო ლეკებთან ბრძოლაში მდინ. იორთან. 1803 წელს პავლე ციციშვილის (კავკ. მთავარ მართებელი 1803—1806 წ.წ.) ბრძანებით მოაწყო ექსპედიცია ჭარ-ბელაქანში ლეკების წინააღმდეგ; მოჰკლეს 1804 წ. 8 ოქტომბერს ზაქათალას ხეობაში.

დ ა ვ ი თ ი—ებრაელთა მეორე მეფე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქრისტეანულ მოძღვრების ისტორიაშიც. მისი „ფსალმუნები" (ნ. ბიბლიაში) უდიდესი პოეტური და რელიგიური ძეგლია... მეფობდა 980—950 წ.წ. ჩვენს ხანამდე.

დ ი ო ს კ ო რ ე — ალექსანდრიელი პატრიარქი, რომელიც მფარველობდა მწვალებელ ევტიქის (ნ. ქვემოთ).

დ ი ო კ ლ ი ტ ი ა ნ ე (გაი-ავრელი-გალერი დიოკლეტიანე) — რომის იმპერატორი (?—გარდ. 313 წ. ჩვ. ერამდე). თავის ნებაყოფლობით დაუტევა იმპერატორის ტახტი 315 წელს და უკანასნელი 8 წელი გაატარა მარტოობაში.

დ უ ბ უ ო (ფრედერიკ დაუბუა დე მონპერე)—ფრანგი ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი (1798—1850). სწავლობდა უმთავრესად კავკასიას და ყირიმს. პუბლიკაციები გულისხმობს მის შრომას: Voyage Autour du Caucase... Par Frédéric Dubois de Montpereux. ტტ. I—VI. Paris, 1839—1843 (საქარ. შესახებ. ნ. I, II, III და IV ტომებში. სიონის შეს. ნ. I, 410; III, 42;—Descript. 222.—inscr. rem. 214).

ე ვ ტ ი ქ ი—კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტი, მწვალებელი (იხ. მე-V საუკ. პირველ ნახევარში). ევტიქი იზიარებდა და იცავდა კამათს ქრისტეს შესახებ, რომელიც ერეტიკოსებისაგან მომდინარეობდა; მის მიმდევრებს უწოდებენ ევტიქიელებს ან მონოფიზიტებს.

ე ზ ო პ ე—ბერძნული მწერალი (მე-VI—საუკ. ჩვენ ერამდე), ე. წ. ეზოპური იგავ-არაკთა მამამთავარი. ცნობილი იყო თავისი სიმახინჯით. მოჰკლეს დელფში.

ეზოპეს იგავ-არაკები თარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე. 40 არაკი უთარგმნიათ ქართულადაც (იხ. კ. კეკელიძე: ქართ. ლიტ. ისტორია. II, გვ. 313—314; აგრეთვე „იგავნი იეზოპოს ფილოსოფოზისანი", ვენეცია, 1859).

ე ი ხ ვ ა ლ დ ი (ედუარდ ივანეს-ძე) — ცნობილი ბუნებისმეტყველი (1795—1876), 1926—1827 წ.წ. იმოგზაურა კავკასიაში, ამ მხარის ფლორა-ფაუნის შესწ. მიზნით. მის მრავალ ნაწერებს შორის აღსანიშნავია: Raise auf dem Kaspischen Meere und in den Kaukasus, Unternommen in den Jahren 1825—1826 (შტუტგ. 1834—1837). რუსული თარგმანი: Путешествие по Каспийскому морю и по Кавказскому краю. Библиотека для чтения, 1838, ტ. 26.

ე რ მ ო ლ ო ვ ი (ალექსეი პეტრეს ძე)—არტილერიის გენერალი (1777—1861). „საქართველოს კონსული" (მმართველი) 1816—1827 წ.წ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ზ უ ბ ო ვ ი—გენერალ-ანშეფი (1771—1804). ალექსანდრე I-ის გამეფების შემდეგ (1801 წლიდან) მოღვაწეობდა კავკასიაში, აზიასთან სავაჭრო

ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით (1706 წელს დაიპყრო ბაქო და დერბენდი).

ვიქტორ კოჩუბეი (პავლეს ძე)—რუსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე (1768—1834). პირველ ხანებში ეწეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობას თურქეთში. 1798 წელს დაინიშნა საგარეო სამინისტროს კოლეგიაში, იმავე წლის ოქტომბერში კოჩუბეის ჩააბარეს ვიცე-კანცლერის თანამდებობა და საგარეო სამინისტროს საქმეთა დროებითი მმართველის ადგილი. 1799 წელს ებოძა გრაფის წოდება. 6 აპრილს კოჩუბეიმ ითხოვა შვებულება (ბუბნოროდკოს სიკვდილის გამო). იმავე წლის აგვისტოში კოჩუბეი გათავისუფლებულ იქნა სანსახურიდან (ვ. კოჩუბეის წერილი გიორგი მეთორმეტისადმი დაწერილია 1799 წ. 22 აპრილს).

ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში კოჩუბეის რამდენჯერმე ეკავა გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები (დაწვ. იხ. Н. Чечулин: Кочубей, Русский биогр. словарь, 1903, გვ. 366—382. იქვეა დასახელებული ბიოგრაფიული ლიტერატურა).

ვოლტერი—საფრანგეთის უდიდესი მწერალი და მოაზროვნე (1694—1778), ე. წ. „განმანათლებელთა“ პლეადის შესანიშნავი წარმომადგენელი. ვოლტერის ნაწერები განმსჭვალულია მკაცრი რაციონალიზმით. მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ ბევრი ავნო ეკლესიას და კლერიკალიზმს საერთოდ. საქართველოში ვოლტერიანობის ისტორიის შესახებ იხ. ლ. ასათიანის წიგნში „ვოლტერიანობა საქართველოში“, ტფილისი, 1933.

თებაიდა—ქალაქი ძველს საბერძნეთში (იხ. Der Grosse Brochaus-XVIII Bnd. 1934, 603).

თემურ ლენგი (კოჭლი თიმური)—სახელგანთქმული დამპყრობი. მონღოლი (1333—1405).

იულიანე (იულიანე განდგომილი)—რომის იმპერატორი 361—363 წლებში. დაიბ. 331 წ. კონსტანტინეპოლში. მიიღო კარგი განათლება. სწავლობდა ელინურ ფილოსოფიას და რელიგიას). გატაცებული იყო პლატონის იდეებით და ბავშობაშივე იჩენდა დიდს სიყვარულს ელინიზმისადმი. იმპერატორობის პერიოდში მის იდეალად იქცა—პაგანიზმის (წარმართობის) რესტავრაცია და ქრისტეანობის იდეოლოგიური განადგურება (ივლიანე რეპრესიებს არ მიმართავდა). ამის გამო მთელი ქრისტეანული მსოფლიო გადაიმტერა,

იულიანე ერთმანეთს უპირისპირებდა ელინიზმსა და იუდაიზმს, რომლის სახეობად სთვლიდა ის ქრისტეანობას. მე-IV საუკუნეში, როცა ქრისტეანობა და ეკლესია ძლიერი ავტორიტეტით სარგებლობდა, იულიანეს რეფორმები სასტიკ გულისწყრომას იწვევდა კლერიკალურ წრეებში. მას რაცხდენ „განდგომილად“. იულიანეს სიკვდილის (363 წ.) შემდეგ იმპერატორის იდეებს მიმდევარი არ გამოჩენია... იულიანე განდგომილზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა.

ივლიანე მდევნელი—[იგივე იულიანე განდგომილი].

იზაბელა—ისრაელთი მეფის ახაავას ცოლი, რომლის მოთხოვნით სამარიაში ააშენეს წარმართული სამსხვერპლო ვაალის პატივსაცემად. იეღოვას (ებრაელთა პირველი ღვთაება) რელიგიას მოელოდა აუცილებელი კრახი, რომ მის დასაცავად არ გამოსულიყო (ბიბლიის წარმოდგენით) ილია წინასწარმეტყველი.

იოანე კლემაქსი—ასკეტი. 20 წლისა აღიკვეცა ბერად. მრავალი წელი გაატარა მარტოობაში. მცირე ხნით მოღვაწეობდა სანაიის მონასტერში. გარდ. 649—50 წ.წ.

იოანემ დასწერა ბერმონაზნობის ცნობილი სახელმძღვანელო ბერძნულად: „სამღვთო კიბე“ („კლემაკსი“, „Scala paradis“). მისი აზრით სულიერი განწმენდის კიბის საფეხურთა გაცლა შეიძლება საკუთარ ვნებებთან და ნაკლულევანებებთან ბრძოლის პროცესში. ბერი ყოველივე ამას აღწერს სიკვდილზე განუწყვეტელი ფიქრით და სხ. „კლემაკსი“ შესდგება 30 საუბრისაგან (არს. რუსული თარგ.).

იოანე მოწყალე—ალექსანდრიის პატრიარქი 610—619 წლებში. ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ ბერად აღიკვეცა, ხოლო პატრიარქად არჩევის შემდეგ მთელი თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა. მისი ცხოვრების აღწერა კრიტიკულად გამოსცა გერმანელ ენაზე ჰ. გელცერმა 1893 წ. (არსებობს რუსული თარგ.).

იოანე ნათლისმცემელი—უდიდესი ასკეტი, რომელმაც მონათლა ქრისტე. მისმა მოღვაწეობამ და განსაკუთრებით ბაალი მესიის „წინასწარმეტყველებამ“ გამოიწვია მეფის იროდ ანტიპას მრისხანება: ამ მეფის ბრძანებით იოანეს თავი მოჰკვეთეს.

იოანე ოქროპირი—აღმოსავლეთის ეკლესიის ცნობილი მოღვაწე, კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსი და ქადაგი. დაიბ. 447 წ. ანტიოქიაში. სწავლობდა ორატორობის ხელოვნებას იმ დროს ცნობილ რიტორის ლიბანის სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ მცირე ხანს ეწეოდა ადვოკატობას. ხელი მიჰყო ქრისტეანულ ღვთისმეტყველების შესწავლას ანტიოქიის ეპისკოპოს ბილეთის დახმარებით, რომელმაც მონათლა ის 370 წელს. რამდენიმე წელი გაატარა უდაბნოში, ასკეტურ მარტოობაში. ამ ხანებში დასწერა რამდენიმე წერილი ბერმონაზნობის დასაცავად. ბოლოს ისევ დაუბრუნდა ანტიოქიას და საეკლესიო მოღვაწეობა დაიწყო. 397 წელს იოანე აირჩიეს კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსად. მისმა საჯარო სიტყვებმა, ჰომილიებმა (საუბრები), რომლებშიაც ის თავისი დროის ყველა წარჩინებულთა ზნეობრივ დაქვეითებას ამხელდა, სამეფო კარის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 404 წელს იოანეს ჩამოართვეს არქიეპისკოპოსის თანამდებობა და გადაასახლეს ქ. კუკუზში (მცირე სომხეთში), სადაც ორი წელი დაჰყო. აქედან იოანე უნდა ჩასულიყო ბიჰვინთაში, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა 407 წელს.

იოანე ოქროპირი წინააღმდეგი იყო: წარმართულ კულტთა ყოველგვარი ნარჩენების (მაგ. თეატრის), თავისი დროის კაპიტალისტებისა და სხვ. ეკლესია მასში ხედავს რელიგიური მორალის კლასიკურ განსახიერებას. იოანე ოქროპირის ჰომილიები იხ. Migne-ს Patrologia graeca-ში (ტ.ტ. XLVII—LXIV). არსებობს რუსული თარგმანები. ქართულად თარგმნილია ცრავალი მისი „სწავლანი“, „სიტყვა მღვდელობისათვის“ (მოსკ. 1744) და სხ. ბიოგრაფიული და კრიტიკ. ლიტერატურა იოანე ოქროპირის შესახებ საკმაოდ ვრცელია (ევროპულ ენებზე). ქართულად იხ. „ცხოვრება და მოქალაქობა წმ. ნეტარისა მამისა ჩვენისა და ძოძღვრისა ყოვლისა სოფლისა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა“, „ცხოვრება და ნეტარება იოანე ოქროპირისა“ და სხვ. (თარგმანების შეს. იხ. კეკელიძე, უცხ. ავტ..., 158—172).

იროდიადა—იუდეელთა მეფის იროდ დიდის შვილიშვილი და გალილეასა და პირეის მეფის იროდ ანტიპას მეუღლე; იროდიადას კარნახით მოკვლევინა იროდ ანტიპამ იოანე ნათლისმცემელი (იროდიადა შეფეს ცოლად გაჰყვა ამ სასჯელის შესრულების შემდეგ).

ისაია წინასწარმეტყველი (მე-VIII საუკ. ჩვენს ერამდე)—ებრაელთა მეფის იეზეკიას მრჩეველი. გადაარჩინა იერუსალიმი სენაქერიმის შემოსევი-

საგან. ძველს აღთქმაში მის ნაწერებს (66 თავისაგან შესდგება) მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს და წინასწარმეტყველთა წიგნებს შორის საუკეთესოდ ითვლება (იხ. ბიბლია).

კასიანე მწერალი — იგულისხმება იოანე-კასიანე (დაიბადა დაახლ. 360 წ. გარდ. 435 წ. ჩვ. ერამდე). წარმოშობით სკიფიელი. ასკეტიზმის იდეოლოგი. ქართულად ნახე: კასიანე რომაელის—„ერვათა მათ ბოროტთა გულის სიტყვათათვის", წ. კ. სან-ის № 3344 და სხვ. შდრ. კ. კეკელიძე: უცხო ავტორები... 175—176).

კატონი (მარკ პორცი კატონი)—რომაელი ტრიბუნი (95—96 წ.წ. ჩვენს ერამდე). მომხრე იყო კატილინას მიმდევართა დასჯისა, რის გამოც ცეზარის სიძულვილი დაიმსახურა. კეთილსინდისიერი, ზნეობრივად ფაქიზი და დიდი პატრიოტი მოქალაქე თავისი ქვეყნისა. მოუსყიდველი რესპუბლიკელი და ცეზარის ოპოზიციონერი. მისი ბიოგრაფია დასწერა პლუტარხმა.

კნორრინგი (კარლ ფედ. ძე)—გენ.-ლეიტენანტი (?—1805). 1799 წელს დაინიშნა კავკ. ქვეითა ჯარის ინსპექტორად, ხოლო 1801—1802 წ.წ.—საქართველოს მთავარმართებლად ითვლებოდა.

კოვალენსკი —სამოქალაქო ნაწილის მმართველი საქართველოში 1801-2 წლებში.

კონსტანტინე კეისარი — რომის გამოჩენილი იმპერატორი (დაიბ. 285 წ., გარდ. 337 წ.). აღიზარდა დიოკლეტიანეს კარზე. მისი მეფობის დროს მოხდა ქრისტეანობის ოფიციალურ რელიგიად დაკანონება (თეითონ კონსტანტინე ქრისტეანობას სახელმწიფოებრივ კულტად სთვლიდა).

კუვიე (ჟორჟ ლეოპოლდ კიუვიე) — გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი (1769—1832), რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა ბუნებისმეტყველების, ზოოლოგიისა და ანატომიის დარგებში.

ლაზარევი (ივანე პეტრეს ძე) — გენ.-მაიორი. 1820 წ. 7 ოქტომბერს დაამარცხა ომარ ხანი ავარიელი მდ. იორთან. მოკლულ იქნა 1823 წ. 18 აპრილს გიორგი მე-XII-ის მეუღლის მარიამ დედოფლის ხელქვეითის მიერ. ნე-17 ეგერ. პოლკის შეფი.

ლუდოვიკო XIV — საფრანგეთის მეფე (1638-1715). მის კარზე დიდი უფლებებით სარგებლობდნენ კლერიკალური წრეები, გაბატონებით იეზუიტები. ლუდოვიკო XIV თვითონ არ იყო ფანატიკოსი, მაგრამ სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა არსებობას არ ითმენდა.

მარკის პაულუჩი (მარკიზ ფილიპე ოსიპის ძე პაულუჩი)—გენ.-ადუტანტი (1779 — ?), კავკასიის მთავარმართებელი 1811-1812 წ. წ.

მაქსიმე აღმსარებელი (დაიბ. დაახლ. 580 წ. კონსტანტინეპოლს, გარდ. 662 წ.)—ასკეტიზმის იდეოლოგი. დიონისი არეოპაგელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და სხვა ღთისმეტყველთა ნაწერების კომენტატორი. მის ნაწერებში იგრძნობა ნეოპლატონიზმის გავლენა.

მაქსიმე აღმსარებელის ნაწერები ძველად უთარგმნიათ ქართულადაც [კ. კეკელიძე,—უცხო ავტორები... გვ. გვ. 185-188]

მიშლე (იული მიშლე)—ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი (1798 — 1874); გიზოს სკოლის მიმდევარი ახასიათებდა ვოლტერული დამოკიდებულება კლერიკალიზმისადმი. თავის დროზე გახმაურებულ ნაწარმოების „Des Jésuites" ავტორი.

მიტრიტადე (მიტრიტადე VI, ევპატორი დიდი. დაიბ. 132 წ., მოჰკლეს 63 წ. ჩვენს ერამდე). ანტიური ეპოქის ერთერთი დიდი მეფე (როდესაც ის რომის სარდლობამ პომპეუსმა დაამარცხა დროებით თავი შეაფარა კოლხიდას).

მოსე (წინასწარმეტყველი) — ისრაელთა ერის ბელადი. უდიდესი სახელი ებრაელთა ისტორიაში. მათი წარმოდგენით ებრაელთა მხოლოდ ამ წინასწარმეტყველს იცნობდა ღმერთი პირადად.

ნაპოლეონი [იგივე ბონაპარტე] — საფრანგეთის იმპერატორი (1768—1821).

ნერონი — რომის იმპერატორი (37—68). ცნობილი იყო თავისი სისასტიკით. 64 წელს მისი ბრძანებით გასწყვიტეს აუარებელი ქრისტეანე, რომლებთაც მან რომში ხანძრის გაჩენა დააბრალა.

ოლიმპია — ადგილი ძველს საბერძნეთში, სადაც იმართებოდა ე. წ. ოლიმპიის წარმართული დღესასწაულები და თამაშობანი.

ორიგენი (დაიბ. 185 წ. ალექსანდრიაში. გარდ. 754 წ. ტირში). მის კალამს ეკუთვნის ეგზეგეტიკური, დოგმატიკური და აპოლოგეტური ხასიათის ნაწერები (კერძოდ ეგზეგეტიკური ნაწერები შეიცავს უთმავრესად ძველი და ახალი აღთქმის კომენტარიებს), პრაქტიკული ხასიათის საუბრები ანუ ჰომილიები და სხვ. მასვე ეკუთვნის სახარების ბერძნული თარგმანი.

გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და სხვ. ღთისმეტყველნი უხვად სარგებლობდნენ ორიგენის თხზულებებით. მე-VI საუკუნეში მოხდა მისი გადაფასება.

რუსულად არსებობს თარგმანები ორიგენის ზოგიერთი თხზულებისა.

პავლე I — რუსეთის იმპერატორი (1751—1801).

პეტრე მკაწვრალი [იგივე ამიენელი (Ambianensis), მწერი, Hermetia] — ასკეტი, რომელმაც პირველად მოაწყო დასავლეთ ევროპის ქრისტიანეთ ჯვაროსანთა ომისაკენ. თავისი ქადაგებებით საფრანგეთში ათმოძრავა გლეხების ყმებისა და მათხოვრების მასები. ამ ხალხით მან გაიარა გერმანია, გადავიდა დუნაიზე და მიაღწია კონსტანტინეპოლს. დაამარცხეს სელჯუკებმა 1096 წ. ანუ შემდეგ მიემხრო გოტფრიდ ბულლონს და იერუსალიმის აღების ალდგა დაბრუნდა პალმობლოში. გარდ. 11.5 წ.

პიი VI — რომის პაპი 1775—1799 წლებში.

პლატონი — საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი, წარმოშობით არისტოკრატი (დაიბ. დაახ. 427 წ. გარდ. 347 წ. ჩვენს ეთამდე). ეილოსოფიური იდეალიზმის მამამთავარი.

პლინიოს (კაი პლინიუსი)—რომაელი მეცნიერი (23—79 ჩვენი ერით). ენციკლოპედიური განათლების მქონე ისტორიკოსი (აღწერა გერმანელთა ომები და ნერონის ეპოქა), ავტორი ცნობილი წიგნისა „Historia naturalis".

პეტრე ბაგრატიონი (ივანეს ძე) — რუსეთის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, იწფანტერიის გენერალი (1763—1812). სასიკვდილოდ დაიჭრა ბოროდინოს ომში. წარძოშობით ქართველი.

რენანი (ჟოზეფ ერნესტ რენანი) — ფრანგი ორიენტალისტი, ისტორიკოსი და მწერალი (1823—1892). ებრაული, ქალდეური და სირული ენების პროფესორი Collége de France-ში. გახმაურებული წიგნის „Vie de Jésus" („ქრისტეს ცხოვრება". 1863. არსებობს ქართ. თარგმანი) ავტორი. თავის დროზე ამ წიგნმა დიდი აღშფოთება გამოიწვია, რასაც მოჰყვა Collége de France-დან რენანის გარიცხვა (მხოლოდ 1871 წელს დართეს ნება ლექციების კითხვისა). დაწერილი აქვს მრავალი ლინგვისტურ-ფილოლოგიური, ისტორიული და ფილოსოფიური ხასიათის შრომა, მონოგრაფიები (წმ. პავლეზე, მარკ ავრელიუსზე და სხ.), ფილოსოფიუ

რი დრამები და სხ. რენანის, როგორც სტილისტის, დახასიათება იხ. დ. მერეჟკოვსკის წერილში „Марк Аврелий" (წიგნში „Вечные спутники", მოსკოვი, 1811, გვ. 14-35).

რობესპიერი (მაქსიმილიან მარი ისიდორ) — გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე საფრანგეთის დიდი რევოლუციისა (1758—1794), იაკობინელი. ჟირონდის დამხობის შემდეგ (1793) სათავეში ჩაუდგა პარლამენტს და ხელმძღვანელობდა სასტიკ ტერორს „რევოლუციის მოღალატეთა" წინააღმდეგ (რობესპიერის ბრძანებით გილიოტინით მოჰკვეთეს თავები ყოფილ მის მეგობრებს — დანტონს, შომეტს და სხვ.). 1794 წელს პარლამენტმა ის დაატყვევა და უმრავლესობის სურვილის თანახმად თავი მოჰკვეთეს.

როტიე გოლანდიელი (იგივე—როტიერ).

როტიერ (იხ. გვ. 116: „...დაბეჭდილსა ფრანციზულად წიგნსა შინა როტიერსა"). იგულისხმება: „Intinéraire de Tiflis a Constantinople: par le Colonel Rottiers,.. Bruxelles, 1829. პლატონ იოსელიანის მიერ თარგმნილი „ახრანი და მუხლნი" შეიცავს ამ წიგნის 68, 69 და 70 გვ. გვ. თარგმანსა და ფრანგულ დედანს შორის მცირედი განსხვავებანი მოიპოვება (შდრ. დასაწყისი: II-e Traite, conclu a Tiflis, antre sa majesté l' Empereur Paul I-er, et le Czar George XI, fils d' Héraclius. 1799.—23 novembre (V. st). ბოლოში არ უთარგმნია: „Etait signé-ხელმოწერილია" (გამოცემაში ჩვენს მიერ არის შეტანილი).

სვიმონ მესვეტე (Stylita, Столпник)—ცნობილი ასკეტი (356—459) წარმოშობით კილიკიელი. ცხოვრობდა ანტიოქიაში. მთელს რომის იმპერიაში ცნობილი იყო, როგორც გულთმისანი მრჩეველი. (ააგო სვეტი, რომლის ზემოთ, სიარტყეზე, ლოცულობდა და ღმადაგებდა ხალხს. სვეტი შემოფარგლული იყო კედლით, რომლის გადაბიჯება აკრძალული იყო. ასეთ ყოფაში მან მთელი 40 წელი გაატარა).

სვიმონ მესვეტეს ბიოგრაფია შეადგინა ანტონ მეგვიპტელმა. ცნობილია ინგლისელი პოეტის ტენისონის პოემა მისი ცხოვრების შეს. („St. Simeon the Stilite"), (ნახე აგრეთვე კ. კეკელიძე: უცხო ავტორები, გვ. 198).

სოკრატი —საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი (დაიბ. დაახლ. 469 წ. გარდ. 399). ანტიური ეპოქის დიდი მოაზროვნე, პლატონის მასწავლებელი (მისმა მოძღვრებამ ჩვენამდე მოაღწია პლატონისა და სხვა მოწაფეების მიერ შეკრებილ „საუბრების" სახით).

სტეფანე — ამ სახელს პ. იოსელიანი იხსენიებს კიუვესთან (იხ. ზემოთ) ერთად. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, ავტორი არ გულისხმობს ამ სახელით ცნობილ „წმინდანებს" ან პოლიტიკ. მოღვაწეებს. უნდა იგულისხმებოდეს სტეფან (Iosepli Stephan)—ფიზიკოსი და მათემათიკოსი (1835—1893), უფრო კი: სტეფან (ქრისტიან ფრიდრიხ) — გამოჩენილი ბოტანიკოსი და ბუნებისმეტყველი (1757—1814).

სუაროვი (ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი)—რუსეთის არმიის გენერალისიმუსი, ფელდმარშალი (1730—1800). პავლე პირველის გამეფების შემდეგ მას სამეფო კარი არ სწყალობდა. 1797 წელს პავლემ მოხსნა სამსახურიდან და გაგზავნა მისივე მამულში, სადაც ორი წელი დაჰყო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1799 წელს კი სამხედრო წრეების თხოვნით იმპერატორმა ისევ დააბრუნა სამსახურში და საგრანგეთთან გამართულ ომში აუსტრო-რუსეთის არმიის სარდლობა ჩააბარა. ამ ომში სუვოროვს უდიდესი გამარჯვებანი ხვდა წილად. ცნობილია მისი ლაშქრობა იტალიასა და შვეიცარიაში, სადაც მან ალპიის მთები გადავლო (სუვოროვის ლაშქრობის ეს პერიოდი იგულისხმება მონოგრაფიის ტექსტ-

ში). პავლე I-ლმა სუვოროვი „იტალიის თავადის“ ტიტულით და გენერალისიმუსის წოდებით დააჯილდოვა.

სუვოროვზე არსებობს ვრცელი ბიოგრაფიული ლიტერატურა.

სოლომონ (სოლომონ ბრძენი)—ისრაელთა მეფე, დავითის შვილი (ნ. ზემოთ); მეფობდა 993—953 წ. წ. ქრ. დაბადებამდე. მას ეკუთვნის ცნობილი „ეკლეზიასტე“ და „ქებათა-ქება“ (ნახე ბიბლიაში).

ტაციტი (კორნელი ტაციტი)—რომაელი ისტორიკოსი (ცხ. დაახლ. 55—120 წლებში ჩვენი ერით). გრანდიოზული შრომის „Annales“ (მოიპოვება რუს. თარგმანი, ნაწყვეტები—ქართულადაც) ავტორი. ისტორიულ პირთა ფსიქოლოგიური პორტრეტებისა და ხასიათების გამოსახვის დიდი ოსტატი. შეადგინა აგრიკოლას, ნერონის და სხვათა ბრძოლების ისტორია. ავგუსტის ეპოქის პანეგირისტი.

ტოტლებენი (გოტლიბ ჰაინრიხ)—რუსის გენერალი (1710 — 1773). კავკასიაში მისი სამხედრო მოღვაწეობის შესახებ იხ. ე. ვეიდენბაუმის წერილში: „Закавказский поход графа Тотлебена 1769—1771 г. г. (წიგნში: „Кавказские этюды“, ტფილ. 1901), და პ. ცხვილოელი: გენერალ-მაიორი გოტლიბი გენრიხის-ძე, გრაფი ტოტლებენი და ირაკლი მეფე (ივერია, 1891, № 11).

ფაბრიციოსი (კაი ლუსცინი ფაბრიციოსი)—რომაელი სარდალი (მე-3 საუკ. ჩვენი ერით). ცნობილი იყო, როგორც მოუსყიდველი ადამიანი, დიდი პატრიოტი და იშვიათი მამაცი მეომარი.

ფლავიანე მოწამე—კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსი. გარდ. 449 წ-ში. მან გარიცხა ეკლესიიდან მწვალებელი ევტიქი ერეტიკული მოღვაწეობისათვის, მაგრამ ეპისკოპოს დიოსკორეს შემწეობით საეკლესიო კრებამ (რომელსაც შემდეგ „ავაზაკური“ ეწოდა) აღადგინა ის ძველს უფლებებში (დიოსკორეს მფარველობდა იმპერატორ ფეოდოსი მეორის მეუღლე ევდოკსია). დამარცხებული ფლავიანე ისე ძლიერ აცემინა დიოსკორემ, რომ ის სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმპერატორ ფეოდოსზე, რომელიც თავისი დის, პულხერიას დიდი გავლენის ქვეშ იყო. ეს უკანასკნელი კი მფარველობდა ფლავიანეს. ამის გამო მღვდელთავარის გვამი განსაკუთრებული პატივით დაასაფლავეს მოციქულთა პანთეონში (კონსტანტინეპოლს), ხოლო ეკლესიამ ის წამებულებში ჩარიცხა.

ქსერსი (ქსერსი I)—ირანის მეფე (ტახტზე ავიდა 485 წ. მოჰკ. 465 წ. ჩვენამდე). შვილი მეფის დარიოს გისტასპისა და მეფის კიროსის ასულის. ეგვიპტისა და ნაწილობრივ საბერძნეთის დამპყრობი.

ჰეროდოტი (ჰეროდოტი)—საბერძნეთის დიდი ისტორიკოსი (მე-V საუკ. ჩვენს ერამდე). მის ნაწერებს საერთოდ ახასიათებს მიუკერძოებლობა. ბევრი იმოგზაურა აზიასა და ევროპაში. ეხება ძველს კოლხეთსა და იბერიას თავის ნაწერებში. ითვლება ისტორიის „მამად“ (არსებობს რუს. თარგ. მისი ისტორ. ნაწერებისა 2 ტომად, მოსკ., 1880).

ღიზო (ფრანსუა-პიერ-გილაომ გიზო)—ფრანგი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე (1787—1874); მრავალრიცხოვანი ისტორიული შრომებისა და მონოგრაფიების ავტორი.

ჩინგიზ ხანი („ძლიერი ხანი“)—ცნობილი დამპყრობი (1160—1227).

შატობრიანი (ფრანსუა რენე)—ფრანგი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე (1768—1848). ქრისტეანობის აპოლოგეტი, ავტორი რომანებისა „ატალა“, „რენე“ და სხვ.

შაჰაბაზი (შაჰ-აბას დიდი)—ირანელთა გამოჩენილი მეფე სეფევიდთა დინასტიიდან (1587—1628). ქართლ-კახეთის ამაოხრებელი.

შლეიერმახერი (ფრიდრიხ დანიელ) — გერმანელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და ქადაგი (1768—1834). თავისი დროისათვის სახელგანთქმული მისტიკოსი. წინააღმდეგი იყო გარეგანი რელიგიური კანონმდებლობისა. ავტორი მრავალრიცხოვანი შრომებისა რელიგიის, ფილოსოფიის და თეოლოგიის საკითხებზე. დიდი გაელენა იქონია გერმანელ რომანტიკოსებზე, განსაკუთრებით—ნოვალისზე.

III. ცნობები პლ. იოსელიანის უცნობი და გამოუქვეყნებელი ნაწერების შესახებ

პლატონ იოსელიანის მუშაობა ისტორიისა და არქეოლოგიის დარგში მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. როგორც ქვემოთ დაბეჭდილ „ბიბლიოგრაფიიდანაც" დაინახავს მკითხველი, მან საკმაოდ ბევრი გააკეთა საქართველოს სიძველეთა შესწავლის მხრით.

თავის ნაწერების გამოქვეყნებისათვის პლ. იოსელიანს შესაფერი პირობები ჰქონდა, მიუხედავად ამისა, ზოგი რამ დაუბეჭდავი დარჩა.

მოკლედ პლ. იოსელიანის ამ უცნობი მემკვიდრეობის შესახებ.

ტფილისში რუსული პრესის დაარსებამდე პლ. იოსელიანი თავის ნაშრომებს უმთავრესად რუსეთის პრესაში (ორგანოებში—„სახ. განათ. სამინისტროს ჟურნალი" და „შინაგ. საქმ. სამინისტროს ჟურნალი") ათავსებდა, ცალკე წიგნებად სცემდა თავის ნაშრომებს ყოფ. პეტერბურგში და სხვ. ახლო ურთიერთობა ჰქონია პლ. იოსელიანს სამეცნიერო აკადემიასთან, რომელსაც ის მარი ბროსეს მეშვეობით აწვდიდა სხვადასხვა მასალას და დოკუმენტებს.

როგორც ბროსესადმი მიმართულ ბარათებიდან ჩანს, 1838—1839 წლებში პლ. იოსელიანს დაუწერია „საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული აღწერა" (რუსულ ენაზე), რომელიც გადაუგზავნია აკად. შეგრენისათვის (1794—1855; თავისი დროისათვის ცნობილი ლინგვისტი, ავტორი წიგნისა: Osetische Sprachlehre, 1844) სამეცნიერო აკადემიისათვის გადასაცემად. პლ. იოსელიანი დაჟინებით სთხოვდა ბროსეს გაეგო—იყო თუ არა სამეცნიერო აკადემია ამ შრომის დაბეჭდვის თანახმა. მათი მიწერ-მოწერიდან ირკვევა, რომ აკადემიას უარი უთქვამს „აღწერის" დაბეჭდვაზე. პლ. იოსელიანმა შემდეგ უკანვე გამოითხოვა თავისი ნაშრომი. აკადემია დათანხმებულა ხელნაწერის დაბრუნებაზე, მაგრამ გამოურკვეველია, მიიღო თუ არა პლ. იოსელიანმა თავისი ხელნაწერი. ტფილისის მუზეუმში დაცულ პლ. იოსელიანის ნაწერებს შორის ასეთი ნაშრომი არ მოიპოვება. შეიძლება ხელნაწერი აკადემიის არქივში ინახებოდეს.

კ. მამაცაშვილის ცნობით (ნ. გაზ. დროება, 1881, № 206) ორმოციან წლებში, ნ. ბარათაშვილის სახლში პლ. იოსელიანისათვის დაუვალებიათ საქართველოს ძველი ისტორიის დაწერა. ამ ცნობას იმეორებენ: ზ. ჭიჭინაძე („პლატონ იოსელიანი", გვ. 12) და გ. თუმანიშვილი („Характеристики и воспоминания", ტფ., 1901, გვ. 154). სამეცნიერო აკადემიისათვის გადაცემული „აღწერა" ეგება ამ დავალების შესრულების ნაყოფი იყო?

პლ. იოსელიანი საერთოდ დიდ ყურადღებას იჩენდა სამეცნიერო აკადემიისადმი. 1840 წ. 22 თებერვლის თარიღით ის სწერს ბროსეს:

„აკადემიისათვის მაქუს საჩუქარი კარგი: ჰაზრი ჯერეთ ახალი, არავისაგან ქმნილი, სრულებით свежий, როგორც ახალი თევზი. თქუენც მოიწონებთ. მაგ-

რამ ჯერ არ შესრულებულა, და ამისათვის არ გეტყვით. ესე იყოს თქუენთვის საიდუმლოდ! — ერთს თთუეს შემდეგ გაცნობებთ და გამოგიგზავნიცა. — ეს იქმნება

არც ქაღალდი არცა წიგნი
არცა ჩემი, არცა შენი
ყოველთათვის საჭირონი
სამუდამოდ დასაშვენი

გამოიცანით რა?

[მისივე მინაწერი კუპლეტის მარცხნით, აშიაზე]:

არა ეძიოთ ამ ლექსებში პოეზია" [იხ. წ. კ. საზ-ის № 479/]

1840 წ. 5 სექტემბერს პლ. იოსელიანს გაუგზავნია დაპირებული საჩუქარი ბროსესათვის:

„ამასთან ერთად გამოვისტუმრე მძიმეს ფოშტით ადრევე სიმეოლიკად აღთქმული საჩუქარი. ეს არის ქართული ახალი შრიფტი ნუსხური. გთხოვ აკადემიას მიართოთ ჩემ მაგიერ. რაც შეიძლება კარგნი არიან და [პირველ] შემთხუევისათვის, და საჭიროცა იქმნება აკადემიის ტიპოღრაფიისათვის. თქუენ იცით რომ ჯერეთ ნუსხური არა გუქონია ქართულად სტამბათა შ[ინ]ა ხმარებული... ასოებისა თანა ჰპოებთ ნუსხისათვის სახმართა ქარაგმათაცა. — მაგალითად მცირე დაბეჭდილი კუპლეტი აქვე მდებარებს ამ წერილთან. პ[ირველ]ლ შემთხვევაზე არ არიან ასოები დასაწუნებელი".

შემდეგ წერილის მე-3 გვერდზე დაწებებულია პატარა ქაღალდი, რომელზედაც დაბეჭდილია მხედრული ასოები და კუპლეტი. აი ისიც:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

რომელ ჴანება რომელ ჴანება შენოდენ გჭონდეს მაცისკრებარე
არა გეთნია არა გეთნია მნათობნი მით ვსცენ, დამბლენებარე,
მანათოვლითა, მანათოვლითა; ღაწუმულ ღაზაროზ გამღმაებარე
ვინატრიდია, ვინატრიდია, ძე ღუთისა შენდა ძედ მწოდებარე *).

[წ. კ. საზ-ის 4797]*

გარდა ამისა პლ. იოსელიანს პეტერბურგს მცხოკრებ ბატონიშვილებისათვის გადაუგზავნია ხელნაწერები (სია იხ. პლ. იოსელიანის წერილში ბროსესადმი 1838 წ. 1 სექტემბრის თარიღით). როგორც ჩანს, ამას თავის დროზე დიდი უკმაყოფილებაც გამოუწვევია (ხ. ჯ. „პლ. იოს.", გვ. 22).

პლ. იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ მისი არქივის დიდი ნაწილი დაიფანტა. გადარჩენილა ნაკლებ მნიშვნელოვანი ხელნაწერები, რომელიც საქ. მუზეუმშია დაცული. პლ. იოსელიანის ძვირფასი ბიბლიოთეკა კი ინახება ტფილისის სახ. უნივერსიტეტის წიგნთსაცავში.

90-ან წლებში პლ. იოსელიანის არქივის ბედის საკითხი ისევ წამოიჭრა. 1894 წელს გაზ. Новое Обозрение-ში დაიბეჭდა წერილი: Вопрос об исчезновении рукописей П. Иосселиани (იხ. № 3521), სადაც უცნობი ავტორი მოითხოვს — გამორკვეულ იქნას, სად ინახება პლ. იოსელიანის ხელნაწერები და საისტორიო ხასიათის დოკუმენტები. ავტორი ბრალს სდებს თ ე დ ო ო რ დ ა ნ ი ა ს ა ც, ამ უკანასკნელმა იმავე წლის, „Новое Обозрение"-ში

* ეს კუპლეტი ეკუთვნის ჩახრუხაძეს (იხ. თამარიანი, ს. კაკაბაძის გამ. ტფ., 1913, გვ. 10, ხანა 30).

დაიბეჭდა ორი ფელეტონი სათაურით: „Где рукописи П. Иоселиани?“ (№№ 3535, 3536) და შეეცადა დაემტკიცებია (თვითონ იოსელიანის ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე) მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები პლ. იოსელიანს არ უნდა დარჩენოდაო. მიუხედავად ამისა პლ. იოსელიანის მდიდარი არქივის განიავების ფაქტი ფაქტადვე რჩება.

IV. პლატონ იოსელიანის შრომებისა და წერილების ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კალენდარი [ტფილისი,1839]

2. პირუელ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისანი [ტფილისი, 1840 მეორე გამოცემა—ტფ., 1851; მესამე გამოცემა—ტფ., 1863]

3. Краткая история грузинской церкви [СПб, 1841. მეორე გამოცემა—СПб, 1843]

4. Мцхетский храм в Грузии [Жур. Мин. Нар. Просвещ., 1842, № 36, Ноябрь; Кавказский Календарь, 1847]

5. Грузины и древния их наименования [Журн. Мин. Внутр. Дел, 1843, Апрель]

6. Исторический взгляд на состояние древней Грузии [Жур. Мин. Нар. Просвещ. 1843, Февраль]

7. Древние памятники Тифлиса [Жур. Мин. Внут. дел, 1844, кн. 1. Январь ცალკე ამონაბეჭდი — СПб, 1844]

8. Летосчислени Грузинское [Закавказский Вестник, 1845, № 3]

9. Древн. груз. названия месяцев [Зак. Вестник, 1845, № 5]

10. Грузинский устний Календарь [Зак. Вестник, 1845, № 7]

11. Описание Шио-Мгвимской пустыни в Грузии, Тиф., 1845 [Зак. Вест. 1845, №№ 12-14, 16]

12. Приезд Наместника Завказскаго Графа М. С. Воронцова в Тифлисе, 23 марта 1845 года [Закавк. Вестник, часть неоффиц., 1845, № 8; იგივე წიგნში: Опис. древн. гор. Тифлиса, 279-285]

13. Кацхский храм в Имеретии [Тиф., 1845. Зак. Вест., 1845, № 16]

14. Путевыя записки по Кахетии [Тиф., 1846]

15. Различныя наименования Грузинов [Тиф., 1846; Жур. Мин. Нар. Просв., 1844, кн. 6]

16. Алавердский храм [Кавк. Календарь, 1846]

17. Описание марткопскаго монастыря [Тиф., 1847. Зак. Вест., 1045, №№ 3, 4; Жур. Мин. Внутр. дел, 1845, № 9]

18. Жизнь Великаго Моурава кн. Георгия Саакадзе, родоначальника князей Тархан-Моуравовых, с приложением описания Эртацминдск. храма и Кватахевск. монастыря [Тиф. 1848. Зак. Вестник, 1848, №№ 32-37]

19. Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей магометан [Т. 149 Зак. Вест. 1849, №№ 1, 3, 5, 7]

20. Жизнеописание святых, прославляемых православною грузин. церковию [Тиф., 1850]

21. Жизнь святых Грузинской церкви]Тиф., 1850]

22. Нечто о городах грузинских [Зак. Вест., 1850, № 12]

23. Города, существовавшие и существующие в Грузии [Тиф., 1850.—Жур. Мин. Внутр. дел, 1844, ч. VI, кн. 6; Зак. Вестн., 1844, №№ 1, 3, 5, 10, 12]

24. Путевыя заметки от Тифлиса до Ахталы, [Тиф. 1850; Зак. Вестник, 1850, №№ 16-18]

25. Генатский монастырь [Кавказский Календарь... Тиф., 1852]

26. Описание Кабенскаго монастыря [Кав. Кал., Тиф., 1854]

27. Гора св. Давида в Тифлисе [Тиф., 1858; Кавк. Кал., 1858]

28. [Речь П. И. Иосселиани о значении грузинскаго дворянства Кавказ, 1861, № 13]. სიტყვა, წარმოთქმული ტფილ. გუბერნიის თავად-აზნ. კრებაზე 1861 წ. 3 თებერვალს.

29. Описание города Душета [Тиф. 1860]

30. Путевыя записки по Дагестану в 1861 году [Тиф., 1862]

31. Прибытие Его Императорскаго Высочества Великаго Князя Михаила Николаевича в Душет и Тифлис, в 1863 году [Кавказ, 1863, № 23. იგივე წიგნში: Опис. др. гор. Тиф., 279—285]

32. Приезд ея императорскаго высочества Великой Княгини Ольги Федоровны в Тифлис, 16 Апреля 1863 г. [Кавказ, 1863. № 30 იგივე წიგნში: Опис. древ. гор. Тиф., 285-292]

33. განხილვა რაედენთამე ქართულთა ხედწარწერათა [ცისკარი, 1865, მაისი]

34. Икортский монастырь в Карталини [Тиф., 1865]

35. Описание древностей города Тифлиса [Тиф., 1866]

36. Род князей Чолокаевых и мученик Св. Бидзина Чолокаев [Тиф. 1866, Кавказ, 1866. № 24]

37. Речь, произнесенная в зале Тифлисской духовной семинарии по поводу торжества пятьдесятилетия, 1 акт. 1867 г. [Тиф., 1867]

38. Отклик кавказца, кавказцам Петербурга (по случаю обычнаго кавказскаго 4-го февраля) [Кавказ, 1868, № 15[

39. Открытие судебн. учреждений в Тифлисе [Кавказ, 1868, №№ 28-29]

40. მათს უგანათლებულესობას მეფისა გიორგის მეათცამეტის ძის იოანეს ძის ძეს, იოანე გრიგორის ძეს გრუზინსკის [ცისკარი, 1868, № 12. ნახე წერილში: „ტექსტისათვის". „ცისკარში" დაბეჭდილ მიმართვას წინ უძღვის ივ. ბერძენოვის წერილი]

41. სიტყუა, საყოველთაოდ საუწყებელი წიგნთა ქართულად ბეჭდისა გამო [ცისკარი, 1869, მარტი]

42. Шота Руставели (1174—1212) [Кавказ, 1870, № 13; ცალკე წიგნად: Тиф., 1870]

43. Храм в Покарно [Кавказ, 1870, № 78]

44. Святыня Мамеба [Кавказ, 1871, № 6]

45. Алеевская святыня [Кавказ, 1871, № 12]

46. Мысли Ламартина об укреплении Парижа, высказанныя 6 и 7 мая 1845 года [Кавказ, 1871, № 12]

47. Библиографическая заметка [Кавказ, 1871, № 22. რეცენზია გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო"-ზე]

48. Путевыя записки от Тифлиса до Мцхета [Тиф., 1871; Кавказ, 1870, №№ 19, 24, 40, 45, 48]

49. Пшавия [Кавказ, 1872, № 134]

50. ბრძოლა ბერძენთა, პირისპირ ოსმალთა (1826 წელსა) თქმული ლამარტინისაგან. ნათარგმნი პროზად 15 თებერვალს, 1872 წელს, ქ. დუშეთს. [ცისკარი, 1872, მაისი]

51. კაბენისა მონასტერი [მისი რუსული წერილის თარგმანს წარმოადგენს. ცისკარი, 1873, იანვარი]

52. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა [ივერია, 1879, №№ 9-10. ცალკე გამოცემა ზ. ჰიპინაძის, ტფ. 1895 წ. რეცენზია ამ გამოცემაზე ო ც ნ ე ბ ე ლ ი ს ა— იხ. ივერია, 1895, № 144]. მეორე გამოც. „ფედერაცია". 1936.

ალაპარაკებული იოსელიანის გამოცემანი:

1. ჩახრუხაიძის — თამარიანი; ტფილისს, 1838.
2. შავთელის — აბდულ-მესია; ტფილ., 1838.
3. იოსებ ტფილელის — დიდმოურავიანი; ტფილ., 1851.
4. ტიმოთე გაბაშვილის — მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა. ტფილ., 1852.
5. იონა რუისის მიტროპოლიტის — მიმოსვლა ანუ მგზავრობა... ტფილ., 1852.
6. ანტონ კათოლიკოსის — წყობილ სიტყუაობა. ტფილ., 1853.
7. არჩილ მეფის — ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა. ტფ., 1853.
8. [პლ. იოსელიანის წინასიტყვაობით გამოვიდა გ. ერისთავის კომედია: „გაყრა", 1850 წელს ქ. ტფილისს.]

სურათების სია:

1. პლატონ იოსელიანი (გვ. VII-ის წინ).
   [უცნობი სურათი. გადაღებულია 70-ან წლებში. ორიგინალი ინახება მეტეხის მუზეუმში].
2. გიორგი მე-XII (გვ. 5-ის წინ).
   [იხ. Акты.., ტ. II].
3. მარიამ დედოფალი (გვ. 13-ის წინ).
   [იხ. Акты.., ტ. II].
4. დავით ბატონიშვილი (გვ. 71-ის წინ).
   [Акты.., ტ. III, 420 შმდ.].
5. დარეჯან დედოფალი (გვ. 203-ის წინ).
   [С. Эсадзе: Летопись Грузии, вып. I ტფ., 1913].
6. ერეკლე II. (გვ. 51-ის წინ).
   [Эсадзе: Лет. Гр.].
7. ალექსანდრე ბატონიშვილი (გვ. 189-ის წინ).
   [Акты, ტ. V. გვ. 360 შმდგ.].
8. რუს. ეგერ. პოლკის შემოსვლა ტფილისს. 1799 წლის 26 ნოემბერს (ბოლო ფორზაცი).
   [მხატ. რ უ ბ ო ს სურათი. იხ. Эсадзе: Альбом картинной галлереи Кавк. Военно-Истор. Музея. вып. I, ტფ., 1911].
9. ილია ბატონიშვილი (გვ. 163-ის წინ).
   [Б. Эсадзе: Летопись Грузии].
10. გარსევან ჭავჭავაძე (გვ. 87-ის წინ).
    [С. Эсадзе: Лет. Гр.].

11. იოანე ბატონიშვილი (გვ. 223-ის წინ).
[Акты.., III. გვ. 164 შემდეგ.].
12. ვახტანგ ბატონიშვილი (გვ. 147-ის წინ).
[Акты, III, გვ. 236 შემგ.].
13. იულონ ბატონიშვილი (გვ. 221-ის წინ).
[Акты, III, 744 შემდეგ].
14. ფარნაოზ ბატონიშვილი (გვ. 215-ის წინ).
[Акты.., IV, გვ. 124 შემდეგ].
15. ბაგრატ ბატონიშვილი (გვ. 207-ის წინ).
[Акты.., ტ. IV, გვ. 404 შემდეგ].
16. თეკლე ბატონიშვილი (გვ. 205-ის წინ).
[ორიგინალი დაცულია მეტეხის მუზეუმში].
17. ტფილისი 1796 წელს (წინა ფორზაცი)
[წიგნიდან: Приключения Артемия Араратскаго, СПб. 1813
გადაღებულია პოპ. არტ. ეაბუნიამ]

დ ა მ ა ტ ე ბ ა:

ქორონიკონების (წელთაღრიცხვის ქართული ნიშნების) გაგებისა და წაკითხვის გასაადვილებლად აქ ვბეჭდავთ ცხრილს, რომელიც საჭირო შემთხვევებში დაეხმარება მკითხველს.

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები		ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ი	თ
ათეულები		კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
ასეულები	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეულები	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	

სარჩევი

ა. გ. წინასიტყვაობა . . . VII — XII
აკ. გაწერელია: პლატონ იოსელიანი . . XIII — XL
ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა . 1 — 248
ავტორის დამატებითი შენიშვნები . 249 — 277

რედაქტორის შენიშვნები:

1, ტექსტისათვის 281 — 290
2. უცხო პიროვნებანი . . . . . 291 — 300
3. ცნობები პ. იოსელიანის უცნობი და გამოუქვეყნებელი ნაწერების შესახებ . . . . . 300 — 302
4. პლატონ იოსელიანის შრომების და წერილების ბიბლიოგრაფია 302 — 304
პლატონ იოსელიანის გამოცემანი . 304
სურათების სია 304 — 305
დამატება 305

შეცდომების გასწორება

გვერდი:	სტრიქონი: (ზემოდან ქვევით.)	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
XIII	19	ზოგიერთი წყაროის	ზოგიერთი წყაროების
XIV	38	ანგლიჩანებით	ანგლიჩნებით
XIX	36	ჩეჩნეთში და დაღისტანში	ჩეჩნეთსა და დაღისტანში
XX	7	გაჩეხვას, და ადამიანების	გაჩეხვისა და ადამიანების
XXXIII	21	შემოკლება სიტყვასა	შემოკლება სიტყვისა
XXXIV	2	ადგილები გაზეთებიდან	ადგილები გაზეთიდან
63	37	აუმატებია გადაწერისას დაკუმენტში	ჩაუმატებია გადაწერისას დოკუმენტში
65	37	განჯის აღებისას 1803 წ.	განჯის აღებისას 1804 წ.
86	21	ქვეყნის სიძულეთა	ქვეყნის სიძველეთა
93	33	Inteneraire de Tiflis...	Intinéraire de Tiflis...
115	19-21	..მოწყალებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალებისა ხელმწიფისა, მოწყალებათა, გარწმუნებ რომელ განსაკუთრებითისა მისისა დიდებულებისა თქვენდამი განწყობილებისა...	განწყობილებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა თქვენდამი განწყობილებისა...
185	8	ლაშქარნი და დიღებულნი	ლაშქარნი და დიდებულნი

გვ. 116. ჯ. იოსელიანი შენიშვნაში წერს: „... ტურნალშიI საქართველოსა მახარობელი, წელიწადი 18... თთვე..." იგულისხმება — „საქართველოს სასულიერო მახარობელი"-ს 1865 წ. ნოემბრის წიგნი, სადაც დაბეჭდილია მისი „იკორთის მონასტერი ქართლში" (შდრ. რუსული გამოცემის გვ. 96; „ბიბლიოგრაფია" № 34).

რედაქტორი — ვ. ლუარსაბ. მიძე, ტექრედაქ.—შ. დემეტრაძე, მხატვარი—ლ. ზაალიშვილი, კორექტორი — ნიკ. ფერაძე

* *

მთავლიტის № 13615. შეკვეთის № 464. ტირაჟი 4000 გადაეცა წარმ. 15/V-36 წ. დასრულ. ბეჭდვა 25/XI-36 წ.

* *

გამომცემ-ბა „ფედერაცია-ს" სტამბა, პლეხანოვის პროსპ. 181.